პროფ. გ. ახვლედიანი

# უცხო სიტყვათა
# ლექსიკონი

ავტორის გამოცემა

ტფილისი

1933

# წინასიტყვაობის მაგიერ

1. წინამდებარე „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ წარმოადგენს თითქმის უკვე დამზადებული „უცხოურ სიტყვათა სრული ლექსიკონის“ შემოკლებულ სახეს; ამდენად შეგვეძლო ამისათვის დაგვერქმია „მოკლე“, მაგრამ ეს ზედმეტად დავინახეთ, რამდენადაც მასში მოცემული მასალა სრულიად საკმარისად მიგვაჩნია ყოველი არა ვიწრო-სპეციალური ლიტერატურის მკითხველისათვის,—მით უფრო, რომ სრულ ლექსიკონსაც არ შეუძლია ამოსწუროს ყველა ვიწრო-სპეციალურ დარგებში ხმარებული უცხოური * სიტყვები.

2. ასეთი სახის ლექსიკონში საჭიროდ არ დავინახეთ გვეჩვენებია უცხოურ სიტყვათა ჩამომავლობა, რაც აუცილებელია უფრო ვრცელ უცხოურ სიტყვათა ლექსიკონში. სამაგიეროდ ვეცადეთ უფრო სწორად გადმოგვეცა უცხოური სიტყვის როგორც წარმოთქმა, ისე მისი დაწერილობა; კერძოდ: როცა უცხოურ სიტყვას წერაში მოუდის ზედიზედ ორი თანხმოვნის ნიშანი, ეს ნაჩვენებია ფრჩხილებში, — რადგანაც, როგორც ცნობილია, ქართულში არ გვაქვს მიღებული ორმაგი თანხმოვნის წერა ასეთ შემთხვევებში; მაგ.: **გრამ-ი (გრამმ-ი). დილემა (-მმა), ექსპრეს-ი (-სს-ი), კომუნა (კომმ-)** და სხვა.

დანარჩენ თავისებურობათაგან აღვნიშნავ შემდეგს: ისე როგორც ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ (მესამე გამოც. ტფ. 1928), აქაც უცხოური სიტყვის გადმოცემისას სახელობითი ბრუნვის **ი** გამოყოფილია დეფისით; იგივე ითქმის უცხო ზმნათა გადმოქართულების შემთხვევებზე—იმ განსხვავებით, რომ 1) ი. იმედაშვილის ლექსიკონში მოცემულია მხოლოდ სახელზმნა (და ზოგჯერ მიმღეობა), ხოლო აქ—ზმნის პირველი პირიც; მაგ.: **დეკლასირება (დეკლასს-) .. ვდეკლასირდები; დიფერენცირება, ვადიფერენცირებ; ექსტრაპირება, ვაექსტრაპირებ** და სხვა; 2) აქ უფრო ხშირია უცხოურ ზმნათა გადმოქართულება.

---

* ვფიქრობთ, რომ უმჯობესია ვიხმაროთ ამ შემთხვევაში „უცხოური“ (და არა „უცხო“): როგორც სიტყვისაგან „უცხოეთი“ ნაწარმოებია „უცხოელი“, ისე მისგანვე უნდა ვაწარმოებდეთ „უცხოური“-ს (**-ელი** და **-ური** სუფიქსებით; შეად. მაგალითად: კახეთი—კახელი—კახური; ესპანეთი—ესპანელი—ესპანური).

3. ამ ლექსიკონის შედგენისას უმთავრესად ვემყარებოდი: 1) Малая Советская Энциклопедия-ს (1928—31 წწ.) და 2) Большая Советская Энциклопедия-ს (1926—32 წწ.), ხოლო ვსარგებლობდი მეტ-ნაკლებად შემდეგი ლექსიკონებით: 3) Heyse-Lyon-Scheel, Fremdwörterbuch, 21. Ausg. (1922), 4) Petit Larousse illustré (1926), 5) Meyer, Handlexikon (1920), 6) ი. იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე გამოც. (1928), 7) Литературная Энциклопедия (1929—31) და სხვა სპეციალური ლექსიკონებით.

4. ვალდებული ვარ აღვნიშნო, რომ რამდენიმე გვერდის (396-დან 409-მდე) შედგენაში დამეხმარა პროფ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა; ვისარგებლე აგრეთვე დოც. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს შენიშვნებით.

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

---

## შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ასტრ.—ასტრონომია, -ული, -ში.
გდზ.—გეოდეზია, -ური, -ში.
გრმ., გრამატ.—გრამატიკა, -ული, -ში.
დაახლ(ოებ).—დაახლოებით.
კომერც. —კომერცია, -ული, -ში.
იურიდ.—იურიდიული, იურისპრუდენციაში.
კმ.—კილომეტრი, -ზე, -ს.
ლეგენდ.—ლეგენდური.
ლექსწყ.—ლექსწყობა, -ში.
მლმ.—მილიმეტრი, -ს.
მრავლ.—მრავლობითი რიცხვი.
ნ.—ნახე, იხილე
ოპტ.—ოპტიკაში, ოპტიკური.
პ/მ—პასუხისმგებელი.
საბ —სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (1928).
სტმ.—სტამბაში.
ფონ.—ფონეტიკა, -ური, -ში.
ქ. შ.—ქრისტეს შემდეგ; ქ. წ.—ქრისტეს წინ.
ყოფ.—ყოფილი, -ს.
შეად.—შეადარე.
ძვ.—ძველი, -ს.

---

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

# ა

**აბაზია,** ნ. აბასია.

**აბალიენაცია,** ქონების განსხვისება,—ჩამორთმევა.

**აბანდონ-ი,** პატრონისმიერ ქონებაზე ხელისაღება, — ქონების მიტოვება.

**აბაჟურ-ი,** შუქფარი.

**აბასია,** სიარულის უნარის დაკარგვა.

**აბატ-ი, (აბბ-),** წინამძღვარი (კათოლიკ. მონასტრისა); **აბატისა** (-სსა), წინამძღვარი ქალი.

**აბდერიტები,** ძველი საბერძნეთის ქალაქ ა ბ დ ე რ ი ს მცხოვრებნი,—ცნობილნი იყვნენ სიბრიყვითა და ალალ-მართლობით (ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებისაგან სიშორის გამო); **აბდერიტიზმ-ი,** სიბრიყვე, სისულელე.

**აბდიკაცია,** თანამდებობიდან გადადგომა (მაგ. მეფისა ტახტიდან).

**აბდუქცია,** დაშორება, განზიდვა (ანატ.); **აბდუქტორ-ი,** დამშორებელი, განმზიდველი კუნთი.

**აბერაცია (აბერრ-),** სხივთგანბნევა; გადაკეთება, შეცთომითი აღქმა.

**აბზაც-ი,** შეწევა (სტრიქონის); ტექსტი შეწევიდან შეწევამდე.

**აბიოგენეზის-ი,** თვითჩასახვა, ცოცხალი არსების ჩასახვა არა ცოცხალი მატერიიდან, უშობლებოდ.

**აბიტურიენტ-ი,** საშ.-სკოლადამთავრებული და სიმწიფის მოწმობისათვის გამოსაცდელი მოწაფე.

**აბლატივ-ი,** დაწყებითი ბრუნვა (გრამ.).

**აბლაუტ-ი,** ხმოვანთმონაცვალეობა (ფონ.).

**აბლაქტაცია,** განძუძუება; მყნა.

**აბლუცია,** განბანა (კათოლ. სარწმუნოებრივი წესით).

**აბოლიცია,** გაუქმება, მიტოვება, შეწყნარება; **აბოლიციონიზმ-ი,** აბოლიციის მომხრეობა, პიროვნების თავისუფლების შემზღუდველ წესების მოწინააღმდეგეობა; **აბოლიციონისტ-ი,** აბოლიციონიზმის მომხრე.

**აბონემენტ-ი.** განსაზღვრული ვადით მოპოებული უფლება რისიმე სარგებლობისა: თეატრში —ადგილით, წიგნთსაცავში— წიგნით და სხვ.; **აბონენტ-ი,** აბონემენტის მქონე.

**აბორიგენ-ი,** ქვეყნის მკვიდრი,— თავდაპირველი ბინადარი.

**აბორტ-ი,** მუცლის მოშლა, ვადაზე ადრე ხელოვნურად შობა.

**აბრევიატორ-ი.** (აბბ-), ქარაგმით (სიტყვაშეკვეცით) მწერალი; **აბრევიატურა**, ქარაგმა, სიტყვაშეკვეცა.

**აბრეჟე**, შემოკლება, შეკვეცა.

**აბრის-ი** (სს-), ზოგადმონახაზი.

**აბსენტეიზმი**, არჩევნებზე დაუსწრებლობა, საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი გულგრილობა, —უინტერესობა; **აბსენტეისტ-ი**, ასეთის მქნელი.

**აბსოლუტ-ი**, უთუო, უეჭველი; ფილოსოფიაში: დაუსაბამო და უსასრულო არსობა; **აბსოლუტიზმი**, თვითმპყრობელობა; **აბსოლუტისტ-ი**, თვითმპყრობელობის მომხრე,—დამცველი; **აბსოლუტური**, სრული, თავისთავადი; **აბსოლუცია**, ბრალდებულის განმათავისუფლებელი განაჩენი; შეწყნარება, ცოდვათა მიტევება.

**აბსორფცია** (**აბსორბცია**), შეწოვა, შთანთქმა (სინათლისა, სითბოსი და სხვ.).

**აბსტინენტ-ი**, თავდაჭერილი, ზომიერების დამცველი; **აბსტინენცია**, თავდაჭერილობა; ზომიერება.

**აბსტრაქტ-ი**, **აბსტრაქტული**, გახყენებული, განყენებითი; **აბსტრაქცია**, განყენება, განყენებულად წარმოდგენა,—აზროვნება.

**აბსურდ-ი**, უაზრობა.

**აბულია**, უნებისყოფობა.

**აგალაქტია**, მშობიარის უძუძურობა.

**აგამია**, დაუქორწინებლობა.

**აგატ-ი**, ნ. აქატ-ი.

**აგევსია**, გემოს შეგრძნების უქონლობა.

**აგენეზია**, წარმოუქმნელობა; უშვილობა, ბერწობა; სხეულის რომელიმე ნაწილის არქონა დაბადებიდან (ნ. აპლაზია).

**აგენტ-ი**, მოქმედი, მიზეზი, შუამავალი, რწმუნებული; **აგენტურა**, აგენტის საქმიანობა, აგენტის კანტორა.

**აგიო-**, ნ. ჰაგიო.

**აგიტაცია**, ვისიმე (მაგალითად, ხალხის) შემხადება, წაქეზება და ამოძრავება რაიმე პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საქმის შესასრულებლად; **აგიტატორ-ი**, წამქეზებელი, აგიტაციის გამწევი.

**აგლომერატ-ი**, (აგგ-), ნაირგვარი ნაწილების შენაერთი.

**აგლუტინაცია** (აგგ-), მიწებება; აწონილი ნაწილების შეწებება გუნდებად წყალში და მათი დალექვა ჭურჭლის ფსკერზე; სიტყვის ფორმათა ფუძეუცვლელი წარმოება.

**აგნატ-ი**, ნათესავი მამის ხაზით.

**აგნი**, ცეცხლის ღვთაება (ინდოეთში).

**აგნოსტიციზმ-ი**, ფილოსოფ. მოძღვრება, რომლის აზრით შეუძლებელია მოვლენათა ნამდვილი ბუნების შეცნობა.

**აგონია**, მომაკვდავის ტანჯვა,—

სულთაბრძოლა (სიკვდილის წინ).

**აგორა**, შესაკრები ადგილი ან სავაჭრო მოედანი (ძველ საბერძნეთში); **აგორაფობია**, მანძილის შიში.

**აგრამანტ-ი**, ქობა, არშია.

**აგრარი**, მსხვილი მიწათმფლობელი; **აგრარიები**, მსხვილ მემამულეთა დამცველი პარტია (გერმ.); **აგრარიზაცია**, მიწის მეურნეობის განვითარება; **აგრარული**, სამიწათმოქმედო და -მფლობელო, მიწათმოქმედებისა და -მფლობელობის.

**აგრაფია**, წერის უნარის დაკარგვა.

**აგრეგატ-ი (აგგ-)**, შენაერთი განცალკევებულ ნაწილთა; გროვა; **აგრეგატული მდგომარეობანი**: მყარი, თხევადი, აირებრი.

**აგრესია (აგგრესსია)**, შეტევა, თავდასხმა; **აგრესიული**, შეტევითი, თავდასხმითი, მტრული, გამომწვევი.

**აგრიკულტურა**, მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობა.

**აგრონომ-ი**, სწავლული სოფლისმეურნე; **აგრონომია**, მეცნიერება სოფლის მეურნეობის შესახებ.

**ადაპტაცია**, შეგუება, შეწყობა.

**ადეკვ-**, ნ. ადექვ-.

**ადელოპოდ-ი**, ფეხშემალული ცხოველი.

**ადენიტ-ი**, ჯირკვალთანთება.

**ადეპტ-ი**, რაიმე მოძღვრების მცოდნე,—მიმდევარი,—მომხრე.

**ადექვატ-ი**, **ადიქვატური**, შესატყვისი, სავსებით შესაბამისი.

**ადვერბი**, **ადვერბიუმ-ი**, ზმნისართი (გრამ.); **ადვერბული**, **ადვერბიალური**, ზმნისართული, ზმნისართის.

**ადვოკატ-ი**, ვექილი, დამცველი; **ადვოკატურა**, ვექილობა.

**ადინამია**, სისუსტე, უღონობა; **ადინამიური**, უღონო, სუსტი.

**ადიტიური (ადდიტიური)**, მისამატებელი, მიმატებითი; **ადიცია**, **(ადდიცია)**, მიმატება, დამატება, მითვლა; **ადიციური**, დამატებითი.

**ადიუნქტ-ი**, დამხმარე; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი; **ადიუნქტ-პროფესორი**, პროფესორის თანაშემწე.

**ადიუტანტ-ი**, სარდალთან მიჩენილი ხელქვეითი ოფიცერი.

**ადიქცია (ადდ-)**, მისჯა.

**ადიცია**, ნ. ადიტიური.

**ადმინისტრატორ-ი**, გამგე, მმართველი; **ადმინისტრაცია**, გამგებლობა, მართვა-გამგეობა, მმართველობა; **ადმინისტრაციული**, გამგებლობითი, მმართველობითი.

**ადმირალ-ი**, უმაღლესი წოდება სახღვაოსნო უწყებაში (ბურჟუაზიულ ქვეყნებში).

**ადოპტაცია**, შვილება, შვილად აყვანა; **ადოპტატორ-ი**, მშვილებე-

ლი, შვილად ამყვანი; **ადოპცია** =ადოპტაცია.

**ადრეს-ი**, მისამართი; მილოცვის ტექსტი, მიმართვა; **ადრესანტ-ი**, წერილის გამგზავნი; **ადრესატ-ი**, წერილის მიმღები, ვისაც ეგზავნება; **საადრესო მაგიდა**, სამისამართო მაგიდა (ქალაქში მცხოვრებთა ბინების მაჩვენებელი დაწესებულება).

**ადულტერ-ი**, ცოლქმრული ერთგულების დამრღვევი.

**ადუქტორ-ი** (ადდ-), მომზიდველი კუნთი (ანატ.).

**აეროგრაფია**, ჰაერის თვისებათა შესწავლა: **აეროდინამიკა**, აირთა მოძრაობის მეცნიერება; **აეროდრომ-ი**, აეროპლანების ასაფრენ-დასაფრენი მოედანი; **აეროლით-ი**, ციდან (პლანეტშორისის სივრციდან) დედამიწაზე ჩამოვარდნილი ქვა (მინერალური მასსა); **აერონავტ-ი**, საჰაერო ნავი, ჰაერნაოსნობის მცოდნე; **აეროპლან-ი**, ჰაერზე მძიმე საფრენი მანქანა; **აეროსტატ-ი**, ჰაერზე მსუბუქი საფრენი ბურთი; **აეროსტატიკა**, აირთა წონასწორობის კანონების მეცნიერება; **აეროფიკაცია**, სამოქალაქო ავიაციის განვითარება.

**ავანგარდ-ი**, მოწინავე ლაშქარი, წინამბრძოლი.

**ავანზალ-ი**. წინადარბაზი.

**ავანპოსტ-ი**, წინარაზმი, წინასაგუშაგო.

**ავანს-ი**, ბე, საწინდაწინო.

**ავანსცენა**, სცენისწინა (ფარდასა და ორკესტრს შუა).

**ავანტურა**, თავგადასავალი; თავზეხელაღებული მოქმედება; **ავანტურისტ-ი**, თავზეხელაღებული კაცი, ბედისმცდელი.

**ავარია**, მარცხი გემისა, ზარალი.

**ავგურ-ი**, მკითხავი (ძვ. რომში).

**ავერს-ი**, ფულისხატი, პირმხარე.

**ავიატორ-ი**, აეროპლანით მფრინავი.

**ავიაცია**, აეროპლანით მფრინაობა.

**ავრორა**, განთიადი, გარიჟრაჟი; განთიადის ქალღმერთი (ძველ რომში).

**ავტობიოგრაფია**, თავისი ცხოვრების აღწერა.

**ავტობუს-ი**, მრავალ-ადგილიანი დიდი ავტომობილი (ზოგიერთ ავტობუსს საჯდომები აქვს სახურავზეც).

**ავტოგრაფ-ი**, ავტორის ხელნაწერი.

**ავტოდაფე**, ნ. აუტოდაფე.

**ავტოკეფალია**, ეკლესიის დამოუკიდებლობა ამათუიმ ქვეყანაში — ამ ქვეყნის გარეშე მყოფი ხელისუფლებისაგან; **ავტოკეფალისტ-ი**, ავტოკეფალიის მომხრე.

**ავტოკრატ-ი**, თვითმპყრობელი.

**ავტოკრიტიკა**, თვითკრიტიკა, თავის ნაწარმოების კრიტიკული განხილვა.

**ავტომატ-ი**, 1) ადამიანის ზოგ სამუშაოს შემსრულებელი მანქანა; 2) მანქანისებრ (შეუგნებლად

მოქმედი ადამიანი; **ავტომატიზაცია**, შეჩვეულ მოქმედებათა შეუგნებლად შესრულების შესაძლებლობა, ავტომატიზმის გამომუშავება; **ავტომატიზმ-ი**, შეუგნებელი მოძრაობის თვისება ორგანიზმში; **ავტომატურ-ი**, მანქანური, არანებითი, შეუგნებელი.

**ავტომობილ-ი**, მექანიკურ ძრავის საშუალებით მავალი ეტლი.

**ავტონომია**, თვითმართველობა, დამოუკიდებლობა ქვეყნის, ქალაქის, დაწესებულების... შინაურ კანონმდებლობით არსებობა; **ავტონომისტ-ი**, ავტონომიის მომხრე.

**ავტორ-ი**, რაიმე ლიტერ., სამეცნ. ან მხატვრ. ნაწარმოების შემთხზველი, რისამე გამომგონი; **ავტორიზაცია**, ნებართვის ან რწმუნების გაცემა ავტორისმიერ რაიმე მოქმედებისათვის, მაგ., ავტორის ნებართვა მისი თხზულების თარგმნისა.

**ავტორიტარული**, ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე, მის ავტორიტეტზე დამყარებული; **ავტორიტარული წყობილება**, ბატონობა-მორჩილებაზე დამყარებული წყობილება.

**ავტორიტეტ-ი**, გავლენა; საყოველთაოდ პატივცემული და გავლენის მქონე პიროვნება ან დაწესებულება.

**ავტოტრანსპორტ-ი**, ავტომობილით გადაზიდვა (ტვირთის ან ხალხის).

**ავტოქთონ-ი**, ადგილის მკვიდრი, თავდაპირველი მცხოვრები.

**ავქსონ-ი**, ავტორი.

**აზარტ-ი**, შემთხვევა, შემთხვეულობა; ყომარი, იღბალი; სიფიცხე, გატაცება; **აზარტიანი თამაში**, ყომარბაზობა, თამაში ალალბედზე, შემთხვევაზე (და არა ცოდნაზე) დანდობით.

**აზბესტ-ი**, **ასბესტ-ი**, ქვაკანაფა; ერთგვარი ცეცხლგამძლე მინერალი სამრეწველო მნიშვნელობისა.

**აზიატ-ი**, აზიელი; ტლანქი, გაუთლელი ადამიანი.

**აზოტ-ი**, უფერო, უსუნო და უგემოო აირი—ჰაერის უმთავრესი ნაწილი; **აზოტომეტრ-ი**, აზოტის საზომი; **აზოტურია**, აზოტიანი შარდის დენა (ავად-ბა).

**აზურ-ი**, ცისფერი საღებავი.

**აზურიტ-ი**, ქვალაჟვარდა.

**ათეიზმ-ი**, ღვთის უარყოფა, ულვთოობა, ულმერთობა; **ათეისტ-ი**, ღვთის უარმყოფელი, ულვთო, ულმერთო.

**ათეტეზის-ი**, უკუგდება, უარყოფა; **ათეტიზაცია**, ყალბის განდევნა ნაწარმოებიდან; **ათეტიზატორ-ი**, ყალბის განმდევნელი.

**ათლეტ-ი**, ბრგე და ღონიერი კაცი; საჯაროდ მოჭიდავე; **ათლეტიკა**, ათლეტობა, ღონის (კუნთების) განვითარების და ჭიდაობის ხელოვნება.

**აიხბერგ-ი**, „ყინულის მთა", ყინულოვან ზღვაში მოტივტივე უზარმაზარი ყინული.

**აკადემია**, უმაღლესი სამეცნიერო ან სპეციალური სასწავლო დაწესებულება: **აკადემიზმ-ი**, სანიმუშო ნაწარმოებთა მიხედვით შემოქმედების წესების დამდგენი მიმართულება ხელოვნებაში; **აკადემიკოს-ი**, სამეცნიერო აკადემიის წევრი; **აკადემისტ-ი**, 1) აკადემიის სტუდენტი, 2) მემარჯვენე სტუდენტი (რუსეთში მეფის დროს); **აკადემიური**, აკადემიის ხასიათის მქონე, წმინდა მეცნიერული; **აკადემიური წელი**, სასწავლო წლის ორი სემესტრი; **აკადემიური საათი**=40 წუთს; **აკადემიური დავა** (კამათი), თეორიული (პრაქტიკულობას მოკლებული) დავა.

**აკანთ-ი**, აკანთისხე. დათვისთათა; სახუროთმოძღვრო სამკაული (დათვისთათის ფოთლისებრი).

**აკაფისტო**, დაუჯდომელი (საეკლ. წიგნი).

**აკაცია**, ხებარდა, ლობიოსხე (მც.).

**აკეფალია**, უთავობა (ემბრიოლოგიური სიმახინჯე).

**აკვ-**, ნ. აქვ-.

**აკლამაცია** (აკკლამაცია), მოწონების წამოძახილი; თანხმობის გამოთქმა ვისიმე არჩევისას.

**აკლიმატიზაცია** (აკკლ-), შეგუება უცხო ქვეყნის ჰავასთან და ბუნების სხვა პირობებთან.

**აკომოდაცია** (აკკ-), მიჩვევა, შეგუება; **თვალის აკომოდაცია**, თვალის მიჩვევა სხვადასხვა მანძილზე.

**აკომპანემენტ-ი** (აკკ-), რაიმე საკრავის ხმის შეწყობა სიმღერასთან ან სხვა საკრავის ხმასთან; **აკომპანირება** (ვუაკომპანირებ), შეწყობა, აყოლება; **აკომპანიატორ-ი**, შემწყობი, ამყოლებელი.

**აკორდ-ი** (აკკ-), შეთანხმიერება, მუსიკალურ ბგერათა ჰარმონიული შეერთება; შეთანხმება, ერთსულოვნობა; **აკორდული** ან **ააკორდო სამუშაო**, ნარდად სამუშაო.

**აკორპორაცია** (აკკ-), შედგენილობაში ჩარიცხვა; შეერთება.

**აკრედიტივ-ი** (აკკ-), რწმუნება, რწმუნების ბარათი.

**აკრობატ-ი**, ჯამბაზი, თოკზე მავალი, მუშაითი.

**აკროპოლ-ი**, ციხექალაქი, ციხე-სიმაგრე ქალაქში.

**აკროსტიქ-ი**, ზმაკიდური ლექსი (ე. ი. როცა ლექსის სტრიქონების დასაწყისი ასოები (ბგერები) შეადგენენ სიტყვას).

**აკს-**, ნ. აქს-.

**აკტ-**, ნ. აქტ-.

**აკუმულატორ-ი** (აკკ-), მაუნჯებელი, ენერგიის დამაგროვებელი და შემნახველი ხელსაწყო: **ელექტრო-აკუმულატორ-ი**, ელექტრული ენერგიის დამაგროვებელი და შემნახველი; აკუმუ-

ლაცია, დაგროვება, დაუნჯება,

**აკუომეტრ-ი**, სმენის საზომი ხელსაწყო.

**აკუპუნქტურ-ი**, ნემსით ჩხვლეტა, ჩხვლეტით მკურნალობა.

**აკუსტიკა**, ბგერათმეცნიერება (ფიზიკის ერთ-ერთი ნაწილი); ბგეროვნობა (მაგ. დარბაზისა); **აკუსტიკურ-ი**, სმენითი, ბგერათმეცნიერებითი, ბგეროვნობითი.

**აკუშერ-ი, აკუშორ-ი**, ქალის ექიმი; ამქმელი, მეანი, მშობიარის დამხმარე სპეციალისტი ექიმი; **„აკუშერკა, აკუშორკა“**, ბებიაქალი; **აკუშორობა**, მეანობა.

**აკც-**, ნ. აქც-.

**ალაბასტრ-ი**, დამწვარი თაბაშირი (გიპსი).

**ალამ-ი**, დროშა; **ალამდარ-ი**, მედროშე.

**ალარმ-ი**, განგაში; **ალარმისტ-ი**, მეგანგაშე, განგაშის ამტეხი.

**ალაფ-ი**, ნადავლი.

**ალაჰ-ი**, (ალლ-), მუსლიმანთა „პეშმარიტი ღმერთი“.

**ალბა**, კათოლიკეთა მღვდლების თეთრი ტანსაცმელი; განთიადის სიმღერა.

**ალბინიზმ-ი**, თანდაყოლილი უპიგმენტობა (ნ. პიგმენტი) ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენა, მაგ. თმის სითეთრე, კანის სიმკრთალე და სხვ.; **ალბინოს-ი**, ალბინიზმიანი ორგანიზმი.

**ალბიონ-ი**, ინგლისი (ძველებურად).

**ალბომ-ი**, სუფთაფურცლებიანი (უწერ-უბეჭდი) წიგნი ლექსების ჩასაწერად ან სურათების, მარკების და მისთანათა ჩასადებად.

**ალეა** (ალლ-), ხეივანი, ხევნარი.

**ალებასტრ-ი**, ნ. ალაბასტრი.

**ალებარდა**, წათი, აფთი, შუბნაჯახი (საომარი იარაღი საშ. საუკუნეებში); **ალებარდისტ-ი**, მეწათე (წათით შეიარაღებული).

**ალეგორია** (ალლ-), იგავთქმა, ჩამოარაკებით თქმა; ხელოვნებაში: განყენებული აზრის გამოხატვა კონკრეტულ სახეებში; **ალეგორისტ-ი**, ალეგორიით მთქმელი ან დამწერი.

**ალეგრ-ი** (ალლ-), ლატარია საჯარო სეირნობის დროს.

**ალეგრო** (ალლ-), სწრაფად, ცოცხლად (მუსიკაში).

**ალეთოლოგია**, მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ.

**ალექსია**, წაკითხვის უნარის დაკარგვა.

**ალთინგ-ი**, ისლანდიის პარლამენტი.

**ალიანს-ი**, კავშირი პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ერთეულთა.

**ალიაჟ-ი**, ნარევი, შენადნობი.

**ალიბ-ი**, ბრალდებულის სხვაგან ყოფნა დანაშაულის ჩადენისას.

**ალიგატორ-ი** (ალლ-), ამერიკული ნიანგი.

**ალიენაცია**, განსხვისება (იურიდ.); ჭკუაზე შეშლა (მედიც.).

**ალიზარინ-ი**, ენდროს საღებავი; **ალიზარინის** ანუ უკეთ **ალიზარინიანი მელანი**, ალიზარინის შემცველი მუქმწვანე მელანი.

**ალიკანტე**, ისპანური ჯიშის ერთგვარი ყურძენი, ეწოდება ღვინოსაც.

**ალიკვ-**, ნ. ალიქვ-.

**ალიმენტაცია**, გამოკვება, რჩენა, სარჩო; სარჩოს მიცემა; **ალიმენტ-ი**, მისაცემი სარჩო.

**ალიტერაცია**, თანხმოვნის განმეორება სიტყვებში კეთილხმოვნობის მიზნით.

**ალიუმინი**, ნ. ალუმინი.

**ალკალი**, ნაცარწმულის მარილი; **ალკალიზაცია**,. განაცარწმულება.

**ალკოვ-ი**, წალო, კედელში გამოღრმავებული ადგილი ქვეშაგებისათვის, — სარეცლისათვის; პატარა საწოლი ოთახი.

**ალკოჰოლ-ი**, სპირტი; ნახშირბადისა, წყალბადისა და ჟანგბადისაგან შედგენილი ორგანული ნივთიერება; **ალკოჰოლიზაცია**, სპირტისაგან წყლის გაცლა.

**ალკოჰოლიზმ-ი**, სპირტიანი (მაგარი) სასმელების ჭარბსმით გამოწვეული დასნეულება; **ალკოჰოლიკ-ი**, მაგარი სასმელების სმით დაავადებული.

**ალმა მატერ**, „მასაზრდოებელი დედა“: სასწავლებელი მოწაფეთათვის.

**ალმანახ-ი**, სხვადასხვა ავტორის სალიტერატურო ნაწარმოებთა (ყოველწლიური) კრებული.

**ალო, ალლო**, ნ. **ჰალო**.

**ალოგია**, არასწორი მსჯელობა.

**ალოგიზმ-ი**, ლოგიკის კანონების დარღვევა; **ალოგიკური**, სწორი მსჯელობის საწინააღმდეგო.

**ალოპათია (ალლო-)**, ჩვეულებრივი (მეცნიერული) მკურნალობა, როცა წამალი იწვევს ავადმყოფობის საწინააღმდეგო მოქმედებას.

**ალოტროპია (ალლ-)**, ზოგიერთ ქიმიურ ელემენტთა თვისება მოგვევლინონ რამდენიმე (კრისტალური) სახესხვაობით, შედგენილობით კი დარჩენ ერთიდაიგივენი, მაგ.: ალმასი და გრაფიტი ნახშირბადის ალოტროპიული სახესხვაობებია.

**ალპაკა**, 1) აქლემის ოჯახის ცხვრისოდენა ცხოველი (სამხრ. ამერიკაში) რომლის მატყლისაგან ამზადებენ ქსოვილებს; 2) ალპაკის მატყლის ქსოვილი; 3) ჩინური ვერცხლი.

**ალპები** (მრავლ.), შუა ევროპის ყველაზე მაღალი მთების სახელი; **ალპენშტოკ-ი**, „საალპებო ჯოხი“—რკინისწვეტიანი სამთამსვლელო ჯოხი; **ალპინიზმ-ი**, მთამსვლელობა; **ალპინისტ-ი**, მთამსვლელი, მაღალ მთებზე ამსვლელი სავარჯიშო და სამეცნიერო მიზნებით.

**ალტერაცია,** ტონის შეცვლა (ამაღლება ან დადაბლება) მუსიკაში.

**ალტერ ეგო,** „მეორე მე": ვისიმე ძალიან მახლობელი პირი, მის მაგივრობის გამწევი; მრწმუნებლის სახელით მოქმედი პირი.

**ალტერნატივ-ი,** ორში (ორ საგანში, ორ აზრში) მხოლოდ ერთ ერთის არჩევის აუცილებლობა.

**ალტერნატორ-ი,** ცვლადი დენის დასამუშავებელი მანქანა; **ალტერნაცია,** მონაცვალეობა, კერძოდ — ბგერათმონაცვალეობა ერთსა და იმავე სიტყვაში.

**ალტ-ი,** ტენორისა და დისკანტის საშუალო ხმა; სამუსიკო ინსტრუმენტი.

**ალტინგ-ი,** ნ. ალთინგი.

**ალტიმეტრ-ი,** სიმაღლის საზომი იარაღი; **ალტიტუდ-ი,** სიმაღლე, კერძოდ—წერტილის სიმაღლე ზღვის დონესთან შედარებით.

**ალტრუიზმ-ი,** კაცთმოყვარეობა, სხვის საკეთილდღეოდ უანგაროდ ზრუნვა; **ალტრუისტ-ი,** კაცთმოყვარე.

**ალუვი, ალუვიუმ-ი** (ალლ-), დანალექი ფენი მიწისა.

**ალუმინ-ი** (ალლ-), ვერცხლისებრ თეთრი ლითონი.

**ალურ-ი** (ალლ-), ცხენის სიარულის სხვადასხვა სახე (ნაბიჯით, თოხარიკით და სხვ.).

**ალფა,** ბერძნ. ანბანის პირველ ასოს სახელი; რისიმე დასაწყისი; **ალფა და ომეგა,** რისიმე დასაწყისი და დასასრული (ნ. ომეგა).

**ალფაბეტ-ი,** ანბანი; **ალფაბეტურად, ალფაბეტზე,** ანბანის რიგზე.

**ალფონს-ი,** საყვარლის ხარჯზე მცხოვრები ვაჟი.

**ალფრესკო,** კედლისმხატვრობა წყალფერადებით.

**ალქიმია,** საშუალო საუკუნეების არამეცნიერული ქიმია, რომლის მიზანი იყო არაკეთილშობილ ლითონთა ოქროდ გადაქცევა; **ალქიმიკ-ი, ალქიმიკოსი, ალქიმისტ-ი,** ალქიმიის მიმდევარი.

**ამაზონკა** ან უკეთ **ამაზონ-ი,** მხედარი ქალი, ქალის საცხენოსნო კაბა.

**ამალგამ-ი,** მარქაშიდა, ლითონის ნაერთი ვერცხლისწყალთან; **ამალგამაცია,** ამალგამის დამზადება; მადნიდან ოქროსა და ვერცხლის გამოღება ვერცხლის წყლის საშუალებით.

**ამანათ-ი,** მძევალი; გზავნილობა.

**ამარანტ-ი,** ძუმელა, ქათმისქოჩორა, წითელა (მცენარეა სხვადასხვა სახისა: ზოგი იხმარება მოსართველად, ზოგიც საჭმელად): **ამარანტის ფერი,** მუქწითელი.

**ამბა, ამბო,** წყვილი; ორი ნომერი ერთ რიგზე (ლოტოში).

**ამბალაჟ-ი** (-ლლ-), ჩაწყობა; შესაკრავ-შესახვევი მასალა; აგრეთვე—მისი ფასი.

**ამბარვალიები** (მრავლ.), დღესასწაული ძველ რომში: ყანების შემოვლა გაზაფხულობით კურთხევის მიზნით, რასაც აწარმოებდნენ არვალის ძმები (ნ. ეს).

**ამბარკადერ-ი,** მატარებლის გასაჩერებელი ადგილი რკინისგზის სადგურთან; მდინარის ნავსადგური; **ამბარკაცია,** გემის დატვირთვა ან გემზე ჯარის დასხმა.

**ამბიგენ-ი,** ორსქესა, ორსქესოვანი.

**ამბივალენტობა,** ორმაგმნიშვნელობა; ერთისა და იმავე მოვლენისადმი ერთსა და იმავე დროს ერთიმეორის საწინააღმდეგო გრძნობის ქონა.

**ამბიცია,** თავმოყვარეობა, თავმოთნეობა, უკადრისობა; **ამბიციოზური,** თავმოყვარე, თავმოთნე; უკადრი, ამბიციანი.

**ამბლიოპია,** ამბლიოპობა, მხედველობის სისუსტე.

**ამბონ-ი,** საქადაგო, საფსალმუნე (ადგილი ეკლესიაში).

**ამბრაზურ-ი,** სათოფური, სათოფზარბაზნე სარკმელი.

**ამბროზია,** ღმერთების საჭმელი (მითოლ.), ნელსაცხებელი.

**ამბულანს-ი,** მოძრავი საველე ლაზარეთი.

**ამბულატორია,** საავადმყოფო გარედან მოსიარულეთათვის.

**ამბუშურ-ი,** სასულე (შთასაბერ) სამუსიკო ინსტრუმენტის სატუჩე: ლაგამი, ზარბაზნის ხახა.

ამება. ნ. ამიობა.

**ამეთისტ-ი,** ამეთვისტო, მეორე კლასის ძვირფასი ქვა, კვარცის სახესხვაობა.

**ამეთოდური,** არამეთოდური, უწესური.

**ამელიორაცია,** გაუმჯობესება, კერძოდ — სოფლის მეურნეობის დარგში.

**ამენია, ამენორეა,** დედაკაცის თვიურის შეწყვეტა ან უქონლობა სქესობრივი ნაყოფიერების ხანაში.

**ამენცია,** უგონობა, ცნობიერების დაზიანება, სულიერი დაავადება.

**ამერიკანიზმ-ი,** 1) ჩრდ. ამერიკაში ხმარებული ინგლ. ენის თავისებურობანი, ძირითადი ინგლისურიდან განსხვავებულნი; 2) უმაღლესად განვითარებული ტექნიკა, წარმოების მექანიზაცია; სისწრაფე რაიმე საქმის შესრულებაში. — **ამერიკანიზაცია,** ამერიკანიზმის (2) განხორციელება რაიმე საქმიანობაში (წარმოებაში, ვაჭრობა-მრეწველობაში და სხ.); **ამერიკული მეთოდი წერაკითხვის სწავლებისა** — მთლიანი სიტყვებითა და მარცვლებით სწავლების წესი.

**ამეტრია,** უთანაბრობა.

**ამეტროპია,** თვალის ავადმყოფობა —სიბეცისა და შორხედვის საერთო სახელი.

ამეიბა, ნ. ამიობა.

**ამიაკ-ი** (ამმ-), აზოტისა და წყალბადისაგან შედგენილი მწვავესუნიანი უფერო აირი.

**ამიანტ-ი,** დრეკადი ასბესტი.

**ამიმია,** სახე-სხეულ-მოძრაობის მართვის უუნარობა.

**ამიობა** ან უკეთ **ამვიბა,** ერთუჯრედიანი მიკროსკოპიული (უიარაღო თვალით უხილავი) უსახური ცხოველი; **ამვიბები** ხშირად პარაზიტობენ ნაწლავებში, მათგან ცნობილია მავნებელი ამვიბები, რომელნიც იწვევენ დიზენტერიას (ნ.).

**ამნეზია,** მეხსიერების დაკარგვა ან დასუსტება; გულმავიწყობა.

**ამნიონ-ი,** ჩანასახის გარსი—სითრიფანა აპკის სახით; **ამნიოტები** (მრავლ.), ქვემძრომთა, ფრინველთა და ძუძუმწოვართა საერთო სახელი, ე. ი. ამნიონის მქონენი (ნ. ანამნიოტები).

**ამნისტია,** „დავიწყება"; ბრალდებულთა და დასჯილთა პატიება მთავრობისმიერ რაიმე საზეიმო შემთხვევასთან დაკავშირებით; **ამნისტირება (ვაამნისტირებ),** ვაპატიებ, მივუტევებ დანაშაულს.

**ამორალიზმ-ი,** ზნეობის კანონების უარყოფა; უზნეობა; **ფილოსოფიური ამორალიზმი** არ უარყოფს ზნეობრივ საწყისებს, არამედ მხოლოდ განეყენება მისაგან მეთოდოლოგიური თანამიმდევრობის მიზნით.

**ამორტიზაცია,** 1) ქონების გადასვლა ეკლესიის საკუთრებად, 2) ძირითადი კაპიტალის ანაზღაურება პერიოდული (ყოველწლიური) ანარიცხების საშუალებით, 3) ვალის თანდათანი გაბათილება (დაფარვა), 4) საბუთის გაბათილებულად გამოცხადება მისი დაკარგვის გამო; **ამორტიზატორ-ი,** რესორების მოქმედების გამაუმჯობესებელი მოწყობილობა ავტომობილსა და აეროპლანში.

**ამორფიზმ-ი,** უფორმობა, უსახურობა; კრისტალურ ფორმების უქონლობა; **ამორფული,** უფორმო, უსახური; კრისტალური ფორმების უქონელი.

**ამპელოგრაფია,** ყურძენთმცოდნეობა; **ამპელურგია,** მევენახეობა.

**ამპერ-ი,** ელექტროდენის ძალის ერთეული; **ამპერმეტრ-ი,** ამპერმზომი, ამპერთა რიცხვის გამომრკვევი ხელსაწყო.

**ამპირ-ი,** 19 საუკ. პირველი ნახევრის სტილი, უმთავრესად ხუროთმოძღვრებაში; უზარმაზარი, პირქუში და მასივი ფორმები.

**ამპლიტუდ-ი,** 1) გაქანების სიდიდე (მაგ. ქანქარასი), 2) ყუმბარის სროლის სიშორე.

**ამპლიფიკაცია,** გავრცელება, გადიდება, დაწვრილებითი გადაცემა; მრავალსიტყვაობა.

**ამპლუა**, განსაზღვრული ხასიათის მქონე როლები (სასცენო ხელოვნებაში),— მოითხოვს მსახიობისაგან შესაფერ თვისებებს (ახლა აღარ ექცევა ამპლუას ყურადღება, რადგანაც ერთი და იგივე მსახიობი ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს).

**ამპულა (-ლლა)**, 1) შუშის ვიწროყელიანი ჰიპლა (ჰურჰელი)— იხმარება წამლების შესანახად; 2) ანატომიაში: ყურის ლაბირინთის ნახევარრკალოვანი არხების გაფართოება.

**ამპუტაცია**, სხეულის ნაწილის მოკვეთა, კეთდება ჩვეულებრივ დაზიანების, სიმახინჯის ან მოწამვლის შემთხვევებში.

**ამულეტ-ი**, ავგაროზი, ავისაგან დამცველი ნივთი, რომელსაც ჩამოიკიდებენ ხოლმე სხეულზე (ცრუმორწმ.).

**ამუნიცია (ამმ-)**, ჯარის-კაცის კაზმულობა, აბჯარ-საჰურველი, ტანსაცმელ-იარაღი.

**ამურ-ი**, სიყვარულის ღმერთი, ვენერას ვაჟი, შეიარაღებულია მშვილდითა და ისრებით (ბერძ.-რომ. მითოლ.); ვნებიერი სიყვარული.

**ამფიბი** (მრავლ.: ამფიბიები), წყალხმელეთა ცხოველები და მცენარეები,—ცოცხლობენ წყალშიც და ხმელეთზეც.

**ამფიბრაქი**, სამმარცვლოვანი მუხლი ლექსისა,—მეორე მარცვალი გრძელია ან მახვილიანი, სხვები მოკლე ან უმახვილო.

**ამფითეატრ-ი**, წრიული (ძვ. საბერძ. და რომში) ან ნახევარწრიული დარბაზი, თანდათან (საფეხურებით) ამაღლებულრიგებიანი მსმენელ-მაყურებელთათვის.

**ამფიკტ-**, ნ. ამფიქტ-.

**ამფიტრიონ-ი**, სტუმართმოყვარე მასპინძელი.

**ამფიქტიონები** (მრავლ.), ძვ. საბერძ. ტომთა კავშირი.

**ამფორა**, თიხის ჰურჰელი ძვ. საბერძნ. და რომში, განსხვავდება ქვევრისაგან მაღალი ყელით და ორი ყურით.

**ამფოტერულ-ი**, ორმაგი, ორმხრივი.

**ანაბაპტიზმ-ი**, „გადანათლულობა“, სოციალურ-რელიგიური სექტის მოძღვრება (16 საუკ.),—უარყოფდა, სხვათაშორის, ბავშების მონათლვას; **ანაბაპტისტები**, ანაბაპტიზმის მიმდევრები.

**ანაბიოზ-ი**, გარეგნულად მკვდარი ცხოველის და მცენარის გაცოცხლება გარკვეულ პირობებში.

**ანაგრამა (-მმა)**, ბგერების გადასმა სიტყვაში—სხვა სიტყვის მიღების მიზნით; **ანაგრამატისტ-ი**, ანაგრამის შემდგენელი.

**ანაზოტურია**, პაპასკირი, შარდის ხუთვა, შარდის შემცირება ან შეწყვეტა.

**ანათემა,** უძველეს დროში: ნივთის შეწირვა ღვთისათვის (შეწირული ხელუხლებელი იყო): მე-IV საუკუნიდან: შერისხვა, დაწყევლა, ეკლესიიდან განდევნა.

**ანაკრეონტული ლექსი,** ანაკრეონტისებური (ბერძენი მგოსანია VI—V სს. ქ. წ.) ლექსი, რომელიც უმღერს უმთავრესად ღვინოს, სიყვარულს და უდარდელობას.

**ანალგეზია, ანალგია,** ტკივილის უგრძნობლობა.

**ანალები** (**ანნ-** მრავლ.), მატიანე, ამბების წელიწდეულად გადმომცემი თხზულება; **ანალისტ-ი,** ანალების შემდგენელი.

**ანალექტ-,** ნ. ანალექტ-.

**ანალეპტიკა,** ღონის მომცემი საშუალებანი.

**ანალექტები** (მრავლ.), კრებული, რჩეული თხზულებები.

**ანალიზ-ი,** გარჩევა, დაშლა: რისამე კვლევა და შესწავლა დაშლის საშუალებით, **ანალიზირება (ვაანალიზირებ).** ანალიზის მოხდენა, დაშლა-გარჩევა, დაშლის გზით რისამე კვლევა-შესწავლა; **ანალიზური,** ანალიზის ხასიათის მქონე, რისამე დაშლა-გარჩევითი; **ანალიზური მეთოდი.**

**ანალიტიკ-ი, ანალიტიკოს-ი,** ანალიზური მეთოდის საშუალებით მკვლევარი; **ანალიტიკური,** ნ. ანალიზური; **ანალიტიკური ენები**—ისეთი ენები, რომლებშიც სიტყვების ურთიერთ მიმართება გამოხატულია დამხმარე სიტყვა-ნაწილაკებით (და არა ფორმებით), მაგ. თანდებულებით (ასეთია, მაგ. ინგლისური).

**ანალოგია,** მსგავსება, თანაგვარობა: **დასკვნა ანალოგიით,** ისეთი დასკვნა, რომელიც გულისხმობს, რომ ზოგიერთი მხრივ მსგავსი მოვლენები შესაძლოა მსგავსნი იყვნენ სხვა მხრივაც; **ანალოგიური ცვლილებანი ენაში**— ენის ფაქტების ისეთი ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვთ თანაგვარ (მათთან ასოციაციით დაკავშირებული) ფაქტების ზეგავლენით (დალმართი ალმართის ზეგავლენით).

**ანალური,** ყითასი, სახსენესი; ყითური, სახსენური.

**ანალფაბეტური,** არაანბანური, არა ანბანით გამოხატული.

**ანამნეზ-ი,** ცნობები ავადმყოფის წინანდელი მდგომარეობის შესახებ, შეკრებილი ავადმყოფისაგან ან მის ახლობელთაგან.

**ანამნიოტები,** უამნიონო ცხოველები (ნ. ამნიონი და ამნიოტები).

**ანამორფოზ-ი,** 1) არანორმალური განვითარება მცენარის ნაწილებისა; 2) არასწორი გამოსახულების სწორად გამოჩენა საგანგებო სარკეში.

**ანანას-ი,** მეფე-ვაშლი, კარგსუნიანი და გემრიელნაყოფიანი მცენარე—სამხრეთ-ამერიკიდან.

**ანანიზმ-ი,** ნ. ონანიზმი.

**ანაპესტ-ი,** ლექსის სამმარცვლოვანი მუხლი, რომელსაც ბოლო მარცვალი გრძელი (ან მახვილიანი) აქვს.

**ანართრია,** ნაწევროვანი ბგერების წარმოთქმის უუნარობა (ავადმყოფობა).

**ანარქია,** უუფროსობა, უუმთავრობა; **ანარქიული,** უუფროსო, უმთავრობო, უწესური; **ანარქიზმ-ი,** სახელმწიფოებრივ ხელისუფლების უარყოფა; **ანარქისტ-ი,** ანარქიზმის მიმდევარი, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უარისმყოფელი; **ანარქისტ-ინდივიდუალისტ-ი,** ანარქისტი, რომელიც მოითხოვს პიროვნების განუსაზღვრელ თავისუფლებას; **ანარქისტ-კომუნისტ-ი,** ანარქისტი, რომელიც სცნობს მხოლოდ უმთავრობო კომუნას (უარყოფს საკუთრების გადასვლას სახელმწიფოს ხელში).

**ანარხ-,** ნ. ანარქ-.

**ანასტალტიკა,** დამკავებელი, შემჩერებელი, კერძოდ—სისხლის დენის შემჩერებელი საშუალებები; **ანასტალტიკური,** შემჩერებელი, დამაბრკოლებელი; სისხლის დენის შემჩერებელი.

**ანატები** (ანნ-, მრავლ.), რომის პაპის ხაზინაში შესატანი გადასახადი იმ პირისმიერ, რომელიც დაინიშნა შემოსავლიან თანამდებობაზე,—უდრის მის პირველი წლის შემოსავალს.

**ანატომ-ი,** დამნაწევრებელი, გამკვეთი; ანატომიის სპეციალისტი მეცნიერი; **ანატომია,** დანაწევრება, დანაწევრების ხელოვნება; ცხოველთა და მცენარეთა შინაგანი აგებულობის მეცნიერება; **ანატომირება** (ვაანატომირებ), გვამის განკვეთა სამეცნიერო საკვლეო მიზნით; **ანატომისტ-ი,** იგივეა რაც ანატომი; **ანატომიური,** ანატომიის ხასიათის მქონე; **საანატომიო,** ანატომიისათვის განკუთვნილი ან გამოსადეგი. მაგ. **საანატომიო (ან ანატომიის) თეატრი,** გვამის განსაკვეთელი და საკვლეო დარბაზი; **საანატომიო** (ან ანატომიის) **პრეპარატი** (ნ. პრეპარატი).

**ანაფემა,** ნ. ანათემა.

**ანაფილაქსია,** ცხოველთა ორგანიზმის გაძლიერებული მგრძნობიარობა ისეთ ნივთიერების მეორეჯერ მიღებისას, რომელიც პირველჯერ სუსტად სწამლავს ორგანიზმს (ანაფილაქსია—იმუნიტეტის საწინაალმდეგო მოვლენაა, ნ. ეს).

**ანაფორა,** სიტყვის განმეორება რამდენსამე ერთად მდებარე

ფრაზის დასაწყისში (ხალხი აზვირთდა, ხალხი აღდგა, ხალხი მოქმედობს, ი. ჰ.).

**ანაფროდიტიზმ-ი,** სქესობრივი უხალისობა; **ანაფროდიტ-ი,** სქესობრივად უნაყოფო.

**ანაქორეტ-ი,** განდეგილი, მეუდაბნოე.

**ანაქრონიზმ-ი,** წელთცთომა, შეცთომა წელთაღრიცხვაში, რაიმე ფაქტის მიკუთვნება იმ დროისათვის, როცა ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო; მოძველებული შეხედულება, ჩვეულება და სხვა, რაც აღარ ეგუება თანადროულობას.

**ანახორ-, ანაქრ-,** ნ. ანაქორ-, ანაქრ-.

**ანგაჟემენტ-ი,** ვალდებულების დაკისრება; მსახიობის მიწვევა სცენაზე სამუშაოდ განსაზღვრული პირობებით.

**ანგარ-ი,** აეროპლანების საგანგებო ბინა.

**ანგარია,** უცხოელთა მოძრავი ქონების ჩამორთმევა (რეკვიზიცია), კერძოდ—უცხოელთა გემებისა.

**ანგიდრ-,** ნ. ანჰიდრ-.

**ანგინა,** ანთების მოვლენები ხახისა და სასუნთქავის ყელში.

**ანგიოლოგია,** ანატომიის ნაწილი—სწავლა სისხლძარღვების შესახებ.

**ანგიოპათია,** ძარღვების ავადმყოფობა.

**ანგიოსტომა,** ერთგვარი მრგვალი პაწაწა ჭიები, რომლებიც პარაზიტობენ ნაწლავებში; **ანგიოსტომოზ-ი,** ამ ჭიებისმიერ გამოწვეული ავადმყოფობა.

**ანგლეზ-ი,** ინგლისური ცეკვა—სწრაფი და მრავალფეროვანი.

**ანგლიკანური ეკლესია,** ინგლისის სახელმწიფო სარწმუნოება 16 საუკუნიდან,—წარმოიშვა რეფორმაციის გავლენით; ეწოდება მას აგრეთვე **ეპისკოპალური**—ეპისკოპოსობის არსებობის გამო; **ანგლიკანიზმ-ი,** ანგლიკანური ეკლესიის მოძღვრება და თავისებურებანი.

**ანგლიციზმ-ი,** ინგლისური მოქცევა ენისა სხვა ენაში.

**ანგლომანია,** სიყვარული ინგლისელებისა და ინგლისურისადმი; **ანგლომან-ი,** ინგლისელებისა და ყოველივე ინგლისურის მოყვარული.

**ანგლო-საქსური ენა,** ძველი ინგლისური ენა V—XII საუკ.

**ანგლოფილ-ი,** ინგლისელთა მოყვარული,—მეგობარი.

**ანგლოფობია,** ინგლისელთმოძულეობა; **ანგლოფობ-ი,** ინგლისელთმოძულე.

**ანგოფრაზია,** ერთგვარი ენაბრგენილობა,—გამოწვეულია ზაკრთომით ან დარცხვენით.

**ანგუსტაცია,** დავიწროება, სისხლძარღვთა დავიწროება.

**ანდაბატ-ი,** [illegible] (ან ეს).

**ანდამატ-ი,** [illegible] ქვეითფასი [illegible]

**ანდანტე**, საშუალო სისწრაფით შესრულება მუსიკ. ნაწარმოებისა; შესაფერი სისწრაფის მუსიკ. ნაწარმოები.

**ანდეზიტ-ი**, ერთგვარი მთისქანი. საქართველოს ფარგლებში ანდეზიტის ბუდობები ცნობილია ყაზბეგისა და ბაკურიანის; საბჭოთა ხელისუფლებამ მის დამუშავებას დიდი ყურადღება მიაქცია—ქიმიურ მრეწველობაში გამოყენების მიზნით.

**ანდროგენური**, მამაკაცის (მამრის) წარმომშობი: **ანდროგენური კვერცხები**, ზოგიერთი ჭიებისა და მწერების კვერცხები—იძლევიან მხოლოდ მამრობითს.

**ანდროგინია, ანდროგინიზმ-ი**, შეძენა დედალი არსების მიერ მამლის მეორად სქესობრივ ნიშნებისა, მაგ. დედაკაცის დაბალი ხმა, წვერ-ულვაში და სხვა; **ანდროგინ-ი**, ორსქესიანი, ჰერმაფროდიტი (ნ. ეს).

**ანდრომანია**, გადაჭარბებული სქესობრივი ხალისი ქალისა ვაჟისადმი.

**ანდროფაგ-ი**, კაცისმჭამელი.

**ანდროფობია**, სიძულვილი მამაკაცისადმი; **ანდროფობ-ი**, მამაკაცის მოძულე.

**ანევრია**, ნერვული სისუსტე.

**ანეკდოტ-ი**, გონებამახვილური პატარა მოთხრობა, ჩვეულებრივ —მოგონილი, **ანეკდოტისტ-ი**, მეანეკდოტე, ანეკდოტების მოგონი და მთქმელი; **ანეკდოტური**, დაუჯერებელი, არასარწმუნო.

**ანემია, ანჰემია**, სისხლნაკლულობა.

**ანემოგრაფ-ი**, ქარის მიმართულებისა და მისი ძალის მწერელი ხელსაწყო.

**ანემოლოგია**, ქართმცოდნეობა.

**ანემონ-ი**, ყაყაჩორა, ხაშხაში (მცნ.),

**ანემოპათია**, სუფთა ჰაერით მკურნალობა (მედიც.).

**ანემოფილია**, მცენარეთა დამტვერვა ქარის საშუალებით; **ანემოფილური მცენარეები**, მცენარეები, რომელნიც დაიმტვერვიან ქარის გზით.

**ანენერგია**, უღონობა.

**ანეპია**, სიმუნჯე, უტყვობა.

**ანერვია**, დამბლა, წვეთისდაცემა.

**ანერითროპსია**, სიბრმავე წითელი ფერისადმი.

**ანეროიდ-ი**, ლითონის ბარომეტრი. —უვერცხლისწყლოდ ჰაერწნევის მზომელი.

**ანესთეზია**, მგრძნობიარობის სავსებით დაკარგვა, უგრძნობლობა; შეიძლება ანესთეზიის ხელოვნურად გამოწვევა, რასაც მიმართავენ ხოლმე ქირურგიულ ოპერაციისას; **ანესთეზირება** (ვაანესთეზირებ), ანესთეზიით გამოწვევა გაუმტკივნეულება, **საანესთეზიო ანუ მაანესთეზირებელი საშუალებანი**, უმტკივნეულობის შესაქმნელი საშუალებანი.

**ანესტეზია**, ნ ანესთეზია.

**ანექსია (ანნ-)**, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის (ან მისი ნაწილის) ძალმომრეობით და საბოლოოდ დაკავება,—შემოერთება; **ანექსირება (ვაანექსირებ)**, ასეთის ჩადენა; **ანექსიონისტ-ი,** ანექსიის მომხრე.

**ანთერიდიები** (მრავლ.), მცენარეთა მამრობითი სასქესო ორგანოები, რომლებიც წარმოქმნიან მამრობ. სასქესო უჯრედებს.

**ანთეროზოიდები** (მრავლ.), მამრობითი გამანაყოფიერებელი უჯრედები ზოგიერთ მცენარეთა.

**ანთოლითები** (მრავლ.), გაქვავებული ყვავილები.

**ანთოლოგია,** სხვადასხვა ავტორების რჩეულ (მოკლე ან შემოკლებულ) ნაწარმოებთა კრებული, ქრისტომათია.

**ანთოქლორ-ი,** ყვითელი ან ნარინჯი მღებავი ნივთიერება.

**ანთოციანები** (მრავლ.), მცენარის უჯრედის წვენის შემღებავი მცენარეული ნივთიერება.

**ანთრაკნოზ-ი,** მცენარეთა (ბამბის, სელის, ვაზის და სხვ.) ერთგვარი ავადმყოფობა.

**ანთრაკოზის-ი, ანთრაკოზ-ი,** ფილტვების ავადმყოფობა, რომელიც მდგომარეობს ფილტვების გაჟღენთაში ნახშირის მტვრით.

**ანთრაციტ-ი,** საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი, შეიცავს 90—96% ნახშირბადს.

**ანთროპოიდ-ი,** ადამიანის მსგავსი მაიმუნი.

**ანთროპოლოგ-ი,** ანთროპოლოგიის მცოდნე და მკვლევარი.

**ანთროპოლოგია,** „ადამიანთმცოდნეობა", საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შეისწავლის და იკვლევს დღეს არსებულ და გადაშენებულ რასებს (ნ. რასა) ადამიანისას ტანის ნიშნების (ჰაშის * ფორმის, სიმაღლის, კანისა და თმის ფერის და სხვათა) მიხედვით და შედარების გზით ადგენს ადამიანის ნათესაობას ადამიანისებურ მაიმუნებთან.

**ანთროპომეტრ-ი,** ცოცხალ ადამიანთა გასაზომი იარაღი— ანთროპოლოგიის მიზნებისათვის; **ანთროპომეტრია,** ანთროპოლოგიის ერთ-ერთი პრაქტიკული მეთოდი: იზომება ადამიანის ტანის ცალკე ნაწილები რასობრივ (ნ. რასა), ასაკობრივ, სოციალურ და პროფესიულ განსხვავებათა დასადგენად.

**ანთროპომორფიზმ-ი,** ღვთისათვის ადამიანის გარეგნობისა და თვისებების მინიჭება, ე. ი. ღვთის წარმოდგენა ადამიანისებურად; აგრეთვე სხვადასხვა საგნებისა და არსებათა წარმოდგენა ადამიანის თვისებებით.

---

*) ჰაშა—თავისქალა.

**ანთროპომორფულ-ი,** ადამიანის მსგავსი მაიმუნი.

**ანთროპოპითეკ-ი,** გარდამავალი არსება, რომელიც შესაძლოა არსებულიყო ადამიანისებურ მაიმუნსა და ადამიანს შორის.

**ანთროპოსოფია,** თანამედროვე რელიგიურ-მისტიკური ფილოსოფია (წარმოიშვა გერმანიაში).

**ანთროპოსოციოლოგია,** დაუსაბუთებელი მიმართულება ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიაში,—ხსნის სოციალურ მოვლენებს რასობრივ (ნ. რასა) ფაქტორებზე დაყრდნობით.

**ანთროპოფაგია,** კაციჭამიობა; **ანთროპოფაგ-ი,** კაციჭამია, **ანთროპოფობია,** ადამიანთმოშიშარობა (ავადმყოფობა).

**ანთროპოცენტრიზმ-ი,** უკვე საბოლოოდ უარყოფილი (დარვინის შემდეგ) შეხედულება, რომ ადამიანი ცენტრია მსოფლიოსი და ქვეყანა მისთვისაა შექმნილი.

**ანთროპოტექნიკა,** 1) ბიოლოგიის (ნ. ბიოლოგია) გამოყენებითი დარგი, რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკურ და სულიერ თვისებათა გაუმჯობესება (იგივეა რაც ევგენიკა, ნ. ეს).

**ანიდროზ-ი,** ნ. ანჰიდროზ-ი.

**ანიზოკორია,** მარჯვენა და მარცხენა თვალისგუგის არაერთნაირი სიფართოე.

**ანიზომეტროპია,** თვალებს შორის უთანასწორობა სხივტეხის მხრივ.

**ანიზომეტრული,** არათანასწორი, თანაშეუზომელი.

**ანიზოტროპია,** მცენარის უნარი სხვადასხვა მდგომარეობის მიღებისა სხვადასხვა გარეზეგავლენის მიმართ (მაგ. ყლორტი გადაიწევა სინათლის წყაროსაკენ); **ანიზოტროპობა,** იგივეა; **ანიზოტროპული სხეული,** ისეთი სხეული, რომელსაც ფიზიკური თვისებები სხვადასხვა მიმართულებით განსხვავებული აქვს (ნ. იზოტროპია).

**ანილინ-ი,** უფერო ზეთოვანი სითხე, ღვინის სუნიანი,—იხმარება ანილინის საღებავების დასამზადებლად; გამოყენება მას დიდი აქვს ქიმიურ ტექნოლოგიაში; **ანილიზმ-ი,** ანილინით მოწამვლა,—ხშირია ანილინის საღებავების ქარხნებში მუშებს შორის.

**ანიმალიზმ-ი,** ცხოველის მცენარისაგან განმასხვავებელი თავისებურობანი; ცხოველური (არაადამიანური) ცხოვრება; **ანიმალიზაცია,** 1) ცხოველად გაზდა; 2) მიღებული საჭმლის სხეულის ნივთიერებად გარდაქმნა; 3) ბამბის ისე დამუშავება, რომ მატყლსავით შეიღებოს.

**ანიმალისტ-ი,** ხელოვანი მხატვარი, რომელიც უმთავრესად ხატავს ცხოველებსა და ფრინველებს.

**ანიმალკულუს-ი,** მხოლოდ მიკროსკოპით (ნ. ეს) დასანახავი პაწაწა ცხოველი; **ანიმალკულიზმ-ი,**

ძველი მოძღვრება ცხოველის თესლში დამთავრებული ჩანასახის არსებობის შესახებ (17 საუკ.).

**ანიმალურ-ი,** ცხოველური: **ანიმალური ორგანოები,** ნერვული სისტემა, გრძნობათა ორგანოები და კუნთები (უპირისპირდება **ვეგეტატიურს,** ნ. ეს).

**ანიმატიზმ-ი,** უძველესი (ანიმიზმამდელი) მსოფლმხედველობა ადამიანის სარწმუნოებისა და კულტურის განვითარებაში: სულიერად წარმოდგენა ყოველივესი.

**ანიმაცია.** გაცოცხლება.

**ანიმიზმ-ი,** ადამიანის სარწმუნოებრივი და კულტურული განვითარების პირველ საფეხურთაგანი, როცა მისი მსოფლმხედველობით მთელი გარემსოფლიო გავსებულია არსებებით, რომელთაგან ზოგი დაკავშირებულია ნივთებთან, ხოლო ზოგს გაუწყვეტია მათთან კავშირი.

**ანიონ-ი,** უარყოფითად დამუხტული (დატვირთული) იონი.

**ანის-ი,** 1) ზირა, ქოლგისებრთა ოჯახის ერთწლიანი მცენარე —მისგან იხდება სასიამოვნო სუნის **ანისის ზეთი;** 2) ერთგვარი ხარისხის ვაშლი, მრავალნაყოფიანი და გემრიელი.

**ანკერ-ი,** 1) რკინის სამაგრი ქვის შენობაში; 2) ქანქარას რხევის მომწესრიგებელი საათში.

**ანკერშტოკ-ი,** ღუზის ძელი,—არ უშვებს ღუზას ზღვის ფსკერზე სიბრტყით დაედოს.

**ანკეტა.** ცნობების შევსება, გამოკითხვა, უმთავრესად—წერილობით; გამოსაკითხი ფურცელი, რომელზეც მოცემულია საპასუხო კითხვები — **ანკეტური მეთოდი** კვლევისა; **საანკეტო ფურცელი.** გამოსაკითხი ფურცელი.

**ანკილოზ-ი,** სახსრების უუნარობა მათთვის ჩვეულებრივი მოძრაობისა—სახსრების ზედაპირის შეხორცების ან კუნთების დამოკლების გამო (ნ. კონტრაქტურა).

**ანკილოსტომა,** პარაზიტული მრგვალი ჭია, ცხოვრობს ადამიანის წვრილ ნაწლავში; **ანკილოსტომოზ-ი,** ანკილოსტომებით გამოწვეული ადამიანის ნაწლავების ავადმყოფობა, რომელიც გამოიხატება ნაწლავების სისხლდენაში.

**ანოდ-ი,** გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი.

**ანომალია,** წესგადახრილობა, გამონაკლისი; უწესობრიობა.

**ანომალური,** წესგადახრილი, წესგადახვეული, უწესობრიო.

**ანომოდონტები** (მრავლ.), უძველესი გადაშენებული ქვეწარმავალნი,—ითვლებიან ყველა ძუძუმწოვართა წინაპრებად.

**ანონიმ-ი**, თხზულების (ან ბარათის) შემდგენელი, რომელმაც არ გამოამჟღავნა თავისი სახელი (და გვარი); თვით თხზულება ან ბარათი; **ანონიმატ-ი, ანონიმური**, უსახელო; **ანონიმური საზოგადოება**, სააქციო (ნ. აქცია) საზოგადოება, რომლის წევრთა სახელები არ არის ცნობილი.

**ანონს-ი**, წინასწარი საჯარო გაგებინება, განცხადება, ჩვეულებრივ—სათეატრო ხასიათისა.

**ანორგანული**, არაორგანული, უსიცოცხლო, არაცოცხალი.

**ანორმალური, ანორმალ-ი**, არაწესობრივი, ნორმას გადაცთენილი.

**ანორქია**, მამაკაცის სრული უკვერცხობა.

**ანოსმია**, სუნის გარჩევის უუნარობა, ყნოსვითი შეგრძნების დაკარგვა; **ანოსმინ-ი**, ცუდი სუნის მოსპობის საშუალება.

**ანოტაცია (ანნ-)**, წიგნის აღწერა შინაგანის მხრივ: გადმოცემა მოკლე შინაარსისა, ცნობებისა ავტორის შესახებ, მოკლე განხილვა (რეცენზია) წიგნისა და სხვა.

**ანოფელეს-ი**, მალარიის კოღო.

**ანსამბლ-ი**, მთლიანის ნაწილთა თანაშეწყობა, — თანამწყობრობა; **თეატრში**: მსახიობთა ურთიერთ შეთანხმებული თამაში.

**ანტაბლემენტ-ი**, სვეტებზე დაყრდნობილი ზედა ნაწილი შენობისა,—შესდგება სამი ნაწილისაგან: სამერხულო, კოზმიდი, ლავგარდანი.

**ანტაგონიზმ-ი**, მოპირდაპირე საწყისთა ბრძოლა, მოქიშპეობა, მტრობა; **საზოგადოებრივი ანტაგონიზმი** ემყარება ქონებრივ უთანასწორობაზე; იგი მჟღავნდება კლასობრივი ბრძოლის სახით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.—**ანტაგონისტი**, მოწინააღმდეგე, მოქიშპე; **ანტაგონისტები** (მრავლ.), ანატომიაში: ერთიმეორის საწინააღმდეგოდ მოქმედი კუნთები, მაგ. კუნთები მომზიდველი და განმზიდველი, ამწევი და დამწევი და სხვა.

**ანტანტა**, შეთანხმება; სამ სახელმწიფოს (ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის) კავშირი მსოფლიო ომამდე; ომის დაწყებისას და შემდეგ მას შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოებიც; **მცირე ანტანტა**, მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი კავშირი ჩეხო-სლოვაკიისა, იუგო (-სამხრეთ) სლავიისა, რუმინიისა და პოლონეთის.

**ანტარქტიდა**, სამხრეთ პოლარული დიდი ხმელეთი სამხრეთ პოლუსის გარშემო (აღმოჩენილია 20 საუკ. დასაწყისს).

**ანტარქტიკა**, დედამიწის ნაწილი, შესდგება ანტარქტიდისა (ნ.)

და სხვა კუნძულებისა და არქიპელაგებისაგან (ნ. ეს); **ანტარქტიკული**, სამხრეთ პოლარული; **ანტარქტიკული ოკეანე**, სამხრეთის ყინულოვანი ოკეანე (ნ.).

**ანტე-**, ნ. ანტი-.

**ანტევერსია**, წინდახრილობა საშვილოსნოსი.

**ანტენა (-ნნა)**, 1) ანძა, 2) მიწისაგან იზოლირებული (ნ. ეს) ჰაერსადენი, შეერთებული რადიოგადამცემთან და რადიო მიმღებთან რადიოსადგურში; 2) **ანტენები**, ყნოსვისა და შეხების ორგანოები მწერთა.

**ანტერიდიები**, ნ. ანთერიდიები.

**ანტეფიქსა, ანტეფიქსები**, სამკაულები ძველი ბერძნული ტაძრის სახურავზე.

**ანტეფლექსია**, წინდაღუნვა, მაგ. საშვილოსნოსი.

**ანტექრისტე**. წინააღმდგომი (საბ.). ნ. ანტიქრისტე.

**ანტეცედენტ-ი**, წინამავალი, წინამორბედი; წინანდელი; რაც წინ უძღვის რაიმე სხვას; **ანტეცედენტური მდინარეები**, მთის გადამჭრელი მდინარეები (მთის წარმოქმნამდე არსებული).

**ანტეცესორ-ი, (-სს-)**, წინამავალი, წინამორბედი, წინამოადგილე; ვინც ადრე იყო სხვა ვინმეზედ.

**ანტი-, ანტე-, ანტ-**, (სიტყვის თავში მისამატებელი ნაწილაკია და ნიშნავს) „წინააღმდეგ“, „საწინააღმდეგო“, „მოწინააღმდეგე“, „წინააღმდგომი“ და სხვ., მაგ. **ანტირელიგიური**, რელიგიის (სარწმუნოების) საწინააღმდეგო; **ანტისემიტიზმ-ი**, სემიტების (ებრაელების) მოწინააღმდეგეობა.

**ანტიაპექს-ი**, აპექსიის მოპირდაპირე (ნ. აპექსი).

**ანტიბაკქ-ი**, ლექსის სამმარცვლიანი მუხლი, რომელსაც პირველი ორი მარცვალი გრძელი (ან მახვილიანი) აქვს, მესამე—მოკლე (ან უმახვილო).

**ანტიგენ-ი**. ორგანიზმისათვის სხვა ნივთიერება, რომელიც იწვევს სისხლსა და ქსოვილებში **ანტისხეულების** წარმოქმნას (ნ. ანტისხეულები).

**ანტიდაქტილ-ი**, იგივეა რაც ანაპესტი (ნ. აგრეთვე ანტი-, დაქტილი).

**ანტიდიზენტერიული შრატი**, დიზენტერიის საწინააღმდეგო (მოსარჩენი) შრატი; **ანტიდიფთერიული შრატი**, დიფთერიის საწინააღმდეგო (მოსარჩენი) შრატი.

**ანტიდოტ-ი**, საწინააღმდეგო საშუალება, კერძოდ—შხამისა, საწამლავისა.

**ანტითეზა, ანტითეზის-ი**, 1) ორი საწინააღმდეგო წარმოდგენის შეპირისპირება; 2) საწინააღმდეგო მტკიცება; 3) დიალექტიკაში: პირვანდელი მტკიცების

(თეზისის) საწინააღმდეგო დებულება.

**ანტითირეოიდინ-ი**, ცხოველთა ფარისებრი ჯირკვლებიდან გამოღებული წამალი,—იხმარება ბაზედოვის სენის (ნ.) წინააღმდეგ.

**ანტიკვ-**, ნ. ანტიქვ-.

**ანტიკურ-ი**, ძველებური (უმთავრესად ბერძნ., რომაული) ხელოვნების ძეგლი, — ნაწარმოები; ძველებური, ძველბერძნული ან ძველრომაული; **ანტიკური ქვეყანა**, ძველი საბერძნეთი და რომი; **ანტიკური ხელოვნება**, ძველბერძნული და ძველრომაული ხელოვნება.

**ანტიკლერიკალიზმ-ი**, კლერიკალიზმის (სამღვდელოების გავლენის) საწინააღმდეგო მიმართულება.

**ანტიკლინალ-ი, —ური ნაოჭი**, დედამიწის ქერქის შრეების ამოზნექილი ნაოჭი.

**ანტიკრიტიკა**, ავტორის პასუხი კრიტიკაზე.

**ანტილეგალური**, არალეგალური (ნ. ლეგალური), კანონით ნებადაურთველი.

**ანტილოპ-ი**, წყვილჩლიქიანი მცოხნელი ცხოველი ღრურქიანთა ოჯახისა აზიასა და აფრიკაში.

**ანტიმერები** (მრავლ.), ერთნაირ ან მსგავსაგებულებიანი ნაწილები ცხოველის სხეულისა.

**ანტიმილიტარიზმ-ი**, მილიტარიზმის (ბურჟუაზიული სახელმწიფოთა სამხედრო პოლიტიკის) საწინააღმდეგო მიმართულება: **ანტიმილიტარისტ-ი**, მილიტარიზმის მოწინააღმდეგე.

**ანტიმინს-ი**, ოდიკი, აბრეშუმის ან ტილოს ოთხკუთხი ნაჭერი ბარძიმის ქვეშ საფენი (საბ.) მართმადიდებელთა ეკლესიაში წირვის დროს,—მაზედ აკურთხებენ ხოლმე ე. წ. „წმინდა ნაწილებს".

**ანტიმონი, ანტიმონიტ-ი**, სურმის კრიალა ანუ სტამბიკრიალა,-- იხმარება ასანთის (წუმწუმის) დამზადებაში (მინერალია).

**ანტიმონარქისტ-ი**, მონარქისტული (თვითმპყრობელური) სახელმწიფოს მოწინააღმდეგე.

**ანტინაციონალიზმ-ი**, ნაციონალიზმის (ეროვნულობის) საწინააღმდეგო მიმართულება; **ანტინაციონალური**, ეროვნულობის მოწინააღმდეგე; **ანტინაციონალური**, ეროვნულობის საწინააღმდეგო.

**ანტინომია**, წინააღმდეგობა ორ ისეთ დებულებათა შორის, რომელნიც ერთნაირად ცნობილია სწორად; **ანტინომიზმ-ი**, კანონების უარყოფა, კერძოდ—ძველი აღთქმის კანონებისა.

**ანტიპათია**, განუწყობლობა, ზიზღი ან სიძულვილი ვინმესადმი ან რამესადმი (სიმპათიის საწინააღმდეგო, ნ. ეს); **ანტიპათიური**, ზიზღგამომწვევი, არამიმზიდველი.

**ანტიპაპ-ი,** პაპის სიცოცხლეში-ვე პაპად გამოცხადებული სხვა ვინმე პირველის საწინააღმდეგოდ (იყო ასეთი რამდენიმე შემთხვევა 14—15 საუკუნეებში); **ანტიპაპიზმ-ი,** რომის პაპობის საწინააღმდეგო მიმართულება; **ანტიპაპისტ-ი,** პაპობის მოწინააღმდეგე.

**ანტიპარლამენტისტ-ი,** პარლამენტური მმართველობის მოწინააღმდეგე.

**ანტიპასატები (-სს-,** მრავლ.), ჰაერის მუდმივი მდინარობა ატმოსფეროს მაღალფენებში—პასატების (ნ. ეს) ზემოთ და მათ საწინააღმდეგო მიმართულებით.

**ანტიპატია,** ნ. ანტიპათია.

**ანტიპედაგოგიური,** მიზანშეწონილი აღზრდის საწინააღმდეგო; რაც ეწინააღმდეგება სწორ აღზრდას.

**ანტიპერისტალტიკა, — ური მოძრაობა,** პერისტალტიკურის (ჭიისებრი) მოძრაობის საწინააღმდეგო მოძრაობა ღრუ ორგანოებისა (კუჭის, ნაწლავების, საყლაპავისა და სხვ.).

**ანტიპირინ-ი,** სიცხის დასაწევი და ტკივილის დასაყუჩებელი წამალი.

**ანტიპლატონური,** პლატონურის (ნ. ეს) საწინააღმდეგო: **ხორციელი,** მაგ.—სიყვარული.

**ანტიპოდები,** 1) „ერთმანეთისკენ ფეხებით შექცეულები", იგულისხმება: დედამიწის ბირთვზე მოპირისპირე ადგილებზე მცხოვრებნი; 2) ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ადამიანები, საწინააღმდეგო ხასიათის, შეხედულების და სხვა; 3) ერთგვარი უჯრედები ზოგიერთ (ფარულთესლიან) მცენარეთა საჩანასახო პარკში. — **ანტიპოდური,** მოპირისპირე, ძალიან განსხვავებული.

**ანტირელიგიური,** რელიგიის (სარწმუნოების) წინააღმდეგ მიმართული; **ანტირელიგიური პროპაგანდა,** პროპაგანდა სარწმუნოების წინააღმდეგ, ბრძოლა სარწმუნოების საფუძვლების წინააღმდეგ და ულმერთობის იდეების გავრცელება, რაც გულისხმობს, რომ სარწმუნოება კლასობრივ საზოგადოებაში იარაღია ექსპლოატირებულ კლასის დასამონებლად.

**ანტისანიტარია,** მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის საწინააღმდეგო პირობები (უსუფთაობა, ცუდი ჰაერი...); **ანტისანიტარული,** ჯანსაღობისათვის მავნებელი (ნ. სანიტარია).

**ანტისემიტიზმ-ი,** სიძულვილი ებრაელებისადმი (ნ. სემიტები), რაც გამოიხატება მათ უფლებათა შეზღუდვაში და არაებრაულ მოსახლეობის მათზე მისევაში, — წარმოშობილია.

სოც.-ეკონომ. საფუძველზე, სახელდობრ: ებრაული და არაებრაული ბურჟუაზიის კონკურენციისა; **ანტისემიტ-ი,** ებრაელთა მოძულე; **ანტისემიტური,** ებრაელთა სამტრო,—საწინააღმდეგო.

**ანტისეპტიკა,** ჭრილობის ხრწნადაჩირქების თავიდან აცილება ისეთ ნივთიერებათა გამოყენებით, რომელნიც კლავენ მიკრობებს; დაჩირქების ამცილებელი საშუალებანი; მოძღვრება ასეთ საშუალებათა შესახებ; **ანტისეპტიკური საშუალებანი** —ჭრილობის დაჩირქების ამცილებელი საშუალებანი: იოდი, მაგარი მჟავები, სპირტი, ეთერი, წყალბადის ზეჟანგი, ბორის მჟავა და სხვ. (ნ. ასეპტიკა).

**ანტისოციალური,** საზოგადოებრიობის საწინააღმდეგო,—მოწინააღმდეგე.

**ანტიტეზა,** ნ. ანტითეზა.

**ანტისხეულები,** ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც დამუშავდებიან ორგანიზმში ანტიგენის შეყვანისას, მაგ. კანქვეშ (და არა შიგნით); ნ. ანტიგენი.

**ანტიტოქსინ-ი,** ტოქსინების (ნ. ეს) შეშხაპუნებით წარმოქმნილი ანტისხეულები, რომელთაც შეუძლიათ შეაჩერონ ტოქსინების მოქმედება: ანტიტოქსინი გროვდება სისხლში აგრეთვე ზოგიერთ ინფექციურ ავადმყოფობისას; **ანტიტოქსინიანი შრატები,** ხელოვნურად მიღებული სამკურნალო შრატები, შეიცავენ ანტიტოქსინებს (მაგ. ანტიდიზენტერიული, ანტიდიფთერიული და სხვ. შრატები).

**ანტიური,** ნ. ანტიკური.

**ანტიფებრინ-ი,** თეთრი კრისტალური ფხვნილი, მწვავესუნიანი, — წარმოადგენს სისხლის შხამს, იხმარება მკურნალობაში (მცირე დოზით) სიცხის დასაწევად და ტკივილის შესამსუბუქებლად.

**ანტიფემინიზმ-ი,** დედაკაცის უფლებრივად მამაკაცთან გათანასწორების საწინააღმდეგო მიმართულება; **ანტიფემინისტ-ი,** ანტიფემინიზმის მომხრე,—მიმდევარი (ნ. ფემინიზმი).

**ანტიფერმენტები,** ფერმენტული რეაქციების შემჩერებელი ანტისხეულები,—მათ აქვთ უნარი იმოქმედონ მხოლოდ განსაზღვრული ფერმენტის წინააღმდეგ.

**ანტიფლოგისტიკური საშუალებანი,** ანთების საწინააღმდეგო საშუალებანი.

**ანტიფონ-ი,** 1) დასური გალობის ერთერთი სახე საეკლესიო ღვთისმსახურებაში: ორი დასი გალობს ერთმანეთის შენაცვლებით; 2) ბგერის დამშთობი ხელსაწყო.

**ანტიქვა**, ლათინური სწორი შრიფტი (საბეჭდი ასოები),—განსხვავდება კურსივისა (ნ.) და გოთურ შრიფტისაგან.

**ანტიქვარიუს-ი, ანტიქვარი,** წინეთ: ანტიკურ სიძველეთა მცოდნე მეცნიერი,—არქეოლოგი; შემდეგ და ახლა მოვაჭრე ძველებური წიგნებით, ხელნაწერებით, აგრეთვე ძველებური სურათებით, ვაზებით, ფულებით, და სხვ. **ანტიქვარიატ-ი,** ვაჭრობა ან სავაჭრო ძველებური წიგნებით; **ანტიქვარული,** ძველებური; **ანტიქვარული ვაჭრობა წიგნებით,** წიგნით ვაჭრობის ერთი სახე: ყიდვა-გაყიდვა ძველბეჭდურისა, ძველ ხელნაწერებისა, ავტოგრაფებისა და სხვათა (შეად. ბუკინისტი).

**ანტიქთონები,** (მრავლ.), იგივეა რაც ანტიპოდები (ნ).

**ანტიქლორ-ი,** ქლორის მოქმედების საწინაალმდეგო ნივთიერება,—იხმარება ტექნიკაში ბოჭკოვან მასალაზე (ქაღალდზე, ქსოვილზე) დარჩენილი თავისუფალი ქლორის მოსაცილებლად.

**ანტიქრისტე**, ქრისტიანული რწმენით—ქრისტეს წინააღმდგომი,—მოწინააღმდეგე, ცრუქრისტე, რომელიც მეორედ მოსვლისას (ქვეყნის დასასრულის წინ) გამოცხადდება მაცხოვართან ერთად და შეებრძოლება მას.

**ანტიქრონიზმ-ი,** დროის არასწორი გამოანგარიშება.

**ანტიცენზურული,** ცენზურის წინააღმდეგი (ნ. ცენზურა).

**ანტიციკლონ-ი,** ციკლონის საწინააღმდეგო, მაღალი ატმოსფერული წნევის არე,—ხასიათდება ამინდის შედეგებით: ზაფხულში სიცხე, ზამთარში სიცივე (ნ. ციკლონი).

**ანტიციპაცია,** 1) წინასწრობა, რაიმე მოვლენის ჩვეულებრივზე ადრე დადგომა; 2) წინდაწინ, გამოცდილებისა და დაკვირვების გარეშე მიღებული ცოდნა; 3) ვადაზე ადრე აკრეფა გადასახადისა; დანიშნულ ვადაზე ადრე გადახდა; 4) ავადმყოფობის ნიშნების გამოჩენა მოსალოდნელზე ადრე.

**ანტიხთ-,** ნ. ანტიქთ-.

**ანტოლით-ი,** ნ. ანთოლითი.

**ანტოლოგია,** ნ. ანთოლოგია.

**„ანტონოვკა“,** ანტონაური (ვაშლია).

**ანტოქლორ-ი,** ნ. ანტიქლორი.

**ანტოციანები,** ნ. ანთოციანები.

**ანტრაკნოზ-ი,** ნ. ანთრაკნოზი.

**ანტრაკოზის-ი,** ნ. ანთრაკოზისი.

**ანტრაქტ-ი,** 1) შეწყვეტა-შესვენება რაიმე საჯარო სანახაობის ნაწილებს შუა, მაგ. წარმოდგენისა მოქმედებებს შუა; 2) ასეთი შესვენების დროს შესასრულებელი სამუსიკო ნაწარმოები.

**ანტრაშა**, ჴეხტომა ცეკვაში.

**ანტრაციტ-ი**, ნ. ანთრაციტ-ი.

**ანტრე**, 1) შესავალი ოთახი, წინადარბაზი, 2) სუფის შემდეგ საჭმელი სადილში; 3) უდრის პრელუდიას (ნ. ეს).

**ანტრეკოტ-ი**, ნაფერდალი, ძროხის (ან ხარის) ხორცის ნაჭერი, ნეკნებს შუა ამოღებული და მოხრაკული.

**ანტრეპრენიორ-ი, ანტრეპრენერ-ი**, რაიმე საქმის წამომწყები და გამძღოლი, კერძოდ—სათეატრო საქმის (წარმოდგენების, კონცერტების...) მომწყობი და გამძღოლი კერძო პირი, მსახიობთა დამქირავებელი და შემნახავი და სხვა; **ანტრეპრიზა**, ასეთი საქმის წამოწყება, მოწყობა და გაძღოლა.

**ანტრესოლ-ი**, შანიშინი, ნახევარსართული,— იმყოფება სახლის ორ სართულშუა ან ყველაზე ზევით.

**ანტროპო-**, ნ. ანთროპო-.

**ანტურაჟ-ი**, გარემო, გარემოკაზმულობა.

**ანურია**, შარდისხუთვა, შარდის დენის სრული შეწყვეტა თირკმლების ზოგიერთი დაავადების ნიადაგზე.

**ანუს-ი**, უკანალი, ყითა (ყიტაწელი, საბ.).

**ანფას-ი**, რისამე ან ვისიმე პირშეხედვითი გამოსახულობა (უპირისპირდება პროფილს, ნ. ეს).

**ანფილადა, ანფილად-ი**, 1) სიგრძეზე, სწორ ხაზზე გამწკრივებული რიგი ოთახებისა, რომლებიც ერთი მეორეში გადიან; **ანფილირება**, ომში მტრის ფრონტის გასწვრივ სროლა, —**ანფილადური ცეცხლი**.

**ანქითერი, ანქითერიუმ-ი**, გადაშენებული ცალჩლიქიანი ცხოველი ევროპაში,—წინაპარია ცხენისა.

**ანშლაგ-ი**, განცხადება, გამოკრული განსაკუთრებით თეატრის ან ცირკის სალაროსთან, ყველა ბილეთების გაყიდვის ან წარმოდგენის გადადების შესახებ.

**ანშპუგ-ი**, 1) ხის კეტი, იხმარება ბერკეტად მძიმე საგნების გადასაწევ-გადმოსაწევად; 2) რკინით შემოჭედილი მუხის ბერკეტი,—იხმარებოდა წინეთ სამხედრო გემებზე.

**ანჩარ-ი**, თუთის ოჯახის შხამიანი ხე,—შეიცავს ძლიერ შხამიან წვენს, რომლითაც წამლავენ ისრის წვეტებს; მისი სამშობლოა იავა (მალაის არქიპელაგი).

**ანჩოუსი, ანშოვის-ი**, ერთგვარი პატარა თევზი.

**ანცეპს-ი**, მარცვალი, რომელიც შეიძლება გრძელიც და მოკლეც (ლექსწყ).

**ანცილიუსების** (მრავლ.) **ტბა**, დღევანდელი ბალტიის ზღვის ადგილას არსებული ტბა ყინულოვანი ეპოქის ბოლოში.

**ანხიტერი**, ნ. ანქითერი.

**ანჰემია**, ნ. ანემია.

**ანჰიდრია**, უწყლობა; **ანჰიდრიდები**, უწყლო ორგანული მჟავები; **ანჰიდრიტ-ი**, უწყლო გოგირდმჟავა კალციუმი (მინერალი) — იხმარება ქანდაკებაში; **ანჰიდროზ-ი, ანიდროზ-ი**, უოფლიანობა, ოფლის დენის შეწყვეტა მთელ სხეულზე ან მის ნაწილზე.

**აორისტ-ი**, ერთერთი ნამყო დრო ზმნის ფორმებში (მაგ. ქართულში: წავიდა, დაიქცა, ვზარდე).

**აორტა**, ყველაზე დიდი არტერია (ნ. ეს) სისხლის მიმოქცევის დიდი წრისა, აგრეთვე ყველაზე დიდი არტერიული წველი (ствол, truncus), რომელიც თავის ტოტებით აწოდებს სისხლს ყველა ორგანოებს, ამოდის გულის მარცხენა პარკუჭიდან მახვილი მილაკის სახით; **აორტევრისმა**, აორტის სიგანივრე; **აორტიტ-ი**, აორტის ანთება—მწვავე და ქრონიკული.

**აპაგოგია, აპაგოგიური მტკიცება**, საწინააღმდეგო (ან ყველა სხვა) დებულების შეუძლებლობაზე დამყარებული მტკიცება.

**აპათია**, გულგრილობა, უვნებობა; ყოველგვარი მოვლენის უინტერესოდ განცდა; განურჩევლობა, დაუინტერესებლობა, უგრძნობლობა.

**აპანაჟი**, 1) მთელსიცოცხლივი პენსია; 2) მზითვი; 3) საუფლისწულო მამული, რომლის შემოსავლით მუქთახორაობს სამეფო გვარეულობის წევრი.

**აპარატ-ი**, (აპპ-), 1) რაიმე სამუშაოს შესრულებისას სახმარი ხელსაწყო.—მოწყობილობა; 2) ფიზიოლოგიური მოქმედების შემსრულებელ ორგანოთა ერთობლიობა, წარმოსათქმელი აპარატი, სასმენი აპარატი და სხვ.; 3) მმართველი ორგანოები დაწესებულებაში; 4) **მეცნიერული ან კრიტიკული აპარატი**, შენიშვნები, მსჯელობები, საჩვენებლები და სხვა ასეთი ლიტერატურული ან ისტორიული ტექსტის მეცნიერულ გამოცემაში.—**აპარატურა**, მოწყობილობათა, ხელსაწყოების, შენიშვნების და მისთანათა ერთობლიობა.

**აპატია**, ნ. აპათია.

**აპარტამენტი**, (აპპ-), განცალკევებული ბინა სახლში; მდიდრულად მოწყობილი ბინა.

**აპატიტ-ი**, უფერო ან თეთრი ფერის მინერალი (მიიღებს სხვადასხვა ფერს შენარევების გამო),—შედგენილია ფოსფორმჟავა კირისა და ქლოროვანი კალციუმისაგან, იხმარება როგორც მოსანოყიერებელი მასალა; მისაგან კეთდება აგრეთვე ყალბი ძვირფასი ქვები.

**აპატრიდები** (მრავლ.), „უსამშობლოონი“, ქვეშევრდომობის არ მქონენი. ე. ი. ვინც არაა არცერთი სახელმწიფოს მოქალაქე.

**აპაშ-ი, აპაშები**, ასე უწოდებენ პარიზში ქურდ-ბაცაცებს, ბანდიტებს. ავაზაკებს, ოღრაშებს და სხვა ამისთანებს (სახელწოდება წარმოსდგა ჩრდილო-ამერიკის ერთერთი ტომის—**აპაჩების**—სახელიდან).

**აპეკს-**, ნ. აპექს.

**აპელა** (**-ლლა**), საპაეუს გვარის მაიმუნი (ნ. საპაჟუ).

**აპელ-ი** (**აპპ-**), ძახილი, მოწოდება; კავალერიის შესაკრები სიგნალი (ნ. ეს); ფარიკაობის ერთერთი ილეთი.

**აპენდიქს-ი** (**აპპ-**), დანამატი; ანატომიაში: ბრმა ნაწლავის ჭიისებრი მორჩი, — ჭია-ნაწლავი; **აპენდიციტ-ი**, აპენდიქსის ანთება.

**აპერაცია**, ნ. ოპერაცია.

**აპერიოდული**, არაპერიოდული (ნ. პერიოდული).

**აპერტურა** (**აპპ-**), ღიაობა; გახსნა (ჭრილობის); სინათლის ჰუჰროუტანა (ოპტიკაში).

**აპერცეფცია** (**აპპ-**), ფსიქოლოგიაში: ადამიანის წინანდელი გამოცდილების გავლენა მის აღქმაზე (ვუნდტისებურად აპერცეფციის ცნებაში შედის ნებითი ელემენტი).

**აპეტალური ყვავილები**, უფურცლო ყვავილები (ბოტან.).

**აპექს-ი**, წვერო; ცის კამარის წარმოსახვითი წერტილი, საითკენაც მიმართულია დედამიწისა და მზის მოძრაობა.

**აპიკალური**, წვეროსი, მწვერვალისა; ორგანიზმის ნაწილის წვეროზე მდებარე..

**აპიოლ-ი**, ოხრახუშის თესლისა და ფესვების ექსტრაქტი (ნ. ეს). — იხმარება ციების წინაალმდეგ.

**აპირექსია**, ავადმყოფის უციებო შუალედი ორ გაციების შუა,— **აპირექსიული შუალედი**.

**აპირიტ-ი**, უკვამლო დენთი (თოფისწამალი).

**აპის-ი**, სალვთო ხარი ძველ ეგვიპტეში.

**აპლაზია**, წარმოუქმნელობა; სხეულის ან ორგანოს რაიმე ნაწიწილის არქონა დაბადებიდან (ნ. აგენეზია).

**აპლიკატურა** (**აპპო-**), თითებით საკრავზე თითების მართებული დაწყობილობა.

**აპლიკაციური მუშაობა** (**აპპ-**), გამოსახულების გამოყვანა ამონაჭერი მატერიის ან ფერადი ქაღალდის მატერიაზედვე ან ქაღალდზე ზედდადებით. — გამოყენებულია შრომის სკოლაში; **აპლიკე**, 1) ამგვარად გამოყვანილი გამოსახულება; 2) ლითონისაგან (სპილენძის, თითბრის, რკინის) გაკეთებული ნივ-

თი, დაფარული ვერცხლის თხელი ფენით.

**აპლოდისმენტ-ი** (**აპპ-**), ტაში — მოწონების ნიშნად.

**აპლომბი,** ვერტიკალური მდგომარეობა, წონასწორობა; გადაჭარბებული გაბედულობა (უმეტესად ირონიული მნიშვნელობით); წონასწორობის დაცვა ხტომისას ცეკვაში.

**აპნოე,** უსუნთქველობა, სუნთქვითი მოძრაობის უქონლობა.

**აპოგამია,** გაუნაყოფიერებლად განვითარება ახალი მცენარისა (ზოგიერთი სოკოსი, გვიმრისა და სხვა).

**აპოგეი,** 1) დედამიწის ცენტრიდან ყველაზე დაშორებული წერტილი მთვარის ორბიტისა (ნ. ეს); 2) რისამე განვითარების, აყვავების უმაღლესი წერტილი.

**აპოდიქს-ი.** უეჭველი დამტკიცება; **აპოდიქტური, აპოდიქსური მსჯელობა,** უთუო, აუცილებელი მსჯელობა.

**აპოთემა,** 1) წესიერი მრავალკუთხის ცენტრიდან ერთერთ მის გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარის სიგრძე; 2) წესიერი პირამიდის გვერდითი წახნაგის სიმაღლე.

**აპოთეოზ-ი,** 1) ადამიანების (გმირების, მეფეების) გაღმერთება, საღვთო პატივისცემა მათდამი; 2) წარმოდგენის საბოლოო მოქმედებაში რომელიმე პირის (ან მთელი სურათის) გადიდებულად წარმოდგენა.

**აპოკალიპსის-ი,** „გამოცხადება", წიგნია ახალი აღთქმისა,—მიეწერება იოანე ღვთისმეტყველს; ნამდვილად კი არაა ცნობილი არც ავტორი და არც დრო დაწერისა. წიგნში მოთხრობილია ქრისტეს მოსვლა, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს მრავალი უბედურება; წარმოდგენილია ცოდვათა საშინელი განკითხვა, ცოდვილთა დაღუპვა (წარწყმედა) და მართალთა ნეტარება. გამოყენებული იყო მასების დასაშინებლად.—**აპოკალიპტიკა,** ძველებრაულისა და ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურის ერთი გვარი—იუდეველთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროისა: სიმბოლურ და ფანტასტიკურ სურათებში ავტორი ხედავდა აწმყოსა და მომავლის ამბებს.

**აპოკოპე,** სიტყვის ბოლოში ბგერის მოკვეთა,—დაკარგვა (გრამატ.).

**აპოკრიფები** (მრავლ.), რელიგიური შინაარსის წიგნები ძველი და ახალი აღთქმისა, რომლებიც არ შედიან ბიბლიაში.—მიეწერება ზღაპრულ პირებს; **აპოკრიფული.** საეჭვო, არანამდვილი, ყალბი.

**აპოლიტიზმი.** **აპოლიტიკურობა,** პოლიტიკური საკითხებით დაუინტერესებლობა, პოლიტიკურ

ცხოვრებაში მონაწილეობის არ მიღება; **აპოლიტიკური პიროვ-ნება**, ვისაც არ აინტერესებს პოლიტიკური ცხოვრების საკითხები ან არა აქვს განსაზღვრული პოლიტიკური რწმენა.

**აპოლოგი**, დამრიგებლობითი ხასიათის ერთერთი გვარი ლიტ. ნაწარმოებთა, არაკი (ცხოველთა ცხოვრებიდან).

**აპოლოგია**, დამცველობითი წარმოთქმული სიტყვა ან ასეთივე თხზულება, კერძოდ—ქრისტიანობის დამცველობითი; **აპოლოგეტ-ი**, დამცველი—თხზულებით ან სიტყვით, კერძოდ — ქრისტიანობისა; **აპოლოგეტიკა**, ქრისტიანობის დამცველობითი მოძღვრება; **აპოლოგისტ-ი**, იგივეა რაც აპოლოგეტი.

**აპოლონ-ი (აპოლლ-)**, 1) ძველი ბერძნული მითოლოგიით—ღმერთი, ზევსის შვილი, დედამიწის საიდუმლოებათა და მზის ღმერთი, მფარველი მუსიკისა, ცეკვისა და პოეზიის; **აპოლონ ბელვედერელი**, ბელვედერის აპოლონი; 2) დიდი ტანის დღის პეპელა კავალერთა ოჯახისა—ფრიად ლამაზი.

**აპონევროზ-ი**, ფართო კუნთის მყესი,—ემაგრებს კუნთს განსაზღვრულ ადგილას.

**აპოპლექსია**, წვეთისდაცემა, დამბლა, სისხლის ჩაქცევა ტვინში და ამით გამოწვეული შერყევა ტვინის გარკვეული უბნისა; **აპოპლექს-ი**, დამბლიანი, წვეთდაცემული; **აპოპლექტიკ-ი**, ასეთისადმი განწყობილი.

**აპორემა, აპორისმა**, მძიმე ამოცანა; **აპორემატული**, ამოცანური, გამოსაცნობი; **აპორემატიკ-ი**, ეჭვის მქონე, სკეპტიკი (ნ. ეს).

**აპორტ-ი**, საზამთრო ჯიშის მსხვილი ვაშლი.

**აპოსპორია**, უსპოროდ განვითარება ზოგიერთ გვიმრისა და ხავსების.

**აპოსტაზია**, სარწმუნოებისაგან განდგომა, მისი გამოცვლა; **აპოსტატ-ი**, სარწმუნოებისაგან განდგომილი, ღვთის გარეგანი.

**აპოსტერიორული**, ცდისაგან გამოყვანილი მტკიცება,—დასკვნა.

**აპოსტროფ-ი**, შემოკლების ნიშანი ('), იხმარება ზოგიერთ ენაში (მაგ. ფრანგულში) გამოშვებული ხმოვანი ნიშნის ადგილას (მაგ., l'homme).

**აპოჯიატურა (აპპ-)**, ნოტების წვრილი ნიშნები, ამკობენ და ართულებენ მოტივს.

**აპრაქსია**, თავის ტვინის ერთგვარი დაავადება, გამოიხატება მისთვის ჩვეულებრივი საგნების ხმარების უუნარობაში, აგრეთვე ჩვეულებრივ მოძრაობათა უნარის დაკარგვაში, მაგ. კერვისა, რეცხვისა და სხვ.

**აპრეტურა,** (აპპ-), ქსოვილის საბოლოო მოკეთება (გარეცხა, გაშრობა, შეღებვა) საქსოვი დაზგიდან გამოსვლის შემდეგ, აგრეთვე საბოლოო დამზადება ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა.

**აპრიორული,** ცდის უწინარესი, ცდისაგან დამოუკიდებელი (პოსტერიორულის საწინააღმდეგო); მაგ. **აპრიორული მეთოდი,** რისამე დამტკიცება ცდისაგან დამოუკიდებელ დებულებათაგან გამოყვანის გზით.

**აპრობაცია** (აპპ-), მოწონება, დასტურის მიცემა.

**აპროზექსია,** ყურადღების დასუსტება, ყურადღების შთაწერტვის (შეჩერების) უუნარობა რაიმე მოვლენაზე,—აქვს გონებასუსტებს და იდიოტებს (ნ. ეს).

**აპროპრიაცია** (აპპ-), მითვისება, დაუფლება, უმეტესად—უძრავი ქონების; შეგუება.

**აპროშები** (აპპ-, მრავლ.) სიმაგრეზე ან გამაგრებულ პოზიციაზე თავდამსხმელი ჯარის მიერ გადათხრილი იკანკლური სანგრები.

**აპსიდ-ი,** ნ. აფსიდი.

**აპტერა, აპტერები,** უფრთო მწერები; **აპტერიები** (მრავლ.), უბუმბულო ადგილები ფრინველის სხეულზე; **აპტერიქს-ი,** უფრთო ფრინველია, ე. ი. ფრთების განუვითარებლობის გამო ვერ ფრინავს.

**აჟიო,** ფულის (მონეტის) ან ფასიანი ქაღალდების დასახელებულ ღირებულობის დანამატი ბირჟაზე მათი გაყიდვისას.

**აჟიოტაჟ-ი,** ბირჟაზე თამაშობა, პროცენტიანი (სარგებლიანი) ქაღალდების ფასის ხელოვნური აწევა—მათი კურსის რყევის ნიადაგზე მოგების მიზნით.

**აჟიტაცია,** ძლიერი აგზნება, აგზნებულობა, მღელვარება.

**აჟური, აჟურული,** ჰვირული; ბადისებრ ნახვრეტებიანი ნაკეთები რამ სხვადასხვა მასალისაგან, მაგ. აჟურული შეიძლება იყოს ქსოვილი, წნული, ხისაგან ნაკეთები, ძვირფასი ქვის სამოსი და სხვა ასეთი.

**არაბესკები** (მრავლ.), 1) სამხატვრო და სახუროთმოძღვრო მორთულობა, სამკაული,—წარმოადგენს შეხამებას ფოთლებისა და ხშირად ფანტაზიურ არსებათა მოსახულობებისას; შემოღებულია თავდაპირველად არაბების მიერ; 2) წვრილ-წვრილ ლიტერატ. ნაწარმოებთა კრებული.

**არაბინ-ი,** (არაბული) ერთგვარი წებო, მცენარეული წებოს სახესხვაობა; დიდ ხმარებაშია ქაღალდის საწებავად.

**არაბიზმები** (მრავლ.), არაბული ენის თავისებურობანი სხვა ენაში; **არაბისტი,** არაბული ენის

სპეციალისტი; **არაბული ციფრები**: 1, 2, 3 და სხვები—არაბულ-ინდურ წარმოშობისა.

**არალია**, ამერიკული ქოლგისებრი სადეკორაციო მცენარე; ცნობილია უმთავრესად ჩრდ.-ამერ. ჯიში—ეკლიანი და მკურნალობაში გამოყენებულ ფესვიანი.

**არანჟირება** (არრ-), ვაარანჟირებ: მოწყობა, მოწესრიგება; მუსიკალური ნაწარმოების გადაწყობა ერთი საკრავიდან მეორეზე; ან შესრულება მისი სხვა ხერხით, ვიდრე მის ავტორს აქვს.

**არაქნიდები, არანეიდები** (მრავლ.), ობობასებური ცხოველები; **არაქნოლოგია, არანეოლოგია**, ზოოლოგიის დარგია,—სწავლობს ობობასებურ ცხოველებს.

**არბალეტ-ი**, მშვილდის მსგავსი ქვის ან ისრის სატყორცნი იარაღი,—იხმარებოდა ძველად; ბოძალდი.

**არბიტრ-ი**, მედიატორე, მსაჯულიშუამავალი (ნ. სუპერ-არბიტრი); **არბიტრაჟ-ი**, 1) სამედიატორო სასამართლო, საქმის გარჩევა სამედიატორო წესით; 2) **სავაჭრო არბიტრაჟი**, ერთგვარი სპეკულაცია,—ემყარება განსხვავებაზე საქონლის ფასისა ან ვალუტის კურსისა სხვადასხვა ქვეყნებში: ყიდულობენ, სადაც იაფია და ყიდიან, სადაც ძვირია.

**არგალი**, არნი; გარეული ცხვარი,—ცხოვრობს უტყეო მთიან ადგილებში შუა აზიაში.

**არგამაკ-ი**, ნ. არღამაყი.

**არგენტინ-ი**, 1) ქსოვილებზე ვერცხლურ ბეჭდვაში სახმარი საღებავი,—მზადდება დაფხვნილი კალასაგან; 2) ვერცხლკრიალა (ვერცხლის მადანია).

**არგირია, არგიროზ-ი**, ვერცხლის დალექვა სხეულის ქსოვილებში,—ემართება ვერცხლზე მომუშავეს და აგრეთვე ავადმყოფს, რომელიც წამლობს ხანგრძლივად ლაპისით (აზოტმჟავა ვერცხლით).

**არგო**, 1) (argot) საიდუმლო (პირობითი) ენა, მაგ. ქურდებისა; არგოს უწოდებენ აგრეთვე სოციალურ დიალექტს და პროფესიულ ენას,—უპირისპირდება სალიტერატურო ენას; 2) არგონავტების (ნ.) ხომალდის სახელი.

**არგონავტები** (მრავლ.), ძველბერძნული თქმულებით: საბერძნეთიდან კოლხიდაში (საქართველოში) გამგზავრებული (ხომალდ არგოთი) გმირები (ოქროს საწმისიან ვერძის საძებრად).

**არგონ-ი**, ჰაერში შემავალი (1%) აირი,—ქიმიური ელემენტია კეთილშობილ აირთა ჯგუფიდან.

**არგუმენტ-ი**, რაიმე დებულების დასამტკიცებლად მოყვანილი საბუთი; მტკიცების ძირითადი ნაწილი. — დამოუკიდებელი ცვლადი (მათემატ. ანალიზში). —პოლარული კუთხე (ანალიზურ გეომეტრიაში).—**არგუმენტაცია**, მტკიცება, დასაბუთება, რაიმე დებულების დასამტკიცებელი საბუთები.

**არგუს-ი**, მრავალთვალიანი ბუმბერაზი (ძვ. ბერძნ. მითოლ.); ხოხბის ჯიშის ფრინველი (თვალებისებრ წინწკლებიანი); დაუძინებელი სიფხიზლის სიმბოლო.

**არეალ-ი**, ფართობი, მოცულობა (მაგ. შენობისა); მცენარის ან ცხოველის ბუნებრივი გავრცელებისა და ბინადრობის არე, — ადგილი (ადამიანის მონაწილეობის გარეშე).

**არენა**, 1) ასპარეზი; 2) ამფითეატრის (ნ.) სილით მოფენილი შუაადგილი (ძველად რომში), რომელზედაც იბრძოდენ გლადიატორები და მხეცები, აჭენებდენ ცხენებს და სხვ.; 3) მოქმედების ადგილი (სცენა) ცირკში.

**არენდა, არენდ-ი**, იჯარა: უძრავ (ან მოძრავ) ქონებჩს აღება ვადით განსაზღვრულ ფასში—შემოსავლის სარგებლობის უფლებით; ხელშეკრულობა ასეთის შესახებ; **არენდატორ-ი**, მოარენდე, მოიჯარე, იჯარადარი.

**არეოლა**, 1) მოწითანო წრე ძუძუს, მუწუკის და მისთანათა გარშემო, 2) შარავანდი, 3) ნათელი წრე მთვარის გარშემო.

**არეომეტრ-ი**, თხევად სხეულთა სპეციფიკური წონისა (წონაკუთრისა) და ხსნარების სიმაგრის გამოსაკვლევი იარაღი.

**არეოპაგ-ი**, უზენაესი სასამართლო (უმთავრესად სისხლის სამართლისა) ძველს ათენში (საბერძნეთში); **არეოპაგიტ-ი**, არეოპაგის წევრი-მოსამართლე.

**არესტ-ი**, დაპატიმრება, შეპყრობა; ყადაღა: მოძრავ ქონების აღწერა მაზე აკრძალვის დადებით. **არესტანტ-ი**, პატიმარი, ტუსაღი.

**არეტირ-ი** (არრ-), ხელსაწყოს მოძრავი ნაწილის დამკავებელი მოწყობილობა, კერძოდ—ზუსტ სასწორში ულლისა და თეფშის უძრავად დამკავებელი.

**არვალის ძმები**, ქურუმთა კრებული (რიცხვით 12) ძველ რომში (ნ. არვალიები).

**ართრიტ-ი**, ნ. ართრონი.

**ართრონ-ი**, 1) სახსარი, წევრი (ანატომიაში): 2) წილაკი, არტიკლი (გრამატიკაში).—**ართრიტ-ი**, სახსრების ავადმყოფობა, სახსართ-ტეხა (მედიც.); **ართროლოგია**, სახსართაღწერა (ანატომიის დარგია).

**არ-ი**, მიწის ფართობის ფრანგული ზომა, უდრის 100 კვადრატულ მეტრს.

**არია**, ერთგვარი (ლირიკულ-დრამატიული) სასიმღერო ერთხმიანი ნაკვეთი საკრავის თანაყოლით, ხოგჯერ—ოპერის ნაწილიცაა; **არიეტა**, პატარა არია; **არიოზო**, ოპერის (ნ.) ნაწილი, პატარა სასიმღერო პიესა ერთი ხმისათვის.

**არიადნეს ძაფი**, გაჭირვებიდან გამომყვანი საშუალება, მხსნელი (ძვ. ბერძნული თქმულებით არიადნემ—მეფის ასულმა —იხსნა გმირი თეზევსი კრიტოსის ლაბირინთში დაღუპვისაგან ძაფის გორგალით).

**არიანიზმ-ი**, არიან(ელ)ობა: ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მწვალებლობა (ერესი, ნ.) 4 საუკუნის დასაწყისში; **არიანელი**, ა რ ი ო ს-ის (ამ მწვალებლობის ავტორის) მოძღვრების მიმდევარი; **არიანობა**, არიოსის მოძღვრება.

**არიელები** (მრავლ.), 1) ინდოირანელები; 2) ინდოევროპელები (ამ მნიშვნელობით დაძველებული სახელია); **არიული**, 1) ინდოირანული, 2) ინდოევროპული (ამ მნიშვნ. დაძველებულია).

**არიერგარდ-ი**, ლაშქრის უკანა რაზმი; უკანანი.

**არიეტა**, ნ. არია.

**არითმეტიკა**, ანგარიში ციფრების საშუალებით; მათემატიკის (ნ.) ერთი დარგი,—იკვლევს ციფრებით გამოხატულ რიცხვთა თვისებებს და მათზე მოქმედებებს; ძირითადია შემდეგი მოქმედებები მთელ რიცხვებზე: შეკრება (გამოკლება), გამრავლება (გაყოფა), ახარისხება (ამოფესვა); **არითმეტიკოს-ი**, არითმეტიკის სპეციალისტი; **არითმომეტრ-ი**, **არითმოგრაფ-ი**, არითმეტიკულ მოქმედებათა მექანიკურად (ნ.) მაწარმოებელი მანქანა, საანგარიშო მანქანა.

**არითმია**, გულის არაწესიერი მოქმედება, გულის რითმის (ნ.) დარღვევა.

**არიოზო**, ნ. არია.

**არისტარქი**, ფრიად მცოდნე და მკაცრი კრიტიკოსი (ალექსანდრიელ ბერძენ გრამატიკოსის (III ს. ქ. წ.) სახელი, მან აღადგინა ჰომეროსის ნაწარმოების ტექსტი).

**არისტოკრატ-ი**, მაღალი კლასის (არისტოკრატიის) წარმომადგენელი ბურჟუაზიულ ქვეყანაში. **არისტოკრატია**, 1) მაღალი პრივილეგიებიანი კლასი (ჯგუფი) ბურჟუაზიულ სახელმწიფოში,—სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით წარმოშობისა და ქონებრივი უპირატესობის ძალით; 2) წარმოშობით და ქონებრივად მაღალი კლასის მმართველობა; **არისტოკრატიზმ-ი**, არისტოკრატობა.

**არისტოტელიზმ-ი**, ათენელი (ძვ. საბერძნ.) ფილოსოფოს არისტოტელის (4—3 საუკ. ქ. წ.) მოძღვრება; **არისტოტელიკ-ი**, არისტოტელის მიმდევარი.

**არკა**, თაღი; **არკადა**, თაღედი, თაღების რიგი; მანძილი ხიდის ბურჯებს შუა.

**არკადია**, მშვიდობიანი, ბედნიერი ქვეყანა და ასეთივე ცხოვრება (სამხრ. საბერძნეთის ნაწილი, მწყემსებისა და მონადირეთა ქვეყანა, ცნობილი იყო ცხოვრების სიმარტივით კულტურული ჩამორჩენილობის გამო).

**არკან-ი**, ქამანდა, საგდებელი (ცხენთსაჭერი მარყუჟიანი თოკი).

**არკებუზ-ი**, ძველებური (15—16 საუკ.) პატრუქიანი თოფი.

**არკტ-**, ნ. არქტ-.

**არლეკინ-ი**, 1) ხუმარა იტალიურ ხალხურ კომედიაში; ტაკიმასხარა; 2) ჭრელი, ნაჭრებისაგან შეკერილი ტანსაცმელი (არლეკინისა); **არლეკინადა**, სახუმარო პიესა, რომელშიც მთავარ როლს არლეკინი ასრულებს; მასხარაობა.

**არმადა**, სამხედრო ძალები,—ფლოტი (ცნობილია ისპანიის **უძლეველი არმადა** (16 საუკ.), რომელიც გაანადგურეს ინგლისელებმა).

**არმატოლები** (მრავლ.), ბერძნებისაგან შედგენილი მილიცია ოსმალეთში.

**არმატორ-ი**, გემის შემაიარაღებელი თავის ხარჯით, გემის პატრონი.

**არმატურა**, კაზმულობა, მოწყობილობა; ტექნიკაში: მანქანათა დამატებითი მეორეხარისხოვანი ნაწილები; ელექტრო-განათების მოწყობილობა მავთულებისა და ლამპების გარდა.

**არმენისტ-ი**, სომხურ მწერლობისა და ისტორიის მეცნიერი მკვლევარი (ა რ მ ე ნ ი ა—სომხეთი); **არმენოლოგ-ი**, სომხურ ენისა, მწერლობისა და ყოფაცხოვრების მკვლევარი; **არმენოლოგია**, სომეხთმცოდნეობა.

**არმია**, 1) ლაშქარი, სახელმწიფოს შეიარაღებული სახმელეთო ძალები; 2) ლაშქრის ცალკე მოქმედი ნაწილი გარკვეულ სტრატეგიულ ამოცანათა შესასრულებლად განკუთვნილი.

**არომატ-ი**, სასიამოვნო სუნი, კეთილსურნელება; **არომატული**, არომატიანი, კეთილსურნელოვანი.

**არპან-ი**, ძველებური საზომი საფრანგეთში,—უდრიდა ჰექტარს (ნ.).

**არსენალ-ი**, იარაღთსამზადი და იარაღთსაცავი დაწესებულება.

**არსენიკ-ი**, დარიშხანა, **არსენიდები** (მრავლ.), დარიშხანის ლითონთან ნაერთები; **არხინები**

(მრავლ.), დარიშხანის შემცველი ორგანული ნაერთები (გამოყენებულია საომარ საშუალებად საიირო ომში—საძაგელი სუნისა და მომწამლავ თვისებათა გამო).

**არტეზიული ჭა,** ბურღვილი ჭა (პირველად ამოთხარეს ა რ ტ უ ა ს ოლქში საფრანგეთში).

**არტელ-ი,** ნადი; მშრომელთა გაერთიანება რაიმე სამეურნეო ხასიათის საქმის შესასრულებლად, წევრთა თანაბარ მონაწილეობისა და თანასწორ უფლების საფუძველზე.

**არტერია,** სისხლის მფეთქავი ძარღვი,—სისხლის გამტანი გულიდან მთელს ორგანიზმში; **არტერიიტ-ი,** არტერიების ანთება; **არტერიოტომია,** არტერიის გახსნა სისხლის გამოსაშვებად; **არტერიოსკლეროზ-ი,** არტერიების კედლების ავადმყოფობა: კედლები სქელდებიან და მკვრივდებიან, რის გამოც მათ ეკარგვის ელასტურობა, ამიტომ სისხლის წნევის გაძლიერებისას სკდებიან და იწვევენ სისხლის ჩაქცევას.—**არტერიული წნევა,** სისხლის წნევა არტერიებში; **არტერიული სისხლი,** მჟავბადით გაჟღენთილი ალისფერი სისხლი არტერიებში.

**არტეფაქტ-ი,** ხელოვნურად გამოწვეული პათოლოგიური ან ბიოლოგიური პროცესი.

**არტიკლ-ი,** ართრონი (ნ., 2).

**არტიკულ-ი,** 1) წესდების ან კანონის მუხლი,—პარაგრაფი (ნ.); 2) თოფის სროლის წესი.

**არტიკულაცია,** სახსართა შენაწევრება (ანატომიაში); ნაწევროვანი (სამეტყველო) ბგერის წარმოსათქმელად ორგანოთა სათანადო მოწყობა (მაგ. ბაგეების, ენის...). ამბობენ: ბაგეთა (ტუჩების) ენის და სხვათა არტიკულაცია; **არტიკულირება** (ვაარტიკულირებ), წარმოსათქმელ ორგანოს მოწყობა და მოქმედება ბგერის წარმოსათქმელად (ფონეტიკაში).

**არტილერია**(**არტილლ-**), 1) ცეცხლსასროლი იარაღებისა და მათი მოწყობილობის ერთობლიობა (ზარბაზნები, ყუმბარები, დასამიზნი მოწყობილობა, მათი გადასაზიდი საშუალებანი და სხვა), 2) ასეთი იარაღებით მოქმედი ნაწილი ჯარისა, 3) მეცნიერების დარგები, რომელნიც შეისწავლიან ასეთი იარაღების მოქმედებას. **არტილერისტ-ი,** ლაშქრის საარტილერიო ნაწილში მოსამსახურე ჯარისკაცი; **საარტილერიო,** არტილერიისათვის განკუთვნილი, — დანიშნული,—გამოსადეგი და სხვა.

**არტისტ-ი,** მსახიობი; ხელოვანი: ხელოვნებაში მომუშავე პირი;

რაიმე საქმეში ფრიად დახელოვნებული; ორპირი ადამიანი. **არტისტული**, ხელოვნებითი, ხელოვნების სიმაღლეზე მდგომი.

**არტიშოკ-ი**, არჯაკელი, ოქროს მხალი (ბოსტნეულია).

**არტრ-**, ნ. ართრ-.

**არფა**, ჩანგი, ქნარი, ნავალა: უძველესი წარმოშობის სიმებიანი დასაკრავი სამკუთხედის ფორმისა; **არფისტ-ი**, არფაზე დამკვრელი.

**არქაიზმ-ი**, მოძველებული (ცოცხალ მეტყველებიდან განდევნილი) სიტყვები ან გამოთქმები (მაგ. რამეთუ, დასაბამი, ვიდრე ხვალ) თანამედროვე სამწერლო ენაში; ძველებურის მიმბაძველობა ხელოვნებაში, ტანსაცმელში და სხვაში; **არქაიზაცია**, ძველებური ფორმების განზრახ განმეორება ახალ დროში (ხელოვნების დარგებში), გაძველებურება; **არქაიზირება (ვაარქაიზირებ)**, გაძველებურება; **არქაიკა**, რაიმე მხატვრულ სტილის დასაწყისი პეპერიოდი; **არქაისტიკა**, ძველი ფორმების მიმბაძველობა ხელოვნებაში; **არქაიული**, ძველებური, დრომოჭმული, ცოცხალი ხმარებიდან განდევნილი; **არქეული** ანუ **არქაიული ერა**, დედამიწის უძველესი ხანა.

**არქეგონი (არქეგონიები)**, უმაღლეს მცენარეთა (ხავსების, გვიმრისებრთა და წიწვოვანთა) მდედრობითი სასქესო ორგანო; **არქეგონია**, იგივეა რაც **აბიოგენეზისი** (ნ. ეს); **არქეგონიალურები** ანუ **არქეგონიატები** (მრავლ.), მცენარენი, რომელთაც მდედრობითი სასქესო ორგანოები აქვსთ არქეგონისებრის ფორმისა.

**არქეოგრაფია**, ძველი წერილობითი ძეგლების აღწერა-გამოცემა; **არქეოგრაფ-ი**, ასეთების აღმწერელ-გამომცემი.

**არქეოლოგია**, ძველი და უძველესი ცხოვრების შემსწავლელი მეცნიერება იმდროინდელ ნივთიერ კულტურის კვლევის საშუალებით; **არქეოლოგ-ი**, არქეოლოგიაში მომუშავე მეცნიერი, ძველი და უძველესი ნივთიერი კულტურის მკვლევარი; **არქეოლოგიური** ან **საარქეოლოგიო ინსტიტუტი**, უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, —შეისწავლის ძველ და უძველეს ცხოვრებას ნივთიერ კულტურის კვლევის საფუძველზე, აგრეთვე ამზადებს არქეოლოგიაში მომუშავე მეცნიერებს.

**არქი-** [ნაწილაკია, დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს:] მთავარი, პირველი, უფროსი, უმაღლესი და სხვა, მაგ.: **არქიდიაკონი**, მთავარდიაკონი,

**არქიეპისკოპოს-ი,** მთავარეპისკოპოსი, უფროსი ეპისკოპოსი (კათოლ. ეკლესიაში) და სხვა.

**არქიგონია,** ნ. არქეგონია.

**არქივ-ი,** 1) საისტორიო საბუთების საცავი და სამეცნიერო დაწესებულება; 2) მიმდინარე საქმისწარმოებიდან გამოსული საბუთების (აქტების, საქმეების, მიწერ-მოწერის) კრებული (არსებობს აგრეთვე კერძო პირთა ა რ ქ ი ვ ი); **არქივარიუს-ი,** არქივის, როგორც მთლიან დაწესებულის ერთერთ ნაწილის გამგე.

**არქიმანდრიტ-ი,** დიდი მონასტრის წინამძღვარი.

**არქიმედის კანონი,** ბერძენ მათემატიკოს ა რ ქ ი მ ე დ-ის (3 საუკ. ქ. წ.) მიერ დადგენილი კანონი: „**ყოველი სხეული** სითხეში კარგავს იმდენ სიმძიმეს, რამდენსაც იწონის მის მიერ ამოდევნილი სითხე“.

**არქიპელაგ-ი,** 1) კუნძულების ჯგუფი, 2) ეგეის ზღვის სხვა სახელწოდება.

**არქიტექტონიკა,** 1) ნაწილების შეხამება ერთ მთლიან ერთეულად, 2) ხუროთმოძღვრების თეორია, 3) ხელოვნების ნაწარმოების ნაწილთა თანაშეზომილობა.

**არქიტექტურა,** ხუროთმოძღვრება, შენობათა აგების ხელოვნება; **არქიტექტორ-ი,** ხუროთმოძღვარი, შენობის ხელოვანი-ამშენებელი.

**არქიტრავ-ი,** სამერხული, გოლოლათი: სვეტისთავზე მდებარე გარდიგამო ძელი (ძველებურ მშენებლობაში).

**არქონტები** (მრავლ.), სახელმწიფოს მმართველები ძველ ათენში სამეფო ხელისუფლების მოსპობის შემდეგ,—თავდაპირველად ირჩეოდენ მთელსიცოცხლივ, შემდეგ ათი წლით, ბოლოს ერთი წლით.

**არქტიკა,** ჩრდილო პოლარული ზღვა, მისი კუნძულები და ევროპა-აზია-ამერიკის ჩრდილო ნაწილები; **არქტიკული,** ჩრდილო-პოლარული; **არქტიკის** ანუ **არქტიკული ოკეანე,** ჩრდილო ყინულიანი ოკეანე.

**არლამაყ-ი,** თურქმენულ საზეითო (შესაჯდომი) ცხენის ჯიში; საერთოდ—აღმოსავლური ჯიშის ცხენი.

**არშინ-ი,** ალაბი, სიგრძის რუსული საზომი, უდრის 72,12 სანტიმეტრს (ნ. ეს).

**არხ-, არხი-,** ნ. არქ-, არქი-.

**ასამბლეა ან ასამბლე** (ასს-), მდიდარი კლასების ნადიმი, წვეულება, დროსტარება ევროპულ ყაიდაზე (ცნობილია რუსეთში პეტრე პირველის დროს იძულებითი ხასიათისა).

**ასბესტ-ი,** ნ. აზბესტი.

**ასეკს-,** ნ. ასექს-.

**ასენიზაცია** (ახს-), ადგილის გასუფთავება, უწმინდურების გაზიდვა; გაჯანსაღება.—**ასენიზატორ-ი**, ადგილის გამასუფთავებელი, გამჯანსაღებელი.

**ასეპსის-ი**, ჭრილობის დაუჩირქებლობა, დაუხრწნელობა, ჭრილობის დაუჩირქებლივ, დაუხრწნელად; **ასეპტინ-ი**, რძისა და სხვა საკვების აჭრისა და ლპობა-ხრწნისაგან დამცველი საშუალება: **ასეპტიკა**, ქირურგიაში: ჭრილობის ხრწნის თავიდან აცილების წესები სტერილიზაციის (ნ. ეს) საშუალებით, დაცვა ჭრილობისა მიკრობებისაგან—ამათი მოსპობის გზით ჰაერში და იმ საგნებში, რომლებიც შეეხებიან ჭრილობას (ნ. ანტისეპტიკა); **ასეპტიკური**, უხრწნელ-დაუჩირქებელი, **ასეპტიკური საშუალება**, ჭრილობის ხრწნა-დაჩირქების თავიდან ამცილებელი საშუალება.

**ასესორ-ი** (**ასსესსორ-ი**), სასამართლოს წევრი (ძველ რომში და დასავლეთ ევროპაში); სამოქალაქო სამსახურის VIII კლასის თანამდებობა ძველ რუსეთში.

**ასექსუალობა**, სასქესო ორგანოს თანდაყოლილი არქონა ან მისი განუვითარებლობა.

**ასთენია**, სისუსტე, უღონობა, ღონემიხდილობა,—შედეგია მძიმე ინფექციური ავადმყოფობისა (ტიფის, გრიპის და სხვ.), ჭლექისა, შიმშილობისა და სხვათა; **ასთენიური**, სუსტი, უღონო, ღონემიხდილი; **ასთენიური ტიპის** ანუ ასთენიური კონსტიტუციის ადამიანს ახასიათებს: მაღალი ტანი, სიგამხდრე. წვრილი ხელფეხი, ვიწრო გულმკერდი, განუვითარებელი კუნთები, პატარა მუცელი და სხვა.

**ასთენოპია**, მხედველობის დასუსტება, თვალდაღლილობა.

**ასთმა**, სულისხუთვა, სულისხუთვის მოვლა (შეტევა); **ბრონქიალური ასთმა**, სულისხუთვის ძლიერი შეტევები ბრონქების (ნ.) დავიწროების გამო; **კარდიალური ასთმა**, გულის კიბო (ავადმყოფობა).

**ასიგნაცია** (ახს-), ქაღალდის ფული; **ასიგნობა**, ხაზინიდან თანხის მისაღები წერილობითი საბუთი; ასეთი საბუთის გაცემა თანხის მიმღებზე.

**ასიზები** (მრავლ., ახს-): 1) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; 2) წესდებათა და კანონთა კრებული.

**ასიმეტრია**, უსიმეტრობა, უთანაბრობა; **ასიმეტრიული**, უთანაბრო.

**ასიმილაცია** (ახს-), „დამსგავსება", 1) ფიზიოლოგიაში: ორგანიზმში რაიმე ნივთიერების შეტანა, ორგანიზმის მიერ მისი შეთვისება; 2) ენათმეცნიერებაში:

ბგერის დამსგავსება სხვა ბგერასთან; 3) ფსიქოლოგიაში: ახალ აღქმის შერწყმა წინანდელ გამოცდილებასთან; 4) ეთნოლოგიაში: ერის შერწყმა სხვა ერთან მისი ენისა და ჩვეულებათა შეთვისების ნიადაგზე. —**ასიმილ(ირ)ება**: ვაასიმილებ, დავამსგავსებ, ვითვისებ; **ვიასიმილებ**, დავიმსგავსებ, შემერწყმის; **ვეასიმილები**, დავემსგავსები, შევეთვისები, შევერწყმი და სხვ.

**ასირიოლოგია** (ასს-), **ასუროლოგია**, ასურეთ-ბაბილონეთის ისტორიის, ენის და სიგელეთა შემსწავლელი მეცნიერება; **ასიროლოგ-ი**, ასეთის მკვლევარი, —მცოდნე.

**ასისტენტ-ი** (ასს-), თანაშემწე პროფესორისა სტუდენტებთან პრაქტიკულ მეცადინეობისას ან ექიმისა—ავადმყოფის გასინჯვა-მოვლისას.

**ასკეზის-ი**, მოთმინება; ხორციელად თავის დატანჯვა, განდეგილობა; **ასკეტ-ი**, განდეგილი, სულის ცხონებისათვის ამქვეყნიურობის დამთმობი; **ასკეტიზმ-ი**, განდეგილობა, მოძღვრება ამქვეყნიურობის ბოროტებად მიჩნევისა და მისაგან განდგომის შესახებ; აქედან: ბრძოლა თავის ხორციელ მოთხოვნილებებთან ზნეობრივ სრულყოფის, ცხონების მიზნით (შედეგია სოციალურ ჩაგრვისა ეკონომიურ და პოლიტიკურ დაცემის ხანაში); **ასკეტიკა**, ღვთისმეტყველების ნაწილი განდეგილობის შესახებ.

**ასონანს-ი** (ასს-), ერთნაირ ხმოვანთა განმეორება პოეტურ ნაწარმოებში; ლექსში: ოდენხმოვნური რითმა, ე. ი. რითმა თანხმოვნების არაერთნაირობისას; **ასონაცია**, ორი სხვადასხვა სიტყვის დაახლოება ბგერითი მსგავსების ნიადაგზე ლექსში: ოდენხმოვნური რითმა.

**ასორტიმენტ-ი**, (ასს-), ერთგვარ სავაჭრო საქონლის ხარისხობრივი შენარჩევი, შეშუთი.

**ასოციაცია** (ასს-): 1) საერთო მიზნისათვის ნებაყოფლობით შეკავშირებული ჯგუფი პირთა; კავშირი, ამხანაგობა, საზოგადოება, მაგ. მუშათა საერთაშორისო **ასოციაცია** (ნ. ინტერნაციონალი); 2) ფსიქოლოგიაში: წარმოდგენების, იდეების კავშირი; ცალკეულ ნერვულ-ფსიქიურ პროცესების ერთმანეთთან ისეთი კავშირი, რომ, მაგ., ორში ერთერთის გამოჩინება საკმარისია მეორის გამოსაჩინებლად (კავშირი კი მყარდება გარეგან აუცილებლობის, მოთხოვნილების ან ინტერესის გამო); 3) ქიმიაში: ერთნაირი მოლეკულების ერთმანეთთან შეერთება; 4) ბოტანიკაში:

მცენარეთა დაჯგუფება ბუნებრივ პირობების მიხედვით.—**ასოცირება**: ვაასოცირებ, ვაკავშირებ, ვუასოცირდები, ვუკავშირდები და სხვ.; **ასოციაციონიზმ-ი**, ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად ყველა ფსიქიურ პროცესებს საფუძვლად უდევს წარმოდგენათა, იდეათა ასოციაცია.

**ასპექტ-ი**: 1) პლანეტებისა (ცთომილებისა) და თანავარსკვლავედების შეფარდებითი მდებარეობა (ნ. ასტროლოგია); 2) რაიმე მოვლენის (საგნის, ცნების) განხილვის თვალსაზრისი; მოვლენის მდგომარეობა ან ან ფორმა, რომლითაც ჩვენ მას აღვიქვამთ.

**ასპიდ-ი**: 1) სიპი,—იხმარება სახურავისთვის და საწერ დაფის დასამზადებლად; 2) ანუ **ასპიტ-ი**, ჯარბი (შხამიანი გველის ჯიშია); 3) ბოროტი ადამიანი.

**ასპირანტ-ი**: 1) რაიმე თანამდებობის კანდიდატი,—მაძიებელი; 2) სამეცნიერო მუშაობისათვის მზადებაში მყოფი პირი რაიმე სამეცნიერო დაწესებულებაში.

**ასპირატებ-ი** (მრავლ.), ენათმეცნიერებაში—ჩვეულებრივ: ფშვინვური თანხმოვნები (ფ, თ, ქ, პ, ჩ, ც); აკად. მარრით: ყ, ხ, ღ, კ; **ასპირაცია**, ფშვინვა; სპირანტების (ნ.) მონაწილეობა ასპირატების წარმოებაში; მკურნალობაში: სითხის გამოწოვა.—**ასპირატორ-ი**, აირის, სითხის ან მტვრის გამოსაწოვი, გამოსაქაჩავი ხელსაწყო.

**ასპირინ-ი**, ერთგვარი მჟავა თეთრი ფხვნილის სახით,—იხმარება სიცხის დასაწევ და ტკივილის დამყუჩებელ წამლად რევმატიზმის, ნევრალოგიის და გრიპის დროს (ნ. ესენი).

**ასპიტ-ი**, ნ. ასპიდი (2).

**ასტასია**, ფეხზე დგომის უუნარობა; **ასტატიკური**, უმდგრადი, მოუსვენარი, დაუდგრომელი; **ასტატიკური ისარი**, ორი მაგნიტური თანატოლი ისრის შეერთება ისე, რომ მიმართულნი არიან ერთსახელიან პოლუსებით მოპირდაპირე მხრისაკენ, რის გამოც ნაკლებ გრძნობიერნი არიან დედამიწის მაგნიტიზმის გავლენისადმი.

**ასტენ-**, ნ. ასთენ-.

**ასტერია**, ზღვის ვარსკვლავა, შუქნათელა ცხოველი (მოლუსკი); **ასტერისკ-ი**, ვარსკვლავა (*), ასეთი ნიშანი წერისა ან ბეჭდვისას ტექსტის გარეთ; **ასტერიული**, ვარსკვლავისებრი, ვარსკვლავური; **ასტეროიდები**, მრავლიანი, მცირე ცთომილები (ანუ მცირე პლანეტები).

**ასტიგმატიზმ-ი** თ ვ ა ლ ი ს ა, მხედველობის ერთგვარი ნაკლი, რომლის მიზეზს წარმოადგენს

ის, რომ თვალის ლინზასა (ბროლის) და რქოვანას სხვადასხვა გარდატეხადობა აქვსთ; **ასტიგმატიკ-ი**, ასტიგმატიზმის მქონე.

**ასტმა**, ნ. ასთმა.

**ასტრა**, ბალის მცენარე—ქრისტესთვალა, ვარსკვლავა; **ასტრაგალ-ი**: 1) მცენარე — გვლერძა ანუ ღვერძა,—ზოგიერთი ჯიში იხმარება ყავის მაგივრად; 2) ერთგვარი სამკაული შენობაში. — **ასტრალური**, ვარსკვლავის, — ური; **ასტრალური** ანუ **ვარსკვლავთშორისი** სინათლე (ირმის ნახტომზე); **ასტრალური სხეული**, საიდუმლო ცრუ მოძღვრებით: ადამიანის სხეულში არსებული უხილავი სხეული, რომელიც ამოქმედებს ადამიანს სულიერად.—**ასტრეა**: 1) ერთერთი ასტეროიდი (ნ.), 2) სამართლიანობის ქალღმერთი ძვ. საბერძნეთში (ზღაპრ.); **ასტროგრაფ-ი**, ვარსკვლავების გადამღები ხელსაწყო; **ასტროლაბ-ი**, კუთხის მზომი იარაღი; **ასტროლატრია**, ვარსკვლავების თაყვანისცემა; **ასტროლოგია**, ვარსკვლავთმისნობა: ძველი ცრუმეცნიერება, — წინასწარმეტყველობდა ადამიანის ან ხალხთა მომავალ ბედიღბალს ასპექტის (ე. ი. ცთომილებისა და ვარსკვლავების მდებარეობის) მიხედვით; **ასტროლოგ-ი**, ვარსკვლავთმისანი; **ასტრომანტია**, ვარსკვლავთმკითხაობა.— **ასტრონომია**, ვარსკვლავთმრიცხველობა: ცისმნათობთა შესახებ მეცნიერება; **ასტროფიზიკა**, ასტრონომიის ნაწილი,— იკვლევს ციურ სხეულთა ფიზიკურ აგებულობას და ქიმიურ შედგენილობას.

**ასფალტ-ი**, ფისი, შავფისი,—იხმარება ქუჩების მოსაფენად (მოსაფისავად), მოიპოება ბუნებრივადაც და ამზადებენ ხელოვნურადაც; **მოასფალტება**, ასფალტით მოფენა, მოფისვა.

**ასფიქსია**, სულისხუთვა, სუნთქვის შეწყვეტა; **ასფიქსირება**: ვაასფიქსირებ, სულს ვუხუთავ.

**ატავიზმ-ი**, შთამომავლობაში გამოჩენა ისეთი ნიშნისა (ბიოლოგიაში), ხასიათის ან ყოფაქცევის (ფსიქოლოგიაში) ისეთ თვისებათა, რომელნიც ახასიათებდენ შორეულ წინაპრებს (და არა მშობლებს ან უახლოეს წინაპრებს).

**ატაკა** (ატტ-), იერიში, შეტევა (სამხედრო).

**ატაკს-**, ნ. ატაქს-.

**ატამან-ი**, წინამძღოლი რაზმისა, ავაზაკთა; არჩეული უფროსი ყაზახთა.

**ატარაქსია**, სულიერი სიმშვიდე, აუღელვებლობა.

**ატაქსია**, ხელფეხის მოძრაობის აშლა, სხეულის წონასწორობის მოშლა.

**ატაშე**(ატტ-), წარმომადგენლობაში მივლინებული პირი, დესპანი.

**ატეიზმ-, ატეისტ-,** ნ. ათეიზმ-.

**ატელიე,** სახელოსნო მხატვრისა, მოქანდაკისა, ფოტოგრაფისა და სხ.

**ატესტატ-ი** (ატტ-), მოწმობა, წერილობითი საბუთი სასწავლებლის ან სამსახურის გათავების, ყოფაქცევის და სხვ. შესახებ; **ატესტაცია,** დამოწმება, აზრის გამოთქმა ვისიმე ღირსება-ნაკლის, გამოსადეგობის შესახებ, რეკომენდაცია (ნ. ეს); **ატესტირება,** ატესტაციის მიცემა.

**ატეტიზ-,** ნ. ათეტიზ-.

**ატიპია,** არატიპიურობა, წესგადახვევა; **ატიპიური,** არატიპიური, წესგადახვეული, არანორმალური (მაგ. მიმდინარეობა ავადმყოფობისა).

**ატიკ-ი** (ატტ-), ხუროთმოძღვრებაში: ლავგარდანის ზემოთ აყვანილი გლუ კედელი; **ატიკურ-ი,** ატიკიდან წარმოშობილი რამ (ა ტ ი კ ა ძვ. საბერძნეთის შუა ნაწილია); მშვენიერი, მოხდენილი; **ატიციზმ-ი:** 1) ატიკის ბერძნული ენის თავისებურობა; 2) მოხდენილი, ხატოვანი და გონებამახვილური სიტყვა-პასუხი.

**ატლანტ-ი** ანუ ა ტ ლ ა ს-ი: 1) ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: ბუმბერაზი, რომელსაც ზევსის მიერ მისჯილი ქონდა ცისკამარის თავით და ხელებით დაკავება; 2) ხუროთმოძღვრებაში: სვეტი მამაკაცის სახით; 3) ანატომიაში: კისრის პირველი მალი. — **ატლანტური,** ბუმბერაზული, უზარმაზარი.

**ატლას-ი:** 1) ერთგარი მზინვარე ქსოვილი, სტავრა; 2) რუკების კრებული; არის ა ტ ლ ა ს ი გეოგრაფიული, ისტორიული, ანატომიური და სხ.

**ატლეტ-,** ნ. ათლეტ-.

**ატმოსფერო:** 1) ჰაერეთი, ჰაეროვანი გარსი დედამიწის ბირთვის გარშემო; 2) გარემოპირობები; 3) წნევის საზომი ერთეული.— **ატმოსფერული** წ ნ ე ვ ა, ჰაერის დაწნევის (დაწოლის) ძალა ჰაერეთში მყოფ ყოველ სხეულზე; **ატმოსფერული** ნ ა ლ ე ქ ე ბ ი, დედამიწის ზედაპირზე მოსული (დადებული) ტენი (სინოტივე) წვიმის, თოვლის, ნამის და სხვათა სახით.

**ატომ-ი,** მატერიის (ნივთიერების) უმცირესი ნაწილი,— მიაჩნდათ უშლადად უკანასკნელ დრომდე; ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ ა ტ ო მ ი დაიშლება თავისთავადაც და ხელოვნურადაც.—**ატომიზმ-ი,** მატერიალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ბუნების ყოველი სხეული შედგენილია მუდმივად მოძრავი განუყოფელი ნაწილაკებისაგან (ატომებისაგან) და ატომები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმით, რიცხვით და

მოძრაობით.—**ატომური წ ო ნ ა**, რაიმე ელემენტის შეფარდებითი წონა (წყალბადის ატომის ერთეულად მიღებით); **ატომურობა** ანუ **ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა** ეწოდება იმ რიცხვს, რომელიც განსაზღვრავს, თუ წყალბადის რამდენ ატომთან შეუძლია შეუერთდეს მოცემული ელემენტის ატომი ან წყალბადის რამდენი ატომის შენაცვლება შეუძლია მას.

**ატონია**, ორგანიზმის ქსოვილისმიერ ელასტიკურობის (მოქნილობის, დრეკადობის) დასუსტება ან დაკარგვა; მოდუნებულობა; **ატონიური**, დუნე, დამძაბული.

**ატორნეი** (**ატტ-**), რწმუნებული, წარმომადგენელი.

**ატრაქცია** (**ატტ-**), მიზიდულობა; **ატრაქციონ-ი**, გასართობ-სანახაობის საყურადღებო, მიმზიდველი ნომერი.

**ატრიბუტ-ი** (**ატტ-**), რისამე განუყრელი ნიშანი: 1) გრამატიკაში—განსაზღვრა, მსაზღვრელი; 2) ფილოსოფიაში—საგნის აუცილებელი ნიშანი, ურომლისოდაც იგი არ არსებობს, არც იაზროვნება; **ატრიბუცია**, ანონიმურ ნაწარმოების ავტორის გამორკვევა.

**ატრიუმ-ი**: 1) ძვ. რომაულ სახლის მთავარი ნაწილი, სადაც იყო სამსხვერპლო, ძველად — კერა; ტაძრის მისავალი ნაწილი; 2) ანატომიაში: წინაგული.

**ატროფია**, სხეულის რომლისამე ორგანოს დასუსტება ან დაპატარავება ცუდი კვების ან უვარჯიშობის გამო; რაიმე თვისების დაჩლუნგება; **ატროფირება**, **ვატროფირდები**, ვსუსტდები, ვპატარავდები, ვჩლუნგდები; **მიატროფირდება**, მისუსტდება და სხ.

**აუგმენტ-ი**, ნამატი.

**აუდიენცია**, წარჩინებული პირისმიერ ვისიმე მიღება ოფიციალურად, გარკვეული წესების დაცვით; **აუდიენც-ზალა**, მისაღები დარბაზი.

**აუდიონ-ი**, რადიომიმღების კათოდური სამელექტროდიანი (ნ.) ლამპა.

**აუდიტორ-ი**, მსმენელი; **აუდიტორია**: 1) სალექციო, მოსასმენი დარბაზი; 2) მსმენელები.

**აუკც-**, ნ. აუქც-.

**აულ-ი**, სოფელი (ყირიმის თათრებისა, კავკასიის მთიელთა).

**აურა**, მედიცინაში: ავადმყოფის წინასწარი გრძნობა ბნედის მოვლის წინ.

**აურისტ-ი**, ყურის ექიმი; **აურისკოპ-ი**, ყურში სახედი, ყურის საკვლევი იარაღი.

**აუსკულტაცია**, მკურნალობაში: ადამიანის (ან ცხოველის) შინაგანი ორგანოების მდგომარეობის გამოკვლევა-გასინჯვა —

მათში შექმნილი ბგეროვნობის მოსმენით (ნ. პერკუსია და სტეთოსკოპი).

**აუსპიცია:** 1) ძვ. რომში თავდაპირველად—მკითხაობა საღვთო ფრინველების გაფრენის მიხედვით, შემდეგ—მკითხაობა სხვა მოვლენათა მიხედვით; 2) მომასწავებლობა (მაგ. კეთილი აუსპიციები აქვს — კარგს მოასწავებს, კარგი თვალი უჩანს).

**აუტო-და-ფე,** ინკვიზიციის (ნ.) საჯარო ზეიმი, კერძოდ—სარწმუნოების საქმეში დამნაშავეთა სასჯელის საჯარო გამოცხადება და დამნაშავეთა კოცონზე დაწვა.

**აუქციონ-ი,** ქონების გაყიდვა საჯარო ვაჭრობით; **აუქციონისტ-ი,** აუქციონის მოხელე.

**აფაზია,** მეტყველების უნარის დაკარგვა სრულებით ან ნაწილობრივ — ტვინის განსაზღვრულ ხვეულების დაზიანების გამო (სამეტყველო ორგანოების დაუზიანებლივ).

**აფეკტ-,** ნ. აფექტ-.

**აფერა (აფფ-),** არაკეთილსახიერი სარისკო (ნ.) საქმე, — წამოწყება გამორჩენის ან გამდიდრების მიზნით; **აფერისტ-ი,** აფერის ჩამდენი, არაკეთილმოსაქმე.

**აფექტ-ი (აფფ-),** ფსიქოლოგიაში: ერთბაში (ხანმოკლე) ძლიერი განცდა, რომელიც მჟღავნდება გარეგნულად, მაგ. მრისხანების, აღტაცების და სხვათა სახით (სთენიური აფექტი), ან ელდის, შიშის, ნაღვლიანობის და სხვათა სახით (ასთენიური აფექტი). პათოლოგიური (ავადმყოფური) აფექტის დროს ადამიანს ერღვევა ნათელი ცნობიერება და მეხსიერება; **აფექტური,** აფექტის ხასიათის მქონე; **აფექტიანი,** აფექტით შეპყრობილი; **აფექტაცია,** არაბუნებრიობა, ხელოვნურობა აზრის ან გრძნობის გამომჟღავნებაში; ზედმეტი გრძნობიერება.

**აფიკს-,** ნ. აფიქს-.

**აფირმაცია (აფფ-).** მტკიცება; **აფირმაციული,** მტკიცებითი.

**აფიქს-ი (აფფ-),** გრამატიკაში: სართი (თავ-, ჩა- და ბოლოსართი).

**აფიშა,** კედელზე ან სვეტზე გაკრული ან ხელზე დარიგებული საჯარო განცხადება, ჩვეულებრივ—რაიმე სანახაობის შესახებ; **აფიშირება,** ვააფიშირებ, ვაცხადებ საქვეყნოდ, გამოვჩრი ყველასათვის სანახავად.

**აფიცერ-ი,** ნ. ოფიცერი.

**აფონია,** ხმის დაკარგვა,—ამით დაავადებულს შეუძლია წარმოთქმა მხოლოდ ჩურჩულით.

**აფორიზმ-ი,** მოკლედ და სხარტულად გამოთქმული ბრძნული

აზრი, ჩვეულებრივ — საყოფაცხოვრებო შინაარსისა; **აფორისტული**, აფორიზმის ხასიათის.

**აფრიკატ-ი** (აფფ-), რთული თანხმოვანი, მაგ. **ჩ**=თ+შ, **ჯ**=დ+ჟ, **ძ**=დ+ზ და სხვა.

**აფროდიტე**, 1) სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი ძვ. საბერძნეთში,—იგივეა რაც ვენერა (ნ.) ძველ რომში; 2) ერთგვარი რგოლისებრი ჭია.—**აფროდიზიული** საშუალებანი, სქესობრივ გრძნობის აღმძვრელი და გამაძლიერებელი საშ—ნი.—**აფროდიტიზმ-ი**, ვნებიერი სიყვარული.

**აფრონტ-ი** (აფფ-), შეურაცხყოფა, უარი, გაბიაბრუება.

**აფსიდ-ი**, პლანეტის (ცთომილის) ორბიტის დიდი ღერძის ბოლოები.

**აქატ-ი**, იამანი, გიშერი.

**აქეველები** (მრავლ.), ძველ ბერძენთა მთავარი ტომი (სამხრეთ საბერძნ.); ჰომეროსით—ბერძნები საერთოდ.

**აქვამარინ-ი** (ან **აკვამარინ-ი**), ბივრილი, ბივრიტი (ძვირფასი ქვა).

**აქვარელ-ი** (ან **აკვარელ-ი**,) წყალფერადების მხატვრობა ან წყალფერადებით ნახატი; **აქვარელისტ-ი** (აკვ-), წყალფერადებით მხატველი.

**აქვარიუმ-ი** (ან **აკვარიუმ-ი**), წყალსათავსი წყლიერ ცხოველთა და მცენარეთა შესანახავად და დაკვირვებათა მოსახდენად; აგრეთვე - დაწესებულება, სადაც ასეთი წყალსათავსია.

**აქვატიპია** (ან **აკვატიპია**), სტამბაში: „წყლითბეჭდვა“, მრავალფერადიან სურათების ბეჭდვის ერთგვარი ხერხი.

**აქვედუკ-ი** (ან **აკვედუკ-ი**), ბელლარი, წყლის გასაყვანად საყრდენებზე მოწყობილი მილები კლდიან ადგილებში, გზებზე, მდინარეზე და სხვაგან.

**აქვილონ-ი** (ან **აკვილონ-ი**), ჩრდილოეთის ქარი (ძვ. რომში).

**აქილევს-ის ქუსლი**, სავნო ადგილი, სუსტი მხარე ადამიანისა (ძვ. ბერძენთა ლეგენდით აქილევსს, ილიადაში უმამაცეს გმირს, უვნებელი ქონდა მთელი სხეული, გარდა ქუსლისა, რომელიც სავნო იყო).

**აქსომატიზმ-ი**, ოპტიკური მინების თვისება სინათლის შუქის გადახრისა: შუქს გარდატეხენ, მაგრამ არ დაშლიან შემადგენელ ფერებად.

**აქსელბანდ-ი**, ოქრომკედის წნული სამხედრო სამკაული ძველად რუსეთში და ბურჟუაზ. სახელმწიფოებში.

**აქსესუარ-ი** (-სსუ-), მეორეხარისხოვანი, დამატებითი მოწყობილობა ან მორთულობა.

**აქსიომა**, უშუალოდ და თავისთავად აშკარა ჭეშმარიტება, რომელიც დაუმტკიცებელია, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს,—წარმოადგენს გამოსავალ დებულებას მტკიცებათათვის; **აქსიომატური** ან **აქსიომური**, უშუალოდ აშკარა, — ჭეშმარიტი.

**აქტ-ი**, მოქმედება: 1) ადამიანის ნებისმიერი მოქმედება; 2) ფილოსოფიაში: შესაძლებელ თვისებათა განხორციელება (არისტოტელით); 3) სახელმწიფო ორგანოს მიერ შედგენილი ოქმი იურიდიულ მნიშვნელობისა; 4) სათეატრო დრამის ნაწილი ანტრაქტით (ნ.) შეწყვეტილი; 5) სასწავლებლის საზეიმო კრება; 6) სახვითს ხელოვნებაში: შიშველი ტანის გადახატვა ან აძერწვა; ასეთი ნახატი ან ნაძერწი.

**აქტივატორები** (მრავლ.), ფერმენტების (ნ.) მოქმედების გამაძლიერებელი ქიმიური ნივთიერებები.

**აქტივ-ი**: დაწესებულების, წრის ან რაიმე ორგანიზაციის ყველაზე მოქმედი და საქმიანი ნაწილი; 2) ეკონომიკაში: საწარმის ბალანსის (ნ.) შემადგენელი ნაწილი (თანადი ფული, უძრავ-მოძრავი ქონება, მისაღები ვალი); ბალანსის მარცხენა მხარე (კომერციაში). —**აქტივისტ-ი**, აქტივის (ნ. 1) ერთი წევრი, გადამჭრელ ღონისძიებათა მომხრე.—**აქტივობა**, მოქმედებიანობა, ორგანიზმის უნარი გარეგან გაღიზიანებაზე გამოპასუხებისა.—**აქტიური**, მოქმედი, მამოძრავებელი; **აქტიური მოქმედება**, თავდასხმითი, შეტევითი მოქმედება (სამხედრო); **აქტიური საწყისი**, მამოძრავებელი საწყისი მსოფლიოში.

**აქტინიები** (მრავლ.), ზღვის ცხოველები,—ეკუთვნიან მრავალსაცეცებიან კორალების (ნ.) ქვეჯგუფს.

**აქტიორ-ი**, მსახიობი; **აქტრისა**, მსახიობი ქალი.

**აქტუალური**, მოქმედებაში მყოფი; თანადროული, საჭირბოროტო; ნამდვილი, განხორციელებული.

**აქცელერაცია**, აჩქარება; **აქცელერატორ-ი**, ამჩქარებელი (მაგ. კუნთი).

**აქცენტ-ი**: 1) სიტყვის წარმოთქმისას ერთერთ ხმოვნის (მახვილიანის) გამოჩინება მის გაძლიერების საშუალებით (სიძლიერის მახვილი) ან ხმის ამაღლებით (მუსიკალური მახვილი); აგრეთვე—ასეთი მახვილების ნიშანი; 2) უცხო ენის (ან კილოს) წარმოთქმის თავისებურება; 3) მუსიკაში—ცალკეულ ბგერათა გაძლიერება.

—**აქცენტუაცია**, ამა თუ იმ ენის მახვილთა სისტემა.

**აქცეპტ-ი**, ვექსილის მიღება; განცხადება პირისა ვექსილის განაღდების შესახებ.

**აქცესია** (**-ხსია**), შედგომა, მიერთება; **აქცესსიური ხელშეკრულობა**, ამათუიმ სახელმწიფოს განცხადება იმ ხელშეკრულობის თავისთვის სავალდებულოდ ცნობის შესახებ, რომელიც დადებულ იქნა სხვა სახელმწიფოთა შორის.

**აქცია**, წამოწყების ძირითად კაპიტალში შეტანილი ხვედრი (პაი) და ამის საბუთი, რომლის ძალითაც შემტანი უფლებას პოულობს ამ წამოწყების წარმართვასა და მოგებაში მონაწილეობის მიღებისას; **აქციონერი**, აქციის პატრონი; **აქციონერთა** ან **სააქციონერო საზოგადოება**, ისეთი წამოწყება, რომლის კაპიტალი შედგენილია აქციონერების მიერ შეტანილ თანხებით.

**აქციდენტ-ი**, შემთხვევა, შემთხვევითობა; **აქციდენტური**, შემთხვევითი; **აქციდენტური ბეჭდვა**, სტამბაში—წვრილ-წვრილ სამუშაოების შესრულება, მაგ. ბეჭდვა აფიშებისა, ბლანკებისა, პროგრამებისა და სხვ.—**აქციდენცია**, მოვლენის არაარსებითი, შემთხვევითი ნიშანი; **აქციდენციური**, არაარსებითი, შემთხვევითი.

**აქციზ-ი**, არაპირდაპირი სახელმწიფო გადასახადი, მაგ. შაქარზე, თუთუნზე, ღვინოზე და სხვ.

**აღა**, ბატონი, უფროსი; ბატონო! უფროსო! (ოსმალეთში).

**აღაპ-ი**, ქრისტიანულად: 1) ძველად—სერობა (საღამოს სუფრა), 2) შემდეგ—წვეულება მიცვალებულის „სულის მოსახსენებლად“; ძველ საბერძნეთში: სიყვარულის, ვნებურ დროსტარების საღამო.

**აშულ-ი**, „შეყვარებული“, ჩვენში და სომხეთში: ხალხური მგოსანი-მომღერალი (მაგ. საიათნოვა, ჰაზირა და სხვ.).

**აცეტილენ-ი**, ნახშირისა და წყალბადისაგან მიღებული უფერული აირი (გაზი), კაშკაშა სინათლის მქონე; გამოყენებულია გასანათებლად.

**აცეტონ-ი**, სხვადასხვაგვარად მიღებული უფერული სითხე (მაგ. ხის მშრალი გამოხდით, ძმრის მჟავასაგან, სახამებლისაგან და სხვ.),—იხმარება უკვამლო დენთის (თოფის წამლის), ქლოროფორმის, ლაქების და სხვათა დამზადებაში.

# ბ

**ბაალ-ი,** ძველ ასურელთა ღვთაება, —ქვეყნის, ტომის და ბუნების ძალების განმასახიერებელი; ბაალს მსხვერპლად სწირავდენ ადამიანსაც; ახლა: ბ ა ა ლ ი ს თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ა, —სიმდიდრის მოყვარულობა.

**ბაბილონ-ის გოდოლი,** არეულობა, ენათაღრევა, უთავბოლობა (ბიბლიური ლეგენდით: ღმერთმა დასაჯა ბაბილონელები, ცამდე მაღალი კოშკის აშენების მონდომებისათვის — აურია მათ ენა).

**ბაბუ,** ბატონი, ბატონო! (ინდოეთში).

**ბაბუვისტები** (მრავლ.), ბ ა ბ ე ფ ი ს (საფრანგეთ. დიდი რევოლუც. უტოპისტ-კომუნისტის) მოძღვრების მიმდევრები.

**ბაგაჟ-ი,** ბარგი.

**ბაგეტ-ი (-ტტ-),** ჩუქურთმიანი ან ვარაყიანი ჯოხი ან ფირფიტა სურათის ჩარჩოებისათვის.

**ბაზა,** 1) ფუძე, საფუძველი; 2) სვეტის ფუძე (იატაკსა და სვეტის ტანს შუა); 3) ამათუიმ ქვეყნის ყველა საწარმოო ძალები; დაწესებულების მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ბ ა ზ ა—დაწესებულების ნივთიერი საშუალებანი; 4) ს ა ზ ღ ვ ა ო ბ ა ზ ა— სანაპირო ნიშნები, საცურავი, შესაკეთებელი და მოსამარაგებელი საშუალებანი ფლოტისათვის; 5) ს ა ხ მ ე ლ ე თ ო ბ ა ზ ა, მოქმედი არმიის სამხედრო მარაგი, საწყობები, სარემონტო სახელოსნოები და სხვა; თვით ადგილი, სადაც ასეთი მარაგია არმიისთვის ან რაიმე დაწესებულებისათვის. ნ. ბაზისი.

**ბაზალტ-ი,** მუქი (ხშირად შავი) ამონთხეული ძირითადი ქანი— წვრილმარცვლოვანი ან მკვრივი აგებულებისა; ფიქალი, ფილაქანი.

**ბაზარ-ი,** 1) სამოსასყიდლო ადგილი, საფარდული; სავაჭრო ადგილი, ქულბაქი.

**ბაზედოვ-ის ანუ გრევს-ის სენი,** ამ მეცნიერთა მიერ აღწერილი ავადობა (ჩიყვიანობა, უძილობა, პულსის სიხშირე და სხვა), რომელსაც საფუძვლად უძევს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება,—სწამლობენ მას ანტითირეოიდინით (ნ.):

**ბაზილიკა,** 1) თავდაპირველად— მეფის საცხოვრებელი ბინა; 2) რომაელების სათათბირო,

სასამართლო ან სავაჭრო შენობა; 3) ქრისტიანულ ხანაში —წაგრძელებული ჯვრის ფორმის საყდარი.

**ბაზილიკ-ი,** რეჰანი, შაშპრა—ერთწლიანი სურნელოვანი მცენარე.

**ბაზის-ი,** ფუძე, საფუძველი: 1) გეოდეზიაში—სამკუთხედის გვერდი, რომელიც გაიზომება საგანგებო საზომით; 2) ისტორიულ მატერიალიზმში—ეკონომიკა ანუ საწარმოო ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენების (პოლიტიკურ წყობილების, რელიგიის, ზნეობის და სხვ. ე. ი. ზედნაშენთა) საფუძველს; 3) ენათმეცნიერებაში—საარტიკულაციო **ბაზისი** ანუ **საარტ-ო ბაზა,** —წარმოსათქმელი ორგანოების (ტუჩების, ენის და სხვ.) მდგომარეობა წარმოთქმის დაწყება-გათავებისას, რაც წარმოადგენს წარმოსათქმელ (საარტ-ო) მოძრაობათა თავისებურობის საფუძველს სხვადასხვა ენაში (მაგ. ქართულის საარტ-ო ბაზისი განსხვავდება რუსულისაგან).

**ბაიადერ-ი,** ინდოელ მოცეკვავემომღერალ ქალის სახელწოდება ევროპაში.

**ბაიკა,** ბამბის ორმხრივ ხაოიანი ქსოვილი, —არის მატყლისაც და ბამბანარევიც.

**ბაიონეტ-ი** (-ნნ-), შუბი, ხიშტი.

**ბაირამ-ი,** მუსლიმანთა დღესასწაული, —არის ორი: დიდი და პატარა ბაირამი.

**ბაირონიზმ-ი,** ლიტერატურული მიმართულება ევროპაში 19 საუკ. პირველ ათეულ წლებში, — დაკავშირებულია ინგლისელ პოეტ ბ ა ი რ ო ნ-ის სახელთან: მასში აისახა ფეოდალური ინტელიგენციის უძლური უარყოფითი დამოკიდებულება გარემო სინამდვილისადმი, მისწრაფება შორეულისადმი (კერძოდ—წარსულისადმი) და გაიდეალება უჩვეულო ძლიერი პიროვნებისა, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ფეოდალური ურთიერთობის ნგრევა და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება (რუსეთში ბაირონიზმის განვითარება სჩანს პ უ შ კ ი ნ-ი ს შემოქმედებაში და უფრო მეტად ლ ე რ მ ო ნტ ო ვ-ისაში, ჩვენში ბაირონიზმის წარმომადგენლად ითვლება ნიკ. ბარათაშვილი).

**ბაკალავრ-ი** (ბაკკ-), 1) უდაბლესი სამეცნიერო ხარისხი (ან ასეთის მქონე) ინგლ. უნივერსიტეტში; 2) ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა (საფრანგეთში); 3) პრივატდოცენტი (ნ.) ძველ რუსეთის სასულიერო აკადემიაში.

**ბაკალ-ი** (ბოკალ-ი), ფეხიანი ჭიქა.

**ბაკენბარდები** (მრავლ.), წვერის ნაწილი ლოყებზე ყურებამდე.

**ბაკლაჟან-ი**, ბადრიჯანი.

**ბაკტ-**, ნ. ბაქტ-.

**ბაკუნიზმ-ი**, რევოლუციური ანარქიზმი (ნ.),—რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბ ა კ უ ნ ი ნ-მა: უარყოფს ყოველგვარ სახელმწიფოს, რომელიც მისი აზრით ბოროტებაა, და პროლეტარიატის დიქტატურას; რელიგიის საკითხში ბაკუნიზმი წარმოადგენს მებრძოლ ათეიზმს (ნ.).—**ბაკუნისტ-ი**, ბაკუნიზმის მიმდევარი.

**ბაქქ-ი**, ღვინის ღვთაება (ძველ ბერძენთა და რომაელთა მითოლოგიით).—**ბაქქანალია**, 1) საზეიმო ქეიფი ძველ რომში ბაქქის პატივსაცემად; 2) ღრეობა, თავაშვებული დროს ტარება. —**ბაქქანტ-ი**, ბაქქანალიის მონაწილე.

**ბალაგან-ი**, ფალანგი, სახელდახელო ფიცრული შენობა საქონლის საწყობად, სავაჭროდ ან, განსაკუთრებით, სახალხო სანახაობისათვის. — **ბალაგნური**, ტლანქი, უწმაწური.

**ბალალაიკა**, რუსული სამუსიკო ხალხური დასაკრავი — სამსიმიანი.

**ბალანს-ი**, 1) ორი მოვლენის ან ორი პროცესის შეპირისპირება, მაგ. ს ა ვ ა ჭ რ ო ბ ა ლ ა ნ ს ი —საქონლის შემოზიდვის (იმპორტის) და გაზიდვის (ექსპორტის) შეპირისპირება; ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს ბ ა ლ ა ნ ს ი—ნედლეულის წარმოებისა და მისი მოხმარების შეპირისპირება; ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო ბ ა ლ ა ნ ს ი —სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის წონასწორობა და სხვ.; 2) ბუხჰალტერიაში: რაიმე საწარმის ქონების შეპირისპირება — მისი თვისობრივისა (აქტივი) და წარმოშობის (პასივი) თვალსაზრისით; ანგარიშების შეკრება მოგება-ზარალის გამოსარკვევად.—**ბალანსირ-ი**, წონამასწორი; 1) დატვირთვის გადასაცემი ბერკეტი; 2) საყრდნობ წერტილზე მერყევი ორმხროვანი ბერკეტი; 3) საზღვაო ნავზე მიმაგრებული ძელები—მედეგობის მისანიჭებლად.

**ბალასინ-ი**, სურაია,—მოაჯირის ან რიკულის ხარატული მცირე სვეტი.

**ბალასტ-ი** (-ლლ-), 1) სამძიმი, რომელიც ანიჭებს რაიმე ნაშენს (გემს, ხიდს) მედეგობას; 2) ხრეში (ბეტონის დამზადებაში); 3) რკინისგზის ლიანდაგის ქვედა ფენი მიწამდე; 4) ზედმეტი, გამოუსადეგარი რამ.

**ბალდახინ-ი**, გავალაკი, წარჩინებულ პირთა საწოლის ან დასაჯდომის საჩრდილობელი; აგრეთვე—გასასვენებელი ეტლის მორთულობა; საყდარში: სალხინებელი, ტრაპეზის გავალაკი.

**ბალეტ-ი** (ბალლ-), 1) სასცენო სხეულსახვითი (ე. ი. უსიტყვო სხეულმოძრაობითი და ცეკვითი) წარმოდგენა მუსიკის თანაყოლით; 2) სასცენო ცეკვითი ხელოვნება; 3) ოპერის სხეულსახვითი ან საცეკვაო ნაწილი. **ბალეტმეისტერ-ი**, ბალეტის შემდგენელი, მომწყობი ან ხელმძღვანელი. - **ბალერინ-ი**, სხეულმსახველი, მოცეკვავე ქალი (ბალეტში). ნ. ბალ-ი (1).

**ბალზამ-ი**, 1) მცენარეული სურნელოვანი ფისი; 2) მალამო.— **ბალზამირება**, ვ ა ბ ა ლ ზ ა მ ი რ ე ბ გ ვ ა მ ს, ვმურავ გვამს გახრწნისაგან დასაცავად.

**ბალ-ი** (ბალლ-ი), 1) წვეულება, საცეკვაო . საღამო; 2) ხარისხის მაჩვენებელი ციფრი (მაგ. მოწაფის წარმატებისა, მიწისძვრის სიძლიერისა და სხვა).

**ბალისტიკა** (ბალლ-), მეცნიერება გასროლილ ტყვია-ყუმბარის მოძრაობის შესახებ—ლულაში და ლულის გარეთ.

**ბალიუსტრადა**, ნ. ბალუსტრადა.

**ბალკონ-ი**, აივანი, ფრთედი, წინგარდი.

**ბალმასკარად-ი**, ნ. ბალი და მასკარადი.

**ბალნეოლოგია**, აბანოთმცოდნეობა, მეცნიერება სამკურნალო წყლებისა და ტალახების შესახებ; **ბალნეოთერაპია**, სამკურნალო წყლებითა და ტალახებით მკურნალობა.

**ბალონ-ი** (ბალლ-), 1) ჰაეროსნობაში—აირსათავსი გარსი; 2) ტექნიკაში—შეკუმშული აირის ფოლადის სათავსი.—**ბალონეტ-ი**, აეროსტატის (ნ.) შემადგენელ ნაწილთაგანი.

**ბალოტაჟ-ი** (ბალლ-), 1) ხმის მიცემა წილყრით, კენჭისყრით; კენჭისყრა, წილყრა; 2) ამგვარად ვისიმე არჩევა ან რისამე გადაწყვეტა. — **ბალოტირება**, ვ ა ბ ა ლ ო ტ ი რ ე ბ, წილყრით ვირჩევ,—ვწყვეტ.

**ბალუსტრადა**, მოაჯირი, პარმაღი.

**ბამბაზია**, ბამბეულის ქსოვილი.

**ბალშევიზმ-ი**, ნ. ბოლშევიზმი.

**ბამბუკ-ი**, ლერწმის მსგავსი მაგარღეროიანი ხებალახი, ყარლო,—მისაგან აკეთებენ ავეჯს, მსუბუქ შენობებს და სხვას.

**ბანალური**, ძველჩვეულებრივი, გაცვეთილი, უწმაწური, უგვანო; **ბანალობა**, გაცვეთილობა, უწმაწურობა.

**ბანან-ი**, მძლავრი გემრიელნაყოფიანი ტროპიკული ბალახი,—ჰგავს ხეს.

**ბანდა**, 1) ბრბო ავაზაკთა; 2) შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რომელთა მიზანია სახელმწიფოს მავნებლობა (საბჭოთა კანონმდებლ.). — **ბანდიტ-ი**, ბანდის წევრი, ავაზაკი, მცარცველი; **ბანდიტიზმ-ი**, ბანდის ან ბანდიტის მავნებლური საქმიანობა, ავაზაკობა.

**ბანდაჟ-ი**, 1) არტახი, ამოსაკრავი (მედიც.), 2) ვაგონის ან ორთქლმავლის ბორბლის სალტე.— **ბანდაჟისტ-ი**, ბანდაჟის მკეთებელი.

**ბანდეროლ-ი**, 1) საქონელზე მიწებებული აქციზის ან ბაჟის გადახდილობის მაჩვენებელი სიქა; 2) საფოსტო გარებაბთი.

**ბანდიტ-ი**, **-ზმ-ი**, ნ. ბანდა.

**ბანდო**, ქალის თავსაკრავი (სამკაული).

**ბანდურა**, უკრაინული ფანდური, მრავალსიმიანი ჩანგური, იგივეა რაც კობზა (ნ.).— **ბანდურისტ-ი**, მეფანდურე, ბანდურის დამკვრელი.

**ბანკა**, ყელფართო ქილა, მინის კოტოში.

**ბანკეტ-ი** (**-ტტ-**), საზეიმო წვეულება (სადილი ან ვახშამი), რომელზედაც ჩვეულებრივ წარმოითქმის სიტყვები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა, იმართება ვისიმე პატივსაცემად ან ღირსშესანიშნავ შემთხვევის გამო.

**ბანკ-ი**, 1) საფინანსო დაწესებულება, რომელიც კრედიტის საშუალებით მიიზიდავს თავისუფალ თანხებს და ათავსებს მათ სხვადასხვა საწარმოებში; მისი მიზანია სახალხო მეურნეობის ფულადი მომსახურება და მოწესრიგება; 2) ქაღალდის ერთგვარი თამაში. **ბანკირ-ი**, საბანკო საქმიანობის ხელმძღვანელი ან ბანკის პატრონი (ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში). **ბანკნოტ-ი** ანუ **საბანკო ბილეთი**, ფულის მაგივრობის გამწევი ბანკის უპროცენტო სავალო ვალდებულება,—წარმოადგენს ფასიან ქაღალდს (საბჭოთა კავშირის ბანკნოტია ჩ ე რ ვ ო ნ ე ც ი).

**ბანკროტ-ი**, გაკოტრებული, ვალდატეხილი, შეუძლებელი მოვალე.

**ბანტ-ი**, ბაბთი.

**ბაობაბი**, ძალიან მსხვილი ტროპიკული ხე, იზრდება აფრიკაში, ძლებს 4—5 წლამდე,—მის მერქანსა და ქერქს იყენებენ ადგილობრივ თოკებისთვის, ქსოვილებისთვის და სხვ., ნაყოფს ჭამენ.

**ბაპტისტები** (მრავლ.), საკმაოდ გავრცელებული (განსაკუთრებით —ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში) ქრისტიანული სექტა, რომელიც უარყოფს ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს,

სხვათა შორის—ნათლვას ბავშობის ასაკში. საბჭოთა კავშირში ამ სექტის მიმდევრები წარმოადგენენ წვრილ ბურჟუაზიულ და კულაკურ ელემენტებს.

**ბარაკ-ი,** ალაჩუხი, ხის მსუბუქი სახელდახელო შენობა.

**ბარბარიზმ-ი,** სხვა ენიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც შეეფერება მსესხებელი ენის ნორმებს.

**ბარბარის-ი,** კოწახური, ბუჩქოვანი ეკლიანი მცენარე.

**ბარბაროს-ი,** 1) ძველ ბერძენთა თქმით: უცხოელი, არაბერძენი; 2) ძველ რომაელთა: გერმანელები; 3) უკულტურო, ველური, ტლანქი ადამიანი; 4) ენგელსით: ბ ა რ ბ ა რ ო ს ო ბ ა არის ველურობის მომდევნო საფეხური საზოგადოების განვითარებაში. — **ბარბაროსული,** უკულტურო, ტლანქი, ველური.

**ბარბეტ-ი,** 1) ზარბაზნის დასადგმელი მიწაყრილი სიმაგრეში ან ქიმის ნაწილი გემზე იმავე დანიშნულებისათვის; 2) პატარა საოთახო ბანჯგვლიანი ძაღლის ჯიში.

**ბარდელ-ი,** ნ. ბორდელი.

**ბარდ-ი,** ძველი კელტების მგოსანი.

**ბარელიეფ-ი,** პრტყელ ზედაპირზე ამობურცვით ნაქანდაკევი.

**ბარ-ი,** 1) მდინარის ნალექი შესართავთან; 2) სახამრო, პატარა რესტორანი.

**ბარი,** ნ. ბარიუმ-ი.

**ბარიბალ-ი,** ჩრდ. ამერიკის შავი დათვი.

**ბარიერ-ი,** 1) თარჯი, კადონი, 2) ხაზი დუელანტებს შუა.

**ბარიკად-ი (ბარრ-),** ხერგილი ქუჩაზე, სახელდახელო მასალით (ავეჯეულით, ფიცრებით, ურმებით, ეტლებით, ქვებით...) აგებული სიმაგრე ქუჩაზე. ჩვეულებრივ—აჯანყების დროს.

**ბარისფერო,** მიწისგული (გეოლოგ.). — **ბარიცენტრ-ი,** სიმძიმის ცენტრი.

**ბარიტ-ი,** ნ. ბარიუმი.

**ბარიტონ-ი,** 1) ხილი, მამაკაცის დაბალი ხმა—საშუალო ტენორსა და ბანს შუა; 2) შთასაბერი სამუსიკო იარაღი თითბრისა.

**ბარიუმ-ი,** ქიმიური ელემენტი,— ბუნებაში გვხვდება მარილების სახით: ბარიუმის მარილები აფერადებენ ალს მწვანედ, რის გამოც ისინი გამოყენებულნი არიან მწვანე ბ ე ნ გ ა ლ უ რ ი ც ე ც ხ ლ ი ს დამზადების საქმეში.—**ბარიტ-ი,** მძიმე შპატი, ერთგვარი მინერალი, წმინდა სახით გამჭვირვალე, უფრო ხშირია შეფერილი სხვადასხვა ნარევით. მოიპოვება საბჭოთა კავშირშიც, კერძოდ — საქართველოშიც.

**ბარკა**, ონჩხომელი, სატვირთო პატარა ნავი. — **ბარკაროლა** (-ლლა), 1) მენავური, ვენეციელ მენავეთა სიმღერა; 2) სამუსიკო მელოდიური ნაწარმოები. —**ბარკას-ი**, 1) სანიჩბე დიდი ნავი მძიმე ტვირთებისათვის; 2) მომცრო ორთქლმავალი ნავი.

**ბარკალაიტ-ი**, იაფი და მტკიცე საამშენებლო მასალა, რომლის დამუშავება აღმოაჩინა ბ ა რ- კ ა ლ ა ი ა მ (საქართველოს ჩაის თანამშრომელმა) 1931 წ., —გარეგნულად წააგავს ფიბრს და კარბოლიტს. ბარკალაიტი ამჟამად საქარხნო გამოცდის ფაზაშია; მას ენიჭება მსოფლიო მნიშვნელობა.

**ბაროგრამა, ბაროგრაფ-ი**, ნ. ბარომეტრი.

**ბაროკო** (-კკო), განვითარებულ სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქის სტილი ხელოვნებაში — ე. წ. აღორძინების ხანიდან 18 საუკუნემდე დასავლ. ევროპაში,— ხასიათდება სიხვიადით, მოჭარბებული მორთულობით და სხვ.

**ბარომეტრ-ი**, ატმოსფერული წნევის საზომი საფიზიკო იარაღი. —**ბაროგრაფ-ი**, ატმოსფერული წნევის უწყვეტლივ თვითმწერელი იარაღი. — **ბაროგრამა** (-მმა), ბაროგრაფის ჩანაწერი მრუდი.

**ბარონესა, ბარონეტ-ი**, ნ. ბარონი.

**ბარონ-ი**, 1) ფეოდალიზმის ხანაში: ფეოდალის ყმა-აზნაური, ფეოდის მქონე: 2) აზნაურის ერთერთი ტიტულის მატარებელი. — **ბარონია**, საბარონო მიწა-წყალი. — **ბარონესა** (-სსა), ბარონის ცოლი ან ქალი; **ბარონეტ-ი**, საშუალო ხარისხის აზნაური ინგლისში.

**ბარჟა**, ტვირთსაზიდი საბუქსირო ნავი (ნ. ბუქსირი).

**ბასეინ-ი** (ბასს-), 1) აუზი, ხელოვნური წყალსაცავი; 2) მ დ ი ნ ა- რ ი ს ბ ა ს ე ი ნ ი — ხმელეთის განსაზღვრული ფართობი, საიდანაც ყველა ატმოსფერული ნალექები შეედინება ამ მდინარეს.

**ბას-ი** (ბასს-), 1) ბანი, მამაკაცის ყველაზე დაბალი ხმა; ასეთი ხმის მქონე; 2) სამუსიკო დაბალხმიანი ინსტრუმენტი.—**ბასისტ-ი**, ბასზე ან კონტრაბასზე (ინსტრ.) დამკვრელი.

**ბასილისკო**, 1) ერთგვარი ტროპიკულ სამხრ. აფრიკის თავბიბილოიანი ხვლიკი; 2) ზღაპრ. ცხოველი ძვ. საბერძნეთში: ჯილიანი გველი,—კლავს ადამიანს ერთის დანახვით.

**ბასკაკ-ი**, ძველად რუსეთში: თათრის მეზვერე, ხარკის ამკრები თათრების ბატონობის ხანაში.

**ბასკეტ-ბოლ** (-ლლ), ერთგვარი ბურთაობა (თამაშობა).

**ბასმა,** 1) ბეჭედი თათრის ხანის გამოსახულებით (ძველად რუსეთში), 2) ერთგვარი ოსმალური ჩითი.

**ბასმაჩები** (მრავლ.), ბანდიტები, ყაჩაღები, აბრაგები შუა აზიაში (თურქესტანში, ბუხარაში); **ბასმაჩობა,** ბანდიტიზმი, აბრაგობა ამ ქვეყნებში 1917 წ. რევოლუციამდე.

**ბასონ-ი** (ბასს-), მოსახული ყაითანი — აბრეშუმის, მატყლის ან ბამბის.

**ბასტა!** კმარა! გათავდა!

**ბასტარდ-ი,** 1) სხვადასხვა სახის მცენარეთა ან ცხოველთა შეჯვარედინების ნაყოფი (მაგ. ჯორი); 2) ნაბიჭვარი, უკანონოდ შობილი (ბურჟ. გაგებით).

**ბასტილია,** პარიზის ციხე, პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილე, რომელიც აიღეს და დაანგრიეს აჯანყებულებმა საფრ. დიდი რევოლუციის დასაწყისში (1789 წ.).

**ბასტიონი,** პანეხი, პატნეზი, ციხესიმაგრის გალავნის გამოშვერილი ნაწილი მრავალკუთხედის სახით.

**ბატალია,** 1) ბრძოლა ომში, 2) ბრძოლის სურათი. — **ბატალისტ-ი,** სამხედრო მოქმედებათა მხატვარი. — **ბატალიონ-ი,** ათასეული.

**ბატარეა** (ბატტ-), 1) სამხედრო ზარბაზნებიანი ნაწილი შესაფერი მომსახურების საშუალებებითურთ (ცხენებით, ავტომობილებით...), 2) ფიზიკაში: გალვანურ ელემენტთა ან აკუმულატორთა შეერთება.

**ბატარიზმ-ი** (ბატტ-), მეტყველების ერთგვარი ნაკლი, – გამოიხატება გადაჭარბებულ ჩქარ ლაპარაკში, რის გამოც მეტყველება გაურკვეველია.

**ბატისტ-ი,** მსუბუქი წმინდა ქსოვილი სელის ან ბამბის.

**ბატონ-ი,** მოგრძო ნამცხვარი (პური).

**ბატრაკ-ი,** მუშა სოფლის მეურნეობაში; მემამულის მიერ ან შეძლებულ კულაკურ მეურნეობაში დაქირავებული ბოგანო გლეხი.

**ბაქტერია, ბაქტერიები** (მრავლ), უიარაღო თვალით უხილავი პაწაწა ორგანიზმები,—გავრცელებულია ჰაერში, წყალში, მიწაზე, ცხოველთა სხეულში და სხეულზე; ისინია გამომწვევი დუღილისა, ლპობა-ხრწნისა და სხვ.; ზოგთა მოქმედება სასარგებლოა ადამიანისთვის, ზოგთა—მავნებელი (მაგ. ავადმყოფობის გამომწვევი). — **ბაქტერიოზები** (მრავლ.), ბაქტერიების გამოწვეული მცენარეთა ავადმყოფობანი. — **ბაქტერიოლოგია,** ბაქტერიების შემსწავლელი მეცნიერება; **ბაქტერიოლოგ-ი,** ბაქტერიების

მკვლევარი მეცნიერი.—**ბაქტერიოთერაპია**, ზოგიერთ გადამდებ სნეულებათა მკურნალობა ბაქტერიების ხელოვნურად შეყვანით ორგანიზმში.

**ბაცილა, ბაცილ-ი** (-ლლ-), ჩხირისებრი ერთგვარი ბაქტერია, მაგ. მუცლის ტიფისა, ციმბირულ წყლულისა.

**ბახუს-ი**, იგივეა რაც ბაკქი (ნ.).

**ბეატიფიკაცია**, წმინდანად შერიცხვა (კათოლ. ეკლესიაში).

**ბეგემოტ-ი**, ნ. ბეჰემოტი.

**ბეგ-ი**, თავადი, მთავარი; ბატონი.

**ბედუინები** (მრავლ.), „უდაბნოში მცხოვრებნი“: არაბთა მომთაბარე ტომები (მათ შორის ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ).

**ბეზმენ-ი**, ცალსასწორი, ლოლარიკი.

**ბელადონ-ი** (ბელლადონნა), ბალამწარა, ძაღლყურძენა: შხამიანი მცენარე,—გამოყენებულია მკურნალობაში.

**ბელეტაჟ-ი**, მეორე სართული საცხოვრებელ სახლში ან თეატრში.

**ბელეტრისტიკა** (ბელლ-), პროზაული სიტყვაკაზმული მწერლობა.—**ბელეტრისტ-ი**, სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა ავტორი.

**ბელვედერ-ი**, 1) სახლზე დაშენებული კოშკი, გადასახედი, საცქერელი; 2) ლამაზ მიდამოებში აშენებულ ზოგიერთ სასახლეთა სახელწოდება (მაგ. ვ ა ტ ი კ ა ნ ი ს  ბ ე ლ ვ ე დ ე რ ი, სადაც იმყოფება აპოლონის ცნობილი ქანდაკება — ბ ე ლ ვ ე დ ე რ ი ს  ა პ ო ლ ო ნ ი; ვ ა რ შ ა ვ ი ს  ბ ე ლ ვ ე დ ე რ ი—მარშალ პილსუდსკის და მის შტაბის ადგილ-სამყოფელი).

**ბელვიუ** (ბელლ-), ლამაზი სანახაობა ან შენობა ლამაზ მიდამოებში.

**ბემოლ-ი**, მუსიკაში: მუსიკალური ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი.

**ბენგალური ცეცხლი**, შუშხუნა: სხვადასხვა შენაერთები, რომლებიც წვის დროს გამოსცემენ კაშკაშა ფერად სინათლეს.

**ბენედიქტინ-ი**, ერთგვარი ტკბილი სასმელი.

**ბენეფის-ი**, მსახიობის სასარგებლოდ დადგმული წარმოდგენა (სპექტაკლი, ნ. ეს); **ბენეფიციანტ-ი**, ვის სასარგებლოდაც იდგმება საბენეფისო წარმოდგენა.

**ბენეფიცი, ბენეფიციუმ-ი**, 1) საშ. საუკუნეებში: მეფისმიერ სამსახურისათვის ბოძებული მიწა; 2) კათოლიკური ეკლესიის ქონება; საეკლესიო თანამდებობა

ან ჯილდო ამ თანამდებობის ასრულებისთვის.

**ბენეფიციანტ-ი**, ნ. ბენეფისი.

**ბენზინ-ი**, უსიამოვნო სუნის ადვილ-აალებადი უფერო სითხე,—მიიღება გაზოლინის (ნ.) მეორადი გამოხდის საშუალებით, წარმოადგენს აუცილებელ წვად (საწვავ) მასალას შიდაწვის ძრავთათვის (ავტომობილებში, აეროპლანებში); იხმარება აგრეთვე ქსოვილების ქიმიურ წმენდაში, მკურნალობაში და სხვ.

**ბენზოლ-ი**, უფრო ადვილმოძრავი სითხე,—ადვილხსნადია მრავალ გამხსნელებში (წყალს გარდა), მიიღება ქვანახშირის მშრალი გამოხდით; იხმარება მრავალგვარ ქიმიურ პროდუქტთა მისაღებად.

**ბენუარ-ი**, ლოჟები პარტერის გასწვრივ თეატრში.

**ბერგამოტ-ი**, 1) მსხალატამა, ჰკუტა; 2) ფორთოხლის მონათესავე ხის ნაყოფი, რომლისაგანაც მოიპოება **ბერგამოტის ზეთი**—იხმარება პარფიუმერიაში, მაგ. ოდეკოლონის დამზადებაში.

**ბერდანკა, ბერდან-ი**, ერთგვარი თოფი.

**ბერეიტორ-ი**, ენიოხი, ცხენის მწვრთნელი, ცხენოსნობის მასწავლებელი.

**ბერთოლეს** (ლლ-) **მარილი**, უფერო კრისტალური ფირფიტაკები,—მიღებულია პირველად ფრანგი ქიმიკოსის ბ ე რ თ ო ლ ე ს მიერ, იხმარება მკურნალობასა და ტექნიკაში.

**ბერილ-ი** (-ლლ-ი), მინერალი, რომელსაც აქვს შემდეგი სახეები: 1) ჩვეულებრივი ბერილი—მომწვანო ან მოყვითლო ფერისა, 2) აქვამარინი და 3) ზურმუხტი.—**ბერილიუმ-ი**, ქიმიური ელემენტი, ვერცხლის ფერის მინერალი.

**ბერსალიერები** (მრავლ.), ჯარის მსროლელი ნაწილები იტალიაში.

**ბერსეზ-ი**, იავნანა.

**ბერტოლეს მარილი**, ნ. ბერთოლეს მარილი.

**ბესემერის** (ბესს-) **ფოლადი**, თუჯისაგან მიღებული ფოლადი,—მოიგონა ბ ე ს ე მ ე რ მ ა.—**ბესემერირება**, ვაბესემერირებ ან **ბესემერვა**, ვბესემერავ – ვამზადებ ფოლადს თუჯისაგან ბესემერის ხერხით.

**ბესტიარიები** (მრავლ.), ზოოლოგიური კრებულები საშ. საუკუნეებში, ცხოველთა აღწერა ლექსად ან პროზით.

**ბეტონ-ი**, უაღრესად მტკიცე სამშენი მასალა,—შენაერთი ბალასტისა (ხრეშის, ხვინჭის...), შემკვრელ ნივთიერებისა (ცემენტის, კირის...) და წყლისა.

**ბეჰემოტ-ი, ბეჰემოთ-ი,** სპილოლორი: დიდტანოვანი წვრილჩლიქიანი ძუძუმწოველთა ჯიშის ცხოველი,—ცხოვრობს ცენტრ. აფრიკის მდინარეებში; მის ხორცს სჭამენ.

**ბი-,** დაერთვის ზოგიერთ ლათინურ და ბერძნულ ტერმინებს თავში და ნიშნავს გაორკეცებას, გაორმაგებას, მაგ. **ბიგამია,** ორცოლიანობა, **ბინარული,** ორმაგი, **ბინომი,** ორწევრა და სხვა.

**ბიანდრია,** ორქმრიანობა.

**ბიბლია,** „საღვთო" წიგნები ებრაელთა (ძველი აღთქმა) და ქრისტიანთა (ძველი და ახალი აღთქმა),—ლეგენდური, ისტორიული, დამრიგებლობითი და სხვა მრავალგვარი შინაარსისა; მეცნიერულმა კრიტიკამ გამოაშკარავა მათში ისტორიული ფაქტების დამახინჯება, მრავალი წინააღმდეგობანი, სიყალბე, უაზრო მოძღვრებანი და უზნეო უწმაწური მოთხრობანი; დამტკიცდა აგრეთვე, რომ მათში მრავალი რამ ნასესხებია ე. წ. წარმართული წყაროებიდან.

**ბიბლიოგრაფია,** 1) წიგნთაღწერა, წიგნთმცოდნეობა: ცოდნის დარგი, რომელიც აღწერს ბეჭდურ გამოცემათა ყოველგვარ სახეს (წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვ.) და განსაზღვრული წესით დაალაგებს აღწერის შედეგებს; 2) ახლად გამოსულ რაიმე ნაწარმოებთა მოკლე აღწერა ან განხილვა; 3) რაიმე საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის დასახელება მოკლე აღწერითურთ.— **ბიბლიოგრაფ-ი,** წიგნთაღმწერი.

**ბიბლიოთეკა,** წიგნთსაცავი: დაწესებულება, სადაც აგროვებენ ბეჭდურ გამოცემებს განსაზღვრული წესით, ინახავენ მათ და გასცემენ საკითხავად.

**ბიბლიომანტია,** წიგნით მისნობა,—მკითხაობა, ერთგვარი ცრუმორწმუნეობა.

**ბიბლიოფილ-ი,** წიგნთმოყვარული, წიგნთშემკრები.

**ბიგამია,** ორცოლიანობა.

**ბიდე,** საქალო პატარა აბაზანა (სასქესო ორგანოს დასაბანი).

**ბიდონ-ი,** სითხის შესანახი თუნუქის ჭურჭელი.

**ბივუაკ-ი, ბივაკ-ი,** ლაშქართსადგომი კარვებში — უმოსახლეო ადგილზე.

**ბივშტექს-ი,** ძროხისხორცის დაბეგვილი და მოხრაკული ნაჭერი.

**ბიზანტინისტ-ი,** ბიზანტიის მცოდნე და მკვლევარი.

**ბიზონ-ი,** დიდტანოვანი გარეული ხარი.

**ბილდაპარატ-ი (-აპპარატ-ი),** სურათის შორეულ მანძილზე გადამცემი მოწყობილობა.

**ბილეთ-ი,** რაიმე უფლების დამადასტურებელი წერილობითი

საბუთი, მაგ. სამგზავრო, სადმე შესასვლელი და სხვ.

**ბილ-ი (ბილლ-)**, ინგლისის პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი,—კანონის სახეს მიიღებს მეფისმიერ ხელმოწერის შემდეგ.

**ბილიარდ-ი (ბილლ-)**, 1) ერთგვარი თამაში ძვლის ბირთვებით საგანგებო მაგიდაზე; 2) ასეთი მაგიდა.

**ბილიონ-ი (ბილლ-)**, საფრანგეთში: მილიარდი; გერმ. და ინგლისში: მილიონჯერ მილიონი (ათასი მილიარდი).

**ბილონ-ი (ბილლ-)** 1) არასრულღირებული სახურდაო ფული; 2) სპილენძმოჭარბებული შენადნობი ვერცხლთან.

**ბიმეტალიზმ-ი (-ლლ-)** ანუ **ორმეტალური ვალუტა**, ფულის სისტემა, რომლის თანახმადაც გადახდის კანონიერ საშუალებად მიღებულია ოქრო და ვერცხლი.

**ბიმს-ი, ბიმსები** (მრავლ.), გემის განივი კოჭები,—იჭერენ გემბანს.

**ბინარული**, ორმაგი, ორწევრიანი.

**ბინოკლ-ი**, შორსათვალე, ორთვალა დურბინი, — წარმოადგენს ორი სამხედველო მილის შეერთებას.

**ბინოკულარული**, საორთვალო, ორთვალური: **ბინოკულარული მხედველობა**, ჩვეულებრივი მხედველობა ორი თვალით ერთჟამიერად.

**ბინომ-ი**, ორწევრა (მათემატ.).

**ბინტ-ი**, ქსოვილის ზოლისებრი, გრძელი ნაჭერი,—იხმარება შესახვევად.

**ბიო-**, რთული სიტყვის პირველი ნაწილი ისეთ ტერმინებში, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე მეცნიერებას სიცოცხლის მოვლენათა შესახებ, მაგ. ბიოლოგია, ბიოდინამიკა და სხვა.

**ბიოგენეზის-ი**, სიცოცხლის ჩასახვა; **ბიოგენეტიკა**, მეცნიერება სიცოცხლის ჩასახვის შესახებ.

**ბიოგეოგრაფია**, მეცნიერება მცენარეთა და ცხოველთა გავრცელების შესახებ დედამიწაზე ბუნების პირობებთან შეფარდებით.

**ბიოგრაფია**, ცხოვრების აღწერა; **ბიოგრაფ-ი**, ცხოვრების აღმწერი.

**ბიოდინამიკა**, მეცნიერება სასიცოცხლო მოქმედების შესახებ.

**ბიოლით-ი, ბიოლითები** (მრავლ.), მცენარეულ და ცხოველურ ნაშთებისაგან წარმოქმნილი მინერალები და ქანები (მთის ჯიშები), მაგ. ქვანახშირი შედეგია მცენარეულ ორგანიზმების გადაქმნისა.

**ბიოლოგია**, მეცნიერება სიცოცხლის შესახებ—**ზოგადი ბიოლოგია**. ბიოლოგია შეიცავს მრავალ

სპეციალურ მეცნიერებებს: ბოტანიკას, ზოოლოგიას, ფიზიოლოგიას და სხვას.—**ბიოლოგი**, ბიოლოგიის მცოდნე და მკვლევარი. — **ბიოლოგიური სადგური**, მცენარეთა და ცხოველთა შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულება.

**ბიომეტრია**, ბიოლოგიის ერთი დარგთაგანი, რომელიც იყენებს სტატისტიკურ მეთოდს სხვადასხვა ბიოლოგიურ მოვლენათა (მემკვიდრეობისა, შერჩევისა და სხვ.) შესწავლაში.

**ბიომექანიკა**, ანატომიისა და ფიზიოლოგიის ერთი ნაწილი,—სწავლობს ცხოველთა და ადამიანის მოძრაობებს.

**ბიონტ-ი**, სიცოცხლის ერთეული, რომელსაც აქვს სასიცოცხლო დამოუკიდებლობა — იკვებება და მრავლდება.—**ბიონტოლოგია**, მეცნიერება ორგანიზმების შესახებ, იგივეა რაც **ბიოლოგია**. როცა ეს ნიშნავს მეცნიერებას მცენარეთა და ცხოველთა შესახებ.

**ბიოფიზიკა**, ფიზიკის ნაწილი, რომელიც იყენებს ფიზიკურ კანონებს სიცოცხლის მოვლენების ასახსნელად.

**ბიოფორ-ი, ბიოფორები** (მრავლ.), სიცოცხლის მატარებელი უმცირესი ერთეულები, რომელთაც აქვთ სასიცოცხლო თვისებები,—იკვებებიან და მრავლდებიან.

**ბიოფსიქოლოგია**, ფსიქოლოგიის ნაწილი,—სწავლობს ცხოველთა ფსიქიურ მოვლენებს (იგივეა, რაც ზოოფსიქოლოგია).

**ბიოქიმია**, ბიოლოგიური ქიმია: მეცნიერება, რომელიც იკვლევს ცოცხალ ორგანიზმში ქიმიურ პროცესებს.

**ბიპლან-ი**, ორწყებაფრთებიანი ჰაეროპლანი.

**ბირჟა**, 1) სავაჭრო გარიგებათა მოსახდენი ადგილი, 2) გამყიდველთა და მყიდველთა კრება, სადაც ხდება სავაჭრო გარიგებანი; აგრეთვე თვით დაწესებულება და შენობა, სადაც ეს ხდება; 3) მეეტლეთა გასაჩერებელი ადგილი ქალაქში.—**შრომის ბირჟა**, შრომის მოთხოვნისა და მიწოდების საშუამავლო დაწესებულება,—აწესრიგებს ნაწილობრივ მუშახელს.—**ბირჟაზე თამაში**, კაპიტალისტურ ქვეყნებში: ფასიანი ქაღალდების ფასის აწევ-დაწევაზე თამაში.

**ბის**, 1) განმეორება (მუსიკაში), 2) განმეორების მოთხოვნა დამსწრეთა მიერ (მაგ. თეატრში). —**ბისირება, ვუბისირებ**, მოვითხოვ განმეორებას; **ვბისირობ**, ვიმეორებ მოთხოვნისამებრ.

**ბისერ-ი**, მძივი, შუშის ან ლითონის მარცვლები,—იხმარება სამკაულად.

**ბიხექხუალობა,** 1) ორსქესოვნობა; 2) ორგვარი სქესობრივი მიზიდულობა ერთსა და იმავე პიროვნებაში (ქალისა და ვაჟისადმი) — დამოუკიდებლივ სასქესო ორგანოების ანატომიურ აგებულობისა.

**ბისექტრის-ი** (**ბისს-**), შუამკვეთი, კუთხის შუაზე გამყოფი წრფე (მათემატიკაში).

**ბისკვიტ-ი,** 1) ერთგვარი ნამცხვარი; 2) ორჯერ გამომწვარი, მოუჭიქავი ფარფორი (ნ.).

**ბისმუთ-ი,** 1) ქიმიური ელემენტი, 2) მოწითლო თეთრი მინერალი,—მოიპოება ბუნებაში, უმთავრესად სხვადასხვა მადანში ნარევის სახით,—იხმარება ადვილდნობადს შენადნობებში, აგრეთვე მკურნალობაში.

**ბისონ-ი** (**ბისს-**), 1) ხეზი, ძაფი და სირმა ერთად შესთული; 2) ტილოსი ან ბამბის ძვირფასი ქსოვილი ძველად; 2) **ბისონ-ი** ანუ **ბისუს-ი**, ერთგვარ მოლუსკების ორგანო, რომლითაც ისინი მიემაგრებიან წყალქვეშ საგნებს.

**ბისუს-ი** (**ბისს-**), ნ. ბისონი (3).

**ბიტუმები** (მრავლ.), ნახშირწყალბადის ამონათხარი პროდუქტები —თხევადი (ნავთი) და მყარი (ასფალტი).

**ბიტენგ-ი,** სალუზე ბაგირის დასამაგრებელი ძელი გემბანზე.

**ბიტიუგ-ი,** სინიბი, რუსული სატვირთე ცხენი.

**ბიუვარი,** რვეული ან მუყაოს პორტფელი საშრობი ქაღალდისათვის.

**ბიულეტენ-ი** (**ბიულლ-**), 1) სასწრაფო მოკლე ცნობა ღირსშესანიშნავი ამბის შესახებ; 2) ხანგამოშვებითი ანგარიში სამეცნიერო დაწესებულებისა, ყრილობისა და სხვ.; 3) საარჩევნო ფურცელი.

**ბიურგერ-ი,** მოქალაქე; შეძლებული მოქალაქე; ბურჟუა. — **ბიურგერმეისტერ-ი,** ქალაქისთავი.

**ბიურეტ-ი,** სითხის საწყავი შუშის მილი.

**ბიურო,** 1) კანცელარიის განყოფილება, 2) დაწესებულების, ყრილობის, კავშირის და სხ. ხელმძღვანელი ორგანო; 3) საწარმოს ადმინისტრაციის ნაწილი.

**ბიუროკრატია,** 1) ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც მართვა - გამგეობას ახორციელებს მასების ინტერესს დაშორებული მოხელეობა (ჩინოვნიკობა), რომელსაც ახასიათებს საქმისადმი ფორმალური მოპყრობა, ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტილობა, თვითნებობა და სხ.; 2) ასეთი მოხელეობა, მოხელეთა ერთობლიობა.—**ბიუროკრატ-ი,** ბიუროკრატიის

წარმომადგენელი ან ბიუროკრატიზმის დამცველი, გამტარებელი. —ბიუროკრატიზმ-ი, მართვა-გამგეობის ან საქმის წარმოების ისეთი წესი, როცა საქმე ჭიანურდება, ე. ი. შესრულება გვიანდება; როცა დაწესებულების შენახვა უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე თვით საქმე მოითხოვს; როცა საქმეს აწარმოებენ ფორმალურად და კანცელარიულად და ცხოვრებაში არ აქცევენ ფართო მასების აზრსა და სურვილს; როცა მოხელეები ბოროტმოქმედებას სჩადიან და სხვა.

**ბიუსტ-ი.** 1) ადამიანის ტანის ზედა ნაწილი, მკერდი; 2) ტანის ზედანაწილის ქანდაკებრივი გამოსახულება.

**ბიუჯეტ-ი.** 1) ციფრებში გამოსახული გეგმა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლისა; 2) რაიმე მეურნეობის ან საწარმოს შემოსავალ-გასავლის ვარაუდი, ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტს ადგენენ განსაზღვრული ვადისას, ჩვეულებრივ—ერთ წლისას).

**ბიფილარ-ი,** ორძაფა საკიდარი; **ბიფილარული,** ორძაფა, ორძაფოვანი.

**ბიფურკაცია,** ორად განშტოება: 1) ანატომიაში — ძარღვის ან ნერვის; 2) მდინარის ორ ნაწილად გაყოფა, რომლებიც ცალკე მიედინებიან ბოლომდე; 3) სასწავლებლის განშტოება ორ სპეციალობად ან განყოფილებად.

**ბიფშტექს-ი,** ნ. ბიფშტექსი.

**ბიცეპს-ი,** ორთავიანი კუნთი.

**ბიჰევიორიზმ-ი** (მოძღვრება ყოფა-ქცევის შესახებ), ადამიანისა და ცხოველის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება.—იკვლევს მათს ყოფაქცევას ობიექტური მეთოდით და არა ცნობიერების (შეგრძნება, გრძნობა, წარმოდგენა, შემეცნება) მიხედვით; ბიჰევიორიზმი ეყრდნობა რეფლექსოლოგიას (ნ. ეს).

**ბლამანჟე.** მაზა. საჭმელი: ტკბილი საჭმელი.

**ბლანკ-ი,** 1) რაიმე საბუთის შესადგენად გამზადებული ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ბეჭდურად წარწერილია, მაგ. სათანადო დაწესებულების მხოლოდ სახელწოდება ან გამოსახულება; 2) სათაურიანი და ვამკვეთი პირის ხელმოწერილი ფურცელი ქაღალდისა რაიმე საბუთის შესადგენად, მაგ. სათამასუქო ბლანკი.

**ბლანკიზმ-ი,** საფრანგეთის რევოლუციური სოციალისტური მიმართულება, რომელიც უტოპიურ სოციალიზმის სხვადასხვა სახეობათაგან ყველაზე ახლოს

დგას მარქსიზმთან,—დაკავშირებულია საფრანგ. რევოლუციონერის ბლანკი-ს (1805—1881) სახელთან: 1) ახალი სოციალური წყობილება შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც სავსებით განადგურებულია ძველი სახელმწიფოს აპარატი, ე. ი. მუშათა კლასმა ხელში უნდა ჩაიგდოს მთელი ხელისუფლება; 2) ბურჟუაზიული წყობილების დროს მუშათა კლასისთვის მიუღებელია დემოკრატიული ბრძოლის გზა; 3) ძველის გასანადგურებლად აუცილებელია რევოლუციური უმცირესობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება; 4) საჭიროა რევოლუციური ინტელიგენციის მიზიდვა მუშათა კლასის ინტერესებისათვის საბრძოლველად.—მარქსიზმისაგან ბლანკიზმს აშორებს ისტორიულ მატერიალიზმის გაუგებრობა და ისტორიაში პიროვნებისათვის გადაჭარბებულად დიდი როლის მინიჭება.—**ბლანკისტ-ი**. ბლანკიზმის მიმდევარი.

**ბლასტოდერმა**, ბიოლოგიაში: კვერცხის დანაწევრების შემდეგ ერთ ფენად შეერთებულ უჯრედთა ერთობლიობა; **ბლასტომერები** (მრავლ.), კვერცხის დანაწევრებისას მიღებული ემბრიონული უჯრედები; **ბლასტულა**, მრავალუჯრედიან ცხოველთა კვერცხის განვითარების ერთერთი საფეხური—დანაწევრების დამთავრების შედეგი.

**ბლენდა** ან **ბლენდ-ი**, კინემატოგრაფიაში: კადრის ან მისი ნაწილის თანდათან გამოსაჩენი ან დასაბნელებელი დიაფრაგმა.

**ბლენორეა (ბლენნორრეა)**, თვალის ქუთუთოს ლორწოვანი გარსის ჩირქიანი ანთება.—გამოწვეულია სუსუნატის ჩირქის მოხვედრით თვალში; ემართება ახლად შობილსაც ავადმყოფ დედისაგან მშობიარობის დროს.

**ბლეფარიტ-ი**, წამწამების ანთება.

**ბლიკ-ი**, მხატვრობაში: გლუვ ამობურცულ საგანზე არეკნილი სინათლე.

**ბლინდაჟ-ი**, პატნეხი: საგანგებო თავშესაფარი შენობა ომში,—იცავს ჯარისკაცებს ყუმბარებისა და მისი ნამსხვრევებისაგან (სამხედ.).

**ბლინ-ი**, მაჭკატი: ერბოკვერცხით დამზადებული მრგვალი ლავაში.

**ბლოკადა**, 1) ალყა, ქორაბანდი; 2) მოწინააღმდეგე ქვეყნის მოწყვეტა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში შეიარაღებული ძალების საშუალებით ან ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებებით. ბლოკადას შეიძლება ადგილი ჰქონდეს რო-

გორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს.

**ბლოკ-ი**, 1) პალი, სიმძიმის ასაწევი მარტივი მანქანა; 2) პოლიტიკაში: პოლიტიკური პარტიების ან ჯგუფების შეთანხმება განსაზღვრული დროით—რაიმე საერთო პოლიტიკური მიზნის განსახორციელებლად.

**ბლოკნოტ-ი**, შენიშვნების ჩასაწერი მოსახევფურცლიანი რვეული.—საჯიბე ან სამაგიდო.

**ბლოკჰაუს-ი**, მტრის მოსაგერიებელი თავდასაცავი შენობა,—გამოსადეგია საცხოვრებლადაც.

**ბლონდა** ან **ბლონდ-ი**, აბრეშუმის მაქმანი, ლეჩაქი.—**ბლონდინ-ი**, ქერა, თეთრგვრემანი (ვაჟი ან ქალი).

**ბლუზა** ან **ბლუზ-ი**, ხალათი.

**ბოა**, 1) მახრჩობელა გველის ერთერთი გვარი, უშხამო, დიდტანოვანი; იკვებება პატარა ცხოველებით; 2) ბეწვიანი გრძელი ყელსახვევი ქალისა.

**ბობი (ბობბი)**, ინგლისელ პოლიციელის ზედმეტი სახელი.

**ბოგდიხან-ი**, ჩინეთის იმპერატორის ტიტული მონღოლებში.

**ბოგემა**, ნ. ბოჰემა.

**ბოიკოტ-ი**, სახლისშეკვრა; ურთიერთობის შეწყვეტა პირთან, დაწესებულებასთან ან სახელმწიფოსთან,—წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ერთერთ მნიშვნელოვან ფორმას.

**ბოი-სკაუტიზმ-ი**, ბურჟუაზიული აღზრდის ერთერთი ახალი (20 საუკ. დასაწყისიდან) ფორმა კაპიტალისტურ ქვეყნებში,—წარმოადგენს ბურჟუაზიის მიერ ახალგაზრდობის თავის იდეოლოგიური გავლენის ქვეშ დაკავების ცდას. ბ ო ი-ს კ ა უ ტ-ი („ბიჭი-მზვერავი") იმსჭვალება პატრიოტიზმით, მორწმუნეობით. მეფისადმი ერთგულებით, მშობლებისადმი მორჩილებით და სხვა ასეთით; ვითარდება ფიზიკურ ვარჯიშობაში და ეჩვევა მკაცრ. დისციპლინას.

**ბოკალ-ი**, ნ. ბაკალი.

**ბოკს-**, ნ. ბოქს-.

**ბოლანდისტები** (მრავლ.: **ბოლლ-**), ბერ-იეზუიტთა სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც სცემს (17 საუკუნიდან დღემდე) კათოლიკურ ეკლესიის წმინდანთა ცხოვრებებს.

**ბოლომეტრ-ი**, ტემპერატურის უზუსტესად საზომი ხელსაწყო.

**ბოლტ-ი**, ჭანჭიკი, რკინის ცილინდრული ღერო, რომლის ერთი ბოლო გამსხვილებულია, მეორე — მოხრახნული, — იხმარება მანქანების ნაწილთა ერთმანეთთან მისამაგრებლად.

**ბოლვერკ-ი** (**ბოლლ-**), წყლის ციცაბო ნაპირების გასამაგრებელი საბჯენი კედელი ხისა.

**ბოლშევიზმ-ი**, თავდაპირველად რუსეთის, ბოლო შემდეგ საკავშირო და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რევოლუციურ-მარქსისტული მიმდინარეობა, რომელიც ჩაისახა 1903 წელს ყოფილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. დაუპირისპირდა მენშევიზმს და წარმოადგენს ლენინიზმის გზით განახლებულ რევოლუციურ მარქსიზმს ფინანსიური კაპიტალიზმისა, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ხანაში.—**ბოლშევიკ-ი**, ბოლშევიზმის მიმდევარი; **ბოლშევიზაცია**, გაბოლშევიკება.

**ბოლუს-ი**, ერთგვარი შავწითელი, ყვითელი და მწვანეყვითელი თიხა,—იხმარება მაუდის სათელავ ქარხნებში, რადგანაც კარგად შეიწოვს ქონებს; იხმარება აგრეთვე როგორც სალებავი, მოვარაყების საქმეში და სხვ.

**ბომბა ან ბომბ-ი**, ყუმბარა, შავცეცხლი.—**ბომბარდა**, ძველებური (14-16 საუკ.) ზარბაზანი.—**ბომბარდირ-ი**, არტილერიის ჯარისკაცის წოდება რევოლუციამდე რუსეთში.—**ბომბარდირება**, **ვუბომბარდირებ**, ყუმბარებს ვუშენ სახმელეთო ან საზღვაო ზარბაზნებით, აგრეთვე —საჰაერო ფლოტით.

**ბომბანიერკა**, ნ. ბონბონიერი.

**ბომონდ-ი**, მაღალი წრე, არისტოკრატიული საზოგადოება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

**ბონა (ბონნა)**, გამდელი, გადია.

**ბონაპარტიზმ-ი**, 1) ბურჟუაზიული ბატონობის ერთერთი ფორმა, რომელიც გამოიხატება ძალაუფლების ერთპიროვნული დიქტატორისათვის გადაცემაში სამხედრო ძალაზე დაყრდნობით. 2) კერძოდ: პოლიტიკური მიმართულება საფრანგეთში ნაპოლეონ I-ის დაცემის შემდეგ,—მიზანი: იმპერიის აღდგენა ბონაპარტების სათავეში ჩასაყენებლად. **ბონაპარტისტ-ი**, ბონაპარტიზმის მომხრე.

**ბონბონიერ-ი (ბონბონნ-)**, კანფეტების ჩასაწყობი, ფერადი ქაღალდით მორთული კოლოფი.

**ბონვივან-ი**, კარგი ცხოვრების მოყვარული, მოქეიფე.

**ბონზა**, ბუდისტების მღვდელი ევროპულად.

**ბონ-ი, ბონები**, 1) რაიმე ღირებულების (ჩვეულებრივ—ფულის) მისაღები საბუთი; 2) ფულის მაგიერი ნიშნები ქაღალდისა.

**ბონიფიკაცია**. 1) ვაჭრობაში: ფასის დაკლება საქონელზე, უკეთუ საქონელი შეპირებულზე დაბალი ხარისხის აღმოჩნდება (ნ. დეკორტი); აგრეთვე—ფასის დამატება, თუ საქონელი შეპირებულზე მაღალი ხარისხისაა: 2) მყიდველის დაჯილდოება

ნ ყიდის ოდენობისათვის; 3) დაჯილდოება მოსამსახურისა სავაჭრო დაწესებულებაში გაყიდული საქონლის რაოდენობისათვის.

**ბონტონ-ი.** ზრდილობა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოფაქცევის წესები.

**ბონმო.** გონებამახვილური სიტყვა, ნაკვესი.

**ბორა,** ძლიერი ქარი ზოგიერთი ზღვის ნაპირებზე ზამთრობით.

**ბორაციტ-ი,** უფერო (ან თეთრი) მინერალი.—მისაგან მიიღება **ბორ-ის მჟავა,** კრისტალური ბრჭყვიალა ფირფიტაკები,—იხმარება როგორც სადეზინფექციო საშუალება (წყალში გახსნილი) პირში ან ყელში სავლებად, თვალის ამოსაბანად და სხ.

**ბორდელ-ი.** საროსკიპო სახლი.

**ბორდერო.** 1) საბუთებთან და ფასიან ქაღალდებთან ერთად წარგზავნილი მათი დაწვრილებითი სია; 2) ბანკის ან მაკლერის მიწერილობა კლიენტებისადმი—ამ უკანასკნელთა დავალების შესრულების შესახებ.

**ბორდიურ-ი** ან **ბორდურ-ი,** არშია; სტამბაში: ტექსტში ან ყდაზე ჩარჩოსებრ სამკაულის შესადგენი ფიგურა.

**ბორდო.** 1) ბორდოული ღვინო (ქალაქ ბ ო რ დ ო-დან), წითელი ან თეთრი; 2) მუქწითელი ფერი, აგრეთვე საღებავი; 3) **ბორდოული სითხე,** მცენარეთა სოკოებით დაავადებასთან საბრძოლველი საშუალება.

**ბორეი** ან **ბორეას-ი,** ჩრდილოური ქარის ღვთაება (ძვ. საბერძნ.).

**ბორის მჟავა.** ნ. ბორაციტი.

**ბორტ-ი.** გვერდი, კიდე, ქიმი: ხომალდის გვერდითი ფართეული (გვერდითი ზედაპირი). ბილიარდის კიდე.

**ბორშჩ-ი. ბორშ-ი,** ჭარხლის (ან უმისო) კარტოფილიანი ან კომბოსტოიანი მომჟავო წვენი.

**ბოსკეტ-ი.** პატარა ბაღი სახლთან; შეკრეჭილი ხეები ბაღში; ჭალარა ტყე.

**ბოსტონ-ი.** ქაღალდის ერთგვარი თამაში ოთხის მონაწილეობით.

**ბოტანიზირება,** ნ. ბოტანიკა.

**ბოტანიკა,** მეცნიერება მცენარეთა შესახებ.—სწავლობს მათ ფორმას, აგებულობას, სიცოცხლეს, განვითარებას, გავრცელებულობას და სხ.—**ბოტანიკოს-ი,** ბოტანიკის მცოდნე, ბოტანიკის დარგებში მომუშავე და მკვლევარი. — **ბოტანიკური ბაღი,** მცენარეთა გასაშენებელი დაწესებულება სასწავლო ან სამეცნიერო-საკვლევ მიზნებით. —**ბოტანიკური გეოგრაფია,** ბოტანიკის ერთერთი დარგი,—სწავლობს მცენარეთა დედამიწაზე გავრცელების საკითხებს.

—**ბოტანოგრაფია**, მცენარეთ-აღწერა. —**ბოტანოლოგია**=ბოტანიკა. — **ბოტანისტ-ი**=ბოტანიკოსი. — **ბოტანიზირება**, ვა-**ბოტანიზირებ**, მეცნიერულად ვკრებ და ვიკვლევ მცენარეულობას.

**ბოტ-ი**, კანჯო, ცალანძა ხომალდი.—**ბოტები** (მრავლ.), საზამთრო თბილი ფეხსაცმელი—კალოშ-ფეხსაცმელი.

**ბოტულიზმ-ი**, ავადმყოფობა,—გამოწვეულია ე. წ. ძეხვის შხამით მოწამლვის ნიადაგზე.

**ბოტფორტები** (მრავლ.), მაგარყელიანი მაღალი ჩექმები ფართო მილძაბრათი.

**ბოქს-ი**, ინგლისური კრივი,—წარმოებს განსაზღვრული წესების მიხედვით; **ბოქსიორ-ი** ან **ბოქსერ-ი**, მოკრივე, კრივის მოყვარული.

**ბოქსიორთა (ბოქსერთა) მოძრაობა**, გლეხური მოძრაობა ჩინეთში უცხოელთა (ევროპელთა) წინააღმდეგ, რომელთაც შექონდათ ჩინეთში კაპიტალიზმი და მცარცველური პოლიტიკა. 1900 წ. მოხდა **ბოქსიორთა ამბოხება** ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის თაოსნობით, რომელსაც მხარი დაუჭირა გლეხთა ფართო-მასსამ: ევროპის სახელმწიფოებმა სასტიკად ჩააქრეს ამბოხება და ჩინეთს დაადვეს დიდი კონტრიბუცია (67 მილიონ გირვ. სტერლინგამდე). საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც ეკუთვნოდა ამ თანხის 30%-მდე, უარი განაცხადა თავის წილზე.

**ბოქსიტ-ი**, მინერალი, აყალოის ჰიდრატების ნარევი.

**ბოშა, ბოშები** (მრავლ.), ციგანი, ციგნები (ამ მომთაბარე ხალხის ქართული სახელწოდება არის **აწინკანი**).

**ბოჩკა** ან **ბოჭკა**, კოდა: 1) სითხის ან ფხვიერ ნივთიერებათა შესანახი ჭურჭელი, ჩვეულებრივ—ხისა; 2) სითხის საწყავი—40 ვედრო.

**ბოცმან-ი**, გემის უფროსის უშუალო თანაშემწე.

**ბოჰემა**, დეკლასირებული ინტელიგენციის სოციალური ჯგუფი, რომელმაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ხელოვნების სხვადასხვა დარგში; ასეთი სახელწოდება დაურქვა ამ ჯგუფს საფრანგეთში, სადაც **ბოშებს** (ანუ **აწინკნებს**) ეძახდენ ბოჰემიელებს (ე. ი. ჩეხელებს), რადგან მათ თვლიდენ ბოჰემიიდან მოსულებად; აწინკნები კი ცნობილნი იყვნენ თავიანთი უზრუნველი, უწესრიგო და ხელვიწრო ცხოვრებით.

**ბრა**, კედლის შანდალი ანუ სასანთლე—ერთისა ან რამდენიმე სანთლისათვის.

**ბრაბანსონ-ი,** 1) ბელგიური სარევოლუციო სიმღერა; 2) **ბრაბანსონები** (მრავლ.), სატვირთო ცხენის ბელგიური ჯიში.

**ბრადიკარდია,** პულსის შენელება.

**ბრავადა,** ბაქიაობა, გაუმართლებელი მკვეხარობა.

**ბრავო,** 1) კაცისმკვლელი, დაქირავებული მკვლელი იტალიაში (17—18 საუკ.); 2) ვაშა! მოწონების ძახილი. — **ბრავისიმო** (-**სსიმო**), მოწონების მაღალი ხარისხის ძახილი.—**ბრავურა,** გაბედულობა, სიმამაცე; მუსიკაში: ნაწარმოების გაბედულად შესრულება.

**ბრაკეტ-ი,** კედლის შანდალი ელექტრონის ნათურებისათვის.

**ბრაკ-ი** (**გერმ.**), 1) რაიმე თვისების გამო დაწუნებული საქონელი; 2) წუნი.—**ბრაკვა, დაბრაკვა, ვბრაკავ.** წუნს ვდებ, ვიწუნებ.

**ბრაკონიერობა, ბრაკონაჟ-ი,** სხვის კუთვნილ ადგილზე ნებადაურთველად ნადირობა,—წარმოადგენდა (ფეოდალიზმის ხანაში) მიწათმფლობელ აზნაურთა პრივილეგიების დარღვევას და ისჯებოდა სასტიკად, ზოგჯერ—სიკვდილითაც. —**ბრაკონიერ-ი,** სხვის მიწა - წყალზე ნებადაურთველად მონადირე.

**ბრაკტეატები,** ნ. ბრაქ-.

**ბრამა-,** ნ. ბრაჰმა-.

**ბრანდერ-ი,** 1) საწვავი მასალითა და ასაფეთქებელი მასალით დატვირთული ხომალდი—მტრის ხომალდებისა ან ხიდების ასაფეთქებლად,—იხმარებოდა ხის ფლოტის ხანაში; 2) განზრახ ჩაძირული ხომალდი—ნავსადგურში შესავლის შესაკრავად.— **ბრანდვახტ-ი,** სადარაჯო ხომალდი ნავსადგურზე.—**ბრანდმაიორ-ი,** ქალაქის სახანძრო რაზმების უფროსი. — **ბრანდმაუერ-ი,** ცეცხლმაშორი კედელი შენობებს შუა,—აბრკოლებს ცეცხლის გავრცელებას ერთი შენობიდან მეორეზე.— **ბრანდმეისტერ-ი.** სახანძრო რაზმის უფროსი. —**ბრანდსპოიტ-ი,** 1) სახანძრო წყლას პუნიკი (წამოსაცობი),—იხმარება წყლის ნაკადის მისამართავად; 2) გადასატანი ტუმბო ხომალდზე,—იხმარება ხანძრის საქრობად.

**ბრასლეტ-ი.** სამაჯური, სამკლავე; სხვადასხვა მასალისა და ფორმის სამკაული,—მაჯაზე, მკლავზე ან (ძველად) წვივზე წასამოსაცმელი.

**ბრაუნინგ-ი,** ხელის ცეცხლმსროლი ავტომატური იარაღის სისტემა: დამბაჩის (რევოლვრის), თოფის და ტყვიამფრქვევის; საყოველდღეო ცხოვრებაში ყველაზე მეტად ცნობილია **ბრაუნინგ-ის** რევოლვერი.

**ბრაქიგრაფია**, შემოკლებულად წერის სისტემა.

**ბრაქიკეფალები ბრაქიცეფალები** (მრავლ.), მოკლე- და მრგვალთავიანი ადამიანები.— არიან, მაგ. პოლინეზიაში, სამხრეთ ამერიკაში და სხ.; **ბრაქიკეფალია** ან **ბრაქიცეფალია**, მოკლეთავიანობა, მოკლექაშიანობა. (კეფა—თავისქალა).

**ბრაქტეატები** (მრავლ.), ძველ გერმანელთა მედალისებრი ოქროს ან ვერცხლის სამკაულები, ან ფულები: სამკაულებზე გამოსახულია ადამიანის თავი ან ცხოველები და სხ.

**ბრაშპილ-ი**, ღუზის ჯაჭვის ამოსახიდი და ღუზის ასაწევი მოწყობილობა.

**ბრახი-**, ნ. ბრაქი-.

**ბრაჰმან-ი**, უმაღლესი წოდების კაცი ინდოეთში: ბ რ ა ჰ მ ა ნ ე ბ ი წარმოადგენენ ქურუმთა კასტას.—**ბრაჰმანიზმ-ი**, ევროპული სახელწოდება ძველ ინდოელთა სოციალური და ფილოსოფიურ-რელიგიური სისტემისა.—**ბრაჰმინ-ი**, იგივეა რაც **ბრაჰმანი**.

**ბრევე**, 1) მოკლე ოფიციალური მიწერილობა, 2) რომის პაპის მიწერილობა არა დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

**ბრევიარი ან ბრევიარიუმ-ი**, 1) მოკლე მიმოხილვა, კონსპექტი; 2) გამოკრებილი კურთხევანი კათოლიკურ ეკლესიაში. 3) ა ლ ა რ ი ხ ი ს ბ რ ე ვ ი ა რ ი უ მ - ი, ალარიხ II-ის დროს შედგენილი (506) კანონთა კრებული.

**ბრიზენტ-ი**, წყალგაუვალი მასალით დამხადებული სქელი ტილო,— იხმარება გადასაფარებლად დასველებისაგან დაცვის მიზნით, კარვებისათვის და წყალგაუვალი ტანსაცმლისათვის.

**ბრეკვატერ-ი**, ზღვის დონეზე ღალი ხელოვნური ნაპირი ზღვის ნაპირას, ტალღათმმსხვრევი.

**ბრელოკ-ი**, საჯიბე საათის ძეწკვზე მიბმული ლამაზი რამ პატარა ნივთი — ლითონისა, სპილოს ძვლისა და სხ.

**ბრენდი**, ინგლისური არაყი, კონიაკი.

**ბრეტიორ-ი** ან **ბრეტერ-ი** (**ბრეტტ-**), დუელის მოყვარული, დუელისტი.

**ბრეშ-ი**, 1) ციხე-სიმაგრის კედელში ზარბაზნით გამონგრეული ნაპრალი; 2) ბრეშის გარღვევა: პირველი მნიშვნელოვანი დაბრკოლების დაძლევა.

**ბრი**, ფრანგული რბილი ყველი.

**ბრიგადა**, 1) სამხედრო ნაწილთა გაერთიანება ზოგიერთ არმიაში; წითელ არმიაში ბრიგადებია მხოლოდ კავალერიაში; 2) ერთი ტიპის ხომალდთა

წყობილების გადატრიალება ზემოდან, ე. ი. სათავეში მდგომის მიერ.

**ბრიუნეტ-ი**, შავგვრემანი (ვაჟი ან ქალი).

**ბრიჩკა**, გადახურული პატარა ეტლი.

**ბრიჯ-ი**, ქაღალდის ერთგვარი თამაში.

**ბროკა**, **ბროკატ-ი**, ყვავილსურათებიანი აბრეშუმის სქელი ქსოვილი.—**ბროკატელ-ი**, საავეჯო ქსოვილი აბრეშუმისა ან აბრეშუმნარევი.

**ბრომ-ი**, ქიმიური ელემენტი, ბუნებაში მოიპოება მარილების სახით,—გამოყენებულია სამღებრო და წამლების დამზადების საქმეში. ბრომიანი მარილები იხმარება ნერვულ დაავადებისას.—**ბრომიზმ-ი**, ბრომით ხანგრძლივი მკურნალობისაგან გამოწვეული მოწამლვა (სიგამხდრე, დაყრა, გონების დასუსტება). — **ბრომაცეტონ-ი**, ძლიერი ცრემლდენის გამომწვევი სითხე,—იხმარება ქიმიურ ყუმბარებში.—**ბრომოფორმ-ი**, ძნელაქროლებადი მძიმე სითხე,— იხმარება წვეთების სახით ზოგჯერ ნერვულ ხველისას, აგრეთვე —ყივანახველისას.

**ბრონტოზავრ-ი**, გიგანტურ ტანის (22 მეტრამდე სიგრძის) გადაშენებული ქვეწარმავალი.

**ბრონქები** (მრავლ.), ლაჭლაპი: სასუნთქი ყელის განშტოებანი. — **ბრონქიტ-ი**, ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება.—**ბრონქიალური** ან **ბრონქიალ-ი**, ბრონქების. — **ბრონქიოლები** (მრავლ.), ბრონქების უმცირესი განშტოებანი. — **ბრონქოექტაზია**, ბრონქების გაფართოება (ავად-ბა).—**ბრონქოსკოპია**, სასუნთქი გზების უშუალო დაკვირვების მეთოდი.

**ბრონხ-**, ნ. ბრონქ-.

**ბროშ-ი**, აბზინდა, გულის ქინძისთავი (სამკაული).

**ბროშიურა**, ნ. ბროშურა.

**ბროშკა**, ნ. ბროში.

**ბროშურა**, პატარა წიგნი (80 გვერდიანამდე).—**ბროშურვა**, ვბროშურავ, ვკინძავ წიგნს.

**ბრუდერშაფტ-ი**, ძმობა, დაძმობილება, ჩვეულებრივ — სუფრაზე დალევა დაძმობილების აღსანიშნავად.

**ბრუსტვერ-ი**, მიწაყრილი საფარი ომის დროს,—იფარავს მეომრებს მტრის სროლისაგან.

**ბრუტო** (**-ტტო**), საქონლის წონა ჰურჰლითურთ.

**ბუბნა** ან **ბუბნ-ი**, აგური (ქაღალდის თამაში).

**ბუბონ-ი**, ლიმფური ჯირკვლების ანთება, ჩვეულებრივ ჩირქდება.

**ბუგელ-ი**, სალტე, დიბლიგი.

**ბუდიზმ-ი** (**ბუდდჰიზმ-ი**), მრავალ ქვეყნებში (იაპონიაში, ინდოჩინეთში, მონღოლეთში, ტიბეტში და სხ.) გავრცელებული სარწმუნოება ინდური წარმოშობისა (6 საუკ. ქ. წ.),—უპირისპირდება ბრაჰმანიზმს; ბუდიზმი წარმოიშვა ფეოდალიზმის დაცემისა და სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების ხანაში; ამ გარდატეხის მწვავედ განცდის ნიადაგზე ჩაისახა, სხვათა შორის, ბუდიზმის ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად მიწიერი ცხოვრება წარმოადგენს მხოლოდ ტანჯვას.— **ბუდისტ-ი**, ბუდიზმის მიმდევარი.

**ბუდკა**, ჯიხური, ხის კოშკი, სადარაჯო სახლი.

**ბუდუარ-ი**, ქალის ოთახი ბურჟუაზიული საზოგადოების მაღალ წრეებში; კეკლუცად მორთულ-მოწყობილი ოთახი.

**ბუერ-ი**, იალქნიანი მარხილი ყინულზე ან თოვლზე სასრიალოდ; ზოგგან ბუერი წარმოადგენს ტვირთსაზიდს ან მისვლა-მოსვლის საშუალებას (ჰოლანდიაში, კანადაში), ზოგგან მას აქვს სასპორტო დანიშნულება (ნ. სპორტი).

**ბუზა**, ბურახი (ერთგვარი სასმელი).

**ბუი**, ხის ან რკინის ტივტივა,—იხმარება რაიმე ადგილის აღსანიშნავად წყალზე.

**ბუკეტ-ი**, 1) თაიგული, 2) რაიმე სასმელისათვის დამახასიათებელი სუნი და გემო, მაგ. ღვინისა, ჩაისა და სხ.

**ბუკეფალ-ი**, ნ. ბუცეფალი.

**ბუკინისტ-ი**, ძველ, ძველებურ ან ნახმარ წიგნებით მოვაჭრე.

**ბუკოლიკა**, 1) მწყემსური სიმღერები ან ლექსები; 2) ბუკოლიკური პოეზია—ჩაისახა ხალხური შემოქმედების სახით ძველ ელადაში მეჯოგეობის საფუძველზე, ხოლო მხატვრულად დამუშავდა მომდევნო საუკუნეებში, როცა ვაჭრობისა და ქალაქური კულტურის განვითარების ნიადაგზე წარმოიშვა ერთნაირი მიზიდულობა პრიმიტიულ სოფლურ ცხოვრებისადმი.

**ბუკს-**, ნ. ბუქს-.

**ბულა** (**ბულლ-**), 1) ძველად: დაბეჭდილი საბუთებშემცველი ყუთი; აგრეთვე—რაიმე ბეჭედმიბმული მნიშვნელოვანი აქტი (საბუთი); 2) რომის პაპის სიგელი, ბრძანება.

**ბულანჟისტები** (მრავლ.), წარსულ საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთის სამხედრო მინისტრის **ბულანჟე-ს** მომხრეები,— მათ სურდათ აღედგინათ მონარქიული წესწყობილება; ბულანჟისტები დამარცხდენ, ბულანჟემ თავი მოიკლა.

**ბულდოგ-ი** (ბულდ-). 1) ღონიერი და ავი ძაღლის ჯიში.—გამოყენებულია ძლიერ ნადირზე სანადიროდ: 2) ერთგვარი რევოლვერის სისტემა.

**ბულე**. სახელმწიფო საბჭო ძველ ათენში. — თავდაპირველად არისტოკრატიული ხასიათისა. ხოლო VI საუკუნიდან (ქ. წ.) დემოკრატიზებული (არჩევის წესი, სახალხო კრებაზე საკითხების განხილვა და ს.): განსაკუთრებით ცნობილია ა თ ე ნ ი ს ბ უ ლ ე, რომლის ეპოქაში ბულე კარგავს დემოკრატიულ ხასიათს.—**ბულევტეს-ი**, ბულეს წევრი.

**ბულბარული დამბლა**, მძიმე დაავადება, რომლის დროსაც დამბლა დაეცემა ხოლმე პირსახის, ენის და სალეჭ-საყლაპავის კუნთებს: აიშლება ხოლმე წარმოთქმის სისწორე და ღეჭვა-ყლაპვა.

**ბულვარ-ი**. ხეივანი. სასეირნო ადგილი.—**ბულვარული ლიტერატურა**, სენსაციური (არაჩვეულებრივი) და პორნოგრაფიული (უწმაწური ხასიათის) შინაარსის მქონე მწერლობა.

**ბულიონ-ი**, ხორცის ნახარში.

**ბუმაზეა**. ნ. ბამბაზია.

**ბუმერანგ-ი**. ავსტრალიელთა ნამგლისებრი სატყორცნი იარაღი,—იხმარება ნადირობაში და ომში: დახელოვნებული მსროლელის ნატყორცნი ბუმერანგი ბრუნდება უკანვე.

**ბუნდ-ი**. ებრაელების მუშათა საყოველთაო კავშირი რუსეთში, პოლონეთში და ლიტვაში.—წარმოადგენდა ეროვნულ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას. საბჭოთა კავშირის ბუნდი 1921 წ. შევიდა რუს. კომ. პარტიაში. პოლონეთშიც (საბოლოოდ 1923 წ.) და ლიტვაშიც (1921 წ.) ბუნდი შეუერთდა პოლონეთის და ლიტვის კომუნისტურ პარტიებს.

**ბუნტ-ი**, ამბოხება, ჯანყი.

**ბუნჩუკ-ი**, უკრაინის და პოლონეთის ჰეტმანის ღირსების მაჩვენებელი ნიშანი,—წარმოადგენდა ბირთვიან ჯოხს, რომელსაც მეორე ბოლოში ცხენის ძუა ქონდა მიბმული.

**ბუჟი**, ადამიანის მილისებრი ორგანოების (საშარდის, საყლაპავის, საშვილოსნოს და სხ.) გასაფართოებლად სახმარი იარაღი (სამკურნალო საქმეში).—წარმოადგენს დაახლ. ნახევარ მეტრის სიგრძე ღეროს ლითონისას, კაუჩუკისას ან სხვა მასალისას.

**ბურან-ი**, ქარბუქი.

**ბურბონ-ი, ბურბონები** (მრავლ.) სამეფო გვარეულობა საფრანგეთში და ესპანეთში.—**ბურბონ-ი**, ტლანქი, ბრიყვი, ვულგარი.

**ბურგგრაფ-ი.** ქალაქის უფროსი გერმანიაში (საშ. საუკ.).—ინიშნებოდა იმპერატორის მიერ და აღჭურვილი იყო სამხედრო და სამოსამართლო უფლებებით.

**ბურგომისტრ-ი.** 1) ქალაქისთავი გერმანულ ქვეყნებში; 2) ერთგვარი დიდ ტანის თევზიყლაპია (ფარი).

**ბურენბონდ-ი,** შვეიცარიის გლეხთა კავშირი.

**ბურიმე.** მოუმზადებლივ შედგენილი ლექსი მოულოდნელად მიცემულ რითმებზე.

**ბურლაკები** (მრავლ.). მეზიდავე ვოლგასა და მის შენაკადებზე მომუშავე მუშები.—მათ გადაჰქონდათ ტვირთიანი ნავები მდინარის შეღმა კანაფებით.

**ბურლეტა** (**-ტტა**). ჰუმორისტული მუსიკალური პიესა, კომიკური ოპერა.

**ბურმისტრ-ი.** ვისიმე მამულის გამგე გლეხი რუსეთში ბატონყმობის დროს; სოფლის მოურავი.

**ბურჟუა.** 1) ფეოდალურ ხანაში: ქალაქელი, ქალაქის მცხოვრებ-ბი, ე. ი. უპირისპირდებოდა ფეოდალურ აზნაურსა და სასულიერო პირს, ერთის მხრით, და გლეხს—მეორე მხრით; 2) შემდეგ: კაპიტალის წარმომადგენელი – უპირისპირდება მიწისმფლობელსა და მშრომელს.—**ბურჟუაზია,** ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ-ლი კლასი—1) ფეოდალურ ხანაში: მოქალაქეთა წოდება (ნ. ბურჟუა); 2) [illegible]ტურ საზოგადოებაში — კლასი, რომელიც ფლობს საწარმოო იარაღებს და საშუალებებს, იყენებს მათ დაქირავებულთა შრომის ექსპლოატაციისათვის. ბურჟუაზიამ შეასრულა პროგრესული როლი კაპიტალიზმის განვითარების პირველ ხანებში: ის [illegible] და ფეოდალურ [illegible] პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის. ხოლო თანამედროვე იმპერიალისტურ ხანაში ის წარმოადგენს ყველაზე რეაქციონერ კლასს, რომელიც აბრკოლებს კაცობრიობის პროგრესს.

**ბურსა.** 1) საერთო საცხოვრებელი უნივერსიტეტებთან სამონასტრო [illegible]; 2) სასულიერო სასწავლებელი რუსეთში საერთო საცხოვრებლით. — **ბურსაკ-ი** ან **ბურსალ-ი,** ბურსაში მოსწავლე; ტლანქი, ხეპრე, ბრიყვი.

**ბურშ-ი.** გერმანელი სტუდენტი უფროსი კურსისა (ნ. ფუქსი).—**ბურშენშაფტ-ი,** სტუდენტთა პოლიტიკური ორგანიზაცია გერმანიაში.

**ბუსოლ-ი** (**ბუსს-**). სამიწათმზომელო იარაღი: ჩვეულებრივი ბუსოლი წარმოადგენს სამფეხიან

მრგვალ კოლოფს, რომელშიც მოთავსებულია მაგნეტური ისარი.

**ბუტადა**, 1) ჟინი, ახირება; გაჯავრებული სიტყვა; 2) იმპროვიზირებული (მოუმზადებლივ დადგმული) ბალეტი.

**ბუტაფორია** (ბუტტ-), სათეატრო წარმოდგენაში მოსახმარისი სხვადასხვა საგნები (ავეჯეულობა, იარაღი, ჭურჭლეულობა და სხ.), ჩვეულებრივ — ნამსგავსი, არანამდვილი. — **ბუტაფორ-ი**, ამ საგნების შემნახველი და თვალყურის მდევნებელი.—**ბუტაფორიული**, ყალბი, ნამსგავსი, არანამდვილი.

**ბუტერბროდ-ი** (ბუტტ-), კარაქწასმული პურის ნაჭერი; შეიძლება ხიზილალით ან რაიმე სხვით, აგრეთვე—ყველის ან ძეხვისნაჭრიანი პური.

**ბუტონ-ი**, 1) კვირტი, კოკორი; 2) ხუწუწი პირსახეზე.—**ბუტონიერ-ი** (-ნნიერ-), 1) სალილე; 2) პატარა თაიგული ან ყვავილი სალილეში ან ტანსაცმელზე მიმაგრებული.

**ბუფები** (ბუფფ-, მრავლ.), ღრმა და გამობერილი ნაოჭები, ჩვეულებრივ—ქალის ტანსაცმელში.

**ბუფერ-ი**, 1) დრეკადი შუასადები ბალიში: 2) ჯახამრიდი, ჯახების შემსუსტებელი ზამბარიანი მოწყობილობა,—იხმარება მატარებლის ვაგონებს შუა, აგრეთვე—ზარბაზნის სროლისას; 3) პატარა სახელმწიფო ორ დიდ სახელმწიფოს შორის,—ხელს უშლის მათ შეტაკებას.

**ბუფეტ-ი** (ბუფფ-), 1) სასმელ-საჭმლისა და ჭურჭლეულობის შკაფი; 2) სასმელ-საჭმლით გაწყობილი მაგიდა რესტორანში, რკინისგზის სადგურის დარბაზში ან სხვა დაწესებულებაში.

**ბუფ-ი** ან **ბუფონ-ი** (ბუფფ-), ხუმარა, მასხარა, კომიკი; სასაცილო, კომიკური.—**ბუფონადა**, მასხარაობა, ოხუნჯობა, სახუმარო წარმოდგენა.

**ბუფ-ი, ბუფები**, ნ. ბუფები.

**ბუქსა, ბუქს-ი**, მთრევი, ღერძის კოლოფი,—გადასცემს ორთქლმავლის ან ვაგონის წნევას ტრიალა ღერძზე.—**ბუქსირ-ი**, 1) თოკი, ბაგირი ან ჯაჭვი, რომლითაც გემს მიჰყავს ტივი, ბარჟა და სხ.; 2) თვით ამგვარად წამყვანი გემი; 3) **საზოგადოებრივი ბუქსირი**, ერთ-ერთი კოლექტიური მუშაობის ახალი საბჭოური მეთოდთაგანი—წარმოების გაუმჯობესების მიზნით: წარმოებაში ან სხვა რაიმე საქმიანობაში ჩამორჩენილი პირის ან ჯგუფისათვის დახმარების გაწევა.—**ბუქსირება**, ვაბუქსირებ, მივათრევ, მიმყავს ბუქსირით; ვეხმარები.—**ბუქსირის** ან **საბუქსირო გემი**, ბუქსირით წამყვანი გემი.

**ბულალტერია**, ნ. ბუხჰალტერია.

**ბუცეფალ-ი**, ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრული ცხენის სახელი.

**ბუხტა, ბუხტ-ი**, მყუდრო (უქარო) და საკმაოდ ღრმა ზღვისუბე.

**ბუხჰალტერია**, მოანგარიშეობა, — ანგარიშმცოდნეობის ერთერთი დარგი,—აწარმოებს საწარმოთა და დაწესებულებათა ფულადს ან საქონლის აღრიცხვას.— **ბუხჰალტერ-ი**, მოანგარიშე.

# გ

**გაბარა (-რრა)**, პატარა ბრტყელფსკერიანი ნაპირსაცურაო ნავი,—იხმარება აგრეთვე ღრმაზე მცურავი ნავების დასატვირთ-გადმოსატვირთავად.

**გაბარიტ-ი**, 1) საგნის ბუნებრივი სიდიდით წარმომდგენი მოდელი (ნ. ეს); 2) სარკინისგზო საქმეში: მოძრავი შედგენილობისა და ლიანდაგს მიახლოებულ ნაშენობათა ზღვარმოხაზულობა—მატარებლის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად; აგრეთვე—ღია სატვირთო ვაგონების ნართებული დატვირთულობის შესამოწმებელი ჩარჩოები რკინისა ლიანდაგის ზემოთ; 2) საზღვაოსნო და საჰაეროსნო საქმეში: გემის ან ჰაეროპლანის კიდურზღვარმოხაზულობა — სიგრძესიგანისა და სიმაღლის მიხედვით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აშენებისას, არხებში გავლისას და სხ.

**გაბელა (-ლლა)**, არაპირდაპირი გადასახადი; კერძოდ: სამარილე გადასახადი რევოლუციამდე საფრანგეთში,—ხშირად იწვევდა მასსების სასტიკ აჯანყებებს: მოსახლეობა ვალდებული იყო ეყიდა მარილი მხოლოდ სახელმწიფო მაღაზიებიდან, რის დარღვევაც ითვლებოდა სახელმწიფო დანაშაულობად (გაუქმებულ იქნა 1890 წ.).

**გაბიონ-ი, გაბიონები**, მოთუთიებულ მავთულებისაგან დაწნული ყუთები ან გოდრები,—გავსებულია ქვებით და წარმოადგენს კარგ მასალას ნაპირების დასაცავად ჩარეცხა-ჩანგრევისაგან, კაშხალისა და საფარის (ომში) ასაშენებლად და სხ.

**გაგატ-ი**, გიშერი, შავი ქარვა.

**გავოტ-ი (-ტტ-ი)**, ძველებური ზომიერმოძრაობიანი ფრანგული ცეკვა ხალისიან მუსიკაზე.

**გაზა**, ნ. გაზი (2).

**გაზეთ-ი.** პერიოდული (წერილებ და განცხადებებით) პერიოდული გამოცემა ... ამბებსა და შეხედულებს მკითხველების შეწყვეტლად: ... კამერ-პოლიტიკური ბაზარში (ქართული) პირველი გაზეთი გამოიცა ლონდონში 1702 წ.. წიგნი იყო ... პოლიტიკური ხასიათის წერილნა სათ. დიდი რევოლუციის დროის და შემდეგ.

**გაზელ-ი (-ლლ-).** ... ლოპის ჯიშის ცხოველი.

**გაზ-ი, 1) გაზები** (ბერძნ.). აირები: მსუბუქი უფორმო ნივთიერებები, რომლებიც თანაბრად ნაიცავენ მათთვის განკუთვნილ სივრცეს: ასეთია, მაგ. მჟავბადი, წყალბადი, აზოტი და სხ.: **სანათი გაზი** წარმოადგენს სხვადასხვა გაზების შენაერთს.— მოიპოვება ქვანახშირის, ნის და სხვათაგან ჰმრალი გამოხდით და იწვის მანათობელი ალით: 2) ანუ **გაზა**, აბრეშუმის ან ბამბის ფრიად თხელი და მსუბუქი ქსოვილი.

**გაზიფიკაცია,** გაზად ანუ აირად გადაქცევა, გააირება მყარი სათბობი მასალისა —ამის მიზანშეწონილი მოხმარებით გამოყენების მიზნით; გაზის ანუ აირის მიწოდება ან გამოყენება .—**ომის გაზიფიკაცია,** საბრძოლო იარაღის (ტყვიის, ყუმბარის, ხიმტის...) ნაცვლად გაზის გამოყენება, რომელიც დაავადებს ან ფაღარათს აუტეხს მოწინააღმდეგეს.

**გაზოლინ-ი.** ნავთის გამოხდის შედეგი, დაუწმენდავი ბენზინი (ნ.)

**გაზომეტრ-ი.** გაზების (აირების) შესაკრები და ზესაწნავი მოწყობილობა ქიმისა, ტექნიკისა და სხვა.

**გაზონ-ი.** ხელოვნურად მოვლილი მოლი ბალახი.

**გაზჰოლდერ-ი,** გაზის (აირის) შემკრები რკინის ხაფი წყლიან აუზში.

**გაიდამაკ-ი,** ნ. ჰაიდამაკი.

**გაიდეალება, ვაიდეალებ,** ვისმე ან რასმე ვადამკარბებით კარგად დავსახავ, გაცილებით უკეთესად, ვიდრე სინამდვილეშია (ნ. იდეალი).

**გაიდუკ-ი,** ნ. ჰაიდუკი.

**გალი.** სახეიმო, პარადული (ნ.), მაგ. გ ა ლ ა-წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, გ ა ლ ა-კ ო ნ ც ე რ ტ ი, სახეიმო წარმოდგენა,—კონცერტი.

**გალაკტ-,** ნ. გალაქტ-.

**გალალით-ი,** ხელოვნური რქისებრი მასალა, რომლისაგანაც აკეთებენ სავარცხლებს, ღილებს და სხვ.; მისგან გაკეთებული ნივთები ემსგავსებიან რქისას, სპილოსძვლისას, ფიროზისას და სხვ.

**გალანტერია** ანუ **გალანტერიის** ხაქონელი, ტანსაცმლის წვრილმანი ნაწილები (ღილები, ბალთები. მაქმნები...) და სასამკაულო საგნები (ხელთათმნები, ჰალსტუხები, ქინძისთავები...). —**გალანტობა**, გადაჭარბებული ზრდილობიანობა სხვასთან ურთიერთობაში, ჩვეულებრივ — ვაჟისა ქალისადმი. — **გალანტური** ან **გალანტ-ი**, გადაჭარბებულად ზრდილობიანი. **გალანტური სტილი**, ლიტერატურაში: დახვეწილი ენა მაღალი წრის (არისტოკრატულ. ბურჟუაზიულ) მწერლობასა და მეტყველებაში.

**გალაქტინ-ი**, ხაჭო. — **გალაქტოზ-ი**, რძის შაქრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. — **გალაქტოლოგია**, რძეთმცოდნეობა. — **გალაქტომეტრ-ი**, რძის ხვედრითი წონის (წონაკუთრის) საზომი იარაღი. — **გალაქტორეა**, ავადმყოფობა მეძუძური ქალისა: რძის ჭარბად მოსვლა და მისი განუწყვეტლივი დინება.

**გალენიკა** ანუ **გალენის პრეპარატები**, გამოხარშვით, დაყენებით და სხვა არაქიმიურ საშუალებით მიღებული წამლები, — სახელწოდება წარმომდგარია ძველი რომის შესანიშნავ ექიმის **გალენ-ის** (II საუკ.) სახელისაგან (ნ. პრეპარატი).

**გალერ-ი**, კატარღა: პატარა საომარი სანიჩბე ნავი; მასზე სამუშაოდ იგზავნებოდენ მძიმე დამნაშავენი.

**გალერია** (გალლ-), 1) დახურული სინათლიანი დერეფანი; 2) დერეფნისებრი სასეირნო ცალკე შენობა; 3) **სამხატვრო გალერია**, ხელოვნების ნაწარმოებთა მუზეუმ-ი, 4) დასაჯდომი ადგილები თეატრის ზედა უკანასკნელ სართულში; 5) **ხანაღმო გალერია**, ნაღმების ჩასაწყობი გვირაბი ციხესიმაგრეში.

**გალეტი** (-ტტ-ი), პურის ან სხვა ფქვილისაგან დამზადებული, დიდხანს (სამ წლამდე) გამძლე ნამცხვარი, — ეწევა პურის მაგივრობას შორეულ მგზავრობის დროს; აგრეთვე — ტკბილი ნამცხვარი.

**გალვანიზმ-ი**, მოძველებული სახელწოდება ელექტრობის ერთ-ერთი დარგისა, რომელიც სწავლობს მუდმივ-ელექტროდენის თვისებებს (**გალვანი** — იტალიელი გამოჩენილი ექიმი და ფიზიკოსი 18 საუკ.). — **გალვანიზაცია** ანუ **ელექტრიზაცია**, მუდმივ-ელექტროდენის მკურნალობაში გამოყენება. **გალვანიზ(ირ)ება, ვაგალვანიზ(ირ)ებ**: 1) გამოვიყენებ გალვანურ დენს მკურნალობაში, 2) მოვალითონებ საგანს გალვანური დენით. **გალვანური ბატარეა**, რამდენიმე გალვანური ელემენტის

შეერთება ელექტროდენის მი-
ღალებად; **გალვანური დენი**, დაბალი ძაბვის ელექტროდენი, —მიიღება ერთი ელემენტისა-
გან ან რამდენიმე ელემენტიან ბატარეისაგან; **გალვანური ელემენტები** ანუ **დენის ქიმიური წყაროები**, ისეთი ხელსაწყოები, რომლებშიც ელექტროდენი მიიღება ლითონზე მჟავას ან მარილის მოქმედების შედეგად.

**გალვანოთერაპია**, ნ. გალვანიზაცია.

**გალვანომეტრ-ი**, გალვანური დენის საზომი ხელსაწყო.

**გალვანოპლასტიკა**, საგნის მოლითონების (ლითონით დაფარვის) ხელოვნება — ელექტროლიზით, ე. ი. ელექტროდენის მოქმედების გზით.

**გალვანოსტეგია**, ლითონის მოლითონების ხელოვნება, უმთავრესად — მოოქროვისა და მოვერცხლვის საქმეში.

**გალვანოტაქსის-ი** ანუ **გალვანოტროპიზმ-ი**, ცხოველისა ან მცენარის ორგანიზმის უნებლიე მოძრაობა (მოძრაობითი რეაქცია), გამოწვეული ელექტროდენის მოქმედებით.

**გალვანოტიპია**, სასტამბო კლიშეს დამზადება გალვანოპლასტიკის გზით.

**გალიზაცია** (გალლ-), დოტკოსაგან (ყურძნის ტკბილისაგან) ღვინის დამზადების ერთგვარი ხერხი — წყლისა და შაქრის მიმატების საშუალებით; **გალიზირება**, **ვაგალიზირებ**, ვამზადებ ღვინოს გალიზაციის წესით (გალიზაცია აკრძალულია კანონით).

**გალიმათია** (გალლ-), უთავბოლო ლაპარაკი, ჩმახვა; მოჩმახული.

**გალიუცინაცია**, ნ. ჰალუცინაცია.

**გალიციზმ-ი** (გალლ-), ფრანგული ენის თავისებური მოქცევა, ნასესხები სხვა ენის მიერ.

**გალომანია** (გალლ-), გატაცებულობა და მიკერძებულობა ყველაფრისადმი, რაც ფრანგულია, — წარმოიშვა (ევროპის სხვა ქვეყნებსა და რუსეთში) საფრანგეთის 17—18 საუკ. ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის ნიადაგზე. — **გალომან-ი**, გალომანიით შეპყრობილი ადამიანი. — **გალოფობია**, სიძულვილი ყველაფრისადმი, რაც ფრანგულია; **გალოფობ-ი**, ფრანგთმოძულე.

**გალოპ-ი**, 1) სწრაფი წრიული ცეკვა; 2) ჭენება, ცხენის ტარების ერთერთი სახე.

**გალო-**, ნ. ჰალო-.

**გალსტუკ-ი**, ნ. ჰალსტუხი.

**გალუნი**, სირიფი, ოქრომკედის ყაითანი.

**გალუცინაცია**, ნ. ჰალუცინაცია.

**გალშტატის კულტურა**, ნ. ჰალშტატის კულტურა.

**გამა** (გამმა), ბერძნული ანბანის მესამე ასო (გ), – იხმარება ვარსკვლავების აღსანიშნავად თანავარსკვლავედებში; 2) ბგერათრიგი (ტონთარიგი) მუსიკაში—სიმაღლის აწევ-დაწევის თანამიმდევრობით. — **გამა-სხივები**, რადიოაქტიურ გამოსხივებათა ერთ-ერთი სახე.

**გამადრილ-ი**, ნ. ჰამადრილ-ი.

**გამაკ-ი**, ნ. ჰამაკი.

**გამაშ-ი**, წვივთსათბური.

**გამენ-ი**, ქურის ბიჭი, ფაცანი.

**განგლი ან განგლიონ ი**, ნერვების კვანძი, ნერვული უჯრედების გროვა.

**განგრენა**, სრსვილი; ცოცხალი სხეულის ერთერთი ნაწილის მკვდარობა. — **განგრენოზული**, განგრენიანი, სრსვილიანი.

**განდიზმ-ი**, ნ. განდჰიზმი.

**განდიკაპ-ი**, ნ. ჰაიდიკაპი.

**განდჰიზმ-ი**, დღევანდელი ინდოეთის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობს **განდჰი** (დაიბ. 1869 წ.): უარყოფითი დამოკიდებულობა საერთოდ ევროპიულ კულტურისადმი, კერძოდ—ბოიკოტი და პასიური წინააღმდეგობა ინგლისელებისა, უარის გამოცხადება მათთან თანამშრომლობაზე,—უარყოფს ძალის ხმარებას, რევოლუციურ ბრძოლის მეთოდებს; ამიტომ მშრომელ მასებში მას თანდათან ეკარგების წინანდელი გავლენა.

**განჯა**, ნ. ჰანზა.

**გარანტ-ი**, უზრუნველყმოფელი პირი, თავმდები; **გარანტია**, უზრუნველყოფა, თავმდებობა.

**გარაჟ-ი**, საავტომობილე; ავტომობილებისა და მოტოციკლების სადგომი, სადაც ისინი დაცულია დაზიანებისაგან; იქვე ხდება მათი შეკეთება.

**გარდემარინ-ი**, ახალგაზრდა მეზღვაურის წოდება რევოლუციამდე რუსეთში,—უდრის საბჭოთა წითელ ფლოტში ხომალდის კურსანტს.

**გარდერობ-ი**, 1) ტანსაცმლის შკაფი ანუ კარადა; 2) ტანსაცმლის ოთახი (მაგ. თეატრში); 3) ვისიმე ტანსაცმლის კრებული. — **გარდერობმეისტერ-ი**, გარდერობის მცველი, მაგ. თეატრში.

**გარდინ-ი**, ფანჯრის ფარდა.

**გარნიზონ-ი**, 1) ციხესიმაგრის დამცველი სამხედრო ნაწილები და დაწესებულებანი; 2) ქალაქში ან სოფელში მოთავსებული სამხედრო ნაწილები.

**გარნირ-ი**, დამხადებული საჭმლის (ხორცეულის ან თევზეულის) დამატებითი შესამკობელი—ხილეულის ან მწვანილის სახით.

**გარნიტურ-ი**, 1) მორთულობა, მოკაზმულობა; ერთი ყაიდისა და

დანიშნულების საგანთა ნაკრები; 2) ტექნიკაში: რაიმე მოწყობილობის (მაგ. ორთქლის ქვაბის, ელექტროგანათების) ნაწილები; სტამბაში: ნაირზომიანი შრიფტის შენარჩევი.

**გაროტ-ი** (გარრ-ი, 1) რკინის საყელო, რომლითაც ახრჩობენ სიკვდილმისჯილს ესპანეთში; 2) ასეთი საყელო. —**გაროტერ-ი**, დამხრჩობი.

**გარპ-**, ნ. ჰარპ-.

**გარჟეტ-ი**, ნ. გორჟეტ-ი.

**გარსონ-ი**, მსახური ბიჭი საფრანგეთის რესტორანებში.

**გასტრალგია**, კუჭისტკივილი.

**გასტრეა**, ორფენოვანი ცხოველი, ითვლება (ზოგ მეცნიერის მიერ) ყველა მრავალუჯრედოვანთა წინაპრად.

**გასტრილოგ-ი**, მუცლითმეტყველი; **გასტრილოგია**, მუცლითმეტყველება.

**გასტრიტ-ი**, კუჭის ანთება.

**გასტროლ-ი**, მსახიობის ან სათეატრო დასის თამაში. არა თავის სცენაზე, არამედ სხვა ქალაქში ან სხვა თეატრში; მოწვეული მსახიობის ან დასის თამაში.— **გასტროლერ-ი**, მოწვეული მსახიობი რამდენიმე წარმოდგენაზე; 2) რაიმე საქმიანობაში უწესური მონაწილეობა იშვიათად დასწრების სახით.

**გასტროლოგია**, ნ. გასტრონომია.

**გასტრომან-ი**, სმაჭამის მოყვარული, მუცელგადაყოლილი; **გასტრომანია**, სმაჭამის მოყვარულობა.

**გასტრონომ-ი**, 1) ხელოვანი მზარეული, მაღალხარისხოვანი დამმზადებელი საჭმლისა; 2) გემოთმოყვარე, საჭმელების არჩევა-დაფასებაში დახელოვნებული.—**გასტრონომია**, 1) ძველად: გემრიელი და სასარგებლო საჭმელების დამზადების მეცნიერება; 2) საჭმელთმცოდნეობა, გემოთმღყვარეობა.— **გასტრონომიული მაღაზია** (ანუ მოკლედ **გასტრონომია**) დამზადებული საჭმელების მაღაზია.

**გასტროსკოპ-ი**, კუჭის შინაგნობის საკვლევი იარაღი; **გასტროსკოპია**, კუჭის შინაგნობის გამოკვლევა.

**გასტრულა**, მრავალუჯრედოვან ცხოველთა ჩანასახობრივი განვითარების ნაწლავური საფეხური.

**გაუბიცა**, ნ. ჰაუბიცი.

**„გაუდეამუს"**, „ვიმხიარულოთ", სტუდენტების ლათინური სიმღერის დასაწყისი.

**გაუპტვახტ-ი**, ნ. ჰაუპტვახტი.

**გაუს-ი** (-სს-), მაგნიტური მინდვრის ძაბვის საზომი ერთეული (გვარია გამოჩენილი ასტრონომისა).

**გაშიშ-ი**, ნ. ჰაშიში.

**გეგემონია**, ნ. ჰეგემონია.

**გედონიზმ-ი**, ნ. ჰედონიზმი.

**გეიზერი, გეიზერები,** ცხელი წყაროები, რომლებიდანაც დროგამოშვებით (დაახლოებით ყოველ საათში) ჩქეფს ცხელი წყლისა და ორთქლის შადრევანი.

**გეიშა,** ხელობით მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიაში.

**გეკ-, გეკს-, გეკტ-,** ნ. ჰეკ-, ჰექს-, ჰექტ-.

**გელ-,** ნ. ჰელ-.

**გემა** (-მმა), მაგარი (ძვირფასი) ქვა, რომელზედაც ამოჭრილია მხატვრული გამოსახულებები.

**გემატ-,** ნ. ჰემატ-.

**გემი-,** ნ. ჰემი-.

**გემინაცია,** მრჩობლობა, გაორკეცება; **გემინირება, ვგემინირდები,** ვმრჩობლდები, ორკეცდები; **გემინირებული,** გაორკეცებული, მრჩობლი.

**გემო-,** ნ. ჰემო-.

**გენეალოგია,** გვარტომობა, გვარტომობის აღწერილობა: ჩამომავლობისა და ნათესაური დამოკიდებულობის აღწერა-გადმოცემა შთამომავლობიდან წინაპრამდე; რაიმე მოვლენის წარმოშობის წარმოდგენა განშტოების მიხედვით.

**გენეზის-ი,** წარმოშობა, ჩასახვა, წარმოქმნა; **გენეზისური,** წარმოშობითი: **გენეზისური მეთოდი,** კვლევის მეთოდი მოვლენის წარმოშობა-განვითარების თვალსაზრისით.

**გენერალ-ი,** უმაღლესი სამხედრო ხარისხი ბურჟუაზიულ ქვეყნებში (არსებობს გენერლის სხვადასხვა დახარისხება: გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალი ინფანტერიისა, კავალერიისა, არტილერიისა და სხვა).—**გენერალ-გუბერნატორ-ი,** უმაღლესი ადმინისტრატიული თანამდებობა რევოლუციამდე რუსეთის ოლქში.

**გენერალიზაცია,** განზოგადება; **გენერალიზირება, ვაგენერალიზირებ,** განვაზოგადებ.

**გენერალისიმუს-ი** (-ლისს-), რამდენიმე არმიის მთავარსარდლის საპატიო წოდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

**გენერალიტეტ-ი,** მაღალხარისხიან სამხედრო პირთა საერთო სახელი; გენერლობა, გენერალთა ერთობლიობა (ბურჟ. ქვეყნ.).

**გენერალური,** საერთო, მთავარი. **გენერალური ბრძოლა,** მთავარი გადამწყვეტი ბრძოლა;—**გენერალური გეგმა,** სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საერთო (დაახლოებით 15 წლიანი) გეგმა, რომელზედაც მუშაობა დაიწყო 1926 წლიდან და ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა 5 წლიან გეგმის შედგენისას; **გენერალური მდივანი,** კომუნისტურ

პარტიის ცენტრალურ კომიტეტი'ს სამდივნოს მეთაური და ხელმძღვანელი მდივანი. **გენერალური პაუზა**, მუსიკაში: საერთო სიჩუმე სამუსიკო ნაწარმოების ასრულებისას; **გენერალური რეპეტიცია**, სათეატრო ნაწარმოების საბოლოო შემოწმება დადგმის წინ; ჩვენს (საბჭოთა) სინამდვილეში მას დაერქვა „საზოგადოებრივი განხილვა"; **გენერალური შტაბი**, სამხედრო სამართველოს დამხმარე დაწესებულება,—შედგება სამხედრო საქმის სპეცია ლისტთაგან და განაგებს სამხედრო მოქმედებათა მომზადებას და დამუშავებას; **გენერალური ხაზი**, დაწესებულების ან ორგანიზაციის მთავარი ხაზი, რომელიც დაზღვეული უნდა იქნეს ყოველგვარი გადახრისაგან ყოველგვარ პრაქტიკულ საქმიანობაში, მაგ. კომ. პარტიის პოლიტიკური გენერალური ხაზი.

**გენერატორ-ი**, წარმომშობი, წარმომქმნელი; **აირის (გაზის) გენერატორი**, აირის მისაღები მოწყობილობა; **ელექტრობის გენერატორი**, ელექტრო-ენერგიის წარმომქმნელი მანქანა; **ყინულის გენერატორი**, საყინველი მანქანა.

**გენერაცია**, მოდგმა, თაობა.

**გენეტა (-ტა)**, პატარა ტანის ძუძუმაწოვარი მტაცებელი ცხოველი,—აფრიკაში გამოყენებულია როგორც კატა.

**გენეტიკა**, ბიოლოგიური მეცნიერება,—იკვლევს მემკვიდრეობისა და ცვალების ფიზიოლოლოგიას; აქედან: **გენეტიკური**, რაც გენეტიკას შეეხება ან ეკუთვნის.

**გენეტიკური** იგივეა, რაც გენეზისური (ნ. გენეზისი).

**გენ-ი, გენები**, მემკვიდრეობის ჩანასახი, მატერიალური საფუძველი მემკვიდრეობისა.

**გენია**, 1) ძველ-რომაელთა რწმენით: თითოეული ადამიანის ღვთაება, რომელიც განაგებს მის ბედს; მათივე რწმენით გენიები ჰყავდა ოჯახს, ტომს, ადგილს და სხვას; 2) **გენია** ანუ გენიალობა, შემოქმედებითი მაღალი ნიჭიერება,—თავს იჩენს მხოლოდ შესაფერ სოციალურ პირობებში. **გენიალური**, გენიის (2) მქონე.

**გენიოს-ი**, მაღალ შემოქმედებითის ნიჭიერების მქონე ადამიანი.

**გენიტალიები** (მრავლ.),. სასქესო ორგანოები.

**გენიტივ-ი**, ნათესაობითი ბრუნვა (გრამ.).

**გეოგენია** ანუ **გეოგონია**, ძველად: მეცნიერება დედამიწის წარმოშობის შესახებ; ახლა: გეოლოგიის ერთ-ერთი დარგი (ზოგი

მეცნიერი ხმარობს ამ სახელს დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი  გ ე ო ლ ო გ ი ი ს მნიშვნელობით, ნ. გეოლოგია).

**გეოგრაფია**, „დედამიწის აღწერა", „ქვეყანათმცოდნეობა": მეცნიერება ისეთ მოვლენათა და საგანთა ურთიერთობის შესახებ დედამიწაზე, რომელნიც მიზეზობრივ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან გარკვეულ ადგილას, მაგ. დედამიწის მოყვანილობისა, ჰავისა, ნიადაგისა, მცენარეულობისა და სხვ.— **ასტრონომიული** ანუ **მათემატიკური გეოგრაფია**, მეცნიერება, რომელიც განსაზღვრავს ზუსტად ცალკეული წერტილის მდებარეობას დედამიწის ბირთვზე კოორდინატების მიმართ. — **ეკონომიური გეოგრაფია**, მეცნიერება, რომელიც იკვლევს ადამიანის სამეურნეო-საზოგადოებრივ საქმიანობას გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით. — **პოლიტიკური გეოგრაფია** — ასწავლის საზოგადოებათა და სახელმწიფოთა წარმოქმნა-განვითარებას ტერიტორიის მიხედვით. — **ფიზიკური გეოგრაფია** - იკვლევს დედამიწის ზედაპირის ფორმებსა და თვისებებს და დედამიწის გარეგანი და შინაგანი ძალების გამომჟღავნებას მის ზედაპირზე. — **გეოგრაფ-ი**, გეოგრაფიის მცოდნე და მკვლევარი.—**გეოგრაფიული განაწილება შრომისა**, ისეთი სამეურნეო ურთიერთობა ქვეყნებს (ან ქვეყნის ნაწილებს) შორის, როცა ერთი ქვეყანა აწვდის სხვას თავის ნაწარმოებ საქონელს, რომელიც მასში არ იწარმოება (მაგ. ღვინო, ყავა, ბამბა და სხვა).—**გეოგრაფიული საზღვრები**, ბუნებრივი საზღვრები (მთები, მდინარეები, ზღვა...) ქვეყნებს (ან ქვეყნის ნაწილებს) შორის.

**გეოდეზია**, მეცნიერება, რომელიც იკვლევს დედამიწის ზედაპირის სიდიდეს, ფორმას და მოყვანილობას და რუკაზე მისი გამოსახვის საშუალებებს. **უმაღლესი გეოდეზია** იკვლევს დედამიწას მთლიანად მისი სიმრუდის გათვალისწინებით; **დაბალი გეოდეზია** ანუ **ტოპოგრაფია** იკვლევს დედამიწის ზედაპირის ცალკეულ მცირე ნაწილებს, როგორც სიბრტყეს — სფეროიულობის (ბირთვისებრიობის) უგულვებელყოფით. — **გეოდეზისტ-ი**, გეოდეზიის მცოდნე და მკვლევარი.

**გეოთერმია**, დედამიწის ქერქის სიღრმის ტემპერატურა; **გეოთერმიკა**, დედამიწის ბირთვის შინაგანი ტემპერატურისა და მისი ქერქში განაწილების მცოდნეობა; **გეოთერმომეტრ-ი**

გეოთერმიის საზომი ხელსაწყო.

**გეოლოგია**, მეცნიერება დედამიწის აგებულობის, წარმოქმნისა და განვითარების შესახებ; **დინამიკური** ანუ **ფიზიკური გეოლოგია** იკვლევს იმ მოვლენებს, რომლებიც ცვლიან დედამიწის შედგენილობასა და აგებულობას; **ისტორიული გეოლოგია** იკვლევს თანდათანობითს განვითარებას დედამიწისას და სიცოცხლისას მასზე.—**გეოლოგ-ი**, გეოლოგიის მცოდნე და მკვლევარი.

**გეომეტრია**, მათემატიკის დარგი,—შეისწავლის სხეულთა ფორმას, სიდიდეს და მდებარეობას სივრცეში.—**გეომეტრ-ი**, გეომეტრიის მცოდნე და მკვლევარი.

**გეომორფოლოგია**, გეოგრაფიის დარგი, — იკვლევს დედამიწის ზედაპირის ფორმებს.

**გეოპოლიტიკა**, მეცნიერება პოლიტიკური ფორმების შესახებ გეოგრაფიულ პირობებთან შეფარდებულობის მიხედვით (ეს მეცნიერება ჩამოყალიბდა მსოფლიო ომის შემდეგ: გეოპოლიტიკური მიმართულება ატარებს იმპერიალისტურ ხასიათს).

**გეოპსიქ-**, ნ. გეოფსიქ-.

**გეორგიკები** ან **გეორგიკონ-ი**, დამრიგებლობითი ლექსები ან პოემები ხვნა-თესვის შესახებ.

**გეოტაქსის-ი**, მოძრავ მცენარეთა გადაადგილება მიმზიდველობის გავლენით.

**გეოტერმ-**, ნ. გეოთერმ-.

**გეოტროპიზმ-ი**, ბიოლოგიური მოვლენა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მცენარის ორგანოებს აქვთ მიდრეკილება მიიღონ მდგომარეობა დედამიწის ცენტრის მიმართ (დედამიწის მიმზიდველობის გავლენით).

**გეოფაგ-ი**, მიწიჭამია; **გეოფაგია**, მიწიჭამიაობა (ავად-ბა).

**გეოფიზიკა**, მეცნიერება დედამიწის შესახებ ფიზიკური თვალსაზრისით,—იყენებს კვლევაში უმთავრესად ფიზიკის მეთოდებსა და მიღწევებს; მისი დარგებია: სწავლა დედამიწის ფორმის შესახებ, მეტეოროლოგია, სეისმოლოგია, ჰიდროლოგია და სხვ (ნ. ესენი).—**გეოფიზიკური ობსერვატორია**, სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც იკვლევს გეოფიზიკურ მოვლენებს და კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.

**გეოფილური მცენარეები** ანუ **გეოფიტები**, ისეთი მცენარეები, რომელთაც ყლორტები ეზრდებათ მიწაში; მაგ. აკონიტი, ყვავისთვალა და სხვ.

**გეოფსიქოლოგია**, ფსიქოლოგიის დარგი, — იკვლევს ადამიანის ქცევებს გარეგანი ბუნებრივი

პირობების ზეგავლენასთან-დაკავშირებით (უგულებელყოფს სოციალური მოვლენების გავლენას).

**გეოქიმია,** გეოლოგიური მეცნიერება,—შეისწავლის დედამიწის ქიმიურ ელემენტთა განაწილებისა და გადაადგილების კანონებს (ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დარგად მხოლოდ ამ ბოლო ხანს).

**გეოცენტრიზმ-ი** ანუ **მსოფლიოს გეოცენტრული სისტემა,** ძველებური მცდარი შეხედულება, თითქოს დედამიწა წარმოადგენდეს მსოფლიოს უძრავ ცენტრს და ცის მნათობნი მოძრაობდენ მის გარშემო.— **გეოცენტრული მდებარეობა მნათობისა.** მნათობის მდებარეობა დედამიწის ცენტრის მიმართ.

**გეპარდ-ი** ანუ **სანადირო ლეოპარდ-ი,** დიდტანოვანი გარეული კატა; ადვილად მოსაშინაურებელია; იყენებენ მას სანადიროდ.

**გეპატ-,** ნ. ჰეპატ-.

**გერა-,** ნ. ჰერა-.

**გერბარ-,** ნ. ჰერბარ-.

**გერბ-,** ნ. ღერბ-.

**გერკ-,** ნ. ჰერკ-.

**გერმანიზაცია,** არაგერმანელი ხალხის გაგერმანელება ენით და კულტურით.

**გერმანიზმ-ი,** გერმანული ენის თავისებურობა სხვა ენაში.

**გერმანისტ-ი,** გერმანული ენისა და საერთოდ გერმ. კულტურის მცოდნე და მკვლევარი.— **გერმანისტიკა** ანუ **გერმანული ფილოლოგია,** გერმანული ენისა და საერთოდ გერმ. კულტურის შემსწავლელი მეცნიერება.

**გერმანომანი,** მოყვარული ყველაფრის, რაც გერმანულია; **გერმანომანია,** ასეთის მოყვარულობა.— **გერმანოფილ-ი,** გერმანელთა მოყვარული.— **გერმანოფობ-ი,** გერმანელთა მოძულე; **გერმანოფობია,** გერმანელთმოძულეობა.

**გერმანული ენები** განიყოფება სამ ჯგუფად: 1) გოთური, ვანდალური, ბურგუნდული და სხვ.; 2) ისლანდიური, ნორვეგიული, შვედური და დანიური; 3) ანგლოსაქსური (მისი ჩამომავალია ინგლისური) ნიდერლანდური (ჰოლანდიური და ფლამანდური), ფრიზული, ქვემოგერმანული კილოები და ზემოგერმანული (ეს დაედო საფუძვლად სალიტერატურო გერმანულს).

**გერმაფროდ-,** ნ. ჰერმაფროდ-.

**გერმე-,** ნ. ჰერმე-.

**გერო-,** ნ. ჰერო-.

**გერონტი,** გეროუსიის წევრი; **გერონტოკრატია,** „უხუცესთა

მართველობა“, ე. ი. ისეთი წყობილება, როცა სახელმწიფოს განაგებენ უხუცესნი.

**გერპ-**, ნ. ჰერპ-.

**გერუსია**, „უხუცესთა საბჭო“ ძველ საბერძნეთში: საბჭოს წევრად ირჩევდენ მთელსიცოცხლივ 60 წელს გადაცილებული მოხუცები.

**გერცოგი**, ნ. ჰერცოგი-.

**გეტერ-**, ნ. ჰეტერ-.

**გეტმან-ი**, ნ. ჰეტმან-ი.

**გეტო** (-ტტო), ქალაქის დაშორებული ებრაელთა უბნები საშ. საუკუნეებში; გეტოს გარეშე ებრაელი ვერ დასახლდებოდა (თავდაპირველად ებრაელთათვის ხელსაყრელი გეტო შემდეგ იქცა მათ შევიწროების საშუალებად; მოატანა 19 საუკუნემდე).

**გეშეფტ-ი**, გამორჩომის (მოგების) მიზნით წამოწყებული საქმე; არაკეთილსახიერი, ურიგო საქმიანობა. — **გეშეფტმახერ-ი**, არაკეთილსახიერად, ურიგოდ მოსაქმე გამორჩომის მიზნით.

**გვაიაკოლ-ი**, ოდალაჯის ანუ სილიხის ზეთი: უფერული სითხე, — იხმარება წამლად სასუნთქი ორგანოების დაავადებისას.

**გვარდია**, 1) თავდაპირველად: მეფის ან სარდლის მცველი რაზმი; შემდეგ: 2) ლაშქრის რჩეული ნაწილი; რაიმე საზოგადოებრივი დაჯგუფების ყველაზე დამსახურებული და მედგვი ნაწილი, მაგ.: კომ. პარტიის ძველი გვარდია, კომ. პარტიის ძველი წევრები. — **თეთრი გვარდია**, ბურჟუაზიის შეიარაღებული ძალები პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. — **ნაციონალური გვარდია**, საფრანგეთში: დიდი რევოლუციის დროს ბურჟუაზიული ხასიათისა; აგრეთვე 1848 წ., — ებრძოდა მუშათა მოძრაობას; 1870 წ. შედგა მუშათაგან და 1871 წ. ხელმძღვანელობდა პარიზის კომუნის გამოცხადებას. — **წითელი გვარდია**, ყოფ. რუსეთში შექმნილი შეიარაღებული ძალა პროლეტარიატისა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, — ასრულებდა დიდ როლს დროებითი მთავრობის დამხობაში (1917), — შეცვლილ იქნა წითელი არმიით.

**გველფები** (მრავლ.), პოლიტიკური პარტია იტალიაში (საშ. საუკ.), — იცავდა პაპთა უფლებებს იმპერიის წინააღმდეგ, — უპირისპირდებოდა გიბელინებს (ნ.), როგორც „ხალხური პარტია“ ფეოდალურს.

**გიალ-**, ნ. ჰიალ-.

**გიაურ-ი**, ულვთო, ურჯულო (მუსლიმანთა სალანძღავი სიტყვა არამუსლიმანთა მიმართ).

**გიაცინტ-ი**, ნ. იაკინთი, ჰიაცინთი.

**გიბელინები** (მრავლ. გიბელლ-), პოლიტიკური პარტია იმპერატორისა იტალიაში (საშ. საუკ.), ნ. გველფები.

**გიბონ-ი** (გიბბ-), ადამიანისებრი უკუდო მაიმუნი.

**გიბრიდ-**, ნ. ჰიბრიდ-.

**გიგანტ-ი**, ბუმბერაზი; გადატ. მნიშვნ. სოციალისტურ მშენებლობაში: უდიდესი წამოწყებანი საწარმო-ქარხანათა და სხვ. სახით.—**გიგანტიზმ-ი**, ადამიანის სხეულის არანორმალურად დიდი სიმაღლე.

**გიგიენა**, ნ. ჰიგიენა.

**გიგრ-ო**, ნ. ჰიგრო-.

**გიდალგო**, ნ. ჰიდალგო.

**გიდ-ი**, გამყოლი, ყულაოზი, გზისმაჩვენებელი; მოგზაურთა საცნობო წიგნი.

**გიენა**, ნ. ჰიენა.

**გიერო-**, ნ. ჰიერო.

**გილდეიზმ-ი**, ანუ **გილდური სოციალიზმი**, ინგლისური სოციალიზმის ერთი მიმდინარეობა,— ჩამოყალიბდა მე-20-ე საუკ. დასაწყისში, — უარყოფს კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას.

**გილდიები** (მრავლ.), ვაჭართა და ხელოსანთა კავშირები საშ. საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში; რევოლუციამდე რუსეთში გილდიებში შედიოდენ განსაზღვრული გადასახადის გადამხდელნი და პრივილეგიების მქონე ვაჭრები.

**გილზ-ი**, ნ. ჰილზ-ი.

**გილოტინ-ი**, თავსაკვეთელი, თავმკვეთი მანქანა, — შემოიღეს საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს ექ. გილოტინ-ის (Guillotin) წინადადებით; იხმარება დღესაც საფრანგეთში. —**გილოტინირება**, **ვაგილოტინირებ**, ვსჯი თავისმოკვეთით; თავს ვკვეთ.

**გილოშაჟ-ი** (გილლ-), წვრილი, ტალღოვანპარალელური ხაზების ამოჭდევა რაიმე საგანზე (შუშის ჭურჭელზე, ლითონის ფირფიტაზე, ქაღალდზე). —**გილოშირება**, **ვაგილოშირებ**, ამგვარად აღვბეჭდავ. ჩვეულებრივ აგილოშირებენ ქაღალდის ფულს და სხვა ფასიან ქაღალდებს—მათზე დამცველი სურათების გამოყვანის მიზნით. —**გილოშე**, ამგვარი ნახაზი ან სურათი.

**გიმნაზია**, 1) სატანვარჯიშო და შემდეგ სასწავლო-სამეცნიერო საუბრის ადგილი ძველ საბერძნეთში; 2) ძველ (ბერძნ. და ლათინ.) ენათა შემსწავლი სკოლა დასავლეთ ევროპაში; შემდეგ: ზოგადი განათლების საშუალო სკოლა, რომელსაც ჰუმანურ მეცნიერებათა სიჭარბისა და საბუნებისმეტყველო

დარგების არასაკმარისად სწავლების გამო ეძლეოდა რეაქციული ხასიათი; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გიმნაზიის ნაცვლად გვაქვს I და II საფეხურის შრომის სკოლა. — **გიმნაზისტ-ი,** გიმნაზიის მოწაფე, გიმნაზიელი. — **გიმნასტ-ი, გიმნასტერ-ი,** ტანვარჯიშობის მასწავლებელი, მასში დახელოვნებული, ტანმოვარჯიშე. — **გიმნასტიკა,** ტანვარჯიში.

**გიმნეტები** (მრავლ.), მსუბუქიარაღიანი ქვეითი ჯარისკაცები ძველ საბერძნეთში.

**გიმნ-ი,** ნ. ჰიმნ-ი.

**გინეკეიონ-ი,** საქალო, სადიაცო, საქალებო. — **გინეკოკრატია,** ქალთამმართველობა. — **გინეკოლოგია,** მედიცინის დარგი, — შეისწავლის დედაკაცის სასქესო ორგანოების დაავადებას. - **გინეკოლოგ-ი,** ასეთის სპეციალისტი. — **გინეკომანია,** ავადმყოფურად ვნებიერი მიზიდულობა მამაკაცისა დედაკაცისადმი. — **გინეკომასტია,** მამაკაცის სარძეო ჯირკვლების (ძუძუების) გადაჭარბებული განვითარება.

**გიპ-,** ნ. ჰიპ-.

**გიპს-ი,** თაბაშირი: ერთგვარი გამჭვირვალე მინერალი, — გამომწვარი სახით იხმარება მიწის სასუქად. საამშენებლო საქმეში და სხვ.; ზოგიერთი სახეობა იხმარება საქანდაკებლად და სხვ.

**გირა,** საწონი.

**გირლანდ-ი,** ჯაჭვად ან ლენტად წნული ყვავილები ან ფოთლები.

**გისოსკოპი,** ბზრიალა (ფიზიკის ხელსაწყო).

**გისტ-,** ნ. ჰისტ-.

**გიტარა,** ექვს და მეტსიმებიანი სამუსიკო საკრავი.

**გლადიატორები** (მრავლ.), საგანგებოდ გაწვრთნილი მეომრები ძველ რომში მონები ან ტყვეები, მათ აბრძოლებდენ საჯაროდ ცირკში ერთმანეთთან ან მხეცებთან.

**გლაუკომა,** თვალის მძიმე ავადმყოფობა.

**გლაზეტ-ი,** აბრეშუმფუძიანი და ვერცხლ- ან ოქრომისაქსელიანი ქსოვილი.

**გლაზურ-ი,** მოჭიქულობა, ჭიქური: მინის ფენი თიხის საგნის ზედაპირზე, — მოეფინება საგანს გამოწვისას — წინასწარ საგანგებო ნაერთის წასმის გამო; მოჭიქული საგანი ბრწყინავს, გლუვია, წყალგაუვალია. — **გლაზირება, ვაგლაზირებ,** მოვჭიქავ. — **გლაზირებული,** მოჭიქული.

**გლანდები** (მრავლ.), ნუშისებრი ჯირკვლები სასის რკალებს შუა ხახის გვერდებზე.

**გლასე**, აბრეშუმის მბზინვარე ქსოვილი.

**გლასის-ი**, მიწაყრილი ციხის თხრილის გარეთა ნაპირის წინ.

**გლაუკომა**, ნ. გლავკომა.

**გლეტჩერ-ი**, ყინულის ნაკადი.

**გლიკემია** ან **გლიკჰემია**, შაქრის შეცულობა სისხლში.

**გლიკოგენ-ი** ანუ ცხოველური სახამებელი რთული ნახშირწყალი,—მოეპოება ცხოველს უმთავრესად ღვიძლსა და კუნთებში,—მას აქვს დიდი მნიშვნელობა კუნთების სიძლიერისა და სითბოს წარმოქმნისათვის.

**გლინტვეინ-ი**, ცხელი კუნდიტი ანუ ცხელი წითელი ღვინო, სანელებლით შეზავებული.

**გლიომა**, სიმსივნე თავის ან ზურხემლის ტვინში.

**გლისტები**, (მრავლ.), პარაზიტული ჭიები ადამიანის და ცხოველის სხეულში.

**გლიუკოზა**, ნ. გლუკოზ-ი.

**გლიუტინ-ი**, ნ. გლუტინ-ი.

**გლიფტიკა**, მაგარ ქვაზე მოჩუქურთმების ხელოვნება.—**გლიფტოთეკა**, ჩუქურთმა-ქანდაკებათა კრებული, მათი შესანახი ადგილი.

**გლიცერინ-ი**, სქელი უფერო და და უსუნო სითხე, მოიპოება ცხიმებისაგან და დაიწმინდება გამოხდით,—იხმარება სამღებრო და სასტამბო საქმეში, ასაფეთქებელ ნივთიერებათა დამზადებაში და სხვ.

**გლობულინები** (მრავლ.), წმინდა წყალში უხსნადი ცილოვანი ნივთიერებები, — მიეკუთვნებიან პროტეინებს (ნ. ეს).

**გლობუს-ი**: 1) ასტრონომიული — ვარსკვლავიან ცის გამოსახულება ბირთვზე; 2) გეოგრაფიული—დედამიწის გამოსახულება ბირთვზე — მცირე მაშტაბით.

**გლორია**, 1) აბრეშუმფუძიანი და ბამბამისაქსელიანი ქსოვილი; 2) ჰიმნი, ქება; კათოლიკური წირვის ორი ნაწილი. — **გლორიფიკაცია**, ქება, დიდება.

**გლოსა** (-სსა), 1) ენა, მეტყველება; 2) ძველად: გაუგებარი ახსნელი სიტყვა; გაუგებარი სიტყვების ან ტექსტების ახსნაგანმარტება.—**გლოსარი**, ლექსიკონი. – **გლოსატორი**, რომაული სამართლის წყაროთა ამხსნელ-განმმარტებელი იურისტი.—**გლოსოგრაფ-ი**, გლოსების შემკრებელი და ამხსნელი.

**გლოსიტ-ი** (-სს-), ენის ანთება.

**გლოხოლალია** (-სს-), 1) უაზრო ბგერათა წარმოთქმა აგზნებულ მდგომარეობაში ან გარკვეული დაავადების გამო; 2) მივიწყებულ- (და დღეს გაუგებარ) შინაარსიანი სიტყვები, მაგ. დიახ, ოდელია...—**გლოხომანია**, ენათა შესწავლისადმი გადაჭარბებული მიზიდულობა.—**გლოხოპლეგია**, ენის დამბლა. —

**გლოხოხკოპია**, ენის სინჯვა-კვლევა.

**გლოტოგონია (გლოტტ-)**, ენის (მეტყველების) წარმოშობის საკითხი, ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი.—**გლოტოგონიური პროცესი**, ენის წარმოშობის პროცესი.

**გლუკოზ-ი**, ღვინის შაქარი,—ბევრია მცენარეებში და ცხოველებში.

**გლუტინ-ი**, ცხოველის წებო,—წარმოადგენს ცილოვანთა მსგავს აზოტოვან ნივთიერებას; მისაგან მოიპოება ჟელატინი და წებო, იხმარება ტექნიკაში.

**გმინა, გმინ-ი**, თემი (პოლონეთის რესპუბლიკაში).

**გნომა**, ანდაზისებრი მოკლე თქმა (ძვ. საბერძნეთში); **გნომიკური** (გნომების შემცველი) ლიტერატურა გავრცელებულია აღმოსავლურ ლიტერატურებში.

**გნომები** (მრავლ.), დასავლეთ ევროპის ზღაპრებში და შემდეგ ლიტერატურაში: მიწის წიაღში მდებარე განძეულობის მცველი სულები—ჯინკები.

**გნომ-ი**, ერთერთი პირველ ძრავთაგანი ავიაციაში (ნ. ავიაცია)—ჰაერსაცივრიანი,—მან ხელი შეუწყო ავიაციის განვითარებას.

**გნომონ-ი**, უძველესი მარტივი ასტრონომიული იარაღი,—აჩვენებს ჩრდილით მზის სიმაღლეს ანუ დღის დროს; მზის საათი.

**გნოსეოლოგია** ანუ შემეცნების თეორია, ფილოსოფიის დარგი, მეცნიერება შემეცნების შესახებ,—იკვლევს ადამიანის აზროვნებისა და გარემსოფლიოს ურთიერთობას, ე. ი. როგორ და რამდენად შევიცნობთ სინამდვილეს: დამოუკიდებელია ჩვენი ცოდნა სინამდვილისაგან (იდეალიზმი), თუ სინამდვილე განსაზღვრავს ჩვენს ცოდნას (მატერიალიზმი). მარქსისტული გნოსეოლოგია არის დიალექტური მატერიალიზმი.

**გნოსტიკები** (მრავლ.), გნოსტიციზმის მიმდევარნი.—**გნოსტიციზმ-ი**, რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა უკანასკნელ (ქ. წ.) და პირველ (ქ. შ.) საუკუნეებში, — წარმოადგენდა ძველ აღმოსავლურ და დასავლურ სარწმუნოებათა შენაერთს — აღმოსავლ. და დასავლეთის ეკონომიური და კულტურული დაახლოების ნიადაგზე,—ეხებოდა საკითხებს ბოროტების წარმოშობისა და ცხონების შესახებ.

**გობელენები** (მრავლ.), მხატვრულ-სურათებიანი ძვირფასი საკედლე ხალიჩები, მოქსოვილი აბრეშუმისა და მატყლისაგან, — იხმარება აგრეთვე ავეჯის სამკაულად.

**გობოი**, ნ. ობოა.

**გოგელმოგელ-ი, გოგლიმოგლ-ი,** შაქრიანი გათქვეფილი კვერც ხისგული.

**გოგენცოლერნები,** ნ. ჰოჰენცოლერნები.

**გოთ-,** ნ. გუთ-.

**გოლგოთა,** 1) გორაკი იერუსალიმთან, სადაც გადმოცემის თანახმად სჯიდენ სიკვდილმისჯილებს და ჯვარსაცვეს ქრისტე; 2) ტანჯვა.

**გოლ-ი,** ნ. ჰოლ-ი.

**გოლიათი,** 1) ბიბლიით: დავით მეფის მიერ მოკლული ფილისტიმელი გმირი; 2) დევგმირი; 3) ერთგვარი ხოჰო.

**გოლფ-ი,** ინგლისური თამაში პაწაწა ბურთით.

**გოლფსტრემ-ი,** ატლანტიკური ოკეანის ჩრდ. ნაწილის თბილი ძდინარება.

**გომეო-,** ნ. ჰომეო-.

**გომილ-,** ნ. ჰომილ-.

**გომინდან-ი,** 1912 წელს დაარსებული (სუნ-იატ-სენ-ის მიერ) პოლიტიკური პარტია ჩინეთში, — თავდაპირველად ეროვნულ-ბურჟუაზიული, შემდეგ (1920 წლიდან ეროვნულ-რევოლუციური პროგრამით: ნაციონალიზმი, დემოკრატიზმი, სოციალიზმი); 1925 წლიდან იწყებს კომუნისტური მოძრაობის დევნას; ამჟამად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, გომინდანი იქცა კონტრრევოლუციურ პარტიად, ახშობს რევოლუციურ მოძრაობას უცხოელ იმპერიალისტებთან შეთანხმებულად.

**გომო-,** ნ. ჰომო-.

**გომრულ-ი,** ნ. ჰომრული.

**გონადები** (მრავლ.), სასქესო ჯირკვლები (სათესლეები, საკვერცხეები).

**გონგ-ი,** დოლისებრი აღმოსავლური სამუსიკო საკრავი.

**გონდოლა, გონდოლ-ი,** 1) მომცრო ვიწრო ვენეციური ნავი; 2) **საავიაციო გონდოლი,** აეროპლანის ან დირიჟაბლის ნაწილი, სადაც მოთავსებულია პასაჟირები და მატორები. — **გონდოლიერა,** მეგონდოლის სიმღერა. **გონდოლიერ-ი,** მეგონდოლე, მენავე.

**გონიომეტრ-ი,** 1) კუთხმზომი, კუთხის საზომი იარაღი; 2) რადიოტექნიკაში: მიმართული გადაცემისა და მიღების ხელსაწყო; **გონიომეტრია,** კუთხმზომლობა (ტრიგონომეტრიის ნაწილი).

**გონოკოკ-ი** (-კკი). გონორეის (სუსუნატის) აღმძვრელი ბაქტერია.

**გონორარ-ი,** ნ. ჰონორარ-ი.

**გონორეა** (-რრეა), სუსუნატი, საშარდე მილის ლორწოიანი გარსის ანთება.

**გონორ-ი,** ნ. ჰონორ-ი.

**გონფალონ-ი,** სამხედრო დროშა იტალიაში; **გონფალონიერ-ი,**

აღმასრულებელუფლებიანი არჩეული თანამდებობის პირი იტალიაში (საშ. საუკ.).

**გოპ-**, ნ. ჰოპ-.

**გორდიოს-ის ნასკვი**, 1) ბერძნ. თქმულებით: ალექსანდრე მაკედონელის მიერ ხმლით გადაკვეთილი საგანგებოდ დახლართული ნასკვი; 2) **გორდიოსის ნასკვის გარდაკვეთა**, რთული საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა.

**გორელიეფ-ი**, ნ. ჰორელიეფ-ი.

**გორიზონტ-**, ნ. ჰორიზონტ-.

**გორილა (-ლლა)**, ყველაზე დიდი ადამიანისებრი მაიმუნი (ნაკლებად უგავს ადამიანს ქალა ანუ თავისქალა და თავის ტვინი).

**გორნ-**, ნ. ჰორნ-.

**გორო-**, ნ. ჰორო-.

**გორჟეტ-ი (-ტტ-ი)**, ყელსახვევი შარფი.

**გორჟ-ი**, ყელი, საერთოდ: ციხესიმაგრის ზურგი; კერძოდ: სიმაგრის ღია ზურგი.

**გორტ-**, ნ. ჰორტ-.

**გოსპ-**, ნ. ჰოსპ-.

**გოტენ-**, ნ. ჰოტენ-.

**გოტიკა**, ნ გუთ-.

**გრაბარ-ი**, ძველსომხური სამწერლო ენა (აშხარაბარ-ი — ხალხური).

**გრადაცია**, საფეხურობლივ თანდათანი ასვლა (ამაღლება, მოძრაობა ზევით) ან დასვლა (დადაბლება, მოძრაობა ქვევით). მწერლობაში: აზრის თანდათანი გაძლიერება ან დასუსტება; თანდათანი განსხვავება რაიმე მხრივ.

**გრადიენტ-ი**, რაიმე სიდიდის ცვლილება სიგრძის ერთი ერთეულით.

**გრადირება**. მარილის ხსნარის შესქელება გამონიავების გზით.

**გრადუაცია**. დამენაკება, საზომ ან საწყაო საგანზე თანაბარი ნაწილების აღნიშნვა, დაჰდევა. — **გრადუირება**, **ვაგრადუირებ**. ასეთს ვიქმ, ვამენაკებ, ვაჰდევ თანაბარ ნაწილებს.

**გრადუს-ი**, 1) რკალის გრადუსი-წრეხაზის $1/_{360}$ ნაწილი; 2) კუთხის გრადუსი-რკალის ერთ გრადუსზე დაყრდნობილი ცენტრული კუთხე; 1) თერმომეტრისა და სხვა ხელსაწყოების დაყოფის ერთეული; 4) სპირტის სიმაგრის ერთეული.

**გრავერ-ი**, გრავიურის მკეთებელი, ამომკვეთი.

**გრავიორ-ი**, ნ. გრავერი.

**გრავირება**, **ვაგრავირებ**, ამოვკრი, ამოვკვეთ ხის ან ლითონის ფირფიტაზე (დაფაზე) სურათს ამობურცვით ან ჩაღრმავებულად. — **გრავიურა**, **გრავიურ-ი**, ასეთის ანაბეჭდი მხატვრული სურათი.

**გრამატიკა** (გრამმ-), ენათმეცნიერების ერთერთი დარგი,—შეისწავლის მეტყველების (სიტყვათა და შესიტყვებათა) ფორმებს. **გრამატიკოს-ი**, გრამატიკის მცოდნე.

**გრამ-ი** (გრამმ-ი), მეტრული სისტემის წონის ერთეული,—უდრის წმინდა წყლის ერთი კუბიკური სანტიმეტრის წონას.—**გრამ-ატომ-ი**, მარტივი ნივთიერების გრამების რიცხვი, რომელიც უდრის მის ატომურ წონას.—**გრამ-მოლეკულ-ი**: რაიმე ნივთიერების გრამ-მოლეკული შეიცავს ნივთიერების იმდენ გრამს, რამდენი ერთეულიცაა მის მოლეკულურ წონაში.

**გრამოფონ-ი**, ბგერის ავტომატურად გადამღები (ჩამწერი) და ამომღები (გამომცემი) მოწყობილობა.

**გრანატ-ი**, ყუმბარა (ფუთზე ნაკლები სიმძიმისა).

**გრანდები** (მრავლ.), ესპანეთის წარჩინებული წოდება, დიდებულნი.

**გრანდიოზული**, უზარმაზარი.

**გრან-ი**, წონის ერთეული (გრამის 6/100).

**გრანიტ-ი**, კარკალი, მარცვლოვანი ქანი,—შეიცავს მინდვრის შპატს, ქვარცს და ქარსს და იხმარება საშენებელ მასალად.

**გრანულაცია**, დამარცვლოვნება; ქსოვილის წარმოქმნა ჭრილობის შეხორცებისას (კილოსდასხმისას).

**გრანულები** (მრავლ.), პლაზმის უჯრედების სხვადასხვა მარცვლოვნობანი.

**გრანულეზურ-ი**, მარცვლოვანი.

**გრატის**, უფასო(დ), უსასყიდლო(დ).

**გრატიფიკაცია**, დაჯილდოება, დასაჩუქრება; ჯილდო.

**გრაფა**, ორხაზშორისი (დავთარში, ბლანკზე და სხვ.), სვეტისებრი მანძილი ორ პარალელ ხაზს შუა.—**გრაფვა**, **ვგრაფავ**, ასეთ სვეტებს ვხაზავ; **დაგრაფული** — ორხაზსშორისიანი.

**გრაფ-ი**, საშ. საუკ.: მეფისმიერ დანიშნული უმაღლესი თანამდებობის პირი; შემდეგ: მსხვილი ფეოდალის საპატიო ტიტული; ახლა (ბურჟ. ქვეყნებში): მემკვიდრეობითი ტიტული უმაღლეს აზნაურთა. — **გრაფინია**, გრაფის ცოლი ან ქალი.

**გრაფიკა**, დამწერლობა, ბგერათგამოსახულება წერით; ხელოვნებაში: მხაზველობა ანუ ხაზების ხელოვნება, უპირისპირდება ფერწერას.—**გრაფიკული**, დამწერლობითი, ხაზვითი, ხაზობრივი.

**გრაფიკ-ი**, 1) რაიმე მოვლენათა და პროცესთა რიცხვობრივი დამოკიდებულობის თვალსაჩინოდ გამომსახველი ნახაზი;

2) ხარკინიხგზო გრაფიკი, მატარებელთა მოძრაობის განრიგების ხაზებით გამოსახულება.

**გრაფინ-ი,** მინის სურა.

**გრაფიტ-ი,** ბუნებრივი ნახშირბადის ერთერთი სახეობა, მინერალი,—იხმარება ცეცხლგამძლე ჰურჰლეულის და ფანქრის დასამზადებლად, აგრეთვე მრავალ სხვა რამეში.

**გრაფოლოგია,** ადამიანის ხასიათის და სხვა თვისებათა შესწავლა ხელნაწერის მიხედვით.—**გრაფოლოგ-ი,** გრაფოლოგიის მცოდნე.

**გრაფომანია,** წერისადმი (თხზვისადმი) გადაჭარბებული მიდრეკილება; უნიჭო მთხზველობა.

**გრაცია,** 1) მშვენიერების თითოეული სამ ქალ-ღმერთთაგანი (ბერძნ.-რომაული მითოლოგიით); 2) სიკეკლუცე, მოხდენილობა.—**გრაციოზული,** კეკლუცი, მოხდენილი.

**გრაციის დღეები,** საშეღავათო დღეები ვალდებულების შესასრულებლად.

**გრენადერები** (მრავალ.), სამხედრო რაზმის რჩეული ჯარისკაცები, ყუმბარების მსროლელები.

**გრენა, გრენ-ი,** აბრეშუმის ჭიის თესლი; **გრენაჟ-ი,** 1) მარცვლვა, 2) მარცვლოვნად მოვარაყება, 3) გრენის შეგროვება.

**გრეციზმები** (მრავალ.), ბერძნული ენის თავისებურებანი სხვა ენაში; **გრეცისტ-ი.** ბერძნული ენისა და ბერძნ. კულტურის მცოდნე და მკვლევარი.

**გრიგორიანები** (მრავალ.), გრიგორიანთა ეკლესიის მორწმუნენი (სომეხ ქრისტიანთა ნაწილი, რომელიც VI საუკ. მიემხრო მონოფიზიტობას).

**გრიგორიანული კალენდარ-ი,** ანუ ახალი სტილი წელთაღრიცხვისა (ნ. კალენდარი და სტილი)

**გრივუაზულ-ი,** თამამი, კადნიერი, მხიარული.

**გრიზეტ-ი(-ტტ-ი),** 1) აბრეშუმნარევი მატყლის ქსოვილი; 2) ახალგაზდა მკერავი ქალი დაბალი წრიდან (საფრანგეთში); სტუდენტის მეგობარი.

**გრიმას-ი,** პირისახის გამომეტყველების გამოცვლა დამანჭვით, პირისახის მანჭვა.

**გრიმ-ი,** 1) სახისცვლა მსახიობის მიერ სხვადასხვა საშუალებით (სალებავების წასმით, ხელოვნური წვერულვაშის გაკეთებით და სხვ.); 2) სახისსაცვალი საშუალებანი.—**გრიმირება, ვგრიმირდები,** — სახესვიცვლი; **ვაგრიმირებ,** სახესვუცვლი.

**გრიპ-ი (გრიპპ-ი)** ანუ **ინფლუენცა,** გადამდები ავადმყოფობა: ავადმყოფს აძლევს დიდ სიცხეს, ახველებს, ტეხს მთელ სხეულში, ემართება სურდო და სხვ.

**გრიფელ-ი** (გრიფფ-), რბილი ფიქალის ჩხირი — სასკოლო ასპიდის დაფაზე საწერად.

**გრიფ-ი**, 1) ფასკუნჯი, ზღაპრული მფრინავი მხეცი (ტანი ლომისა, თავი და ფრთები არწივის); 2) ერთგვარი მტაცებელი დიდტანოვანი ფრინველი; 3) სიმებიანი საკრავის ტარზე გადაკრული გრძელი თხელი ფიცარი, რომელზედაც ედება სიმები დაკვრისას; 4) მოწინააღმდეგის ხელების შეკვრა ჭიდაობაში; 5) ხელწერის შტემპელი, მისი ანაბეჭდი.

**გროსბუხ-ი** (გროსს-), მთავარი დავთარი, თავდავთარი.

**გროს-ი** (გროსს-ი), თორმეტი დუჟინი (თორმეტეული), ე. ი. 144 ცალი რამ (მაგ. ფანქარი, ძაფი...).

**გროსმეისტერ-ი** (გროსს-), სასულიერო რაინდთა ორდენის მეთაური.

**გროტესკ-ი** (გროტტ-), ხელოვნებაში საკვირველი, ფანტასტიკური; არაბუნებრივი გადახლართვა ცხოველთა, მცენარეთა, ადამიანთა სახეებისა მხატვრობასა და ქანდაკებაში.

**გრუმ-ი**, ბატონის მხლებელი ზეითად (ცხენზე, ეტლში).

**გრუნტ-ი**, 1) მიწის მკვრივი ბუნებრივი ფენი (საამშენებლო საქმეში); 2) აუზის მკვრივი საფუძველი; 3) ფერადების პირველი ფენი მხატვრობაში. — **გრუნტვა**, ვგრუნტავ, შევანიადაგებ; პირველ ფენს წავცხებ (მხატვრობაში).

**გუანო**, ზღვიერ ფრინველთა სკინტლი (განავალი), — გამოყენებულია მიწის სასუქად.

**გუაშ-ი**, 1) წებოვანი წყალფერადები, 2) ასეთით ფერწერა, 3) ასეთით ნახატი.

**გუბერნატორ-ი**, 1) უმაღლეს თანამდებობის პირი ინგლისის და საფრანგეთის ზოგიერთ კოლონიაში; 2) უმაღლესი თანამდებობის არჩეული პირი ამერიკაში; 3) გუბერნიის უფროსი ყოფ. რუსეთში 1917 წლამდე.

**გუბერნია**, ძირითადი საადმინისტრაციო ერთეული ყოფ. რუსეთში და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ხანამდე — საბჭოთა კავშირში (ამის შემდეგ ხდება ადმინისტრაციულსამეურნეო დარაიონება და გუბერნიების ლიკვიდაცია).

**გუგენოტები**, ნ. ჰუგენოტები.

**გუდრონ-ი**, ქანფისი, მყიფე ან ძაგარი, შავი ფერისა, — გამოყენებულია მოასფალტების საქმეში; მით ფარავენ (**აგუდრონებენ** ანუ **გუდრონავენ**) გზას, ქუჩას; მწებვარეა — მტვერს მიიკრავს.

**გუვერნანტ-ი**, აღმზრდელი დედაკაცი ბურჟუაზ. ოჯახში; გადია, დედამძუძუ. — **გუვერნერ-ი** — ასეთივე მამაკაცი.

**გუთები** (მრავლ.), ძველ გერმანელთა აღმოსავლური შტო.—**გუთური სტილი** („გოტიკა"), სახუროთმოძღვრო სტილი, რომელიც განვითარდა 12 საუკ. ჩრდ. დასავლ. საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა მთელ დასავლეთ ევროპაში; აყვავდა 13—15 საუკ. ქალაქებისა და ვაჭარ ბურჟუაზიის განვითარებასთან დაკავშირებით: მას ახასიათებს სიმაღლე და სივიწროვე შენობისა, მისწრაფება ზევით, წაწვეტილი შემკულობა, ქანდაკებათა სიმრავლე და სხვ. (არავითარი კავშირი არ აქვს გუთებთან).—**გუთური შრიფტი**, კუთხოვანი შრიფტი,—იხმარება გერმანულ დამწერლობაში.

**გულდენ-ი**, წინეთ ოქროსი, შემდეგ ვერცხლის ფული; ხმარებაშია ახლა ჰოლანდიაში, უდრის დაახლ. 78 კაპ.

**გუმან-**, ნ. ჰუმან-.

**გუმი** (გუმმი), გომფისი, — **გუმიარაბიკუმ-ი**, არაბული გომფისი, —იხმარება წებოდ.—**გუმოზ-ი** ან **გუმოზის-ი**, მცენარეთა ავადმყოფობა,—გამოიხატება ლორწოს და კამედის დენაში.

**გურიები**, ნ. ჰურიები.

**გურმან-ი**, გემოთმოყვარე, პირისგემოს მცოდნე.

**გურჯისტან-ი**, საქართველო (სპარსულად).

**გუსარ-**, ნ. ჰუსარ-.

**გუსიტ-**, ნ. ჰუსიტ-.

**გუტაპერჩ-ი** (გუტტ-), ტროპიკული მცენარის გამყარებული წვენი, ხხედი (შავწითელი),—ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უახლოვდება კაუჩუკს,—გამოყენებულია ტექნიკაში მრავალგვარად (მილებისთვის, ქირურგიული იარაღებისთვის, წყალქვეშა კაბელების საიზოლაციოდ და მრ. სხვ.).

**გუტურალ-ი** (გუტტ-), ყელის, ხორხის; გუტურალი თანხმოვნები ეწოდება უმართებულოდ უკანენისმიერ თანხმოვნებს (გ კ ქ ხ).

# დ

**დადაიზმ-ი**, იმპერიალისტური ომის დროს ფრანგ და გერმანელ წვრილბურჟუაზიულ მწერალთა და მხატვართა მიერ შექმნილი ხანმოკლე მხატვრული და ლიტერატურული მიმდინარეობა („დადა" — უმნიშვნელო სიტყვა—დაირქვა პირველმა ჯგუფმა), — წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ, თუმცა მას არ გააჩნდა

არავითარი სოციალურ-კულტურული და ლიტერ.-მხატვრული დადებითი პროგრამა; **დადაისტების** (დადაიზმის მიმდევართა) ანარქისტული ამხედრება ყოველისავე წინააღმდეგ ამჟღავნებდა მათში ბურჟუაზიული ინტელიგენციის უმწეობას იმპერიალისტური ომისა და მისი სოციალურ შედეგების წინააღმდეგ.

**დაკტილ-**, ნ. დაქტილ-.

**დალაი-ლამა**, ტიბეტის უზენაესი ხელისუფალი და ამასთანავე უზენაესი ქურუმი ბუდისტებისა (ნ. ეს).

**დალტონიზმ-ი**, მხედველობის თანდაყოლილი ნაკლი, ერთგვარი სიბრმავე ფერის გარჩევაში: ავადმყოფი ვერ არჩევს ერთ ფერს მეორისაგან (უმეტესად წითელს მწვანისაგან); აღნიშნა პირველად მეცნიერმა დალტონმა.

**დალტონ-პლან-ი**, სასკოლო აღზრდისა და სწავლების ერთგვარი წესი (პირველი ცდები ჩაატარა შეერთ. შტატების ქ. დ ა ლ ტ ო ნ შ ი მასწავლ. ქალმა ელენე **პარკჰორსტ-**მა —1919 წ.),—მისი მიზანია მოწაფეში თვითმოქმედებისა და დამოუკიდებლობის განვითარება. საბჭოთა სკოლისათვის არაა იგი მისაღები მთლიანად, ვინაიდან მოწაფის აქტიობა არაა დაკავშირებული კოლექტივურობასთან, მოწაფის მუშაობა მოწყვეტილია გარემო სინამდვილისაგან.

**დამა**, 1) ქმრიანი ქალი, უმეტესად მაღალი წრიდან; 2) ერთგვარი აბრეშუმის, მატყლის ან სელის ქსოვილი; 3) ერთგვარი ჭადრაკისებრი თამაში.

**დამბა**, ჯებირი (წყალშემკავებელი ან წყალმიმმართველი).

**დამოკლეს-ის მახვილი**, განუწყვეტლივ ადვილმოსალოდნელი საფრთხე (ძველებური თქმულებით სირაკუზელმა ტირანმა დააკიდებინა ზეიმის დროს თავისი მჯდარი მეგობრის, დამოკლესის, თავის პირდაპირ ხმალი ცხენის ძუით).

**დანაელთა საჩუქარი**, მიმღებისათვის სახიფათო საჩუქარი (იგულისხმება ბერძნების მიერ ტროიასთან დატოვებული უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიაც ჯარისკაცები იმალებოდენ; ტროიელი **ლაოკოონ-ი** აფრთხილებდა თავისიანებს: მეშინიან დანაელების საჩუქრისაცო).

**დანტისტ-ი**, კბილის ექიმი.

**დაოთაინ-ი**, რაიმე დარგის გამგე მოხელე ჩინეთის პროვინციებში.

**დაოსიზმ-ი**, ჩინეთის ერთერთი (სამთაგანი) რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება—მისტიკურ-განდეგილური ხასიათისა,

—წარმოიშვა გლეხთა უუფლე-ბობისა და უკმაყოფილების ნიადაგზე ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის ხანაში (6 საუკ. ქ. წ.).

**დარვინიზმ-ი,** ინგლისელი ბუნებისმეტყველის ჩ. დ ა რ ვ ი ნ ი ს მიერ (1809—1882) შექმნილი და დასაბუთებული მოძღვრება ორგანოული მსოფლიოს (მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის) წარმოშობის შესახებ თანდათანი განვითარების გზით უმარტივესი ფორმებისაგან,—დაედვა საფუძვლად ევოლუციურ თეორიას. დარვინიზმმა საბოლოოდ გაანადგურა შეხედულება მცენარეთა და ცხოველთა სახეების უცვალებლობის შესახებ. დარვინიზმით ორგანოული მსოფლიოს ევოლუციის ფაქტორებია: მემკვიდრეობითი ცვლილებები, არსებობისათვის ბრძოლა და ბუნებრივი შერჩევა. დარვინიზმმა, როგორც მატერიალისტურმა მოძღვრებამ, დიდი როლი შეასრულა მატერიალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრების მხრივ ცოდნის ყოველ დარგში, განსაკუთრებით—ბიოლოგიურ მეცნიერებებში. რაც შეეხება საზოგადოებათმეცნიერებათა დარგებს, აქ,—რამდენადაც საზოგადოების ფორმათა განვითარების კანონზომიერება მჟღავნდება სხვაგვარად, ვიდრე ორგანოულ მსოფლიოსი,—იმდენად არ შეიძლება მექანიკურად გადმოტანილ იქნეს დარვინიზმი.—**დარვინისტ-ი,** დარვინიზმის მიმდევარი.

**დახილოხება,** ნ. სილოს-ი.

**დატა,** თარიღი: რაიმე წერილობით (ან ბეჭდურ) საბუთზე აღნიშნული მისი დაწერის დრო.

**დაუეს-ის გეგმა,** გერმანიისაგან სარეპარაციო (ნ. რეპარაცია) გადასახადების მიღების გეგმა, დამუშავდა ექსპერტთა კომისიის მიერ ამერიკელი ბანკირის, გენერალ დ ა უ ე ს-ის თავმჯდომარეობით. ამ გეგმის პოლიტიკური მიზანი იყო გერმანული ვალუტის სტაბილიზაცია და მით გერმ. კაპიტალიზმის განმტკიცება.—მისი მთელი სიმძიმე აწვებოდა გერმ. პროლეტარიატს და წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებს. დაუესის გეგმა მოქმედებდა 1925 წლიდან 1929 წლამდე, როცა იგი შეიცვალა იუნგის გეგმით (ნ.).

**დაქტილ-ი,** ლექსის სამმარცვლოვანი მუხლი, რომლის პირველი მარცვალი გრძელია ან მახვილიანი.

**დაქტილოლოგია,** თითების ანბანი, ცალი ხელის თითების საშუალებით აზრის გაზიარების ხერხი, ყრუმუნჯთა ანბანი.—**დაქტილოსკოპია,** ხელის თითების

ანაბეჭდის შესწავლა და ამ გზით პიროვნების იგივეობის გამოცნობა, — გამოყენებულია სისხლისსამართლის ძიებისას დამნაშავის აღმოსაჩენად.

**დაშნაკცუთუნ-ი,** სომხეთის პოლიტიკური ნაციონალისტური პარტია, რომლის მიზანი იყო სომეხთა განთავისუფლება ოსმალეთისაგან და მთლიანი სომხეთის შექმნა,—სინამდვილეში გამომსახველი იყო სომხური სავაჭრო ბურჟუაზიის ზრახვებისა; 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სომხეთის გასაბჭოებამდე ხელისუფლება ა/კ-ის სომხეთში ამ პარტიის ხელში იყო; შეურიგებელია გასაბჭოებასთან და პროლეტარიატის დიქტატურასთან. —**დაშნაკელი, დაშნაკ-ი, დაშნაკცაკან-ი,** დაშნაკცუთუნის წევრი.

**დეაერატორ-ი,** ორთქლის ქვაბების მკვებავი წყლიდან აირების (გაზების) გამცლელი მოწყობილობა.

**დებარკადერ-ი,** მისაყენებელი ადგილი გემისა ნავსადგურში და მატარებლისა - რკინისგზის სადგურში.

**დებატები** (მრავლ.), კამათი, აზრის გაცვლა-გამოცვლა საჯაროდ.

**დებეტ-ი,** 1) შემოსავლის მაჩვენებელი მარცხენა გვერდი საბუხჰალტრო წიგნში; 2) საწარმოს ვალების საერთო ჯამი.

**დებილ-ი, დებილური,** გონებასუსტი, გონებით ჩამორჩენილი.

**დებიტ-ი,** წლის რაოდენობა, რომელსაც იძლევა წყარო დროის განსაზღვრულ ერთეულში.

**დებიტორ-ი,** მოვალე, სესხის ამღები.

**დებიუტ-ი,** 1) პირველად გამოსვლა რაიმე სამოქმედო ასპარეზზე, მაგ. თეატრში — სცენაზე; 2) პირველი სვლა (პარტიის დაწყება) ჭადრაკში.—**დებიუტანტ-ი**—დამწყები, პირველად გამომსვლელი.

**დებოშ-ი,** უწესურობა, აურზაური, უწესური ქეიფი; შლეგობა.— **დებოშირ-ი,** შლეგი, უწესური.

**დებუშირება** ან **დებუშვა,** ჯარის გამოსვლა ვიწროებიდან, გამოხდომა.

**დეგაზაცია,** საომარი გაზებით მოწამლული ადგილის გაუვნებლობა, გაწმენდა.—**დეგაზირება, ვადეგაზირებ.**

**დეგენერატ-ი,** ვისაც გადაგვარების ნიშნები აქვს, გადაგვარების გზაზე მდგარი; უგვანი.—**დეგენერაცია,** გადაგვარება; მცენარისა და ცხოველის აგებულობის გაუარესება გარემოსთან შეგუების პროცესში.

**დეგრადაცია,** დაქვეითება, გაუარესება, თანდათანობით ქვედა საფეხურზე დაშვება.

**დეგუხტაცია,** დაჭაშნიკება ღვინის

ჩაის და სხვ.; გემოთი და ყნოსვით რისამე ავკარგიანობის გასინჯვა.—დეგუსტატორ-ი, ამგვარად გამსინჯველი, მეჯაშნიკე.

**დედუქცია**, მტკიცების ერთერთი გზა ლოგიკაში: ზოგადი წინნამძღვრიდან კერძოული დასკვნის გამოყვანა.—**დედუქციური**, დასკვნითი, დედუქციაზე დამყარებული.

**დევალვაცია**, ფულის სისტემის ერთგვარი რეფორმა კანონმდებლობის გზით: პირვანდელ ღირებულებას მოკლებული ფულის ნიშნების შეცვლა ნამდვილი ღირებულების მქონეთ-ი; ხდება ერთგვარი გაუფასურება, დაქვეითება ქაღალდის ფულის ნომინალური კურსისა.

**დევიაცია**, გზის აცთენა, გადახრა, მართებული მიმართულებიდან გადახვევა.

**დევიზა**, **დევიზები** (მრავლ.), გადახდის საშუალებანი უცხოური ვალუტით — თამასუქები, ბანკნოტები, ჩეკები და სხვ.

**დევიზ-ი**, 1) ღერბის წარწერა, 2) მოკლედ გამოთქმული სახელმძღვანელო აზრი, მოქმედების დედააზრი.

**დეზაბილე**, საშინაო შილიფი ჩაცმულობა, უმთავრესად დედაკაცისა.

**დეზავუირება**, უარყოფა, უარის განცხადება, არცნობა; მთავრობის განცხადება, რომ ის არ ეთანხმება თავის აგენტის ამათუ იმ მოქმედებას ან: ესა თუ ის პირი არაა მისი წარმომადგენელი.

**დეზერტირ-ი**, სამხედრო სამსახურიდან თვითნებურად გაქცეული,—გაპარული; შრომის დეზერტირი, სამუშაოს ან სამსახურის თვითნებურად მიმტოვებელი მუშა ან მოსამსახურე.

**დეზიდერატ-ი**, 1) სურვილის სახით გამოთქმული აზრი, - წინადადება, 2) **დეზიდერატები** (მრავლ.), რაც ესაჭიროება ან რითაც უნდა შეივსოს საგანთა რაიმე კრებული, მაგ. კოლექცია (ნ) და სხვ.

**დეზინსექცია**, მკბენართა მოსპობა ადამიანის სხეულზე, ცხოველზე და საგნებზე.

**დეზინტეგრაცია**, მთლიანის დაშლა შემადგენელ ნაწილებად.—**დეზინტეგრატორ-ი**, საქუცმაცებელი მანქანა.

**დეზინტერია**, ნ. დიზენტერია.

**დეზინფექცია**, ავადმყოფობის გადამდები მიკრობების მოსპობა ან გაუვნებლობა სხვადასხვა საშუალებებით. — **დეზინფექტორ-ი**, დეზინფექციის მომხდენი პირი ან სათანადო ხელსაწყო. —**დეზინფიცირება**, **ვადეზინფიცირებ**, დეზინფექციას ვახდენ.

**დეზოდორაცია,** ავსუნიანობის მოსპობა (გამონიავებით, სისუფთავით ან კეთილსურნელოვანი ნივთიერებებით).

**დეზორგანიზაცია,** რაიმე საქმეში უწესურობის შეტანა, წესიერი მსვლელობის დარღვევა. **დეზორგანიზატორ-ი,** უწესურობის შემტანი რაიმე საქმეში.

**დეზურბანიზაცია,** ქალაქიდან სამრეწველო საწარმთა გადატანა სოფლად, აგრეთვე — ქალაქის მცხოვრებთა გასახლება სოფლად ქალაქური ცხოვრების უპირატესობის მოსპობის მიზნით.

**დეიზმ-ი,** ბურჟუაზიის გაბატონებისა და კაპიტალისტური საზოგადოების დამკვიდრების ხანაში (ინგლისში 17 საუკ., შემდეგ გერმანიასა და საფრანგეთში 18 საუკ.) აღმოცენებული ფილოსოფ.-სარწმუნოებრივი მიმდინარეობა, — უარყოფს არსებულ რელიგიებს, ცნობს მხოლოდ ერთს — ბუნებრივ რელიგიას, დამყარებულს გონებაზე: სამყაროს გამჩენია გონიერი არსება, რომელიც აღარ ერევა მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობაში (აქ უარყოფაა სასწაულისა და სხვ.); დეიზმი უპირისპირდება ფეოდალურ იდეოლოგიას და ეკლესიურ ცრუმორწმუნეობას. — **დეისტ-ი,** დეიზმის მომხრე. — **დეიფიკაცია,** გაღმერთება.

**დე-იურე,** კანონისამებრ, იურიდიულად; ვისიმე ცნობა დე-იურე, ვისიმე კანონიერების ცნობა (ნ. დე-ფაქტო).

**დეკა** ან **დეკ-ი,** სიმებიანი საკრავის თავფიცრები — ზედა და ქვედა.

**დეკა-,** „ათი": იხმარება საზომ-საწონის მეტრულ სისტემის სიტყვებში, — ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს ძირითადზე ათჯერ მეტს, მაგ., **დეკაგრამი** ათი გრამი, **დეკამეტრი,** ათი მეტრი და სხვ.

**დეკაბრისტები** (მრავლ.), რუსეთის საიდუმლო საზოგადოებათა მონაწილენი, რომელთაც 1825 წ. დ ე კ ე მ ბ ე რ შ ი მოაწყვეს შეიარაღებული აჯანყება პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში) მეფის წინააღმდეგ: სამრეწველო - კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ზეგავლენით ბატონყმური მეურნეობის დაშლის პროცესმა გამოიწვია პირობები ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, რომლის პირველი ორგანიზებული წარმომადგენლები იყვნენ დეკაბრისტები (აჯანყება ადვილად ჩააქრეს, დეკაბრისტები ზოგი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი კატორღაში გაგზავნეს).

**დეკადა** ან **დეკად-ი,** 1) ძველად: რისამე ათეული; 2) ათ-

დღიანი კვირა საფრანგეთის დიდ რევოლუციის კალენდარში; 3) ათდღიურა საბჭოთა კავშირში: ათდღიანი დრო, რომლის მანძილზე სრულდება რაიმე სამეურნეო მოქმედება; უწყვეტ ხუთდღიურ კვირასთან ერთად ვრცელდება დღეების დეკადური თვლა.

**დეკადანს-ი,** დაქვეითება, შინაგანი დაშლა კულტურისა.

**დეკადენტ-ი,** 1) დაქვეითებული, გადაგვარების ნიშნებიანი პიროვნება; 2) დ ე კ ა დ ე ნ ტ ო ბ ი ს მომხრე. — **დეკადენტობა,** წარს. საუკუნის 80-ან წლებში აღმოცენებული მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, — ხასიათდება სუბიექტივიზმით, ინდივიდუალიზმით, ესთეტიზმით, საზოგადოებრიობისაგან განდგომით და სხვ., — წარმოადგენს დეკლასირებული (წ.) ინტელიგენციის პროტესტს ბურჟუაზიისადმი, ერთის მხრით, და მის უმწეობას — ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი წინააღმდეგობებიდან გამოსავლის მონახვაში.

**დეკალკირება ან დეკალკვა,** ვადეკალკირებ ან ვდეკალკავ, 1) ვხატავ ან ვხაზავ გამჭვირვალე ქაღალდის საშუალებით, 2) გადამაქვს ნახატი ან ნახაზი სალითოგრაფიო ქვაზე დაბეჭდვის მიზნით.

**დეკალკომანია,** ერთგვარი ლითოგრაფიული ბეჭდვა.

**დეკან-ი,** ფაკულტეტის უფროსი და ხელმძღვანელი პროფესორი უმაღლეს სასწავლებელში. — **დეკანატ-ი,** 1) ფაკულტეტის პრეზიდიუმი დეკანის თავმჯდომარეობით; 2) უმაღლ. სასწავლებლის ყველა დეკანების კრებული.

**დეკანტირება,** დეკანტვა, სითხის გამოწურვა ნალექისაგან.

**დეკაპიტაცია,** თავისმოკვეთა მკვდარი ნაყოფის გამოღებისას მშობიარობის დროს.

**დეკელ-ი** (დეკკ-), ხეჩერკეჩი, საფარი ჩარჩო (საბეჭდი დაზგის ნაწილი).

**დეკვალიფიკაცია,** მაღალღირსებიანი შრომის დაქვეითება — დაუძლურების, უვარგისობის ან თავის სპეციალურ დარგში სათანადო ჩვევების დაკარგვის და ჩამორჩენილობის გამო. — **დეკვალიფიცირება,** ვდეკვალიფიცირდები, მეკარგვის ჩემს სპეციალურ დარგში სათანადო ჩვევები.

**დეკ-ი,** (-კკ-) გემბანი, გემის დახურული ერდო.

**დეკლამაცია,** მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების სწორი და გამომხატველობითი კითხვა (წარმოთქმა). — **დეკლამატორი,** დეკლამაციაში დახელოვნებული პირი.

**დეკლარაცია,** ოფიციალური განცხადება, საპროგრამო პოლიტიკური განცხადება მთავრობის, პარტიის, ჯგუფის ან კერძო პირის მიერ. – **დეკლარირება, ვადეკლარირებ,** ოფიციალურად ვაცხადებ; **დეკლარირებული,** ოფიც. განცხადებული.

**დეკლასირება** (დეკლასს-), საზოგადოებრივ კლასს გარეშე დარჩენა, საზოგ. კლასის ძირითადი ნიშნების დაკარგვა.—**ვდეკლასირდები,** ვრჩები საზოგ. კლასს გარეშე: **დეკლასირებული,** საზოგადოებრივ კლასს გარეშე დარჩენილი, საზოგადოებრივ წარმოებაში არმონაწილე.

**დეკლინატორ-ი,** მაგნეტურ ისრის დახრის საზომი იარაღი.—**დეკლინაცია,** 1) მაგნეტური ისრის დახრა; 2) ბრუნება, კანკლედობა (გრამატ.).

**დეკოკტ-ი,** ნ. დეკოქტ-ი.

**დეკოლტე,** 1) უსახელოებო და გულამოღებული ხედატანის სამოსი — უმთავრესად ქალისა; ღია ყელ-გული და შიშველი ხელები მხრებამდე.

**დეკოლორაცია,** გაუფეროება, გახუნება.

**დეკომპენსაცია,** რაიმე ორგანოს ან მთელი ორგანიზმის მოქმედების აშლა — კომპენსაციის (შეწონასწორების) დარღვევის გამო.

**დეკომპოზიცია,** 1) შემადგენელ ნაწილებად დაშლა, 2) ძუძუმწოვარ ბავშთა კვების აშლის მძიმე ფორმა.— **დეკომპონირება, ვადეკომპონირებ,** ვშლი შემადგენელ ნაწილებად.

**დეკორაცია,** 1) თეატრის სცენაზე: ნახატებისა და სხვადასხვა საგნების საშუალებით მოწყობილი მორთულობა, რომელმაც უნდა გამოსახოს პიესით ნაგულისხმევი (ან ნაჩვენები) მოქმედების ადგილი; 2) შენობის მორთულობა; 3) შელამაზებული გარეგნობა. – **დეკორატორ-ი,** 1) სასცენო დეკორაციის ხელოვანი, 2) ბინების მომრთველი ხელოსანი.—**დეკორაციული,** რასაც დეკორაციის ხასიათი აქვს, მორთულობითი. — **სადეკორაციო,** სამორთულობო, სასამკაულო, მაგ. სადეკორაციო მცენარეები, ბაღის მცენარეები, რომლებიც იხმარება მოსართველად.—**დეკორირება, ვადეკორირებ,** მოვრთავ, შევამკობ, სცენას მოვაწყობ ნახატებითა და საგნებით.

**დეკორტ-ი,** ფასის დაკლება საქონელზე (კომერც.), ნ. ბონიფიკაცია.

**დეკორუმ-ი,** გარეგნული რიგიანობა —კეთილსახიერობა.

**დეკოქტ-ი,** ხდილი: გამონახარში მცენარეული ან ცხოველური

ნივთიერებისა — სამკურნალო მიზნით.

**დეკრედიტირება, ვადეკრედიტირებ** ნდობას ვუსუსტებ, კრედიტს ვუმცირებ.

**დეკრეტ-ი,** ხელისუფლების ორგანოს დადგენილება, განმარტება, განკარგულება; საბჭოთა კავშირში „დეკრეტები (და დადგენილებანი) განსაზღვრავენ პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ზოგად ნორმებს".

**დეკს-,** ნ. დექს-.

**დელეგატ-ი,** არჩეული (ან დანიშნული) რწმუნებული რაიმე დაწესებულების ან ჯგუფისა, რომელიც აძლევს მას სახელმძღვანელო დავალებებს.— დელეგაცია, დელეგატების კრებული.

**დელიკატეს-ი,** განსაკუთრებითი ხელოვნებით დამზადებული, რჩეული საჭმელი.

**დელიკატ-ი, დელიკატური,** 1) ნაზი, ფაფუკი; 2) ზრდილობიანი, თავაზიანი; 3) მოკრძალვით მოსაპყრობელი რამ.

**დელტა,** 1) ბერძნული ანბანის მეოთხე ასო (დ),—გამოისახება სამკუთხედის მსგავსად; 2) ტოტებად დაშლილი შესართავი მდინარისა.

**დელფინები** (მრავლ.), წყლიერი ძუძუმწოვარი ცხოველები, — მისი ქონი გამოყენებულია ტექნიკაში მრავალკვარად.

**დემაგოგია,** 1) შეუგნებელ ბრბოზე გავლენის მოხდენა და თავის მხარეზე გადმობირება არაკეთილსახიერი საშუალებებით; 2) საკითხის არამართებულად გაშუქება წინასწარ აღებული მიზნით და ფაქტების დამახინჯებით.—დემაგოგ-ი, ვინც დემაგოგიას ეწევა.

**დემარკაცია,** გამიჯნვა, საზღვრის დადება.—**დემარკაციული ხაზი,** სამიჯნო ხაზი ორ მებრძოლ ლაშქრის შორის დროებითის ზავის დროს, ორ სახელმწიფოს შორის და სხვ.

**დემენცია,** მოპოებული გონების სისუსტე (არა თანდაყოლილი).

**დემიმონდ-ი,** 1) თავაშვებული დროსტარების მიმდევართა წრე; 2) ბურჟუაზიული საზოგადოების დეკლასირებული ელემენტები, რომლებიც ბაძავენ ყოფაქცევაში არისტოკრატიულ წრეებს. - **დემიმონდენ-ი,** დემიმონდის წრის ქალი, მსუბუქი ყოფაქცევისა.

**დემისეზონური ან დემისეზონის,** სანახევარსეზონო (ნ. სეზონი), მაგ. **დემისეზონის პალტო** — საგაზაფხულოდ და საშემოდგომოდ გამოსადეგი პალტო.

**დემობილიზაცია,** 1) შეიარაღებული ძალების გადაყვანა საომარი მდგომარეობიდან სამშვიდობოზე; 2) სახალხო მეურნეობის გადაყვანა ომიანობის

გათავების შემდეგ საომარი მუშაობიდან სამშვიდობოზე; **დემობილიზება, ვადემობილიზებ**, გადამყავს საომარი მდგომარეობიდან (მუშაობიდან) მშვიდობიანურში. — **დემობილიზებული**, ამგვარად გადაყვანილი.

**დემოგრაფია**, სოციალური სტატისტიკის ერთი დარგი,—იკვლევს მოსახლეობას შემადგენლობის (სქე ის, ასაკის, საქმიანობის...) და მოძრაობის (დაცოლქმრიანების, შვილიერობის, სიკვდილიანობის...) მიხედვით—მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივი დანაწევრების თვალსაზრისით·

**დემოკრატ-ი**, დემოკრატიის მომხრე; მდაბიო, მდაბიური ყოფაცხოვრების მომხრე და ამგვარად მცხოვრები.

**დემოკრატია**, 1) მდაბიო ხალხი, მდაბიური ყოფაცხოვრების მოსახლეობა (საყოველდღეო სიტყვახმარებაში უპირისპირდება არისტოკრატიას); 2) სახელმწიფოს მმართველობის ისეთი ფორმა, როცა ხელისუფლება ეკუთვნის ვითომდა „მთელ ხალხს". **ბურჟუაზიულ** ქვეყნებში დემოკრატიის საფუძველია: საყოველთაო საარჩევნო უფლება, თავისუფლება სიტყვის, კრების, კავშირის; მაგრამ სინამდვილეში მოსახლეობის უმრავლესობა ჩამოშორებულია ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაგან—საწარმოო საშუალებათა ბურჟუაზიის ხელში ყოფნის გამო. **პროლეტარული დემოკრატია** წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურას, რომლის მიზანია ეკონომიური უთანასწორობის და, მაშასადამე, კლასობრივი განსხვავების მოსპობა.

**დემოლოგია**, ნ. დემოგრაფია.

**დემონეტიზაცია**, ფულის ძალის დაკარგვინება სახელმწიფოს ხელისუფლების დადგენილების თანახმად, რის შემდეგაც ფული ფასობს მხოლოდ ლითონის შეცულობის მიხედვით,—ხდება ეკონომიური მიზეზების გამო (მაგ. ლითონის ფასის დაცემა) და პოლიტიკური მოსაზრებით (მაგ. მეფის ფულის დემონეტიზაცია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ).

**დემონ-ი**, ძველ ბერძენთა ღვთაება საერთოდ, შემდეგ—საშუალო არსება ღმერთსა და ადამიანს შორის; ქრისტიანული ეკლესიით – ბოროტი სული. — **დემონიზმ-ი**, 1) ადამიანის ისეთი ხასიათი, როცა ის სხვის ტანჯვაში პოულობს სიამოვნებას; 2) ერთგვარი ლიტერატურული სიუჟეტი, რომელშიაც ბოროტი სული წარმოდგენილია თავისუფლებისათვის მებრძოლის სახით ან არსებულ

წესთა წინააღმდეგ მებრძოლად.—დემონოლოგია,—ღვთისმეტყველების დარგი,—შეისწავლის ეშმაკეულის და ავსულების ხასიათს და მათ ურთიერთობას ადამიანთან,—დამყარებულია ცრუმორწმუნეობაზე.

**დემონსტრანტ-ი,** პოლიტიკური დემონსტრაციის მონაწილე.

**დემონსტრატიული,** ნ. დემონსტრაციული.

**დემონსტრაცია,** 1) მეცნიერული ცდის მოხდენა მსმენელ-მაყურებელთა თანდასწრებით—რაიმე მოვლენის თვალსაჩინოდ ახსნის მიზნით; 2) ფილოსოფიაში: მტკიცება; 3) სამხედრო მოქმედება უმნიშვნელო მიმართულებით — მოწინააღმდეგის ყურადღების ასაცთუნად მთავარ სამოქმედო ადგილიდან; სამუქარო მოქმედება მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიმართ შეიარაღებული ძალებით — დათმობინების მიზნით; 4) საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ თავის მოთხოვნილების, პროტესტის, სურვილის ან სიხარულის საჯარო ფორმით (კრებებით, მიტინგებით, ქუჩაზე მასსურად სვლით...) გამოსახვა,— წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ერთერთ მნიშვნელოვან ფორმას.— **დემონსტრაციული,** დემონსტრაციის მსგავსი, მისი ხასიათის მქონე. - **სადემონსტრაციო,** დემონსტრაციისათვის გამოსადეგი, მაგ. მოწყობილობა ან ადგილი ცდების საჩვენებლად.— **დემონსტრირება, ვადემონსტრირებ,** ცდას ვაჩვენებ აუდიტორიას; შეიარაღებულ ძალებს დავანახვებ მოწინააღმდეგეს; ჩემს სურვილებს ან უკმაყოფილებას გამოვამჟღავნებ საჯაროდ და სხვ; **ვდემონსტრირობ,** დემონსტრაციაში ვმონაწილეობ.

**დემონტაჟ-ი,** მოწყობილობის ან მანქანების დაშლა.

**დემორალიზაცია,** 1) ზნეობრივად დაქვეითება,— გახრწნა,— დაცემა; 2) რაიმე მარცხის გამო სიმამაცის დაკარგვა, გულისგატეხა, დაძაბუნება—უმთავრესად სამხედრო ნაწილის ან ორგანიზაციის მიერ.— **დემორალიზება, ვადემორალიზებ,** ზნეობრივად ვაქვეითებ, ვაძაბუნებ; **ვდემორალიზდები,** ზნეობრივად ვქვეითდები, ვძაბუნდები.— **დემორალიზებული,** ზნეობრივად დაქვეითებული, დაძაბუნებული, დამფრთხალი და სხვ.

**დემოს-ი,** ძველ საბერძნეთში: 1) ხალხი — არისტოკრატიასთან დაპირისპირებით; აგრეთვე (შემდეგ) 2) სრულ პოლიტიკურუფლებიანი თავისუფალი მოქალაქეები; 3) ხალხის ყრილობა.

**დემოტიკური დამწერლობა**, ეგვიპტური ხალხური დამწერლობა, — წარმოადგენს ეგვიპტური კურსივის (ნ.) შემოკლებულ ფორმას, — ჩამოყალიბდა 4 საუკ ქ. წ.

**დემპინგ-ი**, საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე ნაკლებ ფასებში, ვიდრე თავის ქვეყანაში, — წარმოადგენს კონკურენციის ერთერთ სახეს.

**დემპფერ-ი**, 1) მშთობი, მაყუჩი ბგერისა სიმებ-კლავიშიან სამუსიკო დასაკრავზე; 2) შემჩელებელი მექანიკურ რყევათა. — **დემპფირება** ან **დემპფერვა**, **ვადემპფირებ** ან **ვდემპფერავ**, ვაშთობ ბგერას, ვანელებ რყევას.

**დემუნიციპალიზაცია**, ჩამორთმეულ ნაგებობათა უკან დაბრუნება ყოფილი მესაკუთრეებისთვის.

**დენატურალიზაცია**, ნატურალიზაციის (ნ.) წესით შეძენილი მოქალაქეობის დაკარგვა მოქალაქისმიერ — ხელისუფლების დადგენილებით.

**დენატურაცია**, რისიმე ბუნებრივ თვისებათა შეცვლა, მაგ.: **სპირტის დენატურაცია**, სპირტის გაუვარგისება სასმელად — სხვა მის სატექნიკო თვისებათა დაცვით. — **დენატურება**, **ვადენატურებ**, ვუცვლი ბუნებრივ თვისებებს, ვაუვარგისებ, მაგ. სპირტს სასმელად, მარილს საჭმელად. — **დენატურებული სპირტი** ანუ **დენატურატ-ი**, სასმელად გაუვარგისებული სპირტი.

**დენაციონალიზაცია**, 1) ეროვნულ თავისებურობათა დაკარგვა; 2) ეროვნულ დაწესებულებისათვის ეროვნული ხასიათის წართმევა; 3) ნაციონალიზებული ქონების (ნ. ნაციონალიზაცია 2) უკანვე დაბრუნება პირვანდელ მფლობელისათვის. — **დენაციონალიზება**, **ვადენაციონალიზებ**, **ვდენაციონალიზდები**, იგივე მოქმედებანი.

**დენდ-ი**, სალუქი მაღლისური (მაღალ წრეების) ვაჟი, ჩაცმულობაზე გადაჭარბებულად მზრუნავი, ცუკია. — **დენდიზმ-ი**, 1) სამაღლისურო სალუქობა, ცუკიაობა; 2) ევროპის (18 საუკ. ბოლო, 19 საუკ. დასაწყ.) ერთგვარი ყოფაცხოვრებითი მოვლენა, რომელმაც გამოსახულება პოვა ლიტერატურაში, — წარმოადგენს არისტოკრატიის ერთგვარ ბრძოლას მომძლავრებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყოფაცხოვრების სარბიელზე.

**დენდროლოგია**, მეცნიერება ხეებისა და ბუჩქების შესახებ, — იკვლევს მათ აგებულობას, თვისებებს და გეოგრაფიულ გავრცელებულობას. — **დენდროლოგ-ი**,

დენდროლოგიის მცოდნე და მკვლევარი. — **დენდრომეტრ-ი,** ხის სიმსხოს მანძილზე საზომი ხელსაწყო. — **დენდრომეტრია,** ხისმხომელობა.

**„დენიკინშჩინა“**, ასე ეწოდა რუსულად 1) კონტრრევოლუციურ თეთრგვარდიელთა მოძრაობას სამხრეთ-რუსეთში და 2) გენერალ დენიკინის მთავრობის რეჟიმს სამოქალაქო ომის ხანაში 1918—1920 წ. წ. – **დენიკინელი,** თეთრგვარდიელი, კონტრრევოლუციონერი.

**დენომინაცია,** გაუფასურებული ქაღალდის ფულის ნიშნების შეცვლა ხელისუფლების მიერ ქაღალდის ფულითვე, მაგრამ ნაკლებღირებულებისად დასახელებით, მაგ. საბჭოთა კავშირში 1921 წელს 10.000 მანეთიანები შეიცვალა ერთმანეთიანად,—მისი მიზანია ანგარიშის გამარტივება.

**დენონსირება** ხელშეკრულობისა, ერთი სახელმწიფოს მიერ შეტყობინება მეორისათვის, რომ შეწყვეტილია მათ შორის მოქმედი ხელშეკრულება.

**დენტიატრია,** კბილის ავადმყოფობათა მცოდნეობა.—**დენტინ-ი,** კბილის ძირითადი შემადგენელი ნივთიერება.

**დენუდაცია,** გეოლოგიური მოვლენა: ადგილის მოვაკევების გამომწვევი გადაცლა ფხვიერი ქანებისა—წყლის, ქარის და მყინვარების მოქმედების გავლენით.

**დეპარტამენტ-ი,** 1) საფრანგეთში: საადმინისტრაციო ტერიტორიული ყველაზე დიდი ერთეული, რომელიც იყოფა ოლქებად; 2) რევოლუციამდე რუსეთში: უმაღლეს დაწესებულებათა (სახელმწიფო საბჭოსი, სენატის, სამინისტროსი) ქვეგანყოფილება.

**დეპერსონალიზაცია,** ფსიქიური დაავადება: დაავადებულს ეკარგვის თავის პიროვნების გრძნობა, ერღვევა აღქმა გარემოსი, თავის სხეულისა და თავის მოქმედებათა.

**დეპეშ-ი,** 1) სასწრაფო წერილი, ტელეგრამა; 2) სასწრაფო დიპლომატიური ცნობება.

**დეპიგმენტაცია,** კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა.

**დეპილაცია,** თმის მოცილება,—დაცვენინება—სამკურნალო ან საკოსმეტიკო მიზნით (ნ. კოსმეტიკა).

**დეპო,** 1) საქონლის ან იარაღების საწყობი; 2) სარკინისგზო: ვაგონებისა და ორთქლმავლების სადგომი და შესაკეთებელი შენობა; 3) სახანძრო მანქანების საწყობი, სადაც ისინი მუდამ მზად არიან სამოქმედოდ, 4) დაზღვევის საქმეში: გადაზღვევისას დაკავებულ თანხისაგან შედგენილი მარაგი.

**დეპოზიტ-ი,** 1) ხელშეკრულობა მინაბარის შესახებ — მიმბარებელსა და შემნახველს შორის; 2) ანაბარი; სხვადასხვა ღირებულება, რომელიც შეაქვს მიმბარებელს საკრედიტო დაწესებულებაში—უკანვე მიღების უფლებით; 3) **სასამართლოს დეპოზიტი,** მოვალის მიერ სასამართლოს სახელზე ნოტარიალურ კანტორაში შეტანილი ფული, როცა კრედიტორს არ შეუძლია ან არ უნდა მიიღოს იგი მოვალისაგან.—**დეპოზიტარი** ანუ **დეპოზიტორ-ი,** დეპოზიტის მიმღები, შემნახველი.—**დეპონენტ-ი,** იგივეა, რაც დეპოზიტორი.—**დეპონირება, ვადეპონირებ,** დეპოზიტად ვაძლევ, ვაბარებ.

**დეპოლარიზაცია,** პოლარიზაციის (ნ.) შესუსტება ან მოსპობა; შუქთაოეკლვა.

**დეპონ-,** ნ. დეპოზიტ-ი.

**დეპორტაცია,** სოციალურად მავნე პიროვნების გადასახლება იძულებითი წესით და თავისუფლების შეზღუდვით ახალ ადგილსამყოფელში.

**დეპრესია (-სსია),** 1) ფსიქიური დაძაბუნება, დანაღვლიანება,—მას თან სდევს გონების მოდუნება და აზროვნების შეფერხება; 2) დროებითი მოდუნებული მდგომარეობა სახალხო მეურნეობაში ან მის ერთერთ დარგში; 3) ბარომეტრული დეპრესია, დაწეული ატმოსფერული წნევის არე; 4) მნათობის დაწევა (ასტრ.).

**დეპულა,** ცხოველთა ჩანასახობრივი განვითარების საფეხური საშუალო — ბლასტულისა და გასტრულის შორის (ნ. ესენი).

**დეპუტატ-ი,** რაიმე კოლექტივის ამორჩეული წარმომადგენელი,—იცავს ამომრჩეველთა ინტერესებს საწარმომადგენლო დაწესებულებაში. დეპუტატის მდგომარეობა და საქმიანობა განსხვავებულია ბურჟუაზიულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დეპუტატისაგან: საბჭოთა დეპუტატი წარმოადგენს მშრომელთა ინტერესებს, ის მუდამ დაკავშირებულია თავის ამრჩევლებთან, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ მისი უკანვე გამოწვევა და სხვით შეცვლა და სხვ.—**დეპუტაცია,** წარმომადგენლად ან საშუამდგომლოდ არჩეული დეპუტატები.

**დერატიზაცია,** ვირთხებისა და სხვა ასეთ სოფლის მეურნეობის მავნებელთა და ჭირის გამავრცელებელთა მოსპობა.

**დერბი,** 1) დოღი, მარულა (სამწლიანი ცხენების); 2) დერბიში მიღებული ჯილდო.

**დერვიშ-ი,** დავრიში, მწირი მათხოვარი მაჰმადიანთა ქვეყნებში.

**დერივატ-ი**, რაიმე პირველადისაგან წარმოქმნილი რამ; ემბრიოლოგიაში: მარტივ აგებულობისაგან წარმოქმნილი; ქიმიაში: რაიმე ძირითადი (გამოსავალ) ნივთიერების საფუძველზე გართულებული შენაერთი.— **დერივაცია**, საერთოდ: გადახრილობა (გადაცთენა) ბუნებრივი მსვლელობიდან; ტყვიის ან ყუმბარის გვერდზე გადახრილობა ხრახნილიანი იარაღიდან გასროლისას. **დერივაციის** ანუ **სადერივაციო არხი**, წყალმიმგვრელი არხი.

**დერმატინ-ი**, ერთგვარად დამზადებული ბამბის წყალგაუვალი ქსოვილი,—იხმარება ტყავის ადგილას.

**დერმატიტ-ი**, კანის ანთება.

**დერმატოზ-ი**, კანის ავადმყოფობა (საერთოდ).

**დერმატოლოგია**, მედიცინის ერთ-ერთი დარგი,—მეცნიერება კანის სნეულებათა შესახებ.— **დერმატოლოგ-ი**, კანის სნეულებათა სპეციალისტი.

**დესანტ-ი**, 1) მტრის ტერიტორიაზე სახმელეთო ჯარის გადასხმა (ზღვით ან ჰაერით) საომარი ან სადემონსტრაციო მიზნებით; 2) ამგვარად გადმოსხმული ჯარი.

**დესერტ-ი** (დესს-), სერისკუდა, ჩაროზი: ტკბილეული სადილის შემდეგ.

**დესეტინა**, **დესეტინ-ი**, წინანდელი რუსული მიწისზომა, 2400 კვ. საჟენი.

**დესკვ-**, ნ. დესქვ-.

**დესმოგრაფია**, **დესმოლოგია**, ანატომიის დარგი,—მეცნიერება იოგების (შემკვრელთა) შესახებ; **დესმოპათოლოგია**, მეცნიერება იოგების ავადმყოფობის შესახებ.

**დესმურგია**, პრაქტიკული ქირურგიის დარგი,—სწავლობს შეხვევის საკითხებს.

**დესპოტ-ი**, 1) იმპერატორის ტიტული ბიზანტიაში; 2) თვითნება მმართველი; 3) თვითნება, სასტიკი ადამიანი.— **დესპოტია**, შეუზღუდველი სახელმწიფო ხელისუფლება. — **დესპოტიზმ-ი**, დესპოტია, დესპოტობა; თვითნებურობა, სისასტიკე ხელქვეითთა მიმართ.

**დესტ-ი**, ქაღალდის ზომა,—24 თაბახი.

**დესტილატ-ი** (-ლლ-), სითხის ნახადი, გამოხდილი; **დესტილატორი**, გამოსახდელი (ხელსაწყო); **დესტილაცია**, გამოხდა; **დესტილირება**, **ვადესტილირებ**, ვხდი სითხეს; **დესტილირებული**, გამოხდილი.

**დესტრუქცია**, ნგრევა; დედამიწის ზედაპირის რღვევა.— **დესტრუქტორ-ი**, ნაგვის საწვავი ღუმელი.

**დეხქვამაცია**, 1) მედიცინაში: სხეულის კანიდან უჯრედების მოცვენა ქერტლის სახით; 2) გეოლოგიაში: ქანების გამოფიტვა ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობის გამო.

**დეტალ-ი**, წვრილმანი, მთლიანის ნაწილი.—**დეტალიზაცია**, დაწვრილებითი განხილვა, —შესწავლა.—**დეტალიზირება**, ვადეტალიზირებ, დავწვლილავ, დაწვრილებით განვიხილავ.

**დეტექტ-**, ნ. დეტექტ-.

**დეტერმინაცია**, განსაზღვრა.—**დეტერმინანტ-ი**, განმსაზღვრელი, **დეტერმინანტები**, 1) განმსაზღვრელები (მათემატიკაში); 2) მემკვიდრეობითი პლაზმის უმცირესი მატერიალური ნაწილაკები, რომლებიც განსაზღვრავენ თავიანთ თვისებებით უჯრედების წარმოქმნას ორგანიზმში.

**დეტერმინიზმ-ი**, ფილოსოფიური შეხედულება, რომლის თანახმად ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ყოველი მოვლენა განსაზღვრულია (შეპირობებულია) აუცილებელი და მუდმივი კავშირით; მთელი მსოფლიო ექვემდებარება თავის განვითარებაში აუცილებლობას, ყველაფერი ხდება კანონზომიერად; არ არსებობს უმიზეზო შემთხვევითობა; ადამიანის ნებისყოფა ისე ემორჩილება მიზეზობრიობის კანონს როგორც სხვა ყველაფერი. დეტერმინიზმი წარმოადგენს დიალექტურ მატერიალიზმის ერთერთ ძირითად დებულებას. **დეტერმინება**, ვადეტერმინებ, ვსაზღვრავ, შევაპირობებ; **ვდეტერმინდები**, ვისაზღვრები, შევპირობდები; **დეტერმინებული**, განსაზღვრული, შეპირობებული.—**დეტერმინისტ-ი**, დეტერმინიზმის მომხრე.

**დეტექტივ-ი**, გამომძლავნებელი; დანაშაულობათა და შემთხვევათა მკვლევარ-მაძებარი, სამაძებრო მილიციის აგენტი ინგლისში და ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში.—**დეტექტორ-ი**, ალმომჩენი; რადიოაპარატის ნაწილი,—წარმოადგენს ხელსაწყოს ელექტრო-მაგნიტურ ტალღათა აღმოსაჩენად და მისაღებად.

**დეტონატორ-ი**, 1) ასაფეთქებელი ნივთიერება, რომლის მცირე რაოდენობით აფეთქება იწვევს სხვა ასაფეთქებელ ნივთიერების დიდ რაოდენობითს აფეთქებას; 2) ასაფეთქებელი მოწყობილობა.—**დეტონაცია**, აფეთქება.

**დეტონირება**, 1) ყალბად, უმართებულოდ შესრულება მელოდიისა ხმით ან საკრავზე; 2) უმართებულო ამაღლება ან დადაბლება ხმისა სიმღერაში.

**დე-ფაქტო**, ფაქტიურად, საქმობრივ ვისიმე ცნობა,—წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობაში ახლად შექმნილი ხელისუფლების არასრულ ცნობას სხვა სახელმწიფოსმიერ (ნ. დე-იურე).

**დეფეკტ-**, ნ. **დეფექტ-**.

**დეფენზივა**, 1) თავდაცვითი ტაქტიკა, მოგერიება ომში; 2) პოლონეთის სამაძიებრო (დაწესებულება),—ებრძვის არა მხოლოდ უცხოელ მაძიებრობას, არამედ რევოლუციურ მოძრაობას პოლონეთში.

**დეფექტ-ი**, ნაკლი, ზადი.—**დეფექტიანი, დეფექტური**, ნაკლოვანი, ზადიანი, არასრული.—**დეფექტოლოგია** ანუ სამკურნალო პედაგოგიკა იკვლევს ბიოლოგიურ და სოციალურ მიზეზებს ადამიანის სხვადასხვა ნაკლოვნობისას (სიბრმავე, სიყრუე, ბლუობა და სხვ.), ხელს უწყობს ახეთ ნაკლოვნებში საშრომო აქტივობის გამომუშავებას და ქმნის მათთვის შესაფერ საწარმოო და საზოგადოებრივ პირობებს.

**დეფიბრერ-ი**, ხის ბოჭკოვან მასსად გადამმუშავებელი მანქანა.

**დეფიგურაცია**, გაუსახურება; დასახიჩრება.

**დეფიზ-ი**, პაწაწა ხაზაკი (-),—იხმარება ორი სიტყვის შესაერთებლად ან სიტყვის ნაწილის გადატანისას მეორე სტრიქონზე.

**დეფილე**, 1) ვიწროები: ძნელად გასასვლელი ვიწრო ადგილი; 2) საზეიმო სვლა (უმთავრესად —მხედრობისა).

**დეფინიტივ-ი**, საკონტროლო ბუხჰალტერია.

**დეფინიცია**, განსაზღვრა (ლოგიკაში).

**დეფის-ი**, ნ. **დეფიზ-ი**.

**დეფიციტ-ი**, ზარალი; გასავლის გადაჭარბება (შემოსავალთან შედარებით); **დეფიციტური**, დეფიციტიანი, საზარალო; **დეფიციტიანი საქონელი**, ისეთი საქონელი, რომელზედაც მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას.

**დეფლაცია**, 1) გამონიავება, გამოფიტვა (გეოლოგ.); 2) ინფლაციის (ნ.) დროს გამოშვებული ქაღალდის ფულის შემცირება.

**დეფლორაცია**, ქალწულობის აპკის სიმრთელის დარღვევა, უმანკოების წართმევა.

**დეფორმაცია**, სხეულის ფორმის შეცვლა; დაუშნოება.—**დეფორმირება**, ვადეფორმირებ, ფორმას ვუცვლი, ვაუშნოებ, ვასახიჩრებ.

**დექსტრინ-ი**, სახამებლის წებო,—იხმარება ტექნიკასა და მკურნალობაში.

**დეშიფრირება** ან **დეშიფრვა**, ამოშიფრვა, 1) ამოკითხვა, გარჩევა პირობითი ან საიდუმლო ნიშნებით დაწერილისა; 2) ამოვიკითხავ ჯერ წაუკითხველ წარწერას.—**ვდეშიფრავ**, **ამოვშიფრავ**, ამოვიკითხავ ასეთ რასმე.—**დეშიფრული**, ამოშიფრული, ამოკითხული (ნ. შიფრი, შიფრვა).

**დეცემვირები** (მრავლ.), მთავრობის ათწევროვანი კოლეგიები ძვ. რომში. – **დეცემვირატ-ი**, ასეთი კოლეგიის მმართველობა.

**დეცენტრალიზაცია**, ადგილობრივი თვითმართველობის არჩეულ ორგანოთა მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობის საფუძველზე აგებული მმართველობა სახელმწიფოსი.— **დეცენტრალიზება**, **ვადეცენტრალიზებ**, ამგვარად ვაგებ სახელმწიფოს მმართველობას, ვანიჭებ ადგილობრივ ორგანოებს მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას. —**დეცენტრალისტ-ი**, ასეთის მომხრე.

**დეცერებრაცია**, თავის დიდი ტვინის ამოღების ოპერაცია.

**დეცერნენტ-ი**, დაწესებულების ან საწარმოს ცალკეულ ნაწილთა ხელმძღვანელი ან სპეციალისტი.—**დეცერნატ-ი**, დაწესებულების ან საწარმოს ამგვარი ხელმძღვანელობა.

**დეცი-**, ემატება საზომ-საწონის მეტრული სისტემის სიტყვებს თავში და აღნიშნავს ძირითადზე ათჯერ ნაკლებს, მის მეათედს, მაგ., **დეციმეტრი**, მეტრის მეათედი, **დეციგრამ-ი**, გრამის მეათედი და სხვ.

**დეციმალური**, **დეციმალ-ი**, ათობითი, ათეულობითი.

**დეციმაცია**, დამნაშავეთა დასჯის წესი კოლექტიურ დანაშაულობისას ძვ. რომში: ყოველ ათზე ისჯება ერთი კაცი, გავრცელებული იყო დასავლ. ევროპაში.

**დიაბაზ-ი**, ამონთხეული კრისტალური ქანი,—იხმარებოდა აქამდე მხოლოდ ქვაფენილისათვის; ახლა კი მოიპოვა უდიდესი მნიშვნელობა ქიმიაში და ელექტროტექნიკაში, რადგანაც გამდნარ დიაბაზს შეუძლია შესცვალოს თუჯი.

**დიაბეტ-ი**, ავადმყოფური შარდჭარბობა,—არის ორგვარი: შაქრიანი, როცა შარდში შაქარი 10%-მდეა, და უშაქრო.—**დიაბეტიკ-ი**, დიაბეტიანი ავადმყოფი.

**დიაგნოზ-ი**, ავადმყოფობის გამოცნობა ავადმყოფის გამოკვლევის გზით.—**დიაგნოსტიკა**, მედიცინის დარგი,—იკვლევს დიაგნოზის საფუძვლებს და ავადმყოფობათა დამახასიათებელ ნიშნებს.

**დიაგონალ-ი,** 1) მრავალკუთხედის კუთხეთა მოპირდაპირე მწვერვალების შემაერთებელი წრფე-წირი (სწორი ხაზი); 2 ირიბად ნაქსოვზოლიანი მაუდი.

**დიაგრამა (-მმა),** სხვადასხვა სიდიდეთა შეფარდების თვალსაჩინოდ მაჩვენებელი ნახაზი.

**დიადემა,** თავსამკაული: ძველად ქურუმების და შემდეგ მეფეების; ახლა — ქალისა.

**დიათეზ-ი, დიათეზის-ი,** 1) წინასწარ-განწყობილობა რაიმე ავადმყოფობისადმი (მედიც.); 2) ზმნისგვარი (გრამატ.).

**დიაკრიტული ნიშნები,** განმასხვავებელი ნიშნები ასოებზე (მაგ. სიმოკლის ნიშანი რუსულ и-ზე—й) ან ასოებქვეშ (მაგ. ჳ იაფეტიცოლოგიური ანბანით—ţ).

**დიალექტ-ი,** კილო (ენისა), მაგ. ქართული ენის იმერული დიალექტი ანუ კილო.—**დიალექტოლოგია,** ენათმეცნიერების დარგი,—იკვლევს დიალექტებს.—**დიალექტოლოგ-ი,** დიალექტების მკვლევარი.

**დიალექტიკა,** ფილოსოფიური აზროვნების მეთოდი, რომელიც უპირისპირდება მეტაფიზიკურს (ნ. ეს), და მოძღვრება მთლიანი სამყაროს (ბუნების, საზოგადოების და აზროვნების) განვითარების კანონების შესახებ. ჰეგელის (ნ.) იდეალისტური დიალექტიკა მარქსმა და ენგელსმა გარდაქმნეს მატერიალისტურ დიალექტიკად, რომელიც საფუძველია მარქსიზმისა. მისი ძირ თადი დებულებაა: აზროვნებისა და მყოფობის ერთიანობა; ყოველი სინამდვილის ცვალებადობა და მოვლენათა ურთიერთ კავშირი; ყოველგვარი განვითარების წარმოდგენა, როგორც ფორმათა ცვლა წინანდელისა და მომდევნოს შორის მუდმივ წინააღმდეგობათა ნიადაგზე; განვითარება წარმოადგენს ევოლუციურ-რევოლუციურ პროცესს: თანდათან განვითაოებას მოჰყვება გარდატეხითი (ნახტომისებრი).—**დიალექტიკური,** დიალექტიკიდან გამომდინარე, მის საფუძველზე აგებული, მაგ. **დიალექტიკური მეთოდი** აზროვნებისა და მეცნიერული კვლევისა.—**დიალექტიკური მატერიალიზმ-ი,** მარქსისტული ფილოსოფია: მთლიანი და მწყობრი რევოლუციური მსოფლმხედველობა ბუნებისა და საზოგადოების რაობისა და განვითარების შესახებ, გამართლებული მეცნიერების ყოველ დარგში,—წარმოადგენს კლასობრივ საზოგადოებაში მოწინავე კლასის—პროლეტარიატის მსოფლმხედველობას.

**დიალიზ-ი,** კოლოიდური ხსნარებიდან მარილებისა და სხვა მასში შეცულ ნივთიერებათა გამოყოფის საშუალება.—**დიალიზატორ-ი,** დიალიზის ხელსაწყო.

**დიალოგ-ი,** 1) საუბარი ორ (ან მეტ) პირს შორის; 2) საუბრის ფორმით წარმოდგენილი ლიტერატურული ნაწარმოები.

**დიამაგნეტური ნივთიერებები,** მაგნეტის მიერ განზიდული (უკუგდებული) ნივთიერებები.

**დიამეტრ-ი,** წრის ცენტრში გავლებული და მის ორ თანასწორ ნაწილად გამყოფი წრფეწირი (სწორი ხაზი).—**დიამეტრული,** მოპირდაპირე; **დიამეტრულად ხაწინაალმდეგო,** სრულიად საწინააღმდეგო.

**დიაპოზონ-ი,** ხმის ან საკრავის ბგერითი მოცულობა.

**დიაპოზიტივ-ი,** ფოტოგრაფიული ანაბეჭდი გამჭვირვალე მასალაზე, იხმარება საპროექციო ფანარისათვის.

**დიატონიკა,** ტონების ერთიდან მეორეზე მიმდევრობით გადასვლა. — **დიატონიკური გამა,** ბგერათრიგი 5 მთელტონისა და 2 ნახევარტონისაგან ოქტავაში (ნ. გამა).

**დიაფრაგმა,** 1) ანატომიაში: გულმუცლის შუასაძგიდი; 2) ფიზიკაში: სინათლეგაუვალი ნახვრეტიანი ძგიდე.

**დიგამია,** ორმექორწინეობა.

**დიგესტები** (მრავლ.), პანდექტები: იუსტინიანეს კრებულის ნაწილი, — შეიცავს სისტემურად დალაგებულს რომის იურისტების აზრებს სამოქალაქო სამართლის საკითხებზე.

**დიდაქტიზმ-ი,** ნ. დიდაქტიკა.

**დიდაქტიკა,** პედაგოგიკის ნაწილი, —შეიცავს თეორიას სწავლების შესახებ (საბჭოთა კავშირში სწავლების თეორია განუყოფელია აღზრდის თეორიისაგან; ამიტომ არსებობს მხოლოდ პედაგოგიური მუშაობის ზოგადი მეთოდიკა).—**დიდაქტიკური,** დამრიგებლობითი; **დიდაქტიკური პოეზია,** დამრიგებლობითი ხასიათის ლექსად დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები. — **დიდაქტიზმ-ი,** ლიტერატურული ნაწარმოების დამრიგებლობითი ელემენტი.

**დიეზ-ი,** სამუსიკო წერაში: ბგერის ნახევარტონით ამაღლების მაჩვენებელი ნიშანი.

**დიელექტრიკ-ი,** ელექტროგაუმტარი.

**დიეტა,** შერჩეული სასმელ-საჭმელი ჯანსაღობის მდგომარეობის მიხედვით, უნიშნავენ აგრეთვე ჯანსაღს — ასაკის, პროფესიის, ჰავის და სხვ. მიხედვით.—**დიეტეტიკა,** მედიცინის დარგი,—სწავლობს მ ზანშეწონილი კვების საკითხებს.

**დივან-ი**, 1) ლექსების კრებული— აღმოსავლურ ქვეყნებში; 2) ფართო და მოგრძო ზურგიანი რბილი საჯდომი ან საწოლი.

**დივერგენცია**, ურთიერთდაცილება,—დაშორება; ბიოლოგიაში: შთამომავლობაში წარმოქმნილი განსხვავებების მატება მომდევნო თაობებში (ეს ტერმინი ხმარებულია სხვა დარგებშიც, მაგ. ენათმეცნიერებაში).

**დივერსია**, 1) სამხედრო საქმეში: მოწინააღმდეგის ყურადღების ასაცთენი სამხედრო მოქმედება—ომის ადგილიდან მნიშვნელოვან სიშორეზე (ნ. დემონსტრაცია 3); 2) საერთოდ: მოწინააღმდეგის ყურადღების აცთენის ხერხი.

**დივერტისმენტ-ი** (-ხხმენტ-), დამატებითი გასართობი რამ (სიმღერა, ცეკვა, კუპლეტები და სხვ.) ძირითად სპექტაკლთან (ნ.).

**დივიდენდ-ი**, სააქციო საწარმთა და კოოპერატივების მონაწილეებზე გაცემული მოგების ნაწილი—მონაწილეობის ზომით. საბჭოთა კავშირში კოოპერატივის მოგება უმეტესად ხმარდება საერთო სასარგებლო მიზნებს.

**დივიზ-ი**, ნ. დეფიზ-ი.

**დივიზია**, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული; საბჭოთა კავშირ'ში: 1) ქვეითი დივიზია: 3 ქვეითი ლეგიონი, 1 საარტილერიო ლეგიონი და მომსახურების ნაწილები; 2) კავალერიის დივიზია: 4—6 საკავალერიო ლეგიონი ბრიგადებად (ორორი თითო ბრიგადაში); 3) ფლოტის დივიზია—გემების კრებული: დიდი გემის დივიზია შედგება 2 ბრიგადისაგან; პატარა გემის დივიზია 4 დივიზიონისაგან.

**დივიზიონ-ი**, 1) სამწყობრო-ტაქტიკური ერთეული არტილერიაში, კავალერიაში და საჯავშნო ნაწილებში,—შედგება 2—4 ბატარეისაგან; 2) ფლოტში: სამხედრო გემთა კრებული.

**დიზართრია**, მეტყველების მოშლის ერთი სახე: ავადმყოფს უძნელდება ზოგიერთ ბგერათა, მარცვლებისა და სიტყვების წარმოთქმა.

**დიზელ-მოტორ-ი**, ანუ დიზელის მიერ მოგონილი შიდაწვის მოტორი.

**დიზენტერია**, მუცელა, მსხვილი ხაწლავების გადამდები ავადმყოფობა, — მას ახასიათებს მტკივნეულ-სისხლიანი ხშირი ყვანა.

**დითირამბ-ი**, 1) დიონისოს საპატივცემო სიმღერა (ძვ. საბერძნ.); 2) აღტაცებითი შექება, ხოტბა.

**დიკტ-**, დიკც-, ნ. დიქტ-, დიქც-.

**დილატაცია**, გაფართოება, გაგანიერება.—**დილატომეტრ-ი**, სითხეთა გაფართოების საზომი იარაღი.

**დილემა** (-მმა), ერთმანეთის გამომრიცხველი ორი დებულება მსჯელობაში; ორში ერთის არჩევანი; საძნელო არჩევანი ორ შესაძლებლობაში.

**დილეტანტ-ი** (-ტტანტ-ი), რაიმე დარგში მომუშავე არასაფუძვლიანი მომზადებით, — არასპეციალისტი მომუშავე.—**დილეტანტიზმ-ი**, დილეტანტობა, ზერელეობა, თავის დარგის ზერელემცოდნეობა.

**დილიჟანს-ი**, სამოგზაურო ეტლი.

**დილუვიუმ-ი**, დილუვი, ყინულის ხანა (გეოლოგ.).—**დილუვიალური**, **დილუვიური**, ყინულის ხანის; **დილუვიური ადამიანი**, პირველყოფილი ადამიანი.

**დიმორფიზმ-ი**, ორმაგსახიანობა: 1) ბოტანიკაში: ორგვარი ფორმის ორგანოების თანადობა ერთსადაიმავე მცენარეზე; 2) ზოოლოგიაში: ორი განსხვავებული ფორმის არსებობა ერთდაიმავე სახის ცხოველში; 3) გეოლოგიაში: ორი სხვადასხვა კრისტალური ფორმით გამყარებულობა ზოგიერთი ნივთიერებისა.—**დიმორფული**, ორმაგსახოვანი.

**დინა** ან **დინ-ი**, ძალის ერთეული, რომელსაც შეუძლია მიანიჭოს ერთგრამიან მასსას ერთი სანტიმ. აჩქარება ერთ წამში.

**დინამიზმი**, 1) მსოფლმხედველობა, რომელიც განიხილავს სინამდვილეს როგორც მოძრავს, ცვალებადს და განვითარებაში მყოფს,—უპირისპირდება სტატიკურ შეხედულებას, რომელიც განიხილავს მოვლენებს როგორც უძრავს, უცვალებელს; 2) შეხედულება, რომლის მიხედვითაც მოძრაობის პროცესს საფუძვლად უძევს ძალა,—უპირისპირდება მექანიზმს, რომლის მიხედვითაც, პირიქით, ძალა აიხსნება მოძრაობის საფუძველზე. (დიალექტ. მატერიალიზმით ძალა არის მხოლოდ ფორმა მოძრავი მატერიის გამოვლინებისა).

**დინამიკა**, 1) მექანიკის ნაწილი,—იკვლევს მოძრაობას მოქმედ ძალებთან დაკავშირებით; 2) საზოგადოებრივ ფორმათა მიმდევრობითი ცვლა—ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალების საფუძველზე. **დინამისტ-ი**, დინამიზმის მიმდევარი.

**დინამიტ-ი**, ასაფეთქებელი ნივთიერება.

**დინამომანქანა**, ელექტროდენის დამმუშავებელი მანქანა.

**დინამომეტრ-ი**, ძალსაზომი.

**დინახტია**, სამეფო გვარეულობა.

**დინგო**, ავსტრალიური გარეული ძაღლი.

**დინ-ი**, ნ. დინა.

**დინოზავრები** (მრავლ.), გადაშენებულ ქვეწარმავალთა ერთ-ერთი ჯგუფი.

**დინოთერი**, გადაშენებული სპილოს მსგავსი ძუძუმწოვარი ცხოველი.

**დიოპტრ-ი**, გამნიშვნელი კუთხსაზომ იარაღებში.— **დიოპტრია**, ოპტიკურ მინის გარდატეხითი ძალის საზომი ერთეული. – **დიოპტრიკა**, გეომეტრიული ოპტიკის ნაწილი, — სწავლობს შუქტეხას გამჭვირვალე გარემოში.

**დიოფიზიტები** (მრავლ.), ქრისტეში ორბუნებიანობის მაღიარებელი ქრისტიანები.

**დიპლოკოკები** (-კოკკები. მრავლ.), წყვილ-წყვილი კოკები (ნ. ეს).

**დიპლომატ-ი**, 1) სახელმწიფოს რწმუნებული უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობისათვის; 2) მოხერხებული, გამოქნილი პიროვნება.– **დიპლომატია**, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური ურთიერთობა, ამ დარგში საქმიანობა,—განსაზღვრავს მას ხელისუფლების მქონე კლასი: საბჭოური დიპლომატია, რომელიც არსებითად განსხვავდება ბურჟუზიულისაგან, ერთნაირად ეპყრობა დიდ და პატარა სახელმწიფოთა და ეროვნებათა ინტერესებს, იცავს საყოველთაო მშვიდობიანობას და სხვ. — **დიპლომატიკა**, სიგელთმცოდნეობა; საისტორიო მეცნიერების ერთერთი დამხმარე დარგი.

**დიპლომ-ი**, რაიმე უფლების მიმნიჭებელი მოწმობა, – საბუთი (მაგ. უმაღლესი სასწავლებლის გათავებისა).

**დიპლოპია**, მხედველობის ნაკლი,— გაორებით მხედველობა.

**დირექტივა, დირექტივ-ი**, 1) სამხედრო საქმეში: მოკლე ზოგადი ხასიათის ბრძანება; 2) ზემდგომ (სადირექტივო) ორგანოს ზოგადი ხასიათის განკარგულება ქვემდგომისადმი.

**დირექტორ-ი**, დაწესებულების ან საწარმის პასუხისმგებელი უფროსი.

**დირექტორია**, საფრ. დიდი რევოლუციის ხანაში: აღმასრულებელი სახელმწ. ორგანო ცენზიანი ბურჟუაზიის ხელისუფლების დროს.

**დირექტრის-ი**, 1) მათემატიკაში (მეორე რიგის მრუდეებში): წრფეწირი (სწორი ხაზი), რომელსაც აქვს ისეთი თვისება, რომ მრუდის რაგინდ წერტილის მანძილთა (ამ წრფეწირიდან ან შესაფერ ფოკუსიდან) შეფარდება მუდმივი სიდიდეა; 2) სროლის საქმეში: სროლის მიმართულება.

**დირექცია.** დაწესებულების ან საწარმოს მმართველობა.

**დირიჟაბლ-ი,** ჰაერგემი, საჰაერო გემი, აეროსტატი, რომლის მიმართვა შესაძლებელია რაგინდ მიმართულებით.

**დირიჟორ-ი,** მომღერალთა გუნდის ან ორკესტრის ხელმძღვანელი პირი.—**დირიჟორობა, ვდირიჟორობ,** ვხელმძღვანელობ გუნდს ან ორკესტრს.

**დისერტაცია** (დისს-), სამეცნიერო ხარისხის მისაღებად დაწერილი და წარდგენილი მეცნიერული შრომა.—**დისერტანტ-ი,** დისერტაციის წარმდგენი.

**დისექცია** (დისს-), ადამიანის ან ცხოველის გვამის განკვეთა სამეცნიერო მიზნით.

**დისიდენტ-ი** (დისს-), 1) ძველად პოლონეთში: არაკათოლიკე ქრისტიანი; 2) სხვაგვარად მოაზროვნე.

**დისიმილაცია** (დისს-), განმსგავსება; ასიმილაციის (ნ.) საწინააღმდეგო მოვლენა ენათმეცნიერებაში (ბგერათგანმსგავსება) და ფიზიოლოგიაში.

**დისიმულაცია** (დისს-), ავადმყოფისმიერ თავის ავადმყოფობის ნიშნების დაფარვა.

**დისკანტ-ი,** ყველაზე მაღალი (წვრილი) ხმა (ბავშისა).

**დისკი ან დისკო,** 1) ბრტყელი წრე; 2) ქვის ან ლითონის სატყორცნი წრე ძვ. საბერძნეთში; 3) მზისა და პლანეტების დედამიწიდან ხილული ფორმა.—**დისკობოლ-ი,** დისკოს მსროლელი.—**დისკოს-ი,** ფეშხუმი.

**დისკონტ-ი,** თამასუქის ან ფასიან ქაღალდების განაღდება.—**დისკონტერი,** თამასუქის გამნაღდებელი.—**დისკონტირება, ვადისკონტირებ,** ვანაღდებ თამასუქს; **დისკონტირებული,** განაღდებული.

**დისკრედიტირება,** სახელის გატეხა, ნდობის ჩამორთმევა; **ვადისკრედიტირებ,** სახელს ვუტეხ, ნდობას ვუკარგავ.—**დისკრედიტირებული,** სახელგატეხილი, ნდობადაკარგული.

**დისკურს-ი,** მეტყველება, საჯარო სიტყვა.—**დისკურსული** აზროვნება, როცა მსჯელობაში იაზროვნება ყველა წინამძღვრებით; **დისკურსული** შემეცნება, ამგვარად შემეცნება (ნ. ინტუიციური).

**დისკუსია** (დისკუსს-), კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.—**სადისკუსიო,** საკამათო.

**დისლოკაცია,** გადაადგილება (გეოლოგიაში, ქირურგიაში), განრიგება შეიარაღებული ძალებისა ან სამხედრო დაწესებულებათა.

**დისმენორეა** (-რრეა), ტკივილებიანი დედათაწესი (თვიური).

**დისონანს-ი** (დისს-), უთანხმოვნობა, უმწყობრობა; მუსიკაში

უსიამოვნო შთაბეჭდილების მომბდენი უმწყობრო შეერთება ბგერათა.

**დისოციაცია** (**დისს**-), დაშლა, განკავშირება: 1) ქიმიაში — სრული ან ნაწილობრივი დაშლა ნივთიერებისა შემადგენელ ნაწილებად გახურების ან სხვა პირობების გამო; 2) ფსიქოლოგიაში: ცნობიერების დაშლა. — **დისოცირებული**, დაშლილი, განკავშირებული.

**დისპანსერ-ი**, ისეთი სამკურნალო გარედან მომსვლელთათვის, რომელიც არა მხოლოდ მკურნალობს მოსულ ავადმყოფებს, არამედ იღებს წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს დაავადების წინააღმდეგ — მათი ცხოვრების პირობების გამოკვლევის საფუძველზე. — **დისპანსერიზაცია**, ჯანსაღობის დაცვის სისტემა, როცა მოსახლეობას გაეწევა სამკურნალო და სოციალური დახმარება — ჯანსაღობის და ცხოვრების პირობების შესწავლის საფუძველზე.

**დისპარატული**, შეუდარებელი, შეუსაბამო.

**დისპეპსია**, კუჭნაწლავების მოქმედების მოშლა დასუსტების ან ნერვულ სისტემის მოშლის ნიადაგზე, საჭმლის მონელების გაძნელება.

**დისპერსია**, განბნევა, დაშლა; შუქთგაბნევა, შუქშლა (ფიზიკაში).

**დისპეტჩერ-ი**, გამგზავნი, გამრიგე. — **დისპეტჩერული სისტემა**, სარკინიგზო მოძრაობის ისეთი მმართველობა, როცა უბნებად დაყოფილ ხაზს აწესრიგებს დისპეტჩერი.

**დისპოზიცია**, 1) წერილობითი საბრძოლო ბრძანება ლაშქრისადმი; 2) წინასწარგანწყობილება; 3) ფლოტის ან მისი ნაწილის დგომა დასახული გეგმის თანახმად.

**დისპროპორცია**, თანაშეუზომლობა, ნაწილების ურთიერთ შეუფარდებლობა.

**დისპუტ-ი**, 1) პაექრობა, კამათი მეცნიერულ ან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თემაზე; 2) დისერტაციის (ნ.) საჯაროდ დაცვა.

**დისტანცია**, 1) მანძილი, 2) სარკინიგზო უბანი.

**დისტილ-**, ნ. დესტილ-.

**დისციპლინა**, 1) მეცნიერების, ცოდნის დარგი; 2) რაიმე დაწესებულების, ორგანიზაციის და სხვათა საქმიანობაში წესიერების დასაცავად არსებული სავალდებულო წესები; ამ წესების დამორჩილების მოგვარება (ბურჟუაზიულ კლასურ საზოგადოებაში დისციპლინის დამორჩილება იძულებითია, ხოლო უკლასოში — თავისუფალი, ვინაიდან კოლექტივის

წევრი შეგნებულად ემორჩილება კოლექტივს).—**დისციპლინარული** ან **დისციპლინური**, გამასწორებლობითი, დამსჯელობითი.

**დისჰარმონია**, ჰარმონიის დარღვევა; შეუხმატკბილებლობა.

**დიუნები** (მრავლ.), ბორცვისებრი სილაყრილი ზღვის ნაპირზე.

**დიფამაცია** (დიფფ-), მოყივნება ანუ ვისიმე სახელის გატეხა, სახელგამტეხი ცნობების (ყალბის ან ნამდვილის) ბეჭდურად გამოქვეყნება (საბჭოთა კანონით იდევნება მხოლოდ ყალბი ცნობების გამოქვეყნება).—**დიფამატორ-ი**, სახელგამტეხი.

**დიფერენციალ-ი** (დიფფ-), ტექნიკაში: კბილანების მოწყობილობა ავტომობილში,—საშუალებას აძლევს უკანა ორ თვალს იმოძრაონ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიჩქარით მოსახვევებში და უსწორ-მასწორ ადგილებზე. — **დიფერენციალური**, სხვაობითი, განსხვავებითი, დამოკიდებული რაიმე პირობისაკან.—**დიფერენციალური აღრიცხვა**, უმაღლესი მათემატიკის დარგი,—სწავლობს უსასრულოდ მცირე სიდიდეებს დამოუკიდებელი ცვლადის უსასრულოდ მცირე მატებისას.— **დიფერენციალური ტარიფი**, საგზაო ფასი, რომელიც მცირდება მანძილის ზრდის მიხედვით.—

**დიფერენციაცია**, 1) მთლიანის დანაწევრება, გამოცალკევება მთლიანობის დაურღვევლად; 2) საზოგადოებრივი დიფერენციაცია: ახალი კლასების ან ჯგუფების წარმოქმნა; 3) ევოლუციის თეორიაში: ორგანიზმის თანდათანი გართულება განვითარების პროცესში.—**დიფერენცირება**, **ვადიფერენცირებ**, ვანაწევრებ, ვასხვავებ, ვაცალკევებ; **ვდიფერენცირდები**, ვსხვავდები, ვცალკევდები, ვნაწევრდები. — **დიფერენცირებული**, დანაწევრებული და სხვ. (ნ. ინტეგრაცია, ინტეგრირება).

**დიფთერიტ-ი**, **დიფთერია**, ყელპირვება.

**დიფთონგ-ი**, ორხმოვანა (ერთ მარცვალში).

**დიფირამბ-ი**, ნ. დითირამბ-ი.

**დიფრაქცია**, შუქთგადახრა წრფეწირული მიმართულებიდან რაიმე მცირე დაბრკოლების გავლისას.

**დიფუზია** (დიფფ-), ნივთიერების შეხწევა (შესვლა, გაჯდომა) სხვა ნივთიერებით მოკავებულ სივრცეში.— **დიფუზორ-ი**, აუზი; ერთგვარი ქვაბი საშაქრე ქარხნებში.—**დიფუზური**, დაუნაწევრებელი, შერწმული.

**დიქორდ-ი**, ორძალი (საკრავი).

**დიქროიზმ-ი**, ორფეროვნობა.—**დიქრომატული**, ორფეროვანი.

**დიქტანტ-ი**, კარნახი.

**დიქტატორ-ი**, უფლებაშეუზღუდველი დროებითი მმართველი.

**დიქტატურა**, 1) საერთოდ: ძალაზე დ მყარებული შეუზღუდველი ხელისუფლება; 2) ერთი საზოგადოებრივი კლასის უფლობა კლასობრივ საზოგადოებაში (ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფაქტიურად არის ბურჟუაზიის დიქტატურა, რამდენადაც მის ხელშია წარმოების საშუალებანი და სახელმწიფოებრივი ხელისუფლება); 3) **პროლეტარიატის დიქტატურა**, მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება — ბურჟუაზიისასთან დაპირისპირებით — კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნის მიზნით.

**დიქტოფონ-ი**, ლაპარაკის გადამღები (ჩამწერი) და ამომღები (აღმდგენი) ფონოგრაფი (ნ. ეს).

**დიქცია**, 1) წარმოთქმა, წარმოთქმის ხასიათი; 2) მკაფიო წარმოთქმა.

**დოგ-ი**, ძაღლის ჯიში, — ცხვირბრტყელა, მძლავრი.

**დოგმა**, ძირითადი დებულება: 1) **სამართლის დოგმა**, იურისპრუდენციის დარგი, — სწავლობს სამართლის ნორმებს მათი სისტემური დალაგების (და არა წარმოშობისა და მიზანშეწონილობის) თვალსაზრისით; 2) ღვთისმეტყველებაში: ჭეშმარიტებად მიჩნეული და მორწმუნეთათვის სავალდებულო დებულება. — **დოგმატ-ი**, უცილობლად მიჩნეული დებულება ფილოსოფიურ სისტემაში (ნ. დოგმა 2). — **დოგმატიზმ-ი**, უკრიტიკოდ გაზიარება რაიმე დებულებისა, მოძღვრებისა. — **დოგმატიკა**, სისტემურად დალაგებული ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატები. — **დოგმატიკური**, უკრიტიკოდ, დაუმტკიცებლივ გაზიარებული.

**დოზა**, მკურნალობაში: წამლის გარკვეული რაოდენობა.

**დოკ-ი**, ნავსაკეთებელი, გემების სარემონტო ნაგებობა.

**დოკტ-**, ნ. დოქტ-.

**დოკუმენტ-ი**, საბუთი, მოწმობა.

**დოლარ-ი** (დოლლ-), ჩრდ.-ამერიკული ფული (დაახლოებ. 2 მანეთი).

**დოლიხოცეფალ-ი**, **დოლიქოკეფალ-ი**, გრძელთავიანი, გრძელქაშიანი. — **დოლიქოკეფალია**, გრძელთავიანობა, გძელქაშიანობა (ქაშა=თავისქალა).

**დოლმენები** (მრავლ.), წინარეისტორიული სასაფლაოები, — აკალდამები.

**დომენები** (მრავლ.), საუფლისწულო, სახელმწიფო მამულები.

**დომინანტ-ი**, აკორდის მთავარი ტონი (ნ. დომინირება).

**დომინიონები** (მრავლ.), ბრიტანიის იმპერიის თვითმართველობის მქონე კოლონიური სამფლობელოები (ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, სამხრ. აფრიკის კავშირი, ნიუფაუნდლენდი), რომელთაც აქვთ თავისი პარლამენტი და მთავრობა, ხოლო უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელია ინგლ. მეფის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი; მსოფლიო ომის შემდეგ დომინიონებში იზრდება მოძრაობა საბოლოო განთავისუფლებისათვის.

**დომინირება, ვდომინირობ,** 1) ვუპირატესობ, ვუფლობ; 2) ვდგავარ ვინმეზე მაღლა; მიკავია მტრის ჯარზე მაღალი ადგილი.

**დომინო,** 1) ერთგვარი სათამაშო, 2) ერთგვარი სამასკარადო ტანსაცმელი.

**დომკრატ-ი,** დიდი სიმძიმეების ასაწევი მანქანა.

**დონ,** აზნაური ესპანეთში; **დონნა,** აზნაური ქალი.

**დონ-კიხოტ-ი,** მოურჯულებელი იდეალისტი; უანგარო, მაგრამ გულუბრყვილო მეოცნებე (სერვანტესის რომანის გმირის სახელი).

**დონ-ჟუანი,** ფუქსავატი მოარშიყე, მექალთანე პიროვნება (ლიტერატურული ტიპი მრავალ ავტორთა ნაწარმოებში).

**დოჟ-ი,** მფლობელი თავადი ვენეციისა და გენუის რესპუბლიკებში.

**დორსალური,** ზურგისა, ზურგის მხარეზე მდებარე,—უპირისპირდება ვენტრალურს (ნ. ეს).— **დორსალური თანხმოვნები,** ენის ზურგის აწევით ნაწარმოები თანხმოვნები (კ, გ, ს, ზ...).

**დორტუარი,** მოწაფეთა საერთო დასაძინებელი ოთახი (სასწავლებლის პანსიონში).

**დოტაცია,** ფულადი დახმარება სახელმწიფო სახსრებიდან დაწესებულებებს ან საწარმოებს.

**დოფინ-ი,** ტახტის მემკვიდრე რევოლუციამდე საფრანგეთში.

**დოქტორ-ი,** 1) უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი; 2) ექიმი.— **დოქტორანტ-ი,** სადოქტორო ხარისხის მისაღებად ზეპირგამოცდებჩაბარებელი პირი.

**დოქტრინა,** მოძღვრება, სამეცნიერო ან ფილოსოფიური თეორია. — **დოქტრინერ-ი,** რაიმე დოქტრინის მომხრე, რომელიც იყენებს მას ცხოვრებაში სინამდვილის გაუთვალისწინებლივ.

**დოცენტი,** უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერი მასწავლებელი, რომელსაც ჯერ არ მიუღია პროფესორის თანამდებობა.— **დოცენტურა,** დოცენტობა, დოცენტის შტატი.

**დრაგომან-ი**, ოფიციალური თარჯიმანი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში.

**დრაგუნები** (მრავლ.), ცხენოსანი ჯარი,—ქვეითდებოდა ბრძოლისას.

**დრაკონ-ი**, 1) ზღაპრული ცეცხლმფრქვეველი ურჩხული ან მფრინავი გველი; 2) **დრაკონები** (მრავლ.), ერთგვარი ნაოჭკანიანი ხვლიკები, — შეუძლიათ ფრენა მნიშვნელოვან მანძილზე; 3) **დრაკონის წესები**, სასტიკი წესები (ათენელი კანონმდებლის, დ რ ა კ ო ნ-ის, სახელიდან).

**დრამა**, 1) საერთოდ: საუბრის ფორმით დაწერილი და სცენაზე წარმოსადგენად განკუთვნილი პოეტური ნაწარმოები,- შეიცავს ტრაგედიას, კომედიას და კერძოდ დრამას; 2) კერძოდ: ასეთი სასცენო ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია მოქმედ პირთა ღრმა განცდები და ინტერესთა ბრძოლა გარკვეულ სოციალურ გარემოში; 3) შემაძრწუნებელი შემთხვევა. —**დრამატიზაცია**, დრამის ფორმის მიცემა, რაიმე ნაწარმოების ან ამბის განპიროვნებულად წარმოდგენა.—**დრამატიზირება, ვადრამატიზირებ**, დრამის სახეს ვაძლევ, განპიროვნებულად წარმოვადგენ; **დრამატიზებული**, ამგვარად წარმოდგენილი. —**დრამატიზმ-ი**, 1) პოეზიის სხვა დარგებისაგან განსხვავებული თვისებები დრამისა; 2) გრძნობათა და ინტერესთა ბრძოლის გამოხატულება. — **დრამატურგ-ი**, დრამების მთხზველი,—ავტორი; **დრამატურგია**, 1) დრამების შეთხზვა; 2) სადრამო ნაწარმოების თხზვის თეორია.— **დრამატული**, დრამის ხასიათის მქონე. – **სადრამო**, დრამისთვის განკუთვნილი.

**დრაპ-ი, დრაფ-ი**, ორმაგქსოვილი მაუდი—მატყლისა ან ბამბის ფუძეზე.

**დრახმა, დრაქმა**, 1) ბერძნ. ფულის მცირე ერთეული; 2) სააფთიაქო მისხალი (წონით).

**დრედნოუტ-ი**, სამხედრო ჯავშნიანი გემი.

**დრეზინ-ი**, რკინისგზის რელსებზე დადგმული ბაქანი (პლატფორმა)—ამოძრავებენ მას კბილოვანი თვლებით ან შიდაწვის ძრავით.

**დრენაჟ-ი**, 1) ტექნიკაში: ნიადაგისეული წყლის მოწესრიგება სხვადასხვა საშუალებებით — დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა და სისველის დაკავება ჭარბად მშრობარე ნიადაგზე; 2) ქირურგიაში: ჭრილობიდან ჩირქის წრეტა მილის საშუალებით. — **დრენირება, ვადრენირებ**, ვაწესრიგებ ნიადაგისეულ წყალს; ვწრეტ ჩირქს ჭრილობიდან.

**დრესირება**, ვადრესირებ (დრესს-), ვწვრთნი ცხოველს გარკვეული მოქმედებისათვის; **დრესირებული**, გაწვრთნილი.—**დრესაჟ-ი**, დრესურა, ცხოველის წრთვნა.

**დროგისტ-ი**, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე.

**დუალიზმ-ი**, ორდასაბამიანობა: ფილოსოფიური მოძღვრება მსოფლიოში ორი დასაბამის (სულისა და მატერიის, იდეისა და ნივთის და სხვ.) არსებობის შესახებ,—უპირისპირდება მონიზმს (ნ.).—**დუალისტ-ი**, დუალიზმის მიმდევარი.

**დუბლეტ-ი**, 1) რაიმე საგნის მეორე ცალი; 2) ხედიხედ გასროლა ორლულიანი თოფიდან; 3) ერთგვარი ჯახება ბილიარდის თამაშში.—**დუბლიკატ-ი**, დედნის ძალის მქონე მეორე ცალი საბუთისა.

**დუბლირება**, ვადუბლირებ, ვიმეორებ, ორცალად ვაკეთებ, ვაორადებ; **ვუდუბლირებ**, შევცვლი მსახიობს როლში, ვეადგილები. — **დუბლერ-ი**, მონაცვლე მსახიობი.

**დუელ-ი**, ორთაბრძოლა, შეურაცხყოფისათვის, საბრძოლოდ გაწვევა.—**დუელანტ-ი**, თითოეული მათგანი.—**დუელისტ-ი**, დუელის მოყვარული (ბურჟ. ქვეყნებში დუელანტები არ ისჯებიან ან ძალიან მსუბუქად; საბჭოთა კავშირში მკვლელი ან დამჭრელი ისჯება საერთო წესით).

**დუეტ-ი**, 1) ორხმა ნაწარმოები (მუსიკაში); 2) ასეთის შესრულება.

**დუზენ-ი**, ნ. დუჟინ-ი.

**დუიმ-ი**, გოჯი (სიგრძის წინანდელი საზომი).

**დუკატ-ი**, ვენეციური ოქროს ფული (დაახლ. 3 მან.), — გავრცელდა დასავლ. ევროპაში.

**დულცინეა**, სატრფო, გულისვარდი (დონკიხოტის სატრფო ქალი), — იხმარება ირონიული მნიშვნელობით.

**დუჟინ-ი**, თორმეტეული. თორმეტი ცალი.

**დუშ-ი**, შხეფი: წყლის სამკურნალო ჭავლი,—არის სხვადასხვა გვარისა: წვიმისებრი, მარაოსებრი. შარკოსეული და სხვა.

# ე

**ებენისტ-ი,** აბანოზის ანუ ჭკალმუხის მერქანზე მომუშავე ხელოსანი; საერთოდ: ხელოვანი, დურგალი, ხარატი, მხატვრული ნივთების კეთებაში დახელოვნებული.

**ებონიტ-ი,** 1) ერთგვარი ხელოვნური აბანოზი; 2) მყარი ვულკანიზებული (ნ.) და გარქავებული კაუჩუკი (ნ.),—იხმარება სხვადასხვა ნივთების დამზადებაში რქის ნაცვლად.

**ეგალიტარიზმ-ი,** 1) თანასწორობა, თანასწორუფლებიანობა; 2) ქონებრივი გათანასწორების საზოგადოებრივი თეორია—კერძო მეურნეობის მოუსპობლივ.—**ეგალიტარისტ-ი,** ეგალიტარიზმის მომხრე.—**ეგალიტარული,** თანასწორობაზე დაფუძნებული.

**ეგერ-ი,** ნ. იეგერ-ი.

**ეგვიპტოლოგია,** ეგვიპტის მცოდნეობა.

**ეგზალტაცია,** აღტაცებულობა, აგზნებულობა, შეფრთვინვა.—**ეგზალტირება,** ვაეგზალტირებ, აღვიტაცებ, ავაგზნებ, შევაფრთენ; **ეგზალტირებული,** აგზნებული, შეფრთვინული.

**ეგზამენ-ი,** ცოდნის შესამოწმებელი გამოცდა. **ეგზამენატორ-ი,** ცოდნის შემმოწმებელი, გამომცდელი.

**ეგზარქ-ი, ეგზარქოს-ი,** 1) საშუალო საუკ.: ბიზანტიის იმპერატორის მოადგილე იტალიაში (ბიზანტიის კუთვნილ ოლქებში); 2) რამდენიმე ეპარქიის (ნ.) შემცველ სამღვდელმთავრო ოლქის გამგე ეპისკოპოსი (მაგ. ჩვენში რუსის მეფობისას არსებობდა საქართველოს ეგზარქოსი).—**ეგზარქატ-ი,** საეგზარქოსო, ეგზარქს დაქვემდებარებული ოლქი; ეგზარქოსობა.

**ეგზეგეტიკა.** მოძღვრება ძველი ტექსტების ახსნა-განმარტების შესახებ, განსაკუთრებით—საღვთო წერილისა.

**ეგზეკუტორ-ი,** 1) სასამართლოს განაჩენის ამსრულებელი; 2) მეთვალყურე მოხელე დაწესებულებაში, სამნეო ნაწილის გამგე.—**ეგზეკუცია,** 1) განაჩენის სრულება; 2) სასიკვდილო განაჩენის ან ფიზიკური დასჯის ასრულება საჯაროდ; 3) რევოლუციამდე რუსეთში: დამსჯელი რაზმის ჩაყენება მოსახლეობის სახლ-კარში—მთავრობის წინა ღმდეგობისათვის

დასჯის მიზნით; ასეთი რაზმი.

**ეგზემა**, კანის ქავილიანი გადამდები სხეულება.

**ეგზემპლარ-ი**, 1) ცალი, თანაგვარ საგანთაგან ერთერთი; 2) ნიმუში ცხოველის, მცენარის ან მინერალის; 3) ახირებული ადამიანი, უცნაური.

**ეგზოგამია**. პირველყოფილ ხალხთა ჩვეულება, რომელიც უკრძალავდა იმავე ტომის ქალის ცოლად შერთვას.

**ეგზორციზმ-ი** ცრურწმენა: ავსულების (ეშმაკეულის) შელოცვა, მათი განდევნა შელოცვით.

**ეგზოსმოს-ი**, სითხის მიმდინარეობა შიგნიდან გარეთ, მ ტად მკვრივისა ნაკლებ მკვრივში (ნ. ოსმოსი და ენდოსმოსი).

**ეგზოტერიკული**, საცოდინარი და გასაგები უცოდინარისთვისაც (შეად. ეზოტერიკული).

**ეგზოტიკური**, უცხოური, უცხოქვეყნიური; არაჩვეულებრივი.

**ეგიპტოლოგია**, ნ. ეგვიპტოლოგია.

**ეგოიზმ-ი**, თავისმოყვარეობა, პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა. —**ეგოისტ-ი**, თავისმოყვარული ადამიანი.

**ეგოცენტრიზმ-ი**, უკიდურესი ინდივიდუალიზმი (ნ.), ადამიანის პიროვნების დასახვა მსოფლიოს ცენტრად, პიროვნების შეუზღუდველობა.

**ედემ-ი**, სამოთხე (ლეგენდ.).

**ედიქტ-ი**, ხელისუფლების წერილობითი ბრძანება (უქაზი).

**ევაკუაცია**, ადგილის დაცალიერება: მოსახლეობის გასახლება ომის ან ჭირიანობის დროს, დაჭრილთა და ავადმყოფთა გაცლა საომარი ასპარეზის ახლომახლოდან და სხვ.—**ევაკუირება**, ვაევაკუირებ, ვაცალიერებ ადგილს ასეთი შემთხვევების გამო. ევაკუაციას ვახდენ.

**ევანგელისტები** (მრავლ.), სახარების ავტორები.

**ევაპორაცია**, სითხის აორთქლება.

**ევგენიკა**, იგივეა რაც ანთროპოტექნიკა (ნ ეს).

**ევდემონიზმ-ი**, სიცოცხლის საბოლოო მიზნად ბედნიერების დასახვა (ფილოსოფ.).

**ევკალიპტ-ი**, ავსტრალიის მცენარე, მოჰყავსთ სხვაგანაც; მისი ფოთლებისაგან იხდება მედიცინაში სახმარი ზეთები, ქერქი და მერქანი გამოყენებულია სადურგლო საქმეში.

**ევმენიდები** (მრავლ.), შურისძიების ქალღმერთები (ძველ ბერძნ. მითოლოგიით).

**ევნუქ-ი**, ჰარამხანის დასაპურისებული მსახური (ევნუქები ხშირად მოიპოებდენ ხოლმე გავლენას სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე—ხელმწიფის ცოლის ან ხასის გზით).—**ევნუქოიდიზმ-ი**. ორგანიზმის პათოლოგიური მდგომარეობა: ზომაზე მეტი, თანაშეუზომელ-

ტანი, სასქესო ორგანოების განუვითარებლობა, წვრილი ხმა, უთმობა პირსახეზე და სხვ.

**ევოლუცია,** თანდათანი განვითარება ბუნებრივი ცვალების საფუძველზე. —**ევოლუციონიზმ-ი** ანუ **ევოლუციური თეორია,** მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც მოვლენათა განვითარება ხდება მხოლოდ განუწყვეტელისა და თანდათანობითის ცვლილების ნიადაგზე,— უარყოფს წინააღმდეგობათა და ნახტომების აუცილებლობას განვითარების (ევოლუციის) პროცესში; ამდენად უპირისპირდება მატერიალისტურ დიალექტიკას (ნ.). — **ევოლუციონისტ-ი,** ევოლუციონიზმის მომხრე ან მიმდევარი.—**ევოლუციური,** თანდათანობითი.

**ევპატრიდები** (მრავლ.), ძველი ათენის (საბერძნეთში) მიწათმფლობელი არისტოკრატია, გაბატონებული პოლიტიკურად და ეკონომიურად (6 საუკ. ქ. წ.).

**ევრაზია,** შემოკლებულია ორი სიტყვისაგან: იგულისხმება ე ვ რ ო პ ა და ა ზ ი ა ერთად.— ევრაზიელები (მრავლ.), ევროპა-აზიის მცხოვრებნი; 2) ინდოეთში: ინგლისელი მამისა და ინდოელი დედისაგან შობილი; 3) წარმომადგენლები ყოფ. რუსეთის თეთრგვარდიულ ემიგრანტთა შორის წარმოქმნილი მიმდინარეობისა, რომლის აზრითაც დაღუპვის გზაზე მდგარ ევროპის კულტურას შეენაცვლება აღმოსავლური (აზიიდან მომდინარე) კულტურა—ნაციონალისტური, მონარქისტული და მართმადიდებლური.

**ევრიკა,** „ვიპოვე“ (ამ სიტყვის წამოძახებას მიაწერენ არქიმედს —მისი ცნობილი კანონის აღმოჩენისას (ნ. არქიმედის კანონი).

**ევრისტიკა,** აღმოჩენლობა, აღმოჩენის ხერხი. — **ევრისტიკული მეთოდი,** სწავლების აღმოჩენითი ანუ პოვნითი მეთოდი: მასწავლებლის მისახვედრი შეკითხვების შეშწეობით მოწაფე თვითონ პოულობს ამოცანის პასუხს.

**ევროპეიზაცია,** გაევროპელება, ევროპული კულტურის შეთვისება ან შეთვისებინება.—**ევროპეიზმ-ი, ევროპიზმ-ი,** ევროპელობა, ევროპის კულტურის თავისებურობანი.

**ევფემიზმ-ი,** კეთილსიტყვაობა, კრძალულსიტყვაობა: უზრდელ ან ტლანქ სიტყვად მიჩნეული სიტყვის ნაცვლად სხვა სიტყვის ხმარება (მაგ. პერანგის ამხანაგი, სარცხვინელი და სხვ.).

**ევფონია**, 1) კეთილხმოვნობა; 2) მოძღვრება პოეტური ენის შესახებ ბგეროვნული შედგენილობის თვალსაზრისით.

**ევფორია**, ავადმყოფურ ან მოწამვლის ნიადაგზე წარმოშობილი სანეტარო სულიერი განწყობილება.

**ევფუიზმ-ი**, ინგლისური ლიტერატურის ზვიადი სტილი (16—17 საუკ.).

**ეზოპის ენა**, იგავ-არაკებით აზრის გამოხატვა (ე ზ ო პ-ი იყო ძვ. საბერძნეთის იგავ-არაკების მწერალი).

**ეზოტერიკული**, საცოდინარი და გასაგები მხოლოდ რჩეულთათვის, დახელოვნებულისათვის; საიდუმლო რამ (ნ. ეგზოტერიკული).

**ეთერ-ი**, 1) უზემოესი ჰაერი ანუ ნიავწვლილი (საბ.), ციური სივრცე; 2) ფიზიკაში: მსოფლიო სივრცეში ჰიპოთეზურად ნაგულვები უხილავი და უწონარი ნივთიერება,—უარყოფილია უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით; 3) ქიმიაში: აქროლებადი და აალებადი ნივთიერება, — იხმარება მედიცინაში ანესთეზიისათვის (ნ. ეს).— **ეთერიზაცია**, ეთერის შესუნთქვინება - გაუმტკივნეულობის მიზნით (მედიც.); **ეთერიზირება**, **ვაეთერიზირებ**, ეთერიზაციას ვახდენ.—**ეთერისებრი**, **ეთეროვანი**, მსუბუქი, აქროლებადი.

**ეთიკა**, მეცნიერება ბურჟუაზიული ზნეობის შესახებ; **ეთიკური**, ზნეობრივი (ასეთი თვალსაზრისით).

**ეთილ-ი**, ქიმიაში: სპირტის რადიკალი (ნ. ეს).—**ეთილენი**, უფერული მხრჩოლი აირი.

**ეთნიური**, ტომობრივი, ტომური.—**ეთნოგრაფია**, ხალხთმცოდნეობა,—ასწერს და იკვლევს ტომებისა და ხალხების კულტურას.—**ეთნოგრაფ-ი**, ეთნოგრაფიაში მომუშავე მეცნიერი (ბურჟუაზიული ეთნოგრაფიის განვითარება დაკავშირებულია კაპიტალიზმის საკოლონიო პოლიტიკასთან).

**ეთნოლოგია**, ბურჟუაზ. მეცნიერება: ანთროპოლოგიური შედარებითი ხალხთმცოდნეობა,—იკვლევს სხვადასხვა ტომთა და ხალხთა თვისებებს, მათ წარმოშობას და მათ ისტორიულსა თუ გენეტურ ნათესაობას.—**ეთნოლოგ-ი**, ეთნოლოგიაში მომუშავე მეცნიერი (ბურჟ. ეთნოლოგია წარმოადგენს იდეოლოგიურ იარაღს ბურჟუაზიის ხელში; საბჭოთა ეთნოგრაფებმა უარყვეს ამ ტერმინის ხმარება' საბჭოურ ეთნოგრაფიაში).

**ეთოლოგია** ანუ **ეთოგრაფია**, მეცნიერება ზნე-ხასიათის შესახებ.

**ეოლაგ-ი**, საძოვრები.

**ეიფელ-ის კოშკი** (ეიფფ-), 1) ინჟ. ეიფელის (ეიფფ-) გეგმით აგებული (1889 წ.) კოშკი პარიზში, 300 მეტრის სიმაღლისა; 2) საოცარი, საოცნებო რამ.

**ეკვ-**, ეკზ-, ნ. ეკვ-, ეგზ-.

**ეკიპაჟ-ი**, 1) სხვადასხვაგვარი ეტლი, 2) მოსამსახურეთა შედგენილობა გემზე; 3) სამხედრო-საზღვაო ერთეული—1000 კაცის რაოდენობით.

**ეკლესია** (ეკკ-), 1) ტაძარი, საყდარი; 2) ერთ სარწმუნოების ადამიანთა კრებული,—საზოგადოება; 3) სარწმუნოება (იგულისხმება უმთავრესად ქრისტიანული).

**ეკლექტიზმ-ი**, 1) ბევრი რამესგან საუკეთესოს ამოკრეფის მცდელობა, უმეტესად—ფილოსოფიურ შეხედულებათაგან; 2) სხვადასხვა (ზოგჯერ ურთიერთ საწინააღმდეგო) მსოფლმხედველობის დებულებათაგან ამომკრეფისთვის გამოსადეგი ადგილების ამოკრეფა—საკუთარი მსოფლმხედველობის უქონლად. — **ეკლექტიკ-ი**, ასეთის შემქმედი; **ეკლექტიკური**, არა დამოუკიდებელი, შემოქმედების უნარის არ მქონე; შერეული, შეკოწიწებული.

**ეკლიპტიკა**, დედამიწის სავალი წლიური წრე მზის გარშემო.

**ეკლოგა**, მწყემსური და სოფლური ცხოვრების მშვენიერების გადმომცემი ლექსი.

**ეკონომ-ი**, საოჯახო მეურნეობის ან დაწესებულებაში სამნეო ნაწილის გამგე.

**ეკონომია**, 1) მომჭირნეობა, ფულის ან ძალის დამზოგველობა; 2) კეთილმოწყობილი სოფლის მეურნეობის ერთეული,—მამული. **ეკონომიური**, მომჭირნეობითი.

**ეკონომიზმ-ი**, მუშათა კლასის ბრძოლის საქმეში ეკონომიური ბრძოლისათვის უპირატესობის მინიჭება პოლიტიკურთან შედარებით (სოც.-დემოკრატიული მიმართულება რუსეთში თვითმპყრობელობის ხანაში); **ეკონომისტები**, ეკონომიზმის მიმდევარნი.

**ეკონომიკა**, 1) სახალხო მეურნეობა; 2) განსაზღვრული საზოგადოების წევრთა წარმოებრივი ურთიერთობა, განისაზღვრება საწარმოო ძალთა მდგომარეობით (ნ. ბაზისი); **ეკონომიკური**, სახალხო მეურნეობისა, ეკონომიკის ხასიათის მქონე: ეკონომიკური გეოგრაფია, ეკონომიკური მატერიალიზმი და სხვ.

**ეკონომისტ-ი**, ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტი.

**ეკონომიკური მატერიალიზმ-ი**, ისტორიული განვითარების ცალმხრივი მექანისტური გაგება, საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის ერთადერთ ფაქტორად მიღება; მაშასადამე,

ხელნაშენობისა და იდეოლოგიის უარყოფა,—ეწინააღმდეგება ისტორიულ მატერიალიზმს (ნ. ეს).

**ეკონომკა**, ეკონომი ქალი (ნ. ეკონომი).

**ეკრან-ი**, 1) ბუხრის ან ფანჯრის საფარი; 2) ცოცხალი ანუ მოძრავი სურათების საჩვენებელი თეთრტილოგადაკრული ჩარჩო; 3) კინო.

**ეკს-**, ნ. ექს- ან ეგზ-.

**ეკტ-**, ნ. ექტ-.

**ელადა** (ელლ-), ძველი საბერძნეთი.

**ელასტიკური**, 1) მედრეკი, დრეკადი, მოქნილი; 2) დაუდეგარი, ცვალებადი, შემგუებელი (იტყვიან ადამიანზე).

**ელდორადო**, ოქროსქვეყანა (ზღაპრული).

**ელეგანტ-ი**, **ელეგანტური**, მოხდენილი, მხატვრული გემოვნებით მორთული; ლამაზი.

**ელეგია**, სევდიანი ლირიკული ლექსი.—**ელეგიური**, სევდიანი, ნაღვლიანი.

**ელევატორ-ი**, 1) ამწე (მანქანა); 2) პურის მარცვლის შესანახი, დასაწმენდი და დასახარისხებელი ბინა.

**ელეკს-**, ნ. ელიქს-.

**ელეკტ-**, ნ. ელექტ-.

**ელემენტ-ი**, მთელის ნაწილი, ძირითადი ნაწილი.—**ელემენტური**, უბრალო, მარტივი, უმარტივესი; ძირითადი.

**ელექტორ-ი**, ამომრჩევი.

**ელექტრიზაცია**, 1) ელექტრობის გადაცემა სხეულზე, ელექტრობით მუხტვა (ნ. გ. ლვანიზაცია). 2) ელექტრობით მკურნალობა.

**ელექტრიფიკაცია**, ელექტროენერგიის გამოყენება წარმოების დარგებში—სხვა მამოძრავებელ ენერგიის ნაცვლად.

**ელექტრობა**, მიმზიდველობის, მოძრაობის, სინათლის და სხვა მოვლენათა წარმომქმნელი ძალა, წარმოიშობა ხახუნით, ხურებით, ქიმიურ პროცესებით.

**ელექტროდები** (მრავლ.), გამტართა ნაწილები, ჩვეულებრივ—ბრტყელი ფირფიტების სახით: ა ნ ო დ ი და კ ა თ ო დ ი (ნ. ესენი).

**ელექტროდინამიკა**, ფიზიკის ნაწილი,—სწავლობს ელექტროდენის თვისებებს მოძრაობაში.

**ელექტროთერაპია**, ელექტროდენით მკურნალობა.

**ელექტროკულტურა**, ელექტრობის გამოყენება მცენარეთა ზრდის და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

**ელექტროლიზ-ი**, ელექტროდენის საშუალებით დაშლის მოვლენები.

**ელექტრომაგნეტიზმ-ი**, ელექტროდენით გამოწვეული მაგნიტური მოვლენები.

**ელექტრონ-ი,** 1) უარყოფით ელექტრობის მატარებელი ნაწილაკი; 2) **ელექტრონები** (მრავლ.), ატომის შემადგენელი ნაწილაკები (ელექტრონული თეორიით).

**ელექტროფიკაცია,** ნ. ელექტრიფიკაცია.

**ელექტროქიმია,** ფიზიკური ქიმიის დარგი,—იკვლევს ნივთიერებაზე ელექტროდენის მოქმედებით გამოწვეულ ქიმიურ მოვლენებს.

**ელიზია,** ხმოვნის დაკარგვა სიტყვის ბოლოში—მომდევნო სიტყვის ხმოვნის წინ.

**ელიმინაცია,** გამორიცხვა, მოწყვეტა.—**ელიმინირება, ვაელიმინირებ,** გამოვრიცხავ, მოვწყვეტ.

**ელინ-ი** (ელლ-), 1) ძველი ბერძენი; 2) წარმართი (ქრისტიანთათვის).—**ელინიზმ-ი,** 1) ძველბერძნული კულტურის თავისებურობანი (ალექსანდრე მაკედონელიდან, ვიდრე რომაელთა მიერ დაპყრობამდე); 2) ბერძნული ენის თავისებურობანი სხვა ენაში.—**ელინისტ-ი,** ძვ. ბერძნ. ენისა და ლიტერატურის დარგებში მომუშავე მეცნიერი.

**ელიპს-ი** (ელლ-), 1) კვერცხისებრი შეკრული მრუდი წირი (ხაზი); 2) სიტყვის გამოშვება წინადადებაში (გრამ.). — **ელიპსოიდ-ი,** ელიპსის ბრუნვით - ერთერთი მისი ღერძის გარშემო—მიღებული გეომეტრიული სხეული.—**ელიპსური,** ელიპსისებრი.

**ელიქსირ-ი,** 1) ყოველგვარი სენისაგან განმკურნებელი სასმელი წამალი (ძველი ცრურწმენით); 2) ერთგვარი წვეთობრივ სასმელი წამალი.

**ელონგაცია,** 1) დაგრძელება, დაშორება; 2) მაქსიმალური კუთხობრივი მანძილი პლანეტისა მზემდე; 3) მაქსიმალური დაშორება მერხევი ქანქარასი წონასწორობის მდგომარეობიდან.

**ემალ-ი,** 1) მინანქარი,—წარმოადგენს მინისა და ტყვიის მარილის შენადნობს; **ემალირება, ვაემალირებ,** (და)ვამინანქრებ; **ემალირებული,** დამინანქრებული; 2) მყარი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გვირგვინი,—იცავს კბილს დაშლისაგან.

**ემანაცია,** გამომდინარეობა, გამოსხივება.

**ემანსიპაცია,** დამოუკიდებლობის მინიჭება; უფლებებში გათანასწორება, მაგ. ხალხისა, დედაკაცისა (მამაკაცთან) და სხვ.

**ემბლემა,** სიმბოლო, რაიმე საგანი ან მისი გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს რაიმე იდეის

აზრის ნიშანს, მაგ. საბჭოთა ღერბზე გამოსახული ჩაქუჩი და ნამგალი წარმოადგენს შრომის ნიშანს, შრომის ემბლემას.

**ემბოლოფრაზია**, ენაჩლიგის მიერ ხმარებული ხელოვნური ხერხი სწორი წარმოთქმის მიზნით.

**ემბრიონ-ი**, ჩანასახი, პირველთესლი.—**ემბრიოლოგია**, მეცნიერება ცხოველთა და მცენარეთა ჩანასახის წარმოქმნისა და განვითარების შესახებ.—**ემბრიონული**, ჩანასახის, ჩანასახის დამახასიათებელი.

**ემიგრანტ-ი**, სხვა ქვეყანაში გადასახლებული მთელსიცოცხლივ.—**ემიგრაცია**, 1) სხვა ქვეყანაში გადასახლება, უმთავრესად—პოლიტიკურ მიზეზებით; 2) ამგვარად გადასახლებულნი.

**ემისარ-ი** (ემისს-), საგანგებო რწმუნებული.

**ემისია** (ემისსია), 1) ქაღალდის ფულის გამოშვება; 2) სითბოს გამოსხივება.

**ემოცია**, გრძნობა; რთული სულიერი მოძრაობა.—**ემოციური**, ემოციის ხასიათისა.

**ემპირია**, გამოცდილება; გარემოს აღქმა ადამიანის მიერ ჩვეულებრივს პირობებში (ნ. ექსპერიმენტი).—**ემპირიული**, გამოცდილებითი.

**ემპირიზმ-ი**, მხოლოდ გამოცდილებაზე დამყარებული შემეცნება; ასეთი ფილოსოფიური მიმართულება.—**ემპირისტ-ი** ან **ემპირიკ-ი**, ემპირიზმის მიმდევარი.—**ემპირიული**, ნ. ემპირია.

**ემპირიოკრიტიციზმ-ი**, წმინდა გამოცდილების ცნებაზე დამყარებული ფილოსოფიური მოძღვრება,—წარმოადგენს არსებითად ერთგვარ იდეალიზმს, გაკრიტიკებულია და დარღვეული ვ. ი. ლენინის მიერ.

**ემპირიომონიზმ-ი**, სუბიექტური იდეალიზმის ერთერთი სახეობა,—წარმოადგენს მარქსიზმის გამყალბებელ რეაქციულ ფილოსოფიას (დაარღვია იგი ლენინმა).

**ემულსია**, რძისებრი რაიმე წამალი.

**ემფაზ-ი**, ძლიერად, გაზვიადებულად წარმოთქმა.—**ემფატიკური**, ემფაზური, ძლიერი, გაზვიადებული.

**ენდემია**, ადგილობრივ გავრცელებული ავადმყოფობა.—**ენდემიური** ავადმყოფობანი, ადგილობრივ პირობებით გამოწვეული ავადმყოფობანი.

**ენდოსმოს-ი**, სითხის მიმდინარეობა გარედან შიგნით, როცა ნაკლებ მკვრივი სითხე შედის უფრო მეტად მკვრივში (ნ. ეგზოსმოსი და ოსმოსი).

**ენერგეტიკა**, ნ. ენერგია.

**ენერგია**, 1) ძალღონე, მოქმედების და მუშაობის უნარი; 2) მედეგობა, მხნეობა, მოქმედიანობა; 3) მუშაობის წარმოებისა და წინააღმდეგობის დაძლევის უნარი სხეულში.—**ენერგიული** ან **ენერგიანი**, მხნე, მედეგი, მიზნის მიღწევაში დაუღალავი.—**ენერგეტიკა**, მექანიკის დარგი,—სწავლობს ენერგიის ცვალებისა და შენაცვლების საშუალებებს.

**ენზოოტია**, ცხოველთა ადგილობრივი სენი.

**ენთეზის-ი**, თანხმოვანი ბგერის ჩართვა სიტყვაში (მაგ. შექამანდი, ისევლე).

**ენთუზიაზმ-ი**, ძლიერი გამხნევებულობა, გატაცება, აღფრთოვანებულობა.—**ენთუზიასტ-ი**, გატაცებული, ძლიერ გამხნევებული.

**ენკლიტიკა**, უმახვილო მომდევნო სიტყვა,—წარმოითქმის წინასთან ერთ სიტყვად.

**ენორმული**, უზარმაზარი, მეტისმეტად დიდი.

**ენოტ-ი**, ამერიკული დათუნა, ძვირფასტყავიანი.

**ენტობლასტ-ი** და **ენტოდერმა**, ცხოველთა ჩანასახის უჯრედების შიდაფენი.

**ენტომოლოგია**, მწერების მცოდნეობა (ზოოლოგიის დარგი).—**ენტომოლოგ-ი**, ენტომოლოგიაში მომუშავე მეცნიერი.

**ენტუზიაზმ-ი**, ნ. ენთუზიაზმი.

**ენციკლოპედია**, 1) თავდაპირველად: ზოგადი განათლების წინასწარი ანუ მოსამზადებელი კრებული; 2) საცნობო წიგნი, რომელშიც თავმოყრილია სისტემურად დალაგებული ყოველგვარი ცოდნა (ზოგადი ენციკლოპედია) ან ერთი რომელიმე დარგისა (კერძო ენციკლ.); 3) **ენციკლოპედიური ლექსიკონი**, ასეთივე, მაგრამ ანბანზე დალაგებული. — **ენციკლოპედიზმ-ი**, 1) მრავალმხრივი განათლებულობა, — მცოდნეობა; 2) ფრანგი ენციკლოპედისტების მსოფლმხედველობა.—**ენციკლოპედისტ-ი**, 1) მრავალმხრივ განათლებული, 2) ენციკლოპედიზმის მიმდევარი.—**ენციკლოპედისტები**, საფრანგეთის 18 საუკ. ფილოსოფოსები, გამომცემლები და მონაწილენი დიდი ენციკლოპედიისა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეურად მომზადებაში.

**ეოცენ-ი**, მესამეული ფორმაციის დასაწყისი ღედამიწის ქერქის განვითარებაში.

**ეპარქია**, საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, სამღვდელმთავრო ოლქი.

**ეპენთეზის-ი**, ორი ხმოვანის შუა ან საერთოდ სიტყვაში თან-

ხმოვნის ჩართვა (მაგ. გახევება, ამსალიკას), ნ. ენთეზისი.

**ეპიგენეზის-ი**, კ. ვოლფის თეორია: ორგანიზმი ვითარდება თანდათან ჩანასახის თავდაპირველად ერთგვაროვანი ნივთიერებიდან (უარყოფილია).

**ეპიგონები** (მრავლ.), სახელოვან წინაპართა დაწყებული საქმის გამგრძელებელი უნიჭო შთამომავლობა; მიმბაძველნი.

**ეპიგრამა (-მმა)**, მოსწრებული დამცინველობითი სიტყვა მოკლე ლექსად. — **ეპიგრამისტ-ი**, ეპიგრამის შემთხზველი.

**ეპიგრაფ-ი**, გამოჩენილი მწერლის ან სხვისი აზრი,—წააწერება რაიმე თხზულებას დასაწყისში და გამოხატავს მის მთავარ აზრს. – **ეპიგრაფიკა**, ისტორიის დარგი,—იკვლევს წარწერებს.

**ეპიდემია**, გადამდები დ მომსრველი ავადობა, — ვრცელდება ფართოდ. — **ეპიდემიოლოგია**, მეცნიერება ეპიდემიის შესახებ.— **ეპიდემიური**. გადამდებ - მომსრველი.

**ეპიდერმა**, კანის ზედაფენი.

**ეპიზოდ-ი**, 1) შემთხვევითი ამბავი,—გარემოება; 2) მხატვრულ ნაწარმოებში ჩართული მოთხრობა; 3) ჩანართი მოტივი (მუსიკაში). **ეპიზოდური**, შემთხვევითი, მეორეხარისხოვანი, არაუწყვეტლივ გადმოცემული.

**ეპიზოოტია**, საქონლის გადამდებ-მომსრველი სენი, ნ. ეპიდემია.

**ეპითალამ-ი**, საქორწილო მისალოცი ლექსი.

**ეპითელი**, ორგანიზმის შიდაღრუების კანი.

**ეპითეტ-ი**, საგნის სახელწოდების მკაფიოდ მსაზღვრელი სიტყვა, მაგ. კ უ დ ა ბ ზ ი კ ა აზნაური.

**ეპიკა**, ეპიკური პოეზია, ნ. ეპოსი.

**ეპიკურეიზმ-ი**, ძვ. საბერძნეთის ფილოსოფოსის, ე პ ი კ უ რ-ის (III საუკ. ქ. წ.) მოძღვრება: ცხოვრების მიზანია სათნოებით მიღწეული სიამოვნებანი; საყოველდღეო სიტყვახმარებაში. ხორციელ სიამოვნებათა ძიება. — **ეპიკურელი** ან **ეპიკურისტ-ი**, 1) ეპიკურის მოძღვრების მიმდევარი; 2) ამქვეყნიური დატკბობის ცხოვრების მიზნად გამხდელი ადამიანი.

**ეპიკური**, 1) ეპოსისებრი (ნ. ეპოსი); 2) გმირული; 3) არავნებური, უვნებო, მშვიდობიან-ობიექტური. — **ეპიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებში** შინაარსი გადმოცემულია ავტორის აუღელვებლივ, მიუდგომლად, ობიექტურად.

**ეპილეფსია**, ბნედა (ნერვული ავადობა).—**ეპილეპტიკ-ი**, ბნედიანი, ბნედით შეპყრობილი.

**ეპილოგ-ი**, 1) ბოლოსიტყვაობა; 2) მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების ბოლო ნაწილი; დასასრული.

**ეპისკოპოს-ი**, მღვდელთმთავარი, ქრისტ. ეკლესიის სამღვდელოების უმაღლესი ხარისხი.

**ეპისტოლე**, წერილობითი მიმართვა, ბარათი. - **ეპისტოლარული** ან **ეპისტოლური**, წერილისებრი (ფორმა მიმართვისა, სალიტერატ. ნაწარმოებისა).

**ეპისტროფე-ი**, 1) ავადობის შებრუნება; 2) ბოლოკიდურის განმეორება; წინადადებათა რიგი, რომელშიც განმეორებულია ბოლოკიდურის სიტყვა.

**ეპიტალამა**, ნ. ეპითალამ-ი.

**ეპიტაფია**, წარწერა საფლავის ძეგლზე.

**ეპიტელი**, ნ. ეპითელი.

**ეპიტეტ-ი**, ნ. ეპითეტ-ი.

**ეპიტიმია**, მორწმუნეზე დადებული ეკლესიური სასჯელი (ხანგრძლივი ლოცვისა, მონანიებისა, მარხულობისა და სხვ. სახით).

**ეპიური**, ნ. ეპიკური და ეპოს-ი.

**ეპიფიტ-ი**, ღრტილისებრი წანაზარდი.—**ეპიფიტები** (მრავლ.), პარაზიტები ცოცხალ ორგანიზმზე.

**ეპიცენტრ-ი**, მიწისძვრის გამოსავალი წერტილის (სიღრმეში) შესატყვისი წერტილი დედამიწის ზედაპირზე.

**ეპოდ-ი**, გრძელ და მოკლე ტაეპებშენაცვლებული ლირიკული ლექსი.

**ეპოლეტები** (მრავლ.), სამხედრო სამხრე ნიშნები.

**ეპონიმ-ი**, სახელწოდების მიმცემი, მაგ. ათენში არქონტის სახელი ერქმეოდა მიმდინარე წელს.

**ეპოპეა**, 1) საგმირო მოთხრობითი ლექსი,—სიმღერა, უმეტესად—ღირსშესანიშნავი ზღაპრული ამბის შესახებ; 2) მნიშვნელოვანი დიდი ამბავი,—თავგადასავალი.

**ეპოს-ი**, 1) ეპოპეა (ნ. 1); 2) პოეზიის ერთი სამ დარგთაგანი,—ხასიათდება მნიშვნელოვანი შემთხვევის ობიექტურ-თხრობითად გადმოცემით (ორი დანარჩენია ლირიკა და დრამა); 3) ხალხური საგმირო თქმულებანი (ნ. ეპიკა, ეპიკური).

**ეპოქა**, ხანა: 1) დროის განსაზღვრული განმავლობა ისტორიაში; 2) ღირსშესანიშნავი შემთხვევა ხალხის ისტორიაში ან რაიმე დარგში; ე პ ო ქ ი ს შ ე ქ მ ნ ა—თავის თანამედროვე ხანის ღირსშესანიშნავად გახდა რაიმე გამოგონების, აღმოჩენის და სხვ. გზით.—**ეპოქალური**, შესანიშნავი.

**ერა**, დიდმნიშვნელოვანი მომენტი კაცობრიობის (ან ცალკეული ხალხის) ცხოვრებაში, საიდანაც იწყება ახალი წელთაღრიცხვა; ასეთია, მაგ. ქრისტიან ხალხთათვის ქრისტიანული წელთაღრიცხვა (ქრისტეს შობიდან); საბჭოთა კავშირში—პროლეტარული რევოლუციის

წელთაღრიცხვა (ოქტომბრის რევოლუციიდან).

**ერგ-ი,** ენერგიის ერთეული,—უდრის ძალას, რომელიც ასწევს ერთ მილიგრამს ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე.

**ერეთიზია** ან **ერეთიზმ-ი,** ავადმყოფური აგზნებულობა, გაღიზიანებულობა.

**ერეკცია,** ნ. ერექცია.

**ერეს-ი,** მწვალებლობა, სარწმუნოებისაგან განდგომილობა.— **ერეტიკოს-ი,** მწვალებელი, განდგომილი.—**ერესიარქ-ი,** მწვალებლობის მოთავე.

**ერეტიზ-,** ნ. ერეთიზ-.

**ერექცია,** სასქესო ორგანოების აგზნება.

**ერითროფობია,** გაწითლების შიში.—**ერითროციტები** (მრავლ.), სისხლის პატარა წითელი სხეულები.

**ერისტიკა,** კამათის ხერხი—მოკამათის დარწმუნების მიზნით.

**ერმიტაჟ-ი,** 1) განმარტოებული ადგილი, უდაბნო; 2) მდიდარი მუზეუმის სახელწოდება ლენინგრადში.

**ეროს-ი** ან **ეროტ-ი,** 1) ვნებური სიყვარული; ვნებური სიყვარულის ღვთაება (ძვ. საბერძნ.).— **ეროტიზმ-ი** ან **ეროტომანია** ვნებური სიყვარულის სიცოფე, სქესობრივი სიგიჟე.—**ეროტიკა,** 1) სიყვარულის ხელოვნება; 2) სასიყვარულო ლექსები.—**ეროტიკ-ი,** 1) ასეთის მწერალი 2) ვნებური სიყვარულით შეპყრობილი.

**ერუდიცია,** მრავალმცოდნეობა. დიდსწავლულობა.—**ერუდიტ-ი.** მრავალმცოდნე, დიდსწავლული.

**ერცჰერცოგ-ი,** იმპერატორის გვარეულობის წევრთა ტიტული ავსტრიაში.

**ესენცია** (ესს-), 1) შესქელებული ხსნარი; 2) აქროლებადი ეთერის ზეთი; 3) მთავარი შინაარსი, არსი.

**ესთეტ-ი,** გარეგნული სილამაზის მოყვარული.—**ესთეტიზმ-ი,** ასეთის მოყვარულობა.—**ესთეტიკა,** მეცნიერება სილამაზის და მშვენიერების კანონების შესახებ.—**ესთეტიკოს-ი,** 1) ესთეტი (ნ.), 2) ესთეტიკის საკითხების მკვლევარი.—**ესთეტიკური,** ლამაზი, მშვენიერი; ესთეტიკის მოთხოვნილებათა დამკმაყოფილებელი.

**ესკადრა,** საზღვაო ან საჰაერო ფლოტის ნაწილი—ერთი ხელმძღვანელის განკარგულებაში მყოფი.—**ესკადრილ-ი** (-ლლ-). პატარა საჰაერო ესკადრა.— **ესკადრონ-ი,** ცხენოსანთა ნაწილი (დაახლ. 120 ცხენოს.).

**ესკიზ-ი,** სახელდახელოდ ზოგადად (არა დეტალებში) შესრულებული ნაწარმოები (ხელოვნებაში).

ესკორტ-ი, ამალა, მხლებელი რაზმი,—ახლავს დიდკაცს ან სამხედრო ტრანსპორტს.

ესკულაპ-ი, 1) ძვ. რომაელთა მკურნალობის ღმერთი; 2) ექიმი (ხუმრულად).

ესპადრონ-ი, ჩლუნგი ხმალი,—იხმარება ფარიკაობის სწავლებისას.

ესპერანტო, ხელოვნური, საყოველთაო საერთაშორისო ხმარების მიზნით შედგენილი (ვარშაველი ექიმის ზ ა მ ე ნ ჰ ო ფ-ის მიერ 1887 წ.) ენა, ვრცელდება ბევრგან; ყველაზე ძლიერად—საბჭოთა კავშირში, სადაც 16 ათასზე მეტი წევრია ორგანიზაციულად ჩაბმული ესპერანტისტთა ორგანიზაციებში — ესპერანტისტ-ი, ესპერანტოს მცოდნე, მისი გავრცელების მომხრე.

ესტაკად-ი, 1) მდინარის ან ნავსადგურის დასაცველი ღობედი ხიმინჯებისა, ჯაჭვებისა და მისთანათაგან; 2) ნავსადგურიდან ქუჩის გადასავლელი ხიდი.

ესტამპ-ი, გრავიურა, გრავიურის ანაბეჭდი.—ესტამპაჟ-ი, ტვიფრვა, ამობეჭდვა; ტვიფრი.

ესტაფეტ-ი (-ტტ-ი), 1) საგანგებოდ გაგზავნილი საჩქარო ცნობა; 2) საზოგადოებრივი მუშაობის ერთერთი ფორმა სოციალისტურ ამშენებლობის ხანაში,—აძლიერებს შესრულების ტემპებს (ნ. კოლტესტაფეტი).

ესტეტ-, ნ. ესთეტ-.

ესტრაგონ-ი, ტარხუნა.

ესტრად-ი, 1) ამაღლებული ადგილი დარბაზში—მსახიობისთვის, ორატორისთვის და სხვ.; 2) ფიცარნაგი (ტექნიკაში).

ეტალონ-ი, 1) სანიმუშო საზომი ან სასწორი; 2) სანაშენო ულაყი.

ეტაპ-ი, 1) გასაჩერებელი ადგილი ჯარის ან პატიმართა გადაგზავნისას; 2) მანძილი ორ პუნქტს შუა; 3) გამოსავალი წერტილი; 4) განვითარების ან მოძრაობის ერთერთი საფეხური.

ეტაჟერკა, ეტაჟერ-ი, თაროებიანი საწიგნე შკაფი.

ეტაჟ-ი, სახლის სართული.

ეტიკ-, ნ. ეთიკ-.

ეტიკეტ-ი (-ტტ-ი), 1) საქონელზე დაკრული სავაჭრო დაღი; 2) ყოფაქცევის წესები სამეფო სასახლეში, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ეტილ-, ნ. ეთილ-.

ეტიმოლოგია, 1) სასკოლო გრამატიკაში (უმართებულოდ): ფონეტიკისა და მორფოლოგიის შემცველი ნაწილი გრამატიკისა; 2) ენათმეცნიერებაში: სწავლა სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობისა და განვითარების შესახებ.

ეტიოლოგია, მედიცინის დარგი: სნეულებათა მიზეზების კვლევა·

**ეტიუდ-ი**, 1) წინასწარი, სავარჯიშო ნახატი; 2) სახელოვნო ან სამეცნიერო ზოგად მოკლე სახით წარმოდგენილი ნაწარმოები.

**ეტნო-, ეტო-**, ნ. ეთნო-, ეთო-.

**ეფეკტ-ი**, ნ. ეფექტ-ი.

**ეფემერ-ი, ეფემერული**, 1) ერთდღიური, ერთდღიანი; 2) წუთიერი, წარმავალი, დღემოკლე; მოჩვენებითი.—**ეფემერადები** (მრავლ.), ერთდღიანი მწერები.

**ეფენდი**, საპატიო ტიტული ოსმალეთში.

**ეფეს-ი**, ხმლის ტარი.

**ეფექტ-ი** (ეფფ-), 1) მოქმედება, ზემოქმედება, გავლენა, შთაბეჭდილების მოხდენა; 2) შედეგი, წარმატება; 3) ერთ წამში წარმოებული მუშაობა.—**ეფექტური, ეფექტიანი**, შედეგიანი, წარმატებიანი, წარმატებული; საყურადღებო, ძლიერი.

**ეფრეიტორ-ი**, დაბალი სამხედრო წოდება რევოლუციამდე რუსეთში.

**ექვატორ-ი**, დედამიწის ბირთვის შუაზე (ჩრდილო და სამხრეთ ნახევარბირთვებად) გამყოფი წარმოსახვითი წრე.—**ექვატორიალ-ი**, საათის მექანიზმიანი ტელესკოპი.—**ექვატორული**, ექვატორის არეში მდებარე.

**ექვივალენტ-ი**, ტოლფასი, ტოლფასეული. — **ექვივალენტური**, ტოლმნიშვნელოვანი.

**ექვივოკაცია**, ორმნიშვნელოვნობა.

**ექვილიბრისტ-ი**, წონასწორობის დაცვის უნარიანი, ჯამბაზი.—**ექვილიბრისტიკა**, წონასწორობის შენარჩუნების ხელოვნება.

**ექიდნა**, 1) ძვ ბერძენთა მითოლოგიით: ნახევრად ქალწული და ნახევრად გველი არსება; 2) ძლარბი; 3) ბოროტი და მზაკვარი ადამიანი.

**ექინოკოკკ-ი**, ლენტისებრი ჭია პარაზიტი.

**ექო**, ბგერის გამოძახილი.

**ექს-** [ემატება წოდების სახელს და] აღნიშნავს „ყოფილი“, მაგ. **ექსკაიზერ-ი**, ყოფილი კაიზერი.

**ექსელბანდ-ი**, ნ. აქსელბანდი.

**ექსიკატორ-ი**, პრეპარატების გასაუწყლოებელი საშრობი ღუმელი.

**ექსკრემენტ-ი**, განავალი, სკორე.—**ექსკრეცია**, გამოყოფა, გამოდევნა.—**ექსკრეციული** ანუ **ექსკრეტორული** ორგანოები, ორგანიზმიდან მავნე პროდუქტების (შარდის, ოფლის...) გამომყოფი ორგანოები (თირკმლები, საოფლე ჯირკვლები...).

**ექსკურს-ი**, სამეცნიერო შრომაში შრომის რომელიმე ნაწილის დამატებითი ახსნა-განმარტება.—**ექსკურსია**, კოლექტიური მონახულება რაიმე ადგილის წარმოების და სხვ. სამეცნიერო სასწავლო მიზნით ან დასასვენებელი მოგზაურობა.—**ექსკურსანტ-ი**, ექსკურსიის მონაწილე-

**ექსორია**, სახელმწიფოდან დამნაშავის გაძევება, სხვაგან პატიმრად წარგზავნა (საბ.).

**ექსორციზმ-ი**, ცრურწმენა: შელოცვა, ეშმაკეულის განდევნა შელოცვით.—**ექსორცისტ-ი**, შემლოცველი.

**ექსპანსია**, გაფართოება, გავრცელება.–**ექსპანსივი**, **ექსპანსიური**, ჭარბმგრძნობიარე, ადვილაგზნებადი; თავშეუკავებელი— გრძნობის გამოხატვაში.

**ექსპატრიაცია**, სამშობლოს ნებაყოფლობით მიტოვება.

**ექსპედიტორ-ი**, ნ. ექსპედიცია.

**ექსპედიცია**, 1) გაგზავნა, მიწოდება; 2) ჯარის გაგზავნა დაპყრობის ან დასჯის მიზნით; 3) სამეცნიერო კვლევისთვის გამგზავრება; ასეთ გამგზავრებულთა შედგენილობა; 4) დაწესებულების განყოფილება, რომელიც განაგებს გაგზავნა-მიღებას, მაგ. წერილებისას, გაზეთებისას და სხვ...—**ექსპედიტორ-ი**, გამგზავნი, მიმწოდებელი.

**ექსპერიმენტ-ი**, მეცნიერული ცდა, მოვლენის გამოკვლევა ხელოვნურ პირობებში.—**ექსპერიმენტალური** ან **ექსპერიმენტული**, ექსპერიმენტზე დამყარებული. **ექსპერიმენტატორ-ი**, ცდის მწარმოებელი მეცნიერი მკვლევარი.

**ექსპერტ-ი**, საქმის ზედმიწევნით მცოდნე, სპეციალისტი, ზუსტად საკითხის გადაწყვეტისათვის მოწვეული.—**ექსპერტიზა**, 1) ზუსტად საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა ექსპერტის მიერ; 2) ექსპერტის დასკვნა.

**ექსპირაცია**, ამოსუნთქვა.—**ექსპირაციული**, ამოსუნთქვითი.

**ექსპლიკაცია**, ახსნა, გარკვევა.

**ექსპლოატაცია**, 1) გამოყენება, რითიმე სარგებლობა, სარგებლობის მიღება რაიმე საწარმოდან; 2) ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება-გამოყენება; 3) სხვისი შრომით სარგებლობა; კაპიტალისტის მიერ მითვისება ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც ქმნის დაქირავებული მუშა; 4) გაყვლეფა, დაჩაგვრა.—**ექსპლოატატორ-ი**, ექსპლოატაციის მქნელი, მყვლეფელი.

**ექსპოზიცია**, 1) გამოფენა, გაჩვენება; 2) განმარტება; 3) ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 4) ფოტოაპარატით გადასაღები საგნის დგნობის ხანგრძლიობა გადაღებისას.—**ექსპონატ-ი**, საგამოფენო საგანი.—**ექსპონენტ-ი**, ექსპონატების წარმდგენი ან გამგზავნელი.

**ექსპორტ-ი**, 1) გატანა საზღვარგარეთ; 2) გაზიდვით ვაჭრობა; 3) საზღვარგარეთ გატანილი საქონელი, მისი რაოდენობა და ღირებულობა.—**ექსპორტერ-ი**, გამტანი, გამზიდველი საზღვარგარეთ.

**ექსპრეს-ი** (-სს-ი), ჩქარი მატარებელი.—**ექსპრესსია**, გამომხატველობითი სიძლიერე, მონდომებულობა, ნამაქიანობა.—**ექსპრესიული**, ნამაქიანი, მკაფიეთი, მონდომებული.—**ექსპრესიონიზმ-ი**, წვრილ-ბურჟუაზიული მხატვრულ-ლიტერატურული მიმართულება, — ასახავს მშფოთვარე ცხოვრებას გაძლიერებული შინაარსის გზით.—**ექსპრესიონისტ-ი**. ამ მიმართულების მიმდევარი ხელოვანი.

**ექსპრომტ-ი**, უმზადლივ ნათქვამი მოკლე ლექსი; **ექსპრომტად**, უმზადლივ, მოულოდნელად.

**ექსპროპრიაცია**, 1) მესაკუთრის კერძო საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა; 2) წართმევა საკუთრებისა. — **ექსპროპრიატორ-ი**, კერძო საკუთრების იძულებით ჩამომრთმევი, წამრთმევი.

**ექსტაზ-ი**. უკიდურესი აგზნებულობა, აღფრთოვანების უმაღლესი საფეხური—თავდავიწყებამდე.

**ექსტენსია**, გაჭიმულობა, გაფართოება, გავრცელებულობა; სივრცე, მოცულობა.—**ექსტენსიური**, გაფართოებითი, მოცულობითი; **ექსტენსიური მეურნეობა**, გაფართოებითი (მაგ. სახნავ მიწისა) და არა გაუმჯობესებითი მეურნეობა (შეად. ინტენსიური).

**ექსტერიტორიალობა** (ექსტერრ-). 1) რომელიმე ტერიტორიის გარეშე ყოფნა; 2) დაუმორჩილებლობის უფლება იმ ქვეყნის კანონებისა, სადაც იმყოფება ვინმე. — **ექსტერიტორიალური**, ადგილობრივი კანონების დაუმორჩილებლობის უფლების მქონე.

**ექსტერნ-ი**, 1) გარედან მოსიარულე მოწაფე (არა პანსიონში მცხოვრები); 2) გარედან მოსული სკოლაში მოწმობაზე გამოსაცდელად.

**ექსტირპაცია** (ექსს-), ამოჭრა, ამოკვეთა; მოსპობა, ამოძირკვა.—**ექსტირპატორ-ი**, მიწის საფხვიერებელი იარაღი.

**ექსტრა-**, [ემატება სიტყვას თავში და] ნიშნავს „გარე-“, „ზედმეტად“, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი“.

**ექსტრავაგანტ-ი**. -ური. უცნაური. არაჩვეულებრივი.

**ექსტრაორდინარ-ი**, საგანგებო, არაჩვეულებრივი.—**ექსტრაორდინარი პროფესორი**, ჩვეულებრივ (ორდინარ) პროფესორზე ნაკლებჯამაგირიანი და უფრო დაბლა მდგომი პროფესორი.

**ექსტრაქტ-ი**, 1) შესქელებული ნაწური ან ნახადი; 2) წიგნის შინაარსის ან რაიმე აზრის მოკლედ გადმოცემა.—**ექსტრაქცია**, გამოწურვა, გამოხდა, გამოღება (საშოდან ნაყოფისა). ამოძრობა (კბილისა) და სხვ.—

ექსტრაპირება, ვაექსტრაპირებ, გამოვწური·ვ; გამოვხდი და სხვ

ექსცენტრიკ·ი, უცნაური ქცევის ადამიანი.—ექსცენტრიკული ან ექსცენტრული, არაჩვეულებრივი, უცნაური.

ექსცეს·ი (-სს-ი), 1) თავდაუჭერლობა. გ·დაჭარბებულობა, თავშეუკავებლობა; 2) უწესური საქციელი; 3) ზომასგადასულობა მაგარი სასმელების სმაში და სქესობრივ ურთიერთობაში.

ექტიპოგრაფია, ბრმათათვის ამოზურცვით ბეჭდვა.

ექტობლასტ-ი ანუ ექტოდერმ-ი, ჩანასახის უჯრედთა გარეფენი (ნ. ენტობლასტი).

ეშაფოტ-ი, სიკვდილით დასასჯელად მოწყობილი ფიცარნაგი.

ეშელონ·ი, 1) მოძრაობაში მყოფი ჯარის ნაწილი; 2) თითოეული სამხედრო მატარებელი ჯარის გადაყვანისას რკინისგზით.

ეხიდნა, ნ. ექიდნა.

ეხინოკოკკ-ი, ნ. ექინოკოკკ-ი.

ეხო, ნ. ექო.

# ვ

ვაბანკ-ი, 1) ბანქოს თამაშში: მთელი ბანკის მოთხოვნა; 2) სა ალალბედო, სახიფათო ნაბიჯის გადადგმა.

ვაგა, 1) ბერკეტი, 2) სასწორი, 3) ყანთარი, საყვავარი.

ვაგაბუნდ-ი. მოხეტიალე, მაწანწალა.

ვაგზალ-ი, 1) ევროპაში: გასართობი ბაღის დარბაზი, 2) საბჭოთა კავშირში: სარკინისგზო დარბაზი.

ვაგინა, საშო.—ვაგინალური ან ვაგინური, საშოებრი, საშოსი.—ვაგინიზმ-ი, საშოს ავადმყოფური მგრძნობიარობა.

ვაგონ-ი, მგზავრების ან საქონლის რკინისგზით გადასაზიდი ოთახისებრი სათავსი.—ვაგონეტ-ი, პატარა ვაგონი ვიწროლიანდაგიან რკინისგზაზე.

ვაგრანკა, ვაგრანი, ფერადი ლითონებისა და თუჯის სადნობი ღუმელი.

ვადემეკუმ, „იარე ჩემთან“: თანსატარებელი საცნობო წიგნი.

ვაზა, დასადგმელი ჭურჭელი, ჩვეულებრ·ც — მოხატულ-მოძერწილი,—არის სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულებისა, უმთავრესად — სამშვენებელი.

ვაზელინ-ი, ნავთის ცხიმი,— იხმარება მედიცინაში, ტექნიკაში და კოსმეტიკაში.

ვაზირ-ი, ნ. ვეზირი.

ვაკანსია, თავისუფალი (დაუკავებელი) ადგილი ან თანამდებობა

სასწავლებელში ან დაწესებულებაში.—**ვაკანტური, ვაკანტ-ი,** თავისუფ ლი, დაუკავებელი.
**ვაკაცია, ვაკაციები,** არდადეგები, კანიკულები (ნ.).
**ვაკხ-ი,** ნ. ბაკხ-ი.
**ვაკუუმ-ი,** ცალიერი, ჰაერგაცლილი სივრცე.—**ვაკუუმ-აპარატ-ი,** სითხეთა ასაორთქლებელი ხელსაწყო.—**ვაკუუმეტრ-ი,** აირთა გაუხშოების საზომი იარაღი.
**ვაკც-,** ნ. ვაქც-.
**ვაკხ-,** ნ. ბაქ-.
**ვალდშნეპ-ი,** ტყისქათამა.
**ვალდჰორნ-ი,** თითბრის ბუკისებრი ჩასაბერი სამუსიკო იარაღი.—**ვალდჰორნისტ-ი,** ვალდჰორნზე დამკვრელი ნებული მუსიკოსი.
**ვალენტობა, ვალენტოვნობა,** ნ. ატომი, ატომურობა.
**ვალერიანა,** კატაბალახა, კატაპიტნა: მრავალწლოვანი ბალახი მცენარე, — მისაგან მზადდება ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ს წ ვ ე თ ე ბ ი —დამამშვიდებელი წამალი.
**ვალეტ-ი,** უმცროსი ფიგურა ბანქოში.
**ვალვაცია,** უცხოური ფულის ღირებულებ ს განსაზღვრა სახელმწიფო ფულის ერთეულის საფუძველზე.
**ვალი,** ვილ იეტის მმართველი მოხელე ოსმალეთში.
**ვალიუტა,** ნ. ვ ლუტა.
**ვალპურგის ღამე,** ავსულების შეკრება 30 აპრილის ღამესჰარცის ერთერთ მწვერვალზე (გერმან. ცრუმორწმუნეობა),—წარმოადგენს ქრისტიანული დღესასწაულის (წმ. ვ ლპურგის დღის) შერევას ძველ წარმართულ საგაზაფხულო დღესასწაულთან.
**ვალს-ი,** 1) ფრიად გავრცელებული ევროპული ცეკვა; ცეკვავენ წყვილწყვილად; 2) საცეკვაო და საკონცერტო მუსიკალური ნაწარმოები.
**ვალტორნ-ი,** ნ. ვალდჰორნი.
**ვალტრაპ-ი,** ასალი, ხელა თექალთო, უნაგირის სასამკაულო გადასაფარებელი.
**ვალუტა,** 1) ფულის ერთეული სახელმწიფოში; 2) ხმარებაში მყოფი ფული მ ლიანად (მაგ. საბჭოური ვალუტა, ინგლისური ვალუტა და სხვ.); 3) ფულის სისტემის ხასიათი (ოქროს ან ვერცხლის ვალუტა და სხვ.); 4) თამასუქში აღნიშნული თანხა.
**ვამპირ-ი,** 1) ხალხური ცრურწმენით: საფლავიდან ამოსული სისხლის მწოველი; 2) **ვამპირები** (მრავლ.), ღამურის ჯიში სამხრ. ამერიკაში: ზოგიერთი სახე სი ხლისმწოველთა.
**ვანა (ვანნა),** აბაზანა; **ვანას ვიღებ,** აბაზანაში ტანსვიბან.
**ვანდალ-ი,** ველური, კულტურული ღ რებულების უაზროდ გამნადგურებელი (ვანდალებ.)—

გერმ. ტომის ხალხი V საუკ.).
—**ვანდალიზმ-ი**, ვანდალობა, ღირებულებათა უაზრო განადგურება.

**ვანდეა**, კონტრრევოლუციური ამბოხება ამა თუ იმ კუთხეში (საფრანგ. დეპარტ. სახელია, სადაც დიდი რევოლუციის დროს მოხდა ამბოხება კონვენტის (ნ.) წინააღმდეგ სამღვდელოებისა და მემამულეთა მეთაურობით).

**ვანდემიერ-ი**, საფრანგ. სარევოლუციო კალენდრის პირველი თვე (23 სექტ-დან).

**ვანდრუთები** (მრავლ.), ხის ძელები კედლის შესამაგრებლად მაღაროში, ბოძკინტები, ბოძანდრები.

**ვანილ-ი** (-ლლ-ი), ბაი: მხვიარე ტროპიკული მცენარე,—მისი უმწიფარი ნაყოფისაგან მზადდება სურნელოვანი საშუალებანი.

**ვანტები** (მრავლ.), ანძის სამაგრი ბაგირები იალქნიან ხომალდებზე.

**ვანტოზ-ი**, საფრანგ. სარევოლუციო კალენდრის მეექვსე თვე (19 თებერვლიდან).

**ვანტუზ-ი**, 1) ტექნიკაში: ავტომატური ჰაერმშვები წყალსადენი მილებისა; 2) მედიცინაში: სისხლმწოვი კოტოში.

**ვარიაგები** (მრავლ.), სკანდინავიელი მეომრები და ვაჭრები ძველ რუსეთში, 10—12 საუკ.).

**ვარიანტ-ი**, 1) სხვაგვარი დამუშავება ერთდაიმავე თემისა მხატვრულ ლიტერატურაში; 2) ტექსტის სხვაობა, ერთდაიმავე ტექსტის სხვა სახე; 3) სხვაგვარი შესრულება მოცემულობისა.

**ვარიაცია**, ცვლილება, სახესხვაობა: 1) განსხვავებულობა ორგანიზმის აგებულობისაგან ერთი სახის ფარგლებში; 2) მუსიკალური თემის სახეცვლილება.—**ვარიირება**, **ვავარიირებ**, სახესვუცვლი, ვასხვაფერებ.—**ვარიირებული**, სახეცვლილი, გადასხვაფერებული.

**ვარიეტე**, მსუბუქი სათეატრო სანახაობა მრავალფეროვანი შინაარსისა (სიმღერა, ცეკვა, დეკლამაცია...).

**ვარიოლა**, ყვავილი (სნეულება).—**ვარიოლოიდი**, მსუბუქი ყვავილი.—**ვარიოლაცია**, ძველებური აცრა (აკრძალულია 19 საუკ. დამდეგიდან და შეცვლილია ვაქცინაციით, ნ. ეს).

**ვასალ-ი** (ვასს-), ფეოდალურ საზოგადოებაში: უფროსის (სენიორის) სამსახურში და მის მფარველობაში მყოფი პირი; მას ევალებოდა ერთგულება და სამსახური სენიორისა ომის დროს; სენიორი უზრუნველყოფდა მას მატერიალურად, უმეტესად —მიწით. — **ვასალური**, დამოკიდებული, შეზღუდუ-

ლი, მაგ. ვასალური სახელმწიფო, უზენაეს უფლებებში სხვა სახელმწიფოს მიერ შეზღუდული სახელმწიფო.

**ვახერმან-ის რეაქცია**, სისხლის გამოკვლევის საშუალება—ათაშანგის გამოსაცნობად (ვ ა ს ე რ მ ა ნ-ი—გერმანელი ბაქტერიოლოგი).

**ვატერკლოზეტ-ი**, კარგად მოწყობილი ფეხსალაგი.

**ვატერპას-ი**, თარაზო, ჰორიზონტული მიმართულების გამომრკვევი ხელსაწყო.

**ვატიკანი**, 1) პაპის სასახლე; 2) ერთერთი ბორცვი რომში; 3) პაპის ხელისუფლება.

**ვატმან-ი (ვატტ-)**, ტრამვაის მმართველი, მეტრამვაე.

**ვაფლ-ი (ვაფფ-)**, ტკბილი ნამცხვარი,—უჯრედებიანი ლავაში.

**ვაქს-ი**, ზუმბური, ფეხსაცმელის საცხებელი.

**ვაქცინ-ი**, გადამდებ სნეულებათა (მაგ. ყვავილისა, ტიფისა) ასაცრელი ჩირქი.—**ვაქცინაცია**, აცრა — სნეულებისაგან დაცვის მიზნით; **ვაქცინოთერაპია**, აცრა - დამართებული სნეულების მკურნალობის მიზნით.

**ვახმისტრ-ი**, 1) დაბალი სამხედრო თანამდებობა ცხენოსანთა რაზმში; 2) ყარაულის უფროსი ჯერგასისთავი.

**ვახტა**, 1) გუშაგი გემზე; 2) გუშაგთცვლა.—**ვახტერ-ი**, 1) უფროსი დარაჯი დაწესებულებაში; 2) ზემდეგი სამნეო ნაწილში.

**ვეგეტარიან-ი**, მცენარეული საჭმლის მჭამელი, ვინც მხოლოდ მცენარეულით იკვებება და უარყოფს ხორცისმჭამელობას.—**ვეგეტარიანობა, ვეგეტარიანიზმ-ი**, მცენარეულით საზრდოობა, ხორცჭამის უარმყოფელობა, ასეთი მოძღვრება.

**ვეგეტაცია**, მცენარება, მცენარეული ზრდა, ცოცხალყოფნა, მცენარეთა სიცოცხლის ძალა.—**ვეგეტატიური ან ვეგეტაციური**, მცენარებითი, მცენარებრივი, ზრდითი, ცოცხალყოფითი.—**ვეგეტაციური გამრავლება**, მცენარებრივი, უსქესობრივი გამრავლება.—**ვეგეტაციური ან სავეგეტაციო ორგანოები**, საკვებ-საზრდელი ორგანოები, მცენარეული სასიცოცხლო ორგანოები, — უპირისპირდება ანიმალურს (ნ. ეს).

**ვედაიზმ-ი, ვედიზმ-ი**, ინდოეთის უძველესი რელიგია, რომლის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ბრაჰმანიზმი (ნ. ეს).

**ვეზიკულარული ან ვეზიკულური ხუნთქვა**, ბგერითი მოვლენები ჩვეულებრივ (ნორმალური) სუნთქვისას.

**ვეზირ-ი**, მინისტრი (მაჰმადიანურ ქვეყნებში).

**ვეკს-, ვეკტ-**, ნ. **ვექს-, ვექტ-**.

**ველბოტ-ი**, გრძელი და ვიწრო სწრაფმავალი ნავი, — იხმარება სამხედრო ხომალდზე.

**ველენ-ი**, მაღალხარისხის პერგამენტი, უმეტესად—ხბოსტყავისა.—**ველენის ანუ ველენიხებრი ქაღალდი**, ველენის მსგავსი გლუ და მკვრივი ქაღალდი.

**ველვეტ-ი, ველვეტინ-ი**, ბამბის ხავერდი: გრძელხაოიანი ქსოვილი, კეთდება ეგვიპტური ბამბისაგან (მას ეძახიან აგრეთვე მანჩესტერს).

**ველოდრომ-ი**, ველოშეჯიბრების მოედანი ოვალური ფორმისა, დაქანებულია კიდეებიდან შიგნით მოსაბრუნებელ ადგილებზე.

**ველოსიპედ-ი**, ორ (ან სამ) თვლიანი შესაჯდომი, რომელიც მიჰყავს ზედმჯდომს ფეხების სათანადო მოძრაობით.—**ველოსიპედისტ-ი**, მეველოსიპედე, ველოსიპედით მავალი, მაზე სვლაში დახელოვნებული.

**ველფები**, ნ. გველფები.

**ვენა, ვენები**, სისხლძარღვები: მათ მიაქვთ სისხლი გულისაკენ.

**ვენერა**, 1) გაზაფხულის ქალღმერთი, შემდეგ—სიყვარულისა (ძვ. რომაელთა მითოლოგიით); 2) ვენერას ქანდაკებანი: **მილოსელი ვენერა, მედიცეის ანუ მედიჩთა ვენერა**; 3) ცთომილთა (პლანეტთა) შორის ყველაზე კაშკაშა ცთომილი.

**ვენერული ავადმყოფობანი**, სასქესო ორგანოების ავადობანი: ათაშანგი, სუსუნატი და რბილი შანკრი.—**ვენეროლოგია**, მედიცინის დარგი, იკვლევს ვენერულ ავადმყოფობათა დამართების მიზეზებს და მათ განკურნების საშუალებებს.—**ვენეროლოგ-ი**, ვენეროლოგიის სპეციალისტი.

**ვენესექცია**, ვენის (ძარღვის) გახსნა.

**ვენზელ-ი**, ხვეულწერილი ასოები. ჩვეულებრივ – ინიციალები.

**ვენოზური სისხლი**, ვენებით გულისაკენ წაღებული სისხლი.

**ვენტილ-ი**, 1) ხრახნსაცობი. (წყალ-, ორთქლ- ან გაზ-) სადენის საკეტი სარქველი; 2) თითბრის შთასაბერი სამუსიკო იარაღის მოწყობილობა. — **ვენტილატორ-ი**, ჰაერსაწმენდი, სანიავებელი მოწყობილობა. — **ვენტილაცია**, 1) წამხდარი ჰაერის შეცვლა სუფთათი დახშულ ადგილას (ბინაში, მაღაროში...), 2) ჰაერსაწმენდი მოწყობილობა.—**ვენტილირება, ვავენტილირებ**, ჰაერს ვსწმენდ, ვანიავებ.

**ვენტრალური**, მუცლისა, მუცელზე მდებარე.

**ვერანდა**, აივანი; ფანჩატური.

**ვერბალური**, 1) სიტყვიერი, ზეპირი (არათვალსაჩინო, არაცდითი); 2) ზმნობრივი, ზმნური.—

**ვერბალიზებული ქცევა**, ფსიქოლოგიაში: სიტყვიერი სტიმულებით გამოწვეული რეაქციები — სხეულის ჩვევათა მეტყველური ჩვევებით შენაცვლების საფუძველზე.

**ვერდიქტ-ი**, განაჩენი ნაფიც მსაჯულთა სისხლისსამართლის საქმეში, — ადასტურებს ან უარყოფს დანაშაულობის ფაქტს (საბჭოთა სამართალი ვერდიქტს არ ცნობს).

**ვერმიშელ-ი**, წვრილ-წვრილი მაკარონი.

**ვერნისაჟ-ი (-სხაჟ-ი)**, 1) გალაქვა; 2) გამოფენის გახსნის წინადღე — საპატიო სტუმრებისთვის.

**ვერსალ-ი**, ქალაქი საფრანგეთში პარიზის ახლო (18 კმ.), მეფეთა ადგილსამყოფელი, — ცნობილია პარკებით, სასახლეებით და სხვ. — **ვერსალელები** (მრავ.), პარიზის კომუნის დროს: 1) საფრანგეთის კონტრრევოლუცია, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ვერსალი (აქ იყვნენ გამოქცეულნი მთავრობა, ბიუროკრატია და არმია); 2) რევოლუციური პარიზის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარი, „ვერსალის არმია". — **ვერსალის ხაზავიდობო** ხელშეკრულება, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასრულების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს მოკავშირეებმა და გერმანიამ, — შემუშავდა გერმანიის უმონაწილეოდ; მისი ძალით გერმანიას შეუმცირდა ტერიტორია, სამხედრო ძალები და დაედო მძიმე კონტრიბუცია.

**ვერსია**, 1) ნასხვაური: რაიმე ფაქტის (ცნობის, ნაწარმოების, ამბის) მეორეგვარი გადმოცემა ან დალაგება; 2) ზმნის ქცევა (მაგ. ქართულში).

**ვერსიფიკაცია**, ლექსთწყობა. — **ვერსიფიკატორ-ი**, 1) მოლექსე. 2) ცუდი მოლექსე.

**ვერტიკალ-ი**, 1) შვეული წრფე; 2) ანუ **ვერტიკალური**, შვეული. — **ვერტიკალური კუთხეები**. პირისპირა კუთხეები.

**ვერფ-ი**, ნავსაშენი: ადგილი ზღვის ან მდინარის ნაპირას სანავმშენებლო მასალითა და სახელოსნოთურთ.

**ვერშოკ-ი**, წინანდელი სიგრძის საზომი რუსეთში (44,5 მლმ.), გოჯი.

**ვესტ-**, დასავლეთის, დასავლეთ-: **ვესტ-ი**, დასავლური ქარი.

**ვესტა**, ძვ. რომაელთა ღვთაება ცეცხლისა და კერასი. — **ვესტალ-ი**, **ვესტალები** (მრავლ.), ვესტას მსახური და მის ტაძარში უქრობი ცეცხლის დამცველი ქურუმი ქალწულები.

**ვესტიბულ-ი**, დიდ შენობებში: შესავლის მიმდევნო დერეფანი.

**ვესტმინსტერ-ი,** 1) ლონდონის ნაწილი,—ვესტმინსტერის სასახლე, სადაც იმყოფება 2) ინგლისის პარლამენტი.

**ვეტერან-ი,** 1) ხანგრძლივ ნაჯარისკაცალი; 2) დამსახურებული მუშაკი, – მოღვაწე.

**ვეტერინარ-ი,** ბეითალი, ცხოველთმკურნალი.—**ვეტერინარია,** ბეითლობა, ცხოველთმკურნალობა (მეცნიერება).

**ვეტო,** ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალში: უზენაესი ორგანოს (მონარქის ან პრეზიდენტის) უფლება უარყოს სხვა (მაგ. საკანონმდებლო) ორგანოს დადგენილება. საბჭოთა კონსტიტუცია არ სცნობს ვეტოს.

**ვექსილ-ი,** თამასუქი: გარკვეულ ვადაზე განსაზღვრული თანხის გადახდის წერილობითი ვალდებულება.

**ვიადუკ-ი,** 1) სარკინიგზო ან ჩვეულებრივი გზის გადამყვანი ნაგებობა სხვა სახმელეთო გზის ზემოდან; 2) ხიდისებრი ნაგებობა ფართო ხრამზე, ღელეზე და სხვ.

**ვიატიკუმ-ი,** სამუშაოს მაძებარ პროფესიონალურ კავშირის წევრთა საგზაო ხარჯება (დასავლ. ევრ.).

**ვიბრაცია,** თრთოლა, სხეულის რხევითი მოძრაობა. — **ვიბრირობა, ვიბრირობს,** თრთის, ირხევა. — **ვიბრატორ-ი,** 1) მთრთოლი; 2) რხევათა მიმღები და გამშვები მოწყობილობა (მაგ. უმავთულო ტელეგრაფში).

**ვიბრიონ-ი,** მოღუნულ ჯოხისებრი ბაქტერია.

**ვიგები** (მრავლ.), ინგლისის პოლიტიკური პარტია (17 საუკ.),— ეყრდნობოდა გაბურჟუებულ არისტოკრატიას და ვაჭრებს.

**ვივისექცია,** ცოცხალკვეთა: ცოცხალი ორგანიზმის განკვეთა სამეცნიერო მიზნით.

**ვიზა,** აღნიშვნა საბუთზე იმისა, რომ იგი წარდგენილია სათანადოდ და რიგზეა; 2) საზღვარგარეთის პასპორტის შემოწმება; ასეთი შემოწმებული.

**ვიზავი,** პირისპირ, ჯიქურ.

**ვიზიონერ-ი,** სულთამხილველი, მოჩვენებათა მხილველი (ნამდვილად კი—ჰალუცინაციით დავადებული).

**ვიზირ-ი,** სამიზნებელი კორა.

**ვიზიტ-ი,** დარბაზობა; მონახულება, ავადმყოფის ნახვა ექიმის მიერ. – **ვიზიტაცია,** 1) დაწესებულების დათვალიერება; 2) სამხედრო გემის უფლება სავაჭრო გემების დათვალიერებისა ზღვაში; 3) ექიმისმიერ ავადმყოფების ჩამოვლა საავადმყოფში.—**ვიზიტერ-ი,** მნახველი, მოდარბაზე.

**ვიზუალური,** მხედველობითი.

**ვიკარი**, ქორეპისკოპოსი, ეპისკოპოსის მოადგილე.

**ვიკინგები** (მრავლ.), სკანდინავიელი ვაჭარ-მეომრები, აგრეთვე მათი მეთაურნი,—სკანდინავიის ქვეყნებიდან ნავებით გამოსულნი შემოდიოდენ მდინარეებით დას.-ევროპაში და ეწეოდენ როგორც ვაჭრობას, ისე ძარცვას (8—11 საუკ.).

**ვიკონტ-ი**, აზნაური დას.-ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

**ვიკტ-**, ნ. ვიქტ-.

**ვილა** (**ვილლა**), 1) ძველად: სამოსახლო ეზოგარემო; 2) შემდეგ: ქალაქგარეთი სადიდკაცო აგარაკი.—**ვილან-ი**, **ვილანები**, ყმა გლეხები დასავლ.-ევროპაში (საშ. საუკ.).

**ვილაიეტ-ი**, 1) პროვინცია ოსმალეთში, სადაშო; 2) მაზრა ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკაში.

**ვიმპელ-ი**, ბოლოგაორებული ალამი სამხედრო გემის ანძაზე.

**ვინეგრეტ-ი** (**-ტტ-ი**), 1) ცხრაწვენა: ცივი საჭმელი—ქართოფილისა, კიტრისა, ჭარხლისა და მისთანათაგან შემზადებული; 2) უხეიროდ არეულ-დარეული რამ.

**ვინიეტკა**, **ვინეტ-ი**, ვაზურა: წიგნის სათაურის სურათი—დასაწყისში ან ბოლოში.

**ვინკელ-ი**, საკუთხი (სადურგლო იარაღი).

**ვინტ-ი**, 1) ხრახნი: გარშემოჭდეული ღერო (ლითონის ან ხის), 2) ბანქოს ერთგვარი თამაში.—**ვინტოვკა**, შაშხანა, ლულაჭდეული თოფი.

**ვიოლინო**, ოთხსიმიანი საკრავი (რუს. სკრიპკა).—**ვიოლონჩელ-ი**, პროპორციულად გადიდებული ვიოლინო.—**ვიოლონჩელისტ-ი**, ვიოლინოზე დამკვრელი.

**ვირაჟ-ი**, 1) ერთგვარი ხსნარი საფოტოგრაფიო საქმეში, 2) აეროპლანის მობრუნება. მრუდი ხაზით ფრენა.

**ვირტუოზი**, ვინც ზედმიწევნით დაძლია თავისი ხელოვნება; საუკეთესო შემსრულებელი (განსაკუთრებით მუსიკაში).

**ვირულენტური**, **ვირულენტ-ი**, შხამიანი.—**ვირულენტობა**, სასენო მიკრობების შხამწარმოქმნის ძალა.

**ვისკი**, ინგლისური არაყი.

**ვისკოზა**, ერთგვარი მასალა,—იხმარება ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად.—**ვისკოზური**, მწებვარე.

**ვისმუტ-ი**, ნ. ბისმუთი.

**ვისტ-ი**, ერთგვარი ბანქოს თამაში.

**ვისცერალური**, **ვისცერული**, ცხოველისა და ადამიანის შიდაორგანოული, მაგ. **ვისცერული ნერვული სისტემა**, შიგნეულობის მაინერვირებელი ნერვული სისტემა (ნ. ინერვაცია).

**ვიტალიზმ-ი,** იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, ხსნის სიცოცხლეს ისეთი განსაკუთრებული „სასიცოცხლო ძალების“ მოქმედებით, რომლებიც განსხვავებულია ძირითადი მატერიალური ძალებისაგან და რომლებსაც აქვთ აბსოლუტური ავტონომიურობა.—**ვიტალისტ-ი,** ვიტალიზმის მიმდევარი.

**ვიტამინები** (მრავლ.), სასიცოცხლო პროცესებისათვის აუცილებელი ნივთიერებები, ურომლისოდაც ორგანიზმში ჩნდება მრავალგვარი ავადმყოფური მოვლენები, — არის ბუნებრივ საკმელებში.

**ვიტრინა,** 1) საგამოფენო მომინული ადგილი მაღაზიაში; 2) მინის სახურავიანი ყუთი ან შკაფი.—**ვიტრიფიკაცია,** გამინება, მინად გადამუშავება.—**ვიტრო,** მინაზე მხატვრობა, სახიანი ფანჯრები.

**ვიქტორია,** ბაღის მარწყვი.

**ვიშკა,** 1) სხვენის კოშკი (სახლზე); 2) კოშკური, სანავთე კოშკი.

**ვიცე-,** [ემატება მაღალი თანამდებობის სახელს თავში და] ნიშნავს: თანაშემწე, მოადგილე, მაგ.: **ვიცეპრეზიდენტ-ი, ვიცედირექტორ-ი,** და სხვ.

**ვოდევილ-ი** სათეატრო, პატარა პიესა მსუბუქი სახუმარო შინაარსისა.—**ვოდევილისტ-ი,** ვოდევილების მწერალი.

**ვოიაჟერ-ი,** სავაჭრო ან სამრეწველო ფირმის მისვლა-მოსვლაში მყოფი და დამკვეთების მიმღები წარმომადგენელი.

**ვოკაბულარი,** ლექსიკონი.—**ვოკაბულისტ-ი,** ლექსიკონის ავტორი.

**ვოკალიზაცია,** 1) ხმოვნის სიმღერით წარმოთქმა, ხმოვანზე მღერა; 2) სტენოგრაფიაში: ხმოვნების გამოშვება და მათი გამოსახვა თანხმოვანთა ნიშნების შეცვლით; 3) თანხმოვნურ დამწერლობაში (მაგ. ებრაულში, არაბულში) ხმოვნების აღნიშვნა; 4) გახმოვნება.—**ვოკალიზმ-ი,** ხმოვანთა სისტემა.—**ვოკალისტ-ი,** მომღერალი.—**ვოკალურ-ი,** სასიმღერო, ხმით შესასრულებელი.

**ვოკზალ-ი,** ნ. ვაგზალ-ი.

**ვოლაპიუკ-ი,** მსოფლიო ხელოვნური ენის სახელწოდება (შედგენ. გერმანიაში 1879 წ.),—საკმაოდ გავრცელდა; გააძევა ესპერანტომ (ნ. ეს).

**ვოლონტერ-ი,** მოხალისე, თავისნებით (ძალდაუტანებლივ) რისამე ამსრულებელი, მაგ. მოხალისე ჯარისკაცი.

**ვოლტ-ი,** 1) ელექტროძაბვის საზომი ერთეული (ვ ო ლ ტ ა —იტალიელი ფიზიკოსია. 1745 — 1827). — **ვოლტაჟ-ი.**

ელექტროძაბვა.—**ვოლტამეტრი**, ელექტრობის რაოდენობის გამსაზღვრელი მოწყობილობა. 2) **ვოლტ-ი**, ცხენის წრე (უცბად მობრუნება ცხენისა მანეჟში, ნ. ეს).—**ვოლტიჟერ-ი**, კარგი ცხენოსანი; მუშაითი, ჯამბაზი. **ვოლტიჟირობა, ვვოლტიჟირობ**, ცხენზე ვჯირითობ, ვმუშაითობ.

**ვოლუნტარიზმ-ი.** 1) ფილოსოფიური (მეტაფიზიკური): სამყაროს რეალობისა და ნებისყოფის იგივეობა; ყოველივე არსებულის საფუძვლად ნებისყოფის მიჩნევა; 2) ფსიქოლოგიაში: სულიერ მოძრაობათა საფუძვლად ნებისყოფის მიჩნევა. **ვოლუნტარისტ-ი**, ვოლუნტარიზმის მიმდევარი.

**ვოტუმ-ი**, 2) კენჭისყრით მიცემული ხმა; 2) კენჭისყრით გამოთქმული სურვილი ამათუიმ კოლექტივისა; 3) კენჭისყრის შედეგი.

**ვუალ-ი**, პირბადე, რიდე.

**ვულგარული**, მდაბიო, ტლანქი, უწმაწური.—**ვულგარიზაცია**, 1) უწმაწური ან ტლანქი სახით რისამე წარმოდგენა; 2) რაიმე აზრის ჭარბად გამდაბიურება, დამახინჯება.— **ვულგარიზირება, ვავულგარიზირებ**, ვაუწმაწურებ, ვამდაბიურებ. — **ვულგარიზმ-ი**, 1) სიტლანქე, უწმაწურობა; მდაბიურობა; 2) ხალხური, მდაბიური სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აქამდე გაბატონებული ტრადიცით დაუშვებელია სალიტერატურო ენაში,—წარმოადგენს საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის გამომჟღავნებას ენაში.

**ვულვა**, საშო, დედაკაცის სასქესო ორგანოს გარენაწილები.

**ვულკან-ი**, ცეცხლმფრქვევი მთა. **ვულკანიზაცია**, კაუჩუკის დამუშავება, უმთავრესად გოგირდით და გაცხელების გზით— დრეკადობისა და სიმტკიცის მინიჭების მიზნით.—**ვულკანიზირება, ვავულკანიზირებ**, ვამუშავებ კაუჩუკს ამგვარად. — **ვულკანიზირებული**, ამგვარად დამუშავებული. — **ვულკანიზმ-ი**, 1) ძველი გეოლოგიური თეორია (19 საუკ. დასაწყისამდე), რომლის თანახმადაც ვულკანებს ეძლეოდა დიდი მნიშვნელობა დედამიწის განვითარებაში, და მას მიეწერებოდა მთების წარმოქმნა. **ვულკანისტ-ი**, ამ თეორიის მიმდევარი; 2) დედამიწის ბირთვის შინაგან ძალთა ერთერთი გამომჟღავნება.

**ვუნდერკინდ-ი.** საკვირველი ბავშვი: არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ან დროზე ადრე არაჩვეულებრივად განვითარებული ბავშვი,—იტყვიან ზოგჯერ დაცინვითაც.

# ზ

**ზალა**, დარბაზი, დიდი ოთახი ბინაში ან დაწესებულებაში — ატუმრების მისაღები, საკრებო ან საწარმოდგენო.

**ზალპ-ი**, წაშენა, თოფებითა და ზარბაზნებით ერთბაშად გასროლა.

**ზამშ-ი**, ნატა: ცხიმებით დამუშავებული მსუბუქი და ნაზი ტყავი (ირმის, თხის...).

**ზებრა**, ვირცხენა: ცხენის ჯიშის ვარეული ცხოველი (აფრიკაში), რომელსაც მთელი კანი დაფარული აქვს ზოლებით.

**ზებუ**, კუზიანი ხარი აფრიკასა და სამხრ. აზიაში.

**ზევს-ი**, ძველ ბერძენთა უხენაესი ღვთაება.

**ზელტერს-ის წყალი**, მინერალური წყალი სოფ. ზ ე ლ ტ ე რ ს-იდან (პრუსიაში). — მზადდება ხელოვნურადაც.

**ზენიტ-ი, ზენით-ი**, ცის სფეროს უმაღლესი წერტილი.

**ზეფირ-ი**, 1) დასავლეთის ქარი, 2) თბილი ნიავი; 3) ბამბის თხელი ქსოვილი.

**ზიგზაგ-ი**, მტვრეული ხაზი, იკანკელი.

**ზლოტ-ი**, პოლონური ფული, ედრის ფრანკს.

**ზოდიაკ-ი, ზოდიაქო**, ცის სარტყელი, რომელზედაც მოძრაობენ მზე, მთვარე და ცთომილები: მზის მოქცევა.

**ზონა**, სარტყელი. 1) დედამიწის სარტყელი—ექვატორის პარალელური; 2) მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო ხაზთან მდებარე ადგილი.

**ზონდ-ი**, 1) ადამიანის ორგანიზმის ღრუების საკვლევი იარაღი; 2) არტეზიული ჭის საკვლევსაბურღი. — **ზონდირება** ან **ზონდვა**: ვზონდავ, წინასწარ მოვიკვლევ, გავსინჯავ, მოვცდიცავ.

**ზონტ-ი, ზონტიკ-ი**, ქოლგა.

**ზოო-**, [ემატება სიტყვას თავში და] ნიშნავს „ცხოველის", „ცხოველთ(ა)", მაგ. **ზოოგრაფია**, ცხოველთაღწერა, **ზოოფსიქოლოგია**, ცხოველთფსიქოლოგია და სხვ.

**ზოობიოლოგია**, ცხოველთბიოლოგია.

**ზოოგეოგრაფია**, მეცნიერება ცხოველთა განაწილების შესახებ დედამიწაზე, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა ადგილის გეოლოგიურ, კლიმატიურ, მცენარეულობის და სხვათა შესწავლას.

**ზოოთერაპია,** ცხოველთმკურნალობა.

**ზოოლატრია,** ცხოველთგაღმერთება,—თაყვანისცემა.

**ზოოლოგია,** მეცნიერება ცხოველთა შესახებ. — შედგება მრავალი დარგისაგან და იკვლევს: ცხოველთა სახეებს, მათ აგებულობას, მათი ფორმების წარმოშობას, განვითარებას ჩანასახიდან დაწყებული, მათ სასიცოცხლო პროცესებს, მათ დამოკიდებულებას გარემოსთან (კვებას, გამრავლებას), მათ განაწილებას დედამიწაზე და მათ ქცევას.—**ზოოლოგ-ი,** ზოოლოგიაში მომუშავე სპეციალისტი.

**ზოომორფიზმ-ი,** ღმერთის წარმოდგენა ცხოველის სახით.

**ზოონოზები** (მრავლ.), 1) ცხოველთსნეულებანი; 2) ადამიანზე გადამდები ცხოველთსნეულებანი.—**ზოონოზოლოგია,** ცხოველთსნეულების მკურნალობა.

**ზოოსპორა,** წყალმცენარეთა და სოკოების უსქესო გამრავლების უჯრედი.

**ზოოტექნია, ზოოტექნიკა,** მეცნიერება შინაურ სამეურნეო ცხოველთა მოვლა-მოშენების შესახებ.

**ზოოფსიქოლოგია,** ცხოველთფსიქოლოგია.

**ზოროასტრ-ი,** ნ. მაზდაიზმი.

**ზუავები** (მრავლ.), 1) ალჟირის ტომის სახელწოდება; 2) არაბულად ჩაცმული საფრანგეთის ქვეითა ჯარი.

„**ზუბატოვშჩინა**", „პოლიციური სოციალიზმი": პოლიციურ-პროვოკაციული ზომები რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისათვის ხელისაღებინებისა და მხოლოდ ეკონომიურ საფუძველზე გადაყვანისათვის.

**ზუბრ-ი,** 1) დომბა: გარეული ხარი, რომელიც გადაშენების გზაზეა (დაცულია მაგ. რამდენიმე ცალი ჩრდ.-კავკასიის ყორუღში); 2) გადაშენების გზაზე მდგარი სოციალური ჯგუფი; 3) უკიდურესად მემარჯვენე რეაქციული ელემენტი.

# თ

**თაბაშირ-ი,** გიპს-ი (ნ. ეს).

**თაბუ,** აკრძალულობის წესები,—გავრცელებულია პირველყოფილ ხალხთა შორის: მას აქვს რელიგიურ-მაგიური მნიშვნელობა.

**თაბუნ-ი,** ცხენის ჯოგი.

**თალასარქია** ანუ **თალასოკრატია** (თალასს-), ზღვაზე ბატონობა. —**თალასომეტრ-ი,** ზღვისსაზომი, ზღვის სიღრმის საზომი. —

**თალასოთერაპია**, ზღვის ჰავით მკურნალობა.

**თალვეგ-ი**, 1) ხეობის გზა; 2) მდინარის კალაპოტი; 3) მდინარის ღრმა ადგილის აღმნიშვნელი ხაზი.

**თალია**, ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: ერთერთი ცხრა მუზათაგანი,— კომედიის მფარველი.

**თალიშები** (მრავლ.), ირანული ტომის ხალხი კასპიის ზღვის სამხრ.-დასავლ. ნაპირზე.

**თალმუდ-ი**, რაბინისტ ებრაელთა რელიგიური და სამართლის ნორმების ძირითადი ძეგლი — **თალმუდისტ-ი**, თალმუდის მცოდნე სპეციალისტი, მისი მიმდევარი.—**თალმუდ-თორა**, დაბალი ებრაული სკოლა,—ყოფილ რუსეთში ემსახურებოდა მხოლოდ ებრაული ბურჟუაზიის ინტერესებს.

**თან-ი**, აზნაური შოტლანდიაში (საშ. საუკ.)

**თეატრ-ი**, 1) წარმოდგენების (დრამის, ოპერის) დასადგმელი შენობა; წარმოდგენების დადგმის ხელოვნება; 3) მნიშვნელოვან მოქმედებათა (მაგ. ომის) ადგილი.—**თეატრალ-ი**, თეატრის მოყვარული, თეატრში ხშირად მოსიარულე. — **თეატრალური**, თეატრის, სათეატრო,

**თეზა**, დისერტაცია (ნ.) საფრანგეთის უნივერსიტეტებში. **თეზის-ი**, 1) დებულება, მომხსენებლის ან ავტორის მიერ დასამტკიცებელ-გასავითარებელი; 2) დიალექტიკაში: განვითარების გამოსავალი წერტილი.

**თეიზმ-ი**, რელიგიური მოძღვრება,— სცნობს ღმერთს როგორც სამყაროს გამჩენად, ისე მის მმართველად (ნ. დეიზმი); იგი ს ვსებით ეწინააღმდეგება მეცნიერულ კანონზომიერებას.—**თეისტ-ი**, თეიზმის მიმდევარი.

**თელეოლოგია**, ნ. ტელეოლოგია.

**თემა**, 1) ნაწარმოების (ან მოხსენების, საუბრის, საჯარო სიტყვის...) ძირითადი აზრი; 2) მუსიკალური ნაწარმოების მთავარი მოტივი.—**თემატიკური**. თემობრივი, თემიდან გამომდინარე, თემის შესახები, თემის ხასიათის მქონე.

**თეოდოლიტ-ი**, კუთხსაზომი იარაღი, - გამოყენებულია. სხვათა შორის, მიწათმზომელობაში.

**თეოკრატია**, ღვთისმსახურთა (სამღვდელოების, ქურუმების) ხელისუფლება; სახელმწიფო წყობილება, სადაც ასეთი ხელისუფლებაა გაბატონებული, — ემყარება კლასობრივი იძულების ორგანოებს (პოლიციას, სამხედრო ძალას და სხვ.).

**თეოლოგია**, ღვთისმეტყველება: ცრუ მეცნიერება, რომლის მიზანია რელიგიური იდეოლოგიის თეორიული დასაბუთება. —**თეოლოგ-ი**, ღვთისმეტყველი.

**თეორემა**, მათემატიკური დებულება, რომლის ჭეშმარიტება მტკიცდება სხვა დამტკიცებულ (ან დაუმტკიცებლივ მიღებულ) დებულებათა საფუძველზე.

**თეორია**, 1) მოძღვრება; 2) ბუნებისა ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ამხსნელი მეცნიერული განზოგადოება, რომლის ჭეშმარიტებაც მტკიცდება პრაქტიკით (ნ. ეს); ამდენად თეორია და პრაქტიკა განუყრელია. — **თეორეტიული** ან უკეთ **თეორიული**, 1) თეორიაზე დამყარებული, 2) განყენებული.— **თეორეტიკოს-ი**, 1) რაიმე თეორიის მცოდნე და მკვლევარი; 2) განყენებულად მოაზროვნე.

**თეოსოფია**, რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულება: ღვთის შემეცნების შესაძლებლობა რჩეულთამიერ მისტიკური ჭვრეტის გზით,—პოულობს მიმდევრებს ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში

**თერაპია**, მედიცინის ერთერთი დარგი, — იკვლევს მკურნალობას (და კურნავს) ავადმყოფობას წამლებით, დიეტით, ფიზიკური მეთოდებით და სხვ.; უპირისპირდება ქირურგიას (ნ.), უძახიან მას შინაგან სნეულებათა მკურნალობას.— **თერაპევტ-ი**, 1) თერაპიის სპეციალისტი; 2) შინაგან სნეულებათა ექიმი. — **თერაპევტიკა**, იგივე რაც თერაპია.

**თერმები** (მრავლ.), ბუნებით ცხელი წყლები, თბილი აბანოები.

**თერმიდორ-ი**, 1) თვის სახელწოდება საფრ. დიდი რევოლუციის კალენდრით (19 ივლისიდან); 2) კონტრრევოლუციური გადატრიალების სახელწოდება (1794 წ. 9 თერმიდორს ანუ 27 ივლისს), - მან ბოლო მოუღო წვრილ ბურჟუაზიის დიქტატურას.

**თერმიული**, სითბოური, სითბოსი.

**თერმოგრაფ-ი**, თვითმწერელი თერმომეტრი.

**თერმოდინამიკა**, თეორიული ფიზიკის დარგი,—იკვლევს ერთი სახის ენერგიის (უმთავრესად - სითბოური ენერგიის) სხვა სახის ენერგიად გარდაქმნის საკითხებს.

**თერმოელემენტ-ი**, ერთგვარი მოწყობილობა,—იხმარება 1) როგორც ფრიად მგრძნობიარე თერმომეტრი, 2) სუსტი ცვლადი ელექტროდენის გასაზომად და ელექტრომაგნიტური ტალღათა გამოსამჟღავნებლად, მზის სხივური ენერგიის გასაზომად და სხვ.

**თერმოელექტრული მოვლენა**, ელექტროდენის წარმოქმნა ორ ადგილის გახურებისას, სადაც მირჩილულია ერთმანეთზე ორი სხვადასხვა ლითონი.

**თერმოლუმინისცენცია**, ზოგიერთი სხეულის (მაგ. ალმასის, მარმარილოსი...) ნათება მცირე გათბობით.

**თერმომეტრ-ი**, ტემპერატურის საზომი მოწყობილობა,—დამყარებულია ვერცხლის წყლის მოცულობის გაფართოებაზე გათბობისას.—**თერმომეტრია**, ფიზიკის გამოყენებითი ნაწილი,—ეწევა თერმომეტრების დამზადებას, მათ თვისებათა შესწავლას და სხვ.

**თერმორეგულატორი**, ჭურჭელში ან ბინაში განსაზღვრული ტემპერატურის დამყენებელი მოწყობილობა.

**თერმოს-ი**, ერთგვარად მოწყობილი ჭურჭელი, რომლის შინაარსი (ე. ი. რაც მასში იმყოფება) დაცულია გარეგანი ტემპერატურის გავლენისაგან (ცივი რამ არ თბება და თბილი რამ არ ცივდება კარგა ხანს).

**თერმოსტატ-ი**, გარკვეულ სივრცეში ტემპერატურის დამჭერი მოწყობილობა.

**თერმოთერაპია**, სითბოს საშუალებით მკურნალობა.

**თერმოფილები** (მრავლ.), ცხოველები და მცენარეები, რომლებიც ცოცხლობენ მაღალ ტემპერატურაში, მაგ. ცხელ წყლებში.

**თერმოქიმია**, ქიმიის ნაწილი,—იკვლევს ქიმიური პროცესების დროს გამოყოფილი ან შთანთქმული სითბოს რაოდენობას.

**თომასირება** (**თომასს-**), ინგლისელი ინჟინრის თ ო მ ა ს-ის მოგონილი ხერხი თუჯისაგან ფოლადის მიღებისა.

# ი

**იაგდტაშ-ი**, მონადირის ჩანთა, ნანადირევის ჩასაწყობი.

**იაგუარ-ი**, „ამერიკული ვეფხი": ყველაზე დიდი გარეული კატა, ვეფხზე ცოტა პატარა.

**იაკინთ-ი**, იაგუნდი (ძვირფასი ქვა).

**იაკობინელები** (მრავლ.), პოლიტიკური პარტია საფრანგ. დიდი რევოლუციის დროს,—აერთიანებდა ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიას და ხელოსნურ პროლეტარიატს; რობესპიერის მეთაურობით მიმართავდენ მასობრივ ტერორს კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში.—**იაკობინიზმ-ი**, იაკობინელთა სარევოლუციო ტაქტიკა.

**იამბ-ი**, 1) ორმარცვლოვანი მუხლი ლექსში, რომელსაც პირველი

მარცვალი მოკლე (ან უმახვილო) აქვს, ხოლო მეორე—გრძელი (ან მახვილიანი).

**იანიჩარ-ი**, მაჰმადიანობაში მხედრად აღზრდილი ტყვე-ქრისტიანის ბავში ოსმალეთში,—მათგან შედგენილი იყო რეგულარული ჯარი (გაუქმდა 1862 წ.).

**იანკი**, ამერიკელის მეტსახელი (ირონიულად).

**იანსენიზმ-ი**, რელიგიური მიმდინარეობა,—უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას და აღიარებდა წინაგანგებულებას; ებრძოდა იეზუიტებს, იდევნებოდა ხელისუფლებისა და ეკლესიის მიერ. **იანსენისტ-ი**, იანსენიზმის მიმდევარი.

**იანუს-ი**, 1) ძველიტალიელთა ღვთაება მზისა და სინათლის, ყოველი დასაწყისისა; გამოისახებოდა ორპირისახიანად; 2) ორპირი ადამიანი.

**იარდ-ი**, ინგლისური სიგრძის საზომი, მეტრზე ცოტა ნაკლები (0,914 მეტრ.).

**იარლიკ-ი**, ეტიკეტი (ნ. 1), სიქა: საქონელზე მიკრული (მობმული) ქაღალდის ნაჭერი წარწერით—რაოდენობის, წონის და მისთანათა მაჩვენებელი.

**იარმარკა, იარმუკა**, 1) განსაზღვრულ დროს სავაჭრო ადგილი; 2) ბაზრობა, ვაჭრობა განსაზღვრულ დროს.

**იარუს-ი**, 1) შენობის სართული; 2) საჯდომები თეატრის თითოეულ სართულში.

**იატაგან-ი**, მოკლე მოღუნული ხანჯალი.

**იაფეტიდები** (მრავლ.), იაფეტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

**იაფეტიდოლოგია**, ანუ **იაფეტური თეორია**, აკად. ნ. მარის მიერ შექმნილი: 1) მეცნიერება იაფეტურ (კავკასიურ და ხმელთაშუაზღვის) ენათა შესახებ; 2) მატერიალისტური ენათმეცნიერება,—უპირისპირდება ინდოევროპეისტიკას, როგორც იდეალისტურ ენათმეცნიერებას, და წარმოადგენს ერთადერთ სერიოზულ ცდას მარქსისტული ზოგადი ენათმეცნიერების შექმნისას: მეტყველების ზედნაშენობრიობა სამეურნეო-საზოგადოებრივი ურთიერთობისა, კლასობრივი მომენტების გამომჟღავნება მეტყველებაში, გლოტოგონიური (ენათშემოქმედებით) პროცესის ერთიანობის მტკიცება, სტადიალობა ენათა განვითარების პროცესში,—ეს დებულებები უნდა ჩაითვალონ იაფეტიდოლოგიის დიდ მიღწევებად მარქსისტულ ენათმეცნიერების შექმნის თვალსაზრისით. — **იაფეტიდოლოგ-ი**, იაფეტიდოლოგიის მიმდევარი და მასში მომუშავე.

**იახტა, იახტ-ი,** ორჩხომელი: პატარა სასეირნო გემი (ან ხომალდი). — **იახტ-კლუბ-ი,** ნაოსნობის წამხალისებელი და ხელშემწყობი დაწესებულება (საზოგადოება).

**იგნორანცია,** უცოდნელობა, უვიცობა.—**იგნორირება, ვიგნორირობ,** უცოდნელი ვარ, გვერდს ვუვლი, ანგარიშს არ ვუწევ, განზრახ არ ვამჩნევ.

**იგრეკ-ი,** ლათინური ანბანის ბოლოწინა ასო (y),—აღნიშნავს ალგებრაში განტოლების საძიებელ (უცნობ) სიდიდეს.

**იგუმენ-ი,** მონასტრის წინამძღვარი.

**იდალგო,** ნ. ჰიდალგო.

**იდეა,** 1) ზოგადი წარმოდგენა საგნის ან მოვლენის შესახებ; აზრი; ცნება; 2) მხატვრული ნაწარმოების მთავარი აზრი. — **იდეური,** იდეაზე დაფუძნებული, უანგარო, არაპირადული მოსაზრებებით გამოწვეული.

**იდეალ-ი,** 1) სინამდვილეში არ არსებული სრულყოფიერობა, 2) განუხორციელებელი მიზანი მოქმედებისა: მისწრაფებათა საგანი. — **იდეალიზაცია,** 1) რისამე წარმოდგენა სრულყოფიერად; 2) იდეალად გახდა, გაიდეალება; სინამდვილის წარმოდგენა უკეთესის სახით. — **იდეალიზირება, ვაიდეალიზირებ,** ვაიდეალებ; სრულყოფიერად წარმოვიდგენ, უკეთესად, ვიდრე სინამდვილეშია. **იდეალური,** სრულყოფიერი, იდეალის შესაფერი; საუკეთესო.

**იდეალიზმ-ი,** 1) რამდენიმე არამეცნიერული მიმართულება ფილოსოფიაში, რომელთათვისაც საერთოა დაპირისპირება მატერიალიზმისა, — ყოველი არსის დასაბამად ცნობს ან მხოლოდ იდეას, სულს, არამატერიალურს ან მატერიალურ და საბამთან ერთად: იდეალიზმი მუდამ წარმოადგენდა გაბატონებულ კლასთა რეაქციულ მსოფლმხედველობას; 2) იდეალისადმი მისწრაფება; სინამდვილეში მხოლოდ კარგის დანახვა; პირადული ინტერესების დამორჩილება ზოგადისათვის —**იდეალისტ-ი.** 1) იდეალიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმართულების, მიმდევარი; იდეალისტური მსოფლმხედველობის მქონე; 2) სინამდვილეში მხოლოდ კარგის დამახველი ცხოვრების არმცოდნე.—**იდეალისტური,** იდეალიზმის მიმდევრობითი. მისი მსგავსი და სხვ.

**იდეალური, იდეია, იდეიური.** ნ. იდეალი, იდეა, იდეური.

**იდენტობა,** იგივეობა, სავსებით ერთგვარობა.—**იდენტური,** სავსებით მსგავსი, იგივე.—**იდენ-**

ტიფიკაცია, გაიგივეება, სავსებით ერთგვარად დასახვა. - **იდენტიფიცირება, ვაიდენტიფიცირებ**, ვაიგივეებ.

**იდეოგრამა (-მმა)**, მთლიანი სიტყვის გამომხატველი პირობით-წერილობითი ნიშანი.—**იდეოგრაფია**, ერთგვარი დაწერილობა: მთლიანი სიტყვის გამოხატვა პირობით-წერილობითის ნიშნით (იდეოგრამით). იდეოგრაფიულია, მაგ. ჩინური წერა; აგრეთვე—ხმარებული არაბული ციფრები (1, 2, 3...).

**იდეოლოგია**, 1) პიროვნების ან საზოგადოებრივი დაჯგუფების აზრ-შეხედულებათა (იდეათა) სისტემა,—წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ზედნაშენს: კლასობრივ საზოგადოებაში თითოეულ კლასს აქვს განსხვავებული იდეოლოგია, რომელიც ასახავს კლასის მდგომარეობას წარმოებრივ ურთიერთობაში; 2) მოძღვრება იდეების შესახებ.—**იდეოლოგ-ი**, ამათუიმ იდეოლოგიის წარმომადგენელი ან დამცველი.

**იდეური**, ნ. იდეა.

**იდეფიქს-ი**, აკვიატებული იდეა, აზრი—ადამიანის გონების შემპყრობელი.

**იდილია (-ლლია)**, 1) ისეთი პოეტური ნაწარმოები სოფლის მშრომელის (მიწისმუშისა, მწყემსისა...) ყოფაცხოვრებიდან, რომელშიც ყოფაცხოვრება წარმოდგენილია კმაყოფილებით სავსედ და მიმზიდველად; 2) ამგვარი ნაწარმოები.—**იდილიური**, მარტივი, უშფოთველი, კმაყოფილებით სავსე.

**იდიომ-ი**, ენის კილო, კილოკავი.

**იდიოპლაზმ-ი**, ცხოველთა და მცენარეთა ჩანასახის პლაზმის (ნ.) ნაწილი, რომელშიც იმყოფებიან ორგანიზმის მემკვიდრეობითი თვისებანი.

**იდიოსინკრაზია**, არაჩვეულებრივი მგრძნობიარობა ან განსაკუთრებულად თავისებური განცდა გრძნობით შთაბეჭდილებათა.

**იდიოტ-ი**, გონებასუსტი ადამიანი. —**იდიოტიზმ-ი**, 1) დაბადებიდან თანდაყოლილი გონება სისუსტე, გონებაჩამორჩენილობა; 2) ენათმეცნიერებაში: სხვა ენაზე უთარგმნელი თავისებურობა ენისა, (მაგ. ქართ. „გენაცვალე“).

**იდო**, ერთერთი (ნაკლებად გავრცელებული) ხელოვნური საერთაშორისო ენა.

**იეგერ-ი**, 1) მეფის ან ბატონის მონადირე; 2) მსროლელთა ნაწილების ჯარისკაცი.

**იეზუიტ-ი**, 1) იეზუიტების ორდენის (საზოგადოების) წევრი; 2) ცბიერი, მხაკვარი, ვერაგი, ორპირი ადამიანი.—**იეზუიტები**, კათოლიკურ ბერთ

მებრძოლი ორდენი (საზოგადოება)—პაპის ხელისუფლების დაცვისა და მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებით,—არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებებს.

**იერარქია**, 1) უფროს-უმცროსობის სისტემა თანამდებობისა და ძალაუფლების მქონებლობის მიხედვით; 2) სასულიერო პირთა ხარისხობრივი დაყოფა.—**იერარქ-ი**, უზენაესი სასულიერო პირი.

**იერემიადა**, 1) წინასწარმეტყველ იერემიას მოთქმა-გოდება იერუსალიმის დაქცევის გამო; 2) გოდება, ჩივილი, მოთქმა.

**იერიქონ-ის საყვირი**, ძლიერი უშნო ხმა (ლეგენდით: პალესტინის ქალაქ იერიქონის კედლები დაანგრია მოალყე ებრაელთა საყვირების ხმამ).

**იერო-**, ნ. ჰიერო-.

**იზო-**, 1) ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს საერთოდ: მსგავსი, ტოლი, თანასწორი, თანაბარი, თანაგვარი; 2) ქიმიაში: ემატება ისეთ ქიმიურ შენაერთთა სახელწოდებას, რომელნიც ერთნაირი შედგენილობის არიან, მაგრამ სხვადასხვა აგებულობისა.

**იზობათ-ი, იზობათები**, თანასწორ ხლვის სიღრმეთა ხაზები.

**იზობარ-ი, იზობარები** (მრავლ.), თანასწორი ბარომეტრული წნევის ხაზები.

**იზოგლოსა, იზოგლოსები** (მრავლ.), ენის ერთნაირ მოვლენათა გავრცელების შემაერთებელი ხაზები (ნ. გლოსა, 1).

**იზოგონალ-ი, იზოგონალური**, ტოლკუთხიანი.

**იზოგონ-ი, იზოგონები** (მრავლ.), მაგნეტური ისრის თანატოლი მიხრილობის ხაზები.

**იზოთერ-ი, იზოთერები** (მრავლ.), ზაფხულის ერთნაირი საშუალო ტემპერატურის ხაზები.

**იზოთერმ-ი, იზოთერმები**, 1) ფიზიკაში: გრაფიკის ხაზი,—გამოხატავს რაიმე სხეულის ცვლილებებს უცვალებელ ტემპერატურაში; 2) გეოგრაფიულ რუკაზე: ერთნაირი საშუალო ტემპერატურის ხაზები.—**იზოთერმული**, ერთნაირ ან თანაბარ ტემპერატურიანი.

**იზოკლინ-ი, იზოკლინები**, ერთნაირი მაგნეტური მიხრილობის ხაზები.

**იზოლატორ-ი**, 1) ფიზიკაში: ელექტროდენის ცუდი გამტარი (მინა, გოგირდი, ქაღალდი და სხვა), განმამხოლოები; 2) განცალკევებული ბინა—გადამდებსნეულთა ან ბორგნეულ შეშლილთათვის; აგრეთვე—პატიმართათვის.

**იზოლაცია**, განმხოლოება, განცალკევება, დაშორიშორება: 1) დაელექტროებულ სხეულის განმხოლოება ცუდ გამტარის

საშუალებით; ელექტრო- ან სითბოურ ენერგიის დაცვა კარგვისაგან მანძილზე გადაცემისას; 2) გადამდებსნეულთა, ბორგნეულთა ან პატიმართა განცალკევება.—**იზოლირება**, **ვაიზოლირებ**, განვამხოლოებ, დავაშორიშორებ.— **იზოლირებული**, განმხოლოებული, დაშორიშორებული.

**იზომერ-ი, იზომერები** („ერთნაირნაწილებიანი") შედგენილობით ერთნაირ მოლეკულებიანი და ერთნაირ მოლეკულურ წონიანი ნივთიერებანი თავიანთი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით. — **იზომერია**, ასეთი მოვლენა.

**იზომორფიზმ-ი**, ქიმიური შედგენილობით თანაგვარ კრისტალურ სხეულთა დაკრისტალება თანამსგავს ან თანაგვარ ფორმებში.—**იზომორფული**, ფორმით და თვისებებით ერთგვარი.

**იზონეფია**, თანაბარღრუბლიანობა.

**იზოტონია**, თანასწორდაძაბულობა.

**იზოტოპ-ი, იზოტოპები**, ელექტრონთა ერთდაიმავე რაოდენობის შემცველი, მაგრამ ატომური წონით განსხვავებული ქიმიური ელემენტები.

**იზოტროპია, იზოტროპულობა**, სხეულის თვისებათა ერთგვარობა კრისტალური ღერძის ყველა მიმართულებით.—**იზოტროპული** სხეულები, ასეთის მქონე სხეულები, გეზურჩევი.

**იზოქიმენ-ი, იზოქიმენები**, ზამთრის ერთნაირი საშუალო ტემპერატურის ხაზები.

**იზოქრონიზმ-ი, იზოქრონულობა**, არაიდენტურ მოვლენათა თანატოლი ხანგრძლიობა.— **იზოქრონული**, თანატოლხანგრძლიობიანი.

**იზოხაზები** (მრავლ.), გეოგრაფიულ რუკაზე: რაიმე სიდიდის' (წნევისა, ზღვის სიღრმისა...) ერთნაირმნიშვნელობიანი ადგილების შემაერთებელი ხაზები.

**იზოჰიფსა-ი, იზოჰიფსები**, რუკაზე: თანატოლი ზღვისდონის ხაზები.

**იკარიელები, იკარისტები**, კ ა ბ ე-ს („იკარეთში მოგზაურობის" ავტორის, 18—19 საუკ.) უტოპისტური კომუნიზმის მიმდევარნი.

**იკონოგრაფია**, გამოსახულებათა აღწერა - შესწავლა. — **იკონოლატრია**, ხატთთაყვანისცემა.

**იკს-ი**, ნ. იქს-ი.

**ილეგალური** (**ილლ-**), არალეგალური, ნებადაურთველი, უკანონო.

**ილიტერატები** (**ილლ-**, მრავლ.), ასოებით გამოუსახველი ბგერები (კვნესა, სიცილი, სტვენა...).

**ილოტები**, 1) ძველი სპარტის (საბერძნეთში) ერთერთი დაბალ კლასთაგანი,—ითვლებოდენ სა-

ხელმწიფის საკუთრებად, უფლებრივად იდგენ მონებზე მაღლა, წარმოადგენდენ უმთავრესად მიწისმუშებს, 2) უუფლებო, უფლებააყრილი მოქალაქეები.

**ილუზია** (ილლ-), 1) სინამდვილის მცთარად აღქმა, გრძნობათმცთარობა; 2) მიუღწევარი ოცნება. — **ილუზიონიზმ-ი**, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა (იდეალიზმის ერთერთი ფორმა), რომლის თანახმად გარემო სინამდვილე მხოლოდ მოჩვენებითია. — **ილუზორული**, **ილუზიური**, მოჩვენებითი, მიუღწევარი.

**ილუმინატორები** (ილლ-, მრავლ.), გემის სასინათლო ან სანიავო ფანჯრები (გემბანზე ან ქიმში).

**ილუმინაცია** (ილლ-), შენობებისა და ქუჩების საზეიმო განათება-გაჩირაღდნება.

**ილუსტრატორი** (ილლ-), 1) ამხსნელ-განმმარტებელი; 2) წიგნში შინაარსთან დაკავშირებული სურათების მხატვარი.

**ილუსტრაცია** (ილლ-), 1) თვალსაჩინო ახსნა-ჩვენება; 2) წიგნის შინაარსთან დაკავშირებული ნახატები მასში. — **ილუსტრაციული მეთოდი**, სწავლების ერთგვარი თვალსაჩინო მეთოდი.—**ილუსტრირება**, **ვაილუსტრირებ**, 1) თვალსაჩინოდ ვხსნი; 2) ნახატს ჩავურთავ წიგნში—შინაარსის შესაფერს.

**იმამ-ი**, მაჰმადიანთა სასულიერო პირი,—განაგებს მიზგითს (ნ.) და ასრულებს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვალეობას.

**იმამატ-ი**, სასულიერო ხელისუფლება მაჰმადიანთა; იმამობა, საიმამო.

**იმანენტ-ი**, **იმანენტური** (იმმ-), თვით საგანში მყოფი, მის ბუნებისაგან გამომდინარე — გარეგავლენისაგან დამოუკიდებლივ. — **იმანენტიზმ-ი**, **იმანენტური ფილოსოფია**, იდეალისტური ფილოსოფიის ერთერთი სახეობა,—ამტკიცებს, რომ ყოველგვარი მყოფობა არის ცნობიერების შინაარსი.

**იმაჟინიზმ-ი**, რუსული ლიტერატურული მიმართულება (ინგლისური წარმოშობისა) პოეზიაში,—ხასიათდება ხატოვნობისადმი მისწრაფებით—შინაარსიანობისა და ლოგიკურობის გარეშე (უკვე განდევნილია რუს. ლიტერ—დან).

**იმატერიალიზმ-ი** (იმმ-), იდეალისტური ფილოსოფიური მიმართულება,—უარყოფს მატერიის (ნ.) ობიექტურ არსებობას.

**იმატრიკულაცია** (იმმ-), სტუდენტების სიაში შეტანა.

**იმბეცილობა** (-ლლ-), გონებაგანუვითარებლობის ერთერთი სახე იდიოტიზმისა და ჩამორჩენილობის შუა.—**იმბეცილ-ი**, ამგვარი ადამიანი.

**იმიგრანტ-ი (იმმ-),** სხვა ქვეყანაში ჩასახლებული. — **იმიგრაცია,** უცხოელთა ჩასახლება.— **კაპიტალის იმიგრაცია,** უცხოური კაპიტალის შეჭრა ამათუიმ ქვეყანაში.

**იმიტაცია,** 1) მიმსგავსება, მიმბაძველობა; 2) ნამსგავსი, ნაყალბი, ყალბი.

**იმობილიზაცია (იმმ-),** გაუძრავება: 1) სხეულის ნაწილისა, მაგ. შეხვევით (მედიცინაში), 2) კაპიტალისა, საბრუნავი კაპიტალის გადაქცევა ძირითადად— მანქანებისა, შენობებისა და მისთანათა შეძენაში მისი დახარჯვის გზით.

**იმორალიზმ-ი (იმმ-),** ზნეობის ნორმების უარყოფა.—**იმორალური,** უზნეო, ზნედაცემული, ზნეობის საწინააღმდეგო.

**იმორტელ-ი (იმმ-),** უკვდავა,—მისი გამხმარი ყვავილები ინარჩუნებენ ბუნებრივ ფერს.

**იმპერატივ-ი,** 1) ზმნის ბრძანებითი კილო (გრამატ.); 2) უთუო მოთხოვნილება. — **კატეგორიული იმპერატივი,** კ ა ნ ტ ი ს ფორმალური ეთიკის საფუძველი: მოიქეც ისე, რომ შენი მოქმედების ზოგადი წესი გამოდგეს საყოველთაო კანონზომიერების პრინციპად (გამოუყენებელია სინამდვილეში, რადგან ანგარიშს არ უწევს საზოგადოებრივ პირობებს).— **იმპერატიული,** ბრძანებითი, მოთხოვნილებითი.

**იმპერატორ-ი,** 1) ძველ რომში: მხედართმთავარის საპატიო წოდება, შემდეგ – მეფე; 2) ახლა: ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს მეფე. ხელმწიფე.

**იმპერია,** ზოგიერთი დიდი მონარქიული სახელმწიფოს ტიტული.

**იმპერიალ-ი,** 1) ძველებური რუსული ოქროსფული (10 მან.): 2) ვაგონების ან ომნიბუსების დასაჯდომადგილიანი მეორე სართული.

**იმპერიალიზმ-ი,** 1) კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხური,—ისეთი პოლიტიკური და სამეურნეო სისტემა, როცა გაბატონდა მონოპოლიები მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში და ფინანსიური კაპიტალი, რომელმაც დაიმორჩილა ხელისუფლება: ამასთან დაკავშირებულია 2) მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიების დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა, რაც იწვევს გაძლიერებულ შეიარაღებას შემაძრწუნებელი ომებისათვის, და უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა; ამ პირობების შედეგია 3) კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა უაღრესი გაძვითარება და მისი

განადგურების დასაწყისი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში.—**იმპერიალისტ-ი**, იმპერიალიზმის მომხრე და გამხორციელებელი. —**იმპერიალისტური ომი**, შეიარაღებული ბრძოლა ბაზრებისა და კოლონიებისათვის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის იმპერიალიზმის ხანაში (ასეთი იყო 1914–18 წლის მსოფლიო ომი).

**იმპერფექტ-ი**, ზმნის ნამყო უსრული (გრამატ.).

**იმპოზანტ-ი**, **იმპოზანტური**, ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი საქციელით, სიტყვით, შესახედაობით და სხვ.; წარმოსადეგი; პატივისცემის ან გაკვირვების გამომწვევი, საქციელსაკვირვო და სხვა.

**იმპორტ-ი**, 1) საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა; ამგვარი საგარეო ვაჭრობა; 2) საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი.—**იმპორტერ-ი**, საზღვარგარეთული საქონლის შემომტანი.

**იმპოტენტ-ი**, სქესობრივ უძლური მამაკაცი, მცვედანი.—**იმპოტენცია**, სქესობრივი უძლურობა (სრული ან ნაწილობრივი), მცვედნობა.

**იმპრესარიო** (**იმპრესს-**), ანტრეპრენერი (ნ.), — უმთავრესად კონცერტებისა და საოპერო წარმოდგენების მომწყობი.

**იმპრესიონიზმ-ი** (**იმპრესს-**), სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი მიმართულება ლიტერატურასა და ფერწერაში (მხატვრობაში) 19 საუკ. მეორე ნახევარში,—გადმოსცემს სინამდვილეს ხელოვნის უშუალო პირადი განცდის საფუძველზე.—**იმპრესიონისტ-ი**, იმპრესიონიზმის მიმდევარი ხელოვანი.

**იმპროვიზაცია**, პოეტური ნაწარმოების, საჯარო სიტყვის ან მუსიკალურ ნაწარმოების უმზადლივ შექმნა, თქმა, შესრულება.—**იმპროვიზატორ-ი**, ასეთის მქნელი ან ასეთი ნიჭის მქონე ადამიანი.

**იმპულს-ი**, 1) მოძრაობის ან მოქმედების გამომწვევი მიზეზი; 2) ცოცხალი არსების უნებლიე მოქმედება; 3) მექანიკაში: ბიძგი; **ძალის იმპულსი**, ძალბიძგი. —**იმპულსიური**, შეუცნობლივი, უნებლიე: **იმპულსიური მოძრაობა**, უნებლიე, შეუცნობლივი მოძრაობა.—**იმპულსიურობა**, გარეგნივ უმიზეზო წადილი რისამე ჩადენისა.

**იმუნიზაცია**, ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმისათვის სენუთვისებლობის ანუ სენშეუვალობის მინიჭება.—**იმუნიზირება**, **ვაიმუნიზირებ**, სენუთვისებლობას ვანიჭებ.—**იმუნიტეტ-ი**,

1) მედიცინაში: ორგანიზმის სენუთვისებლობა ან სენშეუვალობა; 2) იურიდ: შეუვალობა, ზოგიერთი კანონის მოქმედების გაუვრცელებლობა ზოგ შემთხვევაში, მაგ საკანონმდებლო დაწესებულების ან უცხოეთის წარმომადგენლის შეუვალობა (ხელშეუხებლობა). საბჭოთა სამართალი სცნობს იმუნიტეტს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში.

**ინგალაცია**, ნ. ინჰალაცია.

**ინგრედიენტ-ი**, რაიმე საგნის (მაგ. ნარევის) შემადგენელი ნაწილი.

**ინდეკს-**, ნ. ინდექს-.

**ინდემნიტეტ-ი**, 1) ინგლისში: მინისტრების განთავისუფლება—მათ მიერ კანონის წინააღმდეგ ჩადენილი მოქმედების პასუხისმგებლობისაგან; 2) საერთაშორისო სამართალში: ზარალის ანაზღაურება.

**ინდეპენდენტები** (მრავლ.), „დამოუკიდებელნი": 1) რელიგიური სექტა ჰოლანდიასა, ინგლისსა და ჩ.-ამერიკაში; 2) რელიგიურ პოლიტიკური პარტია, რომელმაც ინგლისის რევოლუციაში შეასრულა დიდი როლი.

**ინდეტერმინიზმ-ი**, იდეალისტური მსოფლმხედველობა, — უპირისპირდება დეტერმინიზმს (ნ.) და უარყოფს კანონზომიერებას მსოფლიო პროცესში,—ამტკიცებს ადამიანის ნებისყოფის სრულ თავისუფლებას.

**ინდექს-ი**, 1) მაჩვენებელი; ნუსხა, სია ფასების, წიგნების; საძიებელი (წიგნისა); 2) კათოლიკური ეკლესიის მიერ საკითხავად აკრძალულ წიგნთა სია; 3) რიცხვობრივი მაჩვენებელი ასოს ქვეშ— მათემატიკაში (მაგ. $A_1$, $B_3$).

**ინდიგო**, 1) ცერცვოვ ნი ოჯახის რამდენიმე სახის მცენარეთა სახელწოდება,—შეიცავს ლურჯი საღებავის ნივთიერებას; 2) ძვირფასი საღებავების სახელწოდება. — **ინდიგოტინ-ი**, ლურჯი ინდიგო.

**ინდივიდ-ი, ინდივიდუმ-ი (-უუმ-ი)**, პიროვნება, დამოკიდებლად არსებული ცოცხალი ორგანიზმი (ადამიანი, ცხოველი, მცენარე) —**ინდივიდუალიზაცია**, პიროვნულ თავისებურებათა განვითარება. — **ინდივიდუაცია**, დაცალკევება, ცალკეულ საგანთა გამოყოფა დაუნაწევრებელი მდგომარეობიდან.

**ინდივიდუალიზმ-ი**, 1) კოლექტივიზმის (ნ.) საწინააღმდეგო მიმართულება ფილოსოფიაში (ეთიკაში), სოციოლოგიაში და პოლიტიკაში, რომელსაც პიროვნების განვითარება მიაჩნია ისტორიული პროცესის მთავარ მიზნად,—წარმოადგენს რეაქციულ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას; 2) პიროვნების შეუზღუდველი განვითარება;

3) ეკონომიური ინდივიდუალიზმ-ი, ბურჟუაზიულ ეკონომისტთა კვლევის მეთოდი, რომლის გამოსავალი წერტილია ცალკე პიროვნება. — **ინდივიდუალისტ-ი**, 1) ინდივიდუალიზმის მიმდევარი; 2) საზოგადოებრიობისაგან განცალკევებული, საზოგადო ინტერესებს დაშორებული პიროვნება.

**ინდივიდუალობა**, 1) ერთი და იმავე სახის სხვადასხვა ინდივიდის განმასხვავებელი თავისებურობანი; 2) მკვეთრად გამორჩეული პიროვნება.

**ინდივიდუმ-ი**, ნ. ინდივიდ-ი.

**ინდიკატივ-ი**, ზმნის თხრობითი კილო (გრამ.).

**ინდიკატორ-ი**, ხელსაწყო—ძრავების სიმძლავრისა და ორთქლის ქვაბების წნევისა, შიდაწვის ძრავებისა და დგუშიანი ტუმბოების ცილინდრებში წნევის ცვალების საზომი. — **ინდიკატორები** (მრავლ.), ქიმიური რეაქციების დასრულების მაჩვენებელი ნივთიერებები.

**ინდიფერენტიზმ-ი, ინდიფერენტულობა**, (**ინდიფე**.), გულგრილობა, განურჩევლობა, დაუხედაობა, უმთავრესად პოლიტიკურ, რელიგიურ ან ზნეობრივ საკითხებში. — **ინდიფერენტული**, გულგრილი, განურჩეველი, დაუხედავი.

**ინდიქტ-ი**, თხუთმეტწლეული წელთაღრიცხვა.

**ინდოევროპეისტიკა** ანუ **ინდოევროპული ენათმეცნიერება**, დღემდე ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებული ენათმეცნიერება (ზოგადი და კერძო),—აღმოცენდა (19 საუკ. დასაწყისში და უმთავრესად ვითარდებოდა) ე. წ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის შესწავლის ნიადაგზე; მისი ძირითადი მეთოდია შედარებითი მეთოდი. იაფეტიდოლოგიურმა და მარქსისტულმა ენათმეცნიერულმა კრიტიკამ გამოამჟღავნა ინდოევროპეისტიკის მეტაფიზიკურობა (მის მიერ გლოტოგონიური პროცესის ერთიანობის უარყოფის გამო) და იდეალისტურობა (რასობრივი პრაენის არსებობისა და ენისგანვითარების სპონტანურობის ცნობის გამო); მის მიღწევათა (უმთავრესად—ფაქტიური მასალის) გამოყენებისა და მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე საბჭოთა კავშირში ვითარდება მარქსისტული ენათმეცნიერება. — **ინდოევროპეისტ-ი**, ინდოევროპეისტიკის მიმდევარი ენათმეცნიერი. — **ინდოევროპული ენებია**: ინდური, ირანული, სომხური, ალბანური, ბერძნული, იტალიკური.

კელტური, გერმანული, ბალტური, სლავური, ტოქარული (გადაშენებული) და რამდენიმე სხვა.

**ინდოსამენტ-ი (ინდოსს-)**, თამასუქის ზურგზე (უკანა გვერდზე) გადაცემითი წარწერა, რაც ადასტურებს მის გადაცემას სხვა პირზე.—**ინდოსირება**, ვაინდოსირებ, ასეთს წავაწერ თამასუქზე.—**ინდოსანტ-ი**, წამწერი, გადამცემი თამასუქისა.—**ინდოსატ-ი, ინდოსატორ-ი**, ვის სახელზეც გადაცემულია თამასუქი.—**ინდოსირებული თამასუქი**, ხელწარწერილი თამასუქი.

**ინდუიზმ-ი**, ინდოელთა რელიგია, —განვითარებულია ბრაჰმანიზმისაგან.

**ინდუკტ-, ინდუკც-**, ნ. ინდუქც-.

**ინდულგენცია**, ცოდვათა შესანდობარი (საპატიებელი) სიგელი, რომელსაც აძლევდა (შემდეგ—ჰყიდდა) კათოლიკური ეკლესია მორწმუნეს.

**ინდუსტრია**, მრეწველობა, ტექნიკის განვითარებაზე დამყარებული გადამუშავება ნედლეულისა, უმთავრესად მანქანათა საშუალებით (მ ძ ი მ ე ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ქმნის საწარმოო საშუალებებს, მ ს უ ბ უ ქ ი—სამომხმარებლო საგნებს).—**ინდუსტრიალიზმ-ი**, 1) მრეწველობის უპირატესობა განსაზღვრულ ქვეყანაში; 2) მრეწველობისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი ეკონომიური პოლიტიკა. —**ინდუსტრიალიზაცია**. 1) საერთოდ: მსხვილ-მანქანური მრეწველობის განვითარება,—ხასიათდება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი (მსუბუქთან შედარებით) განვითარებით, სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციით და სხვ.; კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინდუსტრიალიზაცია ხდება სტიქიურად და კაპიტალისტების მოგების მიზნით; 2) საბჭოთა კავშირში: სოციალისტური მრეწველობის გეგმიანი განვითარება აჩქარებული ტემპებით ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის და სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზაზე სოციალისტური რეკონსტრუქციის მიზნით

**ინდუსტრიალური**, საინდუსტრიო, სამრეწველო, მრეწველობითი.

**ინდუქტიური**. ნ. ინდუქციური.

**ინდუქტორ-ი**, მაღალძაბვის ელექტროდენის მისაღები ხელსაწყო.

**ინდუქცია**, 1) ლოგიკაში: კვლევის (აზროვნების) მეთოდი, რომლის საშუალებითაც კერძოული საფუძვლებიდან გამოიყვანება ზოგადი დებულება; მსჯელობის მსვლელობა კერძოულიდან ზოგადისაკენ; 2) ფიზიკაში: ა) რაიმე სხეულში ელექტრობის

აღძვრა დაელექტროებული სხეულის სიახლოვის საშუალებით—ელექტრული ინდუქცია; ბ) მაგნიტურ თვისებათა შეძენა გავლენით—მაგნიტური ინდუქცია; 3) ქიმიაში: ერთი რეაქციის გავლენა მეორეზე.—**ინდუქციური,** განზოგადოებითი, კერძოულ ფაქტებიდან დასკვნითი.

**ინერვაცია** (ინნ-), 1) ორგანოში ან ქსოვილში ნერვების განშტოება; 2) ორგანოთა მოქმედების დამოკიდებულობა ნერვებისაგან ანუ ნერვების გავლენა მათ მოქმედებაზე.—**ინერვირება, აინერვირებს,** 1) განშტოვდება; 2) გაატარებს ნერვულ აღძვრას.

**ინერტ-ი, ინერტული,** უმოქმედო, უმოძრაო, მცონარე, ჯიქი. — **ინერტობა, ინერტულობა,** უმოქმედობა, სიჯიქე, უძრაობა.

**ინერცია,** 1) ინერტობა, უმოქმედობა...; 2) ფიზიკაში: მატერიალური სხეულის ძირითადი თვისება, — გამოიხატება შემდეგში: სხეულის გამოსაყვანად უძრავი მდგომარეობიდან ან მისი მოძრაობის შესაცვლელად საჭიროა ძალის დახარჯვა; წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. ძალის დაუხარჯავად) სხეული მუდამ უძრავი იქნება და ან იმოძრავებს წრფიულად (სწორ ხაზობრივ) და თანაბრად.— **ინერციული,** ინერტი, უმოქმედო, უმოძრაო, ჯიქი.

**ინვალიდ-ი,** შრომის უნარდაკარგული, უმთავრესად - სამხედრო სამსახურში (დაჭრილი, დასახიჩრებული, ღრმად მოხუცებული).

**ინვარიანტ-ი,** მათემატიკაში: უცვლადი ან უცვლელი,—ერთისა ან რამდენიმე ცვლადის ალგებრული ფუნქცია, რომელიც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მასში შემავალი ცვლადების ზოგიერთ გარდაქმნისას.

**ინვენტარ-ი,** 1) ქონების დაწვრილებითი აღწერილობა, თანადობის უწყება; 2) საინვენტარო წიგნი; 3) მიწათმოქმედებაში: ცოცხალი ინვენტარი— სამუშაო ხვასტაგი (საქონელი); მკვდარი ინვენტარი—იარაღები, მანქანები, საზიდი საშუალებანი.

**ინვერსია,** 1) სიტყვების გადასმა წინადადებაში (გრამატ.); 2) ორგანოების გადაბრუნება ან შიგნეულის თანდაყოლილი გადაადგილება (ანატ.).

**ინვერტაზ-ი, ინვერტინ-ი,** ლერწმის შაქრის—გლუკოზისა და ფრუქტოზის ნარევად გადამქცევი ფერმენტი, — მნიშვნელოვანია მონელების პროცესისათვის.

**ინვესტირება,** კაპიტალის მოთავსება რაიმე საწარმოში: კაპიტალისტურ საზოგადოებაში

— მოგების მიზნით, საბჭოთა კავშირში—სოციალისტური ამშენებლობის გეგმის მიხედვით.

**ინვესტიტურა**, 1) ბენეფიციების (ნ.) გადაცემა ეპისკოპოსების და აბატებისათვის; 2) ვასალის (ნ.) სახეიმო შეყვანა ფეოდის (ნ.) მფლობელად; 3) საერო ხელისუფალთა უფლება ეპისკოპოსთა და აბატების დანიშვნისა (საშ. საუკ. ცნობილია ბრძოლა პაპებთან ამ ნიადაგზე - „ინვესტიტურისათვის ბრძოლა“).

**ინვოლუცია**, შებრუნებული განვითარება ორგანოებისა ან მათ ფიზიოლოგიურ თვისებათა (მაგ. დედაკაცის სასქესო ორგანოები ბრუნდებიან მშობიარობის შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში).

**ინიექცია**, 1) წამლის შეშხაპუნება კანქვეშ, კუნთებში და ორგანოებში; 2) მკვდარი ცხოველის და ადამიანის გვამის სისხლძარღვებისა და ღრუების გავსება გამყარების უნარმქონე ნივთიერებით — ანატომიური პრეპარატების მომზადების მიზნით.

**ინიციალები** (მრავლ.), სახელწოდების (უმთავრესად — სახელგვარის) თავკიდური ასოები (მაგ. ს. ს. ს. რ.=საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; ე. ნ.=ეგნატე ნინოშვილი).

**ინიციატივა**, თაოსნობა, მოთაოსნობა, საქმის პირველწამოწყება.—**ინიციატორ-ი**, მოთავე, საქმის პირველწამომწყები.

**ინკარნაცია**, ხორცშესხმა.

**ინკასო, ინკასირება (ინკასს-)**, თამასუქით ან სხვა საბუთით ფულის მიღება მრწმუნებელის მინდობილობით.

**ინკვიზიცია**, კათოლიკური ეკლესიის სასულიერო სასამართლო 13 საუკ. დასაწყისიდან—მწვალებლობასთან (ერესებთან) საბრძოლველად, — რომელსაც ფართოდ ქონდა გაშლილი ჯაშუშობის ქსელი; გასამართლება ხდებოდა ფარულად, და გადაწყვეტილება განუკითხავი (უაპელაციო) იყო; დაკითხვისას მიმართავდა უსაშინელეს წვალებას.—**ინკვიზიტორ-ი**, 1) ინკვიზიციის წევრი; 2) შეუბრალებელი, სასტიკი.

**ინკოგნიტო**, 1) ფარვით, თავის სახელის გამოუმჟღავნებლივ; 2) უცნობად დარჩენის მსურველი. თავის სახელის დამფარველი.

**ინკონფიდენტ-ი**, ინკვიზიციის თვალში არაკეთილსაიმედო.

**ინკორპორაცია**, 1) შერიცხვა, მიღება საზოგადოებაში, კავშირში..; 2) სხვა სახელმწიფოს ან ტერიტორიის შემოერთება სახელმწიფოსმიერ; 2) ცალცალკე გამოცემული საკანონმდებლო აქტების ერთად შეგროვება.-

**ინკორპორისტ-ი,** წიგნების ამკინძველი, მეყდე.

**ინკრუსტაცია,** ხის, ძვლის ან ქვის ნივთში ჩაჭდობილი ლითონის ან სადაფის და მისთ ნათა სამკაული—ისე, რომ ნივთის ზედაპირს არ ამოსცდებოდეს.—**ინკრუსტირება, ვაინკრუსტირებ,** ამგვარად ჩავაჭდობ.

**ინკუბატორ-ი,** კვერცხების გამოსაჩეკი მოწყობილობა.

**ინკუბაცია,** 1) მეფრინველეობაში: წიწილების ხელოვნური გამოჩეკა ინკუბატორებში; 2) ანუ **ინკუბაციური პერიოდი,** ზოოლოგიაში: კვერცხის ჩანასახის განსავითარებლად საჭირო ხანი; მედიცინაში: ავადმყოფობის ფარული პერიოდი, შეყრისა და ავადმყოფობის შუალედი.

**ინოროდეც-ი, ინოროდცები** (სხვა ტომისანნი, არარუსები), ეროვნული უმცირესობა ყოფ. რუსეთის იმპერიაში. — ასეთი დაყოფა წარმოადგენდა ეროვნული შუღლის ჩანერგვის ერთ-ერთ ფორმას. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ეს ცნება და დაამყარა საბჭოთა კავშირში სწორუფლებიან ხალხთა ძმური თანამშრომლობა.

**ინჟექტორ-ი,** 1) ორთქლნაკადის ტუმბო, ორთქლის ქვაბში წყლის სატუმბავი მოწყობილობა; 2) მედიცინაში: შესაშხაპუნებელი.

**ინჟინერ-ი, ინჟენერ-ი,** უმაღლეს ტექნიკურ განათლებამიღებული პირი.

**ინსექტისიდები** (მრავლ.), სასოფლო მეურნეობის მავნებელ მწერთა დამხოცი ნივთიერებები.—**ინსექტოლოგია,** მეცნიერება მწერების შესახებ.

**ინსიგნიები** (მრავლ.), ძალაუფლების, თანამდებობის გარეგნული ნიშნები, მაგ. გვირგვინი, კვერთხი...

**ინსინუაცია,** არაკეთილსინდისიერი ცილისწამება, მოწინააღმდეგის გაქორვა ვნების მიყენების მიზნით.

**ინსოლაცია,** 1) განათება მზის სინათლით; მზის სითბოს რაოდენობა; 2) მედიცინაში: მზის სხივოვანი ენერგიის გამოყენება მკურნალობაში.

**ინსპექტორ-ი,** თანამდებობის პირი. 1) ზედამხედველობს გამგებლობის ან კანონის განხორციელება-შეფარდების დარგში: მაგ. შრომის ინსპექტორი. 2) მეფობის ხანაში: მოწაფეთა ყოფაქცევის მეთვალყურე.

**ინსპექცია,** სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანიზაცია—დაწესებულებათა, საწარმოთა და პირთამიერ განსაზღვრული წესების შესრულების სამეთვალყურეოდ.—**მუშათა და გლეხთა ინსპექცია** (მუშგლეხინი), საბჭოთა დაწესებულებების და სა-

წარმების საკონტროლო და სარაციონალიზაციო სახელმწიფო ორგანო.

**ინსპირაცია,** 1) შესუნთქვა, 2) საიდუმლო ჩაგონება.

**ინსტანცია,** ურთიერთ ხელქვეითობის წესით დაკავშირებულ დაწესებულებათა თითოეული საფეხური (ე. ი. თითოეული ამ დაწესებულებათაგანი), მაგ. სახალხო სასამართლო - პირველი ინსტანციაა. ხოლო საგუბერნიო—მეორე.

**ინსტინქტ-ი.** ალღო: ცხოველთა თანდაყოლილი უნარი მიზანშეწონილი მოქმედებისა. — **ინსტინქტური.** შეუცნობელი, ბუნებრივი.

**ინსტიტუტ-ი.** 1) დაწესებულება, 2) განსაზღვრულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები (მაგ. კერძო საკუთრების ინსტიტუტი); 3) ქალების სასწავლებელი (დახურული) რევოლუციამდე რუსეთში; 4) უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი; სამეცნიერო საკვლევო დაწესებულება.—„**ინსტიტუტკა**", ქალების დახურულ სასწავლებელში აღზრდილი ქალი: გულუბრყვილო. ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი.

**ინსტრუკტ-, ინსტრუქ-.** ნ. ინსტრუქტ-.

**ინსტრუმენტ-ი,** ხელით სამუშაო ან სამზომელო იარაღი. ხელსაწყო.— **მუსიკალური ან ხამუსიკო ინსტრუმენტი,** საკრავი მოწყობილობა.—**ინსტრუმენტალური ან ინსტრუმენტული.** ინსტრუმენტით (იარაღით, საკრავით) შესასრულებელი.

**ინსტრუქტორი,** რაიმე საქმის (პარტიულისა, ტექნიკურისა, პედაგოგიურისა და სხვ.) სწორად დაყენების სპეციალისტი დამრიგებელი.

**ინსტრუქცია,** 1) დარიგება კანონების გამოყენების შესახებ: 2) წესების კრებული.—**ინსტრუქციული,** დამრიგებლობითი. დამრიგებლური. — **საინსტრუქციო,** სადამრიგებლო.

**ინსურგენტ-ი,** აჯანყების მონაწილე. მეამბოხე. — **ინსურექცია (ინსურრ.).** ამბოხი, აჯანყება.

**ინსცენირება,** 1) სცენაზე დადგმა; 2) რისამე სცენობრივად (მოქმედებაში) გამოხატვა; 3) რაიმე შემთხვევის ხელოვნურად გადმოცემა.

**ინტეგრალული,** მთლიანი. განუყოფლივ დაკავშირებული.—**ინტეგრალური სოციალიზმი.** სოციალისტური მოძღვრება, რომელიც ვერ ამჩნევს კლასთ ბრძოლას კლასობრივ საზოგადოებაში და მხედველობაში ჰყავს მთლიანი ტანჯული კაცობრიობა კლასგანურჩევლივ. — **ინტეგრაცია,** ელემენტების გაერთიანება განვითარების

პროცესში; განუყოფლივ-დაკავშირებულობა. — **ინტეგრირება**, ვაინტეგრირებ, დიფერენცირების საწინააღმდეგო მოქმედებას ვაწარმოებ.

**ინტელექტ-ი** (**ინტელლ-**), გონება, გონიერება, ადამიანის შემეცნებითი ნიჭიერება (უპირისპირდება ნებისყოფითს).—**ინტელექტუალური**, გონებრივი, შემეცნებითი.

**ინტელექტუალიზმ-ი** (**ინტელლ-**), 1) ფილოსოფიაში: თეორია, რომელიც ცოდნის ერთადერთ წყაროდ თვლის გონებას (უპირისპირდება ემპირიზმს და სენსუალიზმს, ნ. ესენი); 2) ფსიქოლოგიაში: ფსიქიური პროცესების წარმოდგენების ნიადაგზე ამხსნელი მიმართულება (უპირისპირდება ვოლუნტარიზმს, ნ. ეს).—**ინტელექტუალისტ-ი**, ინტელექტუალიზმის მიმდევარი.

**ინტელიგენტ-ი** (**ინტელლ-**), გონებრივი შრომის წარმომადგენელი მუშაკი; განათლებული, გონებაგანვითარებული. — **ინტელიგენცია**, სხვადასხვა კლასობრივი წარმოშობის პირთა საზოგადოებრივი ფენი, რომელიც ეწევა გონებრივ შრომას (ექიმები. მასწავლებლები, მწერლები...) ან საორგანიზაციო და ტექნიკურს წარმოებაში (ინჟინრები. ეკონომისტები...). კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინტელიგენციის იდეოლოგია უმეტესად ბურჟუაზიულია; საბჭოთა კავშირში ძველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი უკვე მტკიცედ დადგა სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე; ამასთანავე მძლავრი ტემპით მიმდინარეობს ახალი მუშურ-გლეხური ინტელიგენციის შექმნა.

**ინტენდანტ-ი**, არმიის სამომმარაგებლო ნაწილის გამგე.

**ინტენსია**, **ინტენსიობა**, დაძაბვა, გაძლიერება; დაძაბულობა, სიძლიერე.—**ინტენსიური**, დაძაბული, გაძლიერებული.—**ინტენსიური მეურნეობა**, გაუმჯობესებითი (მაგ. ნიადაგის, საწარმოო იარაღების) მეურნეობა (შეად. ექსტენსიური).—**შრომის ინტენსიობა**, შრომის დაძაბულობა,—იზომება დახარჯული ენერგიის რაოდენობით დროის ერთეულში. —**ინტენსიფიკაცია**; დაძაბულობის გაძლიერება; **სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია**, წარმოებრიობის გადიდება ნიადაგისა და იარაღების გაუმჯობესებით.

**ინტერეს-ი** (**-სს-ი**), 1) აღძრული ყურადღება; ყურადსაღებობა, მიმზიდველობა; 2) რაც სარგებლიანი, მნიშვნელოვანი, საჭირო და მისთანა ჩანს; 3) მონაწილეობა. — **ინტერესანტ-ი**. ანგარებიანი ადამიანი.

**ინტერვალ-ი**, შუალედი: 1) მუსიკაში: ორი ბგერის სხვაობა ტონის სიმაღლის მიხედვით. 2) მანძილი ორ ჯარს შუა.

**ინტერვენცია**, ერთი სახელმწიფოს ჩარევა სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, —უმთავრესად —სამხედრო ხასიათისა, წარმოადგენს ომს, რომელსაც აწარმოებს **ინტერვენტ-ი** (ის, ვინც ერევა სხვა სახელმწიფოს საქმეებში ან ხელს უწყობს მას) ერთერთი კლასისათვის დახმარების აღმოჩენის ფორმით.

**ინტერვიუ**, გაზეთის თანამშრომლის საუბარი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან სხვა ცნობილ მოღვაწესთან მნიშვნელოვანი საკითხის გამო, რაც ქვეყნდება გაზეთში.—**ინტერვიუერ-ი**, ასეთი თანამშრომელი გაზეთისა.

**ინტერლუდია**, პიესის ნაწილებს შუა შესასრულებელი პატარა მუსიკალური ნაწარმოები.

**ინტერმედია**, სერიოზული დრამატული ნაწარმოების მოქმედებების შუა შესასრულებელი სახუმარო მუსიკალური პიესა.

**ინტერმეცო** (-ცცო), 1) ინტერმედია; 2) ოპერის მოქმედებებს შუა შესასრულებელი ინსტრუმენტალურ-მუსიკალური ნაწარმოები.

**ინტერმისია** (-სსია), ხანგამოშვებითობა ზოგიერთ ავადმყოფობისას.

**ინტერნატ-ი**, 1) პანსიონიანი სასწავლებელი; დახურული სასწავლებელი, ე. ი. სადაც ასწავლიან და უვლიან; 2) საერთო საცხოვრებელი.—**ინტერნ-ი**. პანსიონიანი (ან დახურული) სასწავლებლის მოწაფე; 2) საავადმყოფოში მცხოვრები უმცროსი ექიმი.

**ინტერნაციონალ-ი**, („საერთაშორისო"), 1) მუშათა საერთაშორისო ასოციაცია (ამხანაგობა): *პირველი ინტერნაციონალი*, მარქსისა და ენგელსის თაოსნობით ლონდონში 1864 წელს დაარსებული—რევოლუციური სოციალიზმისა საპროპაგანდოდ და ყველა ქვეყნების მუშათა კლასის მოძრაობის სახელმძღვანელოდ, გაუქმდა 1876 წ.. *მეორე ინტერნაციონალი* დაარსდა 1889 წ. პარიზში და აერთიანებდა (განსხვავებულად პირველისაგან) სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს; თავიდანვე მასში ადგილი პოვას წვრილბურჟუაზიულმა და რეფორმისტულმა ელემენტებმა; მისმა შემთანხმებლურმა ტაქტიკამ განსაკუთრებით თავი იჩინა 1914 წლის იმპერიალისტური ომის საკითხებში, როცა მისი ბელადები დადგნენ თავიანთი მთავრობების მხარეზე;

მეორე ინტერნაციონალი არსებობს დღეს სოციალ-დემოკრატიულის სახით დას.-ევროპაში. ეგრეთწოდებული 2½ (ანუ ვენის) ინტერნაციონალი ჩაისახა 1921 წ. მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ტაქტიკით უკმაყოფილების ნიადაგზე, ხოლო 1923 წელს შეუერთდა II ინტერნაციონალს, რომელსაც ანტიკლასობრივი მოქმედებისათვის დაერქვა ყვითელი და წარმოადგენს იარაღს ბურჟუაზიის ხელში კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მესამე ინტერნაციონალი, ნ. კომუნისტური ინტერნაციონალი (კომუნიზმთან). 2) პროლეტარიატის საერთაშორისო ჰიმნი, — შედგენილია ფრანგ მუშების პოტიე-ს (ტექსტი) და დეგეიტერ-ის მიერ (მუსიკა).—**ინტერნაციონალიზაცია**, საერთაშორისო სარგებლობის საგნად გახდა, მაგ. ზღვებისა, ნავთსადგურებისა და მისთანათა.

**ინტერნაციონალიზმ-ი**, სხვადასხვა ეროვნების ინტერესთა განურჩევლობის და მათ შორის განსხვავების მოშლის ცნობა და მის განხორციელებისადმი მისწრაფება; ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესთა ერთიანობა. —**ინტერნაციონალისტ-ი**, ინტერნაციონალიზმის მიმდევარი.

**ინტერნაციონალური**, საერთაშორისო.

**ინტერნ-ი**, ნ. ინტერნატი.

**ინტერპელაცია** (**ინტერპელლ-**), წერილობითი შეკითხვა მთავრობისადმი პარლამენტში, რაზედაც პასუხის მიცემა სავალდებულოა მთავრობისათვის. —**ინტერპელატორ-ი**, შემკითხველი.

**ინტერპოლაცია**, ხელნაწერში არაავტორის მიერ ჩამატება.—**ინტერპოლატორ-ი**, ასეთის მქნელი.

**ინტერპრეტაცია**, ტექსტის, კანონების და მისთანათა ახსნა-განმარტება,—კრიტიკული გამოცემა.

**ინტერპუნქცია**, სასვენი ნიშნების ხმარების წესები.

**ინტერფერენცია**, ურთიერთ ზედქმედების მოვლენა საბგერო, სითბოური, სინათლის და მისთანათა ტალღებისა.—**ინტერფერომეტრ-ი**, სხვადასხვა სიდიდეთა საზომი ხელსაწყო ინტერფერენციის საფუძველზე.

**ინტერიერ-ი**, ოთახების ან ანფილადების (ნ.) გამოსახვა ფერწერაში და გრაფიკაში.

**ინტიმ-ი**, **ინტიმური**, დაახლოებული, ახლობლური, ახლომეგობრული, შინაურული, გულითადი. — **ინტიმობა**, **ინტიმურობა**,

სიახლოე, ახლომეგობრულობა, გულითადობა, შინაურულობა.

**ინტოკს-**, ნ. ინტოქს-.

**ინტოლერანტ-ი** (**ინტოლლ-**), სხვა რწმენის ვერ ამტანი, არშემწყნარებელი, განსაკუთრებით რელიგიის დარგში.—**ინტოლერანტობა**, სხვა რწმენის აუტანლობა, შეუწყნარებლობა.

**ინტონაცია**, 1) მუსიკაში: ხმის ან საკრავის ტონის სისწორე თუ უსწორობა სიმაღლის მხრივ; 2) ენათმეცნიერებაში: მეტყველების ტონი (კითხვითი, ძახილითი, თხრობითი),—დამწერლობაში გამოიხატება მხოლოდ ნაწილობრივ.

**ინტოქსიკაცია**, ორგანიზმის მოწამლვა შხამიანი ნივთიერებებით.

**ინტრანზიტივ-ი**, გარდაუვალი, გარდაუვალობითი (მაგ. ზმნა, რომელსაც არ შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი დამატება).

**ინტრიგა**, 1) დრამის ან რომანის კვანძი; 2) ხრიკები, ოინი; 3) სასიყვარულო კავშირი.—**ინტრიგან-ი**, მეხრიკე.

**ინტროდუქცია**, შესავალი.

**ინტროსპექცია**, თვითდაკვირვება, თავის ცნობიერების მიმდინარეობის უშუალო დაკვირვება. — **ინტროსპექტული** ან უკეთ **ინტროსპექციული მეთოდი**, იდეალისტური ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდი,—მარქსისტული ფსიქოლოგიისათვის წარმოადგენს მეორეხარისხოვან მეთოდს.

**ინტუიტივიზმ-ი**, იდეალისტური ფილოსოფიის ერთერთი მიმდინარეობათაგანი,—რომ ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციის (ნ.) გზით.

**ინტუიცია**, ფილოსოფიაში: მჭვრეტელობა, უშუალო შემეცნება, რომელიც მოიპოება მჭვრეტელობის გზით, უპირისპირდება დისკურსს (ნ. ეს). - **ინტუიციური**, მჭვრეტელობითი, უშუალო.

**ინფანტერია**, ქვეითი ლაშქარი.

**ინფანტ-ი**, ბატონიშვილის (სამეფო პრინცის) ტიტული ისპანიისა და პორტუგალიის ყოფ. სამეფოებში.

**ინფანტილიზმ-ი**, „ბავშურობა“: ორგანიზმის განვითარების შეჩერება ან შეგვიანება სასქესო ჯირკვლების არასაკმაო განვითარების გამო, — მჟღავნდება ჯუჯა ტანის ან ევნუქოიდიზმის (ნ. ეს) ფორმებში.

**ინფექცია**, 1) გადამდები სენი; 2) სენის შეყრა, დამართება, გადადება.—**ინფექციური**, გადამდები.

**ინფილტრატ-ი**, ორგანიზმის ქსოვილების გამკვრივება — მათი გაჟღენთის გამო ანთების პროდუქტებით. — **ინფილტრაცია**, მყარი სხეულის გაჟღენთა თხევადი ნივთიერებით.

**ინფინიტივ-ი**, ზმნის განუსაზღვრელი ფორმა (ქართულად ითარგმნება სახელზმნით ანუ მასდარით).

**ინფიქს-ი**, ჩასართი (ნ. აფიქსთან).

**ინფლაცია**, სახელ წიფოში ქაღალდის ფულის ზედმეტობა—ბრუნვის მოთხოვნილების გადაჭარბებით, — შედეგია ქ ღალდის ფულის გაძლიერებული გამო შვებისა ან საქონლის სიმცირისა ბაზარზე.

**ინფლუენცია**, იგივეა რაც გრიპ-ი, (ნ. ეს).

**ინფორმაცია**, შეტყობინება, ცნობება. **ინფორმატორ-ი**, ვინმე მაუწყებელი, შემტყობინებელი, ცნობის მიმწოდებელი. — **ინფორმაციული**, ინფორმაციის ხასიათის მქონე. — **საინფორმაციო**, რაიმე მაუწყებელი, ცნობათა მიმწოდებელი.

**ინფრაწითელი სხივები**, წითელი სხივების ტალღებზე უფრო გრძელსხივებიანი უხილავი სითბოს სხივები.

**ინფუზია**, 1) წამლის შეშხაპუნება; 2) დანაყენი.

**ინფუზორიები** (მრავლ.), უმარტივესი ტიპის ერთუჯრედოვან ცხოველთა კლასი, უიარაღო თვალით უხილავი.

**ინციდენტ-ი**, შემთხვევა, უსიამოვნო და მოულოდნელი.

**ინჰალაცია**, 1) წამლის შესუნთქვა — ორთქლის, აირის ან სითხის სახით; 2) ამგვარად მკურნალობა. — **ინჰალატორ-ი**, საინჰალაციო მოწყობილობა.

**იოგა**, ინდური ფილოსოფური სისტემა — **იოგები** (მრავლ.), ამ სისტემის მიმდევარნი, რომელნიც მჭვრეტელობის გზით ვითომდა მოიპოებენ სასწაულებრივ ძალას — იოგების ნაწილი წარმოადგენს დღეს ინდოელ ფაკიოებს—ჯამბაზ მკითხავებს.

**იოდ-ი**, ერთერთი ქიმიური ელემენტი,—მციოე რაოდენობით ძალიან გავრცელებულია; მოიპოება ზღვის წყალმცენარეთა ნაცრისაგან; მკურნალობაში იხმარება სპირტის ნაყენის სახით. — **იოდიზმ-ი**, მოწამვლა იოდით ხანგრძლივი წამლობის გამო. — **იოდოფორმ-ი**, იოდშერეული კრისტალური ფხვნილი,—იხმარება როგორც სადეზინფექციო საშუალება ქირურგიაში (ნ. დეზინფექცია).

**იონ-ი**, ატომი, მოლეკული, მოლეკულის ნაწილი ან მოლეკულების ჯგუფი, რომელნიც შეერთებულნი არიან ელექტრომუხტებთან.—**იონიზაცია**, იონების წარმოქმნა.

**იოტ-ი**, 1) ბერძნული ი-ს სახელწოდება; 2) შუაენისმიერი სპირანტი (ღრიჭოვანი), წარმოითქმის დაახლოებით როგორც ქართ. ჲ, ა) მცირეოდენი,

ცოტა რამ. — **იოტაცია**, იოტის (ნ. 2) წარმოთქმა ხმოვნის წინ; —**იოტირებული**, ხმოვანი, რომლის წინაც წარმოითქმის იოტი (ნ. 2).

**იპო-**, ნ. ჰიპო-.

**ირადიაცია** (ირრ-), 1) მხედველობის მცთარობა ძლიერად განათებული ფართეულის ზეგავლენით: ასეთი ფართეული გვეჩვენება უფრო დიდად, ვიდრე იმოდენავე ბნელი ფართეული; 2) **რეფლექსის ირადიაცია**: გრძნობის ორგანოებიდან მომდინარე გაღიზიანების გავრცელება ზურგის და თავის ტვინში, რის გამოც კავშირი მყარდება გრძნობის რაიმე ორგანოსა და მოქმედების რაიმე ორგანოს შორის.

**ირაციონალ-ი, ირაციონალური** (ირრ-), 1) გონიერების საწინააღმდეგო; 2) მათემატიკაში: უთანაზომო, თანაშეუზომელი.

**ირაციონალიზმ-ი** (ირრ-), ფილოსოფიური მიმდინარეობა,—სინამდვილეს საფუძვლად უძევს არაგონიერი დასაბამი, შემთხვევითობა.

**ირეგულარული, ირეგულარ-ი** (ირრ-), უწესო, უმწყობრო, გარკვეული წესების არმქონე; ცვალებადი. — **ირეგულარული ლაშქარი**, მართებული სამხედრო გაწრთვნის არმქონე ლაშქარი.

**ირიგაცია** (ირრ-), მორწყვა.—**ირიგატორ-ი**. ქრილობის მოსაბანი და სხეულის ღრუების გამოსარეცხი მოწყობილობა; აგრეთვე —სხეულში სითხის შესაშვები.

**ირის-ი**, 1) იაკოსტა, თათრული ია; 2) თვალის ფერადი გარსი. —**ირიტ-ი**, ფერადი გარსის ანთება.

**ირონია**, დაცინვით შექება. ქირდვა, მქირდნელობა; შექება, რომელიც უდრის გაკიცხვას.— **ირონიული**. ამგვარ დაცინვითი, მქირდნელობითი.

**ირრა-, ირრე-, ირრი-**. ნ. ირა-, ირე-, ირი-.

**ისლამ-ი, ისლამიზმ-ი**, არაბეთში, 7 საუკ. ქ. შ. წარმოშობილი სარწმუნოებრივი მოძღვრება,— დაკავშირებულია „წინასწარმეტყველ" მაჰმად-ის სახელთან (ამიტომ ეძახიან აგრეთვე მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ო ბ ა ს, ნ. ეს) და ატარებს მებრძოლი კაპიტალის ხასიათს.

**ისტერია**, ნერვული სისტემის ერთგვარი აშლილობა, — მჟღავნდება მრავალგვარად: კრუნჩხვა, მოვლა, მგრძნობელობის და მოძრაობის მოშლილობა და სხვა. (წინეთ ითვლებოდა მხოლოდ დედაკაცის ავადმყოფობად).—**ისტერიკა**, ამგვარი ნერვული, მოვლითი მოვლენა.

**ისტორია**, 1) მეცნიერება ადამიანთა საზოგადოებრიობის განვითარების შესახებ; 2) კერძო

მოვლენის ან დარგის თანდათანობრივ განვითარების გადმოცემა; 3) რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა ან მისი აღწერა.—**ისტორიკოს-ი,** ისტორიის მცოდნე და მკვლევარი.—**ისტორიოგრაფია,** მეცნიერება ისტორიულ ცოდნათა განვითარების შესახებ.—**ისტორიული,** 1) წარსული, ძველი; 2) მნიშვნელოვანი.

**ისტორიზმ-ი,** მოვლენათა განხილვა მათი წარმოქმნისა და განვითარების პროცესში,—აუცილებელია როგორც საზოგადოებრივ, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

**ისტორიული მატერიალიზმ-ი,** ისტორიულ პროცესზე იდეალისტური შეხედულების გამომრიცხველი მეცნიერული მეთოდი—ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესწავლისა; მისი ძირითადი დებულებაა: ისტორიულ განვითარების ძირითადი მიზეზია მატერიალური საწარმოო ძალების განვითარება (მარქსისა და ენგელსის სოციოლოგიური მოძღვრება).

**იტალიანური** ანუ **იტალიური გაფიცვა,** გაფიცვის ერთერთი ფორმა, როცა მუშები ხელს არ იღებენ მუშაობაზე, მაგრამ ეწევიან წარმოების ჩაშლას—გარეგნულად გულმოდგინეობის სახით.

**იუბილე,** დღეზეიმი დამსახურებული მოღვაწის ან ღირსშესანიშნავ ფაქტის მერამდენემე (ჩვეულებრივ — 1, 5, 10, 25, 100...) წლის თავზე.—**იუბილარ-ი,** ვისაც (ან რასაც) დღეზეიმს უმართავენ.

**იუდა (ისკარიოტელი),** 1) სახარებით: ქრისტეს ერთერთი მოწაფე, რომელმაც გასცა იგი; 2) გამცემი.

**იუდაიზმ-ი,** ებრაელთა რელიგია.

**იუდოფილ-ი,** ებრაელთა მოყვარული.—**იუდოფობ-ი,** ებრაელებისადმი მტრულად განწყობილი (ნ. ანტისემიტი).

**იუველირ-ი,** ოქროვერცხლეულისა და სპეკალის (ძვირფას ქვების) ხელოსანი.

**იუმორ-ი,** ნ. ჰუმორი.

**იუნგ-ის გეგმა,** დაუესის გეგმის (ნ.) ნაცვლად 1929 წ. მიღებული გეგმა გერმანიისაგან სარეპარაციო გადასახადის აღებისა, —პოლიტიკურად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

**იუნკერ-ი,** 1) მიწათმფლობელთა პარტიის წევრი გერმანიაში; 2) სამხედრო სკოლის მოწაფე რევოლუციამდე რუსეთში.

**იუპიტერ-ი,** 1) ძველ რომაელთა უმთავრესი ღმერთი, ღმერთების უფროსი; 2) ყველაზე დიდი ცთომილი მზის სისტემაში.

**იურიდიული,** უფლებრივი, კანონისამებრი; სამართალ-მცოდნეობის (მაგ. ფაკულტეტი).

**იურისდიქცია,** 1) მართლმსაჯულობის უფლება; 2) სამართალქვემდებარობა.

**იურისკონსულტ-ი,** დაწესებულების თანამშრომელი იურისტი—იურიდიული რჩევების მიმცემი ამ დაწესებულების თანამშრომელთათვის და მის ინტერესების დამცველი.

**იურისპრუდენცია,** სამართალი, სამართალმცოდნეობა.

**იურისტ-ი,** 1) სამართლისა და კანონების მცოდნე; 2) იურიდიული ფაკულტეტდამთავრებული ან ამ ფაკულტეტის სტუდენტი.

**იურტა, იურტ-ი,** ალაჩუხი, კარავი (მომთაბარე ტომთა).

**იუსტიცია,** 1) მართლმსაჯულება; 2) სასამართლოს დაწესებულებანი, სასამართლოს უწყება.

**იუფტ-ი, იუხტ-ი,** ძროხის (ან ხარის) ქურქისაგან დამზადებული ტყავი.

**იქს-ი,** ლათინური ანბანის იგრეკის (ნ.) წინა ასო (x),—აღნიშნავს ალგებრაში გაპტოლების საძიებელ (უცნობ) სიდიდეს.

**იშიას-ი,** საჯდომი ნერვის ნევრალგია (ნ. ეს).

**იხთიოზ-ი,** კანის განვითარების ერთგვარი თანდაყოლილი ძანკი: კანის თევზისებრ ქერცლიანობა.

**იხთიოზავრები** (მრავლ.), უძველესი დროის მტაცებელი ქვეწარმავლები.

**იხთიოლ-ი,** მოშავო უსიამოვნო სუნის სითხე.—მოიპოვება ამონათხარ თევზთა გამოხდის შედეგად; იხმარება მკურნალობაში.

**იხთიოლოგია,** ზოოლოგიის დარგი: თევზთმცოდნეობა.—**იხთიოლოგ-ი,** თევზების მკვლევარი მეცნიერი.

# კ

**კაბალა,** სესხების ან გირავნობის ბარათი, რომლის ძალითაც მოვახშე ახდევინებდა პროცენტს ფულით ან ნატურით (ნ.); გადუხდელობა იწვევდა ქონების წართმევას ან ყმობას.

**კაბალა** (კაბბ-), ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური ფილოსოფია საშ. საუკუნეებში.—**კაბალისტ-ი,** კაბალის წესების შემსრულებელი. მისანი, მისნობის მასწავლებელი —**კაბალისტიკა,** 1) კაბალის წესები; 2) მისნობა საიდუმლოებრივი მოქმედება.

**კაბარე,** 1) სახამრო, რესტორანი 2) მცირე თეატრი, სადაც იდგმება სამხიარულო მუსიკალური, საცეკვაო, სადეკლამაციო

და მისთანა წარმოდგენები; 3) თვით ასეთი სანახაობა.

**კაბელ-ი,** ელექტრონის გამტარად სახმარი მავთულბაგირი,—იხმარება სამიწ სქვეშო ან საწყალქვეშო გაყვანისას, სადაც შესაძლებელია ელექტროდენის კარგვა.

**კაბელტოვ-ი,** 1) 200 მეტრიანი მანძილი ზღვაზე; 2) სახლვაო მახვილი ბაგირი.

**კაბეტისტები** (მრავლ.), იგივეა რაც იკარიელები (ნ.).

**კაბინ-ი,** 1) ტანსახდელი ბინა ზღვის ნაპირას, 2) გემის ან აეროპლანის კაიუტა (ნ. ეს).

**კაბინეტ-ი,** 1) სამეცადინო (საწერი, საკითხავი, სამეცნიერო მუშაობის...) ან მისაღები (ავადმყოფების, მთხოვნელების...) ოთახი; 2) სამეცნიერო ან სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ერთერთი დარგის სპეციალური ნაწილი (მაგ. კოლექციების შესანახი, სამუშაო...); 3) მინისტრის კანცელარია; მინისტრების ერთობლიობა.—**კაბინეტური,** განყენებული, პრაქტიკულ ცხოვრებას დაშორებული.

**კაბოტაჟ-ი,** სანაპირო ნაოსნობა ჩვეულებრივ — ორ ნავსადგურს შუა.

**კაბრიოლეტ-ი,** ორთვლიანი მსუბუქი ეტლი.

**კადასტრ-ი,** უძრავი ქონების აღწერა. მეფასება საგადასახადო მიზნით.

**კადეტთა კორპუს-ი,** საშუალო სამხედრო სასწავლებელი რევოლუციამდე რუსეთში. — **კადეტ-ი.** ასეთ სასწავლებლის მოწაფე.

**კადეტები** (მრავლ.), ყოფ. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (ნ.).

**კადრ-ი,** 1) სამხედრო ნაწილების მუდმივი შედგენილობა; 2) რაიმე დაწესებულების ან დარგის მოაამსახურე თანამშრომელთა ძირითადი შედგენილობა (პარტიის კადრი, სამეცნიერო კადრი...); 3) კინოფილმის ცალკეული სცენა; 4) კადრები, შემკვლელი თაობა რაიმე დარგში.

**კადრილ-ი,** ერთგვარი ფრანგული ცეკვა.

**კავალერ-ი,** 1) მხედარი, რაინდი; 2) ორდენიანი პირი (ნ. ორდენი, 2); 3) მამაკაცი დედაკაცის (ქალის, ნ დამა) მიმართ, ქალთან თავაზიანი, მოსაქციელე ვაჟი, მასთან მოცეკვავე, მისი მიჯრშიყე.

**კავალერია,** ცხენოსანი ჯარი.

**კავალკად-ი.** ცხენოსან მოგზაურთა ან მოსეირნეთა ჯგუფი.

**კავერნა, კავერნები** (მრავლ.), ტუბერკულოზიანი ფილტვების

ღრუები.—კავერნოზული, ღრუ-ებიანი; დაჩვრეტილი, ნესტოვანი.

**კაზაკები** (მრავლ.), 1) თურქულ ტომებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი საბჭოთა კავშირში (ოთხ მილიონამდე,—წარმოადგენენ **კ ა ზ ა ხ ს ტ ა ნ**-ის ავტ. ს. ს. რესპუბლიკის უმრავლესობას; 2) **კაზაკები, კაზაკობა**, 16 საუკუნიდან მოსკოვის სამეფოს განაპირა (დნეპრის, დონის, ურალის და სხვ.) მიდამოებში ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების გამო წარმოქმნილი წოდებრივი დაჯგუფება თავისებური წყობილებითა და უფლებებით,—ჰარმოადგენდა უმეტესად შეძლებულ მოსახლეობას, რომელსაც თვითმპყრობელობა ხშირად იყენებდა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც კაზაკობამ სამოქალაქო ომში მხარი მისცა კონტრრევოლუციას. ნაკლებ შეძლებული ახალგაზრდა კაზაკობა თანდათან მიემხრო საბჭოებს; კაზაკობა, როგორც თავისებური ორგანიზაცია, გაუქმდა; მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა მიმდინარეობს ყოფ. კაზაკობაში ისეთივე ტემპებით, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში:

**კაზარმა, კაზარმები**. საერთო საცხოვრებელი ბინები სამხედრო ნაწილებისათვის; აგრეთვე მუშებისათვის ქარხნებთან.

**კაზაჩოკ-ი**, 1) მსახური ბიჭი ბატონყმობის დროს; 2) კაზაკური სწრაფი ცეკვა (ნ. კაზაკები. 2).

**კაზემატ-ი**, 1) უსაშიშრო ბინა სიმაგრეში—შიგ აგერიებელი ან სამყოფი, 2) პოლიტიკურ დამნაშავეთა დასამწყვდევი ცალკე ბინა ციხეში.

**კაზინო**, კლუბი; დროსსატარებელი ადგილი, ბანქოს სათამაშო სახლი.

**კაზუალური, კაზუალ-ი**, შემთხვევითი.—**კაზუალობა**, შემთხვევითობა.

**კაზუისტიკა**, 1) ხოვადი იურიდიული ნორმების განხილვა კერძო შემთხვევებთან შეფარდებით; 2) მედიცინაში: ავადმყოფობის ფორმის გამომრკვევი კერძო შემთხვევათა რიგი; თაღლითობა კამათში, ხრიკიანობა და სხვ.—**კაზუისტ-ი**, კაზუისტიკაში დახელოვნებული პირი.

**კაზუს-ი**, 1) კერძო შემთხვევა: 2) შესანიშნავი შემთხვევა; 3) იურიდიულად: სამართლის გარკვეული ნორმის შესაფარდებელი რაიმე შემთხვევა.—**კაზუს ბელლი**, ომის საბაბი.

**კათალიკოს-ი**, უფროსი მღვდელმთავარი (საქართველოსა და სომხეთში).

**კათედერ-სოციალიზმ-ი**, პოლიტიკურ ეკონომიაში: სოციალ-ეთიკური სკოლის ირონიული სახელწოდება, — წარმოადგენს ბურჟუაზიულ (უმთავრესად — გერმანიის უნივერსიტეტების მეცნიერთა) მიმდინარეობას: ქადაგობს კაპიტალისტური წყობილების მავნებლობის მოსპობას რეფორმებით. — **კათედერ-სოციალისტები**, ასეთი სკოლის მიმდევარნი.

**კათედრა**, 1) ამაღლებული ადგილი (ან მაღალი მაგიდა) დარბაზში (ან საყდარში) — ორატორის, მასწავლებლის (პროფესორის) ან მქადაგებლისთვის; 2) სასწავლო დარგი უმაღლეს სასწავლებელში (მაგ. კათედრა ფიზიკისა, ფილოსოფიისა, პოლიტეკონომიისა...).

**კათეტერ-ი**, ლითონის ან რეზინის მილი — საშარდედან შარდის გამოსაღები ან წამლის შესასხამი.

**კათეტ-ი**, კათეტები, მართკუთხის (სწორკუთხის) შემცველი ორი გვერდი მართკუთხა სამკუთხედში.

**კათოდ-ი**, გალვანური ელემენტის უარყოფითი პოლუსი. — **კათოდის ლამფა (ნათურა)**, ცვლადი სუსტი ელექტროდენის გასაძლიერებელი მოწყობილობა, — გამოყენებულია ტელეფონიაში, რადიოში და სხვ.

**კათოლიკე**, კათოლიკური ეკლესიის წევრი, კათოლიციზმის მიმდევარი. — **კათოლიკური** ანუ **რომაულ-კათოლიკური** ეკლესია, ქრისტიანული სარწმუნოება, უმთავრესად — დასავლეთ ევროპაში — დაუპირისპირდა XI საუკუნიდან მართლმადიდებლობას, ხოლო XVI საუკუნიდან — პროტესტანტობასაც (ნ. ეს); რომის პაპს თვლის ქრისტეს მოადგილედ ამ ქვეყნად. — **კათოლიციზმ-ი**, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრება.

**კათოლიკოს-ი**, ნ. კათალიკოსი.

**კაიზერ-ი**, იმპერატორი გერმანულ ქვეყნებში.

**კაინოზოური ერა**, დედამიწის განვითარების ახალი (მეხუთე) ხანა, რომლის ბოლოს წარმოიქმნა ადამიანი.

**კაიუტა**, ოთახი გემზე.

**კაკადუ**, ავსტრალიური ქოჩრიანი თუთიყუში.

**კაკაო**, მარადმწვანე ამერიკული მცენარე, — მისი ნაყოფის მარცვლებისაგან მზადდება შოკოლადი და **სასმელი კაკაო**.

**კაკარდა** ნ. კოკარდა.

**კაკოფონია**, ბგერების უსიამოვნო შეხამება; ავხმოვნობა.

**კაკტუს-ი**, ნ. კაქტუს-ი.

**კალამბურ-ი**, ზმა, გონებამახვილი სიტყვების თამაში.—**კალამბურისტი**, კალამბურის შემდგენელი, ოხუნჯი.

**კალანდრ-ი**, ქაღალდის ან ქსოვილის საუთოეველი და მბზინვარების მიმცემი მანქანა.

**კალეიდოსკოპ-ი**, 1) გასართობი მოწყობილობა, რომელშიც ჩანს ფერების მრავალგვარი სიპრელე და ლამაზი მოსახულობები. 2) შთაბეჭდილებათა სწრაფი და მოულოდნელი ცვლა, —სიპრელე.

**კალენდარ-ი**, 1) დროის მნიშვნელოვანი შუალედების აღრიცხვის სისტემა,—დამყარებულია ბუნების მოვლენათა პერიოდულ ცვლაზე; 2) მთელი წლის თვეების, კვირაების და დღეების მაჩვენებელი: **იულიანური კალენდარ-ი** („ძველი სტილი“), იულიოს კეისრის დროს (46 წ. ქ. წ.) შედგენილი კალენდარი; **გრიგორიანული კალენდარ-ი** („ახალი სტილი“), წინ უსწრებს პირველს 13 დღით (შედგენილი რომის პაპის გრიგოლ XIII-ის მიერ 1582 წ.).

**კალენკორ-ი**, ნ. **კოლენკორ-ი**.

**კალვინიზმ-ი**, კ ა ლ ვ ი ნ-ის დაფუძნებული (16 საუკ.) პროტესტანტული რელიგიური მოძღვრება, მოითხოვს სასტიკ ასკეტურ მოთმინებას და არ იწყნარებს სხვა სარწმუნოებას, წარმოადგენს წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის სასოწარკვეთილებას კაპიტალიზმის განვითარების ხანაში.

**კალიბრ-ი**, 1) ცეცხლიარაღის (თოფის, ზარბაზნის...) ლულის შიდადიამეტრი; 2) ზუსტი სანიმუშო ზომა; 3) ზომა; სიდიდე; ღირსება.—**დაკალიბრება**, რაიმე საგნისათვის ზუსტი ზომის მინიჭება კალიბრთან (სანიმუშო ზომასთან) შედარებით.

**კალიგრაფია** (**კალლი-**), სუფთაწერა; ლამაზი წერის ხელოვნება. **კალიგრაფ-ი**, ლამაზად მწერელი.

**კალკ-ი**, ლივი: ნახაზის პირის გადასაღები ერთგვარი გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი; 2) ამგვარად გადაღებული პირი.

**კალკულაცია**, საქონლის თვითღირებულების ან გასაყიდი ფასის გამოანგარიშება.—**კალკულატორ-ი**, გამომანგარიშებელი, მთვლელი.

**კალორ-ი** (**კალორია**), სითბოს ერთეული: 1) მ ც ი რ ე კ ა ლ ო რ-ი, ერთი გრამი წყლის ერთი გრადუსით გათბობისათვის საჭირო რაოდენობა სითბოსი; 2) დ ი დ ი კ ა ლ ო რ-ი. ათასი მცირე კალორი.—**კალორიმეტრ-ი**, სითბური ენერგიის (სითბოს რაოდენობის) საზომი მოწყობილობა; **კალორიმეტრია**, ფი-

ზიკის დარგი,—იკვლევს სით-
ბოს რაოდენობას სსვადასხვა
მოვლენებში (გათბობისა და
გაცივებისას, დნობისა და ჯამ-
ყარებისას, წვისას და სხვ.). -
კალორიფერ-ი, გახურებული
ჰაერით გათბობის მოწყობი-
ლობა შენობაში.

კალოშ-ი, კალოშები, რეზინის ფეხ-
საცმელი,—ჩაიცმევა ჩვეულებ-
რივ ფეხსაცმლის გარედან—სი-
ცივეში ან ტალახში.

კალხონ-ი, ნიფხავი.

კამარილა, 1) კაიძვერა პოლიტი-
კოსთა ჯგუფი ისპანიაში მეფე
ფერდინანდ VII გარშემო
(19 საუკ.); 2) უპასუხისმგებლო
გაიძვერა პოლიტიკოსთა ჯგუ-
ფი,—წარმოადგენს მყვლეთელ
კლასთა აგენტურას სახელმწი-
ფოს მეთაურთან და ახდენს
მასზე შესაფერ გავლენას.

კამედ-ი, გუმფისი, მწებვარე სითხე,
—სდის ზოგიერთ მცენარეს.

კამერა, 1) ოთახი, საკანი; 2) გან-
ცალკევებული ან საერთო სა-
კანი საპატიმროში; 3) სპეცია-
ლური დანიშნულების სასა-
მართლო, მაგ. საბინაო საქ-
მეების კამერა; 4) დახურული
სივრცე აპარატში, ან ხელსაწ-
ყოში; 5) ასაფეთქებელი ყუმ-
ბარის ჩასადები ადგილი
ნაღმში.

კამერგერ-ი, ნ. კამერჰერი.

კამერდინერ-ი, ფარეში, პირადი
მსახური ბურჟუაზიულ საზოგა-
დოებაში.

კამერისტკა ანუ კამერისტ-ი ქალი,
ფარეში ქალი ბურჟ. საზ—ბაში.

კამერპაჟ-ი. პაჟთა კორპუსის მო-
წაფე ძველად რუსეთში.

კამერტონ-ი, ორთითა ჩანგლისებ-
რი ფოლადის იარაღი,—გამოს-
ცემს თავის ფორმისა და სი-
დიდის შესაფერ განსაზღვრუ-
ლი სიმაღლის ტონს.

კამერული ან საკამერო მუსიკა
პატარა ბინაში (ოთახში...) შე-
სასრულებლად და მცირერიცხ-
ვოვან შემსრულებელთათვის
დაწერილი მუსიკალური ნა-
წარმოები.— საკამერო თეატრ-ი,
მცირერიცხვოვან მაყურებელთა
და ინტიმური ხასიათის პიესე-
ბისათვის განკუთვნილი თე-
ატრი.

კამერჰერ-ი (-ჰერრ-), სასახლის
მოხელე ძველ რუსეთში.

კამვოლური მატყლი (კამმვოლლ-),
დაჩეჩილი მატყლი.—კამვოლუ-
რი ქსოვილები, წმინდად და-
ჩეჩილი მატყლისაგან მოქსოვი-
ლი რბილი მატყლის ქსოვი-
ლები.

კამზოლ-ი, გრძელი ახალუხი.

კამილავკა, ქრისტიანული მართლ-
მადიდებელი სამღვდელოების
ცილინდრისებრი თავსაბურავი.

კამის-, ნ. კომის-.

**კამორა** (-რრა), ბანდიტური ხასიათის საიდუმლო საზოგადოება სამხრ. იტალიაში. — **კამორისტ-ი**, კამორის წევრი.

**კამპანია**, 1) საომარი ლაშქრობა; 2) რაიმე მნიშვნელოვანი, გეგმიანი და განუწყვეტლივი მოქმედების ხანგრძლიობა; 3) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ერთჯამიერი მასსური საქმიანობა რაიმე ამოცანის შესასრულებლად, მაგ. თესვის კამპანია, საარჩევნო კამპანია და სხვ.; 4) ჯგუფური ლხინი; მოლხინეთა ჯგუფი (შეად. კომპანია).

**კამპანიონ-ი**, ნ. კომპანია.

**კამპოტ-ი**, ნ. კომპოტ-ი.

**კამუფლაჟ-ი**, სამხედრო მონიღბვის ერთერთი ხერხი: სამხედრო საგნებს (ნაგებობას, გემს, ჯავშნოსანს...) აფერადებენ ისე, რომ მათი მოსახულობა არ შეეფერებოდეს სინამდვილეს. — **კამუფლეტ-ი**, მიწის ზედაპირზე უჩინარი აფეთქება მიწისქვეშ.

**კამფეთ-ი**, ნ. კანფეტ-ი.

**კამფორა**, ქაფური, მკვეთრსუნიანი თეთრი კრისტალური ნივთიერება, იხმარება ტექნიკასა და მედიცინაში.

**კამფორკა**, **კამფორ-ი**, ქურატა: 1) ოთახის მოძრავი სამზარეულო; 2) ჩაიდანის დასადგამი სამოვარზე.

**კანალ-ი**, 1) არხი; 2) მილი (მაგ. ცხოველის სხეულში); 3) ცეცხლმსროლელი იარაღის ლულა.— **კანალიზაცია**, 1) მილების ქსელი მიწისქვეშ — ჩანადენი წყლისა და უწმინდურების სადენად; 2) ასეთის მოწყობა, გაყვანა.

**კანაპე**, ზურგიანი დივანი.

**კანდელაბრ-ი**, ტოტებიანი შანდალი (სასანთლე).

**კანდიდატ-ი**, 1) რაიმე თანამდებობაზე ან ადგილზე მისაღებად ჩანიშნული პირი (სამსახურში, მოწაფედ, წევრად...). 2) სამეცნიერო ხარისხის პირველი საფეხური ძველად რუსეთში; უმაღლესსკოლადამთავრებული გერმანიაში. — **კანდიდატურა**, კანდიდატობა; კანდიდატის წოდება.

**კანდიტერ-ი**, ნ. კონდიტერ-ი.

**კანვა**, ქარგა; ჩონჩხი, საფუძველი.

**კანვერტ-ი**, ნ. კონვერტ-ი.

**კანვოი**, ნ. კონვოი.

**კანიბალ-ი** (კანნ-), კაციჭამია.—**კანიბალიზმ-ი**, კაციჭამიობა.

**კანიკულები** (მრავლ.), არდადეგები, მოწაფეთა დასასვენებელი დრო.

**კანიფოლ-ი**, **კოლოფონ-ი**, ღიაყვითელი ან მოხაკისფერი ფისი,— იხმარება ტექნიკაში, აგრეთვე — ვიოლინოს ხემის წასასმელად.

**კანონადა** (კანონნ-), ზარბაზნების მოხშირებული სროლა. — **კანონირ-ი**, მეზარბაზნე; დაბალი

წოდების არტილერისტი (ჯარისკაცი).

**კანონ-ი,** 1) წესი, ნორმა, ძირითადი დებულება; 2) იურიდ.: სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ყოვლადსავალდებულო წესი; 3) სტამბაში: მსხვილი ასომთავრული.— **კანონიზაცია,** წმინდანად ჩარიცხვა (მართლმადიდ. ქრისტიანულ ეკლესიაში).— **კანონიკური,** საეკლესიო; **კანონიკური სამართალი,** საეკლესიო სამართალი.— **კანონისტ-ი,** საეკლესიო სამართლის მცოდნე.

**კანტატა,** საგუნდო ან საცალკეულო მუსიკალური ნაწარმოები, — იწერება ჩვეულებრივ რაიმე საზეიმო შემთხვევისათვის.

**კანტ-ი,** კიდე, ნაწიბური, არშია.

**კანტილენა,** 1) ერთგვარი მუსიკალური მელოდია; 2) ლირიკულელფერიანი ეპიკური ხალხური სიმღერა რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევის შესახებ.

**კანტონ-ი,** 1) მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 2) შვეიცარიის ფედერაციის ნაწილის სახელი; 3) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში, მაგ. ბაშკირეთისა, ყირგიზეთისა და სხვ.

**კანტონისტები** (მრავლ.), ბატონყმობის ხანაში რუსეთში: დაბადებიდანვე სამხედრო უწყებაში ჩარიცხული სალდათების შვილები.

**კანტორა,** 1) დაწესებულების საქმეთა საწარმოო ბინა—მიწერმოწერისათვის, სავაჭრო ან საბანკო ოპერაციებისათვის და სხვ.; 2) სავაჭრო საწარმის განყოფილება სხვა ქვეყანაში ან სხვა ქალაქში; 3) ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულების ადგილობრივი დამხმარე განყოფილება, მაგ. ბანკის კანტორა. – **კანტორშჩიკ-ი, კანტორისტ-ი,** მეკანტორე, კანტორის თანამშრომელი.— **კანტორკა,** მაღალი დაქანებული საწერი მაგიდა.

**კანტორ-ი,** მომღერალი (სოლო) ებრაელთა სინაგოგაში ან ლუთერანთა ტაძარში.

**კანტროლ-ი,** ნ. კონტროლ-ი.

**კანფეტ-ი** (**კონფეტ-ი**), სხვადასხვა ფორმის ტკბილეული — შაქრისა ან ხილეულისაგან დამზადებული.

**კანფორკა,** ნ. კომფორკა.

**კანცელარია,** 1) დაწესებულების საქმეთ-საწარმოო განყოფილება, სამდივანმწიგნობრო; აგრეთვე—კანცელარიის პირადი შემადგენლობა; 2) მეფობის დროს რუსეთში: ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების სახელწოდება. —**კანცელარშჩინა,**

**კანცელარიზმ-ი**, ბიუროკრატიზმის (ნ. ეს) ერთერთი ფორმა, საქმისადმი მოხელებრივი დამოკიდებულობა, მიწერ-მოწერისათვის მეტი მნიშვნელობის მიცემა და საქმის არსებითი მხარის მივიწყება.—**კანცელარისტ-ი**, კანცელარიის თანამშრომელი.

**კანცლერ-ი**, 1) საშ. საუკუნეებში: სახელმწიფო ბეჭდისა და სახელმწ. არქივის მცველი წარჩინებული მოხელე; 2) ახლა გერმანიაში: **რეიხსკანცლერ-ი**, პრემიერმინისტრი (ნ. ეს); 3) მეფობისას რუსეთში: სამოქალაქო სამსახურის უმაღლესი წოდება.

**კანცონა**, ლირიკული ლექსის ერთგვარი ფორმა, უპირველესად— სასიყვარულო შინაარსისა,—წარმოიშვა პროვანსში.

**კაოლინ-ი**, ფაიფურისა და საქიმიო ჭურჭლის დასამზადებელი თეთრი თიხა.

**კაპეიკ-ი** (კოპ-), რუსული ფული, მანეთის მეასედი ნაწილი.

**კაპელა** (-ლლა), 1) კათოლიკეთა სამლოცველო ანუ ტაძრის ნაწილი; 2) საეკლესიო მგალობელთა გუნდი; გუნდი საერთოდ; 3) ერთერთი მოკაშკაშე ვარსკვლავთაგანი მეეტლის თანავარსკვლავედში. —**კაპელან-ი**, კაპელის (1) მღვდელი.

**კაპელდინერ-ი** (კაპელლ-), ბილეთების ჩამომრთმევი და ადგილის მაჩვენებელი მსახური თეატრში.

**კაპელმეისტერ-ი** (კაპელლ-), ორკესტრის ხელმძღვანელი ლოტბარი.

**კაპილარები** (კაპილლ-, მრავლ.), ბეწვმილები: წვრილი სისხლძარღვები.

**კაპილარობა** (კაპილლ-), ბეწოვნობა: სითხის აწევ-დაწევის მოვლენა წვრილ მილებში,—დამოკიდებულია სითხისა და მყარი სხეულის შორის მიზიდულობა-განზიდულობისაგან.

**კაპიტალ-ი**, 1) ღირებულებათა ჯამი (ფული, შრომის იარაღები, ნედლეული...), რაც გამოყენებულია ზედმეტი ღირებულების მოსაპოებლად სხვისი შრომის ექსპლოატაციის გზით; 2) საყოველდღეო სიტყვახმარებაში: ფულის მნიშვნელოვანი თანხა; 3) „**კაპიტალ-ი**", კ ა რ ლ  მ ა რ ქ ს ი ს უმთავრესი შრომა, რომელშიც გამოკვლეულია კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკა (I ტომი გამოვიდა 1867 წ., ხოლო II და III მარქსის სიკვდილის შემდეგ— 1885 და 1894 წწ.).

**კაპიტალიზაცია**, 1) ქონების (მიწის, სახლის...) ღირებულების განსაზღვრა მისი შემოსავლიანობის მიხედვით; 2) ღირებულების კაპიტალად გადაქცევა.

**კაპიტალიზმ-ი,** ე. წ. მოწინავე ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის გარეთ, დღეს გაბატონებული ეკონომიური წყობილება,—რომელსაც ახასიათებს: 1) საწარმოო საშუალებებისა და იარაღების კერძო საკუთრება ერთი კლასის ბურჟუაზიის —ხელში; 2) საწარმოო საშუალებათა არმქონე მუშათა კლასის შრომის ექსპლოატაცია; 3) საზოგადოების კლასობრივი შედგენილობა: ერთის მხრით—საწარმოო საშუალებათა მფლობელი მცირეოიცხოვანი კლასი—ბურჟუაზია, ხოლო მეორე მხრით—ასეთს მოკლებული და იძულებული გაყიდოს თავისი ძალა—პროლეტარიატი; 4) საქონლის საბაზროდ წარმოება—ბაზრის ტევადობის გაუთვალისწინებლივ, რაც იწვევს წარმოების ანარქიულობას. წარსულში კაპიტალიზმი წარმოადგენდა პროგრესიულ მოვლენას, რამდენადაც მან შექმნა მატერიალური წინამძღვრები სოციალიზმისათვის, ხოლო ამჟამად იგი აბრკოლებს საწარმოო ძალების განვითარებას.

**კაპიტალური,** ძირითადი, მთავარი, საფუძვლიანი, ფუძემდებელი.

**კაპიტან-ი,** 1) უფროსი ოფიცრის წოდება ბურჟუაზიულ არმიებში; 2) გემის უფროსი.

**კაპიტელ-ი,** 1) სვეტისთავი; 2) ასომთავრული ნაბეჭდი.

**კაპიტულაცია,** 1) საომარ მოქმედებათა შეწყვეტის ხელშეკრულება მო ინააღმდეგეთა შორის; 2) ციხესიმაგრის ან ჯარების დანებება მტრისათვის.

**კაპიტულაციები** (მრავლ.), კაპიტალისტურ სახელმწიფოთა და ნახევრადკოლონიალურ ქვეყნებს შორის ისეთი შეთანხმება, რომლის ძალითაც პირველთა მოქალაქეებს ეძლევათ სხვადასხვა უპირატესობანი.

**კაპორ-ი,** ერთგვარი ქუდი ქალისა ან ბავშის.

**კაპოტ-ი,** 1) დედაკაცის საშინაო სრული კაბა; 2) ტექნიკაში: მანქანების გადასახურავი.

**კაპრალ-ი,** უმცროსი უნტეროფიცერი ბურჟუაზ. არმიებში.

**კაპრიზ-ი,** ახირებული სურვილი, ჟინიანობა, ჯიუტობა, თვითნებურობა, უხიაკობა და სხვა ასეთი.

**კაპსულ-ი,** **კაფსულ-ი,** 1) ფაიფურის ან ლითონის პატარა თეფში,—იხმარება აფთიაქში და ქიმიის ლაბორატორიაში.—2) ჟელატინის (ნ.) ცალიერი აკუსკა,—ძაში თავსდება არასასიამოვნო გემოვნების წამალი; 3) ფისტონი.

**კაპტაჟ-ი,** 1) წყლის მოპოება-გროვება წყალმიწოდების მიზნით; 2) სასმელი ან სამკურნალო

წყლის მოთავსება წყალგაუვალ მილებში.

**კაპტენარმუს-ი,** თანამდებობის პირი არმიის სამეურნეო ნაწილში.

**კაპუცინ-ი,** 1) სამხრეთ ამერიკული ადვილმოსაშინაურებელი მაიმუნი; 2) ბალახვარდა (მცენ.); 3) **კაპუცინები** (მრავლ.), კათოლიკე ბერების ერთერთი ორდენი (აღხანაგობა).

**კარაბინ-ი,** ერთგვარი მოკლე თოფი, – იხმარება უმთავრესად კავალერიაში.

**კარაიმები** (მრავლ.), ებრაელთა რელიგიური სექტა,—არ იწყნარებს თალმუდს (ნ. ეს).

**კარაკულ-ი,** ბატკნის დამუშავებული ქურქი.

**კარანტინ-ი,** „ორმოცდღიურა": 1) ეპიდემიით მოცული ადგილიდან გამოსული პირის დაკავება განსაზღვრული ვადით; 2) სანიტარული დაწესებულება, სადაც ასეთებს აკავებენ.

**კარას-ი,** კარჩხანა თევზი.

**კარატ-ი,** ძვირფასი ქვების წონის ერთეული, უდრის გრამის მეხუთედს.

**კარბოვანეც-ი,** ერთი მანეთი (უკრაინაში).

**კარბოლ-ის მჟავა,** თეთრი კრისტალური ნივთიერება,—მიიღება ქვანახშირის კუპრის გამოხდით, საწამლავია და იხმარება სადეზინფექციოდ (ნ. დეზინფექცია).

**კარბონარიები** (მრავლ.), საიდუმლო რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოება იტალიაში (19 ს. დასაწყისიდან).

**კარბონიზაცია,** დანახშირება: 1) ორგანიული ნივთიერების (ხის, ქვანახშირის...) გახურება ჰაერშეუვალად, რის შედეგადაც ხდება დანახშირება და მშრალი გამოხდა; 2) ნახევრადმატყლის ჩვრის ერთგვარი დამუშავება — მცენარეული ბოჭკოს გაცლის მიზნით.

**კარბუნკულ-ი,** 1) ბედნიერა, ავთვისებიანი მუწუკები ჯგუფად; 2) წითელი ლალი.

**კარბიურატორი,** ბენზინის ჰაერთან შერეული ასაფეთქებელი მასალის მოსამზადებელი მოწყობილობა ავტომობილში, საავიაციო და სხვ. მოტორებში.

**კარდა** ან **კარდ-ი,** მატყლისა და ბამბის ბოჭკოების საჩეჩ-საწმენდი ფოლადისნემსებიანი მუსი (ჩოთქი) — **კარდვა,** ვკარდავ, ვჩეჩ, ვწმენდ.

**კარდინალ-ი,** კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო ხარისხი (კარდინალების კრებული ირჩევს თავის წრიდან რომის პაპს).

**კარდინალური,** უმთავრესი, ძირითადი.

**კარდიოგრაფ-ი,** გულისცემის გრაფიკულად აღმნიშვნელი ხელსაწყო.— **კარდიტ-ი,** გულის ანთება.

**კარე** (კარრე), ქვეითა ჯარის ოთხკუთხი წყობა—კავალერიის შეტევის მოსაგერიებლად.

**კარეტა** ( ტტა), ფანჯრებიანი დახურული ეტლი.

**კართეზიელები, კართუზიელები** (მრავლ.), კართუზიის უდაბნოში (საფრ.) 11 საუკ. დაარსებული ბერთა ორდენი (ამხანაგობა).

**კარიატიდ-ი**, სვეტი დედაკაცის სახით (ნ. ატლანტი).

**კარიერა** (კარრ-), 1) სამოქმედო ასპარეზი ცხოვრებაში; 2) წინსვლა, წარმატება სამსახურში ან მოღვაწეობაში.—**კარიერიზმ-ი**, პირადი დაწინაურების, წარჩინების მაძიებლობა უმთავრესად — სამსახურში. —**კარიერისტ-ი**, მხოლოდ პირადი წარჩინების, დაწინაურების მაძიებელი,—მოსურნე.

**კარიერ-ი** (კარრ-), 1) ცხენის ჭენება; 2) ტექნიკაში: არაღრმად ჩაწოლილი მადნეულის ღია დამუშავება.

**კარიკატურა**, 1) მოვლენის ან პიროვნების გამოსახულება, სადაც დამახასიათებელი თვისებები გაზვიადებულია; მიზანია პიროვნების ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის გაკიცხვა-დაცინვა; 2) სასაცილო მიბაძვა, დამახინჯება.—**კარიკატურისტი**, კარიკატურის მხატვარი.

**კარკას-ი** (-სს-), 1) ჩონჩხედი: განსაზღვრული ფორმის ერთმანეთთან დამაგრებული ნაწილები—ლითონისა (მავთულის) ან ხისა, მაგ. ქუდის, შენობის, ხომალდის და სხვ.; 2) ძველებური ყუმბარა.

**კარკინ-**, ნ. კარცინ-.

**კარლიკ-ი** (მრავლ.), 1) ჯუჯაკაცი, მომწიფებულ ასაკში 130 სანტიმეტრზე ნაკლები სიმაღლის ადამიანი; 2) **კარლიკები**, 150 სანტ. ნაკლები სიმაღლის ტომები (მაგ. ბუშმენები სამხრ. აფრიკაში).

**კარმანოლა, კარმანოლ-ი**, ფრანგული სარევოლუციო სიმღერა ცეკვითურთ,—შედგენილია 1792 წ.

**კარმინ-ი**, მკაფიოწითელი საღებავი, ჭიაფერი — იხმარება ფერწერაში, ჩითბეჭდვაში და სხვ.

**კარნავალ-ი**, საყველიერო დროსტარება კათოლიკურ ქვეყნებში, განსაკუთრებით—იტალიაში,—წარმოადგენს გამოხატულის წარმართული ზეიმობის ნაშთს.

**კარნიზ-ი**, ლავგარდანი, კედლის ზემო ჰორიზონტული წამონაზლუდი (ხუროთმოძღვრებაში).

**კარპათები** (მრავლ.), შუა ევროპის მთების სახელწოდება.

**კარპოლოგია**, ბოტანიკის დარგი: მცენარეთა ნაყოფმცოდნეობა.

**კარსეთ-ი** (კორსეტ-ი), 1) დედაკაცის ერთგვარი უსახელოებო ზედატანსაცმელი, – შემოშარტავს გულმკერდს და მუცელს; 2) მედიცინაში: გიპსის, ტყავის ან ქსოვილის უდრეკი ჩასაცმელი ხერხემლის გამრუდებისას.

**კარტა**, რუკა (გეოგრაფიული, ასტრონომიული, ზღვის, ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და სხვ.).

**კარტ-ბლანშ-ი**, ნ. კარტ-ი.

**კარტეზიანები** (მრავლ.), ფილოსოფოს დ ე კ ა რ ტ-ის (17 საუკ.) მოძღვრების მიმდევარნი.—**კარტეზიანობა**, დეკარტის შექმნილი ფილოსოფიური მიმდინარეობა.

**კარტელ-ი** (-ლლი-), 1) დუელში გამოწვევა; 2) დამნაშავეთა და ტყვეთა გაცვლის ხელშეკრულობა; 3) კაპიტალისტური მონოპოლიის ერთერთი ფორმა: კაპიტალისტების შეთანხმება კონკურენციის (ნ.) შესასუსტებლად—ბაზრის დაუფლებისა და ფასების აწევის მიზნით.

**კარტეჩ-ი**, ფინდიხი, ერთგვარი საარტილერიო ყუმბარა.

**კარტ-ი**, ბანქო, სათამაშო ქაღალდი.—**კარტ-ბლანშ-ი**, 1) ბანქოს ღიად თამაში; 2) მოქმედების თავისუფლება; ვისთანმე გულახდილობა.

**კარტოგრამა** (-მმა), სტატისტიკური ცნობების გრაფიკული გამოსახვა.—**კარტოგრაფია**, რუკათმცოდნეობა, გეოგრაფიული რუკების აგება-შედგენის მცოდნეობა.—**კარტოგრაფ-ი**, რუკათმცოდნე.

**კარტოთეკა**, საცნობო ან სარეგისტრაციო ბარათების კრებული.

**კარტონ-ი**, მუყაო, სქელი და მაგარი ქაღალდი.

**კარტუზ-ი**, 1) წინაფრიანი ბრტყელი ქუდი; 2) დენთის (თოფისწამლის) პარკი ზარბაზნის დასამუხტავად.

**კარტუზიელები**, ნ. კართეზიელები.

**კარუსელ-ი**, 1) წინეთ: თავშესაქცევი ცხენოსნობა, ჯირითი; 2) ახლა: ირგვლივ სატრიალო ხალხური სათამაშო მოწყობილობა ხის ცხენებითა და სკამებით.

**კარცერ-ი**, მოკლევადით დასამწყვდევი ოთახი მეფობისას რუსეთში, — ამწყვდევდენ მასში დასჯა-გასწორების მიზნით, უმთავრესად ჯარისკაცებს და მოწაფეებს. საბჭოთა სამართალმა კარცერი არ იცის.

**კარცინომა**, კიბო, ავთვისებიანი სიმსივნე.

**კასა** (კასსა), სალარო: 1) საფულე ყუთი ან შკაფი; აგრეთვე მათში შენახული ფული; გარკვეული თანხის თანადობა; 2) ფულის მიმღებ-გამცემი დაწესებულება; 3) სტამბაში: უჯრებიანი ყუთი ჩამოსასხმელი

ასოებისთვის.—ურთიერთ დამხმარე კასა, წევრთათვის ნივთიერ დახმარების აღმომჩენი (მიმცემი) დაწესებულება,—არსებობს ჩვეულებრივ პროფესიულ კავშირებთან.—შემნახველი კასა, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც იღებს მცირე ანაბარებს მოხოგვის მიხნით; საბჭოთა კავშირში — ერთერთი საკრედიტო (ნ. კრედიტი) დაწესებულება,—ხელს უწყობს მოსახლეობაში მომჭირნეობის განვითარებას და მასთანვე წარმოადგენს სახ რების დაგროვების საშუალებას მრეწველობისათვის. კასირ-ი, მოლარე, სალაროს გამგე, ფულის მიმღებგამცემი.

კასაცია (კასს-). 1) ქვემდგომი სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა ზემდგომ ინსტანციაში მხარეთა განსაჩივრების თანახმად, 2) სასამართლოს განაჩენის გაუქმება ზემდგომი ინსტანციისმიერ კანონის უმართებულ შეთარდებისა ან სათანადო წესების დაუცველობის გამო.

კასეტ-ი (კასსეტტ-ი), საფოტოგრაფიო ფირფიტის მოსათავსებელი სინათლეგაუვალი ბრტყელი ყუთი.

კასირ-ი, ნ კასა.

კასკა, ჩაფხუტის ანუ ზურისებრი ლითონის ან ტყავის სამხედრო ქუდი ახურავს აგრეთვე მეხანძრეებს.

კასკად-ი, პატარა ჩანჩქერი, უმეტესად ხელოვნური.

კასტა 1) განმარტოებული საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს გარკვეული საერთო ხელობა-საქმიანობა და წარმოდგენა საერთო წარმოშობის შესახებ; საზოგადოების კ ა ს ტ უ რ ი დაყოფა ახასიათებს მაგ ინდოეთს; 2) თავის ძველ ჩვეულებათა და თავის პრივილეგიების თავგამოდებით დამცველი საზოგადოებრივი ჯგუფი.

კასტანეტ ი, ხის სათითე საქლარუნო ცეკვის დროს (ესპანეთში .

კასტელან-ი (-ლლან-ი). 1) კასტელის (ციხე-კოშკის) მფლობელი, ზედამხედველი; 2) კათოლიკური ტაძრის დარაჯი.— კასტელანშა, მეთეთრეულე ქალი საავადმყოფოში და სხვ.

კასტიუმ-ი, ნ. კოსტიუმ-ი.

კასტორ-ი, მაუდისებრი მატყლის ქსოვილ ი. — კასტორის ზეთი, სასაქმებელი მცენარეული ზეთი.

კასტრატ-ი, დასაჭურისებული, დაკოდილი; საჭურისი.— კასტრაცია, დასაჭურისება. დაკოდვ ა.— კასტრირება, ვაკასტრირებ, ვასაჭურისებ, ვკოდავ.

**კასტრულ-ი,** საჭმლის სახარშავი ჭურჭელი—თუჯის ან სპილენძის.

**კატაკლიზმ-ი,** 1) წარღვნა; 2) უეცარი ცვლილება, გარდაქმნა.

**კატაკომბები** (მრავლ.), ძველ ქრისტიანთა აკლდამები,—წარმოადგენდენ მათს სამლოცველო ბინებს და მიცვალებულთა სამარხს; ცნობილია მეტადრე იტალიის კატაკომბები.

**კატალეფსია,** ისტერიის ერთგვარი ფორმა—სხეულის კრუნჩხვითი გაშეშება რაგინდ მდგომარეობაში.

**კატალექტური,** ნაწყვეტოვანი, არასრული, ნაკლოვანი.

**კატალიზატორები** (მრავლ.). ქიმიური რეაქციის აღმძვრელი ან დამჩქარებელი ნივთიერებები.—**კატალიზ-ი,** ქიმიური რეაქციის აჩქარება კ ა ტ ა ლ ი ზ ა ტ ო რ ი ს გავლენით.

**კატალოგ-ი,** საგანთა კრებულის სია, განსაკუთრებით წიგნთსაცავში დაცული წიგნებისა.—**კატალოგიზაცია,** კატალოგის შედგენა.—**კატალოგიზირება,** ვაკატალოგიზირებ, კატალოგს ვუდგენ რაიმე საგნებს წიგნებს და სხვ.

**კატაპულტა,** 1) ძველებური ისარსატყორცნი მანქანა; 2) გემბანიდან აეროპლანის ამტყორცნი მოწყობილობა.

**კატარაქტა,** 1) თვალის ბროლის ამღვრევა რაიმე დაზიანების გამო; 2) **კატარაქტები** (მრავლ.), წყალცემის ადგილის დამსაფეხურებელი ჩანჩქერები.

**კატარ-ი** (-რრ-ი), მედიცინაში: ლორწოიანი გარსის ანთება (ცხვირში, ყელში, ნაწლავებში და სხვ.).

**კატასტროფა,** 1) უეცარი შემაძრწუნებელი შემთხვევა; საუბედურო ბოლო; 2) დრამის ნასკვის გახსნა.

**კატაფალკ-ი,** კუბოს დასადგამი ადგილი; დასაკრძალავი ეტლი.

**კატეგორია,** 1) რიგი, თანრიგი, დარგი; რაიმე მხრივ მსგავს საგანთა კრებული. 2) ფილოსოფიაში: განზოგადოების გზით მიღებული გვარობითი ცნება (არისტოტელით); სუბსტანცია (ნივთი), თვისება და ფარდობა (ახალი ფილოსოფიით); ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის გვარობა მყოფობისა.—**კატეგორიული,** უცილობელი, გადაჭრითი.—**კატეგორიული იმპერატივ-ი,** ნ. იმპერატივი.

**კატედ-,** ნ. კათედ-.

**კატელოკ-ი,** ნ. კოტელოკ-ი.

**კატერ-ი,** კატარღა, მატორიანი ან ორთქლის პატარა ნავი.

**კატეტ-,** ნ. კათეტ-.

**კატეხიზის ი,** რაიმე ცოდნის კითხვა-პასუხით გადმოცემა ან სწავ-

ლება.—კატეხიზმო, ქრისტიანული მოძღვრების კითხვა-პასუხით დაწერილი სასწავლო წიგნი.—კატეხიზაცია, კითხვა პასუხში გაფორმება.

კათლეთ-ი (კოტ-), დაკეპილი (ან დაბეგვილი) და მოხრაკული ხორცი—პატარა ლავაშის ფორმისა.

კატოდ-, ნ. კათოდ-.

კატორგა, კატორღა, 1) იძულებითი მძიმე სამუშაოები დამნაშავეთა დასასჯელად საგანგებო (საკატორღო) საპატიმროებში ან სახელმწიფოს ისეთ კუთხეში, სადაც საჭიროა მუშახელი, ყოფილ რუსეთში უმთავრესად ციმბირში; 2) ადგილი, სადაც ასახლებდენ ასეთ სასჯელმოსახდელებს. საბჭოთა კავშირში კატორღა გაუქმებულია.—კატორღელი, კატორღაში მყოფი, კატორღამისჯილი.

კაუზალობა, მიზეზობრიობა.—კაუზალური, მიზეზობრივი.

კაუპერ-ი, ტექნიკაში: ბრძმედში შემავალი ჰაერის გამცხელებელი მოწყობილობა.

კაუჩუკ-ი, ერთგვარი ხე ინდოეთში,—მისი წვენისაგან ამუშავებენ მრავალგვარ ნივთებს, მაგ. კალოშებს, გოჭრის სალტეებს და სხვას; ღეზინა.

კაფე, ყავახანა.—კაფერესტორან-ი, სასმელ-საჭმელებიანი კაფე.—კაფეშანტან-ი, სცენიანი დროსსატარებელი კაფე.

კაფელ-ი, გამომწვარი თიხისაგან დამზადებული აგური ღუმელებისათვის.

კაფსულ-ი, ნ. კაპსული.

კაქტუს-ი, ცენტრალური ამერიკის ხორცოვან ღეროიანი მცენარე; არსებობს ათასზე მეტის სახისა; ზოგიერთის ნაყოფი იჭმევა.

კაშემირ-ი, მატყლის ან ნახევრადბამბის რბილი ქსოვილი.

კაშნე, ყელსახვევი შარფი.

კეგელ-ი. სასტამბო შრიფტის ერთი ზომა.

კეგლ-ი, ერთგვარი თამაში ხის ბირთვებით.

კედრ-ი, კედარ-ი, ლიბანის ნაძვი, წიწვოვანი ხე სხვადასხვა სახისა.

კეისარ-ი, იმპერატორის ტიტული (ძვ. რომში).

კეკს-ი, ნ. კექს-ი.

კეკ-უოკ-ი, ერთგვარი ამერიკული ცეკვა.

კელნერ-ი (კელლ-), რესტორანის მსახური.

კელოგის პაქტ-ი (კელლ-, ნ. პაქტ-ი), ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების გარეშე-საქმეთა მინისტრის, კ ე ლ ლ ო გ ი ს, ინიციატივით სახელმწიფოთა უმრავლესობისმიერ ხელმოწერილი (პარიზში, 1928 წ. აგვისტოში) ხელშეკრულება — ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის საშუალების, უარყოფის

შესახებ. — კელოგის პაქტმა სრულიად ვერ შეანელა კაპიტალისტური ქვეყნების ომისათვის მზადება.

**კენგურუ**, მაღალ-ფეხებიანი პარკიანი ცხოველი ავსტრალიასა და ახალ გვინეაში.

**კენოზოური**, ნ. კაინოზოური.

**კენტავრები** (მრავლ.), ცხენკაცები, ვირდევები; ძვ. ბერძენთა მითოლოგიით: ზღაპრული მხეცთა მსგავსი ხალხი, გამოისახებოდნენ წელზეით კაცად, წელქვეით ცხენად.

**კეპი**, სამხედრო ყაიდის წინაფრიანი ქუდი.

**კერამიკა**, 1) გამომწვარი თიხისაგან ნაკეთები ჭურჭლეულობა; 2) ასეთის ხელოვნება.

**კერატინ-ი**, ცილოვანი ნივთიერება,—აქვს რქას, თმას, ფრჩხილს და სხვ. **კერატიტ-ი**, თვალის რქოვანი გარსის ანთება.

**კესონ-ი** (კესს-), მოწყობილობა საწყალქვეშო სამუშაოებისათვის — მუშების ჩასაშვებად წყალქვეშ.

**კეტა**, ორაგულისებრი თევზი, — ცხოვრობს წყნაროკეანეში; ცნობილია კ ე ტ ი ს ხ ი ზ ი ლ ა ლ ა.

**კეფალ-ი**, ერთგვარი პატარა თევზი, — ცხოვრობს ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში, აგრეთვე შავზღვაში და სხვ.

**ფალომეტრია**, ადამიანის თავის ზომვა,—ანთროპოლოგიის ნაწილი.

**კეფირ-ი**, ძროხის რძისაგან დამზადებული სასმელი — იხმარება სამკურნალო მიზნებით.

**კექს-ი**, ერთგვარი ტკბილი ნამცხვარი.

**კვადრანტ-ი**, 1) წრის მეოთხედი (გეომეტრიაში); 2) ცისმნათობთა სიმაღლის საზომი (ასტრონომიაში); 3) სამიზნებელი ხელსაწყო (არტილერიაში).

**კვადრატ-ი**, 1) ტოლგვერდებიანი ოთხკუთხი, რომლის ოთხივე კუთხე მართკუთხეა; 2) რიცხვის მეორე ხარისხი ანუ ტოლმამრავლთა ნაწარმოები. — **კვადრატული**, **კვადრატისებრი** კვადრატის ხასიათისა.—**კვადრატურა**, მოცემული მრუდით შემოფარგლული ფართობის გამოანგარიშება.—**წრის კვადრატურა**, შეუძლებელი რამ.

**კვადრი-**, ნ ქვადრი-.

**კვაზი-**, ნ. ქვაზი-.

**კვაკერები** (მრავლ.), 17 საუკუნეში შექმნილი რელიგიური სექტა ინგლისსა და ამერიკაში.

**კვალიტ-**, ნ. ქვალიტ-.

**კვალიფიკაცია**, 1) საგნის ან მოვლენის თვისება-ღირსების განსაზღვრა, დაფასება; 2) ადამიანის ვარგისობის ხარისხი რაიმე ხელობისათვის ან სამუშაოსათვის.—**კვალიფიცირება**, **ვაკვალიფიცირებ**, 1) ვსაზღვრავ

რისამე თვისება-ღირსებას, ვაფასებ; 2) ვსაზღვრავ ვისიმე ვარგისობას ამათუიმ სამუშაოსათვის. კვალიფიცირებული მუშახელი, შრომა, მაღალი ხარისხის მუშახელი, შრომა.

**კვანტ-**, ნ. ქვანტ-.

**კვარტა, კვარტ-ი**, მეოთხე, მეოთხედი: 1) ფხვიერ და თხევად სხეულთა საზომი; 2) დიატონიკური გამის მეოთხე საფეხური.

**კვარტალ-ი**, 1) შენობებით დაკავებული ქალაქის ნაწილი—ოთხი ქუჩით შემოფარგლული; 2) წლის მეოთხედი.

**კვარტეტ-ი**, ნ. ქვარტეტ-ი.

**კვარც-ი**, ნ. ქვარც-ი.

**კვას-ი**, ბურახი.

**კვატერნა**, ნ. ქვატერნა.

**კვესტორ-ი**, ნ. ქვესტორ-ი.

**კვიეტ-**, ნ. ქვიეტ-.

**კვინ-**, ნ. ქვინ-.

**კვიპაროზ-ი**, წიწვოვანი მაღალი ხე სხვადასხვა სახისა.

**კვირ-**, ნ. ქვირ-.

**კვიტანცია**, ქვითარი, მიღების (ან ჩაბარების) ხელწერილი.

**კვორ-**, ნ. ქვორ-.

**კი-ი**, ბილიარდის საჯახებელი ჯოხი.

**კიკლ-**, ნ. ციკლ-.

**კილვატერ-ი**, გემის კვალი (ხაზი) წყალზე.—**კილვატერული წყობა**, გემების ერთიმეორის ზედმიყოლებით სვლა.

**კილ-ი**, გემის ტანის გასწვრივი ძელი, ანიჭებს გემს სიმტკიცეს.

**კილო-**, 1) ემატება ზომის ერთეულს თავში და ნიშნავს „ათასი", მაგ. **კილომეტრ-ი**, ათასი მეტრი; 2) როგორც ცალკე სიტყვა, „კილოგრამი".

**კილოგრამ-ი (-მმ-ი)** ანუ **კილო**, წონის ერთეული: ათასი გრამი, დაახლოებით $2^{1}/_{2}$ გირვ.ნქა.—**კილოგრამმეტრ-ი**, მუშაობის ერთეული: ერთი კილოგრამი ტვირთის ამწევი ერთი მეტრის სიმაღლეზე.

**კილომეტრ-ი**, სიგრძის ერთეული: ათასი მეტრი, ვერსზე ცოტა ნაკლები.

**კილოვატ-ი** ანუ **კილოუატ-ი (-ტტ-ი)**, სიმძლავრის ერთეული: ათასი უატი (ნ. ეს), უდრის ერთ ცხენძალას (75 კილოგრამმეტრს ერთ წამში).

**კიმოგრაფ-ი**, ფიზიოლოგიური პროცესების გრაფიკულად გამომსახველი ხელსაწყო.—წარმოადგენს ტრიალა ცილინდრს, რომელზედაც შემოეკვრება ხოლმე გამურული ქაღალდი.

**კინემატიკა**, თეორიული მექანიკის ნაწილი, - სწავლობს სხეულთა მოძრაობას მისი გამომწვევი მიზეზებისაგან დამოუკიდებლივ.

**კინემატოგრაფ-ი**, კინო, ფოტოგრაფიულ გამოსახულებათა ეკრანზე მოძრაობაში წარმომდ-

გენი მოწყობილობა.—კინემატოგრაფია, კინო, ამგვარ გამოსახულებათა დამხადებისა და წარმოდგენის ხელოვნება.

**კინეტიკა**, მექანიკის ნაწილი, — სწავლობს მოძრაობისა და მისი გამომწვევი მიზეზების ურთიერთდამოკიდებულებას. **კინეტიკური**, მოძრაობითი.— **კინეტიკური ენა**, ხაზობრივი ანუ სხეულ (უმთავრესად ხელ-) მოძრაობითი მეტყველება, რომლის საფუძველზე, იაფეტურ თეორიის თანახმად, წარმო იქმნა დღევანდელური ბგერითი მეტყველება; **კინეტიკური ენერგია**, სხეულის მოძრაობით მე პირობებული ენერგია (განსხვავებულად პოტენციალური ენერგიისაგან).

**კინო**, ნ. კინემატოგრაფ-ი; **კინოარტისტ-ი**, კინომსახიობი, კინოსათვის როლის შემსრულებელი მსახიობი.—**კინოთეატრ-ი**, კინოსურათების საჩვენებელი შენობა.—**კინოფაბრიკა**, კინო სურათების დამამზადებელი საწარმო. — **კინოფიკაცია**, კინოსურათების დამზადებისა და კინოთეატრების ქსელის გაშლა, საბჭოთა კავშირში მას ენიჭება დიდი მნიშვნელობა კულტურული რევოლუციისათვის.

**კიოსკ-ი**, პატარა სახელდახელო სავაჭრო შენობა ქუჩაზე ან ბაღში, უმთავრესად - გაზეთებისა და წიგნებისათვის.

**კიპრეგელ-ი** (კიპპ-), საიიწათმზომელო იარაღი.

**კირას-ი**, გულმკერდისა და ზურგის ჯავშანი, ბეგთარი.—**კირასირები** (მრავლ.). ბეგთაროსანი მძიმე კავალერია.

**კისეია**, მარმაში, ბამბის მჩუბუქი და გამჭვირვალე ქსოვილი.

**კისტა**, პაოკისებრი სიმსივნე,— ხშირია საკვერცხის კისტა.

**კისტ-ი**, ფოჩი.

**კიტელი-ი** (კიტტ-), საზაფხულო ზედატანის საცმელი.

**კიულოტ-ი** (ტტ-ი), მოკლე შალვარი, ნიფხავი.

**კიფოზ-ი**, ხერხემლის გამოუდება ტუბერკულოზის ნიადაგზე.

**კლავესინ-ი**, ძველებური სიმებიანი საკრავი,—მისაგან განვითარდა ფორტეპიანო (ნ. ეს).

**კლავიატურა**, საკრავის ან საწერი მანქანის ნაწილი, — შედგება კლავიშების რიგისაგან.

**კლავიკორდ-ი**, კლავესინის მსგავსი ძველებური საკრავი.

**კლავიშ-ი**, ხის ან ძვლის მოგრძო ფიოფიტა საკრავზე (პორტეპიანოზე, კლავესინზე) ან მრგვალი საწერ მანქანაზე, — მასზე დარტყმით გამოიწვევა შესაფერი ხმა (საკრავზე) ან დაიბეჭდება ასო.

**კლაკერ-ი**, მოქრთამული ტაშისმკვრელი თეატრში. — **კლაკ-ი**,

კლაკა, კლაკერთა ჯგუფი,— ორგანიზაცია.

**კლან-ი,** გვაროვნული თემი (კელტებში: ირლანდიაში, შოტლანდიაში).

**კლაპან-ი,** სარქველი (მანქანის, საკრავის; ანატომიაში).

**კლარნეტ-ი,** ხის საორკესტრო ჩასაბერი საკრავი.

**კლასებ-ი** (კლასს-), ადამიანთა საზოგადოებრივი დაჯგუფებანი, რომელთაგან თითოეულს (ჯგუფს, კლასს) აერთიანებს 1) როლი საზოგადოებრივ წარმოებაში, 2) დამოკიდებულობა საწარმოო იარაღებთან და 3) საზოგადოებრივი სიმდიდრიდან წილის მიღების გვარობა და რაოდენობა; აქედან გამომდინარეობს სხვადასხვა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესთა სხვაობა და წინააღმდეგობა, კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს ორი ძირითადი კლასი—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა: პირველი ითვისებს მეორის აუნაზღაურებელ შრომას. კაპიტალიზმამდელ საზოგადოებაშიც არსებობდა სხვადასხვა კლასები. არ იყო ასეთი დაყოფა პირველყოფილი კომუნიზმის ხანაში. უკლასო იქნება კომუნისტური საზოგადოება. კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გარდამავალ ხანაში მწვავდება კლასთა ბრძოლა; პროლეტარიატის დიქტატურა ალიქვიდირებს კლასების არსებობას; ასეთ ხანაში იმყოფება დღეს საბჭოთა კავშირი.

**კლას-ი** (კლასს-ი), 1) ჯგუფი; 2) განსხვავებულობასთან ერთად მსგავსების მქონე საგანთა ან მოვლენათა ჯგუფი; 3) რევოლუციამდე რუსეთის სკოლაში: თანაბარი ცოდნისა და ასაკის მოწაფეთა ჯგუფი—გაკვეთილის დროს ცალკე ოთახში; კლასს ეძახდენ აგრეთვე ამ ოთახსაც. საბჭოთა სკოლაში კლასის შესატყვისია ჯგუფი; 4) საზოგადოებრივი კლასი, ნ. კლასები.

**კლასიკ-ი, კლასიკოს-ი** (კლასს-), 1) ძვ. საბერძნეთის ან რომაელი მწერალი; 2) სანიმუშო მწერალი; 3) კლასიციზმის მიმდევარი.—**კლასიკური,** 1) ძველბერძნული ან ძველრომაული (მაგ. ლიტერ. ნაწარმოები); 2) სანიმუშო, მშვენიერი.—**კლასიკური სკოლა პოლიტიკურ ეკონომიაში,** მიმდინარეობა პოლიტ. ეკონომიაში (ინგლისში) 18 საუკ. ბოლოს და 19 ს. დასაწყისში (ა დ ა მ ს მ ი თ ი და დ ა ვ ი დ რ ი კ ა რ დ ო),—მან პირველად მიანიჭა მწყობრობა ეკონომიურ კატეგორიებს, დაამუშავა ღირებულებისა და განაწილების თეორია...

**კლასიფიკაცია** (კლასს-), განდასება, საგნების ან მოვლენების კლასებად დალაგება—მათ შორის მსგავსების მიხედვით.—**კლასიფიცირება,** ვაკლასიფიცირებ, განვადასებ, კლასებად დავალაგებ.

**კლასიციზმ-ი** (კლასს-), ლიტერატურული მიმართულება,—ხასიათდება კომპოზიციის მკაფიობით, ფორმის სისრულით და ძველ (ბერძნულ-რომაულ) ნიმუშებთან კავშირით.—**ფრანგული კლასიციზმ-ი** ანუ **ახალი კლასიციზმ-ი**, ცრუ კლასიციზმად წოდებული ლიტერატურული მიმართულება 17 საუკ., უმთავრესად - საფრანგეთში, — გამოიხატა ძველბერძნული ნიმუშებისადმი მიმბაძველობაში.

**კლასობრივი** ანუ **კლასთა ბრძოლა**, საზოგადოებრივი კლასების წინააღმდეგობათა გამომჟღავნება მოქმედებაში, ნ. კლასები.

**კლაქს-ი,** ნ. კლექს-ი.

**კლევრეტ-ი,** მოამაგე, ერთგული მოახრე, მფარველის გულისმოსაგებად ყველაფრის ჩამდენი.

**კლეისტერ-ი,** სახამებლის წებო.

**კლეისტოგამია,** მცენარეთა გამტვერვა და განაყოფიერება ყვავილების გაუშლელად.

**კლეპტომანია,** ავადმყოფური მიზიდულობა ქურდობისადმი.—**კლეპტომან-ი,** ასეთით შეპყრობილი.

**კლერიკ-ი,** კათოლიკე სასულიერო პირი.—**კლერიკალ-ი,** ეკლესიის გაბატონების მომხრე სახელმწიფოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე. - **კლერიკალიზმ-ი,** 1) ასეთის მომხრეობა, კლერიკალობა; 2) კლერიკალის მსოფლმხედველობა და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი ეკლესიის გასაბატონებლად.—**კლერიკალური,** ეკლესიური, სასულიერო.

**კლერკ-ი,** 1) სასულიერო პირი საშ. საუკუნეებში (საფრანგ., ინგლისში), 2) ახალგაზდა სტაჟორი—ვექილობისა ან ნოტარიუსობის თანამდებობაზე; 3) წვრილი მოხელე, მწერალი, ნოქარი...

**კლექს-ი,** ლაქა, წინწკლი, ღვენთი (ჩვეულებრივ მელნისა ქაღალდზე).

**კლიენტ-ი,** 1) სრულუფლებიანი მოქალაქისაგან დამოკიდებული ადამიანი (ძველ რომში; 2) ვინც თავისი ინტერესების დაცვას სასამართლოს წინაშე მიანდობს ვექილს; 3) მუდმივი მუშტარი (დამკვეთელი, მყიდველი...)

**კლიენტურა,** მუშტრები (ვექილის, გამყიდველის, ხელოსნის...).

**კლიზმა** 1) ოყნა: უკნიდან სწორ ნაწლავში რაიმე სითხის შესხმა—გამორეცხის, კვების ან

წამლის მიღებინების მიზნით; 2) საამისო ხელსაწყო.

**კლიმატ-ი**, ჰავა.—**კლიმატოლოგია**, ჰავის ელემენტების (ტემპერატურის, სინოტივის, ნალექების, ატმოსფერულ წნევისა და ქარის) შემსწავლელი მეცნიერება.—**კლიმატოთერაპია**, ჰავის გამოყენება სამკურნალო მიზნებით.—**კლიმატური**, რაც ჰავას შეეხება.

**კლიმაქტერიკული**, თანდათანობითი, ზრდადი; **კლიმატერიკული ასაკი**, დედაკაცის თვიურის თანდათანობითი მეწყვეტის პერიოდი (40—50 წ.).

**კლინიკა**, სამკურნალო და იმავე დროს სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.—**კლინიცისტ-ი**, კლინიკურ მუშაობაში გამოცდილი ექიმი.

**კლიპს-ი** (ინგლ. clip), საპერი, საპიდი.

**კლისტირ-ი**, იგივეა რაც კლიზმა.

**კლიტორ-ი**, მიკი: დედაკაცის სავნებო (სასქესო ორგანოთა დანამატი).

**კლიუზები**, ნ. კლუზები.

**კლიშე**, ხის ან ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი ნახატი ან ნახაზი, იხმარება ნახატის და ნახაზის საბეჭდავად.

**კლოაკა**, 1) ცწმინდურების სადენი მილები მიწისქვეშ (ძველ რომში); 2) უზნეობის, გარყვნილების, უწესოობის ბუდე; 3) საერთო გასავალი განავალისა შარდისა და სასქესო პროდუქტების,—აქვს ზოგიერთ ცხოველს.

**კლობუკ-ი**, ბერების ერთგვარი წოწოლა ქუდი.

**კლოზეტ-ი**, ნ. ვატერკლოზეტი.

**კლონიკური**, კრუნჩხვითი.

**კლოპფერ-ი**, ტელეგრაფის გამარტივებული ხელსაწყო.

**კლოუნ-ი**, ცირკის მასხარა.

**კლუბ-ი**, 1) განსაზღვრული წრის ან მიმართულების ადამიანთა შეკრებილობა—ამისათვის განკუთვნილ ბინაში—დასვენების, დროსტარების, გართობის, პოლიტიკურის და სხვა ამგვარ მიზნით; 2) ასეთი შესაკრებელი ბინა.—**მუშათა კლუბ-ი**, საპროფკავშირში მასსური საპოლიტგანათლებო მუშაობის ერთ-ერთი სახე—მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მიზნით,—დაკავშირებულია გონივრულ დასვენებასა და გართობასთან.

**კლუზ-ი**, ნახვრეტი გემის ქიმში—ბაგირის ან ჯაჭვისათვის.

**კნეხტ-ი**, გერმანიაში საშ. საუკ.: მსახური, ყმა; შემდეგ—დაქირავებული მეომარი.—**კნეხტები**, წყვილ-წყვილი ბოძები გემბანზე ან ნავსადგურში—ბაგირების დასამაგრებლად.

**კნოპკა**, ღილი: 1) ლურსმნისებრი, 2) თითის დასაპერი (მაგ. ელექტროზარის).

**კოალიცია**, სხვადასხვა სახელმწიფოთა ან პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობითი დროებითი გაერთიანება რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად.

**კობალტ-ი**, ქიმიური ელემენტი; მოწითანო თეთრი ლითონი,— იხმარება (კობალტის) ფოლადის დასამზადებლად და სხვ.; მისი მარილებისაგან მზადდება სხვადასხვა ფერის საღებავები.

**კობზა**, სამუსიკო საკრავი ძველად უკრაინაში.—**კობზარ-ი**, კობზაზე ან ბანდურაზე (ნ. ეს) დამკვრელი ხალხური მუსიკოსი უკრაინაში.

**კოგერერ-ი**, ნ. კოჰერერი.

**კოგორტა**, ნ. კოჰორტი.

**კოდა**, მუსიკალური ნაწარმოების დასკვნითი, დამატებითი ნაწილი.

**კოდეინ-ი**, ოპიუმის ერთერთი ალკალოიდი,—იხმარება მედიცინაში ხველების წინააღმდეგ.

**კოდექს-ი**, განსაზღვრული წესით სისტემაში მოყვანილი კრებული კანონთა,—აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე დარგს, მაგ. **შრომის კანონთა კოდექსი**. — **კოდიფიკაცია**, კოდექსის დამუშავება, შედგენა.—**კოდიფიკატორ-ი**, კოდექსის შემდგენელი.

**კოდ-ი**, პირობითად შემოკლებული სიტყვების ან ნიშნების კრებული.

**კოეფიციენტ-ი** (კოეფფ-), 1) რიცხვობრივი მამრავლი (ალგებრაში); 2) ფიზიკურ მოვლენათა რაოდენობრივ განმსაზღვრელი რიცხვები.

**კოზირ-ი**, ძლიერი კარტი ბანქოს თამაშში; უპირატესობა.

**კოთურნები** (მრავლ.), მაღალძირიანი ფეხსაცმელები ძველ ბერძენ და რომაელ მსახიობთა.

**კოიკა**, ჩამოსაკიდი საწოლი (გემზე); მდაბიური საწოლი.

**კოიტუს-ი**, ქალვაჟის სქესობრივი შეუღლება, ცხოველთა ხურაობა (მაგ. ცხენებისა), მაკინტლობა (მაგ. ხარისა და ძროხის), ნერბვა (მაგ. ცხვრების), პეკლვა (მაგ. ფრინველების) და სხ.

**კოკაინ-ი**, ძლიერ შხამიანი ალკალოიდი, - იხმარება მედიცინაში (ქირურგიული ოპერაციების დროს) როგორც ადგილობრივ მაანესთეზირებელი საშუალება (ნ. ანესთეზია).—**კოკაინიზმ-ი**, კოკაინით მოწამვლის ნიადაგზე განვითარებული ფსიქიური დაავადება.

**კოკარდა**, პატარა ბალთა სამხედრო პირის ქუდზე.

**კოკეტკა**, **კოკეტ-ი** (კოკეტტ-), კეკლუცი ქალი; **კოკეტობა**, ვკოკეტობ, ვკეკლუცობ, თავს ვაწონებ ვინმეს.

**კოკები** (კოკკ-), ბირთვისებრი ბაქტერიები (ნ. ეს).

**კოკოს-ის პალმა**, ტროპიკული მცენარე,—ისხამს მსხვილ (თითქმის თავისოდენა) ნაყოფს (კოკოსს), რომელიც შეიცავს გემრიელ და ნოყიერ საჭმელს; მას აქვს მრავალგვარი სხვა გამოყენებაც.

**კოკოტკა, კოკოტი ქალი** (**კოკოტტ-**), მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**კოკს-**, ნ. **კოქს-**.

**კოლაპს-ი** (**კოლლ-**), ორგანიზმის მოქმედების უეცარი შესუსტება—გულის მუშაობის მოდუნების გამო.

**კოლბა, კოლბ-ი**, შუშის მაღალყელიანი საქიმიო ჭურჭელი.

**კოლბერტიზმ-ი**, საფრანგეთის (17 საუკუნეში) მინისტრის კ ო ლ ბ ე რ ი ს სახელთან დაკავშირებული მერკანტილისტური პოლიტიკა (ნ. მერკანტილიზმი).

**კოლდ-კრემ-ი**, კანის დასარბილებელი წასასმელი,—წარმოადგენს კოსმეტიკურ საშუალებას.

**კოლეგა** (**კოლლ-**), ამხანაგი (ხელობით, სამსახურით, თანამდებობით...).

**კოლეგია** (**კოლლ-**), თანასწორუფლება-მოვალეობიან პირთა განსაზღვრული რიცხვისაგან შედგენილი საბჭო,—წარმოადგენს რაიმე დაწესებულების ორგანოს, მაგ. საბჭოთა კავშირში—სახალხო კომისარიატების კოლეგია.—**დამცველთა კოლეგია**, ვექილების გაერთიანების ფორმა საბჭოთა კავშირში.—**კოლეგიალობა** ან **კოლეგიურობა**, რაიმე დაწესებულების საქმიანობის წარმოება კოლეგიის გზით.—**კოლეგიალური, კოლეგიური**, კოლეგიის საქმიანობის დამახასიათებელი; რამდენიმე პირისაგან შედგენილი.

**კოლენკორ-ი**, ბამბის თეთრი ქსოვილი,—იხმარება თეთრეულისათვის.

**კოლეჯ-ი** (**კოლლ-**), საშუალო სასწავლებელი საფრანგეთში.

**კოლერ-ი**, ფერადების ფერი, ტონი და სისქე.

**კოლექტივ-ი** (**კოლლ-**), ერთი მიზნით ან ერთგვარი შეხედულებით გაერთიანებულ პირთა კრებული. — **კოლექტივიზაცია**, განსაზოგადოება; მეურნეობის რომელიმე დარგის განსაზოგადოება (უპირისპირდება ინდივიდუალურს, ერთპიროვნულს ანუ კერძოს).—**კოლექტივიზმ-ი**, ამ სიტყვას ჩვეულებრივ ხმარობენ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მნიშვნელობით (ნ. სოციალიზმი).—**კოლექტიური**, საერთო, საზოგადო; **კოლექტიური მეურნეობა** (**კოლმეურნეობა**), სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერაციის უმაღლესი ფორმა (საბჭოთა კავშირში 1931 წელს კოლმეურნეობამ გააერთიანა სათეს ფართობის 80% მდე).—

**კოლექტიური ხელშეკრულობა**, პროფესიულ კავშირებსა და დამქირავ ბელს შორის დადებული ხელშეკრულობა დაქირავების პირობების შესახებ— გარკვეული ვადით.

**კოლექტორ-ი** (კოლლ-), შემკრები: 1) მთავარი მილი, რომელსაც უერთდებიან მცირე მილები; 2) დინამო მანქანის ნაწილი — გარდაქმნის ცვლად დენს მუდმივ დენად.

**კოლექცია** (კოლლ-), სამეცნიერო ან სახელოვნო მიზნით შეკრებილ ერთგვარ საგანთა კრებული.—**კოლექციონერ-ი**, კოლექციის შემკრებელი.

**კოლეჯ-ი** (კოლლ-), 1) საშუალო სასწავლებელი ძველად ინგლისში; 2) უმაღლეს სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი (ინგლისში); 3) ზოგიერთ უმაღ. სასწ—ლის სახელწოდება ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში.

**კოლიზე-ი, კოლიზეუმ-ი**, უზარმაზარი ამფითეატრი (ნ.) ძველ რომში; მისი ნანგრევები შენახულია დღემდე.

**კოლიზია** (კოლლ-), შეჯახება ინტერესებისა, გარემოებათა და სხ.

**კოლოდიუმ-ი** (კოლლ-), სქელი გამჭვირვალე სითხე,—იხმარება ჭრილობის დასაფარავად—გამშრალი აფსკის სახით, ფოტოგრაფიაში და სხ..

**კოლიტ-ი**, მსხვილი ნაწლავების მწვავე ქრონიკული ანთება.

**კოლოიდები** (კოლლ-), ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც გახსნილი ფორმით გაუვალნი არიან ცხოველურ თუ მცენარეულ აპკში. – **კოლოიდურობა**, კოლოიდების თვისებათა მქონებლობა.—**კოლოიდური ქიმია**, ნივთიერებათა კოლოიდური მდგომარეობის შესახებ მეცნიერება (ნ. დიალიზი).

**კოლოკვ-**, ნ. კოლოქვ-.

**კოლონადა** (კოლონნ-), რიგზე გამწკრივებული სვეტები.

**კოლონები** (მრავლ.), მიწაზე მიმაგრებული კლასი (ძვ. რომში).—**კოლონატ-ი**, ბატონყმობა ძველ რომში.

**კოლონია**, 1) სახელმწიფოს ზღვისგაღმური სამფლობელო; ახალშენი; 2) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მოსახლეობა სხვის ტერიტორიაზე; 3) კაპიტალისტური სახელმწიფოს ბურჟუაზიის მიერ ეკონომიურად და პოლიტიკურად დამორჩილებული ნაკლებ განვითარებული ქვეყანა.—**კოლონიალური** ან **საკოლონიო ომები**, კოლონიების დაპყრობის ან შენარჩუნების მიზნით წარმოებული, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ომები.— **საკოლონიო პოლიტიკა**, ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერ სახელმწი-

ფოთა პოლიტიკა სუსტ და ჩამორჩენილი ქვეყნების დაპყრობისა. კოლონიზაცია, სხვა ქვეყანაში დასახლება, კოლონიების დაფუძნება.—**კოლონისტ-ი,** სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებული.

**კოლორატურა,** კრიმანჭული ხმა სიმღერაში.

**კოლორიტ-ი,** 1) ფერების შეხამების ელფერი მხატვრობაში (ფერწერაში); 2) საერთო ხასიათი მხატვრული ნაწარმოებისა, ადგილისა და სხ.

**კოლოსალური (კოლოსს-),** უზარმაზარი, დიდი.

**კოლოფონ-ი,** ნ. კანიფოლი.

**კოლოქვიუმ-ი (კოლლ-),** საუბარი ვინმესთან ცოდნის შემოწმების მიზნით.

**კომა, კომატოზური მდგომარეობა,** ძილად მივარდნილობა მოწამვლის ნიადაგზე.

**კომანდა (კომმ-),** 1) სამხედრო ზახილი; 2) ჯარის გუნდი; 3) ხომალდის დანიშნული შედგენილობა.—**კომანდირ-ი,** მეთაური (ჯარში).

**კომბაინ-ი.** პურის მოსაწევი რთული მანქანა; სამკალ-სალეწ-სანიავებ ლი.

**კომბინატ-ი,** სხვადასხვა დარგის წარმოების გაერთიანება მთლიანი ერთეულის სახით, მაგ. რკინის ქარხნისა, სამადნისა და ნახშირის მაღაროს გაერთიანება ერთ სამრეწველო საწარმოში.

**კომბინაცია,** 1) სხვადასხვა საგნების, აზრების რთული შენაერთი, შეხამებულობა; რთული გეგმა; ცალკეულ ნაწილთაგან ახალი მთლიანის შექმნა; 2) სხვადასხვა დარგის წარმოების გაერთიანების შექმნა.—**მრეწველობის კომბინაცია,** სხვადასხვა საწარმოს გაერთიანება საერთო ხელმძღვანელობით.—**კომბინირება, ვაკომბინირებ,** ვაერთებ, შევახამებ, ვაერთიანებ.

**კომედია,** 1) საერთოდ დრამის ერთერთი სახეობა: მასში გამოხატულია სიცილის გამომწვევი ბრძოლა მოქმედ პირთა შორის; 2) სასაცილო შემთხვევა.—**კომედიანტ-ი,** დაბალი ხარისხის სცენის მსახიობი, მასხარა; თვალთმაქცი ადამიანი.

**კომენდანტ-ი, (კომმ-),** 1) ციხის უფროსი; 2) ქალაქში მყოფი სამხედრო ნაწილების წესიერების მეთვალყურე ორგანოს გამგე; 3) რკინისგზის სადგურზე სამხედრო ნაწილების გადაზიდვის მეთვალყურე; 4) სახელმწ. ან საზოგადოებრივი შენობის გამგე (საბჭ. კავშირში).

**კომენტარი, კომენტარიები (კომმ-),** ლიტერატურული ნაწარმოების ახსნა-განმარტება. — **კომენტატორ-ი,** ამხსნელ-განმმარტებელი.

**კომერსანტ-ი** (კომმ-), ვაჭარი.—**კომერცია**, ვაჭრობა —**კომერციული**, ვაჭრობის, ვაჭრული; **საკომერციო**, სავაჭრო.

**კომეტა**, კუდიანი ვარსკვლავი: ციური სხეული.

**კომივოიაჟერ-ი** (კომმ-), მსხვილი სავაჭრო ფირმის (დაწესებულების) მოსიარულე ნოქარი.

**კომიკ-ი**, 1) კომედიაში (ნ. ეს) როლის ამსრულებელი მსახიობი, უმეტესად—სასაცილოსი; 2) ოხუნჯი.—**კომიკური**, სასაცილო, ოხუნჯური.

**კომინტერნ-ი**, კომუნისტური ინტერნაციონალი (ნ. კომუნიზმი).

**კომისარ-ი** (კომისს-), 1) ადგილობრივი ან ცენტრალური მთავრობის რწმუნებული რაიმე საქმის შესასრულებლად; 2) პოლიციის მოხელე საფრანგეთში; 3) საბჭ. კავშირში: სხვადასხვა დაწესებულებათა უფროსი; წითელი არმიის პოლიტიკური მოღვაწე; **სახალხო კომისარი**—სახელმწ. მმართველობის ერთერთი უწყების სათავეში მდგომი პ/პ პირი. **კომისარიატ-ი**, კომისრის საგამგებლო დაწესებულება ან უწყება.— **სახალხო კომისარიატ-ი**, სახელმწ. მმართველობის ერთერთი უწყება (საბჭოთა კავშირში).

**კომისია** (კომმისს-), 1) რამდენიმე პირისაგან შედგენილი ჯგუფი (კრებული. საბჭო), რომელსაც მინდობილი აქვს რაიმე საკითხის განხილვა დამუშავება ან რაიმე საქმის შესრულება; 2) მინდობილობით რისამე ყიდვა-გაყიდვა მორიგების თანახმად. —**კომისიონერ-ი**, შუამავალი სავაჭრო მორიგებაში.

**კომიტენტ-ი** (კომმიტტ-), მრწმუნებელი, დამკვეთი.

**კომიტეტ-ი**, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლეგიალური ორგანო, უმეტესად—აღმასრულებელი ხასიათისა.

**კომოდ-ი** (კომმ-), გამოსაწევ უჯრებიანი დაბალი კარადა.

**კომპაკტ-**, ნ. კომპაქტ-.

**კომპანია**, საზოგადოება; ამხანაგობა სავაჭრო ან სამრეწველო. — **კომპანიონ-ი**, ამხანაგი, რაიმე საქმის თანამონაწილე.

**კომპარტია**, კომუნისტური პარტია (ნ.).

**კომპას-ი**, ყიბლანა: ქვეყნის მხარეთა (ჩრდილოეთის და სამხრეთის) მაჩვენებელი ხელსაწყო,— იხმარება დედამიწის ზედაპირზე ადგილმდებარეობის სარკვევად.

**კომპატრიოტ-ი**, თანამემამულე.

**კომპაუნდ-ი**, ორმაგი გაგანივრების ორთქლის მანქანა.

**კომპაქტ-ი**, **კომპაქტური**, მჭიდრო.

**კომპენდიუმ-ი**, რაიმე მეცნიერების მოკლედ დალაგება.

**კომპენსაცია**, საზღაური, ანაზღაურება: 1) რაიმე ზიანის, დანაკარგის ან დათმობილის საზღაური; 2) მუშახელის საზღაური დამქირავებლისაგან — ხელფასის გარდა (მაგ. დათხოვნისას, გამოუყენებელ შვებულებისას და სხ.); 3) დარღვეული წონასწორობის აღდგენა (ფიზიკაში).—**კომპენსირება**, **ვაკომპენსირებ**, ვანაზღაურებ.

**კომპეტენტური**, მცოდნე, სპეციალისტი რომელსამე დარგში; საქმის გადაწყვეტის უფლების მქონე—ცოდნის ან რწმუნების ძალით.—**კომპეტენცია**, დაწესებულების ან პირის სამცოდნელო ასპარეზი (ე. ი. რაზედაც ვრცელდება მათი მცოდნეობა, რწმუნებულობა).

**კომპილაცია**, სხვისი შრომების გამოყენებით შედგენილი ლიტერატურული ნაწარმოები; არა დამოუკიდებელი თხზულება.—**კომპილატორ-ი**, კომპილაციური შრომის შემდგენელი.—**კომპილირება**, **ვაკომპილირებ**, კომპილაციას ვიქმ.

**კომპლექს-ი**, ერთგვარ საგანთა ან მოვლენათა შენაერთი მთლიანის სახით.—**კომპლექსური მეთოდი**, სწავლების ისეთი სისტემა, რომელიც უპირისპირდება საგნობრივს,—წარმოადგენს შესწავლას ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა – საზოგადოების, ბუნების და შრომის დარგებიდან.

**კომპლექტ-ი**, ერთგვარ საგანთა ნაკრები; მართებული რაოდენობა საგანთა ან ადამიანთა, სრული შედგენილობა. – **კომპლექტვა**, **ვკომპლექტავ**, შევავსებ მართებულ (სრულ) შედგენილობამდე.

**კომპლექცია**, ტანის აგებულობა.

**კომპლიკაცია**, 1) რთულ მოვლენათა გაერთიანება; 2) სხვადასხვა ორგანოს შეგრძნებათა კავშირი (ფსიქოლოგიაში).

**კომპლიმენტ-ი**, ქათინაური, პირფერული შექება; პირში ქება.

**კომპოზიტ-ი**, რთული სიტყვა (გრამატ.).

**კომპოზიტორ-ი**, მუსიკალური ნაწარმოების ავტორი.

**კომპოზიცია**, 1) ფერწერაში და არქიტექტურაში: ნაწარმოების ცალკეული ნაწილების შეერთება ერთ მხატვრულ მთლიანად; 2) მწერლობის დარგი, რომელიც სწავლობს ლიტერატურული ნაწარმოების აგებულობას მთლიანობაში; 3) მუსიკალური შემოქმედების თეორია და პრაქტიკა.

**კომპონენტ-ი**, რისამე შემადგენელი ნაწილი.

**კომპოსტ-ი**, ნიადაგის სასუქი სხვადასხვაგვარი მცენარეული ნაყარისაგან.

**კომპოტ-ი**, ხილეულის შაქრიანი ნახარში.

**კომპრეს-ი** (-სს-), რამდენჯერმე შეკეცილი და დასველებული ტილო,—დაედება ავადმყოფს სხეულის რომელიმე ადგილს—გაგრილების ან გახურების მიზნით.

**კომპრესორ-ი** (-სს-), 1) შეკუმშული ჰაერის მისაღები მანქანა; 2) ძარღვების მოსაჭერი იარაღი (ქირურგიული ოპერაციის დროს).

**კომპრომის-ი** (-სს-), ურთიერთ დათმობის გზით მიღწეული შეთანხმება აზრებისა, მიმართულებათა და სხ.; დათმობა.

**კომუნა** (კომმ-), 1) თემი, რომლის წევრები ფლობენ საერთო ქონებას, შრომობენ და იყოფენ შრომის ნაყოფს თანასწორად; 2) თვითმართველობიანი თემი საშ. საუკუნეებში; 3) ქალაქ პარიზის თვითმართველობა დიდი რევოლუციის დროს; 4) **პარიზის კომუნა** (ნ.).—**კომუნალური**, სათემო, საქალაქო.

**კომუნალური მეურნეობა**, 1) დასახლებული ადგილების ადგილობრივი მეურნეობა,—იმყოფება ადგილობრივი ხელისუფლების გამგებლობაში და ადგილობრივ ხარჯებზე; 2) საბჭოთა კავშირში: დასახლებული ადგილების კეთილმოწყობა.—**კომუნალური მომსახურება**, დასახლებული ადგილის (ქალაქის, სოფლის...) კეთილმოწყობის (წყლის, ტრამვაის, ელექტრონის...) მიწოდება მცხოვრებთათვის (საბჭოთა კავშირში კომუნ. მომსახურების გადასახადს საფუძვლად უდევს ქონებრივი პრინციპი: ნაკლებ უზრუნველყოფილებს ეძლევათ შეღავათი).

**კომუნარ-ი** (კომმ-), 1) კომუნის წევრი; 2) **პ ა რ ი ზ ი ს  კ ო მ უ ნ ი ს** (ნ.) მონაწილე.

**კომუნიზმ-ი** (კომმ-), კომუნისტური წესწყობილება,—წარმოადგენს მომავალ საზოგადოებრივ წესწყობილებას, სოციალისტური საზოგადოების უმაღლეს საფეხურს; მისი დამყარება აუცილებელია კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიურ განვითარების ნიადაგზე და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზით; კომუნიზმის დროს არ იქნება კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებაზე, მოისპობა კლასები, ყოველგვარი სოციალური უთანასწორობა, იძულებითი სახელმწიფო ხელისუფლება, სახელმწიფოთა საზღვრები, ეროვნული დაყოფა და ომები; შეიქმნება პირობები საწარმოო ძალთა უაღრესი განვითარებისათვის; ადამიანს მოეთხოვება ის,

რაც მას შეუძლია და მიეცემა, რაც მას სჭირდება.—**კომუნისტ-ი**, კომუნიზმის, როგორც მოძღვრების, მიმდევარი; **კომუნისტური პარტიის** წევრი **კომუნისტური ინტერნაციონალი** (კომინტერნი), მესამე ინტერნაციონალი, დაარსებული მოსკოვში 1919 წელს, —წარმოადგენს კომუნისტური პარტიების საერთაშორისო გაერთიანებას.—**კომუნისტური მანიფესტი**, მარქსის მიერ ენგელსის მონაწილეობით 1847 წ. დაწერილი კომუნისტური პარტიის მანიფესტი,—წარმოადგენს პირველ შესანიშნავ შრომას, რომელშიც გამოხატულია პროლეტარიატის სარევოლუციო ბრძოლის ძირითადი საფუძვლები მარქსისტული გაგებით.—**კომუნისტური პარტია**, მუშათა კლასის პარტია, ახორციელებს კომუნიზმს პროლეტარიატის დიქტატურის გზით.

**კომუნიკაცია** (კომმ-), შეტყობინება, ურთიერთ გაგებინება.

**კომუტატორ-ი** (კომმ-), ელექტრო-დენის წრედის მოწყობილობა, -ცვლის დენის მიმართულებას.

**კომფორკა**, ნ. კამფორკა.

**კომფორტ-ი**, ბარაქიანი კეთილცხოვრების პირობები; ნივთიერად მიმართულობა; ცხოვრების პირობების მოხდენილად მოწყობილობა.

**კონგენიალობა**, თანაგვარობა ნიჭით ან აზრთა მსვლელობით.

**კონგლომერატ-ი**, სხვადასხვაგვარი ნაწილებისაგან ან საგნებისაგან შედგენილი რამ; ნარევი.—**კონგლომერაცია**, ნაწილთა ნაერთი – თითოეულ ნაწილის სახის შენარჩუნებით.

**კონგრეგაცია**, 1) კათოლიკე ბერების ამხანაგობათა გაერთიანება; 2) საბჭო რომის პაპთან.

**კონგრეს-ი** (-სს-ი), 1) საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად შეკრებილი ოფიციალური კრილობა რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელთა; 2) საერთაშორისო სამეცნიერო ან პოლიტიკური არაოფიციალური კრილობა; 3) ზოგიერთი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო.

**კონდენსატორ-ი**, 1) ორთქლის სითხედ მქცევი მოწყობილობა (ჭურჭელი); 2) დიდი ელექტრომუხტის დამგროვი ხელსაწყო.—**კონდენსაცია**, შესქელება, დალექვა და აირის ან ორთქლის სითხედ ქცევა.

**კონდიტერ-ი**, მეყანდეულე; ყანდეულის (ტკბილნამცხვარის) დამმზადებელი ან გამყიდველი.—**საკონდიტრო**, საყანდეულო (ნ. ყანდეული).

**კონდიცია**, 1) პირობა; 2) დროებით კერძოდ დაქირავებული

მასწავლებლის თანამდებობა, ჩვეულებრივ ქალაქგარეთ.

**კონდომ-ი,** მამაკაცის სასქესო ორგანოზე წამოსაცმელი სიფრიფანა აპკი,—იცავს მას ვენერიული ავადმყოფობის დამართებისაგან ან ქალს—დაორსულებისაგან.

**კონდორ-ი,** არწივის ერთ-ერთი ჯიში (სამხრ. ამერიკის მთებში)

**კონდოტიერ-ი,** დაქირავებული რაზმის ბელადი იტალიაში (14—15 საუკ.).

**კონდუიტ-ი,** მოწაფეების დამნაშაობის აღსანიშნავი წიგნი ძველ სკოლაში.

**კონდუქტორ-ი,** 1) გამყოლი მოსამსახურე ვაგონში (რკინისგზაზე, ტრამვაიში...); 2) იზოლირებული გამტარი (ელექტროტექნიკაში).

**კონვეიერ-ი,** განუწყვეტლივ ერთის სიმართულებით მოძრავი უბოლოო ლენტი (ან ჯაჭვი ბაგირ სა),—იხმარება ტვირთის საზიდად წარმოებაში: მანქანასთან ან მუშასთან დასამუშავებელი საგნის მისატანად და დამუშავებულის წასაღებად.

**კონვენტ-ი,** 1) კრება; 2) ეროვნული კონვენტი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი წარმომადგენლობითი კრება, რომელმაც გამოაცხადა რესპუბლიკა (1792 წ. 21 ოქტ.) და რომლის დადგენილებით მეფე დასჯილ იქნა სიკვდილით.

**კონვენცია,** 1) სახელმწიფოებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება საგანგებოდ რაიმე საკითხის შესახებ; 2) ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულება სამეურნეო ორგანიზაციებს შორის

**კონვერსია,** სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა ვალდებულის სასარგებლოდ.

**კონვერტ-ი,** ქაღალდის პარკი.

**კონვერტორ-ი,** რკინის სათომასირებლო ტრიალა ღუმელი (ნ. თომასირება).

**კონვოი,** ამალა: შეიარაღებული მხლებლები, გამყოლები, აგრეთვე—სავაჭრო გემის გზაში დამცველი შეიარაღებული გემები.

**კონვულსია,** კრუნჩხვა.

**კონიაკ-ი,** კარგი ღვინისაგან გამოხდილი მაგარი სასმელი.

**კონიექტურა,** მიხვედრა, მოსაზრება; მიხვედრით აღდგენა ან გასწორება დამახინჯებული ან ნაკლოვანი ტექსტისა.

**კონიკური,** ნ. კონუსური

**კონიუგაცია,** შეუღლება: უმარტივეს ცხოველთა (ინფუზორიების) განაყოფიერება.

**კონიუნქტურა,** საქონელთმეურნეობის მდგომარეობის გამსაზღვრელი პირობები, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას იძლევა მისი ცვლილების წინასწარი განჭვრეტისას:

მის მოძრაობაში ჩანს კანონზომიერება; კონიუნქტურის შემადგენელი ელემენტებია ფასების მოძრაობა, წარმოების ზრდა და სხვა.. კაპიტალისტურ ქვეყნებში მის შესწავლას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ საწარმოს პატრონისათვის, საბჭოთა გეგმიანი ეკონომიკის პირობებში კი მას აქვს უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

**კონკვ-**, ნ. კონქვ-.

**კონკლავ-ი**, კარდინალთა კრება პაპის ასარჩევად.

**კონკორდატ-ი**, ხელშეკრულება რომის პაპსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის.

**კონკრეტული, კონკრეტ-ი**, კანთიერდი: ნამდვილი, რეალური (უპირისპირდება აბსტრაქტულს, განყენებულს); განსაზღვრული, ცხადლივი. — **კონკრეტიზაცია**, გაკონკრეტება, . გაკანთიერდება. —**კონკრეტიზირება**, ვაკონკრეტიზირებ, ვაკონკრეტებ, ვაკანთიერდებ.

**კონკურენტ-ი (კონკურრ-)**, მეტოქე, შემჯიბრებელი. **კონკურენცია**, მეტოქეობა. შეჯიბრება.

**კონკურს-ი**, რამდენიმე პირის შეჯიბრება რაიმე ჯილდოს, პრემიის ან ადგილის მიღებისათვის.

**კონსერვატიზმ-ი**, ძველის დამცველობა; არსებული წესწყობილების უცვლელად დაცვის მომხრეობა; უარყოფითი ან მტრული განწყობილება ახალისადმი (საზოგად. ცხოვრებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და სხ.).—**კონსერვატიული**, ძველის დამცველობითი... — **კონსერვატორ-ი**, 1) კონსერვატიზმის მქონებელი, ძველის დაცვის მომხრე, განახლების მოწინააღმდეგე...; 2) კონსერვატორების პარტიის წევრი (კონსერვატიული პარტიები მოიპოება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში — სხვადასხვა სახელით, მაგრამ ყველაზე ცნობილია ინგლისის კონსერვატიული პარტია, რომელიც საგარეო პოლიტიკაში დამცველია იმპერიალიზმისა).

**კონსერვატორია**, უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

**კონსერვ-ი**, საგანგებოდ დამზადებული საჭმელი, რომელიც დაცულია ლპობა ხრწნისაგან ჰაერშეუვალ ჭურჭელში.

**კონსიერჟ-ი**, მეკარე (საფრანგეთში); უფროსი მეეზოვე.

**კონსილიუმ-ი**, ექიმების თათბირი მძიმე ავადმყოფის მკურნალობის შესახებ.

**კონსისტენცია**, რაიმე სხეულის აგებულობა და სიმკვრივე.

**კონსისტორია**, 1) საეპარქიო სამმართველო ძველ რუსეთში: 2) კარდინალების კრებული

პაპის მეთაურობით; 3) ლუთერანების საეკლესიო ადმინისტრაციული ორგანო.

**კონსოლიდაცია,** 1) განმტკიცება, გამაგრება, დამყაოება; 2) მიმდინარე სახელმწიფო ვალების მუდმივ ვალებად ქცევა.

**კონსონანს-ი,** 1) მუსიკაში; თანხმოვნობა ტონებისა, კეთილხმოვნობა (უპირისპირდება დისონანსს, ნ.) — **კონსონანტ-ი,** თანხმოვანი. — **კონსონანტიზმ-ი,** ამათუიმ ენის თანხმოვანთა სისტემა.

**კონსორციუმი,** ბანკების ან მსხვილი კაპიტალისტების შეთანხმება ფინანსიური ოპერაციების გასატარებლად, — ქმნის ბაზარზე მონოპოლიას (ნ.).

**კონსპექტ-ი,** ლიტერატურული ნაწარმოების (მოხსენების, ლექციის...) მოკლე შინაარსი.

**კონსპირაცია,** 1) შეთქმულობა. ფარული მოქმედება, უმთავრესად — სარევოლუციო ხასიათისა; 2) საიდუმლოს დაცვა.—**კონსპირაციული** (და არა კონსპირატიული), ფარული, საიდუმლო, შეთქმულობითი...

**კონსტანტ-ი,** მუდმივა: მუდმივი სიდიდე (მათემატ.).

**კონსტატაცია,** დადასტურება, რისამე არსებობის უეჭველობის დამოწმება.

**კონსტელაცია** (**კონსტელლ**), 1) ცის მნათობთა ერთმანეთის მიმართ მდებარეობა; 2) გარემოებათა ერთმანეთთან კავშირი.

**კონსტიტუცია,** 1) ორგანიზმის და პიროვნების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ თავისებურობათა და თვისებათა ერთობლიობა; 2) სახელმწიფოს ძირითადი კანონი; სახელმწიფო წესწყობილება; საკანონმდებლო ორგანოების შექმნისა და მოქმედების განმსაზღვრელი ნორმები. — **კონსტიტუციონალიზმ-ი,** მიმართულება პოლიტიკაში და ბურჟუაზიულ მეცნიერებაში (სახელმწ. სამართალში), რომლის თანახმადაც მმართველობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი მ ო ნ ა რ ქ ი ა (ე. ი. მეფისა და ხალხის წარმომადგენლობის ერთმანეთთან შეთანხმება).— **კონსტიტუციური** ავადმყოფობა, მთელი სხეულის შემპყრობი ავადმყოფობა.

**კონსტრიქტორ-ი,** 1) ანატომიაში: ხვრელის შემკვრელი კუნთი; 2) მახრჩობელა გველი.

**კონსტრუქტივიზმ-ი,** მეოცე საუკუნის ერთერთი მიმართულება მხატვრულ ლიტერატურაში, არქიტექტურაში, სასცენო ხელოვნებაში და სხვ. — უპირატესობას აძლევს ხელოვნებაში მატერიალურ-ტექნიკურ და გამოყენებითს მხარეს.

**კონსტრუქცია**, 1) აგებულება, აწყობილობა რაიმე საგნის, მანქანის; 2) სიტყვების გარკვეული დალაგება ფრაზაში (ახასიათებს ამათუიმ ენას).

**კონსულ-ი**, 1) უმაღლესი თანამდებობის პირი რომის რესპუბლიკაში; 2) საფრანგეთში (1799—1804): აღმასრულებელი ხელისუფლების მქონე პირი; 3) დღევანდელ პირობებში: სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვა ქვეყანაში—თავისი სახელმწიფოს სავაჭრო ინტერესებისა და მის ქვეშევრდომთა უფლებების დამცველი.

**კონსულტანტ-ი**, ნ. კონსულტაცია.

**კონსულტაცია**, 1) მცოდნე პირის ანუ სპეციალისტის რჩევა-დარიგება; 2) ასეთ პირთა თათბირი რაიმე საქმის გამო; 3) რჩევა-დარიგების მიმცემი დაწესებულება. —**კონსულტანტ-ი**, მრჩეველი, რჩევა-დარიგების მიმცემი სპეციალისტი.

**კონტაქტ-ი**, 1) ერთმანეთთან კავშირი, შეხება; შეთანხმებულობა; 2) ელექტროგამტარების შეხების ადგილი.—**კონტაქტური ელექტრობა**, ორი სხვადასხვაგვარი გამტარის შეხებისას აღძრული ელექტრობა.

**კონტექსტ-ი**, 1) აზრების ან სიტყვების ერთმანეთთან კავშირი დაწერილ- ან ზეპირმეტყველებაში, 2) ნაწერის (ან ნათქვამის) ის ადგილი, რომელთანაც აზრით შეკავშირებულია გამოყოფილი სიტყვა ან ფრაზა.

**კონტინგენტ-ი**, შემადგენლობა; კანონით განსაზღვრული ანუ ჭართებული რაოდენობა პირთა რაიმე ორგანიზაციაში (არმიაში, სასწავლებელში და სხვ.); პირადი შემადგენლობა

**კონტინენტ-ი**, ხმელეთი (უპირისპირდება ზღვებს და კუნძულებს); დედამიწაზე კონტინენტებად ითვლება ექვსი დიდი ხმელეთი: ევრაზია (ნ.), აფრიკა, ჩრდილო ამერიკა, სამხრ. ამერიკა, ანტარქტიდა (ნ.) და ავსტრალია. —**კონტინენტალური**, **კონტინენტური**, სახმელეთო, ხმელეთის.—**კონტინენტური სისტემა**, ნაპოლეონ I-ლის მიერ გამოცხადებული ეკონომ. პოლიტიკის სისტემა, რაც მდგომარეობდა ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის აკრძალვაში.

**კონტო**, ანგარიში.—**კონტოკორენტ-ი** (**კორრ-**), მიმდინარე ანგარიში.

**კონტორა**, ნ. კანტორა.

**კონტრ-**, [დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს:] წინააღმდეგ, საწინააღმდეგო, შემხვედრი და სხ., მაგ: კ ო ნ ტ რ ა ტ ა კ ა, კონტრიერიში ანუ საწინააღმდეგო, შემხვედრი იერიში.

**კონტრაბანდ-ი**, სახელმწიფო საზღვარზე ბაჟის გადაუხდელად საქონლის გადატანა მალულად. —**კონტრაბანდისტ-ი**, ასეთის ჩამდენი პირი.

**კონტრაბას-ი**, ყველაზე დიდი და დაბალხმიანი სიმებიანი საკრავი. —**კონტრაბასისტ-ი**, მაზედ დამკვრელი.

**კონტრაგენტ-ი**, ნ. კონტრაჰენტი.

**კონტრაკტ-**, ნ. კონტრაქტ-.

**კონტრალტო**, ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

**კონტრამარკა**, ბილეთის მაგიერ გაცემული შესასვლელი ბარათი — თეატრში, ცირკში და სხვაგან.

**კონტრაპუნქტ-ი**, მუსიკის თეორიის დარგი მრავალხმოვნობის შესახებ.

**კონტრასტ-ი**, ორი რისამე ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავებულობა, წინააღმდეგობა; მკვეთრად გამოხატული სხვაობა.

**კონტრაფაქცია**. საავტორო უფლების დარღვევა: ნაწარმოების გავრცელება ავტორის ნებადაურთველად.

**კონტრაქტაცია**, დაბევება, წინასწარი ხელშეკრულება რისამე მიღებისათვის, უმთავრესად — სოფლის მეურნეობის ნაწარმოების (მაგ. მოსავლის) დამზადების საქმეში,—გამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირში წარმოებისა და გასაღების გეგმიანი მოწესრიგებისათვის.

**კონტრაქტ-ი**. წერილობითი პირობა, საურთიერთო ხელშეკრულება.

**კონტრაქტურა**, კუნთების დამოკლება (მედიც.). (ნ. ანკილოზი).

**კონტრაჰენტ-ი**, ხელშეკრულების მონაწილე პირი ან ორგანიზაცია; რაიმე მოვალეობის ან ან უფლების მიმღები — ხელშეკრულების ძალით.

**კონტრიბუცია**, 1) მტრის ლაშქრის მიერ გადახდევინებული ფული — მისაგან დაკავებული მიწა-წყლის მცხოვრებთაგან; 2) ომში დამარცხებულ სახელმწიფოზე დადებული გადასახადი გამარჯვებულის სასარგებლოდ ხელშეკრულების ძალით.

**კონტროვერზ-ი**, დავა, კამათი; საკამათო საკითხი.

**კონტროლ-ი**, 1) დაწესებულების ან პირის მოქმედების შემოწმება, მეთვალყურეობა; 2) შემმოწმებელი ან მეთვალყურე დაწესებულება. — **კონტროლიორ-ი**, შემმოწმებელი ან მეთვალყურე თანამდებობის პირი.

**კონტრრევოლუცია**, რევოლუციის მოწინააღმდეგეობა: რევოლუციურ მოძრაობის ან უკვე გამარჯვებული რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი მოძრაობა,

რომლის მიზანია გაბატონებული კლასების მდგომარეობის განმტკიცება.—კონტრრევოლუციონერ ი, კონტრრევოლუციის მონაწილე ან მომხრე.

**კონტუზია**, სხეულის (უპრილობო) დაშავება ბლაგვი იარაღისაგან ან ახლო გავლილი ყუმბარისაგან.

**კონტურ-ი**, გარემოხაზულობა, საგნის გარეგანი მოყვანილობის გამომხატველი ხაზი.

**კონუს-ი**, სწორკუთხოვანი სამკუთხედის კათეტის თავისგარშემო ტრიალით წარმოქმნილი გეომეტრიული სხეული.—**კონუსური**, კონუსის მოყვანილობისა (შაქრისთავისებრი).

**კონფედერაცია**, კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რომელთაც აქვთ საერთო ორგანოებიც.

**კონფეთ-ი**, ნ. კანფეთი.

**კონფერანსიე**, სცენაზე რისამე წარმოდგენილის ამხსნელ-განმმარტებელი პირი; მომხსენებელი.

**კონფერენცია**, კრება მთავრობის, საზოგადოებათა ან პარტიის წარმომადგენლებისა განსაზღვრული საკითხების განსახილველად,—წარმოადგენს კონგრესისა ანუ ყრილობისათვის მოსამზადებელ კრებას.

**კონფეტ-ი** (-ტტ-), მრგვალ-მრგვალად დაჭრილი ფერადი ქაღალდი, რომელსაც ერთმანეთს აყრიან დროსტარების მონაწილეები.

**კონფექციური მრეწველობა**, მზა ტანსაცმელის მასსური წარმოება.

**კონფიგურაცია**, 1) საგნის ფორმა, მოყვანილობა; 2) საგნების ერთმანეთის მიმართ მდებარეობა.

**კონფიდენციალური**, **კონფიდენციური**, საიდუმლოდ შესანახი, გასანდობარი.

**კონფირმაცია**, 1) კათოლიკური წესი — მირონცხება მონათვლის შემდგომ; 2) ლუთერანული— სარწმუნოების აღიარება; 3) განაჩენის დამტკიცება.

**კონფისკაცია**, კერძო პირთა ქონების იძულებითი ჩამორთმევა უსასყიდლოდ—ხელისუფლებისმიერ.

**კონფლიქტ-ი**, ინტერესების, აზრების და სხვა შეუთანხმებლობა; განხეთქილება.

**კონფორკა**, ნ. კამფორკა.

**კონფუზ-ი**, დარცხვენა, შეშფოთება, შეკრთომა.

**კონფუციანობა**, **კონფუციანიზმ-ი**, ჩინელი ბრძენის, კ ო ნ ფ უ ც ი უ ს-ის (6—5 საუკ. ქ. წ.), მოძღვრება, — გავრცელებულია იაპონიასა და კორეიაში.

**კონქვისტადორები** (მრავლ.), ისპანელ და პორტუგალელ მოხალისეთა ბელადები,—იპყრობდენ შუა- და სამხრეთამერიკას.

**კონცენტრაცია**, თავმოყრა, ერთ ადგილას შეკრება; შემჭიდროება; შთაწერტვა; გასქელება — **წარმოების კონცენტრაცია**, წარმოებათა რიცხვის შემცირება თითოეული დარჩენილის თანდათანის გამსხვილებით წვრილ წარმოებათა მოსპობის გზით; კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასთან დაკავშირებულია კაპიტალის კონცენტრაცია თან დათან შემცირებულ კაპიტალისტთა რიცხვის ხელში,— შედეგია კონკურენციისა (ნ.).— **ყურადღების კონცენტრაცია**. ყურადღების დაძაბვა, შთაწერტვა.

**კონცენტრ-ი**, სწავლების ერთერთი სისტემა, მოწაფე სწავლობს ერთდაიმავე საგანს სხვადასხვა მოცულობით: პირველად მოკლე მოცულობით, შემდეგ ვრცლად. —**კონცენტრული**. სხვასთან საერთო ცენტრის მქონე.

**კონცეპტ-ი**, ცნება; გეგმა, სქემა.— **კონცეპტუალიზმ-ი**, ფილოსოფური მოძღვრება ცნებების, როგორც ცნობიერების ნაყოფის, შესახებ.

**კონცეპცია**, ნ. კონცეფცია.

**კონცერნ-ი**, რამდენიმე ფორმალურად დამოუკიდებელი საწარმის გაერთიანება კაპიტალისტთა ჯგუფის ფინანსიური ხელმძღვანელობით.

**კონცერტ-ი**, 1) რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულება; 2) ცალკეული ინსტრუმენტისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები. —**კონცერტანტ-ი**, კონცერტის შემსრულებელი.

**კონცესია** (-სს-), ხელისუფლებისმიერ კერძო პირისა ან კომპანიისათვის მიცემული ნებართვა რაიმე სამეურნეო საწარმოზე. — **კონცესიონერ-ი**, კონცესიის მიმღები.

**კონცეფცია**, ავტორის შემოქმედებითი აზრი, — მოსაზრება, განგულვება; ცნებათა ჩამოყალიბება.

**კოოპერატივ-ი**, კოოპერაციის პირველადი საფუძველი,—წარმოადგენს კოლექტიურ საწარმს, რომლის თანხები შედგენილია მონაწილეების (წევრების) მიერ შეტანილი მცირე საპაიო გადასახადისაგან; კოოპერატივი შეიძლება იყოს სამომხმარებლო, საწარმოო, სავაჭრო, საკრედიტო, საბინაო და უნივერსალური. საერთოდ კოოპერატივის მიზანია — კაპიტალის ექსპლოატაციისაგან თავისდახწევა, მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში იგი ამას ვერ აღწევს. - **კოოპერატორ-ი**, კოოპერაციის დარგების მცოდნე და მათში მომუშავე.

**კოოპერაცია**, თანამშრომლობა: 1) თანამშრომლობისა და გეგმიანობის საფუძველზე აგებული შრომა; 2) სხვადასხვა სახის გაერთიანებები, რომელთა მიზანია — თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე კაპიტალის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რის შესრულება კაპიტალისტურ გარემოცვაში კოოპერაციას შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლასთან დაკავშირებით.— საბჭოთა კავშირის კოოპერაცია წარმოადგენს საბჭოთა ეკონომიკის სოციალისტურ სექტორს: საბინაო კოოპერაცია — მისი მიზანია საბინაო მეურნეობის გეგმიანობისა და რაციონალიზაციის საფუძველზე საბინაო კრიზისის მოსპობა; სამომხმარებლო კოოპერაცია ემსახურება მშრომელთა მასების მომარაგებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ისახავს მიზნად სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას მეურნეობათა განსაზოგადოების საფუძველზე და სხ. — **კოოპერაციული**, თანამშრომლობითი, თანამშრომლური.

**კოოპტაცია**, არჩეულ ორგანოში (მაგ. კომისიაში) ახალი წევრის შეყვანა თვით ამ ორგანოს ძიერ — არჩევის გარეშე.

**კოორდინატები** (მრავლ.), 1) გეომეტრიაში: წერტილის მდებარეობის განმსაზღვრელი სიდიდეები; 2) გეოგრაფიაში: სიგანედი და სიგრძედი, განსაზღვრავენ დედამიწის ბირთვზე რომელიმე წერტილის მდებარეობას.

**კოორდინაცია**, შეფარდებულობა, შეთანხმებულობა.— **კოორდინირება**, ვაკოორდინირებ, შევაფარდებ, შევათანხმებ.

**კოპიო**, 1) დედნიდან გადაღებული პირი — ხელნაწერის, ხელოვნების ნაწარმოების და სხ.; 2) სრული მსგავსება.

**კოპულაცია**, შეუღლება, დამყნა; სქესობრივი შეუღლების ერთგვარი სახე.

**კორალები** (კორალლ-, მრავლ.), ზღვის მცენარისებრი ცხოველები, რომლებიც უძრავად მიემაგრებიან ხოლმე კლდეებს და ქმნიან გროვას; მათი კირიოვანი ნაწილები წარმოადგენს მარჯანს, რომლისაგანაც კეთდება სამკაულები.

**კორან-ი**, ნ. ყურანი.

**კორდიტ-ი** ან **კორდაიტ-ი**, უკვამლო დენთი (თოფიაწამალი).

**კორდონ-ი**, საზღვრის დამცველი რაზმი.

**კორექტ-**, ნ. **კორექტ-**.

**კორელაცია** (კორრ-), თანაშეფარდება, თანაშეპირობება.— **კორელაციური**, თანაშეფარდებული.

თანაშეპირობებული. — კორელატები (მრავლ.), თანაშეპირობებული ორი მოვლენა.

**კორესპონდენტ-ი** (კორრ.), 1) მუდმივ ან ხანგრძლივ მიწერ-მოწერაში მყოფი პირი; 2) პერიოდული გამოცემის (გაზეთის, ჟურნალის) ცნობების მიმწოდებელი თანამშრომელი; 3) არასრულუფლებიანი წევრი სამეცნიერო დაწესებულებისა (მაგ. სამეცნიერო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი). — კორესპონდენცია, 1) მიწერ-მოწერა; 2) თანამშრომლისმიერ მიწოდებული ცნობები გაზეთში, ჟურნალში.

**კორექტივ-ი** (კორრ-), შესწორება. — კორექტობა, რიგიანობა, ხრდილობიანობა. — კორექტული, წესიერი, ხრდილობიანი.

**კორექტურა**, 1) აწყობისას დაშვებულ შეცთომების გასწორება; 2) გასასწორებლად ამორეჭდილი ტექსტი.—კორექტურული შეცთომა, ნაბეჭდის შეცთომა, რომელიც შეუჩნევლი დარჩება ზოგჯერ კორექტორს—კორექტურის გამსწორებელს.

**კორიდორ-ი** (კორრ-), დერეფანი

**კორიფეი ან კორიფე** 1) გუნდის ხელმძღვანელი ძვ. ბერძნულ ტრაგედიაში; 2) ხელოვნების ან სამეცნიერო დარგის საუკეთესო წარმომადგენელი.

**კორნეტ-ი**, 1) ოფიცრის დაბალი ხარისხი ძველად მეფის არმიაში; 2) შთ.საბერი საკრავი.—კორნეტისტ-ი, კორნეტზე დამკვრელი.

**კორპორანტ-ი**, კორპორაციის წევრი.—კორპორაცია, გაერთიანება ჯგუფური ინტერესების საფუძველზე.

**კორპუს-ი**, 1) ადამიანის ან ცხოველის ტანი; 2) ხომალდის ჩონჩხი; 3) არმიის ცალკეული ნაწილი, რომელიც შეიცავს ყოველგვარი იარაღის ყველა სახეს და იმყოფება საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ; 4) რაიმე დაწესებულების ან უწყების შედგენილობა (დიპლომატიური კორპუსი, ჟანდარმთა კორპუსი...); 5) ზოგიერთი სამხედრო სასწავლებლის სახელწოდება რევოლუციამდე რუსეთში (კადეტთა კორპუსი, საზღვაო კორპუსი..); 6) საშუალო ზომის (ათპუნქტიანი) შრიფტი.

**კორსაჟ-ი**, ქალის ტანსაცმელის ზედატანი – ყელიდან წელამდე

**კორსარ-ი**, 1) მეკობრე, ზღვის ავაზაკი; 2) ომის დროს მტრის სავაჭრო ხომალდების დამჭერი მეზღვაური.

**კორსეტ-ი**, ნ. კარსეთი

**კორტეჟ-ი**, ამალა; საზეიმო სვლა მრავალთა, პროცესია (ნ).

**კორტესები** (მრავლ.), სახალხო წარმომადგენლობა ისპანიაში

(1930 წ. რევოლუციამდე) და პორტუგალიაში (1911 წ. რესპუბლიკამდე).

**კორუპცია** (კორრ-), ზნედაცემულობა; პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაკთა მექრთამეობა; დამახინჯება (მაგ. ტექსტისა).

**კოსმეტიკა,** 1) სხეულისათვის სილამაზისა და მიმზიდველობის მიმცემი საშუალებები (პუდრი, სალებავები თმისა, ოდეკოლონი და სხ.); 2) ამ საშუალებების გამოყენების ხელოვნება.

**კოსმიური** ან **კოსმოსური,** მსოფლიოური, სამყაროული (ნ. კოსმოსი).

**კოსმოს-ი,** მსოფლიო, სამყარო, როგორც ორგანიზებული და დასრულებული მთლიანი.—**კოსმოგონია,** მსოფლიოს წარმოქმნის შესახებ მოძღვრება. —**კოსმოგრაფია,** 1) აღწერა ხილული მსოფლიოსი, მსოფლიო სხეულთა და მოვლენებისა; 2) ასტრონომიის შესავალი კურსი - გეოგრაფიის, გეოდეზიის და მეტეოროლოგიის ცნობებითურთ.—**კოსმოლოგია,** მეტაფიზიკის ნაწილი, — ცდილობს ააგოს მეცნიერება ბუნების შესახებ ცდის გარეშე, აპრიორულად.

**კოსმოპოლიტ-ი,** თავისთავის მთელი ქვეყნიერების (და არა ერთი რომელიმე ქვეყნის) მოქალაქედ ჩამთვლელი პირი. — **კოსმოპოლიტები** (მრავლ.), ქვეყნიერების ყველა ნაწილში გავრცელებული ცხოველები ან მცენარეები (თაგვი, ბელურა, გვიმრა...). — **კოსმოპოლიტიზმ-ი,** მთელი ქვეყნიერების აღიარება თავის სამშობლოდ; „ზოგად-კაცობრიულისათვის" უპირატესობის მინიჭება.

**კოსტიოლ-ი,** კათოლიკური საყდარი პოლონურად.

**კოსტიუმ-ი** ან **კოსტუმ-ი,** ტანსაცმელი; ევროპული ტანსაცმელი (ვაჟისა— ფიჯაკი, ჟილეტი და შალვარი; ქალისა—ჟაკეტი და კაბა).

**კოტელოკ-ი,** ერთგვარი ევროპიული ქუდი ვაჟისა: მაგარგვერდებიანი და მომრგვალებულ-არეიანი.

**კოტეჯ-ი** (კოტტ-), ერთბინიანი სახლი—უმეტესად ქალაქგარეთ, — შემოღებულია საბჭოთა კავშირში მუშათა ახალმშენებლობაში.

**კოტლეტ-ი,** ნ. კატლეთი.

**კოტურნ-ი,** ნ, კოთურნები.

**კოფეინ-ი,** ყავის მარცვლებისა და ჩაის ფოთლებიდან მიღებული ალკალოიდი (ნ.), — იხმარება როგორც აღმძვრელი საშუალება.

**კოფთა,** ქალის ზედატანზე ჩასაცმელი.

**კოქს-ი,** საწვავი ნივთიერება, მიღებული ქვანახშირის გამოწვით,—იხმარება უმთავრესად მეტალურგიაში (ნ. ეს).

**კოშმარ-ი,** 1) საზარელი სიზმარი: გრძნობა სულისხუთვისა და გულზე სიმძიმისა; მაჯლაჯუნა; 2) საზარელი რამ ამბავი.

**კოხის ბაცილ-ი,** ჭლექის ბაცილი (აღმოაჩინა 1882 წ. კ ო ხ მ ა).

**კოჰერერ-ი,** ელექტროტალღების მიმღები მოწყობილობა, — იხმარებოდა რადიოტელეგრაფიაში.

**კოჰორტ-ი,** ლეგიონის მეათედი ნაწილი (ძვ. რომის ჯარში).

**კრაგ-ი, კრაგები,** წვივებზე ჩასაცმელი ღილებიანი ყელები.

**კრან-ი,** 1) ონკანი, სითხის ან აირის გამოსაშვებ-დასაკავებელი მოწყობილობა; 2) დიდი სიმძიმეების ასაწევ-დასაწევი მანქანა; აიწე

**კრანიოლოგია,** ანთროპოლოგიის დარგი, შეისწავლის ადამიანის ქალას (თავისქალას). — **კრანიომეტრია,** ქალის გაზომვის მეცნიერება.

**კრაპ-ი (კრაპპ-),** წითელი საღებავი (ენდროს ძირისა).

**კრატერ-ი,** 1) ვულკანის ანუ ცეცხლმფრქვევი მთის ძაბრისებრი ნაპრალი; 2) ამოღრმავება ვოლტას რკალის ნახშირზე, რომელიც შეერთებულია დადებითს პოლუსთან.

**კრახ-ი,** მოულოდნელი მარცხი, დაღუპვა, გაკოტრება.

**კრეატინ-ი,** ცილოვან ნივთიერებათა დაშლის შედეგი ცხოველის ორგანიზმში.

**კრეატურ-ი,** გავლენიანი პირის წყალობით (პროტექციით) დაწინაურებული და მისი მასიამოვნებელი ადამიანი.

**კრედიტ-ი,** 1) ნდობა; სანდოობა ვისიმე გადახდისუნარიანობისა ან კეთილსინდისიერებისა; 2) ვინმესთვის რაიმე ღირებულების (ფულის, საქონლის) გადამცემი პირის ანგარიში; 3) საბუღალტრო წიგნის მარჯვენა გვერდი, სადაც იწერება გასავალი. — **კრედიტორ-ი,** გამსესხებელი, საქონლის ნისიად მიმცემი და სხ., ე. ი. პირი, რომელსაც უფლება აქვს გადახდის მოთხოვნისა სხვა პირისაგან.

**კრედო,** მრწამსი; რწმენა, პრინციპი.

**კრეზ-ი,** ძალიან მდიდარი ადამიანი (აურაცხელი სიმდიდრის მქონე მეფე ლიდიისა).

**კრეისერ-ი,** დიდი სამხედრო გემი.

**კრეკინგ-ი,** ნავთის გადასამუშავებელი დადგმულობა.

**კრემატორი ან კრემატორიუმი,** გვამების დასაწვავი ღუმელი. — **კრემაცია,** გვამების დაწვა.

**კრემ-ი,** 1) კვერცხ-შაქრით დამზადებული ნაღები - ტკბილი საჭმელი; 2) ლურჯ ნაზი.—**კრემისფერი,** ღიაყვითელი.

**კრემლ-ი,** ციხექალაქი ძველ (ფეოდალურ) რუსეთში. ყველაზე ცნობილია მოსკოვის კრემლი რომელშიც ახლა იმყოფება საბჭოთა კავშირის უზენაესი ორგანოები.

**კრენ-ი,** ხომალდის დაგვერდება უთანაბრო დატვირთვის ან რწევის გამო. **კრენომეტრ-ი,** დაგვერდების საზომი იარაღი.

**კრეოზოლ-ი,** წიფლის ფისისაგან მოპოებული რთული ქიმიური ნივთიერება. რომლისგანაც მზადდება **კრეოლინ-ი,** სადეზინფექციო საშუალება —**კრეოზოტ-ი,** ხის ან ქვანახშირის გამონახადი თხელი ნივთიერება, —იზმარება ხის გასაქლენთად ლპობისაგან დაცვის მიზნით.

**კრეპ-ი.** აბრეშუმის ან ბამბის ერთგვარი თხელი ქსოვილი.

**კრეტინ-ი,** 1) კრეტინიზმით დაავადებული ადამიანი; 2) გონებაჩლუნგი, იდიოტი. – **კრეტინიზმ-ი,** ზოგიერთ ადგილებში (უმთავრესად მთიანში) გავრცელებული დაავადება, მისი დამახასიათებელია ტანის სიდაბლე, სქესობრივი განუვითარებლობა და გონებრივი ჩამორჩენილობა.

**კრიზის-ი,** 1) გარდატეხა; სახიფათო, მძიმე გარდამავალი მდგომარეობა; 2) მედიცინაში ტემპერატურის (სიცხის) სწრაფი დაწევა ინფექციურ ავადმყოფობისას. — **ეკონომიური კრიზის-ი,** კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიკაში ხანგამოშვებითი ძოვლენა, რასაც ახასიათებს ბაზრის გაუსაღებელი საქონლით ავსება, ვაჭრობის შეჩერება, ქარხნების დახურვა, უმუშევრობა და სხვა.

**კრიზისული** (და არა კრიტიკული, რომელიც სხვას ნიშნავს. ნ. კრიტიკა კრიტიკული), გარდატეხითი, სახიფათო, გადამწყვეტი მდგომარეობა. — **კრიზისული მდგომარეობა ნივთიერებისა,** როცა ნივთიერება მოგვევლინება ერთდაიმავე დროს სითხისა და აირის სახით. **კრიზისული ტემპერატურა,** ისეთი ტემპერატურა, რომლის ზევით ნივთიერება არავითარ წნევით აღარ გადაიქცევა სითხედ.

**კრიკეტ-ი,** ინგლისში გავრცელებული ბურთაობა.

**კრიმინალ-ი,** სისხლის-სამართლის დანაშაული —**კრიმინალისტ-ი,** სისხლის-სამართლის სპეციალისტი.—**კრიმინალისტიკა,** მეცნიერება სისხლის-სამართლისა. —**კრიმინალური,** დანაშაულებრივი, სისხლის სამართლისა.— **კრიმინოლოგია,** მეცნიერების დარგი, – იკვლევს დანაშაულს როგორც სოციალურ მოვლენას.

**კრინოლინ-ი,** 1) ძუის ქსოვილი ან კაბა; 2) ძველებური კაბა, რომელსაც გახიერედ იჭერენ შიგ დატანებული მავთულები.

**კრიპტიები** (მრავლ.), მმართველი კლასის ახალგაზრდობისაგან შედგენილი რაზმები ძველ სპარტაში, — თვალყურს ადევნებდენ ილოტებს (ნ.) და სჯიდენ აჯანყებულებს.

**კრიპტოგამები** (მრავლ.), „ფარულად შეუღლებული“ მცენარეები (ე. ი. უყვავილონი).

**კრიპტოგრაფია,** საიდუმლო წერა. — **კრიპტოლალია,** საიდუმლო მეტყველება, — გაუგებარია სხვა ჯგუფისათვის.

**კრისტალ-ი** (-ლლ-), წესიერ მრავალკუთხედფორმიანი მყარი სხეული, — წარმოიქმნება ბუნებაში ან ხელოვნურად. — **კრისტალიზაცია,** კრისტალის წარმოქმნის პროცესი. — **კრისტალოიდები** (მრავლ.), ისეთი ნივთიერებანი, რომელთაც გახსნილ მდგომარეობაში შეუძლიათ გავიდენ მცენარეულ ან ცხოველურ აპკში. — **კრისტალოლოგია, კრისტალოგრაფია,** მეცნიერება კრისტალების შესახებ. — **კრისტალური,** კრისტალის ხასიათისა; გამჭვირვალე, სუფთა, წმინდა.

**კრიტერიუმ-ი,** რისამე დაფასების საზომი, მაგ. ჭეშმარიტების კრიტერიუმი არის პრაქტიკა რომელიც აუფლებს ადამიანს ბუნებაზე.

**კრიტიკა,** 1) რისამე გარჩევა დაფასება; 2) რისამე შესახებ უარყოფითი აზრის გამოთქმა; დაწუნება; 3) ლიტერატურის დარგი, — არკვევს ნაწარმოების მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებას. — **კრიტიკოს-ი,** გამრჩევ დამფასებელი (მოვლენის, ნაწარმოების...). — **გაკრიტიკება, ვაკრიტიკებ,** ვარჩევ-ვაფასებ; ვამჟღავნებ რისამე უარყოფით მხარეს; ვიწუნებ.

**კრიტიკული,** კრიტიკის შემცველი; კრიტიკის უნარიანი. — **კრიტიკული ფილოსოფია,** ნ. კრიტიციზმი; **კრიტიკული მდგომარეობა, ტემპერატურა,** ნ. კრიზისული.

**კრიტიციზმ-ი,** ფილოსოფიური მიმართულება. — აუცილებლად თვლის ფილოსოფოსისათვის წინასწარ შესწავლას ადამიანის შემეცნების პროცესისას და მისი საზღვრებისას, — წარმოადგენს იდეალისტურ სინთეზს რაციონალიზმისას და ემპირიზმისას (ნ. ესენი).

**კროკეტ-ი.** ერთგვარი თამაში ხის ბურთებით.

**კროკი,** სურათის მოხაზულობა; ადგილმდებარეობის სახელდახელოდ შედგენილი გეგმა.

**კროკოდილ-ი,** ნიანგი.

**კრომანონის რასა**, ამონათხრებიდან ცნობილი ნამარხი (გადაშენებული) რასა ადამიანისა, — ცხოვრობდა ევროპაში პალეოლითის (ნ.) ბოლოს და განსხვავდებოდა ნეანდერთალის (ნ.) რასისაგან, რომელიც მან შესცვალა, მეტად განვითარებული ტვინით.

**კრონა, კრონ-ი**, ფულის ერთეული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: უნგრეთში უდრის 39 კაპ., დანია-შვეცია-ნორვეგიაში —52 კ.

**კრონგლას-ი**, ოპტიკური შუშების დასამზადებელი მაღალ-ხარისხოვანი მინა.

**კრონპრინც-ი**, ტახტის მემკვიდრე გერმანიის ყოფ. იმპერიაში და ავსტრიაში.

**კრონშტეინ-ი**, ბრჯენი.

**კრონცირკული**, წრეების სახაზავი ცირკული.

**კროს-კაუნტრი (კროსს-)**, ერთგვარი სპორტი: უგზო ადგილზე სირბილი.

**კრუპ-ი**, ხორხის დიფთერია: გადამდები სენი—წარმოადგენს ხორხის ლორწოიანი გარსის მწვავე ანთებას.

**კს-**, ნ. ქს-.

**კუბატურა**, ნ. კუბი.

**კუბ-ი**, 1) წესიერი ექვსწახნაგა, რომლის ყველა წახნაგი კვადრატია; 2) რაიმე რაოდენობის მესამე ხარისხი (მაგ. $a^3$); 3) სითხის გამოსახდელი მოწყობილობა; 4) წყლის გასაცხელებელი ქვაბი ქვის ღუმელში.—**კუბატურა**, 1) მესამე ხარისხად (კუბად) აყვანა; 2) რაიმე სათავსის (ბინის და სხ.) შინაგანი მოცულობის ზომა.—**კუბიკური**, კუბის ფორმიანი.

**კუბიზმ-ი**, მეოცე საუკუნის ხელოვნების ერთერთი მიმართულება (დასავლ. ევროპაში), განსაკუთრებით—ფერწერაში: გეომეტრიულ (უმთავრესად- კუბის) ფორმებში ასახვა მრავალფეროვან მხედველობით შთაბეჭდილებათა.—**კუბისტ-ი**, კუბიზმის მიმდევარი.

**კუვადა, კუვად-ი**, ზოგიერთ ხალხებში (ბასკებში, ინდოელებში...) შერჩენილი ჩვეულება; ახალშობილის მამა ბაძავს მშობიარე დედის საქციელს—წვება ლოგინში, კვნესის, თმობს საჭმელს და სხ.

**კუზენ-ი**, ბიძაშვილი, მამიდაშვილი ან დეიდაშვილი—ვაჟი.—**კუზინა, კუზინ-ი**, იგივე—ქალი.

**კულაკ-ი**, სოფლის ბურჟუა, — ეწევა სხვის შრომის ექსპლოატაციას. —**კულაკობა**, სოფლის ბურჟუაზია, რომლის ლიკვიდაცია (მოსპობა), როგორც კლასისა, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ ამოცანას.

**კულინარია**, საჭმლის დამზადების ხელოვნება.—**კულინარ-ი**, საჭმლის დამზადებაში დახელოვნებული პირი.

**კულის-ი** (-სს-), 1) ფასიანი ქაღალდების არაოფიციალური (მალული) საბაჟრო ადგილი; 2) ორთქლმანქანაში: მანქანის უკუსვლის მოწყობილობა.—**კულისები** (მრავლ.), 1) სცენის გვერდების მოძრავი დეკორაციები (ნ.),—გამოდის ხმარებიდან; 2) საზოგადოებისაგან დაფარული ამბები, მოქმედება.

**კულიჩ-ი**, ერთგვარი ტკბილნამცხვარი პური („პასკა"),—ცხვებოდა წინეთ „სააღდგომოდ".

**კულმინაცია**, ვარსკვლავის გავლა ცის მერიდიანზე.—**კულმინაციის** ანუ **კულმინაციური წერტილი**, რისამე უმაღლესი წერტილი, მწვერვალი.

**კულონ-ი**, ელექტროობრაოდენობის საზომი ერთეული,—უდრის ელექტროობრაოდენობას, რომელიც 1 წამში გაივლის 1 ამპერის სიძლიერისას.

**კულტესტაფეტ-ი** (კულტურული ესტაფეტი), კულტურული ლაშქრობის საზოგადოებრივ ორგანიზაციის ერთერთი ფორმა; მისი მიზანია მასების აქტიური მონაწილეობით ბრძოლა უწიგნურობის მოსპობისა, საყოველთაო სწავლებისა, სკოლის პოლიტექნიზაციისათვის და სხ. (ნ. ესტაფეტი).

**კულტ-ი**, 1) სარწმუნოებრივ წესების შესრულება, რელიგიური წესები; 2) თაყვანისცემა, პატივისცემა.

**კულტივატორ-ი**, ერთგვარი მიწისსამუშაო იარაღი: ფხვნის ნიადაგს მოხვნის შემდგომ.

**კულტურა**, 1) მოშენება, დამუშავება, გაუმჯობესება (მცენარეთა, ცხოველთა, მიწის—სამეურნეო მიზნით); 2) განვითარება, სწავლა-განათლება; ტექნიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე, რაც დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაზე. კულტურის ხასიათი განისაზღვრება საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურით: არის კულტურა ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური. — **კულტუროსანი**, განათლებული პირი.—**კულტურტრეგერ-ი**, კულტურის შემტანი და გამვრცელებელი (იტყვიან დაცინვით).—**კულტურული**, 1) მოშენებული (მაგ. მცენარე), არა ველური; 2) განათლებული, განვითარებული.

**კულუარ-ი**, პარლამენტის დერეფანი ან სხვა ოთახები (სხდომის დარბაზის გარდა),—წარმოადგენს დასასვენებელ ან წინასწარი მოლაპარაკების ადგილს.

**კუნსტკამერა,** სიძველეებისა და იშვიათი საგნების კრებული, მათი შესანახი ბინა, მუზეუმი (ნ. ეს).

**კუნქტატორ-ი,** დამგვიანებელი, მოგვიანე.

**კუპე,** განცალკევებული დახურული განყოფილება სარკინიგზო ვაგონში.

**კუპიდონ-ი,** 1) სიყვარულის ღმერთი ძველ რომში—ფრთებიანი ბიჭი მშვილდ-ისრით ხელში; 2) ლამაზი ბიჭი.

**კუპიურ-ი,** 1) რისამე წილადოვანი ნაწილი, ნაჭერი; 2) ქაღალდის ფულზე, ბანკნოტზე და სხვაზე აღნიშნული ნომინალური (დასახელებული) ღირებულება (მაგ. 1, 2, 3, 5 და 10 ჩერვონციანი კუპიური); 3) სალიტერატ. ან სამუსიკო ტექსტის შეკვეცა.

**კუპლეტ-ი,** 1) ტაეპი ლექსის ან სიმღერის; 2) **კუპლეტები,** სახალისო ხასიათის ლექსები,—იკითხება სათეატრო მსუბუქ წარმოდგენებზე. — **კუპლეტისტ-ი,** კუპლეტების შემთხზველი და შემსრულებელი.

**კუპონ-ი,** ფასიანი ქაღალდის მოსახევი ნაწილი, რომელსაც ცალკე აქვს ღირებულება.

**კურატორ-ი,** მზრუნველი, მომვლელი, ზედამხედველი; 2) კლინიკაში ავადმყოფის მეთვალყურე ექიმი ან სტუდენტი.—**კურაცია,** ავადმყოფის მეთვალყურეობა.

**კურგან-ი,** გუმბათისებრი მიწაყრილი ძველდროის საფლავზე,—გვხვდება სამხრეთ რუსეთში და სხ.

**კურზალ-ი,** შესაკრებელი და საკონცერტო დარბაზი კურორტებზე.

**კურია,** 1) პატრიციების დაჯგუფება ძველ რომში; 2) რომის პაპის ცენტრალური დაწესებულებები; 3) სარჩევნო დაჯგუფება ქონებრივ, წოდებრივ და სხვა ნიშნეულობათა მიხედვით.—**კურიალური,** კურიებად დაყოფაზე დამყარებული, მაგ. არჩევნების კ უ რ ი ა ლ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა.

**კურიერ-ი,** შიკრიკი.

**კურიკულუმ ვიტე** (კურრ-), მოკლე ბიოგრაფია.

**კურიოზ-ი,** საკვირველი, უცნაური, სასაცილო ამბავი.—**კურიოზული,** უცნაური, სასაცილო.

**კურორტ-ი,** სათანადოდ მოწყობილი ბუნებრივ სამკურნალო საშუალებათა (წყალი, ჰავა, ტალახი) მქონე ადგილი, სადაც იკრიბებიან ავადმყოფები სამკურნალოდ და დასასვენებლად. —**კურორტოლოგია,** კურორტების მცოდნეობა.

**კურს-ი,** 1) მიმართულება, გეზი (ხომალდის, პოლიტიკის...),

მსვლელობა; 2) რაიმე მეცნიერების სრულად დალაგებული შინაარსი; 3) სასწავლებლის ყველა საგნები; 4) უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო წელი; 5) ავადმყოფობის განსაკურნებლად საჭირო დრო და ღონისძიებათა გარკვეული რაოდენობა; 6) ფასიანი ქაღალდების საბირჟო ღირებულება. —**კურსები**, დროებითი ხასიათის სასწავლო დაწესებულება. —**კურსანტ-ი**, კურსების მსმენელი.— **კურსისტ-ი**, იგივე —ვაჟი; **კურსისტკა**, იგივე—ქალი.

**კურხივ-ი**, დახრილი სასტამბო შრიფტი, ხელნაწერის მსგავსი.

**კურტაჟ-ი**, სამაკლერო (საშუამავლო) ხელფასი (ნ. მაკლერი).

**კურტიზან-ი**, სასახლის კარისკაცი; პირმოთნე, პირფერი ადამიანი. —**კურტიზანკა**, მაღალი წრეების მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**კურტკა**, მოკლეკალთებიანი ზედატანსაცმელი,

**კურტუაზია**, რაინდული ზრდილობიანობა,—ზრდილობის წესები.

**კურფიურსტ-ი**, საერო ან სასულიერო დიდმამულიანი თავადი გერმანიაში (1806 წლამდე).

**კუსტარ-ი**, შინამრეწველი: საბაზროდ ნაწარმოების დამმზადებელი წვრილმწარმოებელი,— მუშაობს უმთავრესად თავის ოჯახის ძალებით.

**კუში** დაწექ! (ეტყვიან ძაღლს).

**კუშეტკა**, **კუშეტი** (-ტტ-), ხის საწოლი, ტახტი; უზურგო სავარძელი.

**კუხმისტერ-ი**, მზარეული; სასადილოს შემნახველი.

# ლ

**ლა**, თანამედროვე ძირითადი გამის მეექვსე ნოტი (ნ. გამა).

**ლაბიალური**, **ლაბიალი** **ბგერები**, ბაგების (ტუჩების) მოქმედებით წარმოთქმული სამეტყველო ბგერები (ბ, პ, ფ).—**ლაბიალიზაცია**, ბგერების წარმოთქმისას ბაგეების მომრგვალებულად წამოშვერა.

**ლაბირინთ-ი**, 1) დახლართულგზებიანი რთული შენობა ძველ ქვეყნებში; 2) ბალის დახლართული ბილიკები; 3) ყურის შიდა ნაწილი; 4) რთული და ძნელად თავგასართმევი მდგომარეობა.

**ლაბორანტ-ი**, ლაბორატორიაში მომუშავე სამეცნიერო თანამშრომელი.

**ლაბორატორია**, საცდელ-საკვლევო მუშაობისათვის მოწყობილი

დაწესებულება სხვადასხვა დანიშნულებისა: სამეცნიერო - სხვადასხვა დარგისა, სასკოლო და სხვა.—**ლაბორატორიული მეთოდი**, მუშაობის ისეთი მეთოდი, რომელშიც უპირველესი ადგილი ეთმობა საცდელ-საკვლევო პროცესს; კერძოდ—ეს მეთოდი გამოყენებულია სკოლაში, როგორც სწავლების აქტიური მეთოდი: წინასწარ შესავალ საუბარში ხელმძღვანელი არკვევს თემის საერთო შინაარსს, რომელიც საფუძვლიანად მუშავდება მსმენელების მიერ კონკრეტულ მასალაზე ან წიგნის საშუალებით.

**ლაგთინგ-ი**, ნორვეგიის პარლამენტის ზედაპალტა.

**ლაგ-ი**, ხომალდის სვლის სიჩქარის გამოსარკვევი მოწყობილობა.

**ლაგუნები** (მრავლ.), ზღვისაგან განცალკევებული პატარა ტბები.

**ლავა** ცეცხლმფრქვევ მთიდან ამონთხეული გამდნარი ნივთიერება.

**ლავრა**, რამოდენიმე (4) დიდი მონასტრის სახელი რევოლუციამდე რუსეთში.

**ლავრეატ-ი**, ლაურეატ-ი, დაფნის გვირგვინით დაჯილდოებული; უმაღლესჯილდომიღებული მეცნიერი, პოეტი, მხატვარი ან მსახიობი.

**ლაზარეთ-ი**, საავადმყოფო, ჩვეულებრივ—სამხედრო მოძრავი.

**ლათინიზმ-ი**, ლათინური ენის თავისებურობა, სხვა ენაში გადატანილი.—**ლათინისტ-ი**, ლათინური ენის ზედმიწევნით მცოდნე,—მასწავლებელი.

**ლათინიზაცია დამწერლობისა**, ლათინური საერთაშორისო ანბანის შემოღება (სათანადო დამატებებით) ტრადიციული ეროვნული ანბანების ნაცვლად სხვადასხვა ხალხებისმიერ, განსაკუთრებით — საბჭოთა კავშირში.

**ლაიკა**, ჩვილი ბატკნის, ძაღლის და სხვათა ტყავისაგან საგანგებოდ დამზადებული მასალა ხელთათმანებისათვის, ქალის ფეხსაცმელისათვის და სხ.

**ლაკმუს-ი**, მღებავი ნივთიერება.—**ლაკმუსიანი ქაღალდი**, ლაკმუსით გაჟღენთილი ქაღალდი,—ილებება მჟავათი წითლად, ტუტეთი—ლურჯად.

**ლაკონიზმ-ი**, აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმა, — **ლაკონიური**, მოკლე და მკაფიო.

**ლაკტ-**, ნ. ლაქტ-.

**ლამა**, მღვდელი, ბერი ტიბეტში, მონღოლეთში და მეზობელ ქვეყნებში.—**ლამაიზმ-ი**, ბუდიზმის ნიადაგზე წარმოშობილი რელიგიური მოძღვრება, —უარყოფს ცხოვრების მატერიალურ

მხარეს, სამღვდელოების ცოლიანობას და სხ. — **ლამაისტ-ი**, **ლამაიტ-ი**, ლამაიზმის მიმდევარი.

**ლამარკიზმ-ი**, მიმართულება ბიოლოგიაში, — ამტკიცებს, რომ ევოლუციის პროცესში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გარემოს და ცოცხალ არსებათა ცხოვრების პირობებს (ჰავას, საჭმელს...).

**ლამბარდ-ი**, ნ. ლომბარდი.

**ლამბდა**, „ლ" ასოს სახელი ბერძნულ ანბანში. — **ლამბდაციზმ-ი**, „რ"-ს ნაცვლად „ლ"-ს წარმოთქმის ჩვეულება მეტყველებაში.

**ლამენტაცია**, გოდება, ჩივილი, მოთქმა.

**ლამპა**, სანათური, ნათურა.

**ლამპას-ი**, ფერადი ზოლი შალვრის სიგრძივ გვერდებზე.

**ლანდვერ-ი**, სათადარიგო ლაშქარი გერმანიაში.

**ლანდო**, ოთხსაჯდომიანი გადასახსნელსახურავიანი კარეტა.

**ლანდსთინგ-ი**, დანიის პარლამენტის ზედაპალატა,

**ლანდტაგ-ი**, 1) გერმანიის ცალკეული სახელმწიფოების (პრუსიის, ბავარიის, საქსონიისა და სხ.) პარლამენტი; 2) ავსტრიის ნაწილების თვითმართველობის ორგანო.

**ლანდშაფტ-ი**, პეიზაჟი (ნ.), ადგილსანახაობა ბუნებაში ან მისი გამოსახულება.

**ლანდშტურმ-ი**, საგანგებო ლაშქარი უკიდურესი საჭიროებისათვის გერმანიაში, ყოფ. ავსტრო-უნგრეთში, ჰოლანდიაში და სხ.

**ლანოლინ-ი**, ცხვრის მატყლის ცხიმი, — იხმარება მედიცინაში და საპნის დამზადებაში.

**ლანცეტ-ი**, შაშარი, ნეშტარი (საქირურგო დანა).

**ლაპიდარულ-ი**, 1) ქვაზე დაწერილის ხასიათისა; 2) მოკლე, მკაფიო, მაგალითად: **ლაპიდარული სტილი**, მოკლე და მკაფიო გამოთქმა (ე. ი. ძველებურ ქვაზე წარწერილისებრი).

**ლაპის-ი**, აზოტმჟავა ვერცხლი, — იხმარება მედიცინაში როგორც შემკვრელი და მოსაწვავი საშუალება; აგრეთვე სარკის დამზადებაში და ფოტოგრაფიაში.

**ლაპსუს-ი**, **ლაფსუს-ი**, წაცთენა, უნებლიე შეცდომა ლაპარაკსა (ლაფსუს ლინგვე) ან წერაში (ლაფსუს კალამი).

**ლაჟ-ი**, სათავნი (კომერციაში).

**ლარინგიტ-ი**, ხორხის ანთება. — **ლარინგოლოგია**, მეცნიერება ხორხის შესახებ; **ლარინგოსკოპ-ი**, ხორხში ჩასახედი ხელსაწყო; **ლარინგოტომია**, ხორხის განკვეთა სამკურნალო მიზნით.

**ლასო** (**ლასს-**), ქამანდა, საგდებელი: ხალათიანი თასმა, — იხმარება მსხვილი ცხოველების დასაჭერად.

**ლატარია**, ნ. ლოტერია.

**ლა-ტენის კულტურა**, დასავლ. ევროპაში 5–2 საუკ. ქ. წ. არსებული კულტურა,—წარმოადგენდა რომის პროვინციული კულტურის ნაწილს, შეთვისებულს კელტური და გერმანული ტომების მიერ.

**ლატენტური**, გამოუმჟღავნებელი, მალული (ავადმყოფობა, სითბო და სხვა).

**ლატერალური**, გვერდითი.

**ლატინ-**, ნ. ლათინ-.

**ლატიფუნდ-ი. -ები**, (მრავლ.), დიდი მიწათმფლობელობა,—ცნობილია ძველ რომში; ახლა—ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში და სხ.

**ლაუნ-ტენის-ი**, ერთგვარი ინგლისური თამაში ბურთით ორ ჯგუფს შორის; სათამაშო მოედანი გაყოფილია ორად ბადით.

**ლაურეატ-ი**, ნ. ლავრეატი.

**ლაფეტ-ი**, ზარბაზნის დასადგმელი დაზგა—ასუსტებს უკუცემას.

**ლაფსუს-ი**, ნ. ლაპსუსი.

**ლაქ-ი**, 1) ფისის ხსნარი მქროლარე ნივთიერებაში (სპირტში, ბენზინში...), – იხმარება ხის ან ლითონის საგანზე წასასმელად—მისი დაცვის მიზნით სინესტისაგან და სხვ., - აგრეთვე გასაპრიალებლად; 2) ლაქი ან ლაქა, მუჰყი, ბაყამი, ჩირქი (სახელის გატეხის მნიშვნელობით).

**ლაქია**, 1) მსახური, მოახლე მამაკაცი; 2) მონამორჩილი, მოლაქუცე, პირფერი.

**ლაქტაცია**, ძუძუსწოვება მშობიარისმიერ.

**ლაქტობაცილინ-ი** (-ლლ-), მაწვნისებრ საგანგებოდ დამზადებული საჭმელი,—იხმარება ნაწლავების ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ.

**ლაქტომეტრ-ი**, რძის ხარისხის საკვლევი ხელსაწყო.

**ლებორისტები**, ნ. ლეიბორისტები.

**ლეგალიზაცია**, გაკანონიერება, რისამე კანონიერად ცნობა.—**ლეგალიზირება**, **ვალეგალიზირებ** ვაკანონიერებ. - **ლეგალური**, კანონიერი, კანონთან შეფარდებული.—**ლეგალური მარქსიზმ-ი**, ამ სახელითაა ცნობილი 90-იან წლების რუსეთის რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმდინარეობა, მიმართული „მარქსისტულ“ დებულებებით ნაროდნიკობის წინააღმდეგ (ნ. ნაროდნიკობა), — სინამდვილეში იგი წარმოადგენდა მარქსიზმის დამახინჯებას.

**ლეგატ-ი**, ელჩი.

**ლეგენდა**, 1) საკითხავი წმინდანთა ცხოვრების შესახებ კათოლიკურ ეკლესიაში; 2) ფულის, მედალის და მისთანათა წარწერა; 3) ხალხური ზღაპრული

თქმულება. — ლეგენდარული, ლეგენდური, ზღაპრული, გამოგონილი, დაუჯერებელი რამ.

**ლეგიონ-ი**, 1) ქვეითისა და ცხენოსანი ჯარისაგან შედგენილი ლაშქარი ძველ რომში; 2) უამრავი, სიმრავლე. — **ლეგიონერ-ი**, ლეგიონის (1) ჯარისკაცი.

**ლეგისლატიკა**, საკანონმდებლო კრება (საფრ. დიდ რევოლუციისა და მეორე იმპერიის დროისა).

**ლეგისტ-ი**, კანონების მცოდნე იურისტ-ი.

**ლეგიტიმაცია**. 1) კანონიერად აღიარება რაიმე რწმუნების ან სხვა აქტისა; 2) ქორწინების გარეშე შობილის ცნობა კანონიერად ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

**ლეგიტიმისტები** (მრავლ.), მონარქისტული პარტია, კერძოდ — ბურბონების დინასტიის მომხრეები (საფრანგეთში).

**ლედი**, ქალბატონი (მაღალი წოდების დედაკაცის ტიტული ინგლისში).

**ლედიტები** (-ლუდდ-), საფაბრიკო მანქანების მმტვრეველი მუშები (ინგლისში 19 საუკ. დასაწყისში), რომელნიც თავისი ეკონომიური გაჭირვების მიზეზად სთვლიდენ მანქანების შემოღებას, — წარმოადგენდენ სამრეწველო გადატრიალებასთან დაკავშირებული მოძრაობის მონაწილეებს.

**ლეველერები** (მრავლ. -ლეველდ-), წვრილბურჟუაზიული რადიკალური პარტია ინგლისის 17 საუკ. დიდი რევოლუციის დროს (სახელწოდება მიიღეს მოწინააღმდეგეთაგან — „გამთანასწორებლები").

**ლევიათან-ი**, 1) ზღვის ურჩხული (ბიბლიით); 2) უზარმაზარი, საშინელება, ჩამყლაპველი ვეშაპი...; 3) მატყლის სარეცხი მანქანა.

**ლევირატ-ი**, თავის გარდაცვალებული ძმის ცოლის ცოლად შერთვა, — პირველყოფილი ტომების ჩვეულება.

**ლეთარგია**. **ლეთარგიული ძილი**, „სალათას ძილი": ავადმყოფური ძილი, გრძელდება რამდენიმე საათი და ორ კვირამდე.

**ლეიბ**, [დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს] სასახლის, მეფისკარის: **ლეიბგვარდია**, სასახლის გვარდია (შემდეგ — რჩეული ჯარი), **ლეიბმედიკ-ი**, სასახლის ექიმი და სხვ.

**ლეიკემია**, თეთრსისხლოვნობა, სისხლში თეთრი ბირთვების ავადმყოფური სიჭარბე.

**ლეიკოციტები** (მრავლ.), უფერული სხეულები სისხლში, სისხლის თეთრი ბირთვები, — იცავენ ორგანიზმს ავნე მოვლენებისაგან.

**ლეიკოციტოზ-ი**, ლეიკოციტების გამრავლება სისხლში.

**ლეიტენანტ-ი**, ოფიცრის ხარისხი.

**ლეიტ-მოტივ-ი,** 1) მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მოტივი; 2) მთავარი, ძირითადი, სახელმძღვანელო აზრი თხზულებაში, საუბარში და სხვ.

**ლეკ-,** ნ. ლექ-.

**ლემა** (ლემმა), დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე, მაგრამ სხვა თეორემის დასამტკიცებლად საჭირო თეორემა.

**ლენ-ი** ანუ **ფეოდ-ი,** დასავლ. ევროპის ფეოდალიზმის ხანაში: მიწის სამემკვიდრეო მფლობელობა—ვასალის განსაზღვრულ ვალდებულებათა პირობით სიუზერენის მიმართ (სამსახური, ერთგულება, ბეგრის მოხდა და სხვ.); სიუზერენი (მიწის გადამცემი) ივალებდა მფარველობას ვასალის მიმართ.

**ლენინიზმ-ი,** გენიალური რევოლუციონერის, მოაზროვნის. რევოლუციონურ მარქსიზმის თეორეტიკოსის, კომუნისტური ინტერნაციონალის დამაარსებლისა და მისი ბელადის, ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს (ულიანოვის) მოძღვრება; „იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი... თეორია და ტაქტიკა პროლეტარული რევოლუციისა საერთოდ, თეორია და ტაქტიკა პროლეტარიატის დიქტატურისა განსაკუთრებით“ (სტალინი). მაშასადამე, ლენინიზმის თეორიული საფუძვლები მარქსიზმშია; ამასთანავე იგი წარმოადგენს მარქსიზმის განვითარებას პროლეტ. რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიისა და ტაქტიკის საფუძველზე; ლენინიზმი ჩაისახა იმ ეპოქაში, როცა კაპიტალისტური წყობილება ირღვევა და რევოლუციურად გარდაიქმნება სოციალისტურ წყობილებად. ლენინიზმის საუკეთესო დამცველი და თეორეტიკოსია ი. სტალინი.

**ლენტ-ი,** ქსოვილის ან ქაღალდის ვიწრო გრძელი ზოლი; არის სხვადასხვა დანიშნულების ლენტი: საგეოდეზიო, სადენთო (თოფისწამლის), ტყვიამფრქვევის და სხვა.

**ლენჩ-ი,** საუზმე (ინგლისურად).

**ლეოპარდ-ი,** ვეფხზე პატარა მტაცებელი ცხოველი კატის ჯიშისა; აზიურ ლეოპარდს ეძახიან პ ა ნ თ ე რ ა ს.

**ლესბიური** ან **ლესბოსური** სიყვარული, არაბუნებრივი სქესობრივი მიზიდულობა ქალისა ქალისადმი.

**ლეტარგია,** ნ. ლეთარგია.

**ლექსიკა,** რომელიმე ენის (ან კილოს) სიტყვობრივი შედგენილობა. **ლექსიკონ-ი,** ანბანურ რიგზე დალაგებული სიტყვები. —**ლექსიკოგრაფ-ი,** ლექსიკონის შემდგენელი; **ლექსიკოგრაფია,**

რომელიმე ენის სიტყვობრივი მასალის გამომკვლევი და განსაზღვრული წესით დამლაგებელი მეცნიერება. — **ლექსიკოლოგ-ი**, სიტყვობრივი მასალის მკვლევარი ენათმეცნიერი; **ლექსიკოლოგია**, ენათმეცნიერების დარგი, — იკვლევს ენის სიტყვობრივ შედგენილობას. — **ლექსიკური**, რომელიმე ენის სიტყვობრივი შედგენილობისა, სიტყვობრივი.

**ლექტორ-ი**, 1) ლექციის ან მოხსენების მკითხველი (მთქმელი); 2) უმაღლეს სასწავლებელში: რომელიმე საგნის უმცროსი მასწავლებელი. — **ლექტრისა**, ლექტორი ქალი.

**ლექცია**, 1) საჯარო მოხსენება რაიმე თემაზე; 2) ცოდნის გადაცემის ერთერთი (სიტყვიერი) ფორმა. — **ლექციური სისტემა** ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ა, ცოდნის გადაცემა ლექციების სახით, — უპირისპირებდენ ლაბორატორიულ მეთოდს (ნ.), ნამდვილად კი უნდა გამოყენებულ იქნეს მასთან ერთად.

**ლიან-ი**, ერთგვარი ტროპიკული მხვიარე მცენარე.

**ლიაპის-ი**, ნ. ლაპისი.

**ლიბერალ-ი**, 1) საერთოდ: „თავისუფლადმოაზროვნე"; 2) პოლიტიკაში: ლიბერალიზმის მომხრე.—**ლიბერალიზმ-ი**, ბურჟუაზიის იდეოლოგია ფეოდალურ წოდებრივ და ბატონყმურ წყობილებასთან მისი ბრძოლის ხანაში, — იცავდა პოლიტიკურ, რელიგიურ და საზოგადოებრივ თავისუფლებას, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა თავისუფლებას კაპიტალისტური კონკურენციისას და მუშათა კლასის ექსპლოატაციისას; აგრეთვე — იდეოლოგია ბურჟუაზიული ინტელიგენციისა. — **ლიბერალური**, თავისუფალი, თავისუფალაზროვნებითი.

**ლიბიდო**, სქესობრივი ნდომა, მიზიდულობა; სქესობრივი დატკბობა.

**ლიბრაცია**, მთვარის ბირთვის მოჩვენებითი რხევა.

**ლიბრეტო (-ტტო)**, ტექსტი მუსიკალური ნაწარმოებისათვის მაგ. ოპერისათვის; აგრეთვე —ბალეტის შინაარსი.—**ლიბრეტისტ-ი**, ლიბრეტოს ავტორი.

**ლიგა**, 1) სახელმწიფოთა კავშირი; 2) საზოგადოება ან შეკავშირება პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვ საერთო მიზნებისათვის. — **ერთა (ნაციათა) ლიგა**, დაარსებულია იმპერიალისტური ომის (1914—18) შემდეგ ჩ.-ამერიკის შეერთ. შტატების თაოსნობით — ვითომდა ომების შესაძლებლობის მოსპობის მიზნით; ნამდვილად

კი მისი მიზანია მშრომელთა მასების უკმაყოფილობის მიყუჩება და ძლიერ სახელმწიფოთათვის მათი იმპერიალისტური ზრახვების სისრულეში მოყვანის საშუალების მიცემა.

**ლიგატურა**, 1) მაგარი ლითონის შენადნობი ოქროსთან ან ვერცხლთან; 2) მედიცინაში: ძარღვის შესაკრავი; 3) ერთი სიმაღლის ნოტების შემაერთებელი ნიშანი; 4) ორი (ან მეტი) ჩართული (გადაბმული) ასო წერაში ან ბეჭდვაში.

**ლიგნინ-ი**, 1) მერქანის შემადგენელი ნაწილი; 2) მერქანისაგან დამზადებული ბამბა.

**ლიგნიტ-ი**, მურა ქვანახშირის სახეობა.

**ლიგროინ-ი**, ნავთის გამონახადი,—იხმარება მოტორების წასასმელად, ლითონების საწმენდად და სხვ.

**ლიდერ-ი**, ბელადი.

**ლიე**, წინანდელი ფრანგ. სიგრძის საზომი, — დაახლ. $4^1/_2$ კილომეტრი.

**ლივერ-ი**, 1) სითხის გადასასხმელი მილი; 2) დაკლული საქონლის შიგნეულობა (ღვიძლი, ფილტვები), რომლისაგან დამზადებულ ძეხვს ეწოდება ლივერის ძეხვი.

**ლივრეა**, სასახლის ან სასტუმროების მოსამსახურეთა ერთგვარი ტანსაცმელი (ბურჟუაზ. ქვეყნებში).

**ლივრ-ი**, ძველებური ფრანგ. ფული, —უდრიდა დაახლ. 1 ფრანკს.

**ლიზინ-ი**, ორგანიზმის მიერ თავდაცვის მიზნით გამომუშავებული ნივთიერება—იმუნიზაციის დროს (ნ იმუნიზაცია).

**ლიზის-ი**, ტემპერატურის თანდათანი ნელი დაწევა ზოგიერთი ავადმყოფობის დროს,—გრძელდება რამდენიმე დღე (უპირისპირდება კრიზისს, ნ. ეს).

**ლითიუმ-ი**, ვერცხლისებრ თეთრი მსუბუქი და რბილი ლითონი.

**ლითოგენეზის-ი**, ქანების (მთის ჯიშების) წარმოქმნის პროცესი.

**ლითოგრაფია**, 1) ბეჭდვის ერთგვარი სახე—ქვიდან ქაღალდზე; 2) დაწესებულება, სადაც ამგვარად ბეჭდავენ. - **ლითოგრაფ-ი**, ამგვარი ბეჭდვის მცოდნე.

**ლიკვ-**, ნ. ლიქვ-.

**ლიკიორ-ი**, ნ. ლიქიორი.

**ლილიპუტ-ი**, ჯუჯაკაცი (პატარა ტანის კაცი).

**ლიმან-ი**, 1) ზღვისაგან გამოყოფილი უბე; 2) მდინარის ფართო შესართავი (ზღვასთან).

**ლიმბ-ი**, 1) კუთხის მზომი იარაღების ბრტყელი რგოლი,—დაყოფილია გრადუსებად და სხვ.; 2) მზისა და მთვარის გარეკიდე.

**ლიმიტ-ი**, 1) საერთოდ: საზღვარი, შეზღუდვა; 2) კრედიტის უმაღლესი ოდენობა; 3) საბჭოთა

ეკონომიკაში: სახელმწიფოს-მიერ განსაზღვრული ფასები პურისა და ზოგი სხვა ნედლეულის დამზადებაში. — ლიმიტაცია, საზღვრის დადება, შეზღუდვა.

**ლიმიტროფები** (მრავ.) ანუ **ლიმიტროფული სახელმწიფოები**, მცირე მოსაზღვრე სახელმწიფოები, მაგ. ყოფ. რუსეთის განაკიდეებისაგან წარმოქმნილი ესტონია, ლატვია, ლიტვა, ნაწილობრივ — პოლონეთი და ფინლიანდია.

**ლიმონათ-ი**, შაქრიანი მაგრილებელი სასმელი, ლიმონის წვენისა და წყლისაგან დამზადებული.

**ლიმფა**, უფერული (მოყვითანო) სითხე ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში, — შედგება პლაზმისა, სისხლის თეთრი ბურთულებისა და ცხიმის წვეთებისაგან; მოძრაობს ლიმფატიკურ (სალიმფო) მილებში.

**ლინგვისტ-ი**, ენათმეცნიერი.—**ლინგვისტიკა**, ენათმეცნიერება.—**ლინგვისტური**, ენათმეცნიერული.

**ლინზა**, ოპტ.: სფერული ზედაპირით შემოსაზღვრული ოპტიკური მინა.

**ლინოლეუმ-ი**, ერთგვარი სქელი წყალგაუვალი ქსოვილი,—იხმარება იატაკის დასაფენად.

**ლინოტიპ-ი**, ასოთამწყობი მანქანა, რომელშიც ტექსტი ჩამოისხმება სტრიქონობრივ,—აწყობს ოთხჯერ სწრაფად, ვიდრე იწყობა ხელით.

**ლინჩ-ის კანონი**, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში: საჯარო დასჯა რაიმე დანაშაულობისათვის, უმეტესად—ნეგრებისა, რომელთაც ბრალდებათ რაიმე დანაშაულობა თეთრების მიმართ.—**ლინჩვა**, ვლინჩავ, ამგვარად ვსჯი.

**ლირა**, 1) ფულის ერთეული: იტალიური უდრის $37^1/_2$ კაპ., ოსმალური—$8^1/_2$ მანეთს; 2) ძველ ბერძენთა სიმებიანი საკრავი.

**ლირიკა**, პოეტური ხელოვნების ერთერთი ძირითად სახეთაგანი (დანარჩენი ორია: დრამა და ეპოსი, ნ. ესენი),—გამოხატავს პოეტის განწყობილებას და შინაგან განცდებს.—**ლირიზმ-ი**, 1) ლირიკის ხასიათი; 2) პოეზიაში ან მუსიკაში გამოხატული განწყობილება პოეტისა.—**ლირიკული**, ლირიკის ხასიათისა.

**ლიტავრ-ი**, ტიმპანი: დაფის მსგავსი სპილენძის სარტყმელი საკრავი.

**ლიტერა**, ნაწერი ან ნაბეჭდი ასო; 2) სტამბაში: ლითონის ძელაკი, რომლის ზედა ბოლოზე ამოჭრილია შებრუნებული ასოები.

**ლიტერატორ-ი**, მწერალი.

**ლიტერატურა**, მწერლობა —**ლიტერატურული**, მწერლობითი. —**ლიტერატურული დილა** ან **საღამო**, საჯარო კრებულება, რომელზეც იკითხება კაზმულსიტყვიერების ნაწარმოებები.

**ლიტერ-ი**, რკინისგზით სამოგზაურო მოწმობა. — **ლიტერიანი**, ასოთი (და არა ციფრით) აღნიშნული რამ, მაგ. ლოჟა (ნ.).

**ლიტიუმ-ი**, ნ. ლითიუმი.

**ლიტო-**, ნ. ლითო-.

**ლიტრ-ი**, სითხის მოცულობის საზომი ერთეული,—უდრის ერთ კილოგრამს.

**ლიტურგია**, წირვა.

**ლიუ-**, ნ. ლუ-.

**ლიფტ-ი**, ამწევი მანქანა,—იხმარება მრავალსართულიან შენობებში და წარმოადგენს ელექტრონით მოძრავ პატარა ოთახს.

**ლიქვიდატორები**, ნ. ლიქვიდაცია.

**ლიქვიდაცია**, შეწყვეტა, გაუქმება, მოსპობა, ამოფხვრა, დაბოლოება, მოთავება და სხვა მისთანა: 1) საწარმოს მოქმედების შეწყვეტა და დარჩენილი ქონების განაწილება; 2) საბოლოო ანგარიშ-სწორება რაიმე საქმის შეწყვეტის გამო; 3) **უწიგნურობის ლიქვიდაცია**, უწიგნურობის (წერა-კითხვის უცოდინარობის) მოსპობა 15—35 წლის ასაკის მოსახლეობისა. საბჭოთა კავშირში.— **ლიქვიდირება**, ვალიქვიდირებ, ვსპობ, ვაბოლოებ და სხვ.— **ლიქვიდაციური**, ლიქვიდაციის ხასიათის მქონე.—**სალიქვიდაციო**, ლიქვიდაციისთვის განკუთვნილი, მაგ. უწიგნურობის სალიქვიდაციო სკოლა.—**ლიქვიდატორები** (მრავლ.), მენშევიკ სოც.-დემოკრატების მეთაურები რუსეთში, რომლებიც ამტკიცებდენ პარტიის არალეგალური მუშაობის შეწყვეტისა და შეგუებული ლეგალური ბრძოლის საჭიროებას.

**ლიქიორ-ი**, მაგარი სასმელი,— მზადდება სპირტის სხვადასხვა ნაყენისაგან შაქრის შერევით.

**ლიცე-ი, ლიცეუმ-ი**, 1) დასავლ. ევროპაში; სახელმწიფო საშუალო სასწავლებელი; 2) რევოლუციამდე რუსეთში: უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი. **ლიცეისტ-ი** ლიცეუმის მოწაფე.

**ლიცენზია**, ნებართვა საზღვარგარეთ საქონლის გატანის ან იქედან შემოტანისა.

**ლიცენცია**, „თავისუფლება, ნებადართულობა“: 1) უნივერსიტეტში ლექციების კითხვის უფლება; 2) **პოეტური ლიცენცია**, გრამატიკისა და ლექსთწყობის ზოგიერთი წესების დარღვევის უფლება პოეტურ ნაწარმოებში.

**ლიცენციატ-ი,** დასავლ. ევროპის ზოგიერთ უნივ—ტში: სამეცნიერო ხარისხი—საშუალო ბაკალავრსა და დოქტორს შუა.

**ლოგარითმ-ი,** მათემატიკაში: მაჩვენებელი ხარისხისა, რომლითაც უნდა ავახარისხოთ ფუძედ მიჩნეული რიცხვი —მოცემული რიცხვის მისაღებად, მაგ. ა ს ი ს ლოგარითმი არის ო რ ი, თუ ფუძედ მივიჩნევთ ა თ ს.—**ლოგარითმირება, ვალოგარითმირებ,** ვმოქმედობ ლოგარითმებზე, ვიღებ ლოგარითმს.

**ლოგიკა,** მეცნიერება სწორი (მართებული) აზროვნების შესახებ: 1) ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ლ ო გ ი კ ი ს საგანია შემეცნების ფორმა: ფორმა და შინაარსი განიხილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, როგორც იმთავითვე მოცემული და უცვლელი რამ; 2) დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ლ ო გ ი კ ა შ ი ცნობიერების კატეგორიები და ფორმები განიხილება ერთმანეთთან დაკავშირებულად, როგორც განვითარებაში მყოფი და ცვალებადი რამ. დიალექტიკური ლოგიკის საფუძველია წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს კანონი.—**ლოგიკოს-ი,** ლოგიკის სპეციალისტი.—**ლოგიკური,** ლოგიკისა; თანამიმდევრობითი, სწორი, მართებული, აზრიანი და სხვ. მისთანა.—**ლოგიცისტ-ი,** გრამატიკის ამგვარი ფორმალური ლოგიკის ნორმების მიხედვით — ენათმეცნიერი ან გრამატიკოსი.—**ლოგოგრაფია,** ძველ საბერძნეთში: ისტორიული პროზის პირველი ცდები—უძველესი მატიანე.

**ლოგოპათია,** მეტყველების დეფექტები: ენაბრგვნილობა, ენაჩლიგობა, ბლუობა და სხვა.—**ლოგოპათ-ი,** ასეთების მქონე ადამიანი.

**ლოგოპედია,** დეფექტოლოგიის (ნ.) ერთი დარგი,—იკვლევს და ასწორებს ენაბრგვნილობას, ბლუობას და მეტყველების სხვა ნაკლს.

**ლოგოს-ი,** 1) ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში: მსოფლიო გონება, მსოფლიო კანონზომიერება; ბედისწერა და სხ.; 2) ქრისტიანულ მოძღვრებაში: ძეღმერთი, ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება.

**ლოველას-ი,** არშიყი ვაჟი, დედაკაცის შემცდენელი, მუსუსი.

**ლოზუნგ-ი,** 1) სამხედრო საქმეში ძველად: პირობითი საიდუმლო სიტყვა გუშაგისა; 2) მოკლედ გამოთქმული სახელმძღვანელო აზრი პარტიის, ჯგუფის და სხ.

**ლოიალური, ლოიალ-ი,** ერთგული, მოვალეობის პატიოსნურად შემსრულებელი, მაგ. არსებულ

წესწყობილების ერთგული და სხ.—**ლოიალურობა, ლოიალობა,** ერთგულება...

**ლოკალიზაცია,** რისიმე დაკავშირება განსაზღვრულ ადგილთან; მოქმედების შემოსაზღვრა, შემოზღუდვა ერთი ადგილით.—**ლოკალიზირება, ვალოკალიზებ,** დავუკავშირებ რაიმე ერთ ადგილს, შემოვზღუდავ ერთი ადგილით.—**ლოკალური,** ადგილობრივი.

**ლოკაუტ-ი,** კაპიტალისტებისმიერ საწარმოთა დახურვა და მუშების დათხოვნა,—წარმოადგენს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთ ფორმას.

**ლოკომობილ-ი,** მსუბუქი ტიპის ორთქლით მამოძრავებელი მანქანა,—იხმარება სხვა მანქანის ასამოძრავებლად, მაგ. სალეწის, სახერხის და სხ. მისთანათა.

**ლოკომოტივ-ი,** რკინისგზაზე ვაგონების წამყვანი ორთქლის მანქანა.

**ლომბარდ-ი,** სესხის გამცემი დაწესებულება — მოძრავი ქონების გირაოს აღებით.

**ლოჟა,** 1) რამდენიმე პირის დასაჯდომი განცალკევებული ადგილი, მაგ. თეატრში; 2) საიდუმლო საზოგადოების წევრთა შესაკრებელი ადგილი.

**ლორდ-ი,** მაღალი წოდების აზნაური ინგლისში (მიმართვაში — მილორდ!),—ნაბოძებია მეფისაგან და გადადის მემკვიდრეობით; **ლ ო რ დ ო ბ-ა ს** მიიღებენ ხოლმე აგრეთვე მაღალ თანამდებობასთან დაკავშირებით, მაგ. **ლორდ-კანცლერი,** (ლორდთა პალატის თავმჯდომარე); **ლორდ-მერი,** (ქალაქის თავი). და სხ.

**ლორნეტი** (lorgnette), დასაკეცსახელურიანი სათვალე, — უჭირავსთ ხელით თვალებთან.

**ლოტერია** (ლოტტ-), ნივთების ან ფულის გათამაშება იღბალზე, ე. ი. როცა იგებს მხოლოდ რამდენიმე პირი (არის აგრეთვე წაუგებელი ლოტერია).

**ლოტ-ი,** 1) წინანდელი რუსული წონის ერთეული, უდრიდა 3 მისხალს; 2) წყლის სიღრმის საზომი ხელსაწყო.

**ლოტო** (ლოტტო), ერთგვარი საჯარო თამაში იღბალზე: მოთამაშე ფარავს დანომრულ კარტას იღბალზე გამოცხადებული ციფრის მიხედვით; იგებს ერთი რიგის პირველად დამფარავი.

**ლოტოს-ი,** 1) წყლის მცენარე,— ეგვიპტეში და ინდოეთში ითვლებოდა საღვთო მცენარედ; 2) უბიწოებისა და თავმდაბლობის სიმბოლო.

**ლოღიკ-,** ნ. ლოგიკ-.

ლოცია, გემთმართვის მცოდნეობა. — ლოცმანი (ინ.), 1) გემთმმართველი, სანაოსნო ადგილების საგანგებოდ მცოდნე, 2) ერთგვარი თევზია.

ლუდიტები, ნ. ლედიტები.

ლუესი, სიფილისი (ნ.), ათაშანგი.

ლუვრ-ი, მეფეთა ყოფ. სასახლე პარიზში, — წარმოადგენს ეროვნულ მუზეუმს, სიძველეთა უდიდეს საცავს მსოფლიოში.

ლუზა, ლუზ-ი, ბილიარდის ჩასაგდები პარკი (სულ ექვსი) ბილიარდის მაგიდაზე.

ლუთერან-ი, ლუთერანობის (გერმანელი სასულ. რეფორმატორის, ლ უ თ ე რ ი ს მიმდევრების) მიმდევარი. — ლუთერანიზმ-ი, ლუთერანობა, ქრისტიანული სარწმუნოების ერთი სახე, — ქრისტიანობის ერთადერთ წყაროდ სთვლის ბიბლიას, უარყოფს საეკლესიო იერარქიას და წმინდათა თაყვანისცემას: პაპობის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენდა პროგრესულ ფაქტორს; იქცა და დარჩა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის სარწმუნოებად უმთავრესად გერმანულ ქვეყნებში

ლუი, ლუიდორ-ი, ძველებური ფრანგული ფული; საფრ. დიდი რევოლუციის შემდეგ 20 ფრანკი

ლუმინესცენცია ნათობა; რაიმე მყარი სხეულის, აირის ან სითხის უსითბოო სინათლე, ცივი სინათლე. მაგ. ფუტუროს ნათობა.

ლუმპენ-პროლეტარიატ-ი, საზოგადოების დეკლასირებული (ნ. ეს) თენები: ცუდმოხეტიალეები, მათხოვრები, ქურდ-ბაცაცები, და სხ. — წარმოადგენს კლასობრივი (განსაკუთრებით კაპიტალისტური) საზოგადოების აუცილებელ მოვლენას.

ლუნა-პარკ-ი, სახალისო ბაღი — სხვადასხვა სანახაობით და გასართობებით.

ლუნატიზმ-ი, მთვარეული: ერთგვარი ავადმყოფობა. — მძინარე მოქმედობა ფხიზელისებრ (ხალხური რწმენით შედეგია მთვარის გავლენისა) ლუნატიკ-ი, მოთვარული: ლუნატიზმით შეპყრობილი.

ლუპა, ორმაგამოზნექილი გამადიდებელი მინა.

ლუპანარიუმ-ი, საროსკიპო სახლი.

ლუსტრა, ხომლი, ჭაღი: რამდენიმემანდილიანი (ან ნათურიანი) ჭერზე ჩამოსაკიდი სასინათლო.

ლუსტრინ-ი, იაფფასიანი მატყლის მბზინვარე ქსოვილი.

ლუტერ-, ნ. ლუთერ.

ლუცერნა, იონჯა.

ლუციფერ-ი. ეშმაკი, სატანა (ქრისტიანულად).

ლუციფუგ-ი. ღამის ცხოველი, — ვერ იტანს დღის სინათლეს.

# მ

**მაგარაჯა,** ნ. მაჰარაჯა.

**მაგ-ი,** 1) ძველ ირანელთა ქურუმი; 2) მემარგე; მისანი, გრძნეული. — **მაგია,** მისნობა, მემარგეობა: მოვლენათა საწაულებრივ გამოწვევის ცრუ ხელოვნება. — **მაგიური,** მისნური; მომჯადოებლური.

**მაგიკან-,** ნ. მოჰიკან-.

**მაგისტრალ-ი,** მთავარხაზი, რომლისაგანაც დამოკიდებულია სხვა ხაზების მდებარეობა, მაგ. რკინისგზის მაგისტრალი.

**მაგისტრანტ-ი,** რევოლუციამდე რუსეთში: ახალგაზრდა მეცნიერი, რომელმაც ზეპირი გამოცდები ჩააბარა, მაგრამ დისერტაცია არ დაიცავს.

**მაგისტრატ-ი,** 1) ძველ რომში: მნიშვნელოვანი თანამდებობა და მისი მქონე; 2) დასავლ. ევროპაში: ქალაქის დაწესებულებები. — **მაგისტრატურა,** ბურჟუაზიულ ქვეყნებში: სამოსამართლო თანამდებობათა სახელწოდება.

**მაგისტრ-ი,** 1) საშ. საუკუნეებში: სასულიერო ორდენის უფროსის წოდება; აგრეთვე - ჰუმანური საგნების მასწავლებელი; 2) რევოლუციამდე რუსეთში: პირველი სამეცნიერო ხარისხი, დოქტორზე დაბალი.

**მაგმა,** წიაღისი: დედამიწის ქერქის ქვეშ მდებარე გამდნარი მასსა.

**მაგნატ-ი,** 1) მსხვილი მემამულე უნგრეთსა და პოლონეთში; 2) მსხვილი კაპიტალისტი.

**მაგნეზია,** მაგნიუმის ჟანგი, თეთრი მსუბუქი ფხვნილი, — იხმარება მედიცინაში. — **მაგნიუმ-ი,** ვერცხლისებრ თეთრი ლითონი, — იწვის კაშკაშა ალით.

**მაგნეტ-ი,** ლავი ფერის მინერალი, — იზიდავს თავისკენ რკინას და ფოლადს. — **მაგნეტური,** მაგნეტისებრი, მაგნეტისა; მიმზიდველი. — **მაგნეტიზმ-ი,** 1) ორ სხეულს შორის მოქმედი ძალა, რომელიც გამოიხატება მათს ერთმანეთისაკენ მიზიდულობაში; 2) ფიზიკის დარგი, — სწავლობს მაგნეტურ მოვლენებს.

**მაგნეტო,** პატარა მაგნეტურ-ელექტრული მანქანა შიდაწვის ძრავებთან.

**მაგნიტ-ი,** ნ. მაგნეტი.

**მაგნიუმ-ი,** ნ. მაგნეზია.

**მაგნოლია,** აღმოს. ამერიკისა და აღმოს. აზიის მუდამ მწვანე, სურნელოვანყვავილებიანი ხე, — არის ყირიმში და ჩვენშიაც.

**მადამ,** 1) ძველად საფრანგეთში: მეფის ქალისა და აზნაურის

ცოლის წოდება; 2) შემდეგ—ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საერთოდ ქმრიანი ქალისადმი.

**მადაპოლამი**, საუკეთესო ხარისხის მიტკალი.

**მადემუაზელ, მადმაზელ**, 1) ძველად საფრანგეთში: აზნაურ უქმრო ქალის წოდება; 2) შემდეგ—ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საერთოდ უქმრო ქალისადმი.

**მადერა**, ერთგვარი ტკბილი და მაგარი ღვინის სახელი—მზადდებოდა წინეთ კუნძულ მადერაზე.

**მადონა** (-ნნა), 1) ძველად იტალიაში: ზრდილობიანი მიმართვის ფორმა ქალისადმი; 2) ღვთისმშობელი.

**მადრიგალ-ი**, ლექსის ძველებური (საშ. საუკ.) ფორმა, უმეტესად—სატრფიალო.

**მაესტრო**, 1) მასწავლებელი, ხელოვანი; 2) ხელმიწვევნით დახელოვნებული პირი ხელოვნების რომელიმე დარგში.

**მავზოლეი**, საფლავის ძეგლი შენობის სახით, ჩვეულებრივ—დიდი (მაგ. ლენინის მავზოლეი მოსკოვში).

**მავრები** (მრავლ.), 1) ჩრდ. აფრიკის ტომი; 2) ზანგი, შავკანიანი.

**მაზდაიზმ-ი, მაზდეიზმ-ი**, ძველი ირანული რელიგია (მისი დამაარსებელია **ზოროასტრი** ანუ უკეთ **ზარათუშტრა**—VII საუკ. ქ. წ.).

**მაზოლ ი** (მოზოლ ი), ტკვაჩი, აზედა,—კანის ხეხვისაგან წარმოქმნილი ხორცმეტი.

**მაზოხიზმ-ი**, სქესობრივ გრძნობის ერთგვარი დამახინჯება, როცა ადამიანი სქესობრივად კმაყოფილდება ტკივილის განცდის შედეგად.—**მაზოხისტ-ი**, ასეთი ადამიანი.

**მაზუთ-ი**, საწვავი მასალა,—რჩება შავი ნავთისაგან სანათობელი ზეთების გამოხდის შემდეგ.

**მაზურკა**, პოლონური ეროვნული ცეკვა, აგრეთვე—მისთვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები.

**მათემატიკა**, მეცნიერება ოდენობათა და ფორმათა შესახებ.—**მათემატიკოს-ი**, მათემატიკის სპეციალისტი.—**მათემატიკური**, 1) მათემატიკის ხასიათის მქონე; 2) ზუსტი, ზედმიწევნილობითი.

**მათ-ი**, ნ. შახმატი.

**მაიორ-ი**, შტაბის ოფიცრის წოდება (ძველად რუსეთში)—**მაიორატ-ი**, სამემკვიდრეო მამული,—გადადის უფროს ვაჟზე.

**მაკარონ-ი**, პურის ცომისაგან დამზადებული გამხმარი მილაკები.

**მაკეტ ი** (-ტტ-), მოდელი, ნიმუში; კერძოდ—სათეატრო დადგმის მოდელი.

**მაკიაველიზმ-ი**, იტალიის 15—16 საუკ. პოლიტიკ. მოღვაწის, მაკიაველის, მოძღვრება: 1) ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცებისათვის ყოველგვარი საშუალების დასაშვებად აღიარება; 2) საყოველდღეო სიტყვა-ხმარებაში: უპრინციპობა, უზნეო პოლიტიკა...

**მაკლერ-ი**, შუამავალი, გამრიგებელი (სავაჭრო საქმეებში).

**მაკრო-** [დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს] დიდი, გრძელი:

**მაკრობიოტიკა**, მეცნიერება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ.

**მაკროკეფალ-ი**, **მაკროცეფალ-ი**, გრძელ- ან დიდთავიანი.

**მაკროკოსმ-ი**, მსოფლიო, სამყარო.

**მაკრომეტრ-ი**, დიდ მანძილთა საზომი იარაღი.

**მაკხ-**, ნ. მაქს-.

**მაკულატურა**, 1) სტამბაში: საბეჭდად გაუვარგისებული (გასვრილი, დაჭმუჭნილი...) ქაღალდი. 2) უვარგისი ლიტერატურული ნაწარმოები.

**მალაგა**, ქალაქ მალაგის (ესპანეთში) ტკბილი ღვინო.

**მალაკან-ი**, **მალაკნები**, რელიგიური სექტა რუსეთში (18 საუკუნიდან),—არ სცნობენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესს, არ სჭამენ ხორციეულს, მარხვაში სჭამენ რძეს (სახელწოდება რუს. молоко საგან); მეფობის ხანაში იდევნებოდენ. სოციალური შედგენილობით წარმოადგენდენ გლეხურ წვრილ ბურჟუაზიას; ახლა—შეძლებულ გლეხობას, რომელიც უახლოვდება კულაკობას.

**მალარ-ი**, მღებვარი.

**მალარია**, ჭაობიანი ადგილის ციება, ციებ-ცხელება.—**მალარიკ-ი**, ასეთით დაავადებული.

**მალახიტ-ი**, **მალაქიტ-ი**, კაშკაშა მწვანე ფერის მინერალი.

**მალთუსიანობა**, ინგლ. ბურჟ. ეკონომისტის, მ ა ლ თ უ ს-ის (18—19 საუკ.), მოძღვრება: სიღატაკის და ყველა სოციალური უბედურების მიზეზია მოსახლეობის უფრო ჩქარი ზრდა, ვიდრე საარსებო საშუალებათა. კ. მარქსმა დაარღვია ეს თეორია მით, რომ დაამტკიცა: სიღატაკე და სხ. წარმოშვა კაპიტალიზმმა, როცა შრომის ნაყოფი ხვდება არა მშრომელს, არამედ კაპიტალისტს.

**მალიარ-**, ნ. მალარ-.

**მალინა**, ჟოლო.

**მალტუს-**, **მალტუზ-**; ნ. მალთუს-.

**მამზელ**, ნ. მადემუაზელ.

**მამოლოგია** (მამმ-). ზოოლოგიის დარგი,—სწავლობს ძუძუმწოვარ ცხოველებს.

**მამონა** (მამმ.), 1) სიმდიდრის ღმერთი; 2) ანგარება, მომხვეჭელობა.

**მამონტ-ი**, ევროპის ყინულოვანი ეპოქის სპილო, სიმაღლით 4 მეტრამდე, სიგრძით 7-მდე.

**მანა (მანნა)**, 1) პურის ბურღული; 2) ერთგვარი კოპიტის გამამარი წვენი,—იხმარება მედიცინაში

**მანანა**, 1) ებრაული ლეგენდით: ციდან მარცვლებად ჩამოცვენილი გემრიელი საჭმელი; 2) სანატრელი ბედნიერება („ცის მანანა")

**მანდარინ-ი**, 1) მაღალი თანამდებობის მოხელე ჩინეთში; 2) ნაყოფიანი ხე, - ისხამს მომცრო ფორთოხლის მსგავს ნაყოფს.

**მანდატ-ი**, 1) რწმუნება, დავალება; 2) რწმუნების ან დავალების საბუთი.

**მანდოლინა**, ოთხ წყვილ-წყვილ სიმიანი საკრავი, —იკვრება ძვლის ფირფიტით.

**მანევრ-ი**, მანევრები, 1) ომში ჯარების გადაჯგუფება რაიმე სტრატეგიული ამოცანის უომრად შესასრულებლად; 2) უომრობის დროს: სასწავლო მიზნით სანიმუშო ბრძოლა.

**მანეკენ-ი (მანნ-ი)**, 1) ხის ან პაპიემაშეს დიდი ტიკინა; 2) გაუწვრთნელ-დაუძკრელი ან შეუგნებლად მოქმედი ადამიანი.

**მანეჟ-ი**, საცხენოსნოდ, ცხენების სახედნ დ ან ჯარის სავარჯიშოდ მოწყობილი შენობა.

**მანერა**, 1) ადამიანის ქცევის, მუშაობის და თავდაჭერის თავისებურება; 2) შემოქმედების ხასიათი (ხელოვნებაში)

**მანია**, 1) ავადმყოფური ფსიქიური მდგომარეობა, ხასიათდება სამეტყველო-მოძრაობითი აღძვრით; 2) ავადმყოფური მიდრეკილება (მიზიდულობა) რაიმესადმი.— **მანიაკ-ი**, მანიით დაავადებული.

**მანიკიურ-ი**, ხელისა და ფრჩხილების მოვლა სისუფთავისა და სილამაზის მიზნით.

**მანიოვრ-**, ნ მანევრ-.

**მანიპულაცია**, ხელით მუშაობისას რთული მოქმედება.

**მანიფესტ-ი**, 1) უზენაესი ხელისუფლების საზეიმო მიმართვა მცხოვრებლებისადმი რაიმე ღირსშესანიშნავი შემთხვევის გამო; 2) პოლიტიკური პარტიის გამოცემული მიწოდება პროგრამული ან თეორიული ხასიათისა (ნ. კომუნისტური მანიფესტი).

**მანიფესტაცია**, რაიმე საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მოვლენისადმი თანაგრძნობის ან პროტესტის საჯაროდ გამომჟღავნება, ჩვეულებრივ ქუჩაზე მასსურად სვლით.—**მანიფესტანტ-ი**, მანიფესტაციის მონაწილე.

**მანიქეიზმ-ი**, მანიქეველობა, 3 საუკუნეში ქ. შ. სპარსეთში წარმოშობილი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის

თანახმად: დაუსრულებელი ბრძოლაა კეთილსა და ბოროტს შორის; ადამიანი შექმნილია ბოროტი ღვთაების მიერ, მასში უფლობს ხორციელი დასაბამი (მანიქეიზმი იდევნებოდა ქრისტიანობის მიერ).

**მანომეტრ ი**, სითხეებისა და აირების წნევის საზომი ხელსაწყო.

**მანჟეტ-ი (-ტტ-)**, პერანგის სახელოზე მისაბმელი სამაჯური, უმეტესად გახამებული.

**მანსარდ ი**, დაქანებულ ჭერიანი ბინა სახლის ზედა (უკანასკნელ) სართულში.

**მანტია**, უსახელოებო წამოსასხამი. —**მანტილია**, ესპანელი ქალის თავისა და ზედატანის სამოსი ლეჩაქისა.

**მანტისა (-სს-)**, ლოგარითმის წილადოვანი ნაწილი.

**მანტო**, ქალის უღილებო ფართო სამოსი.

**მანუსკრიპტ-ი**, ხელნაწერი.

**მანუფაქტურა**, 1) ხელშრომაზე დაფუძნებული მსხვილი კაპიტალისტური საწარმო,—წარმოადგენს კაპიტალიზმის პირველ ფორმას გარდამავალს ხელოსნურსა და მანქანურ წარმოებას შორის; 2) საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოები.

**მანქანიზაცია**, გამანქანურება, მაგ სოფლის მეურნეობისა- მარტივი ძველებური იარაღების ნაცვლად მანქანების გამოყენება.

**მაჟორ-ი**, მუსიკაში: ძირითადი ტონის დიდი ტერციის მქონე მაგარი ტონი.—**მაჟორული**, მხნე, გამამხნევებელი.

**მარაზმ ი**, ორგანიზმის უკიდურესი დაუძლურება, მიხრწნილობა, ღონემიხდილობა, — შედეგი ქრონიკულ ავადმყოფობათა ან მოხუცებულობისა.

**მარგანეც-ი** (მანგანერც-ი), „შავი ქვა": ლითონი,—ბუნებაში მოიპოება მადნის სახით, არის ჩვენშიც (ჭიათურაში); მრეწველობისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა.

**მარგარინ-ი**, ხელოვნურად დამზადებული ერბო.

**მარინად-ი**, ძმარში ხშულდებული (კონსერვირებული) ხორცი, თევზი ან მწვანილი (წნილი).

**მარინიზმ-ი**, ზღვაზე დაუფლების მისწრაფება იმპერიალისტური სახელმწიფოსი.

**მარინისტ-ი**, ზღვის სანახაობათა მხატვარი.

**მარიონეტ-ი (-ტტ-)**, 1) მოძრავი ტიკინა,—ასრულებს როლს სატიკინო თეატრში; 2) სხვისი სურვილის მონურად ამსრულებელი პირი.

**მარკა**, 1) ძველ-გერმანული თემი, რომლის წევრებიც კოლექტიურად ფლობდნენ მიწას და ეკონომიურად თანასწორნი იყვნენ;

2) დასავლ. ევროპის საშ. საუკუნეებში: სანაპირო ადმინისტრაციული (და სამხედრო) ერთეული სახელმწიფოსი,—მის მმართველს ერქვა **მარკგრაფ-ი**; 3) ფულის ერთეული გერმანიაში,—უდრის დაახლოებ. 50 კაპ.; 4) საფოსტო ან სალერბო ნიშანი სხვადასხვა ღირებულებისა; 5) ფაბრიკის ნიშანი, დაღი.

**მარკიზ-ი,** საახნაურო ტიტული საფრანგ., ინგლ. და ესპანეთში,—საშუალოა ჰერცოგსა და გრაფს შუა.

**მარკს-,** ნ. მარქს-.

**მარკშეიდერ-ი,** მიწისმზომელი სამთო-ტექნიკური სპეციალური განათლებით.

**მარლა,** შილაია, ბამბის ძალიან თხელი ქსოვილი, — იხმარება შესახვევად (ჭრილობისა და სხვ.).

**მარმელად-ი,** საგანგებოდ დამზადებული დასრესილი ვაშლის (ან სხვა ხილის) ტკბილი კონსერვი, აგრეთვე – ხილეულის შაქრიანი გასქელებული წვენი.

**მაროდერ-ი,** ომში მოკლულთა მძარცველი; აგრეთვე – ომიანობისას მცხოვრებთა მძარცველი ჯარისკაცი.

**მარსელიოზა, მარსელიეზ-ი,** საფრანგ. დიდი რევოლუციის სიმღერა; შემდეგ და დღემდე— საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი (სხვა ქვეყნებში გავრცელდა როგორც ბურჟუაზიულ-რევოლუციური ჰიმნი).

**მარს-ი,** 1) ომის ღვთაება (ძვ. რომში); 2) ერთერთი დიდი პლანეტი.

**მარტიროლოგ-ი,** 1) „წმინდა მოწამის“ ცხოვრების აღწერილობა; 2) ვისიმე ტანჯვა-წვალების ამბები.

**მარქსიზმ-ი,** უდიდესი გერმანელი სოციოლოგის, ეკონომისტის, პროლეტარიატის იდეოლოგისა და ბელადის, კ ა რ ლ  მ ა რ ქ ს-ი ს (1818—1883), მოძღვრება,— საფუძვლად უძევს კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობას. მარქსიზმის ძირითადი საფუძვლებია: დიალექტური მატერიალიზმი, ისტორიის მატერიალისტური გაგება, ეკონომიური მოძღვრება კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, მოძღვრება კლასთა ბრძოლისა და სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის როლის შესახებ; პროლეტარიატის დიქტატურის გზით უკლასო და უსახელმწიფოო საზოგადოების შექმნის შესახებ (მარქსიზმი შეიცავს აგრეთვე მისი თანამშრომლის, ფ რ. ე ნ გ ე ლ ს-ი ს, შრომებს). მარქსიზმის საუკეთესო გამშლელი და გამგრძელებელია ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, აქედან: **მარქსიზმ-ლენინიზმ-ი**—

„იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი ..." (ნ. ლენინიზმი). — **მარქსისტ-ი**, მარქსიზმის მიმდევარი.

**მარშალ-ი**, 1) დასავლ. ევროპ. საშუალო საუკ: სამეფო საჯინიბოს უფროსი, შემდეგ—მხედართმთავარი; 2) გენერლის მაღალი წოდება ზოგიერთ ბურჟუაზ. ქვეყნებში; 3) ყოფ. რუსეთის დასავლ. გუბერნიებში (და საქართველოში) 19 საუკ: თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

**მარშ-ი**, 1) სამხედრო მწყობრში თანაზომიერი სვლა; საამისო მუსიკალური ნაწარმოები; 2) ბრძანება: „გასწი"!

**მარშრუტ-ი**, 1) მხედრობის სავლელი გზის განრიგება; 2) სვლის გეზი, გზის მაჩვენებელი.

**მასა**, **მასს-**, 1) მატერიისა (ნივთიერებისა) და ენერგიის ის თვისება, რომლის წყალობითაც ყოველ მატერიალურ სხეულს და ენერგიას აქვს ინერცია (ნ.) და წონა; 2) უფორმო ნივთიერება, მასალა, რომლისაგანაც კეთდება რაიმე საგანი, მაგ. თუჯის ან მინის გაცნობილი მასა; 3) სიმრავლე; უამრაობა; ბრბო; ხალხი.—**მასსური**, **მასობრივი** მოავალრიცხოვნული, ბრბოული...

**მასაჟ-ი** (მასს.), [ხეულის ნაწილების დაზელა მკურნალობის მიზნით,—აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მონელებას.— **მასაჟისტ-ი**, დამზელელი, მასაჟის გამკეთებელი.

**მასივ-ი** (მასსივ), 1) განცალკევებულად მდგარი დიდი მთა—განუსაზღვრული მიმართულებისა; 2) დიდი ხელოვნური ლოდი წყალქვეშა ნაშენისათვის — **მასივ(ს)ურ**, **მასოვანი**, ძიმე, მკვრივი.—**მასსური**, ნ. მასა.

**მასკა**, ნილაბი.—**მასკარად-ი**, გასართობი (საცეკვაო და სხ.) კრებულება, რომლის მონაწილენი აიფარებენ ხოლმე ნილაბს და იცვამენ სხვადასხვაგვარ არა ჩვეულებრივად სახმარ ტანსაცმელს.

**მასობრივი**, ნ. მასა.

**მასონ-ი**, **მასონები**, ნ. ფრანკ-მასონ-ი

**მასსა**, **მასსური**, ნ. მასა.

**მასტიკა**, 1) საგოზელი (მასალა); საგანგებოდ დამზადებული საწებავი; 2) იატაკის საწმენდი ცვილნარევი სითხე.

**მასშტაბ-ი**, ნ. მაშტაბი.

**მატადორ-ი**, ესპანეთში (ხართან ბრძოლაში): მთავარი მებრძოლი. დასჭრის ხარს სასიკვდილოდ.

**მატემატიკა**, ნ. მათემატიკა.

**მატერია**, 1) ფილოსოფიაში: ადამიანის შეგრძნებისაგან დამოუკიდებლად არსებული გარესინამდვილე, რაც აღიქმება ადამიანისმიერ შეგრძნებების გზით;

2) რაც უპირისპირდება ფორმას; 3) ბუნებისმეტყველებაში: ნივთიერება, რომლისაგანაც შედგენილია ყოველი სხეული; 4) ქსოვილი; 5) ჩითქი — მატერიალ-ი, მასალა.— მატერიალიზაცია, განივთიერება, ნივთიერების სახის მიცემა.—მატერიალიზირება, ვამატერიალიზირებ, ვანივთიერებ. — მატერიალური, ნივთიერი; ქონებრივი. ხორციელი; სარგებლიანობითი და სხ

მატერიალიზმ-ი, 1) ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც მატერია (ნ. 1) მიაჩნია პირველადად.—უპირისპირდება იდეალიზმს (ნ.), რომელსაც. პირიქით, პირველადად მიაჩნია იდეა, აზრი, გონისი. მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ჩვენი შემეცნება წარმოადგენს გარემოს ანარეკლს და არა პირიქით; 2) საყოველდღეო სიტყვახმარებაში: ნივთიერისათვის უპირატესობის მინიჭება, სარგებლიანობის თვალსაზრისი — მატერიალისტ-ი, მატერიალიზმის მიმდევარი.—მატერიალისტური, მატერიალიზმზე დამყარებული, მისგან გამომდინარე და სხ.

მატერიალური, ნ. მატერია.

მატერიკ-ი, ხმელეთი.

მატ ი, ნ. შამათი.

მატინე, სადილაო ტანსაცმელი (ქალისა).

მატრაც-ი, ლეიბი, ნაალი: მატყლიანი, თივიანი და სხ. (არა ლინდლიანი).

მატრიარქატ-ი, გვაროვნობითი საზოგადოების ისეთი ფორმა, როცა მის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა დედაკაცის (დედის) ნათესაობის ხაზით დაკავშირებული ჯგუფი, —მის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა სადედაკაცო მთოხნელობა; უფლებრივად დაცული იყო დედაკაცის პირადი და ქონებრივი მხარე.

მატრიკულ ი, სტუდენტის სალექციო წიგნაკი რევოლუციამდე რუსეთში.

მატრიმონიულ-ი, ქორწინებისა, საქორწინებო; ცოლქმრობითი, საცოლქმრო.

მატრიცა, მატრიც-ი, რაიმე საგნის (მაგ. საბეჭდი ასოების) ჩამოსასხმელი ყალიბი, — წარმოადგენს ბრტყელ ფირფიტას, რომელზედაც ჩამოსახულია ჩაღრმავებულად ჩამოსასხმელი საგანი.

მატროს-ი, სავაჭრო ფლოტის დაბალი მოსამსახურე აა (ბურჟუაზ. ქვეყნებში) სამხედრო ფლოტის ჯარისკაცი.

მატჩ-ი, შეჯიბრება კადრაკში ან სხვა სასპორტო თამაშში.

მაუზერ ი, ერთგვარი თოფის და რევოლვერის სახელი,—იხმარება უქეტესად გერმანიაში.

**მაქსიმა**, პიროვნების ყოფაქცევის მოკლედ გამოთქმული წესი.

**მაქსიმალიზმ-ი**, 1) უკიდურესობის მომხრეობა; 2) უკიდურესობა შეხედულებასა და მოთხოვნილებებში. — **მაქსიმალისტები**, რუსეთში 1904—1906 წწ. სოცრევოლუციონერთა პარტიიდან გამოყოფილი დაჯგუფება, რომლის პროგრამით რუსეთის რევოლუცია უნდა ყოფილიყო არა მეფობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური, არამედ ბურჟუაზიის წინააღმდეგ—სოციალისტური (1920 წ. მაქსიმალისტები დაიშალენ ორ ჯგუფად, უმრავლესობა შეუერთდა კომპარტიას).— **მაქსიმალისტ-ი**, მაქსიმალიზმის მომხრე; მაქსიმალისტების წევრი.

**მაქსიმალური**, უდიდესი, უკიდურესი; მეტი რომ აღარ შეიძლება (ან საჭირო რომ არ არის), იმდენი.—**მაქსიმალური თერმომეტრი**, უდიდესი ტემპერატურის აღმნიშვნელი თერმომეტრი განსაზღვრული დროის განმავლობაში. - **მაქსიმუმი**, უდიდესი რიცხვი ან ხარისხი.

**მალაზია**, სავაჭრო სახლი; კარგად მომარაგებული დიდი დუქანი.

**მაშინა**, მანქანა. — **მაშინალური**, უნებლიე, ავტომატური. **მაშინიზაცია**, მანქანიზაცია (ნ. ეს). —**მაშინისტ-ი**, მემანქანე.

**მაშტაბ-ი**, საზომი; შეფარდება რაიმე გეგმის ან რუკის ხაზის სიგრძისა ნამდვილ სიგრძესთან (ე. ი. ის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მოკლეა ხაზი ნამდვილ სიგრძეზე).

**მახიზმ-ი**, ფიზიკოს-ფილოსოფოსის, მ ა ხ-ის ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმადაც რეალურ გამოცდილებაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ „ელემენტები" (ე. ი. მხოლოდ შეგრძნებანი— მხედველობითი, სმენითი და სხ.), რომელიც თავისთავად არც ფსიქიურია და არც ფიზიკური, არამედ სუბიექტისთვის—ფსიქიური, ხოლო ობიექტისთვის—ფიზიკური... ნივთი არაა მიზეზი შეგრძნებისა, თვით შეგრძნებათა რიგი ქმნის ნივთს. მახიზმი უახლოვდება ემპირიოკრიტიციზმს (ნ.) და წარმოადგენს სუბიექტიური იდეალიზმის სახეობას.

**მახინა**, უზარმაზარი რამ, ზორზოხი, ურჩხი. — **მახინაცია**, მოხერხება, მეხრიკეობა რაიმე მიზნის მისაღწევად. — **მახინატორ-ი**, მოხერხებული, მეხრიკე, ხრიკიანი ადამიანი.

**მაჰარაჯა**, დიდი რაჯა (ნ ეს): მფლობელი თავადი ინდოეთში, მისი ტიტული.

**მაჰმადიანობა** ანუ ი ს ლ ა მ ი, რელიგიური მოძღვრება არაბის

მაჰმად-ისა (7 საუკ. ქ შ.). — გადმოცემულია ყურან-ში (ნ.) და აღიარება მხოლოდ ერთ ღმერთს, ალაჰს, წესად დებს ლოცვას დღეში ხუთჯერ, მარხვას ერთი თვის განმავლობაში, ხშირ განბანას და ღარიბთათვის განსაზღვრულ გადასახადს. მაჰმადიანობა წარმოიშვა მომთაბარე არაბთა ტომობრივი ურთიერთობის რღვევისა და საკაპრო თემების გაძლიერების ხანაში; გავრცელებულობის მხრივ მას უჭირავს მესამე ადგილი (ბუდიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ). — **მაჰმადიან-ი**, მაჰმადიანობის მიმდევარი, მუსლიმანი.

**მეგალითები** (მრავლ.). უძველესი შენობები (სამლოცველოები, სასაფლაოები და სხ.), უზარმაზარი ქვებით აშენებული. — **მეგალითური ძეგლები.**

**მეგალომანია**, თავისთავის განდიდებულად წარმოდგენა (ავადმყოფობა). — **მეგალოკეფალ-ი**, მეგალოცეფალი, დიდთავიანი.

**მეგაფონ-ი**, 1) ხმამაღლა მთქმელი ტელეფონი; 2) ხმის გამძლიერებელი მილი.

**მეგერა**, ბოროტი დედაკაცი (ძველ საბერძნ.: შურისძიების ქალღმერთი).

**მეგოომ-ი**, 1) ელექტროწინაალმდეგობა, — უდრის მილიონ ოომს (ნ. ოომ-ი); 2) დიდი წინაალმდეგობა რადიომოწყობილობაში.

**მედალ-ი**, 1) ამობურცულგამოსახულებიანი და წარწერებიანი ლითონის მრგვალი ნიშანი; 2) ასეთივე, — ეძლევა ჯილდოდ რაიმე დამსახურებისათვის. — **მედალისტ-ი**, მედლით დაჯილდოებული.

**მედალიონ-ი**, 1) მოგრძო-მრგვალი ყელზე ჩამოსაკიდი ოქროს ან ვერცხლის გასახსნელი კოლოფი; 2) მოგრძო-მრგვალი ჩარჩო.

**მედიანა**, წრფეწირი, რომელიც აერთებს სამკუთხედის გვერდს მოპირდაპირე წვეროსთან.

**მედიატორ-ი**, მედიატორე, შუამავალი, მომრიგებელი. — **მედიაცია**, შუამავლობა, უმთავრესად — საერთაშორისო ხასიათისა.

**მედიკ-ი**, 1) მკურნალი, ექიმი; 2) სამედიცინო (სამკურნალო) ინსტიტუტის (ან ფაკულტეტის) სტუდენტი. — **მედიკამენტ-ი**, წამალი, სამკურნალო მასალა.

**მედიუმ-ი**, 1) შუამავალი; 2) ის პირი, რომელსაც ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე მიეწერება სულებთან შუამავლობისა და მათი გამოწვევის უნარი.

**მედიჩების (მედიჩთა) ვენერა**, ნ. ვენერა.

**მედიცინა**, საბუნებისმეტყველო მეცნიერება ადამიანის ჯანსაღობის შენარჩუნებისა, ავადმყოფობის განკურნებისა და გადამდებ სნეულების გავრცელების

წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, —დაკავშირებულია სოციალურ მეტან ერებებთან.

**მედრესე,** მაჰმადიანთა უმაღლესი სასულიერო სკოლა.

**მეზალიანს-ი** (მეზალლ), უთანასწორობაზე დამყარებულ საზოგადოებაში: სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომ პირთან დაქორწინება.

**მეზო-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] საშუალო, შუა- და სხ, მაგ. **მეზოზოა.** მრავალუჯრედებიანი ცხოველები,—ითვლებიან გარდამავალ ცხოველებად უმარტივესსა და მრავალუჯრედებიანს შორის.—**მეზოზოური ხანა,** გეოლოგიაში დედამიწის განვითარების საშუალო (მეორეხე) ხანა,—ხასიათდება ქვეწარმავალთა წარმოშობით და გადაგვარებით და სხ. — **მეზოკეფალ-ი,** საშუალოთავიანი. — **მეზოლით-ი,** პალეოლითისა და ნეოლითის საშუალო ხანა.

**მეზონინ-ი,** სახლზე დანაშენი პატარა სართული.

**მეზოცეფალ-ი,** ნ. მეზოკეფალი.

**მეთილ-ი,** ერთერთი ქიმიური ჯგუფი,—თავისუფალ მდგომარეობაში არ არსებობს; შედის მრავალ შენაერთში, მაგ. მეთილის ალკოჰოლი. **მეთილორანჟ-ი,** რთული შედგენილობის ორგანოული საღებავი.

**მეთოდ-ი,** 1) გამოსავალი წერტილი რაიმე შესასწავლი მოვლენის კანონების გამოსაცნობად; **დიალექტური მეთოდი** (მარქს-ენგელსისა) იხილავს სინამდვილეს როგორც უსასრულოდ განვითარებაში მყოფ შეერთებას და როგორც ურთიერთზედმოქმედებას მის ნაწილთა; 2) საყოველდღეო სიტყვახმარებაში: მუშაობის (კვლევის, სწავლების და სხ.) ესა თუ ის წესი—განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. **მეთოდიკა,** პედაგოგიკის დარგი,—შეისწავლის სასკოლო სწავლების წესებსა და ხერხებს. — **მეთოდისტ-ი,** სასწავლო მეთოდების შემსწავლელი პედაგოგი.—**მეთოდოლოგია,** ფილოსოფიის დარგი, — მოძღვრება მეთოდების შესახებ; მარქსისტული მეთოდოლოგია არის მატერიალისტური დიალექტიკა მოძღვრება ბუნების, ისტორიის და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ (ნ. დიალექტიკა).

**მელანქოლია,** ერთგვარი ფსიქიური მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ნაღვლიანობა, მწუხარება, გარემოსადმი გულგრილობა, აზრთმსვლელობის მოდუნებულობა და მოქმედების შეფერხებულობა. — **მელანქოლიკ-ი,** მელანქოლიით შეპყრობილი ადამიანი.

**მელიორაცია,** უვარგისი ან გამოუყენებელი მიწის საფუძვლიანი გაუმჯობესება ნიადაგის შედგენილობის გამოცვლის გზით წყლისა, ჰაერისა და გამანოყიერებელი ნივთიერების შეცულობის მხრივ (მაგ: ჭაობების ამოშრობა, მშრალი ნიადაგის მორწყვა და სხ.).

**მელოდეკლამაცია,** ლექსის ან პროზის წაკითხვა (თქმა) მუსიკის აკომპანიმენტით (თანხლებით) —**მელოდეკლამატორ-ი,** ამგვარად წამკითხველი პირი.

**მელოდია,** 1) ბგერების (ტონების) კეთილხმოვანური მიმდევრობა, ხმის თანდათანი მოძრაობა ამაღლება-დადაბლების მხრივ; 2) სასიმღერო მოტივი, სიმღერის ელფერი.—**მელოდიკა,** პოეტიკის დარგი,—სწავლობს მეტყველების მელოდიას, ინტონაციას (ნ.) —**მელოდიური,** 1) სამელოდიო, მელოდიისა; 2) სასმენად სასიამოვნო, კეთილხმოვანური.

**მელოდრამა,** 1) თავდაპირველად: სასცენო ნაწარმოები მუსიკით; 2) ახლა: გარეგნულ ეფექტოვანი სასცენო ნაწარმოები, რომელიც მოქმედებს მაყურებლის მგრძნობიარობაზე, ჩვეულებრივ —იწვევს ცრემლებს — **მელოდრამული,** სამგლოვიარო.

**მელომანია,** მუსიკის გადაჭარბებით მოყვარულობა.

**მემბრან-ი,** აპკი ან ძლიერ თხელი ფირფიტა,—დამაგრებულია კიდეებით და შეუძლია რხევა (თრთოლა),—იხმარება საბგერო (ჰაერის) ტალღების ჩასაწერად.

**მემორანდუმ-ი,** 1) სამახსოვრო უბის წიგნაკი; 2) წერილობითი მოხსენება; 3) დიპლომატიური მიმართვა,—შეიცავს მთავრობის აზრს ამათუიმ საკითხზე.

**მემორია,** საქმის არსის შემცველი მოკლე ამონაწერი.—**მემორიალ-ი,** 1) დღიური; უბის წიგნი; 2) ერთგვარი საბუღალტრო წიგნი, რომელშიაც იწერება ყოველდღიურად საწარმოს ბრუნვათა მოძრაობა.

**მემუარები** (მრავლ.), 1) ამბების აღწერილობა თანამედროვეთა მიერ; 2) სამეცნიერო საზოგადოების გამოცემული შრომათა კრებული.

**მენდელიზმ-ი,** მემკვიდრეობის თეორია, რომელიც დამყარებულია ბოტანიკოს მ ე ნ დ ე ლ-ის (1822-84) ცდებზე,—მისი ერთ-ერთი ძირითადი კანონია განხლეჩის კანონი.

**მენზულა,** სამიწათმზომელო ხელსაწყო,—იხმარება გეგმების გადასაღებად და რუკების შესადგენად.

**მენზურა,** საწყაოსი: სითხის მოცულობის საზომი განწილული

(ნაწილებად დაყოფილი) პურ-ჭელი, — იხმარება აფთიაქში და ლაბორატორიაში.

**მენთოლ-ი,** პიტნის ქაფური,—იხმარება, მაგ., ტკივილის დასაყუჩებლად.

**მენინგიტ-ი,** ტვინის გარსების ანთება.

**მენიუ,** სასადილოს ბარათი, სადილის საჭმელების სია.

**მენსტრუაცია,** დედაკაცის თვიური.

**მენტოლ-ი,** ნ. მენთოლი.

**მენტორ-ი,** მასწავლებელი, ხელმძღვანელი.

**მენუეტ-ი,** ძველებური ფრანგული ცეკვა და შესაფერი მუსიკა.

**მენშევიზმ-ი,** 1) კერძოდ და ფორმალურად: რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის მემარჯვენული მიმართულება 1903 წლიდან; 2) საერთოდ და არსებითად: საერთაშორისო სოც.-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული მიმართულება მუშათა მოძრაობაში,— ხასიათდება მარქსიზმის დამახინჯებით, მისი არადიალექტიკურად და რევოლუციურად გაგებით, არამედ ფორმალურად; უარყოფს ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს, შეიარაღებულ აჯანყებას და სხ.; მისთვის გაუგებარია მნიშვნელობა პროლეტარიატის ჰეგემონიისა, პარტიის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობისა და სხ.; რევოლუციური ელემენტები საბოლოოდ ჩამოშორდნენ მენშევიზმს და შეუერთდნენ კომპარტიას, ხოლო მენშევიზმი შეიქნა ბურჟუაზიული რეაქციის დასაყრდენად.

**მერ-ი,** არჩეული ქალაქისთავი ინგლისში, საფრანგეთში და ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატებში.

**მერიდიან-ი,** დიდი წრე, რომელიც გაყვანილია წარმოსახვით დედამიწის ორთავე პოლუსზე.

**მერინო. მერინოს-ი,** ესპანური ცხვრის წმინდაბეწვიანი ჯიში.

**მერკანტილიზმ-ი,** 1) საყოველდღეო სიტყვა-ხმარებაში: ვაჭრული საქმიანობა, გამორჩენის ძებნა: 2) მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ უ რ ი  ს ი ს ტ ე მ ა, ეკონომიური პოლიტიკის სისტემა (16—18 საუკ.), რომლის ძირითადი დებულება: ფული წარმოადგენს საზოგადოებრივი სიმდიდრის საფუძველს, წარმოადგენს სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქის გამოხატულებას. – **მერკანტილისტები** (მრავლ.), ამ სისტემის შემქმნელი ჯგუფი ეკონომისტებისა. **მერკანტილისტ-ი,** ანგარებიანი, ფულის მოყვარული ადამიანი — **მერკანტილური,** ვაჭრული, ჩარჩული, ანგარიშიანი.— **მერკანტილისტური,** მერკანტილური სისტემის ხასიათის მქონე.

**მერკურიალიზმ-ი,** ვერცხლისწყლით მოწამლვა.

**მესა** (მესსა), რომაულ-კათოლიკური წირვა.

**მესალინა** (მესს-), მაღალი წრის გარყვნილი და ბოროტი ქალი (სახელია რომის იმპერატორის, კ ლ ა ვ დ ი უ ს ი ს ცოლისა).

**მესია** (მესს)-, „მირონცხებული, ქვეყნის მხსნელი".—**მესიანიზმ-ი.** 1) რელიგიაში: რწმენა ქვეყნის ღვთაებრივი მხსნელის მოსვლისა; 2) 19 საუკ. პირველ ნახევარში: ბურჟუაზიულ ნაციონალისტური შეხედულება თავის ერზე, რომელიც ვითომდა მოვლენილია კაცობრიობის ან ქრისტიანული ცივილიზაციის მხსნელად.

**მეტალურგია** (მეტალლ ), მეცნიერება მადნიდან ლითონების მოპოვებისა და ქიმიური გადამუშავების შესახებ.—**მეტალურგ-ი,** მეტალურგიის სპეციალისტი.

**მეტამორფიზმ-ი,** გეოლოგიაში. ძირითადი ცვლილებანი მთის ქანთა აგებულობასა და შედგენილობაში მაღალი ტემპერატურის, წყლის და ძლიერი წნევის ერთობლივი მოქმედებით.

**მეტამორფოზა,** გარეგნული სახეცვალება; გარდაქმნა, გამოცვლა.

**მეტასტაზ-ი,** სატკივრის გადანაცვლება სხეულის ერთი ადგილიდან მეორეზე.—**მეტასტაზური,** გადანაცვლებითი, გადამავალი.

**მეტაფიზიკა,** 1) ფილოსოფიაში: მოძღვრება ყოველგვარი მყოფობის პირველდასაწყისის შესახებ, რაც არ თავსდება შესაძლებელი ცოდნის ფარგლებში და არ შეიძლება შემოწმდეს გამოცდილებით. „მეტაფიზიკოსისათვის ნივთები და ცნებები წარმოადგენენ გაცალკევებულ, უცვალებელ, გაყინულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს, რომლებიც უნდა შეისწავლებოდეს ერთიმეორის შემდეგ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ" (ენგელსი). 2) დაცინვით: გაზვიადებული, ბუნდოვანი და გაუგებარი აზროვნება.—**მეტაფიზიკოს-ი,** მეტაფიზიკურად მოაზროვნე.—**მეტაფიზიკური,** 1) მეტაფიზიკის ხასიათისა; 2) გამოცდილების, გრძნობების გარეშე მდგომი.

**მეტაფორა,** სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა; არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა.

**მეტაფრაზ-ი,** სიტყვასიტყვითი თარგმანი. **მეტაფრასტ-ი,** 1) ამგვარად მთარგმნელი; 2) კომენტატორი.

**მეტაფსიქოზ-ი,** საიქიოს რწმენის ერთერთი ფორმა: სულის გადასვლა სხვა ორგანიზმში.

**მეტეკები** (მრავლ.), უცხოური მოსახლეობა ატიკაში (ძვ. საბერძნეთში).

**მეტეორ-ი, მეტეორები,** 1) მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვთ ატმოსფეროში, მაგ. წვიმა, ცისარტყელა, თოვლი და სხ.; აგრეთვე ცრუ მთვარეები, მზეები, ციაგი და სხ.; 2) ცის სივრციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ქვის ან ლითონის ლოდები — მ ე ტ ე ო რ ო ლ ი თ ე ბ ი ანუ მ ე ტ ე ო რ ი ტ ე ბ ი. — **მეტეოროლოგია,** მეცნიერება ატმოსფერულ მოვლენათა შესახებ.

**მეტეორიზმ-ი,** მუცლის შეშუპება (გაბერვა) ნაწლავებში აირების დაგროვების გამო.

**მეტილ-,** ნ. მეთილ-.

**მეტის-ი,** ორი სხვადასხვა რასის ადამიანისაგან ან სხვადასხვა ჯიშის ცხოველისა ან მცენარის სახეობ წარმოშობილი შთამომავლობა. — **მეტისაცია,** მეტისის წარმოშობა, შექმნა.

**მეტოდ-,** ნ. მეთოდ-.

**მეტრანპაჟ-ი,** სტამბაში: მგვერდავი (გვერდებად შემკვრელი) ასოთამწყობი.

**მეტრდოტელ-ი,** რესტორანის ან სასტუმროს მეთაურე მსახური.

**მეტრეს-ი** (-სს-), საყვარლად დასმული ქალი.

**მეტრ-ი,** 1) მეტრულ საზომთა სისტემის ერთეული, უდრის პარიზის მერიდიანის $^1/_{40000000}$ (დაახლ. $22^1/_2$ ვერშოკს). — **მეტრული სისტემა** ს ა ზ ო მ-ს ა წ ო ნ თ ა, საფრანგეთის რევოლუციური მთავრობისმიერ 1793 წ. შემოღებული სისტემა საზომ-წონისა (სახელი დაერქვა სიგრძის ერთეულისაგან), — შემოღებულია თითქმის ყველა ქვეყნებში (ინგლისისა და ჩრდ. ამერიკის შტატებს გარდა), აგრეთვე — საბჭოთა კავშირში; 2) ბგეროვეების ზომა მუსიკასა და ლექსთწყობაში.

**მეტრიკა,** 1) მოძღვრება ლექსთწყობისა და მუსიკალური ნაწარმოების საბგეროვნო კანონზომიერების შესახებ; 2) მეტრიკული მოწმობა, საბუთი დაბადებისა, ქორწინებისა და სხვ. შესახებ რევოლუციამდე რუსეთში.

**მეტრიტ-ი,** საშვილოსნოს ანთება.

**მეტროლოგია,** მეცნიერება საზომ-საწონთა შესახებ.

**მეტრონომ-ი,** დროის რიტმულად აღმნიშვნელი ხელსაწყო. - იხმარება მუსიკაში, ფსიქოლოგიურ კვლევაში და სხ.

**მეტროპოლია,** ახალშენების მქონე სახელმწიფო. — **მეტროპოლიტენ-ი,** მიწისქვეშა ან საჰაერო ელექტრო-რკინიგზა დიდ ქალაქში.

**მექანიზაცია,** 1) ადამიანის შრომის შეცვლა მანქანის მუშაობით, — ზრდის ნაყოფიერებას

რამდენჯერმე; 2) რაიმე მოქმედებაში იმდენად გავარჯიშება, რომ იგი სრულდება არაცნობიერად. მაგრამ მართებულად.

**მექანიზმ-ი**, 1) მანქანის შინაგანი მოწყობილობა, მოძრაობის გადამცემი; 2) **მექანიზმ-ი**, მექანისტური თეორია, მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად მოვლენათა მრავალფეროვნობა შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ მექანიკის (ნ.) კანონებით; მისი აზრით მთლიანი რამ წარმოადგენს მხოლოდ მისი ნაწილების ჯამს და ამიტომ მეცნიერებამ მოვლენათა თვისობრივი განსხვავებანი უნდა ახსნას მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებათა საფუძველზე — **მექანისტ-ი**, მექანისტური თეორიის მომხრე. — **მექანისტური**, მექანისტური თეორიის ან მექანისტის დამახასიათებელი — **მექანისტური მატერიალიზმ-ი**, მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც ხსნის ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენებს არა დიალექტიკურად, არამედ მექანისტურად: აიგივებს ყოველგვარ ცვლილებებს ბუნებისა და საზოგადოებისას მექანიკურ მოძრაობასთან, თვისობრივ განსხვავებებს ხსნის მხოლოდ რაოდენობრივით, მისთვის გაუგებარია წინააღმდეგობათა ერთიანობა და სხ.

**მექანიკა**, 1) მეცნიერება სხეულთა მოძრაობისა და მისი გამომწვევი ძალების შესახებ; 2) მანქანათა აგებულობის თეორია. — **მექანიკოს-ი**, მექანიკის სპეციალისტი. **მექანიკური**, 1) მექანიზმით მოქმედი, 2) მანქანისებრი; 3) არაცნობიერად, უნებურად მოქმედი და სხ. — **მექანისტ-**, ნ. მექანიზმი.

**მეშჩანიზმ-ი**, ნ. ფილისტერი.

**მეჩეთ-ი**, **მეჩით-ი** მაჰმადიანთა ტაძარი.

**მეცენატ-ი**, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი.

**მეცო-სოპრანო** (მეცც-) ქალის ხმა, — საშუალოა კონტრალტოსა და სოპრანოსი.

**მეხან-**, ნ. მექან-.

**მეჯლის-ი**, პარლამენტი სპარსეთსა და ოსმალეთში.

**მი**, მუსიკაში: დიატონიკური გამის მესამე ნოტი.

**მიაზმა**, **მიაზმები**, ხრწნა-ლპობის მომწამლველი ანაორთქლი, ან მის გამო წარმოქმნილი აიოები.

**მიგრაცია**, გადასახლება ბინადრობის გამოცვლა, მაგ. ცხოველების გადასახლება სხვა მხარეში. — **მიგრაციის თეორია**, ცხოველების ახალ სახეთა წარმოქმნა გადასახლების შედეგად — ცხოვრების სხვა პირობებში.

**მიზანთროპ-ი**, ადამიანთ-მოძულე. — **მიზანთროპია**, ადამიანთმოძულეობა.

**მიზგით-ი**, მეჩეთი (ნ.).

**მით-ი**, 1) ხალხური თქმულება ღმერთების და გმირების შესახებ, — შეიცავს ხალხის უძველეს შეხედულებებს ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ და სხვ.; 2) ზღაპრული რამ, მოგონილი ამბავი.—**მითიური, მითური**, მითის ხასიათისა; ზღაპრული.—**მითოლოგია**, 1) მითების ერთობლიობა; 2) მეცნიერება მითების შესახებ.—**მითოლოგ-ი**, მითების მკვლევარი.

**მითრა**, ძველ ირანელთა ღვთაება მზისა, სინათლისა და მცენარეულობის.—**მითრაიზმ-ი**, მითრას, როგორც კაცობრიობის მაცხოვრის, თაყვანისცემა,—გავრცელებული იყო რომის იმპერიაში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში (ქრისტიანობამ გადმოიღო მისგან ზიარების წესი, შობის დღესასწაული და ჯვარი, როგორც სიმბოლო).

**მიკადო**, იაპონიის იმპერატორის ძველი ტიტული, — იხმარება მხოლოდ ევროპიელთა მიერ.

**მიკრო-** [დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს] მცირე, პატარა.

**მიკრობ-ი, მიკრობები**, მცენარეულისა და ცხოველური წარმოშობის უმცირესი ორგანიზმები, — დაინახებიან მხოლოდ მიკროსკოპით, იწვევენ დუღილს, ხრწნას, გადამდებ სნეულებებს და სხვ.; მიკრობებს ეკუთვნიან აგრეთვე მცირე წყალმცენარეები, ბაქტერიები და სხ.—**მიკრობიოლოგია**, მეცნიერება მიკრობების შესახებ.

**მიკროკეფალია**, მცირეთავიანობა: ქალისა (თავისქალისა) და ტვინის არასაკმარისი განვითარება, — იწვევს საერთო ფსიქიურ განუვითარებლობას. — **მიკროკეფალები**, მცირეთავიანები.

**მიკროკოსმ-ი**, 1) მსოფლიოს უხილავი მხარე (უხილავი მოვლენები, მოძრაობანი მატერიისა, ატომები, ელექტრონები); 2) ადამიანი, რომელიც (ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით) წარმოადგენს მთელი მსოფლიოს განსახიერებას.

**მიკროლითები** (მრავლ.), 1) პაწაწა კრისტალები ვულკანურ ქანებში, დაინახება მხოლოდ მიკროსკოპით; 2) ქვის საუკუნის ადამიანის პაწაწა იარაღები ქვისა.

**მიკრომეტრ-ი**, მცირე სიდიდეთა საზომი ხელსაწყო.—**მიკრომეტრია**, ასეთების ზომვა.

**მიკრონ-ი**, მილიმეტრის ერთი მეათასედი ნაწილი.

**მიკროორგანიზმები** (მრავლ.), უმიკროსკოპოდ უხილავი ორგანიზმები (ბაქტერიები, მიკრობები ..).

**მიკრორაიონ-ი**, რაიონის უმცირესი ნაწილი.

**მიკროსკოპ-ი,** ოპტიკური ხელსაწყო, — გამოსახავს ძლიერ გადიდებულად ისეთ საგნებს, რომლებსაც უიარაღო თვალით ადამიანი ვერ დაინახავს. — **მიკროსკოპია,** მიკროსკოპის გამოყენება. — **მიკროსკოპული,** ძალიან პატარა, უიარაღო თვალით უხილ-ავი.

**მიკროფონ-ი,** სუსტი ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა, გარდაქმნის საბგერო რხევებს ელექტროდენის ძალის რხევებად.

**მიკროქიმია,** ანალიტიკური ქიმიის დარგი, იკვლევს ნივთიერების უმცირეს რაოდენობას.

**მიკროცეფალია,** ნ. მიკროკეფალია.

**მიქს-,** ნ. მიქს-.

**მილდიუ,** ავადმყოფობა ვაზისა და ზოგიერთი სხვა სოფლის მეურნეობის მცენარეულობისა, — ფარავს ფოთლებს ობისებრი ფრფენით; მისი საწინააღმდეგო საშუალებაა, მაგ. შაბიამნის ხსნარით დაშხეფვა.

**მილედი,** ლორდის ცოლისადმი მიმართვის ფორმა (ინგლისში).

**მილი-** (მილლი-) [ემატება თავში საზომ საწონის სახელს და აღნიშნავს] „მეათასედი ნაწილი", მაგ. **მილიგრამ-ი,** გრამის მეათასედი, **მილიმეტრ-ი,** მეტრის მეათასედი.

**მილ-ი,** სიგრძის საგზაო საზომი: 1) გეოგრაფიული მილი=7.420 მეტრს, 2) საზღვაო ანუ ინგლისური მილი=1.852 მეტრს.

**მილიარდ-ი** (მილლ-), ათასი მილიონი. — **მილიარდერ-ი,** მილიარდის მქონებელი, უმდიდრესი ადამიანი.

**მილიგრამი** (მილლიგრამმ-ი), ნ. მილი-.

**მილიმეტრ-ი,** ნ. მილი-.

**მილიონ-ი** (მილლ-), ათასჯერ ათასი. — **მილიონერ-ი,** მილიონის მქონებელი, ძალიან მდიდარი ადამიანი.

**მილიტარიზაცია,** ნ. მილიტარიზმი.

**მილიტარიზმ-ი,** შეიარაღებული ძალების გადიდება და საომარი მზადება კაპიტალისტურ ქვეყნებში. — „წარმოადგენს კაპიტალიზმის სასიცოცხლო გამოვლინებას, როგორც სამხედრო ძალას, გამოსაყენებელს კაპიტალისტური სახელმწიფოების ერთმანეთთან სამხედრო შეტაკებისას და როგორც იარაღს გაბატონებული კლასების ხელში პროლეტარიატის ყოველგვარი (ეკონომ და პოლიტ.) მოძრაობის ჩასახშობად" (ლენინი). — **მილიტარიზაცია,** 1) სამხედრო საქმისადმი ინტერესისა და ცოდნის გავრცელება, გასამხედროება (საბჭ. კავშირში გასამხედროების მიზანია მხოლოდ თავდაცვა); 2) სამხედრო კანონების გავრცელება სახალხო მეურნეობის რომელიმე

დარგზე (მაგ. რკინისგზის მილიტარიზაცია). — **მილიტარისტ-ი**, მილიტარიზმის მომხრე და გამტარებელი.

**მილიცია**, 1) სამხედრო ძალების ისეთი ორგანიზაცია, როცა მოქალაქენი სამხედროდ იწვრთნებიან მოკლე ვადაში და ადგილობრივ; 2) საბჭოთა კავშირში (მუშათა და გლეხთა მილიცია): სახელმწიფო ადმინისტრაციის ნაწილი, იცავს რევოლუციურ წესრიგს და საზოგადოებრივ უშიშროებას. — **მილიციონერ-ი**, მილიციის (1) მონაწილე ან მილიციის (2) უმცროსი თანამშრომელი

**მილორდ**, ლორდისადმი მიმართვის ფორმა (ინგლისში).

**მიმეოგრაფ-ი**, ნაწერის (ან ნახაზის) გასამრავლებელი ხელსაწყო.

**მიმეტიზმ-ი** ანუ **მიმიკრია**, ცხოველთა მიმბაძველობა; — გამოიხატება გარეგნულ დამსგავსებაში (ფერით, ფორმით) გარემოსთან (ემსგავსება ფოთოლს, ხის ქერქს, მიწას...) ან სხვა ცხოველს. და წარმოადგენს შეგუების შედეგს არსებობისათვის ბრძოლაში.

**მიმ-ი**, 1) ხალხური წარმოდგენა ძვ. საბერძნეთსა და რომში, უმეტესად — უწმაწური შინაარსისა. 2) მიმის მსახიობი.

**მიმიკა**, სახითმეტყველება: გრძნობებისა და განცდების შესაფერი მოძრაობა პირისახის კუნთებისა; ნებისმიერი მიმიკა გამოიყენება მსახიობისმიერ სასცენო ხელოვნებაში. — **მიმიკ-ი**, **მიმიკოს-ი**, სახითმეტყველი. — **მიმიკური**, სახითმეტყველებითი, სახითმეტყველური. — **მიმიკრია**, ნ. მიმეტიზმი.

**მიმოგრაფ-ი**, ნ. მიმეოგრაფი.

**მიმოზა**, ტროპიკული მცენარე; ცნობილია ერთი მისი სახეობა, „მორცხვი მიმოზა", რომელიც კეცავს ფოთლებს შეხებისას.

**მინა**, ნ. მინი.

**მინარეთ-ი**, მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი (ნ.) მოუწოდებს ლოცვისათვის.

**მინეზინგერები** (მინნ-, მრავლ.), მოლექსე რაინდები საშ. საუკ. გერმანიაში.

**მინერალ-ი**, მყარი (უმეტესად) ან თხევადი არაორგანული სხეული ერთგვაროვანი შედგენილობისა მიწის ქერქში ან ცის სივრცეში (მეტეორიტები). — **მინერალოგია**, მინერალების თვისებათა და წარმოშობის შემსწავლელი მეცნიერება. — **მინერალოგ-ი**, მინერალების მკვლევარი. — **მინერალური**, მინერალის ხასიათისა. მინერალის შემცველი (ხსნარის სახით). — **მინერალური სათბობი მასალა**, ქვანახშირი, მაზუთი, ნავთი. — **მინერალური წყალი**,

მინერალის (ხსნარის სახით) შემცველი სამკურნალო წყალი.

**მინ-ი,** ნაღმი, ასაფეთქებელი მოწყობილობა მიწაში ან წყალქვეშ. — **მინირება,** ვამინირებ, ვნაღმავ. **მინიორ-ი,** მენაღმე.

**მინიატურა,** 1) ხელნაწერის ილუსტრაცია; 2) პატარა მხატვრული სურათი, 3) პატარა მოთხრობა. 4) დაპატარავებული რამ. — **მინიატურისტ-ი,** მინიატურების მხატვარი ან მწერალი. — **მინიატურული,** მინიატურის ხასიათისა; ძლიერ პატარა რამ.

**მინიმალური,** ნაკლები რომ აღარ შეიძლება, იმდენი; უმცირესი — **მინიმალური თერმომეტრი,** უმცირესი ტემპერატურის აღმნიშვნელი თერმომეტრი დროის განსაზღვრულ განმავლობაში. — **მინიმუმ-ი,** უმცირესი რიცხვი ან ხარისხი.

**მინისტერიალიზმ-ი,** „სოციალისტური" პარტიის შემთანხმებლობითი და კომპრომისული პოლიტიკა.—გამოიხატება ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის სახით.

**მინისტრ-ი,** ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში: სახელმწიფო მმართველობის უწყების სათავეში მდგომი პირი.

**მინორული,** სევდიანი.

**მინუს-ი,** 1) მათემატიკაში: გამოკლების (ან უარყოფითი სიდიდეთა) ნიშანი, 2) რაიმე ნაკლი, ხარვეზი.

**მინუსკულ-ი,** ჩვეულებრივი საწერი ან საბეჭდი ასო, ნუსხური.

**მინუტ-ი,** 1) წუთი, საათის $^1/_{60}$ ნაწილი; 2) გრადუსის $^1/_{60}$ ნაწილი.

**მიოკარდიტ-ი,** გულის კუნთის ანთება - მწვავე ან ქრონიკული.

**მიოლოგია,** ანატომიის ნაწილი,— შეისწავლის კუნთების სისტემას.

**მიოპია,** სიბეცე.

**მირაჟ-ი,** 1) ერთგვარი ოპტიკური (მხედველობითი) მოვლენა. რომელსაც ადგილი აქვს წყნარ და არათანაბრად გახურებულ ატმოსფეროში მაგ. აფრიკის უდაბნოებში გამოჩნდება ხოლმე მღელვარე წყალი ან სხვა რამ. რაც ჰორიზონტს ვადალმა იმყოფება; 2) მოჩვენებითი რამ, მხედველობის მცთარობა; ზმანება.

**მირზა** [ემატება სახელს და ნიშნავს], 1) ბატონი (სახელის წინ), 2) ბატონიშვილი (სახელის შემდეგ).

**მირიად-ი,** ურიცხვი.

**მის** (მისს), გაუთხოვარი ქალის წოდება (ინგლისში).

**მისია** (მისსია), 1) ქრისტიანული (ან სხვა) სარწმუნოების მქადაგებელთა გაგზავნა კაპიტალისტური სახელმწიფოების

მიერ არაქრისტიანულ ქვეყნებში ქრისტიანობის გასავრცელებლად, — დაკავშირებულია კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიალურ პოლიტიკასთან; 2) ასეთი მქადაგებლები; 3) დიპლომატიური წარმომადგენლობა; 4) დავალება, დანიშნულება.— **მისიონერ-ი**, საგანგებოდ გაგზავნილი მქადაგებელი სარწმუნოებისა სხვა ქვეყანაში.

**მისის, მისტრის**, მიმართვის ფორმა გათხოვილი მდაბიო ქალისადმი (ინგლისში): ქალბატონო!

**მისს**, ნ. მის.

**მისტერ**, მიმართვის ფორმა მდაბიო მამაკაცისადმი (ინგლისში): ბატონო!

**მისტერია, მისტერიები**, 1) საიდუმლო (ე. ი რჩეულთა) ღვთისმსახურება ძველ საბერძნეთში, 2) სასცენო წარმოდგენები საშ. საუკუნეებში, თავდაპირველად სასულიერო შინაარსისა.

**მისტიკა, მისტიციზმ-ი**, რელიგიური შეხედულება, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ღვთაების და საერთოდ ზებუნებრივი ძალების წვდომა, შემეცნება,—მის წარმოშობა-განვითარებაში უმთავრეს როლს ასრულებს მორწმუნის ავადმყოფური მდგომარეობა; ბურჟუაზიული მეცნიერება და ხელოვნება განზრახ ხელს უწყობენ მას მშრომელთა მასების გაბიაბრუებისა და მათზე ბატონობის გაძლიერების მიზნით; 2) **მისტიკა**, მოძღვრება ზებუნებრიობის შესახებ; მიდრეკილება იდუმალობისადმი. — **მისტიკ-ი, მისტიკოს-ი**, მისტიციზმის მიმდევარი; ვისი გონებაც მიმართულია ზებუნებრიობისადმი, საიდუმლოებით მოცულისადმი. — **მისტიკურ-ი**, მისტიკის ან მისტიციზმის ხასიათის მქონე; საიდუმლოებით მოცული, ზებუნებრივი.

**მისტიფიკაცია**, ვისიმე განზრახ შეცთომაში შეყვანა.

**მისტიციზმ-ი**. ნ. მისტიკა.

**მისტრის (მისტრისს)**, ნ. მისის.

**მიტინგ-ი**, საჯარო კრება რაიმე პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საკითხების გამო.

**მიტკალ-ი**, იაფფასიანი დაუჩითავი ბამბის ქსოვილი.

**მიტრა**, ნ. მითრა.

**მიტრა**, ეპისკოპოსის თავსახური ღვთისმსახურების დროს.

**მიტროპოლიტ-ი**, ზოგიერთი ეპისკოპოსის საპატიო წოდება.

**მიფ-**, ნ. მით-.

**მიქსტ-**, შერეული: მიქსტ-ვაგონი, რბილი და მაგარი ადგილების შემცველი ვაგონი მატარებელში; მიქსტ-მატარებელი, სხვადასხვა დანიშნულების ვაგონების შემცველი მატარებელი.—

მიქსტურა, შინაგანი წამალი ხსნარის სახით.

**მიჩმან-ი**, ფლოტის ოფიცრის დაბალი წოდება რევოლუციამდე რუსეთში; ასეთი წოდების მქონე.

**მნემონიკა**, მნემოტექნიკა, მეხსიერების გაძლიერების ხელოვნური საშუალებები და ხერხები. — **მნემონიკური**, მნემონიკის ხასიათის მქონე; დამახსოვნებითი.

**მობილიზაცია**, 1) სამხედრო ძალების საომარ მდგომარეობაში გადაყვანა: ჯარში გაწვევა, ახალი ნაწილების შექმნა და სხ.; 2) საზოგადოებრივი ან პოლიტიკური კამპანიის ჩასატარებლად ძალების შეკრება-დარაზმვა. — **მობილიზება**, **ვამობილიზებ**, ჯარში ვიწვევ, ვრაზმავ.

**მოგიკან-**, ნ. მოჰიკან.

**მოდა**, ბურჟუაზიულ წრეებში: მაღალი (გაბატონებული) კლასიდან გამომდინარე ცვალებადი გემოვნება, — ეხება უმთავრესად ცხოვრების გარეგნულ მხარეს (ჩაცმულობას, მორთულობას) და ვრცელდება წამბაძველობის ნიადაგზე. — **მოდისტკა**, **მოდისტ-ი ქალი**, ქალების ტანსაცმლის მკერავი ქალი. — **მოდური**, **მოდის**, მოდის შესაფერი.

**მოდალობა**, **მოდალიტეტ-ი**, ფორმალურ ლოგიკაში: მსჯელობის გვარობის გამომხატველი კატეგორია, დარწმუნებულობის გვარობა მსჯელობაში (ნამდვილი, შესაძლებელი, აუცილებელი.)

**მოდელ-ი**, 1) ნიმუში, რომლის მიხედვითაც აკეთებენ რაიმე საგანს; 2) რაიმე საგნის წარმოხატულობა დაპატარავებული სახით.

**მოდერატორ-ი**, მანქანის მბრუნავი ნაწილების მოძრაობის მომწესრიგებელი მოწყობილობა.

**მოდერნიზმ-ი**, 1) ახალი დროის მიმდევრობა გემოვნებისა და ხელოვნების დარგში. 2) მე-19-ე საუკ. დამლევისა და მე-20-ის დასაწისის ერთერთი მხატვრული მიმართულება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, — გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და გადაშენების გზაზე დამდგარი არისტოკრატიის უმწეო სულისკვეთებას — ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. — **მოდერნიზირება**, **ვამოდერნიზირებ**, ვათანადროულებ, განვაახლებ. — **მოდერნისტ-ი**, მოდერნიზმის მიმდევარი.

**მოდისტკა**, **მოდისტ-ი ქალი**, ნ. მოდა.

**მოდიფიკაცია**, 1) სახეცვალება, ფორმისცვლა, რომელიც არაა დაკავშირებული შინა- ან აღნაგობასთან; 2) ბიოლოგიაში: მშობელთაგან განსხვავებულობა, რომელიც არ გადაეცემა

მემკვიდრეობით. — **მოდიფიცი-რება**, ვამოდიფიცირებ, სახეს ვუცვლი.

**მოდულაცია**, მუსიკაში: ტონალობის ცვლა; ტონების ერთი სისტემიდან (ანუ წყობიდან) მეორეზე გადასვლა. **მოდული-რება**, ვამოდულირებ, ტონალობას ვცვლი.

**მოდუსი**, 1) გვარობა, წესი; 2) ფილოსოფიაში: მყოფობის კერძოობითი გამოვლენა.

**მოზაიკა, მოზაიკ-ი**, სარომი: 1) ნაირფერადი კენჭებისა ან მინის ნატეხებისაგან სურათის გამოყვანის ხელოვნება; 2) ამგვარად გამოყვანილი სურათი. —**მოზაიკური**, მოზაიკის ხასიათისა. **მოზაისტ-ი**, მოზაიკის ხელოვანი.

**მოზოლ-ი**, ნ. მაზოლი.

**მოკკო**, მოქა, მაღალხარისხოვანი არაბული ყავა—ქალაქ მ ო ქ ა-დან.

**მოლა**, მღვდელი (მაჰმადიანებში).

**მოლბერტ-ი**, ფერმწერი მხატვრის სამფეხიანი დაზგა.

**მოლეკულა**, ნივთიერების დამოუკიდებლივ არსებული უმცირესი ნაწილაკი,—იყოფა კიდევ უფრო მცირე ნაწილაკებად (ატომებად).

**მოლიუსკ-**, ნ. მოლუსკ-.

**მოლოკან-**, ნ. მალაკან-.

**მოლუსკები** (მოლლ-, მრავლ.), რბილტანიანი, უხერხემლო მრავალუჯრედიანი ცხოველები.

**მომენტ-ი**, 1) დროის მოკლე ხანგრძლიობა. დროის ძალიან მცირე ნაწილი; 2) მნიშვნელოვანი გარემოება რაიმე მოვლენის, საქმის და სხვ. მსვლელობაში.

**მონადა, მონად-ი**, ფილოსოფიაში: მეტაფიზიკურად წარმოდგენილი განუყოფელი და მარადიული ერთეული, რომელიც ვითომ საფუძვლად უდევს მსოფლიოს —**მონადოლოგია**, მოძღვრება მონადების შესახებ.

**მონანდრია**, ერთქმრიანობა.

**მონარქ-ი**, სახელმწიფოს ერთპიროვნულად მმართველი (იმპერატორი მეფე. ხელმწიფე ან მთავარი), ჩვეულებრივ—მემკვიდრეობით და მთელსიცოცხლივ. - **მონარქია**, სახელმწიფო წყობილება, სადაც სახელმწიფოს სათავეში დგას მონარქი. — **მონარქიზმ-ი**, 1) ერთპიროვნული მემკვიდრეობითი მმართველობა სახელმწიფოსი; 2) მონარქიის მომხრეობა — **მონარქისტ-ი**, მონარქიის ან მონარქიზმის მომხრე. - **მონარქისტული**, მონარქისტის დამახასიათებელი.—**მონარქიული**, მონარქიის ხასიათისა, ერთპიროვნულ მემკვიდრეობითი და სხვ.

**მონარხ-**, ნ. მონარქ-.

**მონასტერ-ი**, ბერების ან მონაზვნების საერთო საცხოვრებელი.

**მონეტა, მონეტ-ი.** ლითონის (ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, ნიკელის და სხვ.) ფული.

**მონიზმ-ი, მონისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა,** ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც სინამდვილის დასაბამად (საწყისად) თვლის ერთს რამეს — სულს (აზრს, გონებას) ან მატერიას: პირველია იდეალისტური მონიზმი, მეორე — მატერიალისტური, უპირისპირდება დუალიზმს და პლურალიზმს. მეცნიერულად დასაბუთებულია მხოლოდ დიალექტიკურ-მატერიალისტური მონიზმი (ნ. დიალექტიკური მატერიალიზმი). — **მონისტ-ი,** მონიზმის მომხრე და მიმდევარი. — **მონისტური,** მონიზმის ხასიათისა, მისგან გამომდინარე.

**მონისტო,** თაიგული, მარგალიტის ყელსაბამი.

**მონო-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] ერთ, ცალ- და მისთანას.

**მონოგამია,** ერთცოლიანობა (ან ერთქმრიანობა), — უპირისპირდება პოლიგამიას.

**მონოგენიზმ-ი,** თეორია კაცობრიობის ყველა რასების წარმოშობის შესახებ ერთი ზოოლოგიური ტიპისაგან (ნ. პოლიგენიზმი).

**მონოგრამა (-გრამმა),** დამწერლობაში რამდენიმე ასოს ან სხვა ნიშნის ერთ რთულ ნიშნად შერთვა.

**მონოგრაფია,** მეცნიერული გამოკვლევა ერთ რაიმე კერძო საკითხზე.

**მონოთეიზმ-ი,** ერთღმერთიანობა, მხოლოდ ერთი ღმერთის აღიარება, — უპირისპირდება პოლითეიზმს. — **მონოთეისტ-ი,** მონოთეიზმის მიმდევარი.

**მონოკლ-ი.** სათვალე, ცალი თვალის სათვალე.

**მონოკულარული,** ცალთვალისა, ცალთვალური, საცალთვალო.

**მონოკულტურა,** ერთი რომელიმე მცენარის მოშენება-მოყვანისათვის უპირატესობის მინიჭება განსაზღვრულ რაიონში ან კუთხეში.

**მონოლით-ი,** მთლიანი ქვისაგან გამოთლილი რამ საგანი. — **მონოლითური,** მთლიანი, ნაწილებისაგან მკვიდრად შედგენილი.

**მონოლოგ-ი,** სასცენო პიესაში: მსახიობის მიმართვა თავისთავისადმი ან მაყურებლებისადმი.

**მონომანია,** ავადმყოფური მიზიდულობა ერთი რამესადმი; აკვიატებული აზრი. — **მონომან-ი,** აკვიატებულ-აზრიანი ადამიანი.

**მონომეტალიზმ-ი,** ერთი განსაზღვრული ლითონის (ოქროსი ან ვერცხლის) ფულის მიღება სახელმწიფოში, როგორც ღირებულების საზომისა.

**მონოპლან-ი**, აეროპლანი, რომელსაც ფრთები ერთ სიბრტყეზე აქვს გაწყობილი.

**მონოპოლია**, რაიმე საგნის გაყიდვის, წარმოების ან სარგებლობის უფლების მისაკუთრება: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო  მ ო ნ ო პ ო ლ ი ა—ასეთი უფლების მითვისება სახელმწიფოს მიერ (კაპიტალისტურ ქვეყნებში ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით); კ ე რ ძ ო  პ ი რ ი ს ან კ ა მ პ ა ნ ი ი ს  მ ო ნ ო პ ო ლ ი ა—ასეთი უფლების მითვისება კერძო პირისა ან კამპანიის მიერ.—

**მონოპოლიზაცია**, ვაჭრობის ან წარმოების რაიმე დარგის მთლიანად ხელში ჩაგდება კაპიტალისტურ ქვეყნებში კერძო პირის ან გაერთიანების მიერ. —**მონოპოლიზირება**, ვამონოპოლიზირებ, მონოპოლიზაციას ვუშვები. - **მონოპოლისტ-ი**, მონოპოლიის მქონე, კონკურენტის არმყოლი.—**მონოპოლისტური კაპიტალიზმი**, კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი (იმპერიალიზმის ხანის) საფეხური, როცა კაპიტალისტური გაერთიანებები (კარტელები, სინდიკატები და ტრესტები, ნ. ესენი) მიზნად ისახავენ კონკურენციისა და ფასების აწევის მოსპობას —**მონოპოლიური**, მონოპოლიის ხასიათისა.

**მონოსილაბიზმ-ი** (მონოსილაბ-), სიტყვების ერთმარცვლოვნობა (მაგ. ჩინურ ენაში).—**მონოსილაბური ენა**, ისეთი ენა, რომელშიც სიტყვები მხოლოდ ერთმარცვლოვანია.

**მონოტეიზმ-**, ნ. მონოთეიზმ-.

**მონოტიპ-ი**, ერთგვარი ასოთსაწყობი მანქანა,—აწყობს ასოობით და არა სტრიქონობით.

**მონოტონური**, ერთფეროვანი, მოსაწყენი (სიმღერა, ლაპარაკი, კითხვა, მუშაობა...).

**მონოფიზიტები** (მრავლ.), ქრისტიანული სექტა (5 საუკ.),—თვლიდა ქრისტეს ღმერთად (და არა ღმერთ-კაცად).

**მონოფობია**, მარტოობის შიში.

**მონოქორდ-ი**, ერთსიმიანი საკრავი, იხმარება სამეცნიერო კვლევაში (სიმის რხევის კანონების შესასწავლად).

**მონპასიე**, **მონპანსიე**, ხილეულის ერთგვარი კანფეტი.

**მონტანიარები** (მრავლ.), „მემარცხენე“ პოლიტიკური პარტია საფრ. დიდი რევოლუციის დროს,—სოციალურად იყვნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

**მონტაჟ-ი**, 1) აწყობა მანქანის, დაზგის და სხვ.; 2) პიესის დადგმა სცენაზე; 3) კინემატოგრაფიაში: გადაღებული სურათის ნაწილების აწყობა სათანადო თანამიმდევრობით.

**მონტიორ-ი**, მანქანის ამწყობი, დამდგმელი და სხვ.

**მონუმენტ-ი**, დიდი ძეგლი.— მონუმენტალური. **მონუმენტური**, მნიშვნელოვანი, დიადი, მკვიდრი, საფუძვლიანი.

**მოპს-ი**, ბლაგვ-ცხვირიპირიანი საოთახო ძაღლი.

**მორალ-ი**, ზნეობა, ზნეობრივი ყოფაქცევის წესები. — **მორალისტ-ი**, ზნეობის მასწავლებელი, დამრიგებელი. **მორალური**, მორალის ხასიათისა, ზნეობითი, ზნეობრივი.

**მორატორიუმ-ი**, ვალის გადახდევინების ვადის გაგრძელება.

**მორგანატული ქორწინება**, უფლებრივად უთანასწორო ქორწინება.

**მორგ-ი**, დიდ ქალაქებში: უცნობი გვამის დასასვენებელი ადგილი.

**მორენები** (მრავლ.), მყინვარის ზედაპირზე დაგროვილი ქვის ნამსხვრევები.

**მორხ-ი**, ბაქმაზი: ხილეულის შაქარწყალი.

**მორტირ-ი**, მოკლე ზარბაზანი.

**მორფი, მორფიუმ-ი**, ტკივილის დამაყუჩებელი და დასაძინებელი საშუალება. — **მორფინიზმ-ი**, ავადმყოფური მიდრეკილება მორფის ხმარებისადმი (შეშხაპუნების გზით) —**მორფინისტ-ი**, მორფის ხმარებას მიჩვეული და და ამით დაავადებული.

**მორფოლოგია**, 1) მეცნიერება მცენარეთა და ცხოველთა გარეგანი ფორმებისა და შინაგანი აგებულობის შესახებ, იკვლევს მცენარის (მცენარეთა მორფოლოგია) და ადამიანის (ადამიანის მორფოლოგია) აგებულობის განვითარებას; 2) გრამატიკის ნაწილი, — იკვლევს სიტყვის ფორმებს.

**მოხკიტ-ი**, **მოხკიტები**, მკბენარა კოღოები.

**მოტივ-ი**, 1) მოქმედების ან ქცევის აღმძვრელი მიზეზი, მოსაზრება; 2) მუსიკაში: ძირითადი მელოდია; 3) მხატვრულ ნაწარმოებში: ძირითადი იდეა, თემა. — — **მოტივაცია**, მოქმედების ან საქციელის განსაზღვრა რაიმე მოტივით; დასაბუთება.— **მოტივირება**, **ვამოტივირებ**, საფუძველს მოვუნახავ, დავასაბუთებ

**მოტო** (**მოტტო**), სხარტად ნათქვამი გონებამახვილი აზრი.

**მოტორ-ი**, ძრავი, მანქანის მამოძრავებელი მექანიზმი.— **მოტორული**, მოძრაობითი.— **მოტორიზაცია**, სამხედრო საქმეში: ავტომობილების გამოყენება ჯარისა და საომარ საშუალებათა გადასაზიდად, —წარმოადგენს მექანიზაციის ერთერთ სახეს.

**მოტოციკლეტ-ი**, **მოტოციკლ-ი**, მოტორიანი ველოსიპედი.

**მოქა**, **ნ.** მოკკა.

**მოციონ-ი,** გაციერნება, სხეულის ამოძრავება ჰიგიენური მოსაზრებით.

**მოჰერ-ი,** ანგორული თხის მატყლი ან ქსოვილი ასეთი მატყლისა.

**მოჰიკან-ი, მოჰიკანები,** 1) ჩრდილო ამერიკის ერთერთი გადაშენებული ტომი; 2) უკანასკნელი წარმომადგენლები რაიმე მოძრაობის, სოციალური ჯგუფის ან რითიმე ცნობილი თაობისა.

**მუარ-ი,** ტალღისებრ დაჩითულ აბრეშუმის ქსოვილი.—**მუარეტ-ი** (-ტტ), მუარისებრი ქსოვილი.

**მუეძინ-ი,** სასულიერო პირი მაჰმადიანთა, მოუწოდებს მინარეთის კოშკიდან მორწმუნეებს სალოცავად.

**მუზა, მუზები,** ძვ. ბერძ. მითოლოგიით: მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ცხრა და.

**მუზეუმ-ი,** სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მიზანია შეგროვება, დაცვა, შესწავლა და გამოფენა წარსული და თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ ძეგლებისა და საბუთებისა და აგრეთვე ბუნების ნიმუშებისა. საბჭოთა კავშირში მუზეუმებს მიეკუთვნება დიდი მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობასა და მასების რევოლუციურ განათლებასთან დაკავშირების გამო.

**მუზიკ-,** ნ. მუსიკ-.

**მულატ-ი,** შთამომავლობა სისხლნარევი (თეთრ- და შავკანიან) მშობლებისა.

**მულტიპლიკატორ-ი,** 1) გამმრავლებელი ხელსაწყო; 2) სუსტი ელექტროდენის საზომი ხელსაწყო —**მულტიპლიკაცია,** 1) გამრავლება; 2) მოძრაობის ცალკეული მომენტების კინოგადაღება.

**მუმია** (-მმია), ხელოვნურად გამოშრობილი (ბალზამირებული) ან ბუნებრივად შესაფერ პირობებში ხრწნისაგან დაცული გვამი,—ცნობილია ძველი ეგვიპტის მუმიები.—**მუმიფიკაცია,** გვამისაგან მუმიის დამზადება.

**მუნდირ-ი,** სამსახურის პირის ზედატანსაცმელი (ბურჟუაზ. ქვეყნებში).

**მუნდშტუკ-ი,** 1) ლაგამი; 2) სატუჩე (საკრავის, ყალიონის, პაპიროსის და სხ.).

**მუნიციპალიზაცია,** კერძო მესაკუთრეთა ქონების ჩამორთმევა სახელმწ. ხელისუფლების მიერ და მისი გადაცემა ქალაქის ან სოფლის თვითმართველობის მფლობელობაში. — **მუნიციპალიზირება, ვამუნიციპალიზირებ,** მუნიციპალიზაციას ვახდენ. **მუნიციპალიტეტ-ი,** ქალაქის თვითმართველობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში —**მუნიციპალური,** ქალაქის მმართველობითი.

**მურზა**, აზნაურის წოდება თათრებში.

**მუსავათ-ი** (მუსს-ი), აზერბეიჯანის ბურჟუაზიულ „დემოკრატიული" პარტია,—წარმოადგენდა კონტრრევოლუციურ ძალას გა-გასაბჭოებისათვის ბრძოლაში — **მუსავათისტ-ი**, მუსავათის წევრი.

**მუსიკა**, ტონებისაგან შექმნილი ნაწარმოები; აგრეთვე ასეთი ნაწარმოების შექმნის ხელოვნება,—იწვევს მსმენელში განსაზღვრულ განცდებს. **მუსიკალური**, მუსიკის ხასიათისა, კეთილხმოვანი და სხ.— **მუსიკალური ინსტრუმენტ-ი**, საკრავი იარაღი. **მუსიკოს-ი**, მუსიკის მცოდნე.

**მუსკულ-ი**, კუნთი.—**მუსკულატურა**, ტანის კუნთების სისტემა.

**მუსკუს-ი**, მუშკი (ნ. 2).

**მუსლიმან-ი**, მაჰმადიანი (ნ.).

**მუსლინ-ი** (**მუსს-**), მსუბუქი და თხელი ქსოვილი აბრეშუმისა ან ბამბის.

**მუსონ-ი. მუსონები** (**მუსს-**). ქარები, რომლებიც იცვლიან მიმართულებას წლის დროის მიხედვით.

**მუსულმან-ი**, **მაჰმადიანი** (ნ.).

**მუტატორ-ი**, ელექტროდენის ჩასართველ-გამოსართველი მოწყობილობა.

**მუტაცია**, მემკვიდრეობითი ცვლილება ორგანიზმის განვითარებაში. **მუტაციური განვითარება**, არათანდათანობითი განვითარება.

**მუტაციზმ-ი, მუტიზმ-ი**, ხანგრძლივი უმეტყველობა, დუმილი, მუნჯობა, გვევლინება ზოგიერთი ფსიქიური დაავადებისას.

**მუტუალიზმ-ი**, ორი ცხოველისა ან მცენარის თანაცხოვრება, როცა ისინი ერთმანეთისაგან თანაბრად სარგებლობენ.

**მუფელ-ი** (მუფფ-ი), თიხის ან ფაიფურის გამოსაწვავი ცეცხლგამძლე ღუმელი.

**მუფტა**, 1) ტექნიკაში: მოკლე დასაცმელი მილი,—იხმარება ორი მილის შესაერთებლად; 2) ორივე ხელზე წამოსაცმელი სათბური.

**მუშკ-ი**, სურნელოვანი ნივთიერება, მოიპოვება ერთგვარ ცხოველის ჯირკვლებისაგან (კეთდება ხელოვნურადაც) და იხმარება პარფიუმერიაში და მედიცინაში.

**მუშტუკ-ი** ნ მუნდშტუკი.

**მხითარისტები** (მრავლ.), სომხურ-კათოლიკური ორდენის წევრები, ცნობილნი არიან ძველსომხური ენისა და ლიტერატურის ძეგლების დაცვითა და კვლევით.

**ნაგან-ი**, ერთგვარი სისტემის რევოლვერი.

**ნადელ-ი**, მიწის ნაკვეთი, რომელიც მიეცა გლეხებს ბატონყმობის გაუქმებისას განსაზღვრული ბეგრის გადახდის პირობებში.

**ნავიგაცია**, 1) ზღვაოსნობა, 2) საზღვაოსნო მეცნიერების დარგი, —არკვევს რუკაზე ხომალდის (გემის) ადგილმდებარეობის საფუძვლებს, ე. ი., თუ რომელ ადგილას იმყოფება ზღვაში ხომალდი; 3) ზღვაოსნობის ხანა ამა თუ იმ ქვეყნის პირობებში.

**ნაზალ-ი**, **ნაზალური**, ცხვირისმიერი, ცხვირში წარმოთქმული.

**ნაკაზ-ი**, ინსტრუქცია; ამომრჩევლების დავალება არჩეულ პირის სახელმძღვანელოდ; დაწესებული ის შინაგანრიგების წესები.

**ნამაზ-ი**, მორწმუნე მაჰმადიანის ლოცვა (დღეში ხუთჯერ).

**ნამესტნიკ-ი**, მეფის მოადგილე (ყოფილ რუსეთში).

**ნარზან-ი**, თავისუფალი ნახშირმჟავის დიდი ოდენობით შემცველი სამკურნალო წყალი (მაგ. კისლოვოდსკში).

**ნარკოზ-ი**, სხვადასხვა (ნარკოტიკული) საშუალებებით გამოწვეული უგრძნობლობა ტკივილისა, —მიმართავენ მას ქირურგიული ოპერაციებისას.

**ნარკომანია**, ნარკოტიკული საშუალებების ხმარებისადმი ძლიერი ავადმყოფური მიდრეკილება (ნ. ნარკოტიკ-).

**ნარკოტიკული საშუალებანი**, ორგანიზმზე ძლიერად მოქმედი წამლები, მაგ. ქლოროფორმი, მორფი, ოპიუმი, ეთერი და სხვ., იხმარებიან მედიცინაში ოპერაციების უმტკივნეულოდ გაკეთებისათვის და სხვ.—**ნარკოტიზაცია**, ნარკოზის გამოწვევა.—**ნარკოტიზირება**, **ვანარკოტიზირებ**, ნარკოზს ვიწვევ.

**ნაროდნიკობა** („ხალხოსნურობა“), საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა რუსეთში 19 საუკ. მეორე ნახევარში.—ხასიათდება რევოლუციური ინტელიგენციის წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალიზმით; ამ მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი მცდარი დებულებანი, თითქოს: 1) რუსეთში კაპიტალიზმი რეგრესიული მოვლენა ყოფილიყოს; 2) რუსეთის ეკონომიური წყობილების (განსაკუთრებით—თემობრივი) თავისებურობა საშუალებას იძლეოდეს უშუალოდ სოციალისტურ

წყობილებაში გადასვლისას; 3) ინტელიგენცია წარმოადგენდა უკლასობრივ საზოგადოებრივ ელემენტს.

**ნაროდოვოლცები** (რუსულ.), ნაროდნიკული რევოლუციური პარტია რუსეთში 80-იან წლებში

**ნარციზმ-ი,** თვითშეყვარებულობა; სქესობრივი სიყვარული თავის სხეულისადმი, — წარმოადგენს (ფრეიდის აზრით) სქესობრივი განვითარების ერთერთ ბუნებრივ საფეხურს.

**ნატივიზმ-ი,** მოძღვრება ზოგიერთ თვისებათა თანდაყოლილობის შესახებ.—უპირისპირდება ემპირიზმს, რომლის თანახმად ამ თვისებებს (მაგ. წარმოდგენას სივრცისა და დროის შესახებ) ადამიანი იძენს გამოცდილებით. —**ნატივისტ-ი,** ნატივიზმის მომხრე.

**ნატურა** („ბუნება, თვისება, ხასიათი"), ფულის მაგიერი პროდუქტი ან შრომა (მაგ. ნ ა ტ უ რ ი თ გ ა დ ა ხ დ ა — არა ფულით გადახდა).

**ნატურალიზაცია,** ხელისუფლების მიერ უცხოელისათვის ადგილობრივი მოქალაქის უფლების მინიჭება.

**ნატურალიზმ-ი,** 1) ფილოსოფიური მიმართულება,—ხსნის მოვლენებს ბუნების უცვლელი კანონების საფუძველზე: იგი უძლურია როგორც ბუნების, ისე, მით უფრო, საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში; 2) ლიტერატურული წვრილბურჟუაზიული მიმართულება წარსული საუკუნის 80-იან წლებში,—ხსნიდა სოციალურ მოვლენებს გარემოს გავლენისა და მემკვიდრეობის საფუძველზე (ზოლა, ჰაუპტმანი და სხვები); 3) მიმართულება სახვითს ხელოვნებაში, ცდილობს გამოხატოს ბუნება და ცხოვრება უაღრესი სიზუსტით.—**ნატურალისტ-ი,** 1) ნატურალიზმის მიმდევარი; 2) ბუნებისმეტყველი მეცნიერი.

**ნატურალური,** ბუნებრივი, ნივთიერი, არახელოვნური: **ნატურალური** გადასახადი, გადასახადი არა ფულით, არამედ პროდუქტით, შრომით.—**ნატურალური** მეურნეობა, ისეთი მეურნეობა, რომელიც ქმნის ნაწარმოებს მხოლოდ თავის წევრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და არა გაცვლა-გამოცვლისათვის.

**ნატურფილოსოფია,** ბუნების ფილოსოფია, — იხილავს ბუნებას შეკავშირებულ მთლიანობაში ბუნების მეცნიერული შესწავლა საფუძველს აცლის მას და მის ადგილს იჭერს ბუნების დიალექტიკა (ნ. ეს).

**ნაფთალინ-ი,** თავისებურსუნიანი კრისტალური ნივთიერება, მიიღება ქვანახშირის ფისისაგან და იხმარება წარმოებაში, მედიცინაში და ოჯახში (მაგ. მატყლის ქსოვილის დასაცავად ჩრჩილისაგან).

**ნიშადურ-ი,** ნიშადური, მოყვითალო ან თეთრი კრისტალური ნივთიერება, — იხმარება წარმოებაში, მედიცინაში და სხ.

**ნაცია,** 1) ერი. ეროვნება: საერთო ენისა, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების საფუძველზე შექმნილი და ამის გამო საერთო კულტურის მქონე ისტორიული გაერთიანება ადამიანთა; 2) ბურჟუაზიული გაგებით: რომელიმე სახელმწიფოს მოსახლეობა როგორც სახელმწ. ხელისუფლების მატარებელი (სინამდვილეში ხელისუფლება უპყრია გაბატონებულ კლასს და არა მთელს მოსახლეობას).

**ნაციონალიზაცია.** გასახელმწიფოებრიობა კერძო ან საზოგადოებრივ საკუთრებისა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირში სოციალიზმისათვის პირველ ნაბიჯს, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოში — კერძო საკუთრების გადასვლას სახელმწიფოს მესაკის გაბატონებული კლასის ხელში. — **ნაციონალიზება,** ვანაციონალიზებ, ვასახელმწიფოებრივებ.

**ნაციონალიზმ-ი,** ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა სხვადასხვა ეროვნების ინტერესების ერთმანეთისათვის დაპირისპირებისა, — ემყარება ერთი ეროვნების მეორის ექსპლოატაციაზე; ნაციონალიზმი ძლიერდება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად და განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს იმპერიალიზმის ხანაში. ნაციონალიზმს უპირისპირდება ინტერნაციონალიზმი, რომლის დროშის ქვეშ იბრძვის ყველა ქვეყნის პროლეტარიატი უკლასო საზოგადოების შესაქმნელად. — **ნაციონალისტ-ი,** ნაციონალიზმის მომხრე. — **ნაციონალისტური,** ნაციონალიზმის ხასიათისა. **ნაციონალური,** ეროვნული. — **ნაციონალური საკითხი,** მჩაგვრელ და ჩაგრულ ეროვნებათა ურთიერთობის საკითხი, — წარმოადგენს ერთერთ უმწვავეს საკითხთაგანს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. გადაჭრილია იგი მხოლოდ საბჭოთა კავშირში, სადაც ყველა ეროვნება გათანასწორებულია უფლებებში და თითოეულ მათგანს ეძლევა ყოველგვარი შესაძლებლობა განვითარებისა და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობისა,

**ნეგატივი**, ფოტოგრაფიაში: შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე გადაღებული, რომელზედაც გადაღებული საგნის ნათელი ნაწილები გამოდის ბნელად, ხოლო ბნელი ნაწილები—ნათლად.—**ნეგატივიზმ-ი**, ავადმყოფური ჯიუტობა.

**ნეგატიური**, უარყოფითი.

**ნეგლიჟე**, 1) სადილის ტანსაცმელი, 2) დაუდევარი ჩაცმულობა, 3) დაუდევრობა.

**ნეგოციანტ-ი** მსხვილი საწარმოების მქონე დიდი ვაჭარი.

**ნეგრ-ი**, ნეგრები, ზანგები.—წარმოადგენენ ტროპიკული აფრიკის ძირითად მოსახლეობას.

**ნეგრიტოსები**. დიდი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრები ზანგებისებრი ჯუჯა ტომები.

**ნევრალგია**, ნერვიული ტკივილი.

**ნევრასთენია** ნერვული სისტემის მოშლილობა ორგანიზმის მოძლილობის ნიადაგზე,—მჟღავნდება ყურადღების დასუსტებაში, შრომის უნარიანობის დაკარგვაში, უძილობაში, სქესობრივ სისუსტეში და სხვ.—ნევრასთენიკ-ი, ნევრასთენიით დაავადებული (ნ. ნევროზი).

**ნევრიტ-ი**, 1) ნერვული უჯრედის გრძელი მორჩი; 2) ნერვის ანთება.

**ნევროზ-ი**, ნერვული სისტემის მოშლილობა, როცა ანატომიური ცვლილება არ ჩანს; ასეთია, მაგ: ნევრასთენია, ისტერია და სხ.

**ნევროლოგია**, 1) ანატომიის დარგი,—სწავლობს ნერვულ სისტემას; 2) მეცნიერება ნერვული სისტემის შესახებ,—შეიცავს ანატომიას, ფიზიოლოგიას, პათოლოგიას და სხვ.

**ნევროპათ-ი**, ვისაც ნერვული სისტემა დაავადებული აქვს.—**ნევროპათოლოგია**, მეცნიერება ნერვული სისტემის ავადმყოფობათა შესახებ.

**ნევროტიკ-ი**, ნაკლოვანი ადამიანი, რომელიც ვერ ეგუება გარემოს და მოქმედობს უმეტესად ემოციურ ინსტინქტურად.

**ნეიროლოგია**. ნერვული უჯრედის შემსწავლელი დარგი ანატომიისა.

**ნეირონ-ი**. ნერვული უჯრედი.

**ნეიტრალიზაცია**, 1) რომელიმე სახელმწიფოს ჩაყენება მუდმივი ნეიტრალიტეტის მდგომარეობაში; ამათუიმ ადგილის საომარი მოქმედებისათვის გამოყენების აკრძალვა; 2) ქიმიაში: რეაქცია, რომლის დროსაც ისპობა ხსნარში მჟავას თვისებები ტუტეების საშუალებით ან ტუტის თვისებები მჟავების საშუალებით—ნეიტრალიზება, ვანეიტრალიზებ, ნეიტრალიზაციას ვშვრები.

**ნეიტრალიტეტ-ი**, ჩაურევლობა რომელიმე დამოკიდებუ-

ლებაში, განსაკუთრებით: მდგომარეობა სახელმწიფოსი, რომელიც არ მონაწილეობს სხვათა ომში.

**ნეიტრალური** 1) არცერთის მომხრე, ნეიტრალიტეტის დამცველი; 2) ქიმიაში: არც მჟავასი და არც ტუტე რეაქციის მომცემი.

**ნეკრობიოზ-ი,** ორგანიზმის უჯრედის ნელი სიკვდილი.

**ნეკროლოგ-ი.** საგაზეთო (ან საჟურნალო) მოკლე სტატია გარდაცვლილის შესახებ.

**ნეკროპოლ-ი,** სასაფლაო.

**ნეკტ-,** ნ. ნექტ-.

**ნეო-** [დაერთვის სიტყვას თავში და ნიშნავს] ახალი, განახლებული.

**ნეოვიტალიზმი** („ახალი ვიტალიზმი"), საბუნებისმეტყველო ფილოსოფიური მიმართულება (19 საუკ. დამლევს),—ამტკიცებს სიცოცხლის მოვლენების თავისთავადობას და რაღაც საიდუმლოებრივი გონიერი საწყისის მონაწილეობას სასიცოცხლო პროცესში; ამიტომ ნეოვიტალიზმი სრულიად დაუსაბუთებელი და მიუღებელია. —ნეოვიტალისტ-ი, ნეოვიტალიზმის მომხრე

**ნეოკანტიანობა** („ახალი კანტიანობა"), ბურჟუაზიული იდეალისტურ-ფილოსოფიური მიმართულება წარს. საუკ. 60 წლებიდან —ნეოკანტიანელები, ნეოკანტიანობის მიმდევარი ფილოსოფოსები.

**ნეოლით-ი,** ნეოლითის ეპოქა, ქვის საუკუნის უკანასკნელი ხანა,—ხასიათდება გათლილი ქვის იარაღებით.

**ნეოლოგიზმ-ი,** ახალი სიტყვა ან ახალი გამოთქმა ამა თუ იმ ენაში,—შემოიტანება სხვა ენიდან სესხების გზით (მაგ. აკადემია, სოციალიზმი...) ან შეიქმნება ხოლმე საკუთარი მასალის საშუალებით (მაგ. მედაუსწრებლე, საწარმო...).

**ნეოპლატონიზმ-ი,** ეკლექტიკური ფილოსოფიური მიმართულება (3 საუკ. ქ. შ.),—წარმოადგენდა ბერძნულისა და აღმოსავლური ფილოსოფიის სინთეზს. —ნეოპლატონიკ-ი, ნეოპლატონიზმის მიმდევარი.

**ნეორომანტიზმ-ი,** ლიტერატურული მიმართულება 19 საუკ. დამლევს და 20 საუკ. დასაწყისში,—წარმოადგენდა ბურჟუაზიული კულტურის კრიზისის ასახვას მწერლობაში (მეტერლინკი, უაილდი, ბალმონტი და სხვ.).

**ნეოფიტ-ი.** რაიმე სარწმუნოების ან მოძღვრების ახალი მიმდევარი, ახლად რჯულმიღებული.

**ნეოფობია,** შიში ახლისადმი, უჩვეულოსადმი.

**ნეპოტიზმ-ი**, პროტექცია, მფარველობა თავის ნათესავებისა, უმთავრესად—სამსახურში.

**ნერვ-ი**, ნერვები თავისა და ზურგის ტვინიდან მთელ სხეულში განშტოებული წვრილი ძაფები, აერთებენ ორგანოებს ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან. — **ნერვული სისტემა** ნერვები და თავისა და ზურგის ტვინი,—იღებენ გარემოდან გაღიზიანებებს და უპასუხებენ მათზე კუნთების მოქმედებით.

**ნერვული**, 1) ნერვის ხასიათის მქონე; 2) ფიცხი, ადვილგასაღიზიანებელი.

**ნესესერ-ი** (ნესესს-), პატარა ყუთი სახელდახელო მოწყობილობის (სახელსაქმო, საპირფარეშო და სხვ.) ჩასაწყობად.

**ნეტო** (ნეტტო), საქონლის წონა უშუალოდ (ე. ი. გამოსახვევ შესაფუთავის წონის გამოკლებით).

**ნეფელინ-ი**, ერთგვარი მინერალი, გვხვდება მხოლოდ ამონთხეულ უკვარცო ქანებში; მისი სამრეწველო გამოყენება (ტყავის მრეწველობაში, ცეცხლგამძლე მასალად და სხვ.) დამუშავდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მიერ.

**ნეფრიტ-ი**, 1) ერთგვარი გამჭვირვალე მინერალი; 2) თირკმლების ანთება.

**ნექტარ-ი**, 1) ზღაპრული უკვდავების წყალი ღმერთების სასმელი; 2) ტკბილი წვენი ყვავილებში.

**ნექტონ-ი**, წყლებში აქტიურად მცურავი ცხოველი.

**ნიჰილ-**. ნ. ნიჰილ-.

**ნიველირ-ი**, ერთგვარი საგეოდეზიო ხელსაწყო.— **ნიველირება**, ვანიველირებ, 1) ერთ დონეზე ვაყენებ; 2) განვსაზღვრავ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილის სიმაღლეს—ერთ დონესთან შედარებით.

**ნიზამ-ი**, საველე ლაშქარი ოსმალეთში.

**ნიკელ-ი** (ნიკკ-), ვერცხლისებრთეთრი ჭედვადი მინერალი.— გამოყენებულია მეურნეობისა და სხვადასხვა ხელსაწყოების მასალად, არ იჟანგება ჰაერზე.— **ნიკელირება**, ვანიკელირებ, ვფარავ რაიმე საგანს ნიკელის თხელი ფენით.

**ნიკოტინ-ი**, თამბაქოში შემავალი ძლიერ შხამიანი ნივთიერება.

**ნიმფა**, ნიმფები, ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: ბუნების ძალების (წყლის, მთების, ტყის...) განმასახიერებელი ქალღმერთები, ქალწულები.— **ნიმფომანია**, დედაკაცის ავადმყოფური სქესობრივი მოთხოვნილება.

**ნისტაგმ-ი**, თვალის-კაკლის უნებური თრთოლა (ავად—ბა), უჩნდება ადამიანს მხედველობის

სისუსტის წინადაგზე, აგრეთვე - სუსტად განათებულ დაწესებულებაში იმუშავეს და სხვ.

**ნიტრატები** (მრავლ.), აზოტმჟავა მარილები, — ნიადაგის დამუშავებაში მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა.

**ნიტრიტები** (მრავლ.), აზოტოვანი მჟავას მარილები, — იხმარება საღებავების დამზადების საქმეში.

**ნიტრიფიკაცია**, აზოტმჟავას მარილების წარმოქმნის პროცესი ნიადაგში და წყალში (ნ. ნიტრატები).

**ნიტროგლიცერინ-ი**, ზეთოვანი მფეთქარე სითხე, — მიიღება აზოტისა და გოგირდმჟავას შენარევის ზედმოქმედებით გლიცერინზე, იხმარება ასაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად და მედიცინაში.

**ნიუანს-ი**. ნ. ნუანსი.

**ნიშა**, **ნიშ-ი**, ჭალო: გამოღრმავებული ადგილი კედელში.

**ნიჰილიზმ-ი** რადიკალური წვრილბურჟუაზიული საზოგადოებრივი მიმდინარეობა რუსეთში 19 საუკ. 60 იან წლებში, — წარმოადგენდა ფეოდალური კულტურის სასტიკ კრიტიკას და უარყოფას (დასავლ. ევროპაში ნიჰილიზმად ნათლავდნენ ყოველგვარ სარევოლუციო მოძრაობას) — **ნიჰილისტ-ი**, ძველი აზნაურული ყოფაცხოვრებისადმი კრიტიკულად და უარყოფითად განწყობილი.

**ნობელის პრემია**, შვედელი ინჟ. ნობელის მიერ დაწესებული ყოველწლიური ჯილდო საუკეთესო შრომისათვის მეცნიერებაში და ლიტერატურაში.

**ნოვატორ-ი**. ახლის შემომღები რაიმე დარგში.—**ნოვაცია**, განახლება: გაბათილება ვალდებულობისა ახალი ვალდებულობის დადგენის გზით (კომერც.).

**ნოველა** (-ლლა), შეკუმშულ-შინაარსიანი პატარა მოთხრობა. — **ნოველისტ-ი**, ნოველების მწერალი.

**ნოკტ-**, ნ. ნოქტ-.

**ნოლ-ი**. ნ. ნული.

**ნომადები** (მრავლ.), მომთაბარე ხალხი.

**ნომენკლატურა**, რომელიმე დარგში (მეცნიერებაში, ტექნიკაში...) ხმარებული სახელწოდებები თანამდებობათა, საგნებისა და სხვ.

**ნომერ-ი**, 1) რიცხვი, რომლითაც ერთი საგანი გამოირჩევა სხვებიდან; 2) ოთახი სასტუმროში; 3) ამათუიმ დღის (თვის, წლის...) გაზეთი (ჟურნალი). — **ნომრვა**, ვნომრავ, რამე საგანზე რიცხვს დავადებ სხვებისაგან გამოსარჩევად.—**ნომერაცია** ნ. ნუმერაცია.

**ნომინალიზმ-ი**, ფილოსოფიური შეხედულება. ზოგადი ცნებები წარმოადგენენ მხოლოდ ანუ ხებილობას ახუ საგანთა კერძობითს ნიშნებს, რასაც გარემო სახამეტყველებში არაფერი შეესატყვისება, — უპირისპირდება საშ. საუკ. რეალიზმს.— **ნომინალისტ-ი**, ნომინალიზმის მიმდევარი.

**ნომინალური**, მხოლოდ სახელის მქონე, არა სინამდვილეში არსებული; დასახელებითი.

**ნომოგრაფია**, მათემატიკის ნაწილი,—იკვლევს გრაფიკულ ხერხებს ალგებრულ მოანგარიშებათა საწარმოებლად.

**ნონიუსი**, საზომი ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა მასშტაბის ძირითადი დაყოფათა ნაწილების დათვლისას.

**ნონპარელ-ი**, სასტამბო წვრილი შრიფტი.

**ნორდ-ი**, 1) ჩრდილოეთი, 2) ჩრდილოეთის აღმნიშვნელი წერტილი კომპასზე; 3 ჩრდილოური ქარი.—**ნორდვესტ-ი**, ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო-დასავლური ქარი. — **ნორდოსტ-ი**, ჩრდილო აღმოსავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლური ქარი.

**ნორმა**, 1) წესი ზოგადი ხასიათისა, საზომი, ზუსტი ზომა, 2) პრინციპი.

**ნორმალიზაცია**. ნორმის შესაფერად დაყენება. ნორმის როგორც ნიმუშის დადგენა. **ნორმალიზება**, ვანორმალიზებ, ვნორმავ, ვადგენ ნორმას როგორც ნიმუშს — **ნორმალიზებული**, დანორმული, ნორმადადგენილი.

**ნორმალური**, წესიერი, ნორმის შესაფერი. ჩვეულებრივი.—**ნორმალური მდგომარეობა**, ნორმის შესაფერი ნორმას [illegible] მდგომარეობა.

**ნორმანები ნორმანნ-ი**, ასე ეძახდენ საშუალო საუკუნეებში სკანდინავიის მცხოვრებთ რომელნიც განთქმულნი იყვნენ როგორც დახელოვნებული მეზღვაურები, — თავს ესხმოდნენ და არბევდნენ ევროპის ნაპირებს; რუსეთში ცნობილნი იყვნენ ვ ა რ ა გ ე ბ ი ს სახელით (ნ. ვარანგი).

**ნორმატივიზმ-ი**. მიმართულება ბურჟუაზიულ სამართალმცოდნეობაში, - ამტკიცებს იურიდიული ნორმების თავისთავადობას და უარყოფს მათი წარმოშობისა და მოქმედების გამოკვლევის საჭიროებას.

**ნორმატიული**. ნორმებიანი, ზოგადი წესების დამდგენი.

**ნორმირება**, მოწესრიგება.—**ვანორმირებ**, ვაწესრიგებ

**ნოტა**, დიპლომატიური წარმომადგენლის ოფიციალური წერილობითი მიმართვა ერთი სახელმწიფოს მთავრობისა მეორისადმი.

— ნოტიფიკაცია, ოფიციალური შეტყობინება ერთი სახელმწიფოსმიერ მეორისათვის.

**ნოტაბლ-ი,** ნოტაბლები, მაღალი წოდების სათათბირო კრებული მაგ. რევოლუციამდე საფრანგეთში.

**ნოტარიალური,** ნოტარიუსის დამოწმებული და იურიდიული ძალის მქონე.

**ნოტარიატ-ი,** იურიდიული მნიშვნელობის საბუთების დამმოწმებელი ორგანოები. — საბჭოთა კავშირში წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესების დამცველ დაწესებულებას (ბურჟ. ქვეყნებში იცავს კერძო საკუთრების ინტერესებს).

**ნოტარიუს-ი,** იურიდიული ხასიათის მქონე საბუთების დამმოწმებელი თანამდებობის პირი.

**ნოტაცია,** დარიგების ხასიათის შენიშვნის მიცემა.

**ნოტ-ი,** ნოტები, მუსიკალური ტონებისა და მათი ურთიერთ შეფარდების წერილობითი გამოხატვა.

**ნოტიფიკაცია,** ნ. ნოტა.

**ნოუმენ-ი,** ნ. ნუმენი

**ნოქტურნ-ი,** რომანტიკული ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები, თავდაპირველად — „სალამური".

**ნუანს-ი,** ელფერი, იერი; ოდნავი განსხვავებულობა.

**ნულ-ი,** 1) არაფერი, არარაობა, 2) ანგარიშში: არაბული ციფრი (0 ნიშანი), რომელიც თავისთავად არ აღნიშნავს რაიმე რიცხვს, მაგრამ სხვა ციფრთან მარჯვნივ მიწერილი ამრავლებს მას ათჯერ.

**ნულიფიკაცია** (ნულლ-), გაუმნიშვნელოება, გაუქმება: ფულის ნულიფიკაცია, სახელმწიფოსმიერ ფულის ნიშნების გაუქმება, მათთვის კანონიერი ძალის წართმევა.

**ნუმენ-ი,** ის, რაც იაზრება მხოლოდ და არ შეიგრძნობა (ფილოსოფიაში), — უპირისპირდება ფენომენს.

**ნუმერაცია,** 1) რიცხვთა წერილობითი აღნიშვნის წესები; ანგარიში; ჩამოთვლა; 2) საგნების აღნიშვნა თანამიმდევრობითი ნომრებით.

**ნუმერ-ი,** ნ. ნომერი.

**ნუმიზმატიკა,** ისტორიის დამხმარე მეცნიერება ძველი ფულებისა და მედლების შესახებ. - **ნუმიზმატ-ი, ნუმიზმატიკ-ი,** ნუმიზმატიკის სპეციალისტი.

**ნუნც-ი, ნუნციუს-ი,** რომის პაპის ელჩი.

**ნუტაცია,** 1) დედამიწის ღერძის მცირე პერიოდული რყევა; 2) მცენარეთა ორგანოების მოძრაობა ზრდისას, — დამოკიდებულია არათანასწორი ზრდისაგან მცენარის სხვადასხვა მხარეზე.

# ო

**ოაზის-ი,** მცენარეულობიანი ადგილი უდაბნოში.

**ობელისკ-ი,** ქვის ოთხწახნაგა მაღალი სვეტი, წვერში პირამიდისებურად წაწვეტილი.

**ობერ-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „უფროსი", „მთავარი", მაგ. ობერკონდუქტორ-ი, უფროსი კონდუქტორი.

**ობერტონები** (მუსიკ.), ძირითადი ტონის დამატებითი (უფრო მაღალი) თანატონები, — ქმნიან ტემბრს.

**ობიექტ-ი,** საგანი, რეალური, ნივთობრივი გარემო, — წარმოადგენს პირველადს მოვლენას სუბიექტის მიმართ, რომელსაც არ უპირისპირდება და რომელთანაც ის იმყოფება დიალექტიკურ ერთიანობაში; 2) დაკვირვების, შესწავლის, საუბრის და სხვ. საგანი, 3) დამატება (გრამატ.).

**ობიექტივაცია,** იდეალისტურ ფილოსოფიაში: ცნობიერების შინაარსის მიჩნევა გარეშე არსებულად და მისი გახდა აღქმის საგნად.

**ობიექტივ-ი,** ოპტიკური მინა (მიკროსკოპისა, საფოტოგრაფიო აპარატისა და სხვ.), რომელიც მიმართულია დაკვირვების საგნისაკენ.

**ობიექტივიზმ-ი,** სინამდვილის, მოვლენის მიუდგომლად შესწავლა, მიუდგომლობა, — უპირისპირდება სუბიექტივიზმს (დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით ობიექტივიზმი არ არის საკმარისი, ვინაიდან ეს იქნებოდა სინამდვილის მხოლოდ აღნუსხვა და საკუთარი თვალსაზრისის არ ქონა, რაც თავისთავად განუხორციელებელია).

**ობიექტური,** ობიექტის შესაფერი, ნამდვილი, სინამდვილის გამომხატველი. — ობიექტურობა, მიუდგომლობა.

**ობლიგაცია,** ფასიანი ქაღალდის ერთერთი სახე, — გამოიშვება (სესხის სახით) სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულების მიერ და იძლევა იმავითვე გარკვეულ შემოსავალს (ამით განსხვავდება აქციისაგან, ნ. აქცია). — ობლიგაციონერ-ი, ობლიგაციის პატრონი, — მქონებელი.

**ობსერვატორია,** საგანგებოდ მოწყობილი შენობა ასტრონომიულ, მეტეოროლოგიურ და ფიზიკურ დაკვირვებათათვის.

**ობსერვაცია,** დაკვირვება.

**ობსიდიან-ი,** მინაქვა: სხვადასხვა

ფერის ძალიან მაგარი მინერალი ვულკანური ჯიშისა,—მისაგან ითლება სხვადასხვა ნივთები.

**ობსკურანტ-ი**, განათლების მტერი. —**ობსკურანტიზმ-ი**, განათლებისადმი მტრული განწყობილება.

**ობსტრუქცია**, რაიმე კრების (სხდომის, მიტინგის, ლექციის) დროს მონაწილეთა ერთი ნაწილის სხვადასხვა ღონისძიებები (ხმაურობა, სტვენა, კრების მიტოვება და სხვა) კრების ჩაშლის მიზნით,—წარმოადგენს პროტესტის ერთერთ სახეს.—**ობსტრუქციონიზმ-ი**, საპარლამენტო ბრძოლის ერთ-ერთი სახე — ობსტრუქციის გამოყენება.—**ობსტრუქციონისტ-ი**, ობსტრუქციის მონაწილე.

**ოდა**, ლირიკული ნაწარმოები— რაიმე საზეიმო შემთხვევის ან გამოჩენილი პიროვნების შესაქებად დაწერილი

**ოდალისკ-ი**, 1) ჰარამხანის მსახური მონა-ქალი; 2) სულტანის ხასა ჰარამხანაში.

**ოდეკოლონ-ი**, სურნელოვანი სპირტი, რომელშიც გახსნილია ეთეროვანი ზეთები,—იხმარება როგორც ჰიგიენური (სადეზინფექციო) საშუალება.

**ოდეონ-ი**, გასართობ სანახაობათათვის განკუთვნილი შენობა.

**ოდიოზური**, ზიზღის გამომწვევი, საძაგელი.

**ოდომეტრ-ი**, ნ. ჰოდომეტრი

**ოდონტოლით-ი**, ხაშური, ღვინისქვა (კბილებზე მოდებული ქვა).

**ოდონტოლოგია**, მეცნიერება კბილების შესახებ.

**ოვალი**, კვერცხისებრი მრუდი, მოგრძო მრგვალი წრე.—**ოვალური**, ოვალისებრი.

**ოვარიუმ-ი**, საკვერცხე.—**ოვარიტ-ი**, საკვერცხის ანთება.

**ოვაცია**, მოწონების ან აღტაცების ხმაურობით (ტაშისკვრით, ამოძახილებით..) გამოხატვა ვინმეს მიმართ საჯარო ქებაზე; ამგვარი შეხვედრა ან გაცილება გამოჩენილი პირისა.

**ოზოკერიტ-ი**, მთის ცვილი, საამურსუნიანი რბილი და ბლანტი მინერალი.—იწვის კაშკაშა სინათლით უნაშთოდ.

**ოზონ-ი**, ლურჯი მკვეთრსუნიანი აირი,—მიიღება მჟავბადისაგან ელექტროოდაკლისას; მოიხმარება ჰაერის გასაწმენდად, სანოვაგის დასაცავად ლპობისაკან, გასაუფერულებლად და სხვ.

**ოიკოსური მეურნეობა**, საოჯახო კარჩაკეტილი მეურნეობა, ე. ი. ისეთი, როცა წარმოება და მოხმარება შეზღუდულია ოჯახით, — ისპობა გაცვლა-გამოცვლის განვითარების საფუძველზე.

**ოკაზიონალიზმ-ი** (ოკკ-), ფილოსოფიური მოძღვრება,—სთვლის

ფსიქიურ და ფიზიკურ მოვლენათა ურთიერთ კავშირის მიჩნევნიებითად, უარყოფს მათს ქიზეზობრივ დაკავშირებულობას; მას სწამს სასწაული და ღვთაების ჩარევა და სხ.—ოკაზიონალისტ-ი, ოკაზიონალიზმის მიმდევარი.

ოკეანე, 1) წყლის სტიქიის ღვთაება (ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში), 2) მსოფლიო ოკეანე—რაც წყალია დედამიწაზე; 3) მსოფლიო ოკეანის სამი დიდი ნაწილის სახელი: ატლანტის, ინდოეთის და წყნარი ოკეანე.—ოკეანია ანუ ოკეანეთი, წყნარ ოკეანეზე გაბნეული კუნძულების საერთო სახელწოდება —ოკეანოგრაფია, ზღვებისა და ოკეანების შემსწავლელი მეცნიერება, - წარმოადგენს ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთ დარგს.

ოკლუზია (ოკკ-), 1) აირშთანთქმა, ზოგიერთ სხეულთა აირშთანთქმელობა. 2) მედიცინაში: მილებში რისამე გაგნევა; 3) ხშვა (ფონეტ.).

ოკს-, ოკტ-, ნ. ოქს-, ოქტ-.

ოკულარ-ი, დამკვირვებლის თვალის მისადები ნაწილი მიკროსკოპისა, დურბინდისა და მისთანათა.

ოკულაცია, კვირტით რამყნა (ბოტან.).

ოკულისტ-ი. თვალის ექიმი.

ოკულტიზმ-ი (ოკკ-), რელიგიურ-ცრუმორწმუნოებრივი მოძღვრება ზებუნებრივ ძალებთან ადამიანის კავშირის შესახებ.—ოკულტისტ-ი, ასეთის მიმდევარი.

ოკუპაცია (ოკკ-), ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ტერიტორიის დაკავება—საომარი ძალებით (როცა ტერიტორია სხვისია) ან უპისოდ (როცა ტერიტორია „უპატრონოა"),— წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჩვეულებრივ პოლიტიკას.—ოკუპანტ-ი, ოკუპაციის ჩამდენი.

ოლეანდრ-ი, მუდმივმწვანე სადეკორაციო ბუჩქოვანი მცენარე.

ოლეინ-ი 1) ზოგიერთი ცხიმის შემადგენელი თხევადი ნაწილი.—ოლეინის მჟავა, ცუდსუნიანი ზეთოვანი სითხე,—მოიხმარება სალებავების დამზადებაში, საპნის კეთებაში და სხვ.

ოლეოგრაფია, ზეთის საღებავებით დახატული სურათის გადაღება ლითოგრაფიულად—მრავალფეროვნად.

ოლიგარქია, ისეთი სახელმწიფო წყობილება. როცა ხელისუფლება ხორციელდება მცირერიცხოვანი ჯგუფის მიერ (მაგ. ძველ საბერძნეთში და საშ. საუკ. იტალიის რესპუბლიკებში).

ოლიმპ-ი, მთა საბერძნეთში.—მითოლოგიით ითვლებოდა ღმერთების ადგილსამყოფელად.—

**ოლიმპიად-ი**, 1) ოთხწლიური წელთაღრიცხვა ძველ საბერძ ნეთში; 2) საერთაშორისო სა სპორტო შეჯიბრებები (ძვ. საბერძნ. ოლიმპიის თამაშობანი).—იმართება ბურჟ. ქვეყნებში 4 წელში ერთხელ; საპორტო და სახელოვნო შე ჯიბრების დღეზეიმი საბჭოთა კავშირში.—**ოლიმპური**, დიადი: ოლიმპური სიმშვიდე, აუშფოთველობა, უაღრესი სიმშვიდე (იტყვიან ხშირად ირონიულად).

**ოლიფ-ი**, სელის ზეთი,—იხმარება საღებავების, ლაქების და მისთანათა დამზადებაში.

**ომეგა**, 1) ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი, 2) რისამე ბოლო (ნ. ალფა).

**ომ-ი**, ნ. ოომი.

**ომლეტ-ი** (-ტტ-ი), ერბოკვერცხი.

**ომნიბუს-ი**, განსაზღვრულ წერტილებს შორის მავალი საზოგადო ეტლი,—მას თანდათან აძევებს ხმარებიდან ავტობუსი (ნ. ეს).

**ომონიმ-**, ნ. ჰომონიმ-.

**ონანიზმ-ი**, სქესობრივი ნდომის თვითდაკმაყოფილება—სასქესო ორგანოების ხელოვნურად (ხელით ან რამეთი) გაღიზიანების საშუალებით.—**ონანისტ-ი**, ასეთის მქნელი.

**ონგსტრემ-ი**. სიგრძის მეტისმეტად მცირე ერთეული (მილიმეტრის ერთი მემილიონედი მაწილი), – ხმარობენ უმცირესი მანძილების დასადგენად.

**ონიქს ი**, ანქვითი: ერთგვარი ლამაზი მინერალი,—იხმარება სამკაულად და წვრილი ნივთების დასამზადებლად.

**ონკოლ**, მოთხოვნისთანავე (კომერც.).

**ონომასტიკა**, საკუთარი სახელები (გეოგრაფიული, ისტორიული, ტომობრივი. .) და მათი კვლევა ძიების დარგი. —**ონომასტიკონ-ი**, არაანბანური ლექსიკონი.

**ონომატოპეტური**, ხმამიმბაძველობითი.

**ონტოგენია**, ცალკეული ორგანიზმის განვითარების პროცესი საფეხურობლივ (ე. ი. ჩანასახიდან დაწყებული მომწიფებამდე).

**ონტოლოგია**, მოძღვრება ყოველივე არსებულის დასაბამის (საწყისის) შესახებ; მეტაფიზიკური ონტოლოგია ასეთ საწყისებად სთვლის მარადიულსა და უცვლელს რამე (დიალექტიკური მატერიალიზმი, რომლისთვისაც ონტოლოგია არ არსებობს როგორც ცალკე დარგი, პირველადად სთვლის მატერიას, რომელიც მუდმივს მოძრაობასა და სახეცვალებაშია).

**ოლიმპიადა-ი,** 1) ოთხწლიური წელთაღრიცხვა ძველ საბერძნეთში; 2) საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრებები (ძვ. საბერძნ. ო ლ ი მ პ ი ი ს  თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი).—იმართება ბურჟ. ქვეყნებში 4 წელში ერთხელ; სასპორტო და სახელოვნო შეჯიბრების დღეზეიმი საბჭოთა კავშირში.—**ოლიმპიური,** დიადი: **ოლიმპიური** სიმშვიდე, აუშფოთველობა, უდიდესი სიმშვიდე (იტყვიან ხშირად ირონიულად).

**ოლიფი-ი,** სელის ზეთი,—იხმარება საღებავების, ლაქების და მისთანათა დამზადებაში.

**ომეგა,** 1) ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი, 2) რისამე ბოლო (ნ. ალფა).

**ომ-ი,** ნ. ოომი.

**ომლეტ-ი (-ტტ-ი),** ერბოკვერცხი.

**ომნიბუს-ი,** განსაზღვრულ წერტილებს შორის მავალი საზოგადო ეტლი,—მას თანდათან აძევებს ხმარებიდან ავტობუსი (ნ. ეს).

**ომონიმ-,** ნ. ჰომონიმ-.

**ონანიზმ-ი,** სქესობრივი ნდომის თვითდაკმაყოფილება—სასქესო ორგანოების ხელოვნურად (ხელით ან რამეთი) გაღიზიანების საშუალებით.—**ონანისტ-ი,** ასეთის მქნელი.

**ონგსტრემ-ი,** სიგრძის მეტისმეტად წვრილი ერთეული (მილიმეტრის ერთი მემილიონედი მაწილი), — ხმარობენ უმცირესი მანძილების დასადგენად.

**ონიქს-ი,** ანქვითი: ერთგვარი ლამაზი მინერალი,—იხმარება სამკაულად და წვრილი ნივთების დასამზადებლად.

**ონკოლ,** მოთხოვნისთანავე (კომერც.).

**ონომასტიკა,** საკუთარი სახელები (გეოგრაფიული, ისტორიული, ტომობრივი...) და მათი კვლევა ძიების დარგი. —**ონომასტიკონ-ი,** არაანბანური ლექსიკონი.

**ონომატოპეტური,** ხმამიმბაძველობითი.

**ონტოგენია,** ცალკეული ორგანიზმის განვითარების პროცესი საფეხურობლივ (ე. ი. ჩანასახიდან დაწყებული მომწიფებამდე).

**ონტოლოგია,** მოძღვრება ყოველივე არსებულის დასაბამის (საწყისის) შესახებ; მეტაფიზიკური ონტოლოგია ასეთ საწყისებად სთვლის მარადიულსა და უცვლელს რაიმე (დიალექტიკური მატერიალიზმი, რომლისთვისაც ონტოლოგია არ არსებობს როგორც ცალკე დარგი, პირველადად სთვლის მატერიას, რომელიც მუდმივს მოძრაობასა და სახეცვალებაშია).

**ოოგამია,** განაყოფიერება დედალ-მამალი უჯრედების (კვერცხების) შ რთვის გზით.—**ოოლოგია,** ზოოლოგიის დარგი,—სწავლობს ფრინველთა კვერცხებს.—**ოოფორიტ-ი,** საკვერცხის ანთება.

**ომ-ი,** ელექტროწინაღობის საზომი ერთეული (სახელწოდება ფიზიკოს Ohm ისაგან).

**ოპერა,** სათეატრო ხელოვნების ერთერთი დარგი, დრამისაგან განსხვავდება მით, რომ მოქმედი პირები ასრულებენ როლებს სიმღერით რომელსაც თანახლავს მუსიკა (ორკესტრი).

**ოპერატორ-ი,** ამათუიმ ოპერაციის შემსრულებელი (ნ. ოპერაცია).

**ოპერაცია,** მიზნობრივი რაიმე მოქმედება, მაგ: 1) ქირურგიაში: საგანგებო იარაღების საშუალებით ადამიანის სხეულზე ჭრის, კვეთის, მოკვეთის, ამოჭრის და სხვა ამგვარის მოხდენა მკურნალობის მიზნით 2) სამხედრო საქმეში: არმიის ან მისი ნაწილის გეგმიანი მიზნობრივი მოქმედება; 3) რაიმე საკომერციო, საფინანსო ან საკრედიტო მოქმედება. გარიგება.—**ოპერაციული,** ოპერაციის ხასიათისა, ოპერაციით შესასრულებელი.—**საოპერაციო,** სამოქმედო, ოპერაციისათვის განკუთვნილი.

**ოპერეტა (-ტტა),** მსუბუქშინაარსიანი და მხიარულმუსიკიანი ოპერა, რომელშიც სასიმღერო ნაწილის გარდა ხშირია საუბარიც.

**ოპიუმ-ი,** ყაყაჩოსაგან დამზადებული რძისებრი წვენი,—წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებას და იხმარება როგორც ტკივილის დამყუჩებელი და გამაბრუებელი საშუალება; მისი ხშირი ხმარება მეტისმეტად მავნებელია.

**ოპოზიცია (ოპპ-),** 1) არსებული მდგომარეობის საწინააღმდეგო მოქმედება; ამგვარი დაჯგუფება; 2) მთავრობის ან გაბატონებული პარტიის წინააღმდეგ ორგანიზებული მოქმედება პარლამენტში; ასეთი მიზნით ორგანიზებული ჯგუფი. — **ოპოზიციონერი,** ოპოზიციის მონაწილე. **ოპოზიციური,** დაპირისპირებული, საწინააღმდეგო.

**ოპონენტ-ი (ოპპ-),** მომხსენებლის მოკამათე საჯარო სხდომაზე.

**ოპორტუნიზმ-ი (ოპპ-),** 1) საერთოდ: გარემოებებთან შეგუებულობა 2) მუშათა მოძრაობაში: შეთანხმებლობა, პროლეტარიატის ინტერესების ბურჟუაზიულ ხელისუფლებასთან შეთანხმების ტაქტიკა,—წარმოადგენს ბურჟუაზიულ გავლენას მშრომელ მასებზე და დამახასიათებელია წვრილი ბურჟუაზიული, ე. წ. სოციალისტური

პარტიებისთვის. აქაიქ თავს იჩენს ხოლმე თვით კომუნისტურ პარტიაშიც, მაგრამ ნადგურდება პარტიის გენერალური ხაზის ურყევად დაცვით.— **ოპორტუნისტ-ი**, ყაოემოებებთან შეგუებელი, უპრინციპო შემთახმებელი.

**ოპტანტ-ი**, სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობის ამომრჩევი მოქალაქე. — **ოპტაცია**, ქვეშევრდომობის ამორჩევის სურვილის განცხადება; ასეთი განცხადების უფლების მინიჭება სხვა სახელმწიფოსმიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

**ოპტიკა**, ფიზიკის ერთერთი დარგი მეცნიერება, რომელიც იკვლევს სინათლის გავრცელებას, შედგენილობისა და მატერიასთან ურთიერთმოქმედების კანონებს, **ფიზიოლოგიური ოპტიკა** იკვლევს სინათლის მოქმედებას მხედველობის ორგანოზე (თვალზე). — **ოპტიკ-ი**, ოპტიკის სპეციალისტი ან ოპტიკურ ხელსაწყოების მკეთებელი. — **ოპტიკური**, მხედველობითი, სამხედველო; რაც სინათლის გავრცელებას, შედგენილობას და თვალზე გავლენას შეეხება

**ოპტიმალური**, საუკეთესო, უხელსაყრელესი.

**ოპტიმატები** (მრავლ.), დემოკრატიული ფორმების მოწინააღმდეგე კონსერვატიული პარტია რომის რესპუბლიკაში.

**ოპტიმიზმ-ი**, 1) არსებული მსოფლიოს მიჩნევა საუკეთესოდ; 2) იმედიანობა ცხოვრებაში; კეთილის გამარჯვების რწმენა, ცხოვრებაში მხოლოდ კარგი მხარეების დანახვა და სხვ. ამგვარი.— **ოპტიმისტ-ი**, 1) ოპტიმიზმის ძიმდევარი. 2) იმედიანი, მხოლოდ კეთილის დამნახველი და სხვ.

**ორაკულ-ი**, ძველ საბერძნეთში: 1) მკითხაობა; 2) სამკითხაო ადგილი (განსაკუთრებით ცნობილი იყო დელფის ორაკული; 3) ცრუ წინასწარმეტყველი ასეთ სამკითხაოში.

**ორანგ უტან-ი**, ერთგვარი ადამიანისებრი მაიმუნი, ცხოვრობს სუმატრაზე და ბორნეოზე.

**ორანჟერეა**, შუშის სახურავ-კედლებიანი სადგომი სხვა ქვეყნის მცენარეთა მოსავლელად, — მასში დაცულია მცენარისათვის შესაფერი ტემპერატურა და სინოტივე.

**ორანჟისტები** (მრავლ.). ირლანდიის რეაქციონული პოლიტიკური პარტია (17 საუკუნიდან).— ებრძვის ირლანდიის ეროვნულ მოძრაობას.

**ორატორ-ი**, 1) საჯაროდ მოლაპარაკე, 2) მჭერმეტყველი ადამიანი.

**ორბიტ-ი**, 1) ციური მნათობის გზა სივრცეში; 2) თვალისბუდე (ანატ.).

**ორგაზმ-ი**, სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილების მომენტი სქესობრივი აქტის დროს.

**ორგან-ი**, საბერველ-კლავიატურიანი ყველაზე დიდი და რთული სამუსიკო ინსტრუმენტი,— ხმარება უმთავრესად კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში.—**ორგანისტ-ი**, ორგანის მკეთებელი ან მასზედ დამკვრელი.

**ორგანიზატორ-ი**, რაიმე საქმის— დაწესებულების, წარმოების, კრების, გაერთიანების და მისთანათა მიზანშეწონილად მომწყობი.

**ორგანიზაცია**, 1) რაიმე მიზანშეწონილი მთლიანის მოწყობა,—დაარსება; 2) მიზანშეწონილი მთლიანი რამ; 3) რაიმე დაწესებულების, წარმოების და მისთანათა მოწყობა, დაარსება; 4) გარკვეული მიზანდასახულების გაერთიანება ადამიანთა.— **ორგანიზაციული**, ორგანიზაციის ხასიათისა, მიზანდასახულებითი —**ორგანიზება**, ვაორგანიზებ. ორგანიზაციის შექმნა დაარსება, მოწყობა, გაერთიანება. **ორგანიზებული**, დაარსებული. მოწყობილი, გაერთიანებული და სხვ..

**ორგანიზმ-ი**, 1) ერთმანეთისაგან დამოკიდებულ ნაწილთაგან მიზანშეწონილად შედგენილი მთლიანი; 2) სხეულის აგებულება; 3) ცოცხალი, მცენარე; 4) ინდივიდი.

**ორგანო**, 1) განსაზღვრული დანიშნულების მქონე ნაწილი ცოცხალისა ან მცენარისა; 2) საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი დაწესებულება (მაგ. საკანონმდებლო, სასამართლო, პარტიული და სხვ. ორგანო); 3) გაზეთი. ჟურნალი.

**ორგანოული** ან **ორგანული**, 1) ორგანიზმის ხასიათისა. მიზანშეწონილად გაერთიანებული; 2) ცხოველური, მცენარეული; 3) თანდაყოლილი; 4) შეთანხმებულ შეკავშირებული.

**ორგანოგენია**, ორგანოების წარმოქმნა-განვითარება; მათი შესწავლა. **ორგანოგრაფია**, ორგანიზმების გარეგნული ფორმების შესწავლა—მათ სასიცოცხლო დანიშნულებასთან დაკავშირებით.

**ორგია**, 1) ღვთისმსახურების ერთგვარი წესი (ძვ. საბერძნეთში რომელშიც შედიოდა თრობა, თავაშვებული მღერალება და მონაწილეთა სქესობრივი უწესო შეერთება; 2) ზომაგადასული უხნეო დროსტარება

**ორდა**, ურდო: მომთაბარე ტომების სამხედრო ან პოლიტიკური გაერთიანება.

**ორდალიები** (მრავლ.), დამნაშავის

გამოცნობის ერთგვარი წესი საშუალო საუკუნეებში: უაღრესად სახიფათო მდგომარეობაში ჩაყენებით გამოცდა (ამგვარი მდგომარეობიდან შემთხვევით გადარჩენილი ჩაითვლებოდა უდანაშაულოდ).

**ორდენ-ი.** 1) ძმობა სასულიერო ან საერო: გაერთიანება განსაზღვრული წესდების საფუძველზე; 2) ხელისუფლებისმიერ გაცემული ნიშანი რაიმე განსაკუთრებული დამსახურებისათვის (მაგ. წითელი დროშის, შრომის და სხვ.).

**ორდერ-ი.** დაწესებულების წერილობითი ბრძანება, მიწერილობა რისამე შესასრულებლად, მაგ. რისამე მისაღებად, გადასახდევინებლად, დასაპატიმრებლად და სხვ.

**ორდინარ-ი,** წყლის საშუალო სიმაღლე წლების გამავლობაში

**ორდინარული,** ჩვეულებრივი, უბრალო, თავგამოუჩენელი; საშუალო ხარისხისა. - **ორდინარული პროფესორი.** სრული პროფესორი, რომელსაც ჯერ არ მიუღია დამსახურებული პროფესორის სახელი (ძველი წესით).

**ორდინატა,** მრუდის წერტილიდან მისი ღერძისადმი პერპენდიკულარულად გაყვანილი წრფე (ნ. კოორდინატები).

**ორდინატორ-ი,** საავადმყოფოს ექიმი,— განაგებს ერთერთ განყოფილებას.

**ორეოგრაფია,** გეოგრაფიის დარგი: დედამიწის ზედაპირის აღწერილობა.

**ორთო-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] მართლ-, სწორ- და სხვ. ასეთს:

**ორთოგრაფია.** მართლწერა.

**ორთოდოქსალური, ორთოდოქსული,** „მართლმორწმუნეობითი", ნამდვილი, რაიმე მოძღვრების ურყევად მიმდევრობითი. — **ორთოდოქს-ი,** „მართლმორწმუნე", რაიმე მოძღვრების ურყევად მიმდევარი.— **ორთოდოქსია** „მართლმორწმუნეობა", რაიმე მოძღვრების სასტიკად, ურყევად დაცვა.

**ორთოდოქსალური მარქსიზმი,** ნამდვილი მარქსიზმი,—აისახა სავსებით ლენინისა და სტალინის შრომებში, რომლებშიც მოცემულია ორთოდოქსალური მარქსიზმის ყველა დებულებები.

**ორთოეპია,** სწორმეტყველება.

**ორთოპედია,** ქირურგიის ერთერთი დარგი —იკვლევს და კურნავს სხეულის სხვადასხვა გამრუდებას.— **ორთოპედისტ-ი,** ორთოპედიის სპეციალისტი.

**ორიგინალ-ი,** 1) ნამდვილი, დედანი; 2) თავისებური, იშვიათი; თავისებური ხასიათის, ახირებული ადამიანი. - **ორიგინალური,** ნამდვილი, თავისებური,

ახირებული; დამოუკიდებელი (მაგ. ნაწარმოები).

**ორიენტალისტ-ი**, აღმოსავლეთმცოდნე, ე. ი. აღმოსავლეთის ხალხთა ენების, ლიტერატურისა და კულტურის მცოდნე.— **ორიენტალისტიკა**, აღმოსავლეთმცოდნეობა.

**ორიენტაცია**, 1) სივრცეში წერტილის მდებარეობის გამორკვევა; 2) მდებარეობაში და გარემოპირობებში გარკვევა; 3) მოქმედების (საქმიანობის, მუშაობის...) კეხის აღება.

**ორკესტრ-ი**, 1) საკრავი ინსტრუმენტების ერთობილობა; მათზე დამკვრელთა ჯგუფი; 2) ადგილი თეატრში სცენასა და მაყურებლებს შუა.

**ორნამენტ-ი**, სხვადასხვა საგნის— შენობის, იარაღის და სხვ.— ძერწვითი, ქანდაკებრივი ან ფერწერითი შემკულობა.

**ორნითოლოგია**, ზოოლოგიის ერთ-ერთი დარგი,—იკვლევს ფრინველებს.—**ორნითოლოგ-ი**, ფრინველთმკვლევარი ზოოლოგი.

**ორნითოპტერ-ი**, ერთგვარი საფრენი აპარატი,—მოძრაობს ჰაერში ისე, როგორც ფრინველი ფრთებით (მეცნიერული ცდა მოახდინეს 19 საუკ. დასაწყისში).

**ოროგრაფია**, ნ. ორეოგრაფია.

**ოსტ-**, აღმოსავლეთ, აღმოსავლურ- (მაგ. ო ს ტ - გ უ თ ე ბ ი, აღმოსავლეთ-გუთები).

**ოსტეოლოგია**, ანატომიის ერთ-ერთი დარგი, — შეისწავლის ჩონჩხს („ძვლებს“).

**ოსტრაკიზმ-ი**, ძველსაბერძნეთში ქალაქიდან მავნე პირების განდევნის ერთგვარი ფორმა— კენჭისყრით.

**ოსცილოგრაფ-ი** (ოსცილო-) სწრაფცვლადი ელექტროდენების ფოტოგრაფიულად ჩამწერი მოწყობილობა.

**ოტიტ-ი**, ყურის ანთება.—**ოტოლოგია**, მეცნიერება ყურის სნეულებათა შესახებ.—**ოტოსკოპ-ი**, ყურის სიღრუის საკვლევი სარკე.

**ოტომანების იმპერია** (ოტტო-), ოსმალეთის ძველი სახელწოდება.

**ოფთალმია**, თვალის ანთება.—**ოფთალმოლოგია**, მეცნიერება თვალის აგებულებისა და მკურნალობის შესახებ. — **ოფთალმომეტრ-ი**, თვალრქოვანას სიმრუდის გამომრკვევი ხელსაწყო. — **ოფთალმოსკოპ-ი**, თვალის შინაგანი ნაწილების საკვლევი ხელსაწყო.

**ოფიცერ-ი** (ოფფ-), ბურჟუაზიულ არმიაში: უფროსი თანამდებობის პირთა საერთო სახელწოდება (არის სხვადასხვა ხარისხი ოფიცრისა).

**ოფიციალური** (ოფფ-), 1) მთავრობისა; ის რაც გამომდინარეობს მთავრობიდან ან ხელისუფლების სხვა ორგანოდან (მაგ. ბრძა-

ნება, ცნობა, საბუთი და სხვ.); 2) ფორმალური, თანამდებობრივი, საქ. ახეურობლივი.

**ოფიციანტ-ი** (ოფფ-), რესტორანის მსახური.

**ოფიციოზ-ი**, ნახევრადოფიციალური: ბეჭდვითი ორგანო (გაზეთი, ჟურნალი...), რომელიც გამოხატავს მთავრობის თვალსაზრისს და ასრულებს მის დირექტივებს, მაგრამ გარეგნულად მთავრობისაგან დამოუკიდებელია.—**ოფიციოზური**, ოფიციოზის ხასიათისა.

**ოქსიდაცია.** **ოქსიდირება**, ლითონის ზედაპირის მოჟანგვა სხვადასხვა მიზნით (მაგ. დაჟანგვისაგან დასაცავად, სხვა სახის მისაცემად).—**ვაოქსიდირებ**, მოვჟანგავ.

**ოქტავა**, 1) დიატონიკური გამის მერვე საფეხური; 2) შვიდი ძირითადი ტონის ერთობლიობა; 3) ბანი—მამაკაცის ყველაზე დაბალი ხმა.

**ოქტაედრ-ი**, წესიერი რვაწახნაგა.

**ომმ-ი**, ნ. ოომი.

# პ

**პა**, ფეხის ცალკეული მოძრაობა ცეკვაში.

**პაგინაცია**, წიგნის (ან ხელნაწერის) გვერდების თანამიყოლებითი ნომრები.

**პავიან-ი**, ძაღლისებრი მაიმუნის ჯიში.

**პავილიონ-ი**, 1) ტალავარი: ლამაზი ფანჩატური ბაღში; 2) საგამოფენო შენობა; 3) სახლის პატარა მინაშენი.

**პათეტიკური**, **პათოსური**, გრძნობაზე მოქმედი, ამაღელვებელი, ვნებიური, გამამხნევებელი.

**პათოგენეზის-ი**, ავადმყოფობის განვითარების პროცესი.

**პათოგენური**, ავადმყოფობის გამომწვევი (მაგ. მიკრობები).

**პათოლოგია**, მეცნიერება ავადმყოფურ მოვლენათა შესახებ ორგანიზმში.—**პათოლოგ-ი**, პათოლოგიის სპეციალისტი.—**პათოლოგიური**, ავადმყოფური, არანორმალური.

**პათოს-ი**, 1) აღფრთოვანებული სიმხნევე, ძლიერი განცდა; 2) გარეგნული (ზოგჯერ არაგულწრფელი) აღტაცებულობა, გაზვიადებული გრძნობიერება.

**პაი**, 1) ხვედრი, წილი; ამხანაგობაში შეტანილი ნაწილი; 2) ულუფა.

**პაიაც-ი**, მასხარა.

**პაკეტ-ი**, 1) წერილის ჩასადები ქაღალდის ბრტყელი პარკი;

2) დახურულ (დალუქულ) პარკში ჩადებული მიწერილობა; 3) საფოსტო შეკვრა.

**პაკტ-ი.** ნ. პაქტი.

**პაკჰაუზ-ი,** ტვირთსაწყობი: საქონლის საწყობი რკინისგზის სადგურთან, ნავსადგურთან, საბაჟოსთან და სხვ.

**პალატა,** 1) ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულების სახელი რევოლუციამდე რუსეთში (მაგ. საკონტროლო, სახაზინო, სამოსამართლო პალატა და სხვ.). 2) ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში: წარმომადგენლობითი დაწესებულება (მაგ. ლორდთა პალატა და თემთა პალატა ინგლისის პარლამენტში და სხ.); 3) **საზომ-საწონთა პალატა,** საზომ-საწონთა დამცველი და მათი ხმარების ძეთვალყურე დაწესებულება; 4) **წიგნის პალატა.** ცენტრალური საბიბლიოგრაფიო დაწესებულება საბჭ. კავშირის რესპუბლიკებში —აწარმოებს თეორიულ და პრაქტიკულ საბიბლიოგრაფიო მუშაობას რესპუბლიკის ბეჭდურ ნაწარმოებთა მოწესრიგებისათვის.

**პალატალური ბგერა.** შუაენისმიერი (რბილი) სამეტყველო ბგერა.— **პალატალიზაცია,** გაშუაენისმიერება (მორბილება) ბგერისა.

**პალაცო (-ცცო),** სასახლე.

**პალეო-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „ძველ ძველი".

**პალეოანთროპოლოგია,** ანთროპოლოგიის ერთერთი დარგი,—იკვლევს ადამიანთა გადაშენებულ ტომებს.

**პალეოგრაფია** ისტორიული მეცნიერების დამხმარე დარგი,—იკვლევს ძველ ხელნაწერებს მათი შედგენის დროის, ადგილის, სინამდვილის და სხ. თვალსაზრისით.

**პალეოზოური ხანა,** დედამიწის განვითარების ძველი (მესამე) ხანა.

**პალეოლით-ი,** ქვისხანის უძველესი პერიოდი.—ხასიათდება გაუთლელი ქვის იარაღებით.

**პალეონტოლოგია,** 1) საბუნებისმეტყველო მეცნიერება, —იკვლევს დედამიწის განვითარების სხვადასხვა პერიოდებში არსებულ და გადაშენებულ ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებიც შენახულია ნამარხის გაქვავებულის) სახით ან რომლებსაც დაუტოვებიათ რაიმე სხვა კვალი; 2. **ლინგვისტური პალეონტოლოგია** ანუ **მეტყველების პ—ია,** ასე ერქვა იაფეტიდოლოგიაში (ნ. ეს) მეტყველების განვითარების განვლილი უძველესი საფეხურების კვლევაძიებას დღეს არსებულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით.

**პალიატივ-ი,** დროებითი, არაძირითადი ღონისძიება, რომელიც მხოლოდ ამსუბუქებს ავადმყოფობას ან რაიმე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ნაკლს, და არა სპობს საბოლოოდ. — **პალიატიური,** პალიატივის ხასიათისა.

**პალიმპსესტ-ი,** ხელმეორედ დაწერილი ხელნაწერი იმავე პერგამენტზე წინანდელი ნაწერის გადარეცხვის ან ამოფხეკის შემდეგ (პირველნაწერის აღდგენა ზოგჯერ შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით).

**პალინგენეზის-ი,** რაიმე დაკარგული თვისების გამოჩენა ორგანიზმის განვითარების რომელიმე საფეხურზე, მაგ.: ადამიანის ჩანასახს განვითარების ერთ საფეხურზე უჩნდება ლაყუჩებრივი პარკები, რაც მოწმობს ძუძუმწოვართა ცხოველების განვითარებას ლაყუჩოვანთაგან (ჰეკკელი).

**პალისანდრ-ი** (პალისს-), ბრაზილიის ზოგიერთი ხის სხვადასხვა ფერის მერქანი,—წარმოადგენს ძვირფას მასალას ავეჯეულობის საკეთებლად.

**პალიტრა,** ფერადების სასრეს-სარევი ოვალური ფორმის თხელი ფიცარი,—იხმარება მხატვრებისმიერ.

**პალმა,** ტროპიკული მცენარე მრავალი სახისა, რომელთაგან ზოგიერთს აქვს მრავალგვარი გამოყენება,—რამოდენიმე სახე მოშენებულია შავიზღვია ხაპირებზეც.

**პამპა, პამპას-ი** (მრავლ.), სამხრ. ამერიკის (უმთავრესად – არგენტინის) ბალახიანი გაშლილი ველები.

**პამფლეტ-ი,** რითიმე ცნობილი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების საკრიტიკოდ მკვახე ტონით დაწერილი მოკლე თხზულება.— **პამფლეტისტ-ი,** პამფლეტის ავტორი.

**პან-, პანტო-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „ყოვლად“, „სრულ“, „ყოველ-“, „ყველა“ და სხვ. ააეთს (მაგ. პანამერიკანიზმი, პანეგირიკი, პანთეიზმი, პანტომიმა, პანტოფაგია და სხვა, ნ. ესენი).

**პანამა,** 1) ხელმძღვანელი წრეების ბოროტმოქმედებით გამოწვეული მარცხი დიდი საქმისა (1889 წ. ჩაიშალა პანამის არხის გათხრა—თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების გამო); 2) პანამის პალმის ფოთლებისაგან მოქსოვილი რბილი უჰმუჰნელი ფართოარეებიანი ქუდი.

**პანამერიკანიზმ-ი,** ამერიკის ორთავე (ჩრდ. და სამხრ.) კონტინენტის ხალხთა გაერთიანების

მიმართულება, — წარმოადგენს იმპერიალისტურ მისწრაფებებს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებისას სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოთა მიმართ.

**პანარაბიზმ-ი,** მოძრაობა არაბული წარმოშობის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის,— წარმოადგენს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაციონალისტურ მოძრაობას.

**პანაცეა** ყოვლად უებარი, ყველაფრის გამკურნებელი წამალი; უებარი საშუალება.

**პანგერმანიზმ-ი,** პოლიტიკური თეორია ძლიერი გერმანიის იმპერიის შესაქმნელად—გერმანული წარმოშობის ყველა ხალხთა გაერთიანების გზით; ომის შემდეგ ამ თეორიის განხორციელებას ცდილობს გერმანიის ფაშიზმი.

**პანდემია,** ეპიდემია, რომელიც მოედება ხოლმე ქვეყნების მთელ რიგს.

**პანდექტები** (მრავლ.), იუსტინიანეს კოდექსის ერთი ნაწილი (533 წ. ქ. შ.),—წარმოადგენს რომის იურისტების აზრებს სამოქალაქო სამართლის საკითხების შესახებ (ნ. დიგესტები)

**პანეგირიკ-ი,** გადაჭარბებული შექება.—**პანეგირისტ-ი,** გადაჭარბებული ქებების მთქმელი ან დამწერი.

**პანევროპული მოძრაობა,** ბურჟუაზიული პაციფისტური მოძრაობა ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებისათვის და საბჭოთა კავშირის დასაპირისპირებლად; იგი წარმოადგენს მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლის საშუალებას სარევოლუციო მოძრაობის წინააღმდეგ.

**პანელინიზმ-ი** (პანელლ-), ბერძნებით დასახლებული ქვეყნების გაერთიანების პოლიტიკური თეორია—„დიდი დამოუკიდებელი საბერძნეთის“ შექმნის მიზნით.

**პანთეიზმ-ი,** რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც თითქოს აიგივებს ღმერთსა და ბუნებას, მაგრამ ღმერთს მაინც უპირატესობას ანიჭებს,—მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულობას.—**პანთეისტ-ი,** პანთეიზმის მიმდევარი.

**პანთეონ-ი,** 1) განსაკუთრებულად გამოჩენილ მოღვაწეთა საპატივცემოდ აგებული შენობა; ასეთ პირთა სასაფლაო; 2) ამათუიმ ხალხის ყველა ღმერთები.

**პანტერა,** ლეოპარდის მსგავსი მტაცებელი ცხოველი (ნ. ლეოპარდი).

**პანთურქიზმ-ი,** ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკური მოძრაობა ყველა მაჰმადიან თურქ ხალხებთა გაერთიანებისათვის.

**პანიკა** უეცარი სასოწარკვეთილების გამომწვევი შიში, შეშფოთება, ჩვეულებრივ—გადამდები ხასიათისა, ე. ი. ადვილად მოედება მასსას კრებულებაში.—**პანიკური**, პანიკის ხასიათისა.

**პანისლამიზმ-ი**, ნაციონალისტური პოლიტიკურ რელიგიური მოძრაობა მაჰმადიან ხალხთა გაერთიანებისათვის.—მისი ლოზუნგია „სადვთო ომი“ უცხოელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

**პანორამა**, 1) ბუნების ლამაზი სანახაობა შორეულ მანძილზე, ჩვეულებრივ ირგვლივ; 2) მოგვალ შენობაში მოთავსებული სურათი, რომელიც შიგ მყოფ მნახველს უქმნის სინამდვილის ილუზიას; 3) სამიზნებელი მოწყობილობა ზარბაზნზე.

**პანოფთალმიტ-ი**, მთელი თვალის ჩირქიანი ანთება.

**პანსიონ-ი**, 1) ინტერნატიანი სასწავლებელი (ნ. ინტერნატი); 2) სასტუმრო ან კერძო ბინა მოვლითა და სმაჭამით; 3) ბინა და სარჩო.—**პანსიონერ-ი**, პანსიონში მცხოვრები.

**პანსლავიზმ-ი**, რეაქციონული პოლიტიკური თეორია სლავურ ხალხთა გაერთიანებისა; მცირე სლავური ბურჟუაზიული ქვეყნების, პ ა ნ ს ლ ა ვ ი ს ტ ე ბ ი ს (პანსლავიზმის მომხრეების), იმედები ემყარებოდა „ძლიერ მონარქიულ რუსეთზე“.

**პანსპერმია, პანსპერმიზმ-ი**, ცოცხალ ჩანასახთა არსებობის თეორია პლანეტთაშორისო სივრცეში,—ხსნის დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენას მიკროორგანიზმების იქედან გადმოტანის გზით. ეს თეორია მიუღებელია, ვინაიდან ეწინააღმდეგება მატერიის ორგანიზმის საფეხურამდე ევოლუციურად განვითარების პრინციპს.

**პანტე-** ნ. პანთე-.

**პანტოგრაფ-ი**, ერთგვარი ხელსაწყო, რომლის საშუალებით შესაძლებელია სიბრტყეზე დახატულის გადაღება გადიდებული ან დაპატარავებული სახით.

**პანტომიმა**, უსიტყვო სხეულსახვითი სასცენო წარმოდგენა.—**პანტომიმური**, სხეულსახვითი.

**პანტომორფია**, ყოველგვარი ფორმის მიღების უნარიანობა.—**პანტოფაგია**, ყველაფრის მჭამელობა.

**პანფსიქიზმ-ი**, ყველაფრის „სულიერად“ მიჩნევა, მცდარი შეხედულება, თითქოს მცენარეს და არაორგანულ ბუნებას ქონდეს ფსიქიური ცხოვრება ან მისი ჩანასახი (ფსიქიური ცხოვრება ჩნდება მატერიის განვითარებისა და ორგანიზაციის მხოლოდ გარკვეულ მაღალ საფეხურზე).

**პაპა**, მამა (ბავშურად).

**პაპ-ი.** რომის პაპ-ი, კათოლიკური ეკლესიის მთავარი, რომელსაც ირჩევენ კარდინალები თავიანთი წრიდან, პაპი ითვლება „უმცთარ-უცოდველად" სარწმუნოების საკითხებში.

**პაპიე-მაშე.** სხვადასხვა საგნების (სათამაშოების, კოლოფების, სასწავლო ნივთების და სხ.) საკეთებელი მასალა,—წარმოადგენს წებოს, გიპსის, სახამებლის და ქაღალდის ერთად შენაზელს.

**პაპიროს-ი,** მოსაწევი თამბაქო ჰილზში ან წვრილ შილად დახვეულ ქაღალდში.

**პაპირუს-ი,** ერთგვარი მცენარე, რომლისაგანაც ძველადვე ამზადებდენ საწერ მასალას (ქაღალდის მაგიერს).

**პაპკა.** 1) მუყაოს პორტფელი; 2) ქაღალდების შესანახი ყდა.

**პაჟ-ი.** 1) საშ. საუკუნეებში: რაინდის მხლებელი ბიჭუნა; 2) პაჟების კორპუსის მოწაფე რევოლუციამდე რუსეთში (ნ. კორპუსი).

**პარაბელუმ-ი** (-ბელლ-). ერთგვარი ავტომატური რევოლვერი, აგრეთვე—ერთგვარი ტყვიამფრქვევი.

**პარაბიოზ-ი,** ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, წყვილად ცოცხლობა, მაგ. ორი თაგვისა, რომელთა მუცლები ხელოვნურად შეერთებულია.

**პარაბოლ-ი,** 1) ლიტერატურაში: პატარა იგავი. 2) გეომეტრიაში: მეორე რიგის ერთგვარი მრუდი; 3) სამხედრო საქმეში: გასროლილი ტყვიის მრუდი ხაზი.—**პარაბოლოიდ-ი,** მეორე რიგის უცენტრო ფართეული.

**პარაგენეზის-ი.** მინერალების თანამდებარეობა, ე. ი. მათი განრიგების განსაზღვრული კანონზომიერება.

**პარაგრაფ-ი,** 1) რაიმე ტექსტის სრულშინაარსიანი ნაწილი,—აღინიშნება § ნიშნით და რიგის ციფრით; 2) კანონის მუხლი (იურიდ.).

**პარად-ი,** სამხედრო ძალების საზეიმო დათვალიერება.—**პარადული,** ზეიმის ხასიათისა.

**პარადიგმ-ი.** გრამატიკაში: საცვალებლად აღებული სანიმუშო სიტყვა.

**პარადოქს-ი.** საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებათა საწინააღმდეგო და უჩვეულო ფორმით გამოხატული აზრი.—**პარადოქსული.** ახირებული, უჩვეულო, მოულოდნელი, პირველი შეხედვით მიუღებელი.

**პარაზიტ-ი,** სხვაზე ან სხვის შიგნით მცხოვრები მცენარე ან ცხოველი; მუქთამჭამელა.—**პარაზიტიზმ-ი,** მუქთამჭამლობა, სხვის ხარჯზე ცხოვრება.—

**პარაზიტობა**, ვპარაზიტობ, ვმუქთახორობ. — **პარაზიტული**, მუქთახორული — **პარაზიტოლოგია**, მეცნიერება პარაზიტების შესახებ.

**პარალალია**, წარმოთქმის (ლაპარაკის) გაურკვევლობა.

**პარალელ-ი** (პარალლ-). 1) **დედამიწის ბირთვის პარალელი** — წარმოსახვითი წრე, რომელსაც გადაკვეთს დედამიწის ბირთვი ეკვატორის პერპენდიკულარული სიბრტყით; 2) შედარება, შეპირისპირება.—**პარალელიზმ-ი**, 1) თანასწვრივობა, ხაზების (ან სიბრტყების) თანასწორი დაშორებულობა ერთმანეთისაგან; 2) ორი (ან მეტი) მოვლენის ერთდროული მიმდინარეობა.— **პარალელური**, თაიასწვრივი.— **პარალელეპიპედ-ი**, რვაკუთხა პრიზმა, რომლის საფუძველს წარმოადგენს პარალელოგრამ-ი.—**პარალელოგრამ-ი**, ოთხკუთხედი, რომელსაც მოპირდაპირე გვერდები თანასწვრივი აქვს.

**პარალოგიზმ-ი**, მცდარი დასკვნა (ფორმალურ ლოგიკაში).

**პარამეტრ-ი**. მუდმივი რიცხვი ან სიდიდე; დამახასიათებელი სიდიდის მნიშვნელობა, რომლითაც რაიმე საგანი განსხვავდება თანაგვარი საგნებისაგან.

**პარამნეზია**, მეხსიერების ერთგვარი აშლილობა: ავადმყოფს ეჩვენება, რომ მას უკვე განცდილი აქვს ისეთი რამ, რასაც პირველად განიცდის.

**პარანოია**, ერთგვარი შეშლილობა: ავადმყოფს უვითარდება განსაზღვრული ბოდვითი იდეები (განდიდებისა, დევნისა, იჭვიანობისა და სხ.)—ცნობიერების დაურღვევლად და ინტელექტის შენახვით. **პარანოიკ-ი**, პარანოიით დაავადებული.

**პარაპეტ-ი** (-ტ-ი), მოაჯირი (ხიდზე, აივანზე, მდინარის გასწვრივ და სხ.).

**პარაპლეგია**, ქვედა კიდურების დამბლა.

**პარატიფ-ი**, ტიფის მსგავსი, მაგრამ მასზე მსუბუქი გადამდები სნეულება.

**პარატონერ-ი** (-რრ-ი), მეხამრიდი.

**პარაფიმოზ-ი**, მედიცინაში: მამაკაცის სასქესო ასოსთავზე ჩუჩის გადმოუწევლობა („ესპანური საყელო").

**პარაფინ-ი**, უსუნო და უგემოო თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ნივთიერება,—მიიღება ნავთისაგან, მურანახშირისაგან მშრალი გამოხდით და ფიქალისაგან; იხმარება სანთლის დასამზადებლად, ქაღალდისა და ქსოვილის გასასანთლავად და სხვ. — **პარაფინის ზეთი**, პარაფინის

შემცველი გამონახადი ნავთისა,—იხმარება როგორც წასასმი ზეთი.

**პარაფონია**, უკეთილხმოვნობა (მუსიკაში).

**პარაფრაზ-ი**, რაიმე თხზულების (ან მისი ნაწილის) ვრცლად გადმოცემა, აგრეთვე—თავისუფალი თარგმანი — **პარაფრაზირება**, **ვაპარაფრაზირებ**, გადმოვცემ თხზულებას ვრცლად.

**პარაქრონიზმ-ი**, მცთარი დათარიღება. – **პარაქრონიკული**, მცთარად დათარიღებული.

**პარაქსიზმ-ი**, ნ. პაროქსიზმ-ი.

**პარაშუტ-ი**, აეროსტატიდან ან დირიჟაბლიდან პასაჟირების მიწაზე უვნებლად დასაშვები მოწყობილობა,—იხმარება მარცხის დროს.

**პარდონ**, უკაცრავად!

**პარეზის-ი**, ნაწილობრივი დამბლა.

**პარენქიმა**, 1) ბოტანიკაში: მცენარის უჯრედოვანი ქსოვილი, რომელსაც მცენარისათვის აქვს მასაზრდოებელი მნიშვნელობა; 2) ზოგიერთ მარტივ ცხოველთა ქსოვილი ორგანოებს შორის.

**პართენოგენეზის-ი**, ზოგიერთი ცხოველის ან მცენარის განვითარება გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან.

**პართენონ-ი**, ქალწულ ღმერთის (ათინა) ტაძარი ქ. ათენაში (ძვ. საბერძნ.).

**პარია, პარიები**, 1) წოდებათა გარეშე მოსახლეობა ინდოეთში; 2) უუფლებო და ჩაგრული ადამიანები.

**პარიზის კომუნა**, მუშათა მთავრობა პარიზში 1871 წელს,—წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის პირველ შემთხვევას ისტორიაში; იარსება მხოლოდ 72 დღე. მაგრამ მისი ისტორიული მნიშვნელობა უდიდესია როგორც მისი მიღწევებით, ისე მისი შეცთომებით, რომ ლთა მართებულმა გათვალისწინებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში.

**პარიკ-ი**, ხელოვნური (სხვისი) თმა თავზე—მორთულობის ან მელოტის დაფარვის მიზნით; სასცენო მიზნებისათვის ხმარობენ მას მსახიობები.—**პარიკმახერ-ი**, მეპარიკე; თმის დამყენებელი; მკრეჭელ-მპარსველი.

**პარიტეტ-ი**, თანასწორობა; თანასწორ-მდგომარეობიანობა; თანასწორუფლებიანობა. — **პარიტეტული**, თანასწორი, თანასწორობის საფუძველზე დაფუძნებული.

**პარკეტ-ი**, ფიცრის იატაკზე მჭიდროდ დაგებული თხელი ფიცრის ნაჭრების ფენი.—**პარკეტინები** (მრავლ.), ასეთი ნაჭრები ფიცრისა.—**მოპარკეტება**,

იატაკის პარკეტინებით დაფარვა.

პარკ-ი, 1) განსაზღვრული გეგმით გაშენებული და მოვლილი პატარა ტყე (ტბებით და ნაკადებით) ქალაქში ან ქალაქის მახლობლად; 2) ტრამვაის ვაგონების ან აეროპლანების სადგომი.—კულტურისა და მოსვენების პარკი, გონიერი გართობისა და მასური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ადგილი საბჭოთა კავშირში (თავდაპირველად მოსკოვში).

პარლამენტ-ი, სახელმწიფო საკანონმდებლო წარმომადგენლობითი დაწესებულება ბურჟუაზიულ დემოკრატიული კონსტიტუციის მქონე ქვეყნებში,—მისი წევრების (დეპუტატების) არჩევაში მონაწილეობენ მხოლოდ არჩევნების უფლების მქონე მოქალაქეები. პარლამენტი არ შეიძლება იყოს ფართო მასების ინტერესების გამომხატველი. — პარლამენტარიზმ-ი, სახელმწიფო წყობილების ისეთი სისტემა, როცა პარლამენტი მიჩნეულია ხელისუფლების უზენაეს ორგანოდ.— პარლამენტარისტ-ი, პარლამენტარიზმის მომხრე.— პარლამენტარული, პარლამენტური, პარლამენტის ხასიათისა. - პარლამენტიური, პარლამენტერ-ი, ომის დროს ერთერთი მხარის რწმუნებული, მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი.

პაროდია, 1) სატირული ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს სხვა რომელიმე ლიტ. ნაწარმოების განზრახ სასაცილო მიბაძვას; 2) სასაცილო მიბაძველობა — გარეგნულობის დაცვით, ხოლო შინაარსის დამახინჯებით.

პაროკსიზმ-ი, ნ. პაროქსიზმ-ი.

პაროლ-ი, პირობითი საიდუმლო სიტყვა, ცნობილი მხოლოდ შეთანხმებულთათვის, იხმარება სადარაჯოზე და საიდუმლო ორგანიზაციებში.

პაროტიტ-ი, ყბაყურა (მედიც.).

პაროქსიზმ-ი, ავადმყოფობის ან ნერვული ფსიქიური მწვავე შეტევა ანუ მოვლა.

პარტა, მოწაფის სასკოლო მაგიდა საჯდომითურთ.

პარტეიტაგ-ი, პარტიული ყრილობა, კერძოდ—გერმანიის სოც.-დემოკრატიული ან კომუნისტური პარტიისა.

პარტენ-, ნ. პართენ-.

პარტერ-ი, საჯდომი ადგილები თეატრის დარბაზის ქვედა სართულში.

პარტია, 1) პოლიტიკური გაერთიანება ამათუიმ კლასის (ან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის) ნაწილისა, რომელიც წარმოადგენს და იცავს თავისი

კლასის (ან სოციალური ჯგუფის) პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს; 2) ერთგვარი მდგომარეობის პირთა ჯგუფი, მაგ. ტუსაღთა პარტია; 3) რაიმე საქონლის ერთჯამიერი გზავნილება; 4) რაიმე თამაშის ერთი ხელი; 5) ანგარიშიანობაზე დამყარებულ დაქორწინებისას ცოლქმარი ერთიმეორის მიმართ; 6) მუსიკაში: ცალკეული საკრავისათვის ან ხმისათვის დაწერილი ნაწილი მუსიკალური პიესისა.—პარტიული, პარტიის ხასიათის. პარტიელი, პარტიის წევრი.

**პარტიზან-ი**, 1) მომხრე, მიმდევარი; 2) ირეგულარული ლაშქრის ჯარისკაცი ან მეთაური; 3) პარტიზანული ომის ან პარტიზანული მოძრაობის (სამოქალაქო ომის დროს) მონაწილე.—**პარტიზანული ომი**, 1) მთავარი არმიიდან გამოყოფილი და დამოუკიდებლივ მოქმედი მცირე რაზმების საომარი მოქმედება მტრის ზურგში ან ფრთებზე; 2) მოსახლეობის მიერ შედგენილი შეიარაღებული რაზმები შემოსეულ მტერთან ან მოწინააღმდეგე კლასთან და მთავრობასთან საბრძოლველად.

**პარტიკულარიზმ-ი**, განკერძოების სურვილი, განკერძოებულობა; პოლიტიკური პარტიკულარიზმი: სახელმწიფოს ნაწილების მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი (არასრულ ჩამოშორებისადმი).—**პარტიკულარისტ-ი**, პარტიკულარიზმის მომხრე, განკერძოების მსურველი.—**პარტიკულარული**, კერძო. კერძოობითი; სახელმწიფო სამსახურში არ მყოფი

**პარტიტურა, პარტიტურ-ი**, მრავალხმოვანი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილების (პარტიების, ნ. პარტია, 6) ერთობლიობა.

**პარტნიორ-ი, პარტნერ-ი**, ამხანაგი; თანამონაწილე, მაგ. კარტის თამაშში.

**პარფიუმერია**, 1) კეთილსუნნელოვან და სხეულის მიმზიდველად გახდის საშუალებათა (საპნისა, წასასმელისა, სულამოსი და სხვ.) წარმოება; 2) ასეთ საგანთა ერთობლიობა; 3) საპარფიუმერიო მაღაზია—სადაც ასეთი საგნები იყიდება.

**პარცელაცია** (პარცელლ-), მიწის ნაკვეთის დაქუცმაცება მცირე ნაწილებად.

**პარციალური**, ნაწილობითი, ცალცალკეული; წილადური.

**პასაჟ-ი** (პასს-), 1) ორ ქუჩაზე გამავალი მაღაზიათა რიგი; 2) მუსიკაში: ტონების ჰარმონიული მონაცვალეობა, წარმოადგენს მელოდიის ნაწილს; 3) განსაკუთრებით საყურადღებო

ნაწილი ლიტერატ. ნაწარმოებში ან მეტყველებაში; 4) მოულოდნელი, უეცარი ამბავი.

**პასაჟირ-ი** (პასს-), მგზავრი (ეტლით, გემით, რკინისგზით, ტრამვაით...).

**პასატები** (პასს-, მრავლ.), ჩრდილო და სამხრეთ ნახევარი სფეროების ნაწილებში ეკვატორისაკენ მუდმივად მქროლი მშრალი ქარები.

**პასექ-ი**, 1) უპირველესად—ებრაელთა საგაზაფხულო მესაქონლეობის დღესასწაული,—დაუკავშირდა შემდგომ მათი ეგვიპტის მონობიდან თავისდახსნის თქმულებებს; ქრისტიანებმა დაუკავშირეს ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომის" ლეგენდას; 2) „სააღდგომო" ტკბილნამცხვარი და ხაჭო.

**პას-ი. პას!** (პასს-), 1) კარტის თამაშში მონაწილეობის შეწყვეტის სიტყვა ● განსაზღვრულ დროს; 2) თავისთავის დამარცხებულად, წაგებულად ცნობა.— **პასვა, ვპასავ.** მონაწილეობას ვწყვეტ, ვცნობ თავს დამარცხებულად, წაგებულად (ქართულად ამბობენ: ფას! ფასვა).

**პასიანს-ი**, სათამაშო კარტის გაშლა განსაზღვრული წესების დაცვით.

**პასივ-ი** (პასს-), 1) ბუხჰალტერიაში: საწარმის მიერ შესასრულებელი ვალდებულებანი,—უპირისპირდება აქტივს (ნ. ეს); 2) გრამატიკაში: ზმნის ვნებითი გვარი; 3) ან **პასიური**, უმოქმედო. სხვისი გავლენის ქვეშ მყოფი, გულგრილი (არმონაწილე) რაიმე ფაქტის მიმართ,—უპირისპირდება აქტიურს ნ. ეს). — **პასივობა, პასიურობა**, უმოქმედობა, გავლენით მოქმედება, გულგრილობა და სხვა.

**პასკვილ-ი**, მამხილებელი შეურაცხმყოფელი ლიტერატურული ნაწარმოები. ჩვეულებრივ—ცილისწამების ხასიათისა; ხშირია ანონიმური (უსახელო) პასკვილი. **პასკვილანტ-ი**, პასკვილის შემდგენელი.

**პასპარტუ**, 1) ყოველგვარი კლიტისათვის (ბოქლომისათვის) მოსარგები გასაღები; 2) ყველგან გამოსადეგი ბილეთი; 3) მუყაოს ჩარჩო სურათისათვის.

**პასპორტ-ი**, პიროვნების დამადასტურებელი საბუთი.— **პასპორტისტ-ი**, მეპასპორტე, პასპორტების ჩამწერი დაწესებულებაში.

**პასტა**, ცომისებრი მასალა.

**პასტელ-ი**, 1) ფერადი ფანქარი,—იხმარება ფერწერაში; 2) ფერადი ფანქრით ქაღალდზე შესრულებული ფერნაწერი (მხატვრობა).

**პასტერიზაცია**, სხვადასხვა საკვები სითხეების (რძის, კონსერვის...)

გაუვნებლობის საშუალება ერთჯამიერი ხანგრძლივი გაცხელების გზით (განსაზღვრულ ტემპერატურამდე),— აღმოჩენილია შესანიშნავი ფრანგი ბიოლოგის, პ ა ს ტ ე რ-ის მიერ (1822—18·5 წ.) — **პასტერიზირება,** ვაპასტერიზირებ, ამგვარად გავაუვნებლებ.—**პასტერიზატორ-ი,** საგანგებო საპასტერიზაციო ქვაბი.

**პასტეტ-ი, პაშტეტ-ი.** 1) დაკეპილხორციანი ხაჭაპურისებრი ნამცხვარი; 2) დაკეპილი ღვიძლისაგან დამზადებული საჭმელი.

**პასტილა, პასტილ-ი** (-ლლ-), დასრესილი ხილეულისაგან შაქარზე დამზადებული კვერისებრი ტკბილეული.

**პასტორალ-ი,** საშ. საუკუნეებში წარმოშობილი პოეტური ნაწარმოების ფორმა, რომლის შინაარსი წარმოადგენდა რაინდის სიყვარულს მწყემსი ქალისადმი.

**პასტორ-ი,** პროტესტანტების მღვდელი.— **პასტორატ-ი,** საპასტორო, პასტორობა.

**პასქვილი,** ნ. პასკვილი.

**პატენტი,** 1) ვაჭრობის ან რაიმე ხელობის უფლების დამადასტურებელი საბუთი (საბჭ. კავშირში გაუქმებულია), 2) საბუთი, რომელიც ეძლევა გამომგონებელს გამოგონების განხორციელების უფლების დასტურად.—**პატენტიანი,** პატენტის მქონე.

**პატერ-ი, პატრ-ი,** კათოლიკეების მღვდელი.

**პატეტ-,** ნ. პათეტ-.

**პატ-ი,** ერთგვარი ძნელი მდგომარეობა ფიგურებისა ჭადრაკის თამაშში, როცა მოთამაშეს არ შეუძლია სვლა მეფის ხიფათში ჩაუყენებლად.

**პატო-,** ნ. პათო-.

**პატრ-ი,** ნ პატერი.

**პატრიარქი,** 1) მამათმთავარი; 2) უზენაესი სასულიერო პირი ქრისტიანულ ეკლესიაში.—**პატრიარქალური,** უძველესი, გვაროვნობითი საზოგადოების დროინდელი; ძველებური, მარტივკულტურიანი, ძველ ჩვეულებათა დამცველი.—**პატრიარქატ-ი,** გვაროვნობითი სასაზოგადოების ისეთი ფორმა, როცა მის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა მამაკაცის (მამის) ნათესაობის ხაზით დაკავშირებული ჯგუფი (შეად. მატრიარქატი).

**პატრიმონიუმ-ი,** მამული; სამემკვიდრეო ქონება.—**პატრიმონიალური,** მემკვიდრეობითი.

**პატრიოტ-ი,** თავისი სამშობლო ქვეყნის მოყვარული.—**პატრიოტიზმ-ი,** პატრიოტობა, სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარული, —განვითარებულია ისტორიულად სხვადასხვა პირობებთან

დაკავშირებით; მისი მატარე ბელია ჩვეულებრივ გაბატონებული კლასები.

პატრიცი, პატრიციები, უფლებრივად და ქონებრივად გაბატონებული წოდება ძველ რომში. —პატრიციატ-ი, პატრიციოპა.

პატრონატ-ი, 1) მფარველობა; პატრონის (მფარველის) წოდება; 2) პატიმართა დამხმარე ორგანიზაცია: ბურჟუაზიულ ქვეყნებში—საქველმოქმედო, ხოლო საბჭოთა კავშირში—სახელმწიფო ხასიათისა. — პატრონესა, პატრონეს-ი (-სს-), საქველმოქმედო დაწესებულების მფარველი ქალი (ბურჟ ქვეყნებში).

პატრონტაშ-ი, თოფის ვაზნების ჩასაწყობი ჩანთა

პატრულ-ი, მხვერავთა რაზმი.

პაუზა, მოკლე დროით შეჩერება, —შეწყვეტა მეტყველებისა, სიმღერისა. საკრავისა და სხვ.

პაუპერიზაცია, გაღატაკება.—პაუპერიზმი, სიღატაკე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისა,—შედეგია საწარმოო ძალთა განუვითარებლობისა (კაპიტალიზმამდე), კაპიტალიზმის ხანაში საწარმოო ძალთა განვითარებამ არა თუ არ მოსპო პაუპერიზაცია, არამედ ხელი შეუწყო მის განვითარებას.

პაფოს-, ნ. პათოს-.

პაქტ-ი, შეთანხმება, შეთანხმებულობა; სამშვიდობო კავშირი (ნ. კელლოგის პაქტი).

პაშტეტ-ი, ნ. პასტეტი.

პაციენტ-ი. ავადმყოფი, რომელიც მკურნალობს ექიმთან.

პაციფიზმ-ი, რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის თანახმად ომიანობის მოსპობა შესაძლებელია მშვიდობიანის გზით კაპიტალიზმის პირობებში.—პაციფისტ-ი, პაციფიზმის მომხრე და მქადაგებელი.

პედაგოგ-ი. აღმზრდელი, მასწავლებელი; პედაგოგიკის მცოდნე.—პედაგოგია, პედაგოგობა, აღმზრდელობა, მასწავლებლობა.—პედაგოგიზაცია, გაპედაგოგება, პედაგოგის სპეციალური ცოდნით აღჭურვა სხვა სპეციალობის პირთა, რათა მათ შესძლონ თავისი სპეციალობის სწავლება; პედაგოგიკის შეტანა სხვა სპეციალობის სასწავლებლებში.— პედაგოგიზირება, ვაპედაგოგიზირებ, ვაპედაგოგებ და სხვ. პედაგოგიკა, მეცნიერება სწავლა აღზრდის შესახებ – იგულისხმება როგორც სწავლა-აღმზრდელობითი პროცესის, ისე იმ გარემოცვის გამოკვლევა, რომელშიც აღსაზრდელს უხდება ცხოვრება; ამიტომ პედაგოგიკის შინაარსი განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის.—პედაგოგიკური, პედაგოგიკის ხასიათისა.—პედაგოგიური, აღმზრდელობითი.

**პედალ-ი**, ფეხით ასამოძრავებელი მოწყობილობა 1) სამუსიკო საკრავში (ფორტეპიანოში, არფაში, ორგანში) ბგერის ხასიათის შესაცვლელად, 2) სხვადასხვა მანქანებში (ავტომობილში ველოსიპედზე და სხვ.).

**პედანტ-ი**, უმნიშვნელო წვრილმანების დამცველი და მომთხოვნელი ადამიანი.—**პედანტიზმ-ი**, პედანტობა, წვრილმანის დამცველობა.

**პედელ-ი**, 1) დაწესებულების (უმთავრესად უნივ—ტის) მსახური გერმანიაში; 2) სტუდენტის ყოფაქცევის თვალყურის მდევნებელი მსახური რევოლუციამდე რუსეთში.

**პედერასტია**, მამათმავლობა (საბ.), სქესობრივი მოთხოვნილების არაბუნებრივად დაკმაყოფილება მამაკაცისა მამაკაცთან.—**პედერასტ-ი**, ასეთის ჩამდენი მამაკაცი.

**პედიატრია**, მეცნიერება ბავშვის ავადმყოფობათა შესახებ.—**პედიატრ-ი**, პედიატრიის სპეციალისტი.

**პედოლოგია**, 1) მეცნიერება ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა და იმ პირობების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მაზე.—**პედოლოგ-ი**, პედოლოგიის სპეციალისტი; 2) მეცნიერება ნიადაგის შესახებ, ნიადაგთმცოდნეობა.

**პეიზაჟ-ი**, ლანდშაფტი (ნ.), ადგილსანახაობა ბუნებაში ან მისი გამოსახულება სურათზე.—**პეიზაჟისტ-ი**, პეიზაჟის შემსრულებელი მხატვარი.

**პელაგიკური**, ზღვისეული.—**პელაგიკური** ცხოველები და მცენარეები, წყალში მცხოვრები და პასიურად მცურავი ცხოველები და მცენარეები (მაგ. მედუზები, წყალმცენარეები და სხვ.).

**პელასგები** (მრავლ.), ბერძნებამდე მოსახლე ხალხი უძველეს საბერძნეთში (იაფეტური თეორიით—იაფეტიდები).

**პელერინ-ი**, მოკლე წამოსასხამი ტანსაცმელზე.

**პელიკანები** (მრავლ.), 1) მცურავი დიდი ფრინველები, ვარხვები; 2) პ ე ლ ი კ ა ნ ი ეწოდება აგრეთვე ერთგვარ პურჭელს, კბილსაძრობ იარაღს და სხვ.

**პემზა**, მინქაფა: ვულკანური წარმოშობის მინა, - იხმარება ლითონის, ხის და ქვის საპრიალებლად.

**პენალ-ი**, ფანქრისა, კალმისა და სხვ. საწერი იარაღების შესანახი მოგრძო ყუთი.

**პენატ-ი**, **პენატები**, 1) ძველ რომაელთა ოჯახის ღმერთები; 2) საკუთარი ოჯახი, სამშობლო.

**პენი** (პენს-), **პენს-ი**, ინგლისური ფული, დაახლოებით 4 კაპ.

**პენის-ი**, მამაკაცის სასქესო ორგანო.

**პენიტენციარიუმ-ი**, საპატიმრო, გამასწორებელი დაწესებულება. — **პენიტენციარული**, დაპატიმრებითი, პატიმრობითი; გამასწორებელი.

**პენს-ი**, ნ. პენი.

**პენსია**, მთელი სიცოცხლივი სარჩო, —ეძლევა ნამსახურობისათვის, ინვალიდობისათვის ყოფილ მოსამსახურეს; აგრეთვე მის რჩენაზე მყოფთ — მისი გარდაცვალების შემდეგ. — **პენსიონერ-ი**, პენსიის მიმღები.

**პენსნე**, ცხვირზე მოჭერილი სათვალე.

**პეპსინ-ი**, კუჭის ლორწოიანი გარსის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება, — ხსნის ცილეულს - **პეპტონები** (მრავლ.), ცილეულების გახსნის შედეგი მოხელებისას.

**პერგამენტი**, ეტრატი: ერთგვარად დამუშავებული ცხოველის ტყავი, — იხმარება მილების, დაფის და სხვ. დამზადებაში, ძველად გამოყენებული იყო საწერ მასალად (ქაღალდის მაგიერ). — **პერგამენტის** ქაღალდი, მცენარეულისაგან დამზადებული პერგამენტისებრი სქელი ქაღალდი.

**პერ-ი, პერები**, 1) განსაკუთრებულ პრივილეგიებიანი წოდება ძველად საფრანგეთში და ინგლისში; 2) ლორდთა პალატის მემკვიდრეობითი წევრები (ან ასეთ უფლებიანი) ინგლისში (ჰერცოგები, გრაფები, მარკიზები...).

**პერი-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს:] ახლოს, გარშემო და სხვ.

**პერიგეი, პერიგე**, დედამიწასთან უახლოესი წერტილი მთვარის ორბიტისა, — უპირისპირდება აპოგეის (ნ. ეს).

**პერიგელიუმ-ი**, ნ. პერიჰელიუმი.

**პერიდინეა, პერიდინეები**, მოძრაობისუნარიანი ერთუჯრედა წყალ-მცენარეები, — ზოგიერთნი ანათებენ და იწვევენ ზღვის ნათებას.

**პერიეკები** (მრავლ.), სპარტის (ძვ. საბერძნეთში) პოლიტიკურად არასრულუფლებიანი მოსახლეობა, — რომელთა ხელში იძყოფებოდა ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა.

**პერიკარდი**, გულისაბგის კედელი. — **პერიკარდიტ-ი**, გულის საროზული გარსის ანთება.

**პერიმეტრ-ი**, გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძეთა ჯამი.

**პერიოდ-ი**, 1) დროის შუალედი, განსაზღვრული ხანგრძლივობა, რომელიც შეიცავს ერთ რაიმე განსაზღვრულ პროცესს; 2) ხანგრძლიობა ორი ერთნაირი მდგომარეობის შორის; 3) ერთი რხევის ხანგრძლიობა (რხევითს მოძრაობაში); 4) ისტორიაში: ამათუიმ სოციალურ

და კულტურული მოვლენის არსებობის დრო. **პერიოდიზაცია**, დაპერიოდება, პერიოდებად დაყოფა. — **პერიოდული**, ხანგამოშვებითი, განმეორებითი განსაზღვრულ ვადაში. — **პერიოდული გამოცემები**, ბეჭდვითი ნაწარმოებები, რომლებიც გამოიცემიან განსაზღვრულ ვადაზე დროგამოშვებით (ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად და სხ.).

**პერიპატეტიკოსები** (მრავლ.), ძვ. საბერძნეთის ფილოსოფოსის, არისტოტელის (384—322 ქ. წ.), ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარნი.

**პერიპეტია**, 1) სასცენო დრამის მსვლელობაში უეცარი ცვლილება დრამის გმირის ბედ-იღბლისა; 2) მოულოდნელი ცვლილება ადამიანის ცხოვრებაში

**პერისკოპ-ი**, მუხლოვანი დურბინი, —იხმარება სახმელეთო და საზღვაო ომის დროს; მისი საშუალებით დაინახება მოფარებული საგნები.

**პერისტალტიკა, -ური მოძრაობა**, ღრუ ორგანოების (კუჭის, ნაწლავების და სხ.) ტალღებრი (ჭიისებრი) მოძრაობა, რომელიც ხელსუწყობს საჭმლის გადაძვრას (შ. ანტიპერისტალტიკა).

**პერისტილ-ი**, დახურული დერეფანი შენობის კედელსა და სვეტების რიგს შუა—შენობაში ან მის გარეთ.

**პერიტიფლიტ-ი**, მუცლის აპკის შემოზღუდული ანთება ბრმა ნაწლავის არეში.

**პერიტონეუმ-ი**, მუცლის აპკი.— **პერიტონიტ-ი**, პერიტონეუმის ანთება.

**პერიფერია**, 1) გარენაწილი (შიდანაწილის დაპირისპირებით); 2) რაიმე საგნის (ფართობის, სხეულის) განაკიდე, კიდური. —**პერიფერიული**, ზედაპირზე, კიდეზე მდებარე.

**პერიფრაზ-ი**, აღწერილობითი თქმა მაგ. სახელწოდების შეცვლა დამახასიათებელი ნიშნეულობით („საბჭოთა კავშირი“-ს ნაცვლად „სოციალისტური მშენებლობის ქვეყანა“).

**პერიჰელიუმ-ი**, პლანეტის ორბიტის უახლოესი წერტილი მზის მიმართ.

**პერკუსია** (**პერკუსს-**), სამკურნალო კვლევის ერთერთი მეთოდი: ექიმი არკვევს შინაგანი ორგანოების (ფილტვების, გულის, ღვიძლის ..) მდებარეობას და სხვადასხვა ცვლილებას იმის მიხედვით, თუ როგორ ხმას გამოსცემს ღრუები ამათუიმ ადგილას სხეულზე (იხმარება სარტყმელი ჩაქუჩი ან ურტყამს თითით თითზე სხეულის განსაზღვრულ ადგილს).

**პერლუსტრაცია**, წერილების საიდუმლოდ გახსნა და წაკითხვა.

**პერმანენტული**, მუდმივი, განუწყვეტელი.—**პერმანენტული რევოლუცია**, განუწყვეტელი რევოლუცია, რომლის თეორია დასაბუთებულ იქნა მ ა რ ქ ს - ე ნ გ ე ლ ს - ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ და განხორციელდა ოქტომბრის რევოლუციით: ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუცია თავის განვითარებაში გარდაიქმნება სოციალისტურ რევოლუციად. ამ თეორიაში შეიტანა „შესწორება" ლ. ტ რ ო ც კ ი მ, რითაც მან დაუპირისპირა პროლეტარული რევოლუცია გლეხობას და მით დაამახინჯა ლენინური თეორია პერმანენტული რევოლუციისა.

**პერნიციოზული**, ავთვისებიანი (ავადმყოფობა).

**პერონ-ი** (**პერრ-**), გადახურული ბაქანი რკინიგზის სადგურზე მატარებლის გასაჩერებელთან ან თეატრის მისავალთან.

**პერპენდიკულარ-ი**, მართშვეული: წრფე (სწორი ხაზი) რომელიც ქმნის მართკუთხეებს მეორე წრფესთან ან სიბრტყესთან.

**პერსონა**, 1) პიროვნება, 2) დიდი პიროვნება.—**პერსონა გრატა**, პიროვნება, რომელსაც ვინმე სწყალობს.—**პერსონალ-ი**, პირადი შემადგენლობა დაწესებულებისა. — **პერსონალური**, პირადი, პიროვნებისა. —**პერსონაჟ-ი**, ლიტერატურული ნაწარმოების მოქმედი პირი.—**პერსონიფიკაცია**, განსახიერება, განპიროვნება; განყენებული ცნების წარმოდგენა პიროვნების სახით (მაგ. სიკვდილისა — ცელიანი ჩონჩხ-კაცის სახით). —**პერსონიფიცირება**, ვაპერსონიფიცირებ, განვასახიერებ, განვაპიროვნებ.

**პერსპექტივა**, **პერსპექტივ-ი**, 1) მხატვრობითი გეომეტრიის ნაწილი, — შეისწავლის წესებს სხეულთა გამოსახულებისას რაიმე ფართეულზე; 2) საგანთა გამოსახვა (მხატვრობაში) ისე, როგორც ისინი ჩანან განსაზღვრული წერტილიდან; 3) მომავალში მოსალოდნელი რამ. —**პერსპექტიული**, პერსპექტივის ხასიათისა, განხორციელებლად მოსალოდნელი.

**პერტურბაცია**, აღრევა, შეშფოთება წესიერების დარღვევა.

**პერფექტ-ი**, ნამყო სრული (გრამ.).

**პერფორატორ-ი**, 1) მანქანური ბურღვის მოწყობილობა. იხმარება სამთამადნო საქმეში; 2) ქირურგიაში: იარაღი რომლითაც უხვრეტენ თავს დაუბადებელ ნაყოფს ძნელი მშობიარობისას.—**პერფორაცია**, 1) პერფორატორით მოქმედება;

დაბურღვა (სამთამადნო), გახვრეტა (ქირურგ.); 2) მედიცინაში: მუცლის ღრუ ორგანოების და სისხლ-ძარღვების გახვრეტა (გაგმირვა) რაიმე ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო (მაგ. ტყვიით გაგმირვა).

**პერცეფცია**, აღქმა (ფ.სიქოლოგ.)

**პესიმიზმ-ი** (პესს-), 1) ოპტიმიზმის (ნ. ეს) საწინააღმდეგო ფილოსოფიური მოძღვრება: არსებული მსოფლიოს მიჩნევა უვარგისად, რადგან მასში ბოროტება სჭარბობს კეთილს, ტანჯვა—სიამოვნებას და სხ.,—წარმოადგენს მომაკვდავი კლასების უიმედო მსოფლმხედველობას საზოგადოებრივი ფორმაციების მძლავრი ცვლილებების ხანაში; 2) უიმედობა, სასოწარკვეთილება.—**პესიმისტ-ი**, პესიმიზმის მომხრე და მისი მქადაგებელი; იმედდაკარგული, სასოწარკვეთილი.

**პეტარდა, პეტარდი**, 1) წინეთ: დენთით გატენილი ლითონის ქურქელი,—იხმარებოდა სამხედრო საქმეში ასაფეთქებლად (ხიდებისა და სხვ.), 2) სანიშნო (სასიგნალო) პატარა ყუმბარა,—იხმარება მატარებლის გასაჩერებლად რაიმე მოსალოდნელი ხიფათის დროს.

**პეტიტ-ი**, წვრილი შრიფტი (სტამბაში).

**პეტიცია**, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში: თხოვნა, შუამდგომლობა, რომელსაც წარუდგენს მოქალაქეთა რომელიმე ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენელს — მეფეს, პარლამენტს, პრეზიდენტს და სხვას, რომლისთვისაც პეტიციის განხილვა სავალდებულო არ არის.

**პეტროგრაფია**, მეცნიერება მთის ქანების შესახებ,—იკვლევს მათ წარმოქმნისა, მინერალური შედგენილობისა და ჩაწოლის პირობების თვალსაზრისით.—**პეტროგრაფ-ი**, პეტროგრაფიის სპეციალისტი.

**პიანინო**, შვეულსიმებიანი მომცრო ფორტეპიანო (ნ. ეს).—**პიანისტ-ი**, პიანინოზე ან ფორტეპიანოზე დაკვრაში დახელოვნებული მუსიკოსი.

**პიანო**, ჩუმად, სუსტად, არახმამაღლა (მუსიკაში).—**პიანისსიმო**, ძალიან ჩუმად.

**პიანოლა**, ფორტეპიანოზე ავტომატურად დასაკვრელი იარაღი.

**პიასტრ-ი**, ეგვიპტური (დაახლ. 10 კაპ.) და ოსმალური (დაახლ. $8\frac{1}{2}$ კაპ.) ფული.

**პიგმე-ი, პიგმეები**, ძვ. ბერძნულ მითოლოგიით: 1) ჯუჯაკაცთა ტომი; 2) კაცუნა (ტანით ან ან გონებით).—**პიგმოიდები**. საშუალოზე დაბალი ადამიანები (არაჯუჯა).

პიგმენტი, პიგმენტები, მღებავი ნივთიერებანი,—აძლევენ ამათუიმ ფერს მცენარეულს და ცხოველურ ქსოვილებს.—პიგმენტაცია, მღებავი ნივთიერებების გამომუშავება მცენარესა და ცხოველში.

პიედესტალ-ი, კვარცხლბეკი: ქანდაკების ან სვეტის ფუძე.

პიესა, დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები.

პიეტეტ-ი, რაიმესადმი ან ვინმესადმი გადაჭარბებული საპატივცემო დამოკიდებულება,—მოწიწება.—პიეტიზმ-ი, 1) რელიგიური მიმდინარეობა პროტესტანტთა შორის 17—18 საუკ.,—უპირისპირებდა გრძნობას ადამიანის გონებას (განმანათლებელი ფილოსოფიის წინაამდეგ); 2) ცრუსათნოიანობა.—პიეტისტ-ი, პიეტიზმის მიმდევარი, ცრუსათნოიანი.

პითეკანთროპუს-ი, პითეკანთროპ-ი, კუნძულ იავა-ზე ნამარხში პოვნილი ადამიანისებრი არსების ნაშთი, — მეცნიერთა აზრით წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს პირველყოფილ ადამიანსა და ადამიანისებრ მაიმუნს შორის.

პითონ-ი, დიდი უშხამო გველი ტროპიკულ ქვეყნებში.

პიკა, პიკ-ი, შუბი. — პიკადორ-ი, შუბიანი ხართან მებრძოლი მხედარი (ესპანეთში).

პიკანტური, 1) მკვეთრი, მწვავე; 2) ამგზნები, ვნებათამძვრელი.

პიკე, ერთგვარი სქელი ბამბის ქსოვილი —რელიეფურ-მოსახულობიანი,—მისაგან მზადდება საზაფხულო ქუდები, კოსტიუმები, საბნები და სხვ.

პიკეტი, 1) მცირე მოდარაჯე ან ან მზვერავი რაზმი; 2) გაფიცვების დროს მუშებისაგან შედგენილი ჯგუფი, რომელსაც ევალება კავშირის გაბმა მასებსა და გაფიცვის კომიტეტს შორის, შტრეიკბრეხერების თვალყურის დევნება და სხვ.; 3) ძველებური კარტის თამაში.

პიკნიკ-ი, ქალაქგარეთ ჯგუფურად გასეირნება დროსტარების მიზნით; მცირე ქეიფი.

პიკტ-, ნ. პიქტ-.

პიკული, მწნილად ძმარში ჩადებული მწვანილი.

პილიგრიმ-ი, სალოცავად გამგზავრებული, მლოცველი.

პილოტ-ი, აეროპლანის მმართველი ფრენისას.—პილოტაჟ-ი, პილოტობა, აეროპლანის მმართვის ხელოვნება.

პილულ-ი, ბურთულის სახით დამზადებული რაიმე გადასაყლაპავი წამალი.

პინგვინ-ი, მცურავი დიდი ფრინველი,—ვერ ფრინავს, ცხოვრობს უმთავრესად სამხრეთ პოლუსის ქვეყნებში.

**პინგ-პონგ-ი**, ერთგვარი თამაშობა — სამაგიდო ტენისი (ნ. ეს).

**პინია**, იტალიური ფიჭვი. **პინიოლი**, პინიის ნაყოფი.

**პინჩერი**, მომცრო ტანის ძაღლის ჯიში, — იჭერს თაგვებსა და ვირთხებს.

**პინცეტ-ი** (-ტტ-), ქლიბი: ზამბარაკიანი პატარა მაშაკი, — იხმარება სამკურნალო ოპერაციებისას და ტექნიკაში.

**პიონერ-ი, პიონერები**, 1) კულტურის პირველად შემტანნი ჩრდ. ამერიკაში; 2) სამხედრო საინჟინერო ნაწილები გერმანიისა და საფრანგეთის და ძველი რუსეთის არმიებში; 3) ახალი გზების გამკვლევი რაიმე დარგში; 4) ახალგაზდა პიონერთა საბავშო კომუნისტური ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში — 1921 წლიდან — ისახავს მიზნად წევრთა პოლიტიკურ, კულტურულ და ფიზიკურ აღზრდას.

**პიპეტ-ი** (-ტტ-), მინის მილაკი, — იხმარება მცირე განსაზღვრული რაოდენობის სითხის ამოსაღებად, აგრეთვე — წვეთობრივ სასხმელად.

**პიჟამა**, მსუბუქი საშინაო ზედატანსაცმელი.

**პიქონი**, გულუბრყვილო ახალგაზდა ვაჟი, აგრეთვე — პრანჭია ჩაცმულობაში.

**პირამიდ-ი**, 1) ძველი ეგვიპტის ფარაონთა (მეფეთა) უზარმაზარი თავწაწვეტილი ძეგლი, — წარმოადგენდა მათ სასაფლაოს; 2) მრავალწახნაგა, რომლის ყველა წახნაგები (ფუძის გარდა) თავს იყრიან მწვერვალში (გეომეტრ.).

**პირამიდონ-ი**, ერთგვარი წამალი, იხმარება თავისტკივილისა, ნევრალგიისა და სიცხის წინააღმდეგ.

**პირატ-ი**, მეკობრე, ზღვის ყაჩაღი.

**პიროგენური**, ცეცხლისაგან წარმოქმნილი. — **პიროელექტრობა**, ზოგიერთი კრისტალის ბოლოებზე დადებითისა და უარყოფითი ელექტრობის წარმოქმნა გახურების შედეგად. — **პირომეტრ-ი**, 300 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის საზომი ხელსაწყო. — **პიროსკოპ-ი**, მაღალი ტემპერატურის დაახლოებით განმსაზღვრელი ხელსაწყო. — **პიროტექნიკა**, ტექნიკური ქიმიის ერთერთი დარგი. — ამზადებს მფეთქარე და წვად ნაერთებს რაკეტებისა, სანიშნო ცეცხლისა, ბენგალური ცეცხლისათვის და სხვას მისთანას. — **პიროქსილინ-ი**, მფეთქარე ნივთიერება, — მზადდება ბამბის ერთგვარი დამუშავებით.

**პირუეტ-ი** (-ტტ-), 1) ფეხისწვერზე შემოტრიალება ცეკვაში; 2) მხედრისმიერ ცხენის შემოტრიალება უკანა ფეხებზე.

**პისტონი**, ნ. ფისტონი.

**პისუარ-ი** (პისს-), შარდის ჩასასხმელი.

**პიტეკ-**, ნ. პითეკ-.

**პიუპიტრ-ი**, დაფერდებული ჩარჩოიანი მაგიდა,—იხმარება წიგნებისა, ნოტებისა და სხვ. დასადებად.

**პიქტოგრაფია**, ხატოვანი წერა, რომელშიც აზრი გადმოიცემა სურათების საშუალებით.

**პიჯაკ-ი**, **ფიჯაკ-ი**, მამაკაცის ზედატანსაცმელი—კოსტიუმის ნაწილი.

**პლაგიატ-ი**, სხვა ავტორის ნაწარმოების მითვისება ან მით სარგებლობა ნამდვილი ავტორის მოუხსენიებლად. — **პლაგიატორ-ი**, პლაგიატის ჩამდენი.

**პლაზმა სისხლისა**, სისხლის თხევადი შემადგენელი ნაწილი.

**პლაკატ-ი**, ფერადებით დასურათებული განცხადება-მოწოდება,—გაიკვრება ქუჩაზე და საჯარო ადგილებზე; საბჭოთა კავშირში სარევოლუციო პლაკატმა შეასრულა დიდი როლი და დღესაც მას ენიჭება დიდი კულტურულ და პოლიტიკურ-განმანათლებელი მნიშვნელობა.

**პლანერ-ი**, უმოტორო საფრენი მოწყობილობა.—**პლანერიზმ-ი**, საზოგადოებრივი სასპორტო მოძრაობა საპლანერო საქმის განვითარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირში მიეცა დიდი მნიშვნელობა ამ უკანასკნელ დროს (დაარსდა საპლანერო ინსტიტუტი მოსკოვში).

**პლანეტ-ი**, ცთომილი: მზის გარშემო მოძრავი ციური სხეული,—მოკლებულია საკუთარ სინათლეს და იღებს მას მზისაგან (ასეთებია: მერკური, ვენერა, დედამიწა. მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და სხვა ათასზე მეტი მცირე პლანეტი).—**პლანეტარიუმ-ი**, პლანეტთა მოძრაობის თვალსაჩინოდ წარმომდგენი მოწყობილობა.

**პლანიმეტრია**, გეომეტრიის ნაწილი,—სწავლობს ისეთი ფიგურების თვისებებს, რომელთა ყველა წერტილები ძევს ერთ სიბრტყეზე.—**პლანიმეტრ-ი**, ნახაზი ფიგურების ფართობის საზომი იარაღი.

**პლანტაჟ-ი**, სარგავად მიწის დამუშავება. — **პლანტაცია**, სპეციალური კულტურული მცენარეულობის (ბამბის, ჩაის, ყავის და სხვ.) მეურნეობა.—**პლანტატორ-ი**, პლანტაციის მეპატრონე.

**პლანშაიბ-ი**, სახარატო (ან სხვა) დაზგის ნაწილი სადაც დაკავებულია დასამუშავებელი საგანი.

**პლანშეტ-ი**, 1) მენზულის (ნ. ეს) დაფა, რომელზედაც იხატება გეგმა; 2) მასზე გადაღებული გეგმა.

პლაჟ-ი, ზღვის ნაპირი, ჩვეულებრივ ზღვის კურორტებზე.

პლასტ-ი, ფენი.

პლასტიკა, 1) ძერწვა-ქანდაკების ხელოვნება; 2) თანშეზომილი და მოქნილი გამოსახულება ფორმათა სხვადასხვა ხელოვნებაში; 3) სხეულის მოძრაობათა სილამაზე და სინაზე.—პლასტიკური, პლასტიკის ხასიათისა, მოქნილი, რბილი, რელიეფური და სხვა; პლასტიკური მასალაა: თიხა, ცვილი და სხვ.; პლასტიკური ხელოვნებებია: ქანდაკება, ცეკვა და სხვ.

პლასტილინ-ი, ძელად მშრობარედ დამზადებული თიხა—საგანგებო ნივთიერების შერევით, იხმარება ძერწვაში და ქანდაკებაში.

პლასტირ-ი, მალამო, ლბუნი (საბ.), სალბუნი.

პლასტუნ-ი, პლასტუნები, რუსეთში მეფობისას—ყუბანის კაზაკების ქვეითი რაზმები.

პლატან-ი, ჭანდარი, ჭანდრისხე.

პლატინ-ი, თეთრი ოქრო: ქიმიური ელემენტი; მოლურჯო თეთრი კეთილშობილი ლითონი,—ქიმიურ ზედმოქმედებათა გამძლეობის გამო იხმარება სალაბორატორიო ხელსაწყოებისათვის და სხვ.

პლატო, ზეგანი, ვაკე მაღლობი.

პლატონიკური, პლატონური, არაგრძნობიერი, არახორციელი, იდეალური (მაგ. პლატონიკური სიყვარული), განუხორციელებელი (მაგ. პლატონიკური სურვილი), — დაკავშირებულია ძვ. საბერძნეთის იდეალისტი ფილოსოფოსის, პ ლ ა ტ ო ნ ის (427—348 წ. ქ. წ.) სახელთან.

პლატფორმა, 1) ამაღლებული ბაქანი რკინისგზის სადგურზე; 2) სარკინისგზო უსახურავო და უკედლო ვაგონი, — იხმარება ტვირთსაზიდად; 3) საორატორო ამაღლებული ბაქანი: 4) პოლიტიკური პარტიის (ან პიროვნების) სამოქმედო პროგრამა.

პლაფონ-ი, მხატვრულად შემკობილი ჭერი.

პლაშჩ-ი, ლართი, წამოსასხამი.

პლაც-ი, ფართო მოედანი, უმთავრესად—სამხედრო ვარჯიშობისათვის.—პლაცდარმ-ი, 1) შესაკრები მოედანი ციხე-სიმაგრესთან; 2) ადგილი სადაც იკრიბება და ემზადება ლაშქარი შეტევაზე გადასასვლელად.

პლაცკარტ-ი, ბილეთი მატარებლის დანომრილი ადგილისა.

პლეადა, ნ. პლეიად-ი.

პლებეი, პლებს-ი, 1) ძველი რომის უუფლებო (მეხუთე საუკუნემდე ქ. წ.) მოსახლეობა,—უპირისპირდება პ ა ტ რ ი ც ი ე ბ ს (ნ. ეს), რომელთაც გაუთანასწორდნენ უფლებებში

თანდათან (5—3 საუკ.)—ფულის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით; 2) დაბალი კლასის წარმომადგენლის დამამცირებელი სახელი; მდაბიო, ტლანქი ადამიანი.

**პლებისციტ-ი**, 1) პლებსის (პლებეების) სახალხო კრებაზე მიღებული კანონი - ძველ რომში; 2) მოსახლეობის (ან ამრჩეველთა) საყოველთაო დაკითხვა რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად—ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

**პლებს-ი**, ნ. პლებეი.

**პლედ-ი**, სქელი შალი.

**პლევრა**, გულმკერდის ღრუს კედლისა და ფილტვების დამფარავი თხელი გარსი.—**პლევრიტ-ი**, პლევრის ანთება.

**პლეთორა**, სისხლჭარბობა.—**პლეთორული**, სისხლჭარბობითი.

**პლეიადი**, 1) რაიმე დარგში გამოჩენილ პირთა ჯგუფი; 2) **პლეიადები**, ვარსკვლავთა კრებული კუროს თანავარსკვლავედში.

**პლენარული**, ნ. მომდევნო სიტყვა.

**პლენუმ-ი**, რაიმე ორგანიზაციის (საზოგადოების, პარლამენტის და სხვ.) კრება სრული შემადგენლობით. — **პლენარული**, სრულშემადგენლობიანი (სხდომა, კრება).

**პლეონაზმ-ი** ერთმნიშვნელობიანი სიტყვების ჭარბად ხმარება ლაპარაკში ან წერაში.

**პლესიმეტრ-ი** (პლესს-), საპერკუსიო ფირფიტა — (ლითონის, ძვლის ან ხისა). ნ. პერკუსია.

**პლეტორა**, ნ. პლეთორა.

**პლიაჟ-ი**, ნ პლაჟი.

**პლინთუს-ი**, ვიწრო ფიცარი,—ფარავს ღია პირს კედელსა და იატაკს შუა.

**პლიოცენ-ი**, მესამეული სისტემის ზედაფენი (გეოლოგ.).

**პლისე** (პლისსე), ნაოჭზოლიანი საკაბე ქსოვილი.

**პლის-ი**, პირხაოიანი ბამბის ქსოვილი.

**პლიტა**, 1) ფილა, ქვის ან ლითონის ბრტყელი ნაჭერი; 2) სამზარეულო პლიტა, ნახვრეტებიანი თუჯის ფიცარი,—იდგმის ცეცხლზე, ხოლო მასზე დგამენ ქვაბს, ტაფას და სხვ...; სამზარეულო პლიტა ეწოდება აგრეთვე მთელს ნაშენს ცეცხლსანთებიანად და თუჯისფიცრიანად.

**პლიუს-ი**, ნ. პლუსი.

**პლიუშ-ი**, ნ. პლუში.

**პლომბ-ი**, 1) საქონელზე (ან საქონლიან) ვაგონის საკეტზე ჩამოსაკიდი ტყვიის დამღა (ბეჭედი); 2) კბილის ღრუს ამოსავსები მასალა.—**პლომბვა**, ვპლომბავ, ვუკეთებ პლომბს (საქონელს, კბილს).

**პლომბირ-ი**, ცუკატებიანი ნაყინი ნაღები.

პლუვიოგრაფ-ი, წვიმის რაოდენობის ჩასაწერი ხელსაწყო.—პლუვიომეტრი, წვიმსაზომი.

პლუმაჟ-ი, ფრთოვანი სამკაული ქუდისა (ან ტანსაცმლის).

პლურალ-ი, მრავლობითი რიცხვი (გრამატ.).—პლურალიზმ-ი, ფილოსოფიური შეხედულება რომლის თანახმად მსოფლიო შედგენილია მრავალ შინაგნად დაუკავშირებელ არსთაგან.—უპირისპირდება მონიზმს (ნ. ეს).

პლუს-ი, შეკრების ნიშანი (+) ორი რიცხვის შუა; 2) დადებითი სიდიდის მაჩვენებელი იგივე ნიშანი; 3) უპირატესობა.

პლუტოკრატია, საზელმწიფოს ისეთი მმართველობა, როცა ხელისუფლება მდიდართა ხელშია.—პლუტოკრატ-ი, სიმდიდრის გამო გავლენის მქონე პირი.

პლუშ-ი, 1) ერთგვარი ლიანი (ნ. ეს); 2) გრძელხაოიანი ხავერდისებრი ქსოვილი.

პნევმატიკა, აირების (გაზების) მოძრაობის კანონთა შემსწავლელი დარგი მექანიკისა.—პნევმატიკური, 1) პნევმატიკის ხასიათისა; 2) შეკუმშული ჰაერით მოქმედი (მაგ.: პნევმატიკური მანქანა, შეკუმშული ჰაერით მომუშავე მანქანა); პნევმატიკური ფოსტა, წერილების და სხვა მისთანათა გადაგზავნა მილებში შეკუმშული ჰაერის მოქმედებით.

პნევმოგრაფი, პნეიმოგრაფ-ი, სუნთქვითი მოძრაობის გრაფიკულად (მრუდეების სახით) ჩამწერი ხელსაწყო.

პნევმოკოკკები (მრავლ.), ფილტვების კრუპოზული ანთების აღმძვრელი კოკკები (ნ. ეს).

პნევმონია, პნევმონიტ-ი, პნეიმონია, ფილტვების ანთება (ცწვავე ან ქრონიკული, კრუპოზული ან კატარული, ნ. ესენი).

პოდაგრა, ნიკრისი, ხელფეხის სახსრების ავადმყოფური ტეხა — პოდაგრიკ-ი, პოდაგრით დაავადებული.

პოეზია, 1) ერთერთი იდეოლოგიური ხელოვნება — სიტყვიერი ხელოვნება; სიტყვიერი მასალით წარმოდგენილი მხატვრული (ხატოვანი) აზროვნების ნაყოფი,—მოქმედობს უმთავრესად ადამიანის გრძნობაზე; 2) ლექსად დაწერილი ნაწარმოები.—პოეზიური (და არა „პოეტური", ნ. პოეტი), პოეზიის ხასიათისა, მხატვრული; წარმტაცი და სხვა, მაგ. პოეზიური სანახაობა, მშვენიერი სანახაობა; პოეზიური ნაწარმოები და სხვ.

პოემა, საკმარისად დიდი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები მთლიანი შინაარსისა, უმთავრესად ლექსად დაწერილი (განსხვავებულია პოემა კლასიკური, რომანტიკული და ახალი—19—20 საუკუნისა).

**პოეტ-ი**, მგოსანი, პოეზიური ნაწარმოების ავტორი. – **პოეტესა**, მგოსანი ქალი.—**პოეტური**, პოეტის ხასიათისა, მისთვის დამახასიათებელი, მისი ნამოქმედარი და სხვ., მაგ. **პოეტური შემოქმედება.**

**პოეტიკა**, პოეზიის თეორია,—წარმოადგენს მეცნიერებას პოეტური ფორმებისა და მათი განვითარების შესახებ.

**პოზა**, 1) ადამიანისა (ან ცხოველის) სხეულის ესათუის მდგომარეობა; 2) სხეულისათვის განზრახ ამათუიმ მდგომარეობის მინიჭება.—**პოზირება**, **ვპოზირებ**, მხატვრის (ან მოქანდაკის) მოდელად ვარ.—**პოზიტურა**, სხეულის ესათუის დაყენებულება.

**პოზიტივ-ი**, ფოტოგრაფიაში: ნეგატივიდან გადაღებული გამოხატულება, რომელზედაც ნათელი ადგილი საგნისა გამოდის ნათლად, ხოლო ბნელი—ბნელად (ნ ნეგატივი).—**პოზიტიური**, დადებითი; ცდაზე, გამოცდილებაზე დამყარებული.—**პოზიტიური ფილოსოფია**, ნ. პოზიტივიზმი.

**პოზიტივიზმი**, **პოზიტიური ფილოსოფია**, ფილოსოფიური მოძღვრება ო გ ი უ ს ტ  კ ო ნ ტ ი ს ა (1798 1853) და იმავე ხასიათის იდეალისტური მიმართულება, რომლის გამოსავალი წერტილია გამოცდილებით მოცემული ფაქტები; იგი იკვლევს მოვლენათა ურთიერთ მუდმივ კავშირს, და არა მათ მიზეზს (პოზიტივიზმის კრიტიკა მოცემულია ვ ი. ლენინის მიერ).—**პოზიტივისტ-ი**, პოზიტივიზმის მიმდევარი.

**პოზიტიური**, ნ. პოზიტივი.

**პოზიცია**, 1) ომში საბრძოლველად გამზადებული ჯარის სადგომი ადგილი; 2) ფარიკაობაში მოწინააღმდეგეთა მიერ დაკავებული ადგილი; 3) ფეხების მდგომარეობა ცეკვაში; 4) ხელის მდებარეობა მუსიკალურ საკრავზე დაკვრის დროს; 5) თვალსაზრისი კამათის დროს და სხვ.—**პოზიციური**, პოზიციური ხასიათისა: **პოზიციური ომი**, ომის ისეთი სახე, როცა მოწინააღმდეგე მხარეები ომობენ ადგილუცვლელი პოზიციებიდან—ძალთა წონასწორობის გამო.

**პოზუმენტ-ი**, აბრეშუმის ან მატყლის ფუძიანი ოქრომკედით ნაქსოვი ბაფთა (ლენტი).

**პოკერ-ი**, ერთგვარი აზარტიანი თამაში ბანქოსი.

**პოლარიზატორ-ი**, ნ. პოლარიზაცია.

**პოლარიზაცია**, 1) სინათლისა: სინათლის შუქის რხევანი (სრულად ან ნაწილობრივ) ერთის მიმართულებით, ერთ სიბრტყეში; 2) ელექტროდებისა: გალ-

ვანური ელემენტების მოქმედებისას მათი ძაბვის დასუსტება. —**პოლარიზატორ-ი**, ბუნებრივი სინათლის პოლარიზებულად გადამქცევი. — **პოლარიზაციული**, პოლარიზაციის ხასიათისა. — **ხაპოლარიზაციო**, პოლარიზაციისათვის დანიშნული,—განკუთვნილი. — **პოლარიზება**, ვაპოლარიზებ, პოლარიზაციას ვუხამ. — **პოლარიზებული**, პოლარიზაციაქმნილი.— **პოლარიმეტრ-ი**, სინათლის პოლარიზაციის საზომი ხელსაწყო.

**პოლარობა**, ორი ურთიერთ მოქმედ ძალთა მოპირდაპირეობა.

**პოლარული**, ნ. პოლუსი, პოლუსური.

**პოლემიკა**, კამათი. – **პოლემიკური**, კამათის ხასიათისა.—**საპოლემიკო**, საკამათო.—**პოლემისტ-ი**, დახელოვნებული მოკამათე.

**პოლი-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] მრავალ-, მაგ. **პოლიანდრია**, მრავალქმრიანობა.

**პოლიგამია**, მრავალცოლიანობა (ან მრავალქმრიანობა).

**პოლიგენიზმი**, სხვადასხვა გზით წარმოშობა, კერძოდ—თეორია კაცობრიობის სხვადასხვა რასების წარმოშობის შესახებ ურთიერთისაგან დამოუკიდებლივ (ნ. მონოგენიზმი).

**პოლიგონია**, მრავალცოლიანობა.

**პოლიგლოტ-ი** (-ტტ-), მრავალენოვანი, მრავალ ენათა მცოდნე

**პოლიგონ-ი, პოლიგონები**, 1) მრავალკუთხედი; 2) თოფ-იარაღის საცდელი დაუსახლებელი ადგილები.

**პოლიგრაფ-ი**, საბეჭდი მანქანა,—იღებს დედნიდან პირს. – **პოლიგრაფიული** წარმოება, ბეჭდვის ყოველგვარი ტექნიკა (სასტამბო, ლითოგრაფიული და სხვ.).

**პოლიდაქტილია, პოლიდაქტილიზმ-ი**, მრავალ (ზედმეტ) თითიანობა ხელზე (უმეტესად) ან ფეხზე.

**პოლიედრ-ი**, მრავალწახნაგა.

**პოლითეიზმ-ი**, მრავალღმერთიანობა. - უპირისპირდება მონოთეიზმს (ნ. ეს).—**პოლითეისტ-ი**, მრავალღმერთიანი.

**პოლიკლინიკა**, (აქ პ ო ლ ი- ნიშნავს ქ ა ლ ა ქ ი ს), ქალაქის სამკურნალო მიმსვლელთათვის.

**პოლიმერია**, ქიმიაში: ისეთ ნივთიერებათა არსებობა, რომელთაც ერთნაირი შედგენილობისას აქვთ სხვადასხვა რიცხვი ატომთა მოლეკულში.

**პოლიმიელიტ-ი**, ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ანთება.

**პოლიმორფიზმ-ი**, მრავალფორმიანობა: 1) ზოოლოგიაში: ერთიდაიმავე სახის ცხოველთა სხვადასხვა ფორმის აგებულების არსებობა; 2) ბოტანიკაში: უნარი ერთიდაიმავე მცენარისა

იცვალონ ფორმა სხვადასხვა პირობებში; 3) მინერალოგიაში: უნარი ერთდაიმავე ქიმიურ შენაერთთა წარმოქმნან სხვადასხვა კრისტალები სხვადასხვა პირობებში.—**პოლიმორფული**, მრავალფორმიანი.

**პოლინომ-ი**, მრავალწევრი (მათემატ.).

**პოლიოპია**, საგნის გაორებულად ხედვის ავადმყოფობა.—**პოლიოპტრ-ი**, საგნის მრავლად მომაჩვენებელი.

**პოლიპ-ი**, 1) ლორწოიანი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე, უმეტესად—ცხვირში; 2) **პოლიპები** (მრავლ.), ღრუნაწლავიანთა ქვეჯგუფები.

**პოლის-ი**, დაზღვევის საბუთი.

**პოლისინთეტიზმ-ი**, ზოგიერთი ენის ისეთი აგებულება, როცა წინადადების ყველა ნაწილები გაერთიანებულია ერთ სიტყვად, სახელდობრ—ზმნაში.—**პოლისინთეტიკური** ენებია მაგ. ჩრდ. ამერიკის ენები.

**პოლისმენ-ი**, პოლიციელი, პოლიციის მოხელე (ინგლისში).

**პოლისპასტ-ი**, მრავალჭალი; დიდი სიმძიმის ასაწევი ჭალოვანი მანქანა.

**პოლისპერმია**, რამდენიმე სპერმატოზოიდის შესვლა კვერცხში განაყოფიერებისას (ჩვეულებრივ შედის ერთი).

**პოლიტბიურო**, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო,—ირჩევა ცენტრ. კომიტეტის პლენუმისმიერ — პოლიტიკური მუშაობის სახელმძღვანელოდ პლენუმების შუა.

**პოლიტგანათლება**, პოლიტიკური განათლების სახელმწიფო ორგანიზაცია საბჭ. კავშირში (კომუნ. უნივ-ტები, მუშათა ფაკ-ტები, მუშათა და გლეხთა სკოლები, ბიბლიოთეკები, უწიგნურობის ლიკვიდაცია და სხ.).

**პოლიტეიზმ-ი**, ნ. **პოლითეიზმ-ი**.

**პოლიტეკონომია**, პოლიტიკური ეკონომია (ნ. ეს).

**პოლიტექნიკუმ-ი**, ტექნიკის სხვადასხვა დარგებიანი უმაღლესი სასწავლებელი.

**პოლიტექნიკური განათლება**, ისეთი განათლება, რომელიც აცნობს მოზარდს ყველა საწარმოო პროცესების მეცნიერულ საფუძვლებს და უნერგავს მას ყველა წარმოებათა მარტივი იარაღების ხმარების ჩვევებს,—წარმოადგენს შრომის სკოლის საფუძველს: იგი ამზადებს ყოველმხრივ განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მონაწილეს.—**პოლიტექნიკური ინსტიტუტ-ი**, იგივეა რაც პოლიტექნიკუმი.

**პოლიტიკა**, 1) მთავრობის, პარტიის და ჯგუფის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოქმედება

გარკვეული მიზნების მისაღწევად; 2) კერძო პიროვნების ხერხიანი მოქმედება. — **პოლიტიკან-ი**, 1) პოლიტიკაში მომუშავე პირადი მიზნებისათვის; 2) საყოფაცხოვრებო საქმიანობაში გამოქნილი, გაიძვერა; ინტრიგანი. — **პოლიტიკოსი**, სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკაში დახელოვნებული; დიპლომატი.—**პოლიტიკური**, პოლიტიკის ხასიათისა, მისი შესაფერი და სხ..—**პოლიტიკური ეკონომია**, მეცნიერება კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ურთიერთობის წარმოშობისა, განვითარებისა და მოსპობის შესახებ. უფრო ფართოდ: „მეცნიერება პროდუქტების წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის პირობებისა და ფორმების შესახებ ადამიანთა სხვადასხვაგვარ საზოგადოებაში და ამ პროდუქტების შესაფერად განაწილების შესახებ" (ენგელსი).

**პოლიტიპაჟ-ი**, სტამბაში: წინასწარ დამზადებული კლიშე (ნ.) სხვადასხვა საგნებისა, — ჩაერთვის ნაბეჭდს სათაურში, თავ- ან ბოლო ხატულობაში და სხვ.

**პოლიტურა**, **პოლიტურ-ი**, საპრიალებელი.

**პოლიურია**, შარდის სიჭარბე.

**პოლიუს-ი**, ნ. პოლუსი.

**პოლიუცია**, ნ. პოლუცია.

**პოლიფონია**, მრავალხმოვნობა: მუსიკალური სტილი, რომელშიაც ყველა ხმებს აქვს დამოუკიდებელი მელოდიური მნიშვნელობა.

**პოლიშინელ-ი**, 1) ხალხური თეატრის კომიკური მოქმედი პირი (იტალიაში, საფრანგეთში); 2) მასხარა. — **პოლიშინელის საიდუმლო**, საიდუმლო, რომელიც ყველამ იცის.

**პოლიცია**, ბურჟუაზიულ ქვეყნებში: ბურჟუაზიული წესწყობილების დაცვისა და იძულების ადმინისტრაციული ორგანო,—შეიარაღებულია ყოველგვარი საომო იარაღით, ებრძვის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. — **პოლიციელი**, პოლიციის მოხელე, მოსამსახურე.—**პოლიციური**, პოლიციის ხასიათისა.— **პოლიცმეისტერ-ი** (**პოლიცეი-**), საქალაქო მილიციის უფროსი რევოლუციამდე რუსეთში.

**პოლკა**, ერთგვარი ევროპული ცეკვა—ჩეხური წარმოშობისა.

**პოლკ-ი**, ლეგიონი,—წარმოადგენს საქვეითო ჯარის ერთეულს.— **პოლკოვნიკ-ი**, პოლკის უფროსი, სამხედრო ხარისხი რევოლუციამდე რუსეთში.

**პოლონეზ-ი**, ერთგვარი პოლონური ცეკვა და შესაფერი მუსიკა.

**პოლონიზმ-ი**, პოლონური ენის თავისებურობა სხვა ენაში.

**პოლუსი, პოლუსები,** 1) დედამიწის ღერძის ორი — ჩრდილო და სამხრეთი — უკიდურესი წერტილი; 2) სხეულის ორი მოპირდაპირე წერტილი: დადებითი და უარყოფითი ელექტროპოლუსები; ჩრდილო და სამხრეთ მაგნეტური პოლუსები; 3) ორი ურთიერთ საწინააღმდეგო მოვლენა.—**პოლარული** ანუ **პოლუსური,** პოლუსზე ან მის ახლო მდებარე.—**პოლუსური ქვეყნები,** პოლუსების ახლო მდებარე ქვეყნები.

**პოლუცია** (პოლლ-), მამაკაცის მიერ უნებლიედ თესლის დაქცევა, უმეტესად—ძილში; დედაკაცის პოლუცია გამოიხატება საშვილოსნოდან ლორწოს გადმოქცევაში.

**პომადა** (პომმ-), თმის, პირისახის ან ტუჩების წასასმი.

**პომპა, პომპ-ი,** 1) ჰაერტუმბო (ტექნ.); 2) ზეიმობრიობა, მდიდრულ მედიდურობა.— **პომპეზური,** ზეიმობრივი, მდიდრულმედიდური.

**პომპადურ-ი,** 1) თვითნება ადმინისტრატორი; 2) ერთგვარი ვარცნილობა ქალისა (პომპადური სახელია საფრ. 18 საუკ. მეფის, ლუდოვიკ XV-ის საყვარლისა, რომელიც ცნობილი იყო დიდი გავლენით და მფლანგველობით).

**პონი,** შოტლანდიური ჯიშის მომცრო ტანის ცხენი.

**პონტერ-ი,** მეძებარი ძაღლის ჯიშთაერთი ჯიში.

**პონტიფექს-ი,** 1) ძველ რომში: ქურუმთ-უფროსი; 2) რომის პაპის ტიტული.

**პონტონ-ი,** ბრტყელძირიანი ნავი. —**პონტონის ხიდი,** პონტონებზე გაკეთებული ხიდი.

**პონჩიკ-ი,** ერთგვარი ტკბილი ნამცხვარი.

**პოპლინ-ი,** აბრეშუმის ან აბრეშუმნარევი ქსოვილი.

**პოპულარიზაცია,** რაიმე სამეცნიერო საკითხის ადვილგასაგები ფორმით გადმოცემა.—**პოპულარიზატორ-ი,** პოპულარიზაციის მქნელი. — **პოპულარიზირება,** ვაპოპულარიზირებ, ვავრცელებ რასმე ფართოდ გადმოვცემ ადვილგასაგები ფორმით რაიმე საკითხს. — **პოპულარული,** ადვილგასაგები, საყოველთაოდ ცნობილი, — გავრცელებული. — **პოპულარობა,** ფართო მასებში ცნობილობა, წარმატებულობა; ადვილგასაგებიანობა და სხვა ასეთი.

**პოპური** (-რრი), 1) ნაწყვეტებისაგან შედგენილი მუსიკალური პიესა; 2) შინაგანი კავშირის არმქონე ნაწილთა შენაერთი.

**პორნოგრაფია,** 1) უწმაწურობა, ქვენაგრძნობათა აღძვრა; ასეთშინაარსიანი ლიტერატურა

მხატვრობა და სხ..—პორნოგრაფიული, უწმაწური, უწმაწურშინაარსიანი, ქვე-გრძნობათა აღმძვრელი.

პორტა, ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური სახელწოდება სულთნობის ხანაში.

პორტალ-ი, დიდი შენობის მთავარი შესავალი. — ჩვეულებრივ მორთულია სვეტებით და ქანდაკებებით.

პორტატიული, ადვილსატარებელი, საჯიბე.

პორტვეინ-ი, მაგარი ღვინის სახელი.

პორტ-ი, ნავსადგური.

პორტიე, შვეიცარი, მეკარე.

პორტიერ-ი, საკარებო ფარდა,—კეთდება მძიმე მატერიისაგან.

პორტმან-ი, პორტმონე, საკეტიანი საფულე ქისა, ჩვეულებრივ — ტყავისა.

პორტო, წერილი ხარჯი; დამკვეთის საფოსტა-ტელეგრაფო ხარჯები.

პორტო-ფრანკო, უბაჟო ნავსადგური, ე. ი. რომელშიც საქონელი გაივლის უბაჟოდ.

პორტპლედ-ი, მაფრაშა, სამგზავრო ნივთების შესაკრავი.

პორტრეტ-ი, ადამიანის გამოსახულება—ფოტოგრაფიული ან ხელოვნებითი. – პორტრეტისტ-ი, ასეთის მხატვარი.

პორტსიგარ-ი, პაპიროსების ჯიბით თანსატარებელი კოლოფი ან პარკი.

პორტფელ-ი. 1) წიგნების და სხვადასხვა ქაღალდების თანსატარებელი ოთხკუთხი ჩანთა; 2) მინისტრის თანამდებობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში; 3) რედაქციაში შემოსული ხელნაწერები.

პორფირ-ი, 1) ძოწეული, მეფის საზეიმო წამოსასხამი; 2) მონარქის ხელისუფლების სიმბოლო.

პორცია, რისამე განსაზღვრული რაოდენობა, ჩვეულებრივ—საჭმლის კერძი. — პორციონ-ი, ულუფა, ჩვეულებრივ—საჭმლისა.—პორციული, პორციის შესაფერი.

პოსესიური (პოსსესს-), შეძლობილობითი, მისაკუთრებითი.—პოსესიური გლეხები, ბატონყმურ რუსეთში: ფაბრიკა-ქარხნების ყმამუშათა სახელწოდება.

პოსიბილიზმი (პოსს-), ოპორტუნისტულ-სოციალისტური მიმდინარეობა საფრანგეთში 1882 წლიდან,—ებრძოდა რევოლუციურ მარქსიზმს. — პოსიბილისტები (მრავლ.), პოსიბილიზმის მიმდევრები.

პოსტამენტ-ი, კვარცხლბეკი, ფუძე, შესადგმელი—ძეგლისა, ქანდაკებისა და სხ.

პოსტ-ი, 1) საპასუხისმგებლო (სახელმწიფო) თანამდებობა; 2) საგუშაგო; 3) განსაზღვრულ ადგილას დაყენებული გუნდ

ჯარისა — საგუშაგოდ, თვალყურის სადევნებლად და სხ.

**პოსტსკრიპტუმ-ი,** წერილის ბოლოს მინაწერი,—იწყება ორი ლათინური ასოთი: P. S. (ე. ი. „შემდეგ წერილისა").

**პოსტულატ-ი,** დებულება, რომლის მიღება აუცილებელია მომდევნო მტკიცებისათვის.

**პოტაშ-ი,** ნახშირმჟავა კალიუმი, — მიიღება მცენარეულის ნაცრისაგან და სხვ,. . იხმარება მინის წარმოებაში, სალებავე ბის და საპნის საქმეში და სხვ.

**პოტენცია,** განსაზღვრულ მოქმედებათა უნარი; გამოუჩენელი შესაძლებლობა, — ძალა. — **პოტენციალ-ი,** ელექტრონით დამუხტული სხეულის ელექტროდაძაბვის განმსაზღვრელი სიდიდე. — **პოტენციალური, პოტენციური,** პოტენციაში მყოფი, გამომჟღავნების უნარის მქონე ფარული ძალა, შესაძლებელი.

**პრაგმატიზმ-ი,** ფილოსოფიური მიმართულება, რომლის თანახმადაც ჩვენი შემეცნების საფუძველია პრაქტიკა, როგორც სასარგებლო მოქმედება,—იგი იხილავს ჩვენს წარმოდგენებს როგორც „ადამიანის ნამოქმედარს" და არა როგორც სინამდვილის ანარეკლს. პრაგმატიზმი წარმოადგენს ვოლუნტარიზმისა და ემპირიზმის ნარევს (ნ. ესენი).—**პრაგმატისტული,** პრაგმატიზმის ხასიათისა; მისი შესაფერი, მისგან გამომდინარე.

**პრაგმატული,** ფაქტების მიზეზობრივ კავშირში გადმომცემი.— **პრაგმატული ისტორია,** ისტორიული პროცესის განხილვა ფაქტების მიზეზ-შედეგების ურთიერთ კავშირის გათვალისწინებით.

**პრაქტიკა,** 1) გამოცდილება; დახელოვნება რაიმე საქმეში; 2) ექიმის ან ვექილის მუშაობა; 3) მეცნიერების დასკვნათა ცხოვრებაში გამოყენება; 4) ადამიანის შეგნებული მოქმედება განსაზღვრულ მიზნისათვის. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად პრაქტიკას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჭეშმარიტების დადგენაში; თეორიის ვარგისობის საკითხი მოწმდება პრაქტიკით, ხოლო თეორია არის პრაქტიკის ხელმძღვანელობა; ამიტომ თეორია და პრაქტიკა განუყრელნი უნდა იყვნენ და არა უპირისპირდებოდენ ერთმანეთს. — **პრაქტიკანტ-ი,** 1) მოვარჯიშე; ვინც ემზადება რაიმე დარგში სამუშაოდ, 2) მოსწავლე, რომელიც სასწავლო გეგმის ნაწილს ასრულებს წარმოებაში. — **პრაქტიკოს-ი,** 1) რაიმე დარგში ნავარჯიშევი; თეორიული ცოდნის საქმეში გამომყენებელი;

2) სათანადო თეორიული ცოდნის გარეშე საკმაოდ დახელოვნებული.—**პრაქტიკული**, 1) გამოყენებითი; 2) ვარჯიშობითი; 3) სარგებლიანობითი, ხელს აყრელი და სხ..—**პრაქტიკუმ-ი**, ლექციის შინაარსის პრაქტიკულად დასამუშავებელი მაცადინობა კლინიკაში, კაბინეტში, ლაბორატორიაში და სხ.. — **პრაქტიციზმ-ი**, 1) თავის საქმის სარგებლიანად მოგვარების უნარი; საქმიანობა; 2) პრაქტიკული მუშაობისადმი მიდრეკილება.

**პრედიკატ-ი**, 1) გრამატიკაში: შემასმენელი; 2) ლოგიკაში: სუბიექტის განმსაზღვრელი განსაზღვრული მხრით (დიალექტური ლოგიკით პრედიკატი წარმოადგენს საგნისაგან განუყრელ განსაზღვრებას და არა გარეგნულ სუბიექტურ განსაზღვრებას, როგორც ფიქრობს ფორმალური ლოგიკა).—**პრედიკატული**, შემასმენლობითი. —**პრედიკაცია**, პრედიკატის მიკუთვნება სუბიექტისთვის.

**პრევენცია**, წინდასწრება; წინასწარდაცვა, გაფრთხილებულობა. — **პრევენციური**, წინდასწრებითი, წინასწარდაცვითი, გაფრთხილებითი.

**პრეზენს-ი**, აწმყო დრო (გრამატ.).

**პრეზერვატივ-ი**, 1) წინასწარდამცველი რამ საშუალება; 2) სქესობრივი აქტის დროს ორსულობისაგან ან ავადმყოფობის დამართებისაგან დამცველი საშუალება (ნ. კონდომი).—**პრეზერვაცია**, წინასწარდაცვა.

**პრეზიდენტ-ი**, 1) თავმჯდომარე; 2) ბურჟ. ქვეყნებში: რესპუბლიკის პრეზიდენტი — რესპუბლიკის სათავეში მდგომი არჩეული (განსაზღვრული ვადით) ერთპიროვნული მმართველი.

**პრეზიდიუმ-ი**, 1) კრების, დაწესებულების ან თათბირის ხელმძღვანელი ორგანო რამდენიმე პირისაგან; 2) საბჭოთა კავშირში ეს სახელწოდება მიეკუთვნება აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოს. მაგ. საკავშ. ცაკის პრეზიდიუმი.

**პრეზუმპცია**, 1) ეგებისობაზე დაფუძნებული გულვება,—დაშვება; 2) რაიმე ფაქტის სარწმუნოდ გულვება — საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე.

**პრეისკურანტ-ი**, გასაყიდი საქონლის ფასების მაჩვენებელი ნუსხა, ჩვეულებრივ - წიგნის სახით.

**პრეისტორია, პრეისტორიული ეპოქა**, წინარე ისტორია, კაცობრიობის განვითარების ის საფეხური, რომლის შესახებ არ მოიპოვება წერილობითი ცნობები.—**პრეისტორიული**, წინარეისტორიული.

**პრელატ-ი**, მაღალი წოდების პირი კათოლიკურ ეკლესიაში.

**პრელიმინარული**, წინასწარი, მოსამზადებელი ხასიათისა.

**პრელუდია**, 1) შესავალი; 2) მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი.

**პრემია**, 1) საკონკურსო (ნ. კონკურსი) ჯილდო; ჯილდო საუკეთესო ნაწარმოებისათვის (სამეცნ., სალიტერატ...), რაიმე გაუმჯობესებისათვის და სხვ.; 2) უფასო დამატება, (ჟურნალისა, საქონლისა — ყიდვისას და სხვ.); 3) საგანგებო ჯილდო ხელფასის გარდა, როცა მუშამ ან მოსამსახურემ გადაჭარბებით შეასრულა სამუშაოს სავალდებულო ნორმა.—პრემიალური, პრემიის ხასიათისა, დაჯილდოებითი. — პრემიალური სისტემა ხელფასისა, ხელფასის გარდა მუშისათვის ჯილდოს მიცემის წესი—შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით (კაპიტ. ქვეყნებში ამ სისტემის ძალით მუშას არ ეძლევა სრული ხელფასიც, უკეთუ სამუშაო ნორმა არ არის შესრულებული).

**პრემიერა**, თეატრში პირველად დადგმული ახალი პიესა.

**პრემიერ-ი, პრემიერ-მინისტრ-ი**, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში: მინისტრთა კაბინეტის (ნ.) სათავეში მდგომი მინისტრი.

**პრეპარატ-ი**, 1) ლაბორატორიაში ან ფაბრიკაში დამზადებული წამლეული ან ქიმიური შენაერთი; 2) ცხოველის ან მცენარის დამზადებული ნაწილი—მისი მეცნიერულად შესწავლისათვის.—პრეპარატორ-ი, პრეპარატების დამმზადებელი.

**პრეპუცი, პრეპუციუმ-ი**, ვაჟის სასქესო ასოს ჩუჩა.

**პრერიები** (მრავლ.), ჩრდილო ამერიკის დიდი ველები, რომელზედაც მცენარეულობა ხარობს ზაფხულის წვიმიან ტაროსში, რის შემდეგ იწყება გვალვა.

**პრეროგატივ-ი**, 1) განსაკუთრებითი უპირატესობა, უფლების მქონებლობა; 2) სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის ესათუის განსაკუთრებული უფლება.

**პრესა** (-სსა), პერიოდული (უმეტესად—ყოველდღიური) ბეჭდვითი გამოცემები.

**პრესი** (სს-ი), საწნეხი, მწნეხი: წნევის გასაძლიერებელი მოწყობილობა.—პრესპაპიე, მძიმე რამ ნივთი,—დაედება ქაღალდის ფურცლებს, რომ არ დაიფანტოს.

**პრესტიჟ-ი**, გავლენიანობა, გავლენის მქონებლობა.

**პრეტენდენტ-ი**, მაძიებელი (მაგ. ტახტისა), მიმჩემებელი, რაზედმე უფლების განმცხადებელი.—

პრეტენზია, მაძიებლობა, მიმჩემებლობა; უკმაყოფილება; საჩივარი. — პრეტენციოზული, ჭარბმომთხოვნელი.

პრეტორ-ი, ძველ რომში: ერთი წლით არჩეული უმაღლესი მოსამართლის თანამდებობის პირი — პრეტორიანელები (მრავლ.), რომის მთავარსარდლის (და შემდეგ) იმპერატორის ლეიბ გვარდია, — წარმოადგენდენ I საუკ. დიდ პოლიტიკურ ძალას.

პრეფექტ-, ნ. პრეფექტ-.

პრეფერანს-ი, ერთგვარი ბანქოს (კარტის) თამაში სამი (ან ოთხი) მოთამაშის მონაწილეობით.

პრეფერენცია, უპირატესობა; უპირატესობის მინიჭება ერთისათვის — მეორის საზიანოდ.— პრეფერენციული, უპირატესობითი.

პრეფექტ-ი, 1) ადმინისტრაციული ან სამხედრო მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი ძველ რომში; 2) დეპარტამენტის და პარიზის საქალაქო პოლიციის უფროსი (საფრანგეთში).—პრეფექტურა, პრეფექტის სამმართველო, — საგამგებლო; 2) პრეფექტობა.

პრეფიქს-ი, თავსართი (გრამატ.).

პრეცედენტ-ი, წინანდელი ფაქტი ან ნიმუში, რომელსაც შეუძლია გაამართლოს მომდევნო იმგვარივე შემთხვევა.

პრეციოზული, ძვირადღირებული: ზვიადი, მზვაობარი, მზვაობრული.

პრივატ-დოცენტ-ი, არასავალდებულო კურსის მკითხველი მეცნიერების მუშაკი უმაღლ. სასწავლებელში (ნ. დოცენტი).

პრივატული, კერძო, პირადი.

პრივილეგია, 1) უპირატესობა, უპირატესი უფლების ქონებლობა (კლასისა, წოდებისა, პირისა); 2) გამომგონებლის განსაკუთრებული უფლება თავისი გამოგონების სარგებლობაზე.—პრივილეგიური, პრივილეგიანი, პრივილეგიის მქონებელი.

პრიზ-ი, ჯილდო გამარჯვებულისა შეჯიბრებაში.

პრიზმა, პრიზმ-ი, მათემატიკაში: ისეთი მრავალწახნაგა, რომელიც ფუძეების მხრივ შემოსაზღვრულია ორი თანატოლი და პარალელური მრავალკუთხედით, ხოლო გვერდებზე—იმდენი პარალელოგრამით, რამდენიც ფუძეში მხარეა. —პრიზმ(ატ)ული, პრიზმის ფორმისა, მისმიერ წარმოქმნილი.

პრიმა, 1) მუსიკაში: პირველი ინტერვალი (ნ.); პირველი ვიოლინო (ნ.); 2) პირველი კლასი (გერმ. საშ. სკოლაში).—პრიმაბალერინ-ი, საუკეთესო (პირველი) მოცეკვავე ქალი. პრიმადონა (-დონნა), მთავარი როლების ამსრულებელი ქალი

ოპერაში.— **პრიმარული**, პირველადი.—**პრიმატ-ი**, პირველობა, მეთაურობა, უზენაესობა.

**პრიმიტივ-ი**, 1) პირვანდელი, პირველყოფილი; 2) მარტივი, მოუმწიფებელი ხელოვნების ნაწარმოები ამათუიმ ხალხისა, საზოგადოებისა და სხ.—**პრიმიტიული**, მარტივი, პირველყოფილი, მოუხეშავი და სხ.

**პრინც-ი**, ბატონიშვილი; თავადი; სამეფო გვარეულობის წევრი·—**პრინცესა** (-სსა), ასეთივე ქალი; პრინცის ცოლი.

**პრინციპალ-ი**, მეთაური, უფროსი; მეპატრონე.

**პრინციპატ-ი**, ძველ რომში: სახელმძღვანელო ძირითადი დებულება ან აზრი; მოქმედების ან ქცევის სახელმძღვანელო წესი.—**პრინციპული, პრინციპიული, პრინციპიალური**, ძირითადი, პრინციპის ხასიათისა, მისგან გამომდინარე. — **პრინციპიანი**, პრინციპის მქონებელი.

**პრიორ-ი**, მონასტრის წინამძღვარი (კათოლიკურ ეკლესიაში).

**პრიორიტეტ-ი**, პირველობა რაიმე აღმოჩენაში.

**პრისტავ-ი**, ბოქაული, პოლიციის მოხელე (მაზრისა, უბნისა) რევოლუციამდე რუსეთში.

**პრობკა**, საცობი.

**პრობლემა**, ამოცანა, გადასაწყვეტი საკითხი (სამეცნიერო ან პრაქტიკული). — **პრობლემ(ატ)ური** გამოსაცნობი, საეჭვო, სათუო.

**პრო-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] წინ, წინასწარ, წინეთ, ადრე და სხვ.

**პროგიმნაზია**, ოთხ- ან ექვსკლასიანი გიმნაზია რევოლუციამდე რუსეთში.

**პროგნათიზმი**, ქვედაყბის (საერთოდ — პირისახის ქვედანაწილის) წინგამოშვერილობა.

**პროგნოზ-ი**, 1) გამოცნობა და წინდაწინ განჭვრეტა რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგებისა—მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით; 2) მედიცინაში: ავადმყოფობის დასასრულის წინდაწინვე გათვალისწინება—მისი მსვლელობის მონაცემთა მიხედვით.

**პროგრამა** (-მმა), 1) განზრახული მოქმედების მუხლობრივ ჩამოთვლილი გეგმა; 2) კრებისმიერ განსახილველ საკითხთა ნუსხა: 3) სასწავლო საგნების ნუსხა სასწავლებელში; აგრეთვე—თითოეულ საგნის ძირითადი ნაწილების ჩამოთვლა.—**პროგრამა-მაქსიმუმ-ი**, მეორე ინტერნაციონალის პარტიების მიერ დეკლარირებული პროგრამა,—შეიცავდა მუშათა კლასის საბოლოო ამოცანებს სოციალიზმის დასამყარებლად. —**პროგრამა-მინიმუმ-ი**, სოციალისტური პარტიების პროგრამის ნაწილი, რომლის განხორციელება შე-

საძლებელია კაპიტალიზმის არსებობის პირობებში. კომუნისტური პარტიის პროგრამა არ შეიცავს მაქსიმუმს და მინიმუმს, არამედ ისახავს მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის ამოცანას. — **პროგრამული**, პროგრამის ხასიათისა.

**პროგრეს-ი** (-სს-ი). წარმატებული მოძრაობა წინისაკენ, განვითარება, მაღალ საფეხურზე გადასვლა და სხვა ასეთი. — **პროგრესისტ-ი**, 1) პროგრესის მომხრე; 2) **პროგრესისტები** (მრავლ.), ლიბერალური პარტიის სახელწოდება (ყოფ. რუსეთში, გერმანიაში და სხვ.). — **პროგრესული**, წარმატებითი, წინსვლითი, ზრდადი.

**პროგრესია** (-სსია), განსაზღვრული ფარდობით ზრდადი ან კლებადი რიცხვების რიგი. — **პროგრესიული**, პროგრესიის ხასიათისა. — **პროგრესიული გადასახადი**, გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.

**პროდუქტ-ი**, 1) რაიმე მოქმედების ან პირობების შედეგი; 2) ადამიანის შრომის შედეგად მიღებული საგანი, ნაწარმი. — **პროდუქტიული**, ნაყოფიერი. — **პროდუქცია**, 1) სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგის ნაწარმთა ჯამი განსაზღვრული დროის განმავლობაში; 2) ნაყოფიერება. — **პროდუქციული**, პროდუქციის ხასიათისა.

**პროექტ-ი**, 1) მოსაზრებული და დამუშავებული გეგმა, ჩვეულებრივ — წინადადების სახით; 2) რაიმე დებულების, წესდების ან კანონის წინასწარი სახე. — **პროექტთა მეთოდ-ი**, ამერიკულ სკოლებში გავრცელებული მეთოდი სწავლებისა: მოწაფის სამუშაო დაკავშირებულია ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან, სოციალურ დაკვეთასთან; ეს მეთოდი საკმაოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ 1931 წლიდან იგი უარყოფილია, როგორც სასკოლო მუშაობის საფუძველი, რადგანაც იგი გამომდინარეობს თეორიის დაუფასებლობისა და „სკოლის მოსპობის" ანტილენინური დებულებიდან.

**პროექცია**. 1) წერტილის პროექცია წრფეზე (სწორ ხაზზე) ან სიბრტყეზე: მოცემულ წერტილიდან წრფეზე ან სიბრტყეზე დაშვებული პერპენდიკულარის კვალი; 2) კინემატოგრაფიაში: ეკრანზე სწრაფად მოძრავი სურათების გადმოცემა მთლიანი შთაბეჭდილების მიღებით. — **პროექციის ანუ საპროექციო აპარატ-ი**, გადიდებულ გამოსახულებათა ეკრანზე საჩვენებელი ხელსაწყო.

**პროვიანტ-ი**, სურსათ სანოვაგე.

**პროვიდენციალიზმ-ი**, ისტორიული მოვლენების ახსნა განგების ჩარევით, — წარმოადგენს რელიგიურ-მისტიკურ ახსნას ისტორიულ ფაქტებისას. — **პროვიდენციალურ-ი**, წინასწარგანგებული, საბედისწერო აუცილებელი და სხ.

**პროვიზია**, სანოვაგე.

**პროვიზორ-ი**, სააფთიაქო ცოდნის კურს დამთავრებულის წოდება რევოლუციამდე რუსეთში (საბჭ. კავშირში ეს წოდება გაუქმებულია).

**პროვიზორული**, წინასწარი, დროებითი.

**პროვინცია**, 1) სახელმწიფოს თითოეული ნაწილი დედაქალაქთან დაპირისპირებით; 2) ადმინისტრაციული ერთეული ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ. რევოლუციამდე საფრანგეთი იყოფოდა პროვინციებად, რომლებსაც შემდეგ დაერქვა დეპარტამენტები). — **პროვინციალი**, პროვინციის, მივარდნილი კუთხის მცხოვრები; გულუბრყვილო, გამოუცდელი. — **პროვინციალური**, პროვინციის ხასიათისა, იქედან წარმოშობილი; უბრალო, მარტივი, ჩამორჩენილი. — **პროვინციალიზმ-ი**, 1) ჩამორჩენილობა, უსიამოვნობა: 2) სალიტერატურო ენაში მწერლისმიერ შეტანილი კუთხური სიტყვები ან ასეთივე გამოთქმები.

**პროვოკატორ-ი**, ნ. მომდევნო სიტყვა.

**პროვოკაცია**, 1) მუხანათურად წაქეზება, გამოწვევა ანუ რაიმე მოქმედების ჩადენინება—წაქეზებულის საზიანო მიზნით; 2) სარევოლუციო ორგანიზაციაში საჯაშუშოდ შესული პოლიციის აგენტის გამცემლური მოქმედება. — **პროვოკატორ-ი**, პროვოკაციის მომხდენი, ჯაშუში; პოლიციის საიდუმლო აგენტი, რომელიც ჩვეულებრივ წააქეზებს ხოლმე ცალკეულ პირს ან მასას რაიმე პოლიტიკურ მოქმედებაზე — გამცემლობის მიზნით.

**პროზა**, 1) ჩვეულებრივი (გაულექსავი) მეტყველება, — უპირისპირდება პოეზიას, როგორც ლექსად დაწერილ ნაწარმოებს; 2) არამხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა; 3) მოსაწყენი, მკრთალი, ცხოვრების არამიმზიდველი მხარე და სხ. —**პროზაული**, გაულექსავი, საყოველდღეო, არამხატვრული; მოსაწყენი. —**პროზაიზმ-ი**, პროზაული ადგილები პოეზიურ ნაწარმოებში (ნ. პოეზია, პოეზიური). —**პროზაიკ-ი**, **პროზაიხტ-ი**, პროზის მწერალი; ცხოვრების პრაქტიკული მხარის (და-

არა მისი სილამაზის) დამფასებელი.

**პროზექტ-**, ნ. პროზექტ-.

**პროზელიტ-ი**, ახალსჯულმიღებული, რომელიც იცავს ახალ რწმენას მეტისმეტი გულმოდგინებით. — **პროზელიტიზმ-ი**, პროზელიტობა.

**პროზექტორ-ი**, საანატომიო თეატრის გამგე ექიმი, ანატომიის პროფესორის დამხმარე მეცნიერების მუშაკი. — **პროზექტურა**, საანატომიო თეატრი (ნ. ანატომია).

**პროთეზ-ი**, **პროთეზები**, სხეულის ხელოვნურად გაკეთებული ის ნაწილი, რომელიც ადამიანს დაზიანებია ან დაუკარგავს, მაგ. ხელოვნური ფეხი და სხ.

**პროკლამაცია**, არალეგალურად მომუშავე ორგანიზაციისმიერ გამოშვებული ფურცელი - სააგიტაციო მოწოდებით.

**პროკონსულ-ი**, ძველ რომში: სენატისმიერ დანიშნული გამგე პროვინციისა.

**პროკურატურა**, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო (დაწესებულება), — მეთვალყურეობს კანონიერების დაცვას და წარმომადგენელია სახელმწიფოს ინტერესებისა სასამართლოში. —**პროკურორ-ი**, პროკურატურის მეთაური (რესპუბლიკის პროკურორი) და პროკურატურის წევრი.

**პროლეგომენ-ი**, სამეცნიერო დარგის შესავალი ნაწილი.

**პროლეტარი**, **პროლეტარ-ი**, კაპიტალისტურ საზოგადოებაში: პირადი თავისუფლების მქონე, საწარმოო საშუალებებს მოკლებული დაქირავებული მუშა, რომელიც ჰყიდის თავის სამუშაო ძალას კაპიტალისტს.— **პროლეტარიატ-ი**, პროლეტართა კლასი, - უპირისპირდება და ებრძვის კაპიტალისტთა კლასს, ცხოვრების პირობების უკვე შემფერხებელს; ეს (კლასობრივი) ბრძოლა მოისპობა უკლასო საზოგადოების შექმნისას. რომლის დამყარებისთვის მოწოდებულია პროლეტარიატი.—**პროლეტარიზაცია**, გაპროლეტარება, დამოუკიდებელ მწარმოებელთა (ხელოსნის, გლეხის...) გადაქცევა დაქირავებულ მუშებად.

**პროლოგ-ი**, მხატვრული, ლიტერატურული ნაწარმოების (უმთავრესად—დრამის) შესავალი.

**პროლონგაცია**, გადადება, გაგრძელება ვადისა: თამასუქის გადავადება.

**პრომოცია**, სამეცნიერო ხარისხის ან რაიმე მაღალი წოდების მიღება ან მინიჭება.

**პრომულგაცია**, კანონის ან რაიმე სხვა სახელმწიფო აქტის გამოქვეყნება.

**პრონომენ-ი**, გრამატიკაში: ნაცვალსახელი.—**პრონომინალური**, ნაცვალსახელობითი. — **პრონომინაცია**, საკუთარი სახელის შეცვლა სხვა სიტყვით („დედაქალაქი“ — ტფილისის ნაცვლად).

**პრონონს-ი**, წარმოთქმა, წარმოთქმის ხასიათი.

**პროპაგანდა**, რაიმე იდეის, აზრის ან მოძღვრების გავრცელებისათვის მუშაობა—სიტყვიერი ან წერილობითი (ბეჭდური). — **პროპაგანდისტ-ი**, პროპაგანდის გამწევი, რაიმე იდეის და სხ. გავრცელებისათვის მომუშავე.

**პროპედევტიკა**, რაიმე მეცნიერების შესავალი (მოსამზადებელი) კურსი.

**პროპელერ-ი** (-ლლერ-ი), აეროპლანის და დირიჟაბლის ერთ-ერთი მთავარ ნაწილთაგანი,— წარმოადგენს საჰაერო ხრახნს.

**პროპორცია**, 1) მათემატიკაში: ორი შეფარდების თანასწორობა; 2) ნაწილთა შეფარდებულობა.— **პროპორციული**, თანაშეფარდებული, თანაშეზომილი.

**პროჟექტიორ-ი**, განუხორციელებელი გეგმებისა და პროექტების შემდგენელი. — **პროჟექტიორობა**, ასეთის ჩამდენლობა.—„**მეთოდიკური პროჟექტიორობა**“, ასეთი სახელი დაერქვა (1931 წლიდან საბჭოთა კავშირში) სასკოლო მუშაობაში მასიურად ისეთი მეთოდების შეტანას, რომლებიც წინასწარ არ არიან პრაქტიკულად შემოწმებული, განსაკუთრებით — „პროექტთა მეთოდისას“ (ნ. პროექტი).

**პრორექტორ-ი**, უმაღლესი სასწავლებლის (უნივერსიტეტის) რექტორის მოადგილე რომელიმე (სასწავლო, სამეურნეო...) დარგში.

**პროსკრიპცია**, ძველ რომში: საჯაროდ მსჯავრის გამოტანა, უმთავრესად პოლიტიკური დანაშაულობისთვის. — **პროსკრიპციული სიები**, მისჯის გამო კანონსგარეშედ გამოცხადებულთა სიები.

**პროსოდია**, მეტრიკის (ნ. ეს) ერთ-ერთი დარგი, — სწავლა მარცვლის შესახებ ლექსში (მარცვლის შედგენილობისა, მახვილისა, ხანგრძლიობისა და სხ.).

**პროსპეკტ-**, ნ. პროსპექტ-..

**პროსპერიტი**, **პროსპერიტეტ-ი**, კეთილდღეობა, აღორძინება, აყვავება და სხ. ასეთი.

**პროსპექტ-ი**, 1) სწორი და ფართო ქუჩა ქალაქში; 2) თხზულების ან სხვა გამოცემის მოკლე გეგმა; საწ რმის მოკლე მიმოხილვა.

**პროსტიტუცია**, მეძაობა, როსკიპობა: დედაკაცის მიერ თავისი სხეულის გაყიდვა, უმთავრესად

ნივთიერი გაჭირვებისა და უფლებრივი ჩაგვრის გამო,—ახასიათებს კლასობრივ საზოგადოებას; ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროსტიტუცია იზრდება, ხოლო საბჭოთა კავშირში — ისპობა უმუშევრობის მოსპობისა და დედაკაცის მდგომარეობის უფლებრივად და ეკონომიურად განმტკიცების საფუძველზე — **პროსტიტუტკა, პროსტიტუტ-ი**, მეძავი, როსკიპი.

**პროსტრაცია**, ფიზიკურად დაუძლურება, ძალღონის გამოლევა.

**პროსცენიუმ-ი**, ავანსცენა, სცენისწინა (ფარდასა და ორკესტრს შუა).

**პროტაგონისტ-ი**, ძველ ბერძნულ ტრაგედიაში მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი.

**პროტეინ-ი, პროტეინები**, ცხოველისა და მცენარის უჯრედების საფუძველი, — წარმოადგენენ ცილოვან ნივთიერებებს, რომლებიც არ არიან შეერთებული სხვა არაცილოვან ნივთიერებებთან.

**პროტეკტ-, პროტეკც-**, ნ. პროტექტ-, პროტექც-.

**პროტეჟე**, ვინმეს მფარველობის ქვეშ მყოფი პირი.

**პროტესტანტ-ი**, 1) პროტესტის, უკმაყოფილების საჯაროდ გამცხადებელი პირი; 2) პროტესტანტიზმის (ნ.) მიმდევარი.— **პროტესტანტული, პროტესტანტის** ან პროტესტანტიზმის ხასიათისა. – **პროტესტანტიზმ-ი**, რეფორმაციასთან (ნ. ეს) დაკავშირებით წარმოქმნილი ქრისტიანული სარწმუნოებრივი მიმდინარეობანი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგოდ;—თავდაპირველად დაერქვა ლუთერანობას (ნ. ეს), ხოლო შემდეგ სხვებსაც (კალვინიზმს, ბაპტისტებს..., ნ. ესენი); პროტესტანტიზმის განვითარების საფუძველია სავაჭრო კაპიტალის ხანაში მეცნიერული აზროვნების წინსვლა, რაც ქმნიდა კრიტიკულ განწყობილებას კათოლიკური სარწმუნოების ცრურწმენისა და წესებისადმი. თავის მხრივ პროტესტანტიზმი წარმოადგენს კაპიტალისტური სახელმწიფოების ერთერთ დასაყრდენს.

**პროტესტ-ი**, საჯარო განცხადება უსამართლობის ან უკანონობის შესახებ.

**პროტექტორატ-ი**, ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო „მფარველობის" ფორმა კოლონიურ (ან ნახევრად კოლონიურ) სახელმწიფოს მიმართ—საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, – წარმოადგენს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლური პოლიტიკის ერთერთ ფორმას. **პროტექტორ-ი**, 1) მფარველი; 2) ინგლისში:

მეფის მოადგილის (ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვნობის გამო) ტიტული.— **პროტექცია**, გავლენიანი პირის მფარველობა, რომლის შედეგად წინაურდება მფარველობის ქვეშ მყოფი პირი დაუმსახურებლივ და კეთდება რაიმე საქმე წესის დარღვევის გზით.

**პროტექციონიზმ-ი**, მფარველობითი სისტემა საერთაშორისო საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში: სხვა სახელმწიფოდან შემოსატანი საქონლის შეზღუდვა და გაძვირება (საბაჟო გადასახადების გადიდებით) და თავის სახელმწიფოში სახალხო მეურნეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა,— გამოყენებულია კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ იმპერიალიზმის ხანაში. — **პროტექციონისტ-ი**, პროტექციონიზმის მომხრე. — **პროტექციონული**, **პროტექციული**, მფარველობითი.

**პროტო-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] „პირველი", „უფროსი", „პირველადი", „პირვანდელი" და სხვ.

**პროტოგენური**, პირველწარმონაქმნი, უპირველესად წარმოშობილი.

**პროტოზოა**, უმარტივესი ცხოველური ორგანიზმი.

**პროტოკოლ-ი**, ოქმი.—**პროტოკოლისტ-ი**, მეოქმე, ოქმის დამწერი.

**პროტონ-ი**, დადებითად დამუხტული ნაწილაკი,—ელექტრონთან ერთად შეადგენს ატომს.

**პროტოპლაზმა**, **პროტოპლაზმ-ი**, ყოველი ორგანიზმის შემადგენელი ცოცხალი ნივთიერება უჯრედისა,—წარმოადგენს სასიცოცხლო თვისებათა (მოძრაობის, ნივთიერების ცვლის, ზრდის და გამრავლების) განხორციელების ადგილს.

**პროტოპლასტ-ი**, მცენარის უჯრედის შემადგენელი ნაწილი.

**პროტოტიპ-ი**, პირველნიმუში, პირველსახე.

**პროტოფიტები** (მრავლ.), უმარტივესი, პირველადი მცენარეები.

**პროტოჰიპუს-ი**, გადაშენებული სამჩლიქიანი ცხენი.

**პროფან-ი**, რაიმე დარგის უცოდინარი, უვიცი ადამიანი.—**პროფანაცია**, 1) თავდაპირველად: სალოცავის შებღალვა; 2) ახლა: მოურიდებლად ურიგო მოპყრობა რაიმე დადებითი მოვლენის (ხელოვნების, იდეის, მოძღვრების) მიმართ.—**პროფანატორ-ი**, ასეთის ჩამდენი.

**პროფესია**, მუდმივი მოსაქმეობა, ხელობა, რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს.—**პროფესიონალ-ი**, ამათუიმ დარგში დახელოვნებული ადამიანი. — **პროფესიონალური**, პროფესიონალის დამახასიათებელი.

**პროფესიული** (და არა პროფესიონალური), პროფესიის (ნ.) ხასიათისა, მისგან გამომდინარე, მისი შესაფერი და სხვ.. — **პროფესიული ავადმყოფობა**, ამათუიმ პროფესიით გამოწვეული ავადმყოფობა.—**პროფესიული განათლება**, ამათუიმ პროფესიისათვის საჭირო მუშაკების საგანგებო მომზადების სისტემა სახალხო განათლებისა,—უპირისპირდება საერთო განათლებას. საბჭოთა კავშირში ასეთი დაპირისპირების ნაცვლად არსებობს ორთავე სისტემის გამაერთიანებელი პოლიტექნიკური განათლება (ნ. ეს).— **პროფესიული კავშირები**, ერთიდაიმავე პროფესიის დაქირავებული შრომის მუშაკთა მასობრივი გაერთიანებები - განურჩევლად წევრთა პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და კლასობრივი შეგნების დონისა; მათი მიზანია—ბრძოლა თავის წევრთა ეკონომიური გაუმჯობესებისათვის, რაც კაპიტალიზმის პირობებში დაკავშირებულია პოლიტიკურ ბრძოლასთან; სოციალისტური აშენებლობის ხანაში პროფესიული კავშირები არიან კომუნიზმის სკოლა (ლენინი).

**პროფესორ-ი**, სამეცნიერო ხარისხის მქონე და უმაღლეს სასწავლებელში ძირითადი სამეცნიერო დისციპლინის მკითხველი და ხელმძღვანელი მეცნიერი (დასავლ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში პროფესორს ეძახიან აგრეთვე საშ. სასწავლებლის მასწავლებელსაც). — **პროფესურა**, 1) პროფესორობა, 2) საპროფესორო კათედრა.

**პროფილაქტიკა**, მედიცინის დარგი: დაავადების თავიდან ასაცილებელი წინასწარი ღონისძიებანი.—**პროფილაქტიკური**, გამაჯანსაღებელი, დაავადებისაგან წინასწარ დამცველი.—**პროფილაქტორიუმ-ი**, 1) სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი; 2) სამკურნალო-შრომის დაწესებულება უთავშესაფროთ, უმუშევარ და ვენერიულად ავადმყოფ დედაკაცთათვის; მკურნალობის გარდა პროფილაქტორიუმის მიზანია ჩაუნერგოს იქ მოთავსებულ დედაკაცებს შრომის ჩვევები და ჩააბას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**პროფილ-ი**, 1) პირისახის ან რაიმე სხვა საგნის მოხაზულობა გვერდიდან; 2) გეოლოგიაში და ტექნიკაში: შვეული (ვერტიკალური) გადანაკვეთი (ზღვისა, მთისა, შენობისა და სხვ.), სადაც ჩანს გადაკვეთილის დამახასიათებელი თვისებები; 3) *სპეციალისტის პროფილი*, სპეციალისტის მომზადების, სპეციალური ცოდნის

და ჩვევების თავისებურობანი, რომელნიც საჭირონი არიან სახალხო მეურნეობის განსაზღვრულ დარგში წარმატებით მუშაობისათვის.

**„პროფინტერნ-ი“**, პროფესიულ კავშირთა წითელი ინტერნაციონალი, რევოლუციური პროფესიული მოძრაობის საერთაშორისო გაერთიანება,—დაარსდა 1921 წელს.

**პროცედურა**, 1) რთულ მოქმედებათა წყება რაიმე საქმის ასრულებაში, მკურნალობისას და სხ.; 2) ხანგრძლივად მიმდინარეობა რაიმე საქმისა; 3) გაპიანურება, ფორმალობათა შესრულება.

**პროცენტ-ი**, 1) რაიმე რიცხვის მეასედი (ნიშანია %); 2) სარგებელი, ჩვეულებრივ—სარგებლის რაოდენობა წელიწადში დახარჯული კაპიტალის 100 მანეთზე; 3) პოლიტიკურ ეკონომიაში: სარგებლის ნაწილი, რომელსაც მესარეწე აძლევს ფულადს კაპიტალისტს.—**პროცენტული**, პროცენტის ხასიათისა.—**პროცენტიანი**, პროცენტის (სარგებლის) მომცემი.

**პროცეს-ი (-სს-ი)**, 1) კანონზომიერი თანამიმდევრობითი მონაცვალეობა მდგომარეობათა, „უწყვეტი მოძრაობა, ცვალებადობა, სახეცვალება და განვითარება“ (ენგელსი), დიალექტიკური განვითარების მსვლელობა; 2) იურიდ.: საქმის გარჩევის მსვლელობა სასამართლოში; აგრეთვე—მეცნიერება სამართალწარმოებისა.

**პროცესია (-სსია)**, საჯარო მასური სვლა რაიმე საზეიმო (საზეიმო პროცესია) ან სამგლოვიარო (სამგლოვიარო პროცესია) შემთხვევის გამო.—**პროცესუალური**, პროცესის ხასიათისა, პროცესის შესახებ და სხვ.: **პროცესუალური მეცნიერება**, სწავლა პროცესის, სამართალწარმოების შესახებ.

**პსევდო-**, ნ. ფსევდო-.

**პსიხ-**, ნ. ფსიქ-.

**პუბლიკაცია**, საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნება ოფიციალურ პერიოდულ ორგანოში.

**პუბლიცისტ-ი**, ჟურნალ-გაზეთებში საზოგადოებრივი საკითხების განმხილველი მწერალი.—**პუბლიცისტიკა**, ლიტერატურის ერთერთი დარგი,—იხილავს და აშუქებს მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს, უმთავრესად—ჟურნალ-გაზეთებში.

**პუდელ-ი**, საოთახო ძაღლის ერთერთი ჯიში ხუჭუჭთმიანი.

**პუდინგ-ი (პუდდ-)**, ერთგვარი ინგლისური ტკბილეული—შაქრიანი რძისა, ბრინჯისა, კვერცხისა და სხვ. საკმაზისაგან დამზადებული. — პუდინგება,

თუჯისაგან რკინის მიღების საშუალება.

**პუდრ-ი,** პირისახეზე წასასმელი კოსმეტიკური (ნ.) საშუალება, — წარმოადგენს ცარცნარევი სახამებლის ფხვნილს.

**პულვერიზატორ-ი,** სითხის მფრქვეველი მტვრის სახით.—**პულვერიზაცია,** სითხის ფრქვევა მტვრის სახით პულვერიზატორის საშუალებით.

**პულპა,** კბილის სირბილე (ანატომ.).

**პულს-ი,** სისხლის ტალღისებრი პერიოდული მოძრაობა არტერიებში,—მისი სიხშირე გაისინჯება მაგ. მაჯაზე (ხელის ცერის ფუძესთან); ამიტომ ეძახიან მ ა ჯ ი ს ც ე მ ა ს.—**პულსაცია,** გულისა და არტერიების პერიოდული შეკუმშვა-გაფართოება.—**პულსომეტრ-ი,** პულსის სიხშირის საზომი მოწყობილობა.

**პუნქტ-ი,** 1) წერტილი; სივრცის განსაზღვრული ადგილი; 2) პარაგრაფი, მუხლი რაიმე დებულებისა, კანონისა და სხვ; 4) სასტამბო საზომის ერთეული; 3) სამკურნალო, საკვები და სხვა ასეთი დახმარების ცენტრი.

**პუნქტირ-ი,** წერტილოვანი ხაზი, წერტილხაზი, — იხმარება ხაზვაში და ბლანკებზე, სადაც განზრახულია რისამე ჩაწერა ხელით.

**პუნქტუალური,** ზუსტი, ზედმიწევნითი.—**პუნქტუალ(ურ)ობა,** სიზუსტე, ზედმიწევნილობა.

**პუნქტუაცია,** სასვენი ნიშნები; მათი დასმა.

**პუნქცია,** მედიცინაში: ჩხვლეტა საგანგებო მოწყობილობით — დიაგნოზის ან სამკურნალო მიზნებით.

**პუნშ-ი,** ხუთი სხვადასხვა მასალისაგან (კონიაკისა, ჩაისა, წყლისა, შაქრისა და ლიმონის წვნისაგან) დამზადებული სასმელი.

**პუპიტრ-ი,** ნ. პიუპიტრი.

**პურიზმ-ი,** ენათმეცნიერებაში: ენის სიწმინდის (ზოგჯერ—გადაჭარბებით) დაცვა უცხო სიტყვებისა და გამოთქმებისაგან (ამბობენ აგრეთვე ზ ნ ე ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა თ ა პ უ რ ი ზ მ ი ს შესახებ).—**პურისტ-ი,** პურიზმის მომხრე და დამცველი.

**პურიტანები** (მრავლ.), ბურჟუაზიულ საფუძველზე წარმოშობილი რელიგიური სექტა ინგლისში (16 საუკ.),—ებრძოდა კათოლიციზმის ნაშთებს ანგლიკანიზმში; ებრძოდა ფუფუნებას, დღესასწაულებს და სხ., რაც აფერხებდა კაპიტალისტურ დაგროვებას.—**პურიტანიზმ-ი,** პურიტანების შეხედულებანი და რელიგიური მიმდინარეობა.

პუტჩ-ი, შეთქმულთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ცდა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენისა; მცირე აჯანყება.—პუტჩიზმ-ი, აჯანყების ავანტურისტული ტაქტიკა,—არ ითვალისწინებს შესაძლებლობებს და არ თვლის აუცილებლად ფართო მასებისაგან მხარის დაჭერისათვის ზრუნვას. კომუნისტები კატეგორიულად უარყოფენ პუტჩიზმს.

პუფ-ი, დაბალი მრგვალი საჯდომი.

პფენიგ ი, მარკის ერთი მეასედი (ნ. მარკა),—უდრის დაახლოებ. ½ კაპეიკს.

# ჟ

ჟაკერია, გლეხთა აჯანყება საფრანგეთში 14 საუკუნეში,—გამოწვეული იყო ფულადი მეურნეობის განვითარების ნიადაგზე მშრომელი მასების ექსპლოატაციით; ჩაქრობილ იქნა უსასტიკესი ზომებით.

ჟაკეტ ი (-ტტ-ი), 1) ცალმხრივ შესაკრავი მამაკაცის ზედატანსაცმელი; 2) დედაკაცის ზედატანსაცმელი.

ჟალონ-ი, სარყე, სანიშნი სარი—გზის მაჩვენებელი. — ჟალონერ ი, მესარყე ან გზის მაჩვენებელი ჯარისკაცი.

ჟალუზები (მრავლ.), ფირფიტანა, ფირფიტებისაგან გაკეთებული ფანჯრის დარაბები,—უშვებენ ჰაერს, მაგრამ აკავებენ მზის სხივებს.

ჟანდარმები (მრავლ.), 1) უპირველესად საფრანგეთში: მეფის ამალა; შემდეგ — წესიერების დამცველი რაზმები; 2) რევოლუციამდე რუსეთში: პოლიტიკური პოლიცია, რომლის მთავარი დანიშნულება იყო სარევოლუციო მოძრაობასთან ბრძოლა.—ჟანდარმერია, ჟანდარმთა კორპუსი.

ჟანრ-ი, 1) ლიტერატურაში: ნაწარმოების სხვადასხვა გვარობა, მაგ. სათავგადასავლო, საყოფაცხოვრებო და სხვ.; 2) სახვით ხელოვნებაში: შინაარსის გვარობა, მაგ. პორტრეტი, პეიზაჟი; საყოფაცხოვრებო, ისტორიული და სხვ.; 3) ხელოვნების ნაწარმოები ისტორიული ან თანამედროვე ყოფაცხოვრების თემაზე. ჟანრისტ-ი, ასეთ თემებზე მომუშავე ხელოვანი.

ჟარგონ-ი, 1) თავისებური ენა ზოგიერთი საზოგადოებრივი დაჯგუფებისა, პროფესიისა და სხვ.; მაგ. კატორღელების ან ქურდების ჟარგონი და სხვ.; 2) ადგილობრივ ენებს ანუ

დიალექტებს ჟარგონი არ დაერქმევა; მაგ. არის ებრაული ენა (იდიში) და არა ებრაული ჟარგონი.

**ჟასმინ-ი,** იასამანი (მცნ.).

**ჟელატინ-ი,** უგემოო და უსუნო გამჭვირვალე წებო,—იხმარება საფოტოგრაფიო საქმეში და საჭმლის დამზადებაში.

**ჟელე,** შედედებული გამონახარში ცხოველის ძვლებისა ან რაიმე ხილისა.

**ჟერმინალ-ი,** საფრანგეთის სარევოლუციო კალენდრის გაზაფხულის პირველი თვე (21/III—19/IV).

**ჟესტ-ი,** გამომხატველობითი სხეულმოძრაობა, განსაკუთრებით ხელმოძრაობა, რომელიც 1) თანახლავს ადამიანის მეტყველებას ან 2) ასრულებს მეტყველების მაგივრობას აზრის გამოთქმისას; ამ მეორე შემთხვევას ეძახიან ჟესტის ენას. —ჟესტიკულაცია, სხეულ- ან ხელმოძრაობა მეტყველების დროს.

**ჟეტონ-ი,** შეჯიბრებაში მიღებული ლითონის ნიშანი,—ეძლევა ჯილდოდ რაიმე საზოგადოების წევრს.

**ჟილეტ-ი,** პიჯაკის ქვეშ ჩასაცმელი უსახელოებო ნაწილი კოსტუმისა.

**ჟირაფ-ი** (-ფუ ი), ვეფხაქლემა; ხარაბუზი (საბ.): წყვილჩლიქოვანი მცოხნელი ძუძუმწოვარი ცხოველი,—შესანიშნავია გრძელი კისრით და მაღალი ფეხებით; ცხოვრობს ტროპიკულ აფრიკაში.

**ჟირო,** გადაცემითი წარწერა თამასუქზე.—**ჟირანტ-ი,** თამასუქის გადამცემი.

**ჟირონდისტები** (მრავლ.), ჟირონდა, მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტია საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.—დამარცხდა 1793 წ.

**ჟიური,** ნ. ჟური.

**ჟოკეი,** 1) ცხენოსანი თანმხლებელი; 2) მემარულე მიედარის დოღში.—**ჟოკეი-კლუბ-ი,** დოღის მოყვარულთა საზოგადოება.

**ჟონგლერ-ი,** 1) საფრანგ. საშ. საუკუნეებში: მოგზაური მომღერალი და მოცეკვავე; 2) ცირკის მსახიობი,—სხვადასხვა საგნებით ხელმარჯვედ მოთამაშე; თვალთმაქცი.

**ჟუირ-ი,** ცხოვრების ქეიფში გამტარებელი, ქეიფში ჩამწვარი ადამიანი.

**ჟუპელ-ი,** საფრთხობელა; საშიშარი რამ.

**ჟური,** 1) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინგლისში (საშ. საუკ.) და საფრანგეთში (1791 წლიდან); 2) ჯილდოს მიმსჯელი მცოდნე პირთა კომისია—გამოფენაში, შეჯიბრებაში და სხვ.

ჟურნალ-ი, პერიოდული გამოცემა სალიტერატურო, სამეცნიერო ან პუბლიცისტური ხასიათის შინაარსით; 2) შემოსულ-გასული ქაღალდების წიგნი დაწესებულებაში; 3) საბუღალტრო დავთარი. — ჟურნალისტ-ი, 1) ჟურნალის (პერიოდ. გამოც.) თანამშრომელი; 2) დავთრის მწარმოებელი. — ჟურნალისტიკა, პერიოდული გამოცემების (ჟურნალ-გაზეთების) ლიტერატურა.

ჟურფიქს-ი, სადარბაზოდ დანიშნული დღე.

# რ

რაბატ-ი, საქონელზე ფასის დაკლება (ბევრის ან მუდმივი) მყიდველისათვის.

რაბინ-ი (რაბბ-), არჩეული სასულიერო პირი ებრაელ-რაბინისტებისა.—რაბინიზმ-ი, ებრაელ-თალმუდისტების რელიგიური მოძღვრება. — რაბინისტები, (მრავლ.), რაბინიზმის მიმდევარი ებრაელები.

რაგუ, წვრილად დაჭრილი ხორცისაგან შემზადებული მოხრაკული.

რად-ი, ნ. რადიუმ ი.

რადიალური, რადიული, რადიუსის მიმართულებისა; სხივისებრი.

რადიატორ-ი, 1) თუჯის მილებისაგან გაკეთებული ცენტრალური გათბობის მოწყობილობა; 2) წყლის გასაციებელი მოწყობილობა საავიაციო და ავტომობილის მოტორებში.

რადიაცია, გამოსხივება.

რადიისტ-ი, რადიომიმღებისა და რადიოგადამცემის დადგმულობაზე მომუშავე სპეციალისტი.

რადიკალ-ი, 1) მათემატიკაში: ამოფესვის მოქმედების აღმნიშვნელი ნიშანი ($\sqrt{\ }$); 2) გადამწყვეტი ღონისძიებების მომხრე; ძირითადი რეფორმების მომხრე (ბურჟ. ქვეყნებში). — რადიკალური, ძირითადი, გადამწყვეტი.—რადიკალიზმ-ი, რადიკალების (ნ. 2) პოლიტიკური მიმართულება; გადამწყვეტი ღონისძიებების მიღება.

რადიო, ენერგიის უმავთულოდ გადაცემა დიდ მანძილზე — რადიოსადგურისმიერ გამოსხივებული ელექტრო-მაგნეტური ტალღების საშუალებით.

რადიოაპარატ-ი, რადიომიმღები ან რადიოგადამცემი მოწყობილობა.

რადიოაქტივობა, ზოგიერთი ნივთიერების უნარი ენერგიის

თავისთავადი გამოყოფისა ერთგვარი სხივების სახით; ასეთ ნივთიერებებს ეძახიან **რადიოაქტიურ ნივთიერებებს**, რომლებსაც აქვთ შემდეგი თვისებები: ანათებენ სიბნელეში, გამოყოფენ სითბოს, მოქმედებენ ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, გადიან სინათლეგაუვალ საგნებში და სხვ.

**რადიოგრამა** (-მმა), რადიოთი გადაცემული ოფიციალური ცნობა.

**რადიოთერაპია**, რადიუმითა და მისი პროდუქტებით მკურნალობა.

**რადიომეტრ-ი**, სხივადი ენერგიის ზუსტად გასაზომი ხელსაწყო.

**რადიომუსიკა**, 1) მუსიკის გადაცემა რადიოთი ან 2) რადიოგადაცემისათვის დაწერილი მუსიკა.

**რადიოტელეგრაფ-ი**, ტელეგრამის უმავთულო გადაცემა. – **რადიოტელეფონ-ი**, ხმის ან მუსიკის უმავთულო გადაცემა.

**რადიოტექნიკა**, ელექტროტექნიკის ერთერთი დარგი—მაღალი სიხშირის დენთა ტექნიკა.

**რადიოფიკაცია**, ფართო მასების გეგმიანი მიზიდვა რადიოთი გადმოცემული ლექციებისა, კონცერტებისა და სხვ. ასეთის მოსასმენად; აგრეთვე—რადიოდადგმულობის გავრცელება.

**რადიუმ-ი**, ქიმიური ელემენტი; ძლიერი რადიოაქტივობის (ნ.) მქონე ლითონი.

**რადიუს-ი**, მათემატიკაში: მანძილი წრის რომელიმე წერტილისა ამავე წრის ცენტრიდან.

**რაიგრახ-ი** (-ხს-ი), კოლინდარი (ბალახი).

**რაიონ-ი**, 1) გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მეტნაკლები სიდიდის ადგილი, განსხვავებული რაიმე თვისებებით (ეკონომიურად, ბუნებრივი პირობებით და სხვ ); 2) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საბჭოთა კავშირში; 3) ქალაქის უბანი.—**რაიონული**, რაიონისა, რაიონის ხასიათისა.—**დარაიონება**, რაიონებად დაყოფა.

**რაკეტ-ი**, აალებადი და მსკდომარე ჰილზი (მასრა, ნ. ჰილზი),—იხმარება ფეიერვერკისათვის (ნ. ეს); აგრეთვე—სამხედრო მიზნებით (სანიშნოდ).

**რამაზან-ი**, მაჰმადიანების მეცხრე თვე (მარტი), როცა ისინი მარხულობენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

**რამი**, მრავალწლიანი, ჰინჭრისებრი მაღალი მცენარე,—ხარობს თბილ ადგილებში, კერძოდ—საქართველოშიც; მისი ბოჭკოებისაგან კეთდება სხვადასხვა ქსოვილები.

**რამიფიკაცია**, განშტოება, განტოტება.

**რამპა, რამპ-ი,** სცენის გასაშუქებელი მწკრივი სანათურებისა ფარდასთან იატაკზე (იხმარება იშვიათად; მის ნაცვლად გამოყენებულია სცენის გაშუქება პერიდან).

**რანდევუ,** პაემანი; შეხვედრა.

**რანტ-ი,** არშია ლანჩაზე (ფეხსაცმლისა).

**რანტიე,** კაპიტალისტურ საზოგადოებაში: უშრომელი შემოსავლით (მაგ., გასესხებული ფულის სარგებლით და სხვ). მცხოვრები ადამიანი.

**რაპორტ-ი (რაპპ-),** მოხსენება უმცროსისა თავისი უფროსისადმი (წერილობითი ან ზეპირი).

**რაპსოდები, რაფსოდები** (მრავლ.), ძველბერძნულ საგმირო თქმულებათა ნაწყვეტების მღერით მთქმელები, რაფსოდიების (ნ.) საჯაროდ შემსრულებლები,— აერთიანებდენ ნაწყვეტებს მთლიან ამბად. — **რაფსოდია,** 1) საგმირო თქმულებები ძველ საბერძნეთში, რომლებსაც საჯაროდ ასრულებდენ რაფსოდები; 2) მუსიკაში: თავისუფალი ფორმის საინსტრუმენტო მუსიკალური ნაწარმოები, უმთავრესად ეროვნულმოტივებიანი.

**რარიტეტ-ი,** იშვიათი რამ, საოცარი სიიშვიათე.

**რასა, რასები** (მრავლ.), ადამიანთა სხვადასხვა ტიპები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგებულებით, კანისა და თმის ფერით, ამ ნიშნეულებათა მემკვიდრეობითი მედევრობით (ე. ი. მათი ხანგრძლივად შენარჩუნებით სხვა პირობებში) და სხვ ; არსებობს რასების სხვადასხვა დაყოფა, მაგ.: წითელ , თეთრ-, ყვითელ- და შავკანიანი რასები; ან: კავკასიური, მონღოლური, ეთიოპური, ამერიკული და მალაური რასები და სხვ.. ბურჟუაზიული მეცნიერები ჰყოფენ კაცობრიობას „მაღალ“ და „დაბალ“ რასებად, რითაც ამართლებენ „მაღალი“ რასების ბატონობას „დაბალ“ რასებზე და მტაცებლურ კოლონიურ პოლიტიკას; ამ შეხედულებას არ მოეპოება არავითარი მეცნიერული საფუძველი.— **რასული, რასობრივი,** რასის დამახასიათებელი,—შესაფერი.

**რატიფიკაცია,** სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების დამტკიცება მათი უზენაესი ხელისუფლებისმიერ. — **რატიფიცირება, ვარატიფიცირებ,** ვამტკიცებ, ვადასტურებ ხელშეკრულებას. — **რატიფიცირებული,** დამტკიცებული, დადასტურებული.

**რატუშა,** ქალაქის თვითმართველობის შენობა, აგრეთვე — თვითმართველობა.

**რაუნდ-ი,** ბოქსირების შებრძოლების ხანგრძლიობა,— დაახლოებ. 2—3 წუთი (ნ. ბოქსი).

**რაუტ-ი,** საზეიმო წვეულება სადამო მაღალი თანამდებობის პირთა.

**რაფინად-ი,** სხვადასხვა ფორმის დაწმენდილი მაგარი შაქარი,— მზადდება შაქრის ფხვნილისაგან.

**რაფს-,** ნ. რაპს-.

**რაშპილ-ი,** ჭოპოსანი.

**რაციონალიზაცია,** რაიმე მოქმედების (შრომის, საქმიანობის, წარმოების პროცესის) მიზანშეწონილად მოგვარება, მოწესრიგება, რომლის მიზანია: ადამიანის ძალის და უნარის მიზანშეწონილად გამოყენება, მინიმალური ხარჯვით მაქსიმალური ნაყოფიერების მიღება და სხვა ასეთი. - **რაციონალიზება, ვარაციონალიზებ,** ვაწესრიგებ, ვაუმჯობესებ შრომის პროცესს. — **რაციონალიზებული,** მოწესრიგებული, გაუმჯობესებული.

**რაციონალიზმ-ი,** მეტწილად იდეალისტური ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც ჭეშმარიტი ცოდნის წყაროდ მიაჩნია მხოლოდ გონება და არა გრძნობითი გამოცდილება,—უპირისპირდება ემპირიზმს (ნ.).—**რაციონალისტებმა** — რაციონალიზმის მიმდევრებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**რაციონალური,** გონივრული, მიზანშეწონილი.

**რაციონ-ი,** საკვების ულუფა დღედამეში, როჭიკი.

**რახიტ-ი, რახიტის-ი** („ინგლისური ავადმყოფობა"), მცირეწლოვან ბავშთა დაავადება, — მდგომარეობს ძვლების ზრდის პროცესის დარღვევაში; ვითარდება ცუდ კლიმატურ პირობებში, ვიწრო და ბნელ ბინებში, ცუდი კვების გამო და სხ..—**რახიტიკი,** რახიტით დაავადებული.

**რეაბილიტაცია, რეჰაბილიტაცია,** წინანდელ მდგომარეობაში, — უფლებებში აღდგენა; სახელშელახულობის კვალადაღდგენა; ბრალდებისაგან გამართლება და სხ. **რეაბილიტირება, ვარეაბილიტირებ,** სახელს აღვუდგენ, გავამართლებ; **ვრეაბილიტირდები,** სახელს აღვიდგენ, ვმართლდები. — **რეაბილიტირებული,** სახელაღდგენილი.

**რეაგირება,** 1) გამოპასუხება მიღებულ შთაბეჭდილებებზე, გარემოს ზემოქმედებაზე; 2) ქიმიაში: ერთი ნივთიერების ქიმიური ზემოქმედება მეორეზე.—**ვურეაგირებ,** გამოვეპასუხები რაიმე ზემოქმედებაზე (ნ. რეაქცია).

**რეაკტ-**, **რეაქც-**, ნ. რეაქტ-, რეაქც-.

**რეალიზაცია**, 1) განხორციელება, ცხოვრებაში გატარება, შესრულება (გეგმის, განზრახვის, წინადადების ..); 2) ქონების ფულად ქცევა (საქონლის გაყიდვა).—**სესხის რეალიზაცია**, სესხის განაღდება,—გასაღება.

**რეალიზმ-ი**, 1) ფილოსოფიური მიმართულება. რომელიც აღიარებს გარემსოფლიოს არსებობის სინამდვილეს — დამოუკიდებლად ჩვენი წარმოდგენისა მის შესახებ—და გრძნობათა შემწეობით მის სრულ წვდომას, ე. ი. თითქოს გრძნობითი შემეცნება იძლეოდეს მოვლენათა სრულ ცოდნას; 2) საშ. საუკუნეების იდეალისტური შეხედულება ზოგადი ცნებების არსებობის შესახებ (ნ. ნომინალიზმი); 3) ცხოვრების სინამდვილის ზუსტი გამოსახვა მწერლობაში და სახვითს ხელოვნებაში,—დაკავშირებულია ბურჟუაზიული საზოგადოების გაშვითარებასთან. — **რეალისტ-ი**, 1) რეალიზმის მიმდევარი მწერლობაში და ხელოვნებაში; 2) ადამიანი; რომელიც ცხოვრებაში მისდევს სინამდვილეს და აფასებს მხოლოდ თავისი აზრებისა და გეგმების განხორციელებას და არა განუხორციელებელ ოცნებებს; 3) რეალური სასწავლებლის (ნ.) მოსწავლე.—**რეალისტური**, რეალიზმის ხასიათისა, მისგან გამომდინარე.—**რეალობა**, ნამდვილად არსებული, ობიექტური, სინამდვილე.

**რეალური**, 1) ნამდვილი, არსებული (არა წარმოსახვითი;) 2) ცხოვრების ფაქტებთან შეფარდებული. — **რეალური სასწავლებელი**, საშუალო სასწავლებელი რევოლუციამდე რუსეთში,—განსხვავდებოდა კლასიკური გიმნაზიისაგან საბუნებისმეტყველო საგნებისა. მათემატიკის გაფართოებული კურსისა და ზოგიერთი ტექნიკური საგნების სწავლებით.—**რეალური ხელფასი**, საარსებო საშუალებათა რაოდენობა (საკვები, ბინა და სხვა), რომლის ყიდვა შეუძლია მუშაკს თავისი ხელფასით. — **რეალურობა** სინამდვილესთან შეფარდებულობა.

**რეაქტივ-ი**, ქიმიაში: ნივთიერება, რომლის მიმატება სხვა ნივთიერებასთან იწვევს მასში შესამჩნევ რეაქციას (ფერის ცვლას, ნალექის წარმოქმნას და სხვ.).

**რეაქტოლოგია**, ერთერთი მიმართულება ფსიქოლოგიაში, — ადამიანის ქცევათა საფუძვლად სთვლის რეაქციებს (ნ. რეაქცია, 3).

**რეაქცია** („უკუმოქმედება"), საერთოდ: გამოპასუხება გარედან ზემოქმედებაზე; 1) ქიმიაში:

ერთი სხეულის მეორეზე ზედ-მოქმედებით გამოწვეული ცვლილება: 2) **პოლიტიკური რეაქ-ცია**, რევოლუციის მოწინაალმდეგე გადასაშენებელ კლასთა და სოციალურ ჯგუფთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოძრაობა—რევოლუციამდე არსებული პოლიტიკური ფორმების ან საწარმოო ურთიერთობის აღსადგენად და დასაცავად; 3) ფსიქოლოგიაში: ორგანიზმის გამოპასუხება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე.—წარმოადგენს მთელი ორგანიზმის მოქმედების მთლიან აქტს (შეად. რეფლექსი); 4) ძალღონის გამოლევა, სულიერი დაღლილობა—ძლიერი დაჭიმულობისა და აგზნების შემდეგ.—**რეაქციული**, რეაქციის ხასიათისა.

**რეაქციონერი**, პოლიტიკური რეაქციის (ნ.) მომხრე, პროგრესის (ნ.) მოწინააღმდეგე.—**რეაქციონერული**, რეაქციონერის დამახასიათებელი.

**რებუს-ი**, დასურათებული გამოცანა, რომლის პასუხი ამოიკითხება სხვადასხვა სურათებისა და ნიშნების დასახელებათა შეერთება-შეკვეცით.

**რეგალიები** (მრავლ.), 1) სახელმწიფოს მეთაურის (მაგ. მეფის) პირადი მონოპოლიური უფლება განსაზღვრულ შემოსავალზე (ფულის მოჭრა, ხეტყის და მადნის დამუშავება. თევზის ჭერა და სხვ.),—მომდინარეობდა საშ. საუკუნეებიდან და გაუქმდა 19 საუკ. გაძლიერებული ბურჟუაზიის ზეგავლენით; 2) მონარქის ხელისუფლების ნიშნები (გვირგვინი, ტახტი, კვერთხი...).

**რეგენერატორი**, 1) აღმდგენელი, გარდამქმნელი: 2) **რეგენერატორები**, ტექნიკაში: რეგენერაციული ღუმელის კამერები (ნ. რეგენერაცია).

**რეგენერაცია**, კვალადწარმოქმნა, აღორძინება, აღდგენა; ბიოლოგიაში: ზოგიერთი ცხოველის უნარი—დაკარგული ორგანოს (ან მისი ნაწილის) აღდგენისა, მაგ. მოწყვეტილი კუდისა.—**რეგენერაციული ღუმელი**, ისეთი ღუმელი, რომელშიც გამოყენებულია წვის დროს წარმოქმნილი აირები.

**რეგენტ-ი**, 1) სახელმწიფოს დროებითი მმართველი მემკვიდრის მცირეწლოვნობის გამო; 2) საეკლესიო გუნდის ლოტბარი.

**რეგისტრატორ-ი**, შემოსული და გასული ქაღალდების ჟურნალის მწარმოებელი პირი დაწესებულებაში. —**რეგისტრატურა**, დაწესებულების განყოფილება, სადაც წარმოებს შემოსული და გასული ქაღალდების აღრიცხვა.

**რეგისტრაცია**, რაიმე მოვლენის აღნიშნვა, ჩაწერა — აღრიცხვის მიზნით; აღნუსხვა საბუთებისა, საგნებისა, ადამიანთა და სხვ.; ცნობაში მოყვანა.

**რეგისტრ-ი**, 1) სარეგისტრაციო წიგნი (ნ. რეგისტრაცია), სარჩევი; 2) **ხმის რეგისტრ-ი**, ხმის მოცულობა,

**რეგლამენტ-ი**, 1) მუშაობის წესი; დებულება; წესდება; 2) სხდომის მუშაობის წესები (მაგ. დადგენა მოხსენების და კამათის ხანგრძლივობისა და სხვ.).— **რეგლამენტაცია**, რაიმე მოქმედების განმსაზღვრელი წესების დადგენა.

**რეგრეს-ი** (-სს-ი), დაქვეითება, მოძრაობა გაუარესებისაკენ, უკანუკან სვლა — უპირისპირდება პროგრესს (ნ. ეს). — **რეგრესული**, გაუარესებისაკენ მიმართული, დაქვეითებული. — **რეგრესული ორგანოები**, ადამიანის წინაპრისათვის მნიშვნელოვანი, ხოლო ადამიანისათვის უმნიშვნელო ორგანოები, რომლებიც ამიტომ დაქვეითდენ.

**რეგულარიზაცია**, მოწესრიგება, წესიერების შეტანა რაიმე საქმიანობაში, მოქმედებაში, მოძრაობაში, ურთიერთობაში — მათთვის გარკვეული მიმართულების მიცემის მიზნით.—**რეგულარული**, სწორი, ზუსტი. მუდმივი, თანაზომიერი. — **რეგულარული ლაშქარი**, განსაზღვრული სამხედრო მომზადების მქონე მუდმივი ლაშქარი.

**რეგულატორ-ი**, მომწესრიგებელი; მანქანებისა და სხვადასხვა აპარატების თანაზომიერი მოძრაობის დამყენებელი ხელსაწყო.

**რეგულირება**, ხელმძღვანელობა და მიმართვა მოქმედებისა, ურთიერთობისა და სხვ., რასაც აწარმოებენ ხელისუფლების ორგანოები ცხოვრების სხვადასხვა დარგის მოწესრიგების მიზნით.—ვარეგულირებ, ვაწესრიგებ; ვრეგულირდები, ვწესრიგდები. — **რეგულირებული**, მოწესრიგებული.

**რედაქტორ-ი**, პერიოდული გამოცემის ან სხვა ლიტერატურული ნაწარმოების დასაბეჭდად გამზადების ხელმძღვანელი; რაიმე შრომის განმხილველ-შემსწორებელი და მისთვის პასუხისმგებელი.

**რედაქცია**. 1) დასაბეჭდი მასალის (ხელნაწერის) საბოლოოდ დამუშავება; 2) რაიმე გამოცემის (წიგნის, ჟურნალის, გაზეთის) დასაბეჭდად გამმზადებელ მუშაკთა ჯგუფი; 3) პერიოდული გამომცემლობის ბინა.—**რედაქციული**, რედაქციის ხასიათისა.

**რედიკულ-ი**, ნ. რიდიკული.

**რედუქცია**, 1) ბიოლოგიაში: უკუგანვითარება ორგანიზმის განმარტივება ამათუიმ ორგანოს

ცვლილების ან სრულიად დაკარგვის გამო; 2) ენათმეცნიერებაში: სიტყვის ამათუიმ ბგერის მკრთალად წარმოთქმა და თანდათანობით სრულიად დაკარგვა, მაგ. ძვალი — ძვლის: „ა“-ს დაკარგვას ასეთ შემთხვევაში ეძახიან რედუქციას.—**რედუცირება**, ვრედუცირდები, რედუქცია მომდის.—**რედუცირებული**, რასაც რედუქცია მოუვიდა (მაგ. რედუცირებული ორგანო, რედუცირებული „ა“).

**რეესტრ-ი**, ნუსხა; საქმეების ჩასაწერი წიგნი.

**რევანშ-ი**, სამაგიერო, ნაცვალგება, ჯავრის ამოყრა, მაგ.: თამაშის, შეჯიბრების ან ომის წაგებისათვის.

**რევერანს-ი**, თავმდაბლად და მოხდენილად თავისდაკვრა.

**რევერს-ი**, ფულის უკანმხარე, ფულისზურგი (შეად. ავერსი).

**რევიზია**, დაწესებულების მუშაობის გამოკვლევა და შემოწმება.—**რევიზორ-ი**, რევიზიის მომხდენი პირი.

**რევიზიონიზმ-ი**, წარს. საუკუნის 90 წლებში დაწყებული (გერმანელ სოც.-დემოკრატ ბერნშტეინის მიერ) ბურჟუაზიული დამახინჯება მარქსის რევოლუციური თეორიისა. რევიზიონიზმის სხვადასხვა სახე, რომელიც მან მიიღო შემდეგში, სასტიკად გააკრიტიკეს პლეხანოვმა და ლენინმა.—**რევიზიონისტ-ი**, რევიზიონიზმის მიმდევარი.

**რევმატიზმ-ი**, ქარები: სახსრების, კუნთების და ნერვების დაავადება.—ჩნდება უმთავრესად გაციების ნიადაგზე. — **რევმატისტული**, რევმატიზმის ხასიათისა.

**რევოლვერ-ი**, სხვადასხვა სისტემის ცეცხლმსროლი იარაღი.

**რევოლუცია**, 1) ბუნებაში: მოძრაობის ერთი ფორმის გარდატეხითი („ნახტომისებრი“) შეცვლა სხვა ფორმით, რაც შედეგია თანდათანობითი განვითარების პროცესში რიცხვობრივ ცვლილებათა დაგროვებისა და მათი ახალ თვისობრივობაში გადასვლისა; 2) საზოგადოებაში: ერთი საზოგადოებრივი ფორმის გარდატეხითი შეცვლა სხვა ფორმით; ერთი საწარმოო ურთიერთობის შეცვლა სხვით. გაბატონებული კლასების დამხობა და ექსპლოატირებული კლასების ხელში ძალა უფლების გადასვლა და სხვა, რაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება რევოლუციური კლასის აქტივობას, შეგნებას, დარაზმვას, რევოლუციური პარტიის შექმნას და სხვ..—**რევოლუციონერ-ი**, რევოლუციის მონაწილე. — **რევოლუციური**, **რევოლუციონური**, რევოლუციის ხასიათის.

**რევიუ**, მიმოხილვა.

**რეზერვატები** (მრავლ.), ყორუღები: კანონით დაცული ადგილები, სადაც აკრძალულია ნადირობა, თევზისჭერა, ხის მოჭრა და სხვ.

**რეზერვაცია**, მარაგად დატოვება, დამარაგება.

**რეზერვ-ი**, რაიმე მარაგი, საიდანაც ხდება რისამე შევსება საჭიროების მიხედვით, კერძოდ—სათადარიგო ჯარი.

**რეზერვუარ-ი**, სითხეებისა და აირების საცავი.

**რეზიდენტ-ი**, 1) იმპერიალისტური სახელმწიფოს რწმუნებული მისი პროტექტორობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოში; 2) რაიმე დაწესებულების წევრი, რომელიც ცხოვრობს სხვაგან. — **რეზიდენცია**, სახელმწიფოს მეთაურის (მეფის, პრეზიდენტის) ადგილსამყოფელი, რომელიც ხშირად არ უდრის სატახტო ქალაქს (მაგ, ამსტერდამი—სატახტო ქალაქია, ხოლო ჰოლანდიის მეფის რეზიდენცია არის ჰააგაში).

**რეზინა**, **რეზინ-ი**, იგივეა რაც კაუჩუკი (ნ.).

**რეზიუმე**, მოკლე შინაარსი მოხსენებისა, ლექციისა, შრომისა და სხვ.—**რეზიუმირება**, **ვარეზიუმირებ**, მოკლედ გადმოვცემ შინაარსს.

**რეზოლუცია**, 1) რაიმე კრებულების (სხდომის, თათბირის, ყრილობის და სხვ.) დადგენილება,—გადაწყვეტილება; 2) წერილობითი განცხადების ან თხოვნის მიმღების დასკვნა მათზე; აგრეთვე—მცოდნე პირის დასკვნა წარდგენილ მოსაზრებაზე, წინადადებაზე და სხ.—**რეზოლუციური**, რეზოლუციის ხასიათისა.

**რეზონანს-ი**, 1) ბგერის ამყოლობა, თანაბგერობა: სხეულის ისეთი საბგერო რხევა, რომელიც გამოწვეულია სხვა სხეულის საბგერო რხევით; 2) გამოხმიანება, ბგერის მეტნაკლები გასაგონობა (ოთახში, დარბაზში, თეატრში).—**რეზონატორ-ი**, ბგერის ამყოლი სხეული, ე. ი. ისეთი სხეული, რომელშიც გამოიწვევა რეზონანსი. — **რეზონირება**, **ურეზონირებს**, გამოეხმიანება, აყვება ბგერა.

**რეზონერ-ი** (**რეზონნ-**), ფუჭად მოლაპარაკე; ვინც ჭკვას ძალას ატანს; გრძელი (უმთავრესად—დამრიგებლობითი ხასიათის) მსჯელობის მოყვარული.

**რეზონ-ი**, საფუძველი; საბუთიანობა.

**რეზულტატ-ი**, შედეგი რაიმე მოქმედებისა,—საქმიანობისა.

**რეზუმე**, ნ. რეზიუმე.

**რეიდ-ი**, 1) ზღვის ნაწილი ნავსადგურთან, — გასაჩერებელი ადგილი გემებისა, რომლებიც რაიმე მიზეზით ვერ შედიან

ნავსადგურში; 2) კავალერიის თავდასხმა.

**რეის-ი**, გემის სავალი გზა ან მსვლელობა ორი ნავსადგურის შუა.

**რეისფედერ-ი** (-სს-), სახაზავი ხელსაწყო.

**რეიტუზ-ი**, ერთგვარი საცხენოსნო ვიწროტოტებიანი შალვარი.

**რეიხსვერ-ი**, გერმანიის რესპუბლიკის ლაშქარი — სახმელეთო და საზღვაო.

**რეიხსკანცლერ-ი**, გერმანიის პრემიერ-მინისტრის წოდება.

**რეიხსრატ-ი**, 1) გერმანიაში: რესპუბლიკის ცალკეულ ნაწილთა მთავრობების საკავშირო კრება; 2) ყოფ. ავსტრიის იმპერიის პარლამენტი.

**რეიხსტაგ-ი**, 1) ყოფ. გერმანიის იმპერიაში: სახალხო წარმომადგენლობის ორგანო, რომლის წინაშე მთავრობა არ იყო პასუხისმგებელი; 2) გერმანიის რესპუბლიკაში — პარლამენტი, რომლის დათხოვნა შეუძლია პრეზიდენტს, რასაც ადგილი ჰქონდა 1932 წლის სექტემბერში.

**რეკვიზიტ-ი**, 1) აუცილებელი აღნიშნულება საბუთზე, მაგ. თარიღი, ხელმოწერა და სხვ.; 2) სათეატრო წარმოდგენის მოწყობილობა (ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი და სხვ.). **რეკვიზიტორ-ი**, სათეატრო რეკვიზიტის მეთვალყურე.

**რეკვიზიცია**, კერძო ქონების იძულებითი ჩამორთმევა მოქალაქეთაგან სახელმწიფოს საჭიროებისათვის — ღირებულების ანაზღაურებით.

**რეკლამა**, 1) სხვადასხვა გვარი საშუალება (საგაზეთო განცხადება, აფიშა, საუბარი, სურათები და სხვ.) მასსის ყურადღების მიპყრობისა რაიმე საგანზე ან პიროვნებაზე (მსახიობზე, მწერალზე), უმთავრესად — გასასყიდ საქონელზე; მიზანია — გასაღება; 2) გადაჭარბებული საჯარო შექება, როცა შემქებელს უნდა მოაწონოს ვისმე რაიმე ან ვინმე. — **რეკლამირება**, **ვარეკლამირებ**, შევაქებ რასმე ან ვისმე სხვის მოსაწონებლად, ყურადღების მისაპყრობად. — **რეკლამისტ-ი**, რეკლამის დამზადებაში დახელოვნებული, რეკლამის გამწევი.

**რეკომენდაცია**, სიტყვიერი ან, უმეტესად, წერილობითი წარდგენა ვისიმე — კარგი დახასიათებით. — **რეკომენდატორ-ი**, რეკომენდაციის გამწევი.

**რეკონსტრუქცია**, გარდაქმნა, ხელახლად აშენება, ხელახლად მოწყობა. — **მეურნეობის რეკონსტრუქცია**, საწარმოო ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, რასაც ადგილი აქვს დღეს საბჭოთა

კავშირში. წარმოების გაფართოება, ტექნიკის მაღალ საფეხურზე აყვანა, კლასების ლიკვიდაცია და სხვ.

**რეკორდ-ი,** წარმატების უმაღლესი საზღვარი რაიმე შეჯიბრებაში. —**რეკორდის დადგენა,** წარმატების წინანდელი საზღვრის გადასვლა.

**რეკტ-,** ნ. რექტ-.

**რელატივიზმ-ი,** იდეალისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად ადამიანის შემეცნება მუდამ შეფარდებითია და ამიტომ არ იძლევა მსოფლიოს ნამდვილ ცოდნას.—**რელატივისტი,** რელატივიზმის მიმდევარი.—**რელატიური,** შეფარდებითი, შედარებითი.

**რელაცია,** სამხედრო ნაწილის უფროსის მოხსენება თავისი ჯარის მოქმედების შესახებ.

**რელე,** ელექტრომანქანის ჩასართავ-გამომრთველი მოწყობილობა.

**რელიგია,** სარწმუნოება: ადამიანის პრიმიტიული (პირვანდელი) მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად არსებობენ უზენაესი ძალები და არსებანი (ღმერთები, სულები. ანგელოზები) და განაგებენ ადამიანის სიცოცხლეს და ბუნებას; რელიგია იდეოლოგიური ზედნაშენია და ასახავს საზოგადოებრივი მყოფობის სხვადასხვა ცვლილებებს; იმის ყოველგვარი ფორმა წარმოადგენს მშრომელი მასების ჩაგვრისა და მათი კლასობრივი შეგნების დაბნელების იარაღს.—**რელიგიური,** სარწმუნოებრივი.

**რელიეფ-ი,** 1) გამობურცულობა, ამოხნექილობა; 2) გამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე; 3) რომელიმე ქვეყნის ზედაპირის ფორმა. — **რელიეფური,** გამობურცული; მკაფიო.

**რელიქვიები** (მრავლ.), ნაშთები, უმეტესად—„წმინდანთა"; სასწაულთმოქმედი და სალოცავი საგნები („წმინდანთა" ნაწილები, ტანსაცმელი და სხვ.),—მოგონილია მორწმუნე მასების ექსპლოატაციის მიზნით.

**რელს-ი,** რკინისგზის ლიანდაგის ლითონის ძელი.

**რემარკა, რემარკ-ი,** აღნიშვნა წიგნის არეზე; უმეტესად—დრამატული ნაწარმოების ავტორის მითითებანი მსახიობისათვის.

**რემინგტონ-ი,** ერთგვარი საბეჭდი მანქანა,—ატარებს გამომგონი ინჟინრის სახელს.—**რემინგტონისტ-ი,** რემინგტონით მბეჭდავი.

**რემონტ-ი,** 1) შეკეთება რაიმე, გაუვარგისებული (გატეხილი. მოცვეთილი) საგნისა, მაგ. მანქანისა, შენობისა და სხვ.

2) სამხედრო საქმეში: ცხენების ყოველწლიური დანაკლისის შევსება.

**რენეგატ-ი**, საკუთარი რწმენის მოღალატე პირადი სარგებლიანობის მოსაზრებით.

**რენესანს-ი** (რენესს-), კულტურულ-ისტორიული ხანა დასავლეთ ევროპაში (14—16 საუკ.) „მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებისა", — დაუპირისპირდა საშ. საუკუნეების ხანას, წარმოადგენდა ინტერესის გაღვივებას ძველი ბერძნ.-რომაული კულტურისადმი და წარმოიშვა ბურჟუაზიული კულტურის ჩასახვისა და განვითარების საფუძველზე.

**რენეტ-ი** (-ტთ-), ერთგვარი საზამთრო ვაშლი.

**რენკლოდ-ი**, ერთგვარი ქლიავი.

**რენომე**, პიროვნებისმიერ მოხვეჭილი სახელი—კარგი ან ცუდი.

**რენტა**, მუდმივი უშრომელი შემოსავალი ფიქციური კაპიტალის ან მიწის მფლობელისა (ნ. რანტიე). — **რენტაბელური**, შემოსავლიანი, სარგებლიანი.

**რენტგენის ანუ X სხივები**, ერთგვარი ელექტრომაგნეტური ტალღები, — აღმოაჩინა გერმ. ფიზიკოსმა, რ ო ე ნ ტ გ ე ნ - მა, და გამოყენებულია მედიცინასა და ტექნიკაში გაუმჭვირვალი საგნების გასაჭვირავად.—**რენტგენოგრამა** (-მმა), რენტგენის სხივებით ფოტოგრაფიულად გადანაღები სურათი. — **რენტგენოგრაფია**, რენტგენოგრამის გადაღება. — **რენტგენოლოგია**, მედიცინის დარგი,—წარმოადგენს რენტგენის სხივების გამოყენებას მკურნალობაში.—**რენტგენოთერაპია**, რენტგენის სხივებით მკურნალობა.

**რეომეტრ-ი**, დენის (კერძოდ—ელექტროდენის) ძალის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

**რეომიურ-ი**, ოთხმოც გრადუსიანი თერმომეტრი,—მოაწყო ფიზიკოსმა რ ე ო მ ი უ რ - მა (ნ. ცელსიუსი).

**რეორგანიზაცია**, გადაკეთება, ხელახლად მოწყობა (დაწესებულების, სკოლის...).—**რეორგანიზება**, .ვარეორგანიზებ, გადავაკეთებ, ხელახლად მოვაწყობ.—**რეორგანიზატორ-ი**, ხელახლა მომწყობი.

**რეოსტატ-ი**, ელექტროწრედში დენის სიძლიერის შესაცვლელი ხელსაწყო.

**რეპარაცია**, 1) შეკეთება, გამოსწორება; 2) **სამხედრო რეპარაციები**, ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება,—წარმოადგენს კონტრიბუციის ერთგვარ ფორმას, რომელიც დაედო მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას, ვითომცდა როგორც ომის მიზეზს (ნ. დაუეს- და იუნგ-).

**რეპატრიაცია**, 1) სამშობლოში დაბრუნება სხვა ქვეყანაში მყოფისა (სამხედრო ტყვეებისა, ლტოლვილთა, ემიგრანტებისა და სხვ.); 2) მოქალაქის უფლებებში აღდგენა სამშობლო-სახელმწიფოში დაბრუნებისას.

**რეპერტუარ-ი**, 1) სასცენო ნაწარმოებთა (პიესების, ოპერების და სხვ.) ერთობილობა, რომელთაც დგამენ ამათუიმ თეატრში; რეპერტუარით განსხვავდება ერთი თეატრი მეორისაგან; აგრეთვე იცვლება რეპერტუარი საზოგადოებრივი მოთხოვნილების მიხედვით, მაგ. საბჭოური რეპერტუარი არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან; 2) მსახიობის როლების ერთობილობა, აგრეთვე —ყოველი სასცენო ხელოვნის (მომღერლის, დამკვრელის და სხვ.) შესასრულებელი მარაგი.

**რეპეტიტორ-ი**, სკოლის მოწაფის დამხმარე კერძო მასწავლებელი.

**რეპეტიცია**, სასცენო წარმოდგენის წინასწარი შესრულება მომზადებითი ხასიათისა; დადგმის წინ უკანასკნელ რეპეტიციას (კოსტუმებით, გრიმით, დეკორაციებით) ეძახიან გენერალურ **რეპეტიციას**.

**რეპლიკა**, 1) სცენაზე: მსახიობის გამოპასუხება მასზე წინ მოლაპარაკე მსახიობის უკანასკნელ სიტყვაზე; 2) შეცილებითი გამოპასუხება მოლაპარაკის მიმართ (მაგ. ორატორის მიმართ ადგილიდან).

**რეპორტერ-ი**, გაზეთის თანამშრომელი,—აწვდის რედაქციას ადგილობრივი ცხოვრებიდან ახალი ამბების მასალებს.

**რეპრესია (-სსია)**, დამსჯელობითი სასტიკი ზომები. — **რეპრესიული**, დამსჯელობითი.

**რეპროდუქცია**, აღდგენა; წარმოხატვა; განმეორებითი, ხელახალი წარმოება, მაგ. ფოტოგრაფიული რეპროდუქცია; აგრეთვე ფსიქოლოგიაში: მეხსიერებით რისამე წარმოხატვა. — **რეპროდუქციული**, აღდგენითი, წარმოხატვითი.

**რეპტილიები** (მრავლ.), ქვეწარმავალნი (გველი, ხვლიკი, ნიანგი და სხვ.).

**რეპუტაცია**, საზოგადოებრივი აზრი პიროვნების ან დაწესებულების შესახებ—კარგი ან ცუდი.

**რეჟიმ-ი**, 1) წესწყობილება, სახელმწიფოს მმართველობის ესათუის ფორმა; 2) დაწესებულებაში დადგენილი წესები; 3) მედიცინაში: ექიმისმიერ ავადმყოფისათვის დადგენილი წესები კვებისა, მოვლისა და სხვ. —**ეკონომიის რეჟიმ-ი**, მომჭირნეობის წესები.

**რეჟისორ-ი** (რეჟისს-), სასცენო წარმოდგენის ხელმძღვანელი (მსახიობთა მომზადებაში, დადგმაში და სხვ.).—**რეჟისურა**, 1) რეჟისორობა; 2) რეჟისორთა ჯგთობილობა; 3) რეჟისორის საქმიანობა.

**რესკრიპტ-ი**, მონარქიულ ქვეყნებში: მეფის წერილი ქვეშევრდომის მიმართ—წყალობისა, ბოძებისა და სხვ.

**რესპექტ-ი**, პატივისცემა, მოწიწება.—**რესპექტაბლური**, პატივსაცემი, პატივცემითი.

**რესორი** (რესს-), **რესორები**, ეტლის, ვაგონის და სხვა მისთანათა ლითონის ნაწილები,—ამცირებენ გზის უსწორმასწორობით გამოწვეულ ბიძგს რყევას.

**რესპირაცია**, სუნთქვა, ამოსუნთქვა-შესუნთქვა. — **რესპირატორ-ი**, ჰაერის გამსუფთავებელი მოწყობილობა, რომელსაც მიიფარებენ ხოლმე პირზე მტვრიან წარმოებაში მომუშავენი.

**რესპუბლიკა**, სახელმწიფოს მმართველობის ისეთი ფორმა, როცა სახელმწიფოს განაგებს განსაზღვრული ვადით არჩეული პირი ან რამდენიმე პირთა კოლეგია, — გავრცელდა დასავლ. ევროპის სახელმწიფოებში სამრეწველო ბურჟუაზიის გაბატონების ხანიდან. ბურჟუაზიული რესპუბლიკები მხოლოდ გარეგნულად უზრუნველყოფენ ფართო მასების მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობაში. საბჭოთა რესპუბლიკა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს.—**რესპუბლიკანელი**, რესპუბლიკის მომხრე და დამცველი.—**რესპუბლიკ(ან)ური**, რესპუბლიკის ხასიათისა, მასში შემავალი.

**რესტავრატორ-ი**, აღმდგენი, განმაახლებელი, რისამე პირვანდელი სახის მიმცემი (მაგ. რესტავრაცია ძველი წესწყობილების, ძველი დინასტიის, ხელოვნების ძეგლისა და სხვ.).—**რესტავრაცია**, აღდგენა, განახლება, პირვანდელი სახის მიცემა და სხვ..—**რესტავრირება**, ვარესტავრირებ, აღვადგენ, განვაახლებ და სხვ.

**რესტიტუცია**, წინანდელი მდგომარეობის დაბრუნება; ბიოლოგიაში: დაზიანებული ორგანოს აღდგენა.

**რესტორან-ი**, სასმელ-საჭმელის მისაღები დაწესებულება, სასადილო.

**რესურს-ი**, **რესურსები** (რესს-), სახსრები, შემოსავლის წყაროები.

**რეტინ-ი**, თვალის ბადურა.

**რეტორტ-ი**, ამბიქი: სხვადასხვა ნივთიერების გასათბობი ან გამოსახდელი ხელსაწყო ქიმიურ წარმოებაში.

**რეტროგრადი**, პროგრესის ანუ წინსვლელობის მოწინააღმდეგე, ჩამორჩენილი ადამიანი.

**რეტროსპექცია**, უკან (წარსულისაკენ ხედვა).—**რეტროსპექციული**, უკანხედვითი, წარსულისაკენ მიმართული.

**რეტუშ-ი**, ფოტოგრაფიული ნეგატივის ან პოზიტივის (ნ. ესენი) ხელით დამუშავება.—**რეტუშირება**, **ვარეტუშირებ**, ხელით დავამუშავებ ფოტოგრაფიულ ნეგატივს ან პოზიტივს.

**რეფერატ-ი**, 1) საჯარო მოხსენება რაიმე საკითხზე; 2) სამეცნიერო შრომის მოკლე შინაარსის გადმოცემა.—**რეფერირება**, **ვარეფერირებ**, გადმოვცემ მოკლედ სამეცნიერო შრომის მოკლე შინაარსს. — **რეფერენტ-ი**, რეფერატის წამკითხველი, მომხსენებელი.

**რეფერენდუმ-ი**, საკანონმდებლო აქტის ან კანონების ამათუიმ სახის მიღება სახალხო კენჭისყრით, - გამოყენებულია ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში (შეად. პლებისციტი).

**რეფლექს-ი**, ნერვული სისტემის ავტომატური (უნებლიეთი და ცნობიერების უმონაწილეოდ) გამოპასუხება გარეგალიზიანებებზე,—წარმოადგენს უმარტივეს რეაქციას (ნ. ეს, 3).

**რეფლექსია**, თავისი განცდების ანალიზი; თავისთავზე მიმართული მსჯელობა.

**რეფლექსოლოგია**, მეცნიერება ცხოველთა და ადამიანის რეფლექსების შესახებ (ნ. რეფლექსი). —**რეფლექსოლოგ-ი**, რეფლექსოლოგიაში მომუშავე მეცნიერი.

**რეფლექტორ-ი**, სინათლის ამრეკლავი სარკეების გამოყენებაზე დამყარებული ტელესკოპი (ნ. ეს).

**რეფლექტომეტრ-ი**, ნ. რეფრაქტომეტრი.

**რეფლექტორული მოძრაობა**, რეფლექსის საფუძველზე შესრულებული მოძრაობა.

**რეფორმა**, შეცვლა, გარდაქმნა; პოლიტიკური ცვლილებების გატარება საკანონმდებლო წესით — ძირითადი ცვლილებების მოუხდენლად.—**რეფორმატორ-ი**, რეფორმების გამტარებელი.—**რეფორმატები** (მრავლ.), პროტესტანტული ეკლესიის მომხრეები (ნ. პროტესტანტიზმი).

**რეფორმაცია**, რელიგიური ბრძოლის ფორმებში გამომჟღავნებული სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა დასავლ. ევროპაში (16 საუკ.),—წარმოადგენდა შედეგს გამწვავებული შეხლისას ფეოდალურ ეკლესიასა და ახლად ჩასახულ ბურჟუაზიას შორის. რეფორმაციამ

მიიღო სხვადასხვა სახე სხვადასხვა ქვეყანაში. რეფორმაციის დასაწყისი დაკავშირებულია მარტინ ლუთერის (1483—1546) სახელთან (ნ. ლუთერანობა).

**რეფორმიზმ-ი,** ოპორტუნისტული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, —უგულებელყოფს კლასთა ბრძოლას და უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას სოციალისტური რევოლუციისათვის. რეფორმისტებს რეფორმიზმის მიმდევართ შესაძლებლად მიაჩნიათ სოციალიზმის განხორციელება რეფორმების გზით და სხვ.

**რეფორმირება,** ვარეფორმირებ, რეფორმას ვახდენ.

**რეფრაქტომეტრ-ი,** **რეფელქტომეტრ-ი,** შუქტეხის კოეფიციენტის საზომი ხელსაწყო.—**რეფრაქტორ-ი,** შუქაარდამტეხი ლინზების (ოსპების) გამოყენებაზე დამყარებული ტელესკოპი (ნ. ლინზა, ტელესკოპი).

**რეფრაქცია,** შუქტეხა (ასტრონ.).

**რეფრენ-ი,** განმეორება ლექსის ნაწილისა, ჩვეულებრივ ტაეპის ბოლოში.

**რეფრიგერატორ-ი.** **რეფრიჟერატორ-ი,** საყინულე, მაცივარი (ვაგონი ან გემი).

**რექტიფიკაცია,** ადვილსადუღარი ხითხეების (სპირტის, ბენზოლის და სხვ.) დაწმენდა მეორადი გამოხდის გზით.

**რექტორ-ი,** უმაღლესი სასწავლებლის, უნივერსიტეტის გამგე.

**რეჩიტატივ-ი,** მღერითი მეტყველება, სიმღერისებრი დეკლამაცია,—გამოყენებულია უმეტესად ოპერაში.

**რეცენზია,** სალიტერატურო (მხატვრული ან სამეცნიერო) ნაწარმოების ან სათეატრო წარმოდგენის განხილვა — შეფასების მიზნით.—**რეცენზენტ-ი,** რეცენზიის ავტორი.

**რეცეპტ-ი,** ექიმის მიწერილობა აფთიაქში - შესაფერი სამკურნალო წამლის დასამზადებლად. —**რეცეპტურა,** ფარმაციის დარგი, — ასწავლის სხვადასხვა წამლების მართებულად გამოწერას — აფთიაქში დასამზადებლად.

**რეციდივ-ი,** რაიმე მოვლენის შექცევა, შებრუნება, განმეორება: 1) მედიცინაში: ავადმყოფობის შებრუნება (მაგ. მალარიის, ტიფის და სხვ.); 2) სამართალში: თანაგვარი დანაშაულის განმეორებით ჩადენა ერთიდაიმავე პირის მიერ; **რეციდივისტ-ი,** რეციდივის ჩამდენი პირი; 3) უწიგნურობის რეციდივი, წერაკითხვის გადავიწყება. — **რეციდივიზმ-ი,** მოვლენათა შებრუნებულობა, განმეორებულობა.

**რეჰაბილიტაცია,** ნ. რეაბილიტაცია.

**რიგორიზმ-ი,** ზნეობრივ მოთხოვნილებათა გადაჭარბებით მტკიცედ დაცვა. — **რიგორისტ-ი,** ზნეობრივ მოთხოვნილებათა გადაჭარბებით მტკიცედ დამცველი ადამიანი.

**რიდიკიულ-ი. რიდიკულ-ი,** პატარა ხელისჩანთა, უმთავრესად—ქალისა.

**რითმა,** ბგერათშეწყობა ლექსის ტაეპების ბოლოში — კეთილხმოვნობის მიზნით (ნ. რიტმი).

**რიკოშეტ-ი,** ასხლეტა ტყვიის ან ან სხვა გასროლილი სხეულისა, როცა ისინი ხვდებიან რაიმე საგანს განსაზღვრული კუთხით.

**რინოლოგია,** მედიცინის დარგი—იკვლევს ცხვირის აგებულებას და მკურნალობას. — **რინოპლასტიკა,** ცხვირის ფორმის ხელოვნურად აღდგენა მთლიანად ან ნაწილობრივ.

**რისკ-ი,** 1) რაიმე ხიფათი, რომლის გამოც ახდენენ დაზღვევას; 2) ბაზრის ცვალებადობით გამოწვეული შემთხვევითობა; 3) ალალბედზე მოქმედება; შემთხვევითობაზე დანდობით დაწყებული საქმე. — **რისკობა,** ვრისკობ, ხიფათში თავს ჩავიგდებ, შემთხვევითობაზე ვეყრდნობი.

**რიტმ-ი,** კანონზომიერი მონაცვალეობა დროში მოძრაობათა, ბგერათა და სხ. (სიძლიერესისუსტისა, აჩქარება-შენელებისა, ტაეპებისა ლექსში და სხვ.). — **რიტმული,** რიტმის ხასიათისა, რიტმიანი.

**რიტორ-ი,** 1) ძვ. საბერძნეთში: მჭერმეტყველების მასწავლებელი; 2) ხელოვნური მჭერმეტყველების მოყვარული. — **რიტორიკა,** 1) მჭერმეტყველების თეორია; 2) გაზვიადებული უშინაარსო მეტყველება.—**რიტორიკული,** რიტორიკის ხასიათისა. — **რიტორული,** რიტორის დამახასიათებელი.

**რიტუალი,** 1) რელიგიური რწმენის გარეგნული გამოხატულება—სხვადასხვა წესების სახით (ლოცვა, ქორწინება, წყლისკურთხევა და სხვ. ასეთი); 2) საზეიმო წესთშესრულება.

**რიფ-ი, რიფები,** ბრაგა: წყალქვეშა ან ოდნავ წყლიდან ამოშვერილი კლდეები.

**როდოდენდრონ-ი,** კვალიხი, შქერი: მუდამ მწვანეფოთლებიანი ბუჩქოვანი ლამაზყვავილებიანი მცენარე,—იზრდება მთიან ადგილებში.

**როდონომინტო,** მუშურ-გლეხური მემარცხენე პარტია იაპონიაში (1926—1928 წლამდე),—გაუქმებულ იქნა მთავრობისმიერ.

**როენტგენ-,** ნ. რენტგენ-.

**როიალ-ი,** კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, ფორტეპიანოს

თანამედროვე სახე (ნ. ფორტეპიანო).

**როიალისტ-ი, როიალისტები,** მეფობის, მეფის ხელისუფლების დამყარების მომხრეები, უმთავრესად— საფრანგეთში, — წარმოადგენენ გაღატაკებულ აზნაურთა და დეკლასირებულ (ნ. ეს) წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის დაჯგუფებებს.

**როკოკო,** მე-18-ე საუკუნის საფრანგეთში ჩასახული სტილი ხელოვნებაში, —გამოხატავს ფუფლიანი არისტოკრატების გემოვნებას და ხასიათდება: ნაყ'შიანი ხვეული ფორმებით, მხიარული ფერებით, მითოლოგიის სუჟეტების ეროტიკულად და სახუმაროდ გადმოცემით და სხვ.

**როლ-ი,** 1) მსახიობისმიერ განსახიერებული მოქმედი პირი პიესისა; 2) პიესის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ერთი მოქმედი პირის სალაპარაკოდ; 3) ადამიანის სამოქმედო წრე, მისი დანიშნულება განსაზღვრულ დარგში.

**რომან-ი,** 1) ეპიკური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები, ჩვეულებრივ—პროზაული (გაულექსავი),—ხასიათდება (მოთხრობასთან შედარებით) რთული შინაარსით, მოქმედ პირთა გაშლილი დახასიათებით დროის დიდ მანძილზე და სხვ.; განასხვავებენ რომანებს — ისტორიულს, რეალისტურს, სატირიკულს, სასიყვარულოს, სათავგადასავლოს (ავანტურულს) დეტექტივურს და სხვ.; 2) სასიყვარულო ურთიერთობა ქალვაჟისა.—**რომანული,** 1) სასიყვარულო, სიყვარულის ნიადაგზე წარმოქმნილი; 2) ლათინურისაგან განვითარებული (ნ. რომანული ენები).—**რომანისტ-ი,** 1) რომანის ავტორი; 2) რომანული ენებისა და ლიტერატურის მკვლევარი.

**რომანიზაცია,** კულტურულად გარომაელება: დასავლეთ ევროპის ადგილობრივ მოსახლეობის კულტურის შეცვლა ძველი რომაელების კულტურის ზეგავლენით. — **რომანიზირება, ვარომანიზირებ,** ვარომაელებ კულტურულად.— **რომანიზირებული,** გარომაელებული.

**რომანიზმ-ი,** რომანული ენების თავისებურობა სხვა ენაში.

**რომანისტ-ი,** ნ. რომანი.

**რომანული ენები,** ხალხურ ლათინურისაგან განვითარებული ენები დასავლ. ევროპაში (იტალიური, ფრანგული, ისპანური და სხვ.).—**რომანული ხალხები,** რომანულ ენებზე მოსაუბრე ხალხები.

**რომანს-ი,** 1) სასიმღერო პატარა მუსიკალური ნაწარმოები, —

სრულდება საკრავის აყოლებით; 2) სასიყვარულო ხასიათის ლექსი; ისპანიაში—ეროვნული ხალხური ლექსი.

**რომანტიზმ-ი**, მე-18-ე საუკ. დამლევისა და მე-19-ე საუკ. დასაწყისის ლიტერატურული მიმდინარეობა დასავლ. ევროპაში, —გამოხატავდა წარმავალი აზნაურობისა და წვრილი ბურჟუაზიის უძლურებას აღმავალი მსხვილი კაპიტალიზმის წინაშე; რომანტიზმს ახასიათებს: მიწიერი ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა, მისწრაფება ზებუნებრიობისადმი და იდუმალობისადმი, სიყვარული წარსულისა, უკიდურესი სუბიექტივიზმი, ინდივიდუალიზმი და სხვ..—**რომანტიკა**, რომანტიზმის თემატიკა, რომანტიზმი შინაარსეულად.—**რომანტიკოს-ი**, რომანტიზმის მიმდევარი მწერალი.—**რომანტიკული**, რომანტიკის ხასიათისა.

**რომბ-ი**, მათემატიკაში: ტოლგვერდებიანი პარალელოგრამი.

**როსინანტ-ი** (**როსს-**), გამხდარი ჯაგლაგი ცხენი (დონ-კიხოტის ცხენის სახელი, ნ. დონ-კიხოტი).

**როსტბიფ-ი**, ძროხის შემწვარი სუკი.

**როტა** (**-ტტა**), ასეული ლაშქრისა.

**როტატორ-ი**, ხელნაწერის, ნახაზებისა და მისთანათა გასამრავლებელი ხელსაწყო.

**როტაცია**, ბრუნვა თავის ღერძის გარშემო.

**როტმისტრ-ი**, ოფიცრის ერთერთი მაღალხარისხთაგანი.

**როტონდ-ი**, მრგვალი შენობა, ზოგჯერ—სვეტებიანი.

**როტორ-ი**, ელექტრომანქანების მბრუნავი ნაწილები.

**რუბინ-ი**, სარდიონი: პირველხარისხოვანი ძვირფასი ქვა მუქწითელი ფერისა.

**რუბრიკ-ი**, 1) თხზულების ნაწილის სათაური (იწერებოდა ძველად წითელი სალებავით); 2) წიგნის ცალკე თავი, განყოფილება.—**რუბრიკაცია**, რუბრიკებად დაყოფა.

**რუდიმენტ-ი**, ჩანასახოვანი, განუვითარებლად დარჩენილი ორგანო.—**რუდიმენტური**, ჩანასახოვანი, პირველადი, მარტივი; **რუდიმენტული** ორგანოა, მაგალითად, ადამიანის აპენდიქსი (ნ. ეს); რუდიმენტული ორგანოები აქვს სხვა ცხოველებსაც.

**რუინა**, **რუინები**, ნანგრევები.

**რულეტ-ი** (**-ტტ-ი**), დაკეპილი მოხრაკული ხორცი,—შეხვეულია კუპატისებრ.

**რულეტკა**, **რულეტ-ი** (**-ტტ-ი**), 1) ერთგვარი აზარტიანი თამაში წრეზე; 2) სიგრძის გასაზომი ხელსაწყო,—წარმოადგენს დახვეულს და მრგვალ კოლოფში მოთავსებულ ლენტს.

**რულ-ი,** საჭე.

**რუმპელ-ი,** საჭის ღერძის თავზე ჩამოსაცმელი ბერკეტი.

**რუნები** (მრავლ.), ძველ გერმანელთა წერის „საიდუმლო" ნიშნები, - მოიპოება სხვადასხვა ნივთებზე წარწერების სახით.

**რუპია,** ინდური ფული,—უდრის დაახლ. 71 კაპ.

**რუპორ-ი,** ბუკი: ხმის (და საერთოდ—ბგერის) გამაძლიერებელი და განსაზღვრული მიმართულებით გადამცემი მოწყობილობა,—წარმოადგენს ბოლოგაფართოებულ მილს.

**რუსიზმ-ი, რუსიციზმ-ი** (რუსხ-), გარუსება: ველიკორუსული ენისა და კულტურის თავზემოხვევა არარუს ეროვნებათათვის,—წარმოადგენდა თვითმპყრობელური მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას.—**რუსიფიკატორ-ი,** გამრუსებელი, რუსიფიკაციის გამტარებელი. — **რუსიფიცირება,** ვარუსიფიცირებ, ვარუსებ; რუსიფიკაციას ვატარებ.

**რუსოფილ-ი** (რუსხ-), რუსულის (ენის, კულტურის და სხვ.) მოყვარული. — **რუსოფობ-ი,** რუსულის (ენის, კულტურის და სხვ.) მოძულე.

**რუტინა,** ჩამორჩენილობა (აზროვნებისა, ჩვეულებათა და სხვ.), ძველ ჩვევათა სიჯიქე, ერთხელვე შეთვისებულის ჩაციება და სხვ. მისთანა.—**რუტინერ-ი,** ჩამორჩენილი, ძველ ჩვევებზე გაჯიქებული, ჩვეულების მორჩილი ადამიანი.

## ს

**საბეიზმ-ი,** არაბთა ტომების მაჰმადიანობის წინანდელი რელიგია,—გამოიხატებოდა უმთავრესად ცისმნათობთა თაყვანისცემაში

**საბოტაჟ-ი,** განზრახ ცუდი მუშაობა, სამუშაო იარაღების ან მასალის დაზიანება-გაფუჭება და სხვ. ასეთი, ფარული გაფიცვა, —წარმოადგენს კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდს.—**საბოტირება,** ვუსაბოტირებ, საბოტაჟს ვეწევ.

**საგა,** თქმულება გმირების, ღმერთების და სხვ. შესახებ (სკანდინავიურ ლიტერატურაში); გადმოცემა, ლეგენდა.

**საგიტალური** (საგიტტ-), ისრისებრი, ისრისებრი მიმართულებით მავალი.

**სადიზმ-ი,** სქესობრივი მტანჯველობა, სქესობრივი სიამოვნების განცდა სხვისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებით. — **სადისტ-ი,** სადიზმით შეპყრობილი ადამიანი.

**საკვოიჟ-ი,** მგზავრის ხელჩანთა

**საკონდიტრო,** საყანდეულო (ნ. ყანდეული და კონდიტერი).

**საკრამენტალური,** საღვთო, მცნებული.

**სალათა,** ტაბუცინი, მაროლი (ბოსტნეული). — **სალათ-ი,** სხვადასხვა ბოსტნეულის უმად საჭმელი ფოთლები,—მზადდება ზეთით, ძმრით და სხვ.

**სალამანდრა,** ხვლიკისებრი მიწაწყლიერი ცხოველი.

**სალდათ-ი,** ჯარისკაცი (ბურჟუაზ. ქვეყნებში და რევოლუციამდე რუსეთში).

**სალდო,** შემოსავლის ან გასავლის გადამეტება გასავალზე ან შემოსავალზე; იმპორტის გადამეტება ექსპორტზე ან პირიქით.

**სალვარსან-ი** ანუ „606", ათაშანგის საწინააღმდეგო საშუალება,— დაამზადა ერლიხმა 1909 წ.

**სალიუტ-,** ნ. სალუტ-.

**სალონ-ი,** 1) დარბაზი, სტუმრის მისაღები ოთახი; 2) ცნობილი პიროვნების (უმეტესად — ქალის) გარშემო შექმნილი საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა, ხელოვანთა და სხვ. წრე; 3) ყოველწლიური სხვადასხვა გამოფენა პარიზში.

**სალტო-მორტალე,** 1) ყირაზე გადასვლა; 2) თავგამეტებული მოქმედება.

**სალუტ-ი,** მისალმება, სალამის მიცემა—ზარბაზნის ან თოფების სროლით, ბაირაღით (გემზე) და სხვ.

**სამუმ-ი,** ხორშაკიანი, ცხელი და მშრალი ქარი არაბეთში, დასავლეთ აზიაში და ჩრდილო აფრიკაში.

**სანატორიუმ-ი,** საგანგებოდ მოწყობილი სამკურნალო დაწესებულება.

**სანგვინიკ-ი,** მკვირცხლი, მოძრავი, ადვილამგზნებარე ადამიანი.— **სანგვინიკური,** სანგვინიკის ბუნებისა (მკვირცხლი...).

**სანდალია, სანდალიები,** 1) ძველ ბერძენთა და რომაელთა თასმით ამოსაკრავი ფეხსაცმელი; 2) მსუბუქი უქუსლო საზაფხულო ფეხსაცმელი.

**სანიტარია,** ჰიგიენის მოთხოვნილებათა გასატარებელი ღონისძიებანი — საზოგადოებრივი ჯანსაღობის დაცვის მიზნით (ნ. ჰიგიენა). — **სანიტარ-ი,** დაბალი სამკურნალო პერსონალი (მომვლელი, დეზინფექტორი და სხვ.) სამკურნალო დაწესებულებაში. — **სანიტარული, სანიტარიული,** ჯანმთელობის დამცველობითი.

**სანკიულოტები,** „უშარვლოები" (ე. ი. ვისაც არ ეცვათ კიულოტი, ნ. ეს) — დაერქვა (დაცინვით) რევოლუციონერებს დიდი რევოლუციის დროს საფრანგეთში.

**სანკც-**, ნ. სანქც-.

**სანსკრიტ-ი**, ძველი ინდური ენა.— **სანსკრიტოლოგ-ი**, სანსკრიტის მცოდნე და მკვლევარი მეცნიერი.

**სანტი-** [ემატება საზომის სახელს თავში და ნიშნავს] „ასჯერ ნაკლები“, მაგ. ნ. სანტიმეტრი.

**სანტიმ-ი**, ფრანგული ფული, უდრის ფრანკის ერთ მეასედს,

**სანტიმენტალიზმ-ი**, ლიტერატურული მიმდინარეობა დასავლეთ ევროპაში 18 საუკუნის დამლევს,—წარმოადგენს წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის მსოფლმხედველობას და ხასიათდება გადაჭარბებული გრძნობიერებით, ბუნებისადმი სიყვარულით, ოჯახური ცხოვრების გაიდეალებით, ნაღვლიანობით, ზოგჯერ იმედდაკარგულობით და სხვ..—**სანტიმენტალისტ-ი**, სანტიმენტალიზმის მიმდევარი მწერალი. — **სანტიმენტალობა**, გადაჭარბებული გრძნობიერება, გულჩვილობა. — **სანტიმენტალური**, გადაჭარბებულად გრძნობიერი, გულჩვილი.

**სანტიმეტრ-ი**, მეტრის ერთი მეასედი.

**სანქცია**, 1) რისამე დადასტურება,—დაკანონება; 2) რაიმე კანონის დარღვევასთან დაკავშირებული არახელსაყრელი შედეგი; 3) საერთაშორისო სამართალში: დამსჯელობითი ღონისძიებანი ხელშეკრულობების დამრღვევთა წინააღმდეგ. — **სანქციონირება**, ვასანქციონირებ, ვადასტურებ და სხვ.

**საპაჟუ**, სამხრეთ აფრიკაში ჯგუფ-ჯგუფად მცხოვრები მაიმუნების ჯიში.

**საპ-ი**, ქოთაო: ცხენის გადამდები ავადმყოფობა.

**საპიორ-ი**, **საპიორები**, საინჟინრო სამუშაოთა შემსრულებელი ჯარისკაცები.

**საპფირ-ი**, ნ. საფირონი.

**საჟენ-ი**, სიგრძის საზომი (რევოლუციამდე რუსეთში),—უდრის დაახლ. $1^1/_3$ მეტრს (სამ არშინს).

**სარაფან-ი**, გრძელი რუსული კაბა ქალისა.

**სარაცინები**, ნ. სარკინოზები.

**სარდონიული სიცილი**, გაბოროტებული სიცილი, მწარე დაცინვა.

**სარკაზმ-ი**, გულღვარძლიანი დაცინვა, მწარე სიტყვა.—**სარკასტული**, **სარკაზმული**, სარკაზმის ხასიათისა.

**სარკინოზები**, 1) ძველად: არაბეთში მცხოვრები მომთაბარე ტომი; 2) შემდეგ: არაბები და მაჰმადიანები საერთოდ.

**სარკომა**, ავთვისებიანი სიმსივნე სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისა. — ვითარდება ძვლების შემაერთებელი ქსოვილისაგან.

**სარკოფაგ-ი**, ქვის აკლდამა, —საფლავი.

**სატანა**, ეშმაკი, ავისული, ბოროტი სული, — ქრისტიანობის შეხედულობით წარმოადგენს ღვთის მებრძოლს, ჯოჯოხეთის უფალს. — **სატანიზმ-ი**, 1) სატანის თაყვანისცემა; 2) ბოროტების სამსახური, ბოროტი ძალების გაიდეალება.

**სატინ-ი, სატინა**, ბამბის პრიალა ქსოვილი.

**სატირა**, მხატვრული ლიტერატურის ერთერთი სახე, რომლის საგანია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების უარყოფითი მხარეების დაცინვით გაკიცხვა; სატირა წარმოადგენს მწერლის ხელში ძლიერ იარაღს, როგორც მოწინააღმდეგე კლასთან ბრძოლაში, ისე თავისივე კლასის სუსტი მხარეების დასაგმობად.—**სატირიკოსი**, სატირების მწერალი.— **სატირიკული**, დაცინვითი.

**სატირიაზის-ი**, ავადმყოფური სქესობრივი აგზნებულობა—დაუცხრომელი ერექციით და ხშირი პოლუციებით.

**სატისფაქცია**, დაკმაყოფილება.— **სატისფაქციის მოთხოვნა**, შეურაცხყოფისათვის დაკმაყოფილების (ბოდიშის, დუელის...) მოთხოვნა.

**სატრაპ-ი**, 1) ძველ სპარსეთში: მეფის მოადგილე სახელმწიფოს ერთერთ ნაწილში - სატრაპიაში, - განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი. —უწყალოდ სასტიკი და თვითნება მმართველი.

**სატურნიზმ-ი**, ტყვიით მოწამვლა.

**საფირონ-ი**, პირველხარისხოვანი ძვირფასი ქვა.

**სახარა**, ნ. საჰარა.

**სახარიმეტრ-ი**, ხსნარში შაქრის პროცენტული შეცულობის გამომრკვევი ხელსაწყო.

**სახარინ-ი**, მეტისმეტად ტკბილი (შაქარზე დაახლ. 500-ჯერ ტკბილი) თეთრი კრისტალური ფხვნილი, — იხმარება შაქრის ავადმყოფობით დაავადებულთათვის შაქრის მაგიერ, აგრეთვე — როგორც შაქრის სუროგატი (ნ ეს).

**საჰარა**, დედამიწის ზურგზე უდიდესი უდაბნო ჩრდ. აფრიკაში — 9 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი.

**სეანს-ი**, 1) სხდომის ხანგრძლიობა; 2) რაიმე საქმის განუწყვეტლივი ერთჯამიერი შესრულების ხანგრძლიობა. მაგ. სეანსი კინოში, მკურნალობაში, მხატვართან (პოზირებისას, ნ. ეს) და სხვ.

**სეგმენტ-ი**, ნაკვეთი: 1) ორწერტილშუა მოქცეული ნაკვეთი; 2) მოუდისა და ქორდის შუა მოქცეული ფართობი. – **სეგმენტაცია**, 1) ზოგიერთი ცხოველის ტანის დანაწილებულობა

მსგავს სეგმენტებად; 2) განაყოფიერებული კვერცხის დანაწევრება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ჩანასახი.

**სეზონ-ი**, 1) წლის დროთა განმავლობა, მაგ. ზაფხულის სეზონი, ზამთრის სეზონი და სხვ.; 2) რაიმე საქმიანობისათვის (სათეატრო, სამკურნალო, სამშენებლო) შესაფერი დრო. — **სეზონური**, სეზონის შესაფერი, მაგ. **სეზონური მრეწველობა**, მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებშიც წარმოება დამოკიდებულია უმთავრესად ბუნებრივი პირობებისაგან, მაგ. თევზისჭერა, საგზაო მშენებლობა და სხვ.

**სეიმ-ი**, პარლამენტი (პოლონეთში, ლიტვაში და ლატვიაში).

**სეისმოგრამა (-მმა)**, სეისმოგრაფით ჩაწერილი რხევები დედამიწის ქერქისა. — **სეისმოგრაფ-ი**, დედამიწის ქერქის რხევათა ჩამწერი ხელსაწყო. — **სეისმოგრაფია**, მიწისძვრით გამოწვეულ რხევათა ჩაწერა. — **სეისმოლოგია**, გეოლოგიის დარგი, — იკვლევს მიწის- და ზღვისძვრებს. — **სეისმომეტრ-ი**, მიწისძვრების დასაკვირვებელი სხვადასხვა იარაღების სახელი. — **სეისმომეტრია**, მეცნიერება ნიადაგის შერხევათა გაზომვის შესახებ.

**სეიფ-ი**, უწვავი ყუთები ან შკაფები ბანკში, რომლებშიც ინახება სხვადასხვა ძვირფასეულობა; სეიფს ეძახიან აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებაში ამგვარსავე შკაფს ან ოთახს, სადაც ინახება უმნიშვნელოვანესი საბუთები.

**სეკვ-**, ნ. სექვ-.

**სეკრეტარ-ი**, მდივანი. — **სეკრეტარიატ-ი**, სამდივნო.

**სეკრეტ-ი**, 1) საიდუმლო; 2) სამხედრო საქმეში: დამცველი რაზმი ფრონტზე — მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამფრთხილებელი; აგრეთვე — საყუჩი, სადაც ეს რაზმია; 3) **სეკრეტები** (მრავლ.), ფიზიოლოგიაში: ჯირკვლოვანი უჯრედებისმიერ გამომუშავებული ნივთიერებები (ნერწყვი, ნაღველი...); გეოლოგიაში: ქანებში საცალიერის ამომვსები მინერალური გარსები.

**სეკრეცია**, უჯრედებისმიერ გამომუშავებული სხვადასხვა ნივთიერებათა (სეკრეტების, ნ. ეს) გამოყოფის პროცესი.

**სეკს-, სეკტ-**, ნ. სექს-, სექტ-.

**სეკულარიზაცია**, საეკლესიო ქონების გადაქცევა კანონმდებლობის გზით სახელმწიფო საკუთრებად.

**სეკუნდა, სეკუნდ-ი**, 1) წამი — წუთის $1/_{60}$ ნაწილი; 2) მათემატიკაში: რკალის წუთის $1/_{60}$ ნაწილი.

**სეკუნდანტ-ი**, დუელანტის შუამავალი და დუელის დროს დამსწრე.

**სეკუნდ-ი**, ნ. სეკუნდა.

**სექტ-ი**, ნ. სექტა.

**სელექცია**, მცენარეთა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების მოშენება და გაუმჯობესება—საუკეთესო ფორმების შერჩევისა და შეჯვარედინების გზით.—**სელექციური სადგურები**, სამეცნიერო-საკვლევო და პრაქტიკული სასოფლოსამეურნეო დაწესებულებანი,—იკვლევენ და აშენებენ საუკეთესო ხარისხის მცენარეებს და სხვ.

**სელფაქტორ-ი**, მატყლისა და ბამბის ნართის დამმუშავებელი სართავი მანქანა.

**სემასიოლოგია** ანუ **სემანტიკა**, ენათმეცნიერების ერთერთი დარგი,—იკვლევს სიტყვის მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობის განვითარებას—საზოგადოებრივი ფორმაციებისა და მატერიალური კულტურის ისტორიასთან დაკავშირებით.—**სემასიოლოგიური**, **სემანტიკური**, სიტყვის მნიშვნელობითი, სემასიოლოგიის ანუ სემანტიკის ხასიათისა.

**სემაფორ-ი**, სანიშნებელი მოწყობილობა რკინისგზაზე,—აჩვენებს მემანქანეს, თავისუფალია თუ არა გზა და სახელდობრ რომელ გზაზე შეუძლია მიიღოს სადგურმა მატარებელი.

**სემესტრ-ი**, სასწავლო წლის თითოეული ნახევარი—შემოდგომის და გაზაფხულის,—**სემესტრული**, ნახევარწლიური.

**სემინარ-ი**, უმაღლეს სასწავლებელში: სამეცნიერო დისციპლინის შესწავლის გასაღრმავებელი პრაქტიკული მეცადინეობა სტუდენტებისა პროფესორის ხელმძღვანელობით.—**სემინარული**, სემინარის ხასიათისა.

**სემინარია**, სასულიერო საშუალო სასწავლებელი რუსეთში მეფობის დროს; იყო ს ა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ო ს ე მ ი ნ ა რ ი ა ც, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს. —**სემინარისტ-ი** სემინარიელი, სემინარიის მოწაფე.

**სემიტური ენები**, ასურულ-ბაბილონური, არამეული, ებრაული და არაბული. — **სემიტები** (მრავლ.), სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

**სენატ-ი**, 1) ძველი რომის რესპუბლიკის ხანაში: უზენაესი მუდმივი სახელმწიფო დაწესებულება; 2) ზედა პალატა ზოგიერთ დასავლ. ევროპის სახელმწიფოში (საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.); 3) ერთერთი უზენაესი სახელმწიფო დაწესებულება რევოლუციამდე რუსეთში.—**სენატორ-ი**, სენატის წევრი.

**სენზორული**, ნ. სენსორული.

**სენიორ-ი**, მიწათმფლობელი ბატონი საშ. საუკ. (ფეოდალურ ხანაში), რომელსაც ემორჩილებოდენ მის მიწაზე მოსახლენი და რომლისაგანაც დამოკიდებულნი იყვნენ ვასალები (ნ. ეს). —**სენიორია**, სასენიორო, ე. ი. სენიორის სამფლობელო (მიწა), რომელზედაც ის ხელმწიფობდა (მაგ. სცემდა კანონს, ჭრიდა ფულს, გაჰყავდა ჯარი და სხვ.), —დასუსტდა და გაუქმდა ძლიერი სახელმწიფოს განვითარების გამო.

**სენსაცია**, არაჩვეულებრივი ამბით გამოწვეული ძლიერი შთაბეჭდილება საზოგადოებაში. — **სენსაციური**, სენსაციის ხასიათისა.

**სენ-სიმონიზმ-ი**, სენ-სიმონის უტოპისტური სოციალიზმის ავტორის (1760—1825) — მოძღვრების საფუძველზე მისი მოწაფეების მიერ განვითარებული სოციალისტური სისტემა: მომავალი წესწყობილება წარმოიდგინება, როგორც მშრომელთა მსოფლიო ასოციაცია; ადამიანები დაზარისხდებიან ნიჭიერების მიხედვით; ქონების მემკვიდრეობით გადაცემა უნდა მოისპოს; მესაკუთრის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, რომელიც თავის მხრით მისცემს მას, ვინც უკეთ მოუვლის ქონებას. წარმოების სათავეში დგას „ცენტრალური ბანკი“, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილებას და ძალებს და მიმართავს მათ, სადაც საჭიროა; საზოგადოებრივი აღზრდა იმყოფება სასულიერო პირთა ხელში. **სენ-სიმონისტები**—სენსიმონიზმის ავტორები — ვერ მისწვდენ კლასობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალას—კლასობრივ წინააღმდეგობას. უკვე წარს. საუკ. 30-იან წლებში სენ-სიმონიზმს თითქმის აღარ ჰყავდა მიმდევრები.

**სენსორული**, მგრძნობიარე, გრძნობითი, მგრძნობელობითი, შეგრძნებაზე დამყარებული.

**სენსუალიზმ-ი**, შემეცნების თეორიის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელსაც შემეცნების წყაროდ მიაჩნია შეგრძნებანი, რომელნიც სენსუალიზმის თანახმად წარმოადგენენ სუბიექტურ განცდებს; ამდენად იგი უარყოფს შეგრძნებისაგან დამოუკიდებელ რეალობას. სენსუალიზმი გრძნობათა მონაცემს უპირისპირებს გონებას, რაც ეწინააღმდეგება დიალექტური მატერიალიზმის შეხედულებას მათი ერთიანობის შესახებ. — **სენსუალისტ-ი**, სენსუალიზმის მიმდევარი.

**სენტენცია**, ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის ნათქვამი აზრი.

**სენტიმენტალიზმ-ი**, ნ. სანტიმენტალიზმი.

**სეპარატიზმ-ი**, განკერძოებულობა; ეროვნული უმცირესობის მისწრაფება სახელმწიფოდან სრული გამოყოფისადმი, დამოუკიდებლობისადმი,—წარმოადგენს (კაპიტალისტურ სახელმწიფოში) ეროვნულ პროტესტს გაბატონებული ეროვნების წინააღმდეგ.—**სეპარატისტ-ი**, გამოყოფის მომხრე ამგვარ პირობებში.—**სეპარაცია**, გამოყოფა, განცალკევება.

**სეპარატორ-ი**, რძისაგან ნაღების გამომყოფი ხელსაწყო.

**სეპსის-ი**, ორგანიზმის საერთო დაავადება სისხლში მყოფი დამაავადებელი მიკრო-ორგანიზმებით.

**სერალ-ი**, სასახლე, ჰარამხანა.

**სერენადა, სერენად-ი**, თავდაპირველად: ტრუბადურების „სალამოს“ სიმღერა; შემდეგ: სასიყვარულო ხასიათის სასიმღერო ან დასაკრავი მუსიკალური ნაწარმოები.

**სერვიზ-ი**, სმა-ჭამისას მოსახმარისი ჭურჭლეულობა (საჩაიე ან სასადილო).

**სერვილიზმ-ი**, მონურობა, მონური ქცევა ძლიერის წინაშე; მლიქვნელობა და სხვ. ასეთი.

**სერვიტუტ-ი**, 1) უფლება სხვისი საკუთრებით სარგებლობისა (მაგ. სხვის მიწაზე გზის გაყვანისა) ან მესაკუთრის შეზღუდვისა მისივე საკუთრების მოხმარებაში (მაგ. ფანჯრის გაკეთება სხვისი ეზოსაკენ); 2) ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვა რაიმე ადგილის მიმართ მეორის სასარგებლოდ.

**სერთუკ-ი**, მამაკაცის საგარეო (სადღესასწაულო, სადღეხეიმო) გრძელი და უკან გაჭრილი ტანსაცმელი.

**სერია**, რიგი, წყება, ჯგუფი; მაგ. სერია ლექციათა, გამოცემათა და სხვ.

**სერიოზული**, დინჯი, ჭკვიანი; დასაბუთებული, მოფიქრებული (მაგ. აზრი); საძნელო, მძიმე (მაგ. საქმე, ავადმყოფობა) და სხვა მისთანა.

**სეროდიაგნოზ-ი**, ავადმყოფობის გამორკვევა სისხლის შრატის თვისებათა შესწავლის საფუძველზე.

**სეროზული**, „შრატიანი“. 1) **სეროზული აპკი**, შემაერთებელი ქსოვილის თხელი აპკი, რომელსაც ასველებს სისხლძარღვებისაგან გამოყოფილი შრატი; 2) **სეროზული ღრუები**, ტანის შეკრული ღრუები (გულმკერდის, მუცლის), რომლებსაც შიგნიდან ფარავენ სეროზული აპკები.

**სეროლოგია**, სისხლის შრატის შემსწავლელი მეცნიერება. — **სეროთერაპია**, გადამდებ სნეულებათა მკურნალობა შრატებით.

**სერპენტინ-ი**, 1) ფერადი ქაღალდის წვრილი ლენტები, რომელსაც ესვრიან ერთმანეთს მასკარადში, ცეკვის დროს და სხვ; 2) სხვადასხვა აგებულების მწვანე, მწვანე-ყვითელი სილიკატი (ნ. ეს), — იხმარება სხვადასხვა საგნების საკეთებლად; ზოგიერთი სახე წარმოადგენს აზბესტს (ნ. ეს).

**სერჟანტ-ი**, უნტეროფიცერი.

**სერსო**, თამაში: ხის რგოლის სროლა-დაჭერა.

**სერტიფიკატ-ი**, მოწმობა.

**სესია** (**სესსია**), პარლამენტის ან რაიმე კოლეგიის ხანგამოშვებითი სხდომების დრო.

**სეტერ-ი** (**სეტტ-**), გრძელბეწვიანი ძაღლი ინგლისური ჯიშისა.

**სეტლემენტი** (**სეტტ-**), ევროპიელ უცხოელთა მოსახლეობის ტერიტორია ჩინეთში, — სარგებლობს განსაკუთრებული უპირატესობით და ექსტერიტორიალობით (ნ. ეს); სეტლემენტი წარმოიშვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და ჩინეთს შორის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

**სექვესტრ-ი**, ყადაღა: რაიმე ქონებით სარგებლობის აკრძალვა ან შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლებისმიერ.

**სექსუალური**, სქესობრივი.

**სექტა**, 1) რომელიმე ფილოსოფიური სკოლის მიმდევართა ჯგუფი; 2) მწვალებლობა: გაბატონებული ეკლესიისაგან განდგომილი დაჯგუფება, რომელიც წარმოადგენს კლასობრივ წინააღმდეგობათა იდეოლოგიურ ასახვას. — **სექტანტ-ი**, 1) მწვალებელი, ამათუიმ სექტის მიმდევარი; 2) სხვისი რწმენის ვერამტანი.

**სექტორ-ი**, 1) მათემატიკაში: წრის ნაწილი, რომელიც მოქცეულია ორ რადიუსსა და მათ შუა მდებარე რკალს შორის; 2) რაიმე დაწესებულების განყოფილება, — ნაწილი; 3) სახელმწიფო ან სამეურნეო საქმიანობის დარგები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სოციალური მნიშვნელობით, მაგ. სოციალისტური სექტორი, განზოგადოებული სექტორი და სხვ.

**სექცია**, 1) რაიმე საზოგადოების, ყრილობის ან დაწესებულების ნაწილი, რომელსაც აერთიანებს საერთო საქმიანობა; 2) ქალაქისა ან სოფლის საბჭოს წევრთა მუდმივი კომისიები

დარგების (სოფლის მეურნეობისა, განათლებისა და სხვ.) მიხედვით.

**ხვარაჯისტები** (მრავლ.), ეროვნული ბურჟუაზიული პარტია ინდოეთში,—დაარსდა 1922 წ.

**ხვიტერ-ი, ხვიტრ-ი,** მატყლის (ან ბამბის) ნაქსოვი ფუფაიკა (ნ. ეს).

**სთენია,** ძალოვნობა, სიმდიდრე; სხეულის სასიცოცხლო მოქმედების გაძლიერება. — **სთენიური,** ძლიერი, გამძაფრებული (ნ. ასთენია, აფექტი).

**სიბარიტ-ი,** განებივრებული, უზრუნველად და მდიდრულად მცხოვრები ადამიანი.

**სიგარა** (-რრ-), წაწვეტილბოლოებიანი თამბაქოს (ფოთლების) გრეხილი, — იხმარება მოსაწევად.

**სიგმა,** „ს"-ს ნიშნის სახელი ბერძნულ ანბანში,—იხმარება მათემატიკაში ჯამის მაჩვენებლად.—**სიგმატური, სიგმატიკური,** სიგმიან, ე. ი. „ს"-ბგერიანი.

**სიგნალ-ი,** 1) შორეულ მანძილზე სანიშნებელი (გაფრთხილებისა, ბრძანებისა და სხვ.).—**სიგნალიზაცია,** შორეულ მანძილზე ნიშნება.—**სიგნალიზირება, ვუსიგნალიზირებ,** ვანიშნებ, ნიშანს მივცემ მანძილზე.—**სიგნალისტ-ი,** მესიგნალე, მენიშნე.

**სიგნატურა, სიგნატურ-ი,** რეცეპტიდან გადაღებული პირი, რომელიც გაიცემა აფთიაქიდან წამალთან ერთად.

**სიგურანცა,** რუმინეთის პოლიცია.

**სიდერიტ-ი,** რკინის შპატი (ნ. ეს).

**სიდრ-ი,** ვაშლის ღვინო,—გავრცელებულია განსაკუთრებით საფრანგეთში.

**სიზიფის შრომა,** გაუთავებელი (უბოლოო) და უნაყოფო შრომა (ბერძნ. ლეგენდით **სიზიფ**-ს მისჯილი ჰქონდა ღმერთებისაგან ქვის ლოდის აგორება მაღალ მთაზე, რომლიდანაც ისევ ჩამოგორდებოდა ხოლმე).

**სილაბურ-ი** (სილლ-), მარცვლოვანი.—**სილაბური ლექსი,** მარცვალთა რაოდენობაზე დამყარებული ლექსი.

**სილიკატები** (მრავლ.), სხვადასხვა მინერალების სახელწოდება, — ქიმიურად წარმოადგენენ კაჟმჟავას (სილიციუმმჟავას) მარილებს; გამოყენებულია ტექნიკაში მრავალგვარად (ცეცხლგამძლე მასალისათვის, კერამიკაში, სამღებრო საქმეში და სხვ.).

**სილოგიზმ-ი** (სილლ-), დასკვნის ფორმა, როცა ორი მოცემული მსჯელობიდან გამომდინარეობს მესამე.

**სილოს-ი,** ორმოს ან კოშკის ფორმის ნაგებობა, რომელშიც აწნილებენ საქონლის ნედლ

საკვებ მასალას დაკუწული სახით. — **დასილოსება, ვასილოსებ,** ვამწნილებ ასეთ ნაგებობაში.

**სილუეტ-ი** (ტტ-ი), საგნის მოხაზულობითი გამოსახულება — შავად თეთრ ფონზე ან თეთრად შავზე.

**სიმბიოზ-ი**, თანაცხოვრება: ორი სხვადასხვა ცხოველის ან მცენარის (სიმბიონტების, ნ.) ერთად ცხოვრება, როცა ეს თანაცხოვრება სასარგებლოა ორივესათვის (მუტუალიზმი) ან როცა სასარგებლოა მხოლოდ ერთისათვის (პარაზიტიზმი). — **სიმბიონტ-ი**, ერთერთი თანამცხოვრებთაგანი.

**სიმბოლიზმ-ი**, საფრანგეთში 1880-იან წლებში წარმოშობილი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელშიც აისახა ლონემიხდილი ბურჟუაზიის იდეოლოგია; სიმბოლიზმს ახასიათებს უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პირადი განცხრომის კულტი, მისტიციზმი და სხვ.. — **სიმბოლისტ-ი**, სიმბოლიზმის მიმდევარი მწერალი.

**სიმბოლო**, რაიმე ნივთიერი ან განყენებული ნიშანი განსაზღვრული ცნების აღსანიშნავად, მაგ. ნამგალი და ჩაქუჩი არის სიმბოლო მუშათა და გლეხთა კავშირისა, ლომი — სიმამაცისა, ვარდი — სიყვარულისა და სხვ.. — **სიმბოლიური, სიმბოლური**, სიმბოლოს ხასიათისა.

**სიმეტრია** (სიმმ-), ერთი საგნის ნაწილების ან რამდენიმე ერთნაირი საგნის შეხამებულ-შეფარდებული დალაგება, თანაშეფარდებულობა.

**სიმონია**, საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა, — აკრძალული იყო რომის პაპების მიერ, რომლებმაც შემდეგ თვითონ გაიხადეს შემოსავლის წყაროდ.

**სიმპათია** (არა სიმპატია), თანაგანცდა, თანაგრძნობა, შეუცნობელი მიზიდულობა ვინმეს ან რამესადმი, — უპირისპირდება ანტიპათიას (ნ. ეს). — **სიმპათიური**, მიმზიდველი, თანაგანმცდელი, თავისადმი კეთილად განმწყობელი, მოსაწონარი.

**სიმპათიკური ნერვული სისტემა**, ნერვული სისტემის ერთერთი ნაწილი, რომელიც აწესრიგებს შინაგან ორგანოთა მოქმედებას (სისხლის მიმოქცევას, სუნთქვას, მონელებას და სხვ.) — ცნობიერებისა და ნებისყოფისაგან დამოუკიდებლივ.

**სიმპლიფიკაცია**, განმარტივება, გაუბრალოება.

**სიმპტომ-ი**, რაიმე მოვლენის გარეგნული ნიშნეულობა, რომლის მიხედვით მჟღავნდება ამ მოვლენის შინაგანი პროცესი (მაგ. ავადმყოფობის სიმპტომი).

—სიმპტომატური. სიმპტომური, შინაგანი პროცესის გამომჟღავნებელი.

**სიმულაცია**, თავისთავის მოყალბება, განზრახ ცუდის თქმა თავისთავზე ან ცუდის გამომჟღავნება, მაგ. თავის მოავადმყოფება, თავის მონაკლისება და სხვ. (ნ. დისიმულაცია) — — **სიმულანტი**, სიმულაციის ჩამდენი. — **სიმულირება**, **ვსიმულირობ**, თავს მოვიყალბებ, მოვიავადმყოფებ, მოვინაკლისებ და სხვ.

**სიმფონია**, 1) ორკესტრისათვის განკუთვნილი მუსიკალური დიდი ნაწარმოები,—შედგება ჩვეულებრივ ოთხი ნაწილისაგან; 2) რაიმე თხზულებაში შემავალი სიტყვებისა და ფრაზების ანბანზე დალაგებული ნუსხა.— **სიმფონიური**, ჰარმონიული, ხმაშეწყობილი.—**სიმფონიური ორკესტრ-ი**, სერიოზული მუსიკალური ნაწარმოებისათვის გაწყობილი კარგი ორკესტრი.

**სინაგოგა**, რაბინისტ - ებრაელთა სამლოცველო შენობა.

**სინდესმოლოგია**, ანატომიის დარგი,—სახსართაღწერა.

**სინდეტიკონ-ი**. ძლიერ მწებვარე თევზის წებო.

**სინდიკალიზმ-ი**, მუშათა მოძრაობის ერთერთი მიმდინარეობა დასავლ. ევროპაში 1880 წლებიდან, განსაკუთრებით - სამეურნეო განვითარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში (იტალია, ისპანია, საფრანგეთი ომამდე და სხვ.),—უარყოფს პარლამენტურ ბრძოლას, სახელმწიფოს როგორც პროლეტარიატის იარაღს, პოლიტიკურ პარტიას და ერთადერთ კლასობრივ ორგანიზაციად თვლის პროფესიულს (სინდიკატს, ნ. ეს, 1); პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლად მას მიაჩნია მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა და ბრძოლის ერთადერთ ფორმად—გაფიცვა. სინდიკალიზმი ატარებს წვრილბურჟუაზიულ და ამდენადვე კონტრრევოლუციონურ ხასიათს. — **სინდიკალისტები** (მრავლ), სინდიკალიზმის მიმდევრები.

**სინდიკატ-ი**, 1) მუშათა სინდიკატი — პროფესიული კავშირი ევროპის რომანულ ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში, ისპანიაში...); 2) კაპიტალისტთა გაერთიანებული კავშირი, რომლის მიზანია ბაზრის ერთმანეთში გაყოფა, ნაწარმოებთა რაოდენობის დანორმვა და მათზე ფასის აწევა; 3) საბჭოთა კავშირში: სახელმწიფო სავაჭრო-დამზადების ზოგიერთი დარგების გაერთიანება.

**სინედრიონ-ი**, 1) ძველ ებრაელთა სასულიერო საბჭო; 2) ნაპოლეონისმიერ შეკრებილი ებრა-

ელთა წარმომადგენლობა საფრანგეთში.

**სინეკდოქა,** ნაწილის ხმარება მთელის ნაცვლად და მთელის ხმარება ნაწილის ნაცვლად, — წარმოადგენს პოეტური ენის ერთერთ ფორმას.

**სინეკურა,** ისეთი შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც შრომას არ მოითხოვს.

**სინემატოგრაფ-ი,** ნ. კინემატოგრაფი.

**სინერგეტები, სინერგეტისტები** (მრავლ.), კუნთები, რომლებიც ასრულებენ საერთო მოძრაობას ერთობლივ შეკუმშვისას (შეად. ანტაგონისტები).

**სინესთეზია,** ფსიქოლოგიაში: მეორადი შეგრძნება, — მიიღება გრძნობის ორი ორგანოთი (მაგ. მხედველობით და სმენით) ერთი მათგანის (მაგ. ყურის) გაღიზიანებისას („ფერადი ბგერა").

**სინთეზ-ი,** სხვადასხვა ელემენტების გაერთიანება რთულ მთლიანად; რთული ცნების შედგენა მარტივთა გაერთიანებით, — უპირისპირდება ანალიზს (ნ. ეს).— **სინთეზირება, ვასინთეზირებ,** სინთეზს ვახდენ, ვაერთმთლიანებ.—**სინთეტიკური, სინთეზური,** სინთეზის ხასიათისა, ელემენტებისაგან გაერთმთლიანებული. — **სინთეტიკური ენები,** ისეთი ენები, რომლებშიც სიტყვების ურთიერთ მიმართება გამოხატულია სიტყვათა ფორმებით (უღვლილების, ბრუნების და სხვ.), ნ. ანალიტიკური ენები.

**სინკლიტ-ი,** 1) უზენაესი სახელმწიფო დაწესებულების პირად შედგენილობა; 2) დიდკაცთა კრებული.

**სინკრეტიზმ-ი,** 1) ეკლექტიზმის (ნ. ეს) ერთგვარი სახე: სხვადასხვა შინაარსის მსოფლმხედველობის გაიგივეება და გაერთიანება; 2) ადამიანის შემოქმედების დაუნაწევრებლობა კულტურული განვითარების პირველ საფეხურებზე; მაგ. თამაშობა, პოეზია, მუსიკა და სხვა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საწარმოო პროცესთან, წარმოადგენდნენ დაუშლელ მთლიანობას.

**სინოდ-ი,** რევოლუციამდე რუსეთში: უზენაესი საეკლესიო დაწესებულება, — გააფთრებული ებრძოდა რევოლუციურ მოძრაობას შავრაზმულ პარტიების შემწეობით.

**სინოლოგია,** ჩინეთის ენისა და ლიტერატურის მცოდნეობა.— **სინოლოგ-ი,** სინოლოგიის სპეციალისტი.

**სინონიმები** (მრავლ.), გარეგნულად (ბგერითად) განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით „ერთიდაიგივე" სიტყვა, მაგ. „თავი—

გოგრა (ხალხურად), ძაღლი—ქოფაკი, მეუღლე—ცოლი და სხვ. [სინამდვილეში ეს სიტყვები მნიშვნელობითაც არ არიან ერთიდაიგივე, რადგანაც ისინი იხმარებიან მოლაპარაკეთა სხვადასხვა წრის და გარემოების მიხედვით: წარმოშობით ისინი (მაგ. ქოფაკი) ან უცხოური სიტყვებია და ან სხვა სოციალური დაჯგუფებისა].

**სინოპსის-ი,** მთლიანის ნაწილთა მიმოხილვა.—**სინოპტიკური,** მიმოხილვითი. — **სინოპტიკური რუკა,** გეოგრაფიული რუკა რომელზედაც აღნიშნულია ამინდის გამომწვევი მოვლენები (ტემპერატურა, ქარი, ატმოსფერული წნევა და სხვა) დედამიწის სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს.

**სინტაქსის-ი,** გრამატიკის ერთერთი ნაწილი,—განიხილავს შესიტყვებათა (ე. ი. ორი ან მეტი სიტყვის აზრიან შეერთებათა) და წინადადებათა სხვადასხვა სახეს.

**სინტეზ-,** ნ. სინთეზ.

**სინტოიზმ-ი,** ნ. შინტოიზმი.

**სინუს-ი,** 1) მათემატიკაში: რკალის კიდურწერტილიდან დაშვებული პერპენდიკულარი რადიუსზე, რომელიც გადაკვეთს რკალს სხვა წერტილში; 2) ანატომიაში: სხვადასხვა ღრუების, უბეების და მისთანათა სახელწოდება.

**სინქრონიზმი,** ერთდროულობა ორი სხვადასხვა რაიმე პროცესისა, მაგ. ორი სხვადასხვა საათის ერთნაირი (ერთდროულად) სვლა, ორი ისტორიული ფაქტის ერთდროულად მსვლელობა და სხვ.

**სიონიზმ-ი,** ნაციონალისტურ-რეაქციული მიმდინარეობა ებრაელთა შორის,—წარმოიშვა უმთავრესად ებრაელთა დევნის საფუძველზე და მიზნად ისახავს პალესტინაში (ებრაელთა „პირვანდელ" სამშობლოში) ებრაული სახელმწიფოს დაარსებას (საბჭოთა კავშირში სიონიზმს გამოეცალა საფუძველი და მოისპო ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარების გამო).—**სიონისტ-ი,** სიონიზმის მომხრე.

**სირენა,** 1) ძველბერძნული მითოლოგიით: ზღვის ნიმფა,—ხიბლავდა და ღუპავდა მეზღვაურებს; 2) სხვადასხვა სიმაღლის ტონების მისაღები და საბგერო რხევათა გამომრკვევი ხელსაწყო; 3) საზღვაო საყვირი.

**სიროპი, სიროფ-ი,** ავშარაკი, ვაჟინი.

**სისტემა,** 1) გაერთმთლიანება განსაზღვრული კანონის საფუძველზე; 2) საერთო ფუნქციით დაკავშირებულ ნაწილთა ერთობილობა; 3) ფილოსოფიაში: ცოდნათა დამთავრებული გაერთმთლიანება განსაზღვრულ

ერთ პრინციპზე დამყარებით,— წარმოადგენს ფორმალურ მიდგომას ფილოსოფიური და სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში. დიალექტიკური მატერიალიზმით—ცოდნა განუწყვეტლივ განვითარებაშია და ამიტომ ვერ განიხილება როგორც დამთავრებული რამ.—**სისტემატიზაცია**, დასისტემება, სისტემაში მოყვანა. — **სისტემატიზირება**, ვასისტემატიზირებ, სისტემაში მომყავს.—**სისტემატიზირებული**, სისტემაში მოყვანილი.—**სისტემატიკა**, 1) სისტემაში მოყვანის პრინციპები და მეთოდები; 2) ზოოლოგიასა და ბოტანიკაში—ცხოველთა და მცენარეთა აღწერა-შესწავლა. —**სისტემატიკური, სისტემური, სისტემობრივი**, სისტემის ხასიათისა, განსაზღვრული გეგმით დალაგებული.

**სიტუაცია**, მდგომარეობა, მდებარეობა; სხვადასხვა ძალების ან ინტერესების ბრძოლისა და ზედმოქმედების შედეგად შექმნილი მდგომარეობა.

**სიუზერენ-ი**, საშუალო საუკუნეებში: მიწათმფლობელი ბატონი ვასალების (ნ. ეს) მიმართ, რომელნიც ასრულებდნენ განსაზღვრულ ვალდებულებებს (სამხედრო სამსახურს, ნივთიერ დახმარებას და სხვ.) სიუზერენისათვის, ხოლო სიუზერენი თავის მხრივ ვალდებული იყო ეზრუნა ვასალების პიროვნებისა და ქონების შესახებ.

**სიურპრიზ-ი**, მოულოდნელობა, შემთხვევითობა; მოულოდნელი საჩუქარი და სხვ.

**სიურტუკ-ი**, ნ. სერთუკი.

**სიფილიდოლოგ-ი**, ათაშანგის მკურნალობის სპეციალისტი ექიმი. **სიფილიდოლოგია**, მედიცინის დარგი,—იკვლევს ათაშანგს და მასთან ბრძოლის საშუალებებს.

**სიფილის-ი**, ათაშანგი. — **სიფილიტიკ-ი**, ათაშანგიანი.

**სიფონ-ი**, 1) ფიზიკაში: მოხრილი მილი, რომლის ერთი ბოლო ჩაიშვება სითხიან ჭურჭელში, ხოლო მეორე ბოლოდან გადმოდის სითხე—მილიდან ჰაერის გაცლისას; 2) ზოოლოგიაში: მუცელფეხიანი ლოქორების სასუნთქი ღრუს გაგრძელება.

**სკალდები** (მრავლ.), ძველი სკანდინავიის ხალხური მოლექსემომღერლები,—მგოსნები.

**სკალპ-ი**, ადამიანის თავის კანი თმიანად, რომლის მოძრობის ჩვეულება გავრცელებული იყო (და ზოგან ახლაც არის) ველურ ხალხებში.—სკალპვა, სკალპის მოძრობა.

**სკალპელ-ი**, სადოსტაქრო დანა.

**სკანდალ-ი**, შფოთი, ჩხუბი; საქვეყნოდ გამოტანილი სამარცხვინო საქციელი.—**სკანდალისტ-ი**,

. მეზღოთე, პაჩხუპარი.—**სკანდალური**, სამარცხვინო.

**სკანდირება**, ლექსის წარმოთქმა სათანადო მახვილების დაცვით. — ვასკანდირებ, წარმოვთქვამ ლექსს ამგვარად.

**სკარიფიკატორ-ი**, ნიადაგის ღრმად დამსერავი იარაღი, ბელტისმჭრელი.

**სკარლატინა**, ხუნაგი: მწვავე გადამდები სნეულება, — მჟღავნდება ანგინის, ციების და ტანზე დაყრის სახით.

**სკეპტიკ-ი, სკეპტიკოს-ი**, 1) ყველაფრის უნდობლად, ეჭვით შემხედვარე; 2) სკეპტიციზმის მიმდევარი.—**სკეპტიციზმ-ი**, 1) ფილოსოფიაში: სინამდვილის შეცნობის შესაძლებლობის უარმყოფელი მიმართულება,—წარმოადგენს იდეალიზმის ერთგვარ სახეს; 2) როგორც მეთოდოლოგიური საშუალება შემეცნების პროცესში: ყველაფერში ეჭვის შეტანა, ცოდნის შეფარდებულობა (შეზღუდულობა), რაც დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით უსაფუძვლოა, ვინაიდან შემეცნების პირობები იცვლებიან განვითარების გზით.

**სკეტინგ-რინგ-ი**, საგანგებოდ გამართული სასპორტო ბაქანი (მოედანი), რომელზედაც დაქანობენ გორგოლაჭიანი წრიაპებით.

**სკვერ-ი**, პატარა სასეირნო ბაღი ქალაქში.

**სკიპიდარ-ი**, წიწვიანი ხეების ფისისაგან მოპოებული მწვავესუნიანი სითხე,—იხმარება სხვადასხვა საღებავებისა, წასასმისა და სხვა მისთანათა დამზადებაში; იხმარება აგრეთვე მედიცინაში.

**სკლეროზ-ი**, ავადმყოფური პროცესი,—მდგომარეობს უჯრედოვანი ქსოვილების გამყარებაგამკვრივებაში.

**სკორბუტ-ი**, სურავანდი: უვიტამინებო საჭმლის ხმარების ნიადაგზე წარმოქმნილი დაავადება.

**„სკრიპკა“**, იგივეა რაც ვიოლინო (ნ. ეს).

**სკრუპულ-ი**, სააფთიაქო წონის ძველებური ერთეული,—უდრის დაახლ. 1,25 გრამს.

**სკრუპულოზური**, ზუსტი, წვრილმანი, კნინი; წვრილმანობაში გულმოდგინე.

**სკულპტორ-ი**, მოქანდაკე.—**სკულპტურა**, მოქანდაკეობა, ხელოვნება—ქვისაგან, თიხისაგან, ხისაგან, ლითონისაგან და სხვა მის ანათაგან გამოსახულების გამოყვანისა.

**სლავიანები, სლავები** (მრავლ.) სლავურ (მაგ. რუსულ, უკრაინულ, პოლონურ, სერბულ და სხვ.) ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

**სლავიანოფილობა,** ნაციონალისტურ-რეაქციონური საზოგადოებრივი და იდეოლოგიური მიმდინარეობა რუსეთში (1830-70 წლებში), უარყოფდა დასავლეთ ევროპის კულტურას, კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებას და შესაძლებლობას რუსეთში, რომელსაც მისი აზრით აქვს განვითარების „შინაგანი" გზა. — **სლავიანოფილი, სლავიანოფილები,** ამ მიმდინარეობის მიმდევრები.

**სლავისტ-ი,** სლავური ენებისა და ლიტერატურის მცოდნე სპეციალისტი. — **სლავისტიკა,** სლავთმცოდნეობა, მეცნიერება, რომელიც სწავლობს სლავურ ენებსა და ლიტერატურას.

**სმოკინგ-ი,** ღია გულისპირიანი პიჯაკი, რომელსაც ატლასის სარჩულიანი გადანაკეცები აქვს.

**სოდა,** ნახშირმჟავა ნატრიუმი - თეთრი კრისტალური ნივთიერება — მოიპოვება ბუნებაშიც, მაგრამ უმთავრესად — ხელოვნურად.

**სოია,** ცერცვოვანთა ოჯახის ერთწლიანი მცენარე, — გავს გარეგნულად ლობიოს და წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საკვებს, რადგან შეიცავს დიდ პროცენტს ცილეულისას, ზეთისას, სახამებლისას.

**სოლარიუმ-ი,** 1) მზის საათი; 2) მზიანი დერეფანი; მზის აბანო.

**სოლენოიდ-ი,** სპირალისებრ დახვეული მავთული, რომელშიც გაიშვება ელექტროდენი.

**სოლიდარობა,** თანხმობა აზრებისა და ინტერესების, ერთსულოვნობა. — **სოლიდარული,** შეთანხმებული აზრებსა და ინტერესებში, ერთსულოვნური.

**სოლიდ-ი, სოლიდური,** საფუძვლიანი, მტკიცე, საიმედო და სხვ.

**სოლიპსიზმ-ი, სოლიფსიზმ-ი,** ფილოსოფიაში: მიმართულება, რომელიც ყოველი ცოდნის წყაროდ თვლის შეგრძნებებს, მაგრამ მათ სთიშავს ნივთიერი სინამდვილისაგან და რეალობად სთვლის მხოლოდ ინდივიდუალურ სუბიექტს, „მე"-ს.

**სოლისტ-ი,** სოლოს შემსრულებელი მომღერალი ან მუსიკოსი. — **სოლო,** 1) ერთი ხმისათვის ან ერთი რაიმე საკრავისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელსაც ერთი (ხმა ან საკრავი) ასრულებს; 2) მარტოდ, ცალკეულად.

**სოლფეჯიო,** სასიმღერო ხმის ვარჯიშში სმენის გასავითარებლად, — სიტყვების ნაცვლად წარმოითქმება ჩვეულებრივ ნოტების სახელები.

**სომატიკური, სომატური,** ტანისა, რაც ტანს შეეხება, ტანთაგებულობითი. — **სომატიკური უჯრედები,** ტანის ქსოვილების

უჯრედები—სასქესო უჯრედების დარდა.

**სომნამბულიზმ-ი,** მძინრად სიარული, — წარმოადგენს ნერვულ დაავადებას.

**სონატა,** ერთი ან რამდენიმე საკრავისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები,—შედგება 3 ან 4 ნაწილისაგან.

**სონეტ-ი,** 14 სტრიქონიანი ლექსი.

**სოპრანო,** ქალის ხმებს შორის ყველაზე მაღალი ხმა.

**სოფიზმ-ი,** განზრახ ყალბი დასკვნა; საერთოდ ყალბი დასკვნა, რომელსაც გარეგნულად სწორის სახე აქვს (ნ. სოფისტები).

**სოფისტები** (მრავლ.), მოარული მასწავლებლები ძველ საბერძნეთში, — ეხებოდენ სხვადასხვა ფილოსოფიურ და ლიტერატურულ საკითხებს, განსაკუთრებით —ასწავლიდენ მჭერმეტყველებას; აკრიტიკებდენ ძველ ფილოსოფიურ მოძღვრებებს და რელიგიას, უარყოფდენ ღმერთების არსებობას. საძრახისი მნიშვნელობა ამ სიტყვამ (**სოფისტ-ი**—ყალბად დამსკვნელი, ცრუმოაზროვნე და სხვა, ნ. სოფიზმი) მიიღო მოწინააღმდეგე კონსერვატიული წრეებიდან. — **სოფისტიკა,** სოფიზმების საშუალებით მსჯელობა.

**სოციალ-დემოკრატია,** საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთი მიმდინარეობა, რომელიც 1869 წლიდან ყალიბდება მუშათა პარტიების სახით სხვადასხვა ქვეყნებში,—ემყარებოდა საერთოდ მარქსისტულ საფუძვლებზე, განსაკუთრებით 1890 იან წლებში; მაგრამ ფინანსური კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ხანაში სოციალ-დემოკრატიაში თანდათან იკრება წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა (ნ. რევიზიონიზმი, მენშევიზმი)... მსოფლიო ომის დასაწყისშივე სოც.-დემოკრატიამ უღალატა პროლეტარიატის ინტერესებს და მხარი დაუჭირა თავის მთავრობებს, ხოლო ომის შემდეგ რევოლუციურ მოძრაობებში შეიქნა ბურჟუაზიული წესწყობილების დამცველი, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგი და საბჭოთა პროლეტარიატის დიქტატურის მტერი; რევოლუციური ელემენტები სტოვებენ მის რიგებს და ქმნიან კომუნისტურ პარტიას. —**სოციალ-დემოკრატ-ი,** სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

**სოციალიზაცია,** განსაზოგადოებრივება; ქონების, საწარმოო საშუალებათა გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელში. — **მიწის სოციალიზაცია,** მიწაზე კერძო საკუთრებისა და მისი ყიდვა-გაყიდვის მოსპობა.

**სოციალიზმ-ი**, საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს კომუნიზმისას და რომლის დროს არ არსებობს საზოგადოების კლასებად დაყოფა და ექსპლოატაცია, საწარმოო იარალები წარმოადგენენ საზოგადოებრივ საკუთრებას და სახალხო მეურნეობა წესრიგდება განსაზღვრული გეგმით. სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არსებობს სახელმწიფო და სამართალი, როგორც ნაშთები ძველი საზოგადოებისა. — **სოციალისტ-ი**, ასეთი წესწყობილების მომხრე.

**სოციალისტ - რევოლუციონერები** (მრავლ.), რუსეთის წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტურ-ხალხოსნური პარტია, — ცდილობდა გაეერთიანებია გლეხობა, პროლეტარიატი და ინტელიგენცია; ებრძოდა ცარიზმს (ნ. ეს) უმთავრესად ტერორის საშუალებით. ყოფ. რუსეთის გასაბჭოების შემდგომ ებრძოდა აქტიურად საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას. 1922 წელს საბოლოოდ გამომჟღავნდა ამ პარტიის კონტრრევოლუციონერობა, რის შემდეგაც იგი მოისპო.

**სოციალ-იმპერიალიზმი**, სოციალ-დემოკრატიის მიმდინარეობა,— იცავს ბურჟუაზიული მთავრობის იმპერიალიზმს.

**სოციალ-ფაშიზმ-ი**, გაზიარება სოციალ დემოკრატიის მიერ ფაშისტური რეჟიმისა და გამოყენება ფაშისტური მეთოდებისა მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (ნ. ფაშიზმი).

**სოციალ-შოვინიზმ-ი**, წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტური პარტიების შოვინიზმი, რომელსაც იჩენენ ისინი თავიანთი ბურჟუაზიულ მთავრობების საგარეო პოლიტიკაში.

**სოციალური**, საზოგადოებრივი.

**სოციოლოგია**, მეცნიერება საზოგადოების წარმოქმნისა და განვითარების კანონების შესახებ, რაც მოცემულია მარქსიზმში ისტორიული მატერიალიზმის სახით (ნ. ეს).—**სოციოლოგ-ი**, სოციოლოგიის დარგში მომუშავე მეცნიერი.

**სპაზმა, სპაზმ-ი**, სხვადასხვა ორგანოების (ყელის, საყლაპავის მილის და სხვ.) კუნთების კრუნჩხვა.—**სპაზმური**, სპაზმის ხასიათისა, კრუნჩხვითი.

**სპარტაკიადა**, მუშათა საერთაშორისო ფიზიკური კულტურის (ნ.) სასპორტო ორგანიზაციების დღესასწაულები.

**სპეკტ-**, ნ. სპექტ-.

**სპეკულანტ-ი**, 1) კაპიტალისტურ ქვეყნებში: ბირჟაზე თამაშით

მომგები ადამიანი; 2) საბჭოთა კავშირში: ადვილად მომგები ფულისა ფასების ხელოვნურად აწევის გზით ფართო მოხმარების საგნებზე, მალული ვაჭრობით და სხვ.. — **სპეკულაცია,** 1) ნაყიდი საქონლის ან ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ადვილად მოგების მიზნით— ნაყიდისა და გაყიდულის ფასის განსხვავებაზე; 2) ფილოსოფიაში: განყენებული აზროვნება; მჭვრეტელობა.

**სპერმა,** თესლი. — **სპერმატოზოიდ-ი,** მამაკაცის სასქესო უჯრედი, — წარმოადგენს სპერმის ელემენტს და სქესობრივი გამრავლების საწყისს.

**სპექტაკლ-ი,** სათეატრო წარმოდგენა.

**სპექტრ-ი,** ნაირფეროვანი ზოლი, რომელიც წარმოიქმნება თეთრი შუქის გავლისას მინის პრიზმაში (ნ. ეს). **სპექტრული ანალიზ-ი,** ნივთიერების ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა გამოშუქების სპექტრით ან შთანთქმის სპექტრით.

**სპექტროსკოპ-ი,** სპექტრების დასაკვირვებელი ხელსაწყო.

**სპეციალიზაცია,** ცოდნის რაიმე დარგის ამორჩევა და მასში დახელოვნება – თეორიულად და პრაქტიკულად; ადამიანის, მანქანის ან დაწესებულების მოქმედების შეზღუდვა ერთი განსაზღვრული მიმართულებით.— **სპეციალიზირება, ვსპეციალიზირდები,** დავსპეციალდები; დავხელოვნდები რაიმე დარგში.

**სპეციალისტ-ი, სპეც-ი,** ამათუიმ საქმიანობაში, ხელობაში ზედმიწევნით დახელოვნებული პირი—თეორიულად და პრაქტიკულად; განსაზღვრული დარგის ზედმიწევნით მცოდნე.

**სპეციალობა,** ამათუიმ პირის უმთავრესი საქმიანობა, ხელობა, რომელშიც მას აქვს მეტი ცოდნა. გამოცდილება და სხვ.— **სპეციალური,** სპეციალობის ხასიათისა, განსაკუთრებული.

**სპეციფიკაცია,** რაიმე საგნის დაწვრილებითი განსაზღვრა— მის თავისებურობათა გამოყოფა იმავე გვარის სხვა საგანთაგან.

**სპეციფიკური,** განსაკუთრებული, მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის დამახასიათებელი.

**სპიკერ-ი,** ინგლისის თემთა პალატისა და შეერთებული შტატების კონგრესის თავმჯდომარის წოდება.

**სპირალ-ი, სპირალები,** ხვია: კოორდინატების სათავის გარშემო დახვეული მრუდი ხაზები.— **სპირალური,** სპირალის ხასიათისა, მისი მსგავსი, ხრახნილისებრი.

**სპირიტიზმ-ი,** ცრურწმენა სულების არსებობისა და მათთან ურთიერთობის შესაძლებლობისა სხვადასხვა საშუალებით. —**სპირიტ-ი,** სპირიტიზმის მორწმუნე.

**სპირიტუალიზმ-ი,** ფილოსოფიაში: იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც სულს სცნობს დამოუკიდებელ პირველად საწყისად, ხოლო მატერიას მეორადად. — **სპირიტუალისტ-ი,** სპირიტუალიზმის მიმდევარი.

**სპირომეტრ-ი,** ფილტვების ტევადობის გამოსაკვლევი ხელსაწყო.

**სპირტომეტრ-ი,** შენარევში სპირტის პროცენტული შეცულობის საზომი ხელსაწყო.

**სპიჩ-ი,** სმური; საზეიმო ან, უმეტესად, სუფრაზე ნათქვამი სიტყვა.

**სპლანქნოლოგია,** სწავლა შინაგნობის (მონელების, სუნთქვის და შარდსასქესო ორგანოების) შესახებ.

**სპლინ-ი,** შავი ნაღველი—ერთგვარი ფსიქიური ავადმყოფობა.

**სპონდეი,** ლექსის მუხლი, რომელიც შედგენილია ორი გრძელი მარცვლისაგან.

**სპონტანური,** თავისუფალი, თვითნებური, თავისთავად წარმოშობილი ან განვითარებული; უმიზეზო.

**სპორა, სპორ-ი,** ერთუჯრედიანი წარმონაქმნი, რომლის საშუალებითაც უსქესობრიოდ მრავლდებიან წყალმცენარეები, სოკოები და სხვა **სპორებიანი** ანუ **სპოროვანი** მცენარეები.— **სპორულაცია,** სპორების წარმოქმნა.

**სპორადული,** ცალ-ცალკეული, აქაიქ მყოფი, შემთხვევითი.

**სპორტ-ი,** ფიზიკური ვარჯიშობანი (ცურაობა, ფეხბურთი, რბენა და სხვ.), რომელთა მიზანია გართობა, ჯანსაღობის გამაგრება,—ხასიათდება გატაცებით, შეჯიბრებაში გამარჯვების სურვილით და სხვ..—**სპორტსმენ-ი,** სპორტის მოყვარული, სპორტით გატაცებული, რომლისთვისაც სპორტი არ წარმოადგენს შემოსავლის წყაროს.

**სპორულაცია,** ნ. სპორა.

**სპრინკლერ-ი,** ხანძრის საწინააღმდეგო წყალსადენი დიდ შენობებში (თეატრებში, საწარმოებში და სხვ.).

**სტაბილიზატორ-ი,** აეროპლანის ან დირიჟაბლის კუდის ფრთასხმულობის უძრავი ნაწილი, რომლის საშუალებით აეროპლანი ან დირიჟაბლი აღწევს სიგრძივს მედეგობას (მდგრადობას).

**სტაბილიზაცია,** განმტკიცება, მედეგ მდგომარეობაში მოყვანა. **სტაბილიზირება. ვასტაბილიზირებ,** განვამტკიცებ, მომყავს

მედეგ მდგომარეობაში.—**კაპიტალიზმის სტაბილიზაცია,** კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცება კაპიტალისტურ ქვეყნებში მსოფლიო ომის გათავების შემდგომ, —წარმოადგენს დროებითი ხასიათის მოვლენას, ვინაიდან მან ვერ მოსპო კრიზისები, კაპიტალისტური რაციონალიზაცია დაამყარა უმთავრესად მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე, გაამწვავა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და გააძლიერა ფაშიზაცია (ნ. ეს); ამდენად ის ქმნის პირობებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის.

**სტაგნაცია,** ეკონომიკაში: უძრაობა, მდგარობა, მაგ. წარმოებაში, ვაჭრობაში და სხვ.,—ახასიათებს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს.

**სტადია,** ორგანიზმის, საზოგადოების და სხვათა განვითარების ესათუის საფეხური. —**სტადიალობა, სტადიალურობა,** რისამე საფეხურობლივი განვითარება.

**სტადიონ-ი,** საფიზკულტუროდ და სასპორტო დღეზეიმისათვის მოწყობილი მოედანი (ნ. ფიზკულტურა და სპორტი).

**სტაზოფობია,** ფეხზე ადგომის ავადმყოფური შიში.

**სტალაგმიტები** (მრავლ.), კონუსისებრი კირის სვეტები გამოქვაბულში, — წარმოიქმნებიან ჭერიდან გამონაჟონი კირიანი წვეთებისაგან. — **სტალაქტიტები,** ასეთივე — ჭერზე.

**სტანდარტ-ი,** სანიმუშო სახის ნაწარმოები (საქონელი)—განსაზღვრული ზომისა, წონისა, თვისებისა და სხვ..—**სტანდარტიზაცია,** ნაწარმოებთა სხვადასხვაობის შემცირება და განსაზღვრული სტანდარტის (სანიმუშო სახის) შემოღება, — აადვილებს წარმოებას, აიაფებს ნაწარმოებს, ქმნის მუშახელის ეკონომიას და სხვ..—**სტანდარტიზ(ირ)ება.** ვასტანდარტიზებ, სტარდარტი შემომაქვს, სტანდარტს ვაწესებ.

**სტანიცა,** კაზაკების სოფელი.

**სტანს-ი,** 1) ლექსის ერთგვარი ფორმა,—წარმოადგენს რამდენიმე სტრიქონის მთლიანობას შინაარსისა და ბგეროვნობის მხრივ; 2) **სტანსები** (მრავლ.), ლექსი, რომელიც შედგენილია საერთო თემით გაერთიანებული დამთავრებული ტაეპებისაგან.

**სტანცია,** სადგური.

**სტაპელ-ი,** გემთხარიხა: წყლისაკენ დაქანებული იატაკი ნავთსაშენისა ან ფიცარნაგი წყლისპირას.

**სტაჟ-ი**, რაიმე დარგში მუშაობის ხანგრძლიობა (მაგ. სამეცნიერო, პროფესიული და სხვა სტაჟი). — **სტაჟიორ-ი**, **სტაჟერ-ი**, სტაჟის შემსრულებელი.

**სტატია**, 1) კანონის მუხლი; განყოფილება საბუღალტრო წიგნში; 2) ნაწარმოების მთლიანი ნაწილი; სამეცნიერო, პუბლიცისტური ან კრიტიკული წერილი—საგაზეთო ან საჟურნალო.

**სტატივ-ი**, ნ. შტატივი.

**სტატიკა**, მექანიკის ერთერთი დარგი,—შეისწავლის ძალთა წონასწორობის პირობებს და მათი სხვა ძალებით შეცვლის წესებს. —**სტატიკური**, უძრავი, მდგრადი. —**სტატიკურობა**, უძრაობა, მდგრადობა, — უპირისპირდება დინამიზმს (ნ. ეს).

**სტატისტ-ი**, უსიტყვო (და უმნიშვნელო) როლის შემსრულებელი მსახიობი.

**სტატისტიკა**, მეცნიერება მასობრივ თანაგვარ მოვლენათა დაკვირვების წესებისა და რაოდენობრივი აღწერა-შესწავლის შესახებ. —**სტატისტიკოს-ი**, სტატისტიკის სპეციალისტი. — **სტატისტიკური**, სტატისტიკის ხასიათისა, რაოდენობრივი.

**სტატს-სეკრეტარ-ი**, სახელმწიფო მდივანი (მინისტრის სახელწოდება ინგლისში, გერმანიაში და სხვ.).

**სტატუეტ-ი**, პატარა ქანდაკება.

**სტატუს ქვო**, არსებული წესის დაცულობა საერთაშორისო ურთიერთობაში.

**სტატუტ-ი**, კანონი, დებულება.

**სტაციონარ-ი**, რაიმე მუდმივი დაწესებულება.—**სტაციონარული**, უძრავი, მუდმივი. — **სტაციონარული ავადმყოფი**, საავადმყოფოში მწოლარე,—უპირისპირდება ამბულატორიულს, ე. ი. გარედან მოსასიარულეს.— **სტაციონარული ინსტიტუტ-ი**, ძირითადი ინსტიტუტი, — უპირისპირდება დაუსწრებელს, რომელიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობის მხრივ სტაციონარულთან.

**სტეარინ-ი**, ზოგიერთი ბუნებრივი ცხიმისა და ზეთის შემადგენელი მყარი ნაწილი, რომლისაგანაც მზადდება **სტეარინის სანთელი** (ქართულად მას უმართებულოდ ეძახიან „ქართოფილის სანთელს“).

**სტეთოსკოპ-ი**, ხის, ლითონის ან კაუჩუკის მილი,—იხმარება ექიმებისმიერ გულისა, ფილტვებისა და სხვა შინაგანი ორგანოების ბგეროვნობის მოსასმენად (ნ. აუსკულტაცია და პერკუსია).

**სტელა**, სვეტი; სვეტისებრი საფლავისქვა.

**სტენია**, ნ. სთენია.

**სტენოგრამა** (-მმა), სტენოგრაფიულად დანაწერი. - **სტენოგრაფია**, სწრაფი წერა, საგანგებო ნიშნებით და შემოკლებათა საშუალებით სწრაფად წერის ხელოვნება; **სტენოგრაფიულად**, ე. ი. სტენოგრაფიის საშუალებით იწერება 4-ჯერ—5-ჯერ უფრო ჩქარა, ვიდრე ჩვეულებრივი წერით. — **სტენოგრაფ-ი, სტენოგრაფისტ-ი**, სტენოგრაფიის სპეციალისტი, სტენოგრაფიულად მწერელი. — **სტენოგრაფიული**, სტენოგრაფიის ხასიათისა.

**სტერეიდები** (მრავლ.), მცენარეთა უჯრედები,—აძლევენ მათ სიმტკიცეს.

**სტერეომეტრია**, გეომეტრიის ნაწილი,—სწავლობს სხვადასხვა სიბრტყეში მდებარე ფიგურებს და განსაზღვრავს სხეულთა მოცულობას და ფართეულს.

**სტერეოსკოპ-ი**, ორივე თვალით ჩასახედი მოწყობილობა, რომელშიც მოთავსებულია რაიმე საგნის ორი ერთნაირი სურათი და რომელიც საშუალებას იძლევა ამ საგნის დანახვისას რეალიეფურად, ე. ი. როგორც იგი სინამდვილეშია.

**სტერეოტიპ-ი**, სასტამბო ლითონის ფირფიტა,—წარმოადგენს სასტამბო ანაწყობის პირს (კოპიოს), რომელიც გამოსადეგია საბეჭდად.—**სტერეოტიპია**, 1) სასტამბო ანაწყობიდან სტერეოტიპების ჩამოსხმის საშუალება; 2) მედიცინაში: ერთიდაიმავე მოძრაობის ან სიტყვის უნებურად განმეორება, აგრეთვე—ერთდაიმავე გამომეტყველების ხანგრძლივად შენახვა (ავადმყოფობა). — **სტერეოტიპული**, 1) სტერეოტიპიდან დაბეჭდილი, 2) უცვლელი; ერთნაირი, გაცვეთილი.

**სტერილიზაცია**, 1) მიკრობების მოსპობა სხვადასხვა საშუალებებით (მაღალი ტემპერატურით, ორთქლით და სხვ.) საქირურგიო იარაღებზე, სახვევ მასალაში; აგრეთვე — საცვები მასალის დასაცავად ლპობახრწნისაგან; 2) ცხოველის ან ადამიანის გაუნაყოფიერების ერთგვარი საშუალება. — **სტერილიზება, ვასტერილიზებ**, 1) ვაუვნებლებ (მიკრობების მოსპობის გზით); 2) ვაუნაყოფიერებ. — **სტერილიზებული**, გაუვნებლებული; გაუნაყოფიერებული. **სტერილიზატორ-ი**, სასტერილიზაციო მანქანა.

**სტერილური**, 1) უნაყოფო (ბიოლოგიაში); 2) გაუვნებლებული; გაუნაყოფიერებული (ნ. სტერილიზებული).

**სტერლინგ-ი**, ინგლისური ფული: 1 გირვანქა სტერლინგი უდრის დაახლ. 10 მანეთს.

**სტეტოსკოპ-ი**, ნ. სტეთოსკოპი.

**სტიგმატები** (მრავლ.), სხეულის კანის დაზიანებანი (გაწითლე ბა, კოპის დასმა, დაჭრა და სხვ.) იმ ადგილას, სადაც ასეთი დაზიანებანი ქონდა ქრისტეს ჯვარცმის დროს, -წარმოადგენენ ფსიქოპათოლოგიურ (ავადმყოფურ) მოვლენას და ახასიათებს ისტერიკულ ტიპებს (ნ. ისტერია). — **სტიგმატიზაცია,** ყალბი სტიგმატების გაკეთება სხეულზე,—გავრცელებული იყო საშ. საუკუნეებში ასკეტთა შორის (ნ. ასკეტი).

**სტილეტ-ი,** სამწახნაგოვანპირიანი პატარა ხანჯალი.

**სტილ-ი,** 1) ლიტერატურაში: ამათუიმ მწერლის სამწერლო თავისებურობანი, — იგულისხმება ამათუიმ მწერლის ნაწარმოებთა თავისებურობანი როგორც გარეგნული (სიტყვიერი მასალა, მისი წყობა), ისე შინაგანი მხრით (შინაარსი, მოქმედ პირთა დარჩევა, მათი დახასიათება და სხვ.); 2) ხელოვნებაში: ამათუიმ მხატვრის ან ეპოქის თავისებურობათა ერთობლიობა; 3) წელთაღრიცხვა (იულიანური ან გრიგორიანული).

**სტილისტიკა,** 1) ლიტერატურაში: პოეტიკის ნაწილი,—სწავლობს მხატვრული მეტყველების სტილს (ნ. ეს); 2) ენათმეცნიერებისერთერთი დარგი,—სწავლობს მეტყველების ემოციურ(გრძნობითს) გამომხატველობითს მხარეს.

**სტიმულ-ი,** ამათუიმ მოქმედებისათვის აღმძვრელი შინაგანი ან გარეგანი ძალა,—მიზეზი; ფსიქოლოგიაში: რეაქციის გამომწვევ გამღიზიანებელთა ერთობლიობა.—**სტიმულირება, ვასტიმულირებ,** აღვძრავ რაიმე მოქმედებისათვის.

**სტიპენდია,** მუდმივი ფულადი დახმარება მოწაფისა ან სტუდენტისა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. — **სტიპენდიატ-ი,** ვინც სტიპენდიას იღებს.

**სტიქია, სტიქიონ-ი,** 1) ძველბერძნ. ფილოსოფიაში: ბუნების მოვლენათა საწყისი, მაგ. ცეცხლი. ჰაერი, წყალი, მიწა; 2) ბუნების ან გარემოს ჯერ კიდევ დაუძლეველი ძალა. — **სტიქიური, სტიქიონური,** დაუძლეველი, ბუნების ძალთაგან გამომდინარე.

**სტოიკები** ანუ **სტოელები** (მრავლ.), ძველი საბერძნეთის ფილოსოფიური მიმდინარეობის მიმდევარნი,—ქადაგობდენ ჰუმანურ და კოსმოპოლიტურ აზრებს. ზნეობის სიმტკიცეს, ტანჯვის ამტანლობას და მოვალეობის მტკიცედ შესრულებას.—**სტოიციზმ-ი,** 1) სტოელების მოძღვრება; 2) სიმტკიცე, ამტანლობა გაჭირვებაში და სხვ..—

—სტოიკური, სტოელების დამახასიათებელი, მტკიცე, ურყევი...

**სტომატოლოგია**, მედიცინის დარგი,—სწავლობს პირისღრუს.— **სტომატოსკოპ-ი**, პირისღრუს საკვლევი ხელსაწყო.

**სტორთინგ-ი**, ნორვეგიის პარლამენტი.

**სტოქასტიკა**, ალბათობა.—**სტოქასტიკური**, ალბათობითი.

**სტრაბიზმ-ი**, ელმობა, სიელმე (თვალისა).

**სტრატაგემა**, ნ. სტრატეგემ-ი.

**სტრატეგია**, ერთერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო მეცნიერებათაგანი, — სწავლობს ომისათვის მომზადებისა და ომის წარმოების პირობებს. — **სტრატეგ-ი**, სტრატეგიაში დახელოვნებული (ძველ საბერძნეთში—მთავარსარდალი). — **სტრატეგიული**, სტრატეგიის ხასიათისა.

**სტრატეგემ-ი**, სამხედრო (საომარი) მოხერხებულობა.

**სრტატიგრაფია**, გეოლოგიის ნაწილი, სწავლობს მთის ქანების ჩაწოლის ფორმებს და მათ ურთიერთობას.

**სტრატიფიკაცია**, სილაშერეული თესლის სველად შენახვა, - გამოყენებულია თესლის ამოცენების ასაჩქარებლად.

**სტრატოსფერო**, ატმოსფეროს ნაწილი, რომელიც იმყოფება ტროპოსფეროს ზემოთ—დედამიწიდან 11 კილომეტრსა და 75 კილომეტრს შუა (ამ უკანასკნელ წლებში წარმატებით აწარმოებენ სტრატოსფეროს გამოკვლევებს, კერძოდ — საბჭოთა კავშირის მეცნიერები).

**სტრეპტოკოკკები** (მრავლ.), ჩირქიანი ანთების გამომწვევი ერთგვარი მიკრობები,—გამოჩნდებიან ხახაში სკარლატინით (ხუნაგით) დაავადებისას.

**სტრიქნინ-ი**, ყველაზე ძლიერი მცენარეული შხამი,—იხმარება მედიცინაში.

**სტრიქტურა**, დავიწროება ცხოველის ან ადამიანის სხეულის რომელიმე მილის ან არხისა, მაგ. საყლაპავის, საშარდისა კუჭისა, ნაწლავების და სხვ..

**სტრობოსკოპ-ი**, ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც უძრავი სურათები იძლევიან მოძრაობის შთაბეჭდილებას.

**სტროფა, სტროფ-ი**, ხანა (ლექსში), — წარმოაცგენს ლექსის რამდენიმე სტრიქონს.

**სრტუქტურა**, აღნაგობა, აგებულება რაიმე მთლიანისა; თანაშეწყობა ნაწილებისა მთელთან და ერთმანეთთან.

**სტუდენტ-ი**, უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე.

**სტუდია**, 1) სახელოსნო ხელოვნისა ან სახელოვნო სკოლასთან —

რაიმე ხელოვნების პრაქტიკულად შესასწავლი; 2) სახელოვნო დაწესებულება (უმთავრესად—თეატრთან)—ახალი კადრების მოსამზადებლად.

**სუ**, ფრანგული ფული, უდრის დაახლ. $^1/_2$ კაპ.

**სუბდომინანტური**, დაქვემდებარებული; გვერდითი (არამთავარი).

**სუბვენცია**, მიზნობრივი დახმარება სახელმწიფოსაგან ადგილობრივ დაწესებულებებს.

**სუბიექტ-ი**, 1) ფილოსოფიაში: რაც (ვინც) შეიცნობს და მოქმედობს, — უპირისპირდება ობიექტს (ნ. ეს); პიროვნება; 2) ლოგიკაში: ის, რის შესახებაც გამოითქმის ლოგიკური პრედიკატი (ნ. ეს); 3) ქვემდებარე (გრამატ.). — **სუბიექტური**, პირადი, სუბიექტის შესაფერი, პირადგანცდითი, ობიექტურის საწინააღმდეგო, მიმდგომლობითი.

**სუბიექტივიზმ-ი**, 1) ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის თანახმად სუბიექტს არ შეუძლია გასცდეს თავისი ცნობიერების შინაარსს და ამიტომ ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი სუბიექტური წარმოდგენები (და არა ობიექტური სინამდვილე); 2) პირადული დამოკიდებულება რაიმესადმი, მიმდგომლობითობა, სუბიექტური თვალსაზრისი.

**სუბიექტური**, ნ. სუბიექტი.

**სუბლიმაცია**, ქიმიაში: მყარ სხეულთა გაცხელება ორთქლისებრ და გაზისებრ მდგომარეობაში გადასვლამდე - გაცივების შემდეგ დაწმენდილი ქიმიური სხეულის მიღების მიზნით.

**სუბლიმინური**, ქვეცნობიერი (ფსიქოლოგ.).

**სუბორდინაცია**, დაქვემდებარება, დამორჩილება ერთისა მეორის მიმართ.

**სუბრეტ-ი** (-ტტ-ი), მკვირცხლი ეშმაკი მოსამსახურე ქალი. ქალბატონის საიდუმლოების მონაწილე (სასცენო კომედიაში).

**სუბსიდია**, ფულადი დახმარება.

**სუბსტანცია**, ფილოსოფიაში: რაიმე საგნის ან მოვლენის უცვლელი და მუდმივი არსობა.— იდეალისტური თვალსაზრისით იგია სული, ხოლო დიალექტიკური მატერიალიზმით — იგია მატერია, რომელსაც აქვს თვითძრაობისა და შინაგანი განვითარების საწყისი.

**სუბსტიტუტ-ი**, დამატებითი კანონი.—**სუბსტიტუცია**, 1) დამატებითი კანონის დადგენა; 2) ანდერძში მემკვიდრის მოადგილის დანიშვნა—იმ შემთხვევისათვის, თუ მემკვიდრე არ (ან ვერ) ისარგებლებს ანდერძით.

**სუბსტრატ-ი**, 1) ფილოსოფიაში: მოვლენათა მრავალსახეობის

საერთო საფუძველი; 2) ბიოლოგიაში: სოკოების და ბაქტერიების მოსაშენებელი ნივთიერება.

**სუბტროპიკული**, ზომიერ-თბილჰავიანი.

**სუგესტია** (სუგგ-), შთაგონება.—**სუგესტიური**, შთაგონებითი; რაიმე წარმოდგენის გამომწვევი.

**სუვერენ-ი**, უზენაესი ხელისუფლების მატარებელი (ბურჟუაზიულ სამართალში). — **სუვერენიტეტ-ი**, სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, უზენაესობა.—**სუვერენული**, დამოუკიდებელი, უზენაესი.

**სუზერენ-ი**, ნ. სიუზერენი.

**სუკც-**, ნ. სუქც-.

**სულემა**, ორქლორსინდიყი: თეთრი კრისტალური ნივთიერება, — იხმარება მედიცინაში და ტექნიკაში.

**სულთან-ი**, **სულტან-ი**, ზოგიერთი მაჰმადიანური სახელმწიფოს მეფის ტიტული.

**სუმბურ-ი**, აზროვნების ბუნდოვნობა; არეულ დარეული ნააზროვნები.

**სუნიტები** (სუნნ-; მრავლ.), მაჰმადიანები, რომლებიც ყურანის გარდა აღიარებენ ს უ ნ - ნ ა - ს —საღვთო წიგნს მაჰმადის მოღვაწეობის შესახებ, — უპირისპირდებიან შიიტებს (ნ. ეს).

**სუპერ-არბიტრ-ი**, მედიატორების თავმჯდომარე (ნ. არბიტრი).

**სუპორტ-ი** (სუპპ-), სახარატო (და სხვა) დაზგის ნაწილი,—ამაგრებს იარაღს.

**სუპრემატიზმ-ი**, მავნე მიმართულება ფერწერაში, — ხასიათდება ფერწერის განმარტივებული ფორმებით.

**სურდინა**, **სურდინ-ი**, მუსიკალური საკრავის ხმის დამყუჩებელი მოწყობილობა.

**სურიკ-ი**, სურინჯი.

**სურმა**, მყიფე, მაგარი და ვერცხლისებრ თეთრი ლითონი,—იხმარება სასტამბო, სამხედრო და სხვა საქმეში (ნ. ანტიმონი).

**სუროგატ-ი** (სურრ-), ნივთიერება, რომელიც რაიმე მხრივ ემსგავსება მეორეს და საჭიროების მიხედვით შეენაცვლება მას, თუმცა ღირსებით მასზე დაბლა დგას, მაგ. მარგარინი არის კარაქის (და ერბოს) სუროგატი, სახარინი — შაქრისა და სხვ. .

**სუსპენზორი**, მამაკაცის სათესლე პარკის ასაკრავი ბადე.

**სუტენიორ-ი**, **სუტენერ-ი**, ღლაპი; პროსტიტუტ დედაკაცის საყვარელი, რომელიც ჩვეულებრივ იყენებს მას თავისი—ხშირად დანაშაულებრივი — მიზნებისათვის.

**სუფიზმ-ი** (სუფფ-), სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური მიმდინარეობა მაჰმადიანებში, განსაკუთრებით—სპარსეთში (10 საუკუნიდან ქ. შ.), — ატარებს უმთავრესად მისტიკურ-ასკეტურ ხასიათს.

**სუფიქს-ი** (სუფფ-), ბოლოსართი (გრამ.).

**სუფლიორ-ი**, როლის მოკარნახე პირი სცენაზე,—არ ჩანს მაყურებელთათვის.

**სუფრაჟიზმ-ი** (სუფფ-), ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობა (ინგლისში მე-20 საუკ. დასაწყისში), რომლის მიზანი იყო უფლებრივი გათანასწორება ქალებისა მამაკაცებთან.— **სუფრაჟისტ-ი**, სუფრაჟიზმის მიმდევარი.

**სფერო**, 1) ბირთვი; 2) დედამიწის ბირთვი; 3) გავლენის ან მოქმედების წრე.—**სფერული**, ბურთისებრი.

**სფეროიდ-ი**, მცირე ღერძის გარშემო ელიპსის ბრუნვით წარმოქმნილი სხეული, მაგ. დედამიწის ფიგურა წარმოადგენს თითქმის სფეროიდს.

**სფერომეტრ-ი**, თხელი ფირფიტების სისქის საზომი ხელსაწყო, აგრეთვე — ოპტიკური მინის სიმრუდის რადიუსისა.

**სფიგმოგრამა** (-მმა), სფიგმოფის ჩანაწერი — **სფიგმოგრაფი**, პულსის გრაფიკულად ჩამწერი იარალი.— **სფიგმოგრაფია**, ამგვარი ჩაწერის ხერხი.

**სფინქს-ი**, 1) ლომისტანიანი და კაცისთავიანი ზღაპრული არსების უზარმაზარი ქანდაკება ძველ ეგვიპტეში. 2) ასეთივე—ძველ საბერძნეთში, სადაც მას ჰქონდა ფრთოსანი ლომის ტანი და ქალის თავი და მკერდი; ზღაპრული გადმოცემით — კლავდა ყველას, ვინც ვერ გამოიცნობდა მისმიერ მიცემულ ამოცანას; 3) უცნაური არსება; ამოცანა; 4) ერთგვარი მაიმუნის ჯიში დასავლ. აფრიკაში; 5) ერთგვარი პეპელა.

**სფინქტერ-ი, სფინქტორ-ი**, რგოლისებრი მომჭერი კუნთი (კუჭისა, საშარდისა და სხვ.).

**სფრაგისტიკა**, ისტორიული მეცნიერების დარგი, — სწავლობს ბეჭდების განვითარების ისტორიას.

**სქემა**, რაიმე საგნის ან მოვლენის ზოგადი გამოსახულება —გეგმა.—**სქემატიზმ-ი**, გამოსახულების ზოგადობა, განმარტივებულობა. **სქემატური, სქემური**, **სქემობრივი**, სქემის ხასიათისა, ზოგადი.

**სქიზმა**, სარწმუნოებრივი განხეთქილება ქრისტიანულ მოძღვრებაში, არ აღწევს მწვალებლურ (ერესის) სიმწვავემდე (ნ. ერესი).

**სქიზო**, ნ. შიზო.

**სქიმა**, ბერ-მონაზვნობის უმაღლესი ხარისხი.

**სქოლასტიკა**, 1) ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას დაქვემდებარებული ფილოსოფია (და მეცნიერება) საშუალო საუკუნეებში,—ისწავლებოდა უნივერსიტეტებში და გამოხატავდა სამღვდელოების ბატონობას; 2) უნაყოფო და უმაქნისი ცოდნა, რომელიც ემყარება ცნებებისა და სიტყვების არა სინამდვილის ანალიზზე. — **სქოლასტიკური**, სქოლასტიკის ხასიათისა, უნაყოფო, ფუჭი; განყენებული და სხვ.

**სქოლიო**, ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ნაწარმოების ტექსტზე, — მიეწერება ჩვეულებრივ არეებზე.—**სქოლიატ-ი**, სქოლიოების დამწერი.

**სცენა**, 1) საწარმოდგენო ადგილი თეატრში; 2) სათეატრო ნაწარმოების ნაწილი; 3) თეატრი და მასთან დაკავშირებული ცხოვრება; 4) მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების — რომანის ან მოთხრობის ცალკეული ეპიზოდი (ნ. ეს); სანახაობა ცხოვრებაში.—**სცენური**, სათეატრო სცენის ხასიათისა.

**სცენარი, სცენარიუმ-ი**, 1) სასცენო ნაწარმოების ჩონჩხი,—გეგმა; 2) მოქმედ პირთა სცენაზე გასვლის მაჩვენებელი სია; 3) კინოსურათის მოკლე შინაარსი.

**სცენარიუს-ი**, 1) სათეატრო მხატვარი; 2) სცენაზე წარმოდგენის წესრიგის მეთვალყურე პირი.

**სცენური**, ნ. სცენა.

**სცილლა და ქარიბდა**, ორი ერთმანეთის პირდაპირ მდებარე სახიფათო კლდის ზღაპრული განსახიერება—ორი ურჩხულის სახით (ძველი ბერძნ. მითოლოგიით).

**სხი-**, ნ. სქი-.

**სხოლ-**, ნ. სქოლ-.

# ტ

**ტაბელ-ი**, 1) ტაბულა, ცხრილი, სია; 2) უქმე დღე.

**ტაბეს-ი**, ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადება, — ათაშანგის მოგვიანებული შედეგი.—**ტაბეტიკ-ი**, ტაბესით დაავადებული.

**ტაბლეტ-ი** (-ტტი), დაპრესული (დაწნეხილი) მშრალი წამლეული.

**ტაბორ-ი, თაბორ-ი**, აწინკანთა (ბოშების, ციგნების) სამყოფელი ბანაკი.

**ტაბუ**, ნ. თაბუ.

**ტავერნ-ი,** სასმელ-საჭმლის დუქანი.

**ტავრო,** საქონლის (ხარის, ცხენის...) კანზე ამომწვარი დაღი—სხვისისაგან განსასხვავებლად.

**ტავტოლოგია,** „იგივსიტყვაობა", ერთიდაიმავე აზრის სხვადასხვაგვარად (სხვადასხვა სიტყვით) გამოთქმა.

**ტაიგა,** ციმბირის უდაბური ტყეები, უმთავრესად—წიწვოვანი.

**ტაიფუნ-ი, ტიფონ-ი,** გრიგლისებრი ქარი წყნარ ოკეანეში.

**ტაკელაჟ-ი,** ხომალდის მოსართავი ნაწილების ერთობლიობა.

**ტაკს-, ტაკტ-,** ნ. ტაქს-, ტაქტ-.

**ტალანტ-ი,** 1) წონის უდიდესი ერთეული ძველ საბერძნეთში, აგრეთვე ფულისა: წონა უდრიდა 65 გირვ., ფული—2250 მანეთს; 2) ნიჭი, ნიჭიერება.

**ტალერ-ი,** ნ. თალერი.

**ტალკ-ი,** ცეცხლგამძლე თეთრი მინერალი, — იხმარება ტექნიკაში.

**ტალმა,** უსახელოებო მოსასხამი.

**ტალმუდ-ი,** ნ. თალმუდი.

**ტალონ-ი,** 1) რაიმე საბუთის დუბლიკატი,—რჩება საჩეკო წიგნაკში (ნ. ჩეკი); 2) ფასიანი ქაღალდის (მაგ. ობლიგაციის) ძირითადი ნაწილი.

**ტამპონ-ი,** 1) მედიცინაში: ჭრილობაში ან რაიმე ღრუში ჩასადები ნაჭერი ქსოვილისა, ბამბისა და სხვ.; 2) სტამბაში: საღებავის წასაცხები ჩვარი და სხვ.

**ტან-ი,** ნ. თანი.

**ტანინ-ი,** (ტანნ-), მოყვითანო ადვილხსნადი ფხვნილი,—იხმარება, მაგ. მედიცინაში, როგორც შემკვრელი მასალა.

**ტანკ-ი,** დაჯავშნული და ზარბაზან-ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ავტოეტლი,—მოძრაობის მუხლუხური სვლით.

**ტანტიემა, ტანტიემ-ი,** საწარმოს ხელმძღვანელთა დამატებითი ჯილდო—მოგების ნაწილიდან.

**ტანცმეისტერ-ი,** ცეკვის მასწავლებელი.

**ტაპიორ-ი,** საცეკვაო-გასართობ საღამოებისათვის დაქირავებული პიანისტი (ნ. ეს).

**ტარა,** 1) საქონლის შესახვევი მასალა (ყუთი, ტომარა, ბურბუშელა და სხვა) ან ამ მასალის წონა; 2) სასწორზე გასაწონასწორებელი მასალა (ქვის ნატეხი, საფანტი ან სხვა რამ), რომლითაც წონასწორდება ჭურჭელი.

**ტარან-ი,** 1) კედლის სამტვრევი საომარი იარაღი ძველად; 2) საომარი გემის წვეტიანი ქიმი,—აზიანებს მოწინააღმდეგე გემს; 3) ერთგვარი თევზი,—იჭმევა უმეტესად დამარილებული და გამხმარი.

**ტარანტელა** (-ლლა), იტალიაური სწრაფი ცეკვა: შესაფერი მუსიკა.

**ტარიფ-ი**, გადასახადის ცხრილი რკინისგზით, ფოსტით და სხვა მისთანათი სარგებლობისათვის; აგრეთვე — ხელფასის ცხრილი. **ტარიფიკაცია**, ამგვარი გადასახადის ან ხელფასის ცხრილის დადგენა.—**ტარიფიცირება**, **ვატარიფიცირებ**, ვადგენ გადასახადის ან ხელფასის ცხრილს.

**ტატუირება**, სხეულის კანის მოსახვა—კანში მღებვარე ნივთიერების შეტანის საშუალებით, —ახასიათებს კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებს. — **ვატატუირებ**, მოვსახავ კანს ამგვარად.

**ტაქიგრაფია**, იგივეა რაც სტენოგრაფია (ნ. ეს).

**ტაქსა**, ნიხრი: ოფიციალურად დაწესებული ფასი საქონელზე, სამუშაოზე და სხვ.. —**ტაქსირება**, **ვატაქსირებ**, ვნიხრავ.

**ტაქსაცია**, 1) ტაქსის დაწესება; 2) სატყეო მეურნეობის დარგი,—სწავლობს ხეტყეში მერქნის რაოდენობის განსაზღვრის წესებს. — **ტაქსატორ-ი**, ტაქსაციის სპეციალისტი.

**ტაქსი**, **ტაქსომოტორ-ი** გასაქირავებელი ტაქსომეტრიანი ავტომობილი (ნ. ტაქსომეტრი).

**ტაქსომეტრ-ი**, ავტომობილის ან ეტლის იიეთი მოწყობილობა, რომელიც ავტომატიურად აღნიშნავს გავლილ მანძილს და განსაზღვრავს ამის მიხედვით საფასურს.

**ტაქტ-ი**. 1) მუსიკაში: დროის ერთეული მუსიკალურ ფრაზაში,—შედგება ერთი ძლიერისა და ერთი ან რამდენიმე სუსტისაგან და მეორდება პერიოდულად შენაცვლებით; 2) ფსიქოლოგიაში: სმენითი შთაბეჭდილებების თანაბარი მიმდევრობა; 3) თავის დაჭერის უნარი პირობებთან და გარემოსთან შეფარდებით.—**ტაქტიანი**, ასეთი უნარის მქონე ადამიანი.

**ტაქტიკა**. 1) სამხედრო მეცნიერება,—იკვლევს ომის წარმოების, ლაშქრობის და საომარი მომზადების საფუძვლებს, რაც დამოკიდებულია სამხედრო ტექნიკის განვითარებისა და არმიის შედგენილობისაგან; 2) პარტიის (ჯგუფის ან პირის) მოქმედება განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.—შეფარდებულია პროგრამასთან და გარემო პირობებთან.—**ტაქტიკური**, ტაქტიკის ხასიათისა.

**ტახი-**, ნ. ტაქი-.

**ტეილორიზმ-ი**, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სისტემა, — დაამუშავა ამერიკელმა ინჟინერმა ტ ე ი ლ ო რ მ ა (1856—1915) კაპიტალისტური საწარმოებისათვის: მოძრაობათა ეკონომიის საფუძველზე

წარმოებრიობის გადიდება, საწარმოო იარაღების გაუმჯობესება, ვარგისი მუშების დარჩევა და სხვა; მისი მთავარი საფუძველია ადამიანის შრომის უკიდურესი ინტენსიფიკაცია (ნ. ეს)—ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. საბჭოთა მეურნეობისათვის მისაღებია და გამოსაყენებელი ტეილორიზმის ის მხარე, რომელიც ეხება საწარმოო იარაღებს, მაგრამ ადამიანის მიმართ დამოკიდებულებაში იგი რეაქციონულია.

**ტეკს-**, ნ. ტექს-.

**ტეკტ-**, ნ. ტექტ-.

**ტელეგრამა** (-მმა), დეპეში, ტელეგრაფით გადაცემული (ან მიღებული) ცნობა.

**ტელეგრაფ-ი**, 1) შორს მანძილზე ცნობების გადამცემი აპარატი —ელექტროდენით, რადიოსხივებით და სხვ.; 2) დაწესებულება, სადაც მოთავსებულია ასეთი აპარატი და საიდანაც გადაიცემა (და მიიღება) ტელეგრამა. — **ტელეგრაფისტ-ი**, ტელეგრაფზე მომუშავე პირი.

**ტელეოლოგია**, იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად ყოველივე არსებული შექმნილია მიზანშეწონილად,—უპირისპირდება მატერიალისტურს.

**ტელეპათია**, არამეცნიერული და ხშირად ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული ფსიქოლოგიური თეორია — აზრებისა და გრძნობების გადაცემა მანძილზე უსიტყვოდ და უნიშნებოდ.

**ტელესკოპ-ი**, ჭოგრი: ციურ სხეულთა დასანახავი და გადასაღები ოპტიკური ხელსაწყო.

**ტელეფონ-ი**, ელექტროდენის საშუალებით ბგერის შორს გადამცემი მოწყობილობა. — **ტელეფონისტ-ი**, ტელეფონზე მომუშავე. — **ტელეფონოგრამა** (-მმა), ტელეფონით გადაცემული (ან მიღებული) ცნობა.

**ტელეფოტოგრაფია**, სურათების გადაცემა შორეულ მანძილზე ელექტროდენის საშუალებით.

**ტელზიმეტრ-ი**, ტონელის კედლების გამძლეობის გამოსაცდელი მოწყობილობა.

**ტემბრ-ი**, ბგერის ელფერი,—ახასიათებს თითოეულ ხმას და საკრავს; ტემბრს განსაზღვრავს ობერტონების რიცხვი და თვისება (ნ. ობერტონი).

**ტემპერამენტ-ი**, პიროვნების ქცევათა დამახასიათებელი თავისებურობა—რეაქციის სიძლიერისა და სიჩქარის მხრივ; ძველთაგანვე მიღებულია ოთხი სხვადასხვაგვარი ტემპერამენტი: სანგვინიკური, მელანქოლიკური, ქოლერიკული და ფლეგმატიკური (ნ. თავთავის ადგილას), რასაც ყველა მეცნიერი არ იზიარებს.

**ტემპერატურა**, სხეულის სითბოს ხარისხი — იზომება თერმომეტრით (ნ. ეს).

**ტემპ-ი**, ამათუიმ მოვლენის მიმდინარეობის ან მოძრაობის შესრულების სიჩქარე.

**ტენდენცია**, 1) რაიმესადმი მიდრეკილება; აზრის ან მოქმედების გარკვეული მიმართულება; 2) წინასწარაღებული აზრი, რომელიც ტარდება რაიმე (სალიტერატურო, სამეცნიერო..) ნაწარმოებში.— **ტენდენციოზური**, **ტენდენციური**, წინასწარაღებული (აზრი), მიკერძოებითი, აკვიატებული (აზრი).

**ტენდერ-ი**, ორთქლმავლის გამყოლი ვაგონი, — ამარაგებს ორთქლმავალს სათბობი მასალით და წყლით.

**ტენის-ი** (**ტენნ-**) ანუ **ლაუნ-ტენის-ი**, ერთგვარი ბურთაობა ბადით გაყოფილ საგანგებო მოედანზე.

**ტენორ-ი**, მამაკაცის მაღალი ხმა.

**ტეო-**, ნ. თეო-.

**ტერაკოტა** (**ტერრ-**), გამომწვარი თიხისაგან ნაკეთები ნივთები (ვაზები, ორნამენტები და სხვ.).

**ტერარიუმ-ი** (**ტერრ-**), მიწაწყლიერ და ქვეწარმავალ ცხოველთა მოსათავსებელი მოწყობილობა.

**ტერასა**, **ტერას-ი** (**ტერრ-**), 1) მიწაყრილი; 2) აივანი.

**ტერიტორია** (**ტერრ-**), მიწაწყალი, რომელიც იმყოფება ერთი ხელისუფლების ხელში (სახელმწიფო ტერიტორია), დასახლებულია ერთი ხალხით (ეროვნული ტერიტორია) ან მოქცეულია ბუნებრივ სახლვრებში (მთები, მდინარეები და სხვ.).— **ტერიტორიალური**, **ტერიტორიული**, ამათუიმ ტერიტორიისა, ადგილობრივი.

**ტერმინ-ი**, 1) ფორმალურ ლოგიკაში: სიტყვით გამოხატული ცნება; 2) ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში და სხვაგან. — **ტერმინოლოგია**, ამათუიმ დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა.

**ტერმიული**, ნ. თერმიული.

**ტერმო-**, ნ თერმო-.

**ტერორ-ი** (**ტერრ-**), რევოლუციური ბრძოლის ერთერთი მეთოდი, წარმოადგენს პოლიტიკური მოწინააღმდეგისადმი ძალადობის (მკვლელობის, დაშინების და სხვ.) ხმარებას (მარქსისტები უარყოფენ ერთპიროვნულ ტერორს, მაგრამ მიზანშეწონილად სთვლიან მასობრივ ტერორს).— **ტერორიზირება**, **ვატერორიზირებ**, ვაშინებ, ვაფრთხობ, თავზარსვცემ.— **ტერორისტ-ი**, ტერორის მომხრე ან განმხორციელებელი.— **ტერორისტული**, ტერორის ხასიათისა, დაშინებითი...

**ტერპენტინის ზეთი**, სკიპიდარი (ნ.)

**ტესტ-ი**, ფსიქოტექნიკის მეთოდი: ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოცდა—ამათუიმ ნიჭიერების ან ჩვევის გამორკვევის მიზნით.

**ტეტანია**, პათოლოგიაში: ხელფეხის კრუნჩხვაში გამოხატული დაავადება.—**ტეტანუს-ი**, ფიზიოლოგიაში: კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა, რეაქციის შეწყვეტა, სიშტერე.

**ტეტრაედრ-ი**, ოთხწახნაგა.

**ტექნიკა**, 1) რაიმე ხელობის სპეციალური ცოდნა; 2) შრომისა და წარმოების საშუალებათა მიღწეული გაუმჯობესება. — **ტექნიკ-ი**, **ტექნიკოს-ი**, პრაქტიკული მუშაობისათვის მომზადებული სპეციალისტი. — **ტექნიკური**, ტექნიკის ხასიათისა, მისთვის განკუთვნილი.

**ტექნიკუმ-ი**, საშუალო სპეციალური სასწავლებელი, — ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

**ტექნოლოგია**, რიგი მეცნიერებათა, რომლებიც იკვლევენ ნედლი მასალის გადამუშავების მეთოდებს და საშუალებებს.—**ტექნოლოგ-ი**, ტექნოლოგიის მცოდნე.

**ტექსტ-ი**, 1) ავტორის საკუთარი სიტყვები; 2) დაბეჭდილი (ან დაწერილი) თხზულების ძირითადი ნაწილი,—უპირისპირდება შენიშვნებს, სურათებს და სხვ.; 3) მუსიკალური ნაწარმოებისთვის დაწერილი სიტყვები. — **ტექსტუალური**, სიტყვა სიტყვით, ტექსტიდან ამოღებული.

**ტექსტილური**, საფეიქრო.

**ტექტონიკა**, გეოლოგიის ნაწილი, სწავლობს დედამიწის ქერქის გადაადგილებას და მთათა წარმოქმნის პროცესებს. — **ტექტონიკური მოვლენები**, გადაადგილებისას მომხდარი მოვლენები (მაგ. მიწისძვრა).

**ტიკ-ი**, უნებური მიზანშეუწონელი მოძრაობა და ტოკვა, კუნთების კრუნჩხვა.

**ტიმპან-ი**, ტინბანი (საბ.), სამუსიკო საკრავი დაფი.

**ტიპ-ი**, 1) ძირითადი, განზოგადოებული ფორმა, რომელიც შეიცავს საგანთა ჯგუფის საერთო ნიშნებს; 2) ლიტერატურაში: ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის დამახასიათებელ თვისებათა განსახიერება (იდეალისტურ ლიტერატურათმცოდნეობაში უგულებელყოფილია ტიპის კლასობრივი და ისტორიული ხასიათი).— **ტიპიური**, დამახასიათებელი, ტიპის ხასიათისა. — **ტიპოლოგია**, საგანთა და მოვლენათა ტიპების კვლევა ჯგუფობრივი შედარების გზით. — **ტიპოლოგიური**, ჯგუფობრივ შედარებითი.

**ტიპოგრაფია,** სტამბა.—**ტიპოგრაფიული,** სტამბური. — **ტიპომეტრ-ი,** სასტამბო ასოების მოცულობის საზომი ხელსაწყო.

**ტირადა,** ოდნავ ზეიმური კილოთი წარმოთქმული აზრი; გრძელი ფრაზა.

**ტირან-ი,** 1) ძველ საბერძნეთში: ძალადობით ხელისუფლების მიმთვისებელი პირი; 2) მოძალადე, სასტიკი მმართველი; 3) სასტიკი ადამიანი.—**ტირანია,** 1) ტირანის ბატონობა,—მმართველობა; 2) სისასტიკე, თვითნებურობა.

**ტირაჟ-ი,** 1) ლოტერიის გათამაშება (ნ. ლოტერია). 2) ბეჭდვითი რაიმე გამოცემის (გაზეთის, წიგნის) საერთო რაოდენობა.

**ტირე,** ერთერთი სასვენ ნიშანთაგანი (—).

**ტირ-ი,** სასროლო: მიზანში სროლისათვის მიჩენილი ადგილი (შენობაში, ბაღში და სხვ.).

**ტიტან-ი,** 1) ძვ. ბერძნ. მითოლოგიით: დევგმირი; 2) ერთგვარი (იშვიათი) ვერცხლისებრ თეთრი, ძლიერ მაგარი და გამძლე მინერალი. — **ტიტანური,** არაჩვეულებრივად მძლავრი, დევგმირული.

**ტიტულ-ი,** 1) ბურჟუაზ. ქვეყნებში: საპატიო წოდებულობა — შემკვიდრეობითი ან დანიშნულებრივი (მეფე, თავადი, ლორდი და სხვ.); 2) წიგნის სათაური ან პირველი (სასათაურო) გვერდი, რომელზეც აღნიშნულია ავტორის გვარი, წიგნის სახელწოდება, გამომცემლობა და სხვ.

**ტიფ-ი,** სამი სხვადასხვა დაავადების სახელი (მუცლის, პარტახტიანი და შებრუნებული ტიფი). — **ტიფოიდ-ი,** მსუბუქი მუცლის ტიფი.

**ტიფონ-ი,** ნ. ტაიფუნი.

**ტოგა,** რომაული გრძელი ზედატანსაცმელი.

**ტოკს-,** ნ. ტოქს-.

**ტოლერანტობა,** სხვა სარწმუნოების ან სხვისი აზრის შეწყნარება, ამტანლობა.—**ტოლერანტული, ტოლერანტ-ი,** შემწყნარებელი, ამტანი. — **ტოლერანცია,** შეწყნარება, ამტანლობა (ნ. ინტოლერანტ-).

**ტოლ-ი,** წყალგაუვალი და ცეცხლგამძლე ნივთიერებით გაჟღენთილი სქელი მუყაო,—იხმარება შენობის სახურავად.

**ტომატ-ი,** იგივეა რაც პამიდორი.

**ტომ-ი,** თხზულების ნაწილი ცალკე წიგნად.

**ტონა** (-ნნ-), წონის ერთეული— მეტრული სისტემით, უდრის დაახლოებით 61 ფუთს (1000 კილოგრამი). — **ტონაჟ-ი,** ტონებში გამოხატული ტევადობა გემისა.

**ტონელ-ი, ტუნელ-ი** (ტონნ-, ტუნნ-), გვირაბი.

**ტონ-ი,** 1) მუსიკაში: ჰაერის პერიოდული რხევებით წარმოქმნილი ბგერა, რომლის სიმაღლე დამოკიდებულია რხევათა სიხშირეზე; 2) ხმის ელფერი; 3) ფერწერაში: ფერების ესათუის ელფერი.—**ტონალობა,** მუსიკაში: ბგერათწყობის ესათუის სიმაღლე; ტონის თვისება.—**ტონიკა,** მუსიკაში: ბგერათწყობის ძირითადი ბგერა. **ტონიკური ლექსთწყობა,** მახვილიან და უმახვილო მარცვალთა მონაცვალეობაზე დაფუძნებული ლექსთწყობა.

**ტონუს-ი,** კუნთების ნორმალური მდგომარეობა დაჭიმულობის მხრივ; კუნთების ესათუის დაჭიმულობა.

**ტოპოგრაფია,** 1) დედამიწის ზედაპირის აღწერილობა, — წარმოადგენს გამოყენებით მეცნიერებას; 2) ამათუიმ ადგილის ზედაპირი.

**ტორეადორ-ი,** ესპანეთში: ხართან მებრძოლი მხედარი.—**ტორერო,** ხართან მებრძოლი ქვეითად.

**ტორმოზ-ი, ტორმაზ-ი,** მუხრუჭი: რაიმე მანქანის მოძრაობის შემჩერებელი ან მოძრაობის სიჩქარის შემნელებელი მოწყობილობა.

**ტორპედ-ი,** თვითმოძრავი საწყალქვეშო ნაღმი.

**ტორს-ი,** ტანი.

**ტორტ-ი,** ხილეულიანი ან კრემიანი ტკბილნამცხვარი, უმეტესად მრგვალი.

**ტორფ-ი,** ერთგვარი საწვავი მასალა,—წარმოადგენს მცენარეულობის დაულპობლად შენახულ ნაშთს ჭაობიან ადგილებში.

**ტოსტ-ი,** სმური, სადღეგრძელო, სუფრაზე წარმოთქმული სიტყვა.

**ტოტალიზატორ-ი,** 1) მექანიკური მთვლელი დოღის დროს,—უჩვენებს, თუ რამდენი სანაძლეოა დადებული დოღში მონაწილე თითოეულ ცხენზე და აგრეთვე—სანაძლეოთა მთლიან ჯამს; 2) ნაძლევი—დოღში.

**ტოტემ-ი,** რაიმე საგანი ან ცხოველი, რომელსაც პრიმიტიული (კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი) ადამიანი სთვლიდა ზებუნებრივი ძალის მქონედ და ამათუიმ სოციალური დაჯგუფების წინაპრად და მფარველად; ტოტემის სახელი ერქმეოდა ამ დაჯგუფებას, ხოლო მისი გამოსახულება წარმოადგენდა დაჯგუფების განმასხვავებელ ნიშანს (ნ. ტოტემიზმი).

**ტოტემიზმ-ი,** ერთი საფეხური პრიმიტიული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებაში (გვაროვნულ წესწყობილებამდე). როცა ზედმეტი პროდუქტი

წარმოებას ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი (მაგ. ნადირობა); ამ საფეხურის საწარმოო ურთიერთობის დამახასიათებელია ჯგუფობრივი დაქორწინება.. ასეთი საზოგადოების რელიგიური წარმოდგენები აისახა ტოტემის კულტში (ნ. ესენი).— **ტოტემისტური** საზოგადოება, ამ საფუძველზე აგებული პრიმიტიული საზოგადოება.

**ტოქსიკოლოგია**, მედიცინის დარგი, —სწავლობს შხამების წარმოშობას, მათ ქიმიურ შედგენილობას, მოქმედებას და მათ საწინააღმდეგო საშუალებებს მოწამვლის დროს.

**ტოქსინ-ი, ტოქსინები**, შხამიანი ნივთიერებები, — წარმოიქმნებიან უმთავრესად მიკროორგანიზმებისაგან, აგრეთვე ზოგიერთი ცხოველისა და მცენარისაგან.

**ტრაგედია**, 1) დრამის ერთერთი სახე,—წარმოადგენს ადამიანის (მოქმედი პირის) ბრძოლას, რომელსაც ადგილი აქვს მასშივე გრძნობებისა და მოვალეობის შეჯახებისას; თავდება უთუოდ გმირის (მთავარი მოქმედი პირის) დაღუპვით; 2) გამოუვალი მდგომარეობა ცხოვრებაში. — **ტრაგიკ-ი, ტრაგიკოს-ი**, ტრაგედიის მსახიობი; ტრაგედიის მწერალი.—**ტრაგიკომედია**, 1) ტრაგედიისა და კომედიის ელემენტების შემცველი დრამატული ნაწარმოები; 2) სამწუხარო და სასაცილო მომენტების შემცველი შემთხვევა ცხოვრებაში.— **ტრაგიკული**, **ტრაგედიული**, უბედური, საბედისწერო, საზარელი (ნ. კომედია, კომიკური).

**ტრადიცია**, ზეპირგადმონაცემი, ჩვეულება; თაობიდან თაობაზე გადმონაცემი ჩვეულება.—**ტრადიციული**, ტრადიციის ხასიათისა.

**ტრაექტორია**, წერტილის ან სხეულის მოძრაობის გზა; გასროლილი ყუმბარის ან ტყვიის მრუდი ხაზი.

**ტრავერს-ი**, სანგრების ან სიმაგრის მიწაყრილი — გვერდითი (ფრთის) სროლისაგან დასაცავი.

**ტრავმა**, ცვლილება სხეულში ან ფსიქიკაში გარეგანი მავნე ზემოქმედების გამო. — **ტრავმატიზმ-ი**, ანუ **ტრავმატული** დაზიანება, მოსახლეობის ამათუიმ ჯგუფის დაზიანება სოციალური პირობების გამო (მაგ.: ქუჩის გაცხოველებული მოძრაობის გამო — ტრამვაის ქვეშ მოყოლა; ომში დაზიანება; წარმოებაში მანქანისაგან დაზიანება — წინასწარ გაუფრთხილებლობის გამო; სიბნელის გამო დაჯახება და სხვ.).

**ტრაკტ-**, ნ. **ტრაქტ-**.

**ტრამვაი.** საქალაქო ელექტრო-რკინიგზა.

**ტრამპლინ-ი,** ნახტომის დროს ფრენის გასაძლიერებელი მოწყობილობა, ზოგ შემთხვევაში —ზამბარაკიანი.

**ტრანზიტ-ი,** მოგზაურობა ან საქონლის გადატანა ერთი სახელმწიფოდან მეორეში მესამის ტერიტორიაზე გავლით (მაგ. გერმანიიდან საბჭოთა კავშირში პოლონეთზე).

**ტრანს-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] „გადაღმა", „იქეთ"...

**ტრანსალპ(ი)ური,** ალპებს გადაღმა.

**ტრანს-ი,** ცნობიერების დაქვეითებული მდგომარეობა, როცა ადამიანი ასრულებს თითქოს მოფიქრებულ და მიზანშეწონილ მოქმედებებს, ხოლო ნამდვილად—შეუცნობლად.

**ტრანსკრიფცია,** 1) ერთი ენის (მაგ. ქართული) სიტყვის დაწერა მეორე ენის (მაგ. რუსული) ასოებით (მაგ. დედა— дэда); 2) მეცნიერული ანუ ფონეტიკური ტრანსკრიფცია წარმოადგენს ბგერების ზუსტად ჩაწერას — ჩვეულებრივი ასოებით ან საგანგებო პირობითი ნიშნებით; 3) მუსიკაში: ერთი ინსტრუმენტისათვის (ან ხმისათვის) დაწერილი მუსიკალური ნაწარმოების გადაღება სხვა ინსტრუმენტის (ან ხმისათვის).

**ტრანსლაცია,** რადიოთი გადაცემა სიტყვისა, მუსიკისა, სიმღერისა და სხვ.

**ტრანსმისია** (-სსია), ძალის მექანიკურად გადასაცემი მოწყობილობა, — უერთდება ძრავს, რომლის მუშაობას გადასცემს სამუშაო მანქანას.

**ტრანსპარანტი,** 1) გამოსახულება გამჭვირვალე ქსოვილზე, — გადაკრულია ჩარჩოზე და შუქდება უკანიდან; 2) გამჭვირვალე ქაღალდი; 3) სქელხაზებიანი ქაღალდის ფურცელი,— იხმარება უხაზო საწერი ქაღალდის ქვეშ ამოსადებად.

**ტრანსპლანტაცია,** „გადარგვა"— მედიცინაში: სხეულზე ამათუიმ ქსოვილის უქონლობის ან დაზიანების გამო სხვა ადგილიდან გადმოტანა, უმთავრესად —კანისა,—კეთდება ჭრილობის დასაფარავად, პირისახის დამახინჯებულ ადგილზე და სხვ.

**ტრანსპოზიცია, ტრანსპონირება,** მუსიკალური ნაწარმოების გადაყვანა ერთი სიმაღლის ხმიდან მეორისაზე, ერთი საკრავიდან მეორეზე.—ვატრანსპონირებ, გადამყავს მუს. ნაწ. ერთი ხმიდან მეორეზე და სხვ.

**ტრანსპორტ-ი,** 1) ტვირთის, პასაჟირების, საქონლის და სხვ

გადასახიდ საშუალებათა ერთობლიობა; 2) მათი გადაზიდვა: 3) ერთი მატარებლით ან სხვა რამ საბარგულით გადაზიდული საქონლის რაოდენობა; 4) პასაჟირების ან ტვირთის გადასაზიდი გემი.

**ტრანსპორტიორ ი, ტრანსპორტერ-ი,** იგივეა რაც კონვეიერი (ნ. ეს).

**ტრანსპორტირ-ი,** კუთხეების საზომი და ასაგები ხელსაწყო,—წარმოადგენს გრადუსებად დაყოფილ რკალს წრისას.

**ტრანსფორმატორ-ი,** განსაზღვრული ძაბვის ცვალებადი დენის გარდამქმნელი ხელსაწყო სხვა ძაბვის ცვალებად დენად.

**ტრანსფორმაცია,** გარდაქმნა, სახეცვალება.

**ტრანსფორმიზმ-ი,** მოძღვრება ცოცხალ არსებათა გარდაქმნის, ევოლუციური განვითარების შესახებ (ნ. ევოლუცია).

**ტრანსფუზია,** მედიცინაში: სისხლის გადასხმა ერთი ორგანიზმიდან მეორეში.

**ტრანსცენდენტალური,** ფილოსოფიაში: გამოცდილებით არმოცემული, მაგრამ შესაძლო გამოცდილების აუცილებელი პირობა,—უპირისპირებს ერთმანეთს აზროვნების ფორმას და შინაარსს, რაც დიალექტიკური მატერიალიზმით დაუშვებელია.

**ტრანსცენდენტური,** ფილოსოფიაში: შესაძლო გამოცდილების (შემეცნების) საზღვრის გარეშე მყოფი, რაც დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად არ არსებობს.

**ტრანშეა,** პატნეხი: გრძელი და ღრმა სანგარი.

**ტრაპეზ-ი,** საეკლესიო: საკურთხევლის ტახტი.

**ტრაპეცია,** 1) ოთხკუთხედი, რომელსაც ორი გვერდი სწორივი აქვს,—ორი არასწორივი; 2) სატანვარჯიშო. მოწყობილობა—წარმოადგენს თოკებზე ჩამოკიდებულ (ან ბოძებზე გადებულ) ძელს.

**ტრაპ-ი,** გემის კიბე.

**ტრაფარეტ-ი,** 1) მუყაოს ან ლითონის თარგი,—იხმარება მალარებისმიერ კედლებისა და ჭერის მოსახატავად; 2) მხანიმუში, შაბლონი; მექანიკურად შესასრულებელი რამ.—**ტრაფარეტული,** გაცვეთილი, ყველასათვის ცნობილი...

**ტრაქეა,** სასუნთქი მილი.—**ტრაქეიტ-ი,** ტრაქეის ანთება.

**ტრაქომა,** თვალის გადამდები ავადმყოფობა,—წარმოადგენს თვალის გარსის ანთებას.

**ტრაქტატ-ი,** 1) საერთაშორისო (სამშვიდობო) ხელშეკრულება; 2) სამეცნიერო თხზულება.

**ტრაქტორ-ი,** ერთგვარი ავტომობილი, რომელიც გამოყენებუ-

ლია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში (სახნავ სათესად, საფარცხავად, სამკალად, სალეწად, ტვირთის საზიდად და სხვ.), — წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იარაღს როგორც მოსავლიანობის გადიდებისათვის (მოხვნის გაუმჯობესების გამო), ისე ცალკეული გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციის საქმისათვის.

**ტრალ-**, ნ. ტრაგ-.

**ტრედ-უნიონ-ი, ტრედ-უნიონები,** მუშათა პროფესიული კავშირები ინგლისში, — ჩაისახენ მე-18-ე საუკ. დამლევს, ხოლო სავსებით ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად ჩამოყალიბდენ მე-19-ე საუკ. 50—70-იან წლებში; აერთიანებენ მუშებს ვიწრო სპეციალობისას ან ერთნაირი კვალიფიკაციისა და ხელფასისას; საერთოდ დგანან კლასობრივი თანამშრომლობის აუცილებლობის თვალსაზრისზე და გზას სოციალიზმისაკენ ხედავენ „კაპიტალისტურ რაციონალიზაციაში"; ტრედ-უნიონებში თანდათან ძლიერდება რევოლუციური უმცირესობის მოძრაობა. — **ტრედ-უნიონიზმ-ი,** პროფესიული მოძრაობის ერთერთი მიმდინარეობა, რომელიც პირველად ჩაისახა ინგლისში: იგი უარყოფს პოლიტიკურ ბრძოლას და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მას აუცილებლად მიაჩნია მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა; დამახასიათებელია მისთვის ის, რომ ანგარიშს უწევს მხოლოდ მუშათა კლასის კვალიფიკაციურ ფენებს.

**ტრეპანაცია,** ქირურგიული ოპერაცია, — მდგომარეობს ძვლის განკვეთაში ღრუმდე მისაწვდომად, როცა ეს ღრუ მდებარეობს ძვლის კედლებს შუა (ტრეპანაცია ქალასი ანუ თავისქალისა, შუაყურისა და სხვ.).

**ტრესტ-ი,** 1) კაპიტალისტურ საწარმოთა გაერთიანება წარმოების მთელ დარგში — ბაზრის მთლიანად დაუფლების მიზნით; ტრესტში შემავალ თითოეულ საწარმოს სრულიად ეკარგვის დამოუკიდებლობა მისი ერთიანი მმართველობის გამო; 2) საბჭოთა კავშირში ტრესტი წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებას; მისი მიზანია — სახალხო მეურნეობის გეგმიანობის განმტკიცება (ნ. კარტელი, კონცერნი, სინდიკატი).

**ტრიადა, ტრიად-ი,** 1) სამება; 2) განვითარების სამი მომენტი ჰეგელის დიალექტიკური ფილოსოფიით: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზი(სი), ნ. ესენი; მატერიალისტურ დიალექტიკაში მან დაკარგა იდეალისტური ხასიათი და მოიპოვა

დასაბუთება სინამდვილის კონკრეტული შესწავლის საფუძველზე.

**ტრიანგულაცია**, რაიმე წერტილთ შორის მანძილის გაზომვა სამკუთხედების სისტემის აგების საფუძველზე.

**ტრიბა**, რომის მოსახლეობის თითოეული სამ ნაწილთაგანი.

**ტრიბუნა**, ამაღლებული ადგილი: 1) საიდანაც ორატორი წარმოთქვამს სიტყვას; 2) დარბაზში, ქუჩაზე ან მოედანზე რაიმე საჯარო სვლის დროს.

**ტრიბუნალ-ი**, სასამართლო.

**ტრიბუნატ-ი**, 1) ტრიბუნობა; 2) საკანონმდებლო დაწესებულება საფრანგეთში (1799 წ.).

**ტრიბუნ-ი**, 1) ძველ რომში: სახალხო ტრიბუნი — თანამდებობის პირი, რომელიც იცავდა პლებეებს პატრიციებისა და კონსულების წინააღმდეგ; სამხედრო ტრიბუნი — ლეგიონის უფროსი; 2) მასსების ინტერესების დამცველი პირი მმართველი კლასების წინააღმდეგ, სახალხო ორატორი.

**ტრიგონომეტრია**, გეომეტრიის ნაწილი, — სწავლობს სამკუთხედების გვერდებისა და კუთხეების შორის თანაშეფარდებას.

**ტრიერ-ი**, მარცვლეულის გამწმენდი და დამხარისხებელი მანქანა.

**ტრივიალური**, უწმაწური, გაცვეთილი.

**ტრიკო**, მატყლის ერთგვარი ქსოვილი. — **ტრიკოტაჟ-ი**, ერთგვარი ქსოვილი, რომელშიც ძაფი მიდის არა სწორი ხაზით, არამედ ხლართით (მაგ. წინდები, თეთრეული და სხვ.).

**ტრილიონ-ი** (**ტრილლ**-), ათასი მილიარდი (საფრანგეთში) ან მილიონი ბილიონი.

**ტრილოგია**, შინაგნად დაკავშირებული სამი ლიტერატურული ნაწარმოები, უმთავრესად — დრამატული.

**ტრიმესტრ-ი**, „სამთვიური", სასწავლო წლის ერთი მეოთხედი უმაღლეს სასწავლებლებში.

**ტრიო**, სამი სხვადასხვა საკრავისათვის ან სამი ხმისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები.

**ტრიპერ-ი** (**ტრიპპ**-), სუსუნატი, იგივეა რაც გონორეა (ნ. ეს).

**ტრიუიზმ-ი**, ნ. ტრუიზმი.

**ტრიუკ-ი**, გასაოცარი, ჯამბაზური მოქმედება, ოინი.

**ტრიუმ-ი**, გემზე: სივრცე ფსკერასა და ქვეიდან პირველ გემბანს შორის.

**ტრიუმვირატ-ი**, ძველ რომში: სამთაკავშირი, სამთამმართველობა, — წარმოადგენდა სამი პირის შეთანხმებას ხელისუფლების განაწილების მიზნით.

**ტრიუმო**, კედლის მაღალი სარკე.

**ტრიუმფ-ი,** 1) ძველ რომში: ომში გამარჯვებული სარდლის საზეიმო შესვლა რომში; 2) გამარჯვების ზეიმი; გამარჯვება, აღფრთოვანება; 3) დიდი წარმატება.—**ტრიუმფალური,** ზეიმური, საზეიმო. — **ტრიუმფატორ-ი,** გამარჯვებული, ვისაც ზეიმს უმართავენ.

**ტრიქინ-ი,** ძაფისებრი ჭია,—ცოცხლობს უმთავრესად ღორის ხორცში; შეჰყვება ადამიანს, როცა ღორის ხორცი არაა კარგად შემწვარი (ან მოხარშული) და იწვევს **ტრიქინოზს** სახიფათო დაავადებას.

**ტროგლოდიტები** (მრავლ.), გამოქვაბულის მცხოვრებნი.

**ტროლეიბუსი** (**ტროლლ-**), ურელსო ტრამვაი, ელექტროენერგიით მოძრავი ავტომობილი.

**ტრომბოზ-ი,** სისხლძარღვებში სისხლის შედედება.

**ტრომბონ-ი,** თითბრის შთასაბერი საკრავი.

**ტროპ-ი, ტროპები,** სიტყვის ხმარება გადატანითი მნიშვნელობით,—წარმოადგენენ პოეტური მეტყველების სტილის ფორმებს; ასეთებია, მაგ. მეტაფორა, მეტონიმია, ალეგორია, ჰიპერბოლა და სხვ.

**ტროპიზმ-ი,** მიმართულების ცვლა მცენარის ორგანოების ზრდაში,—გამოწვეულია რაიმე გარემოს ზედმოქმედებით.

**ტროპიკები** (მრავლ.), ცის ეკვატორის პარალელური ორი წრე, რომლებიც დაშორებულია ეკვატორიდან $23^{1}/_{2}$ გრადუსით—ერთი ჩრდილოეთისკენ, მეორე — სამხრეთისკენ. — **ტროპიკული,** ცხელი, ხორშაკიანი.— **ტროპიკული ქვეყნები,** ტროპიკებს შუა მდებარე ქვეყნები—ცხელჰავიანი და მდიდარბუნებიანი.

**ტროს-ი** (**ტროსს-ი**), გვარლი, საგემო თოკი; მავთულის ბაგირი, იხმარება დიდ სიმძიმეთა ასაწევად.

**ტროტუარ-ი,** ქუჩის გასწვრივ გვერდითი საქვეითო ნაწილი (ორივე მხრივ),—მოფენილია ქვაფენილით ან ხეფენილით.

**ტროფეი,** ალაფი, ნადავლი, გამარჯვებულისმიერ დამარცხებულისაგან წართმეული ქონება.

**ტროცკიზმ-ი,** ერთგვარი მენშევიკური მიმდინარეობა, — დაკავშირებულია ლ. ტ р о ც კ ი ს სახელთან და წარმოადგენს ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ გაგებას საზოგადოებისას და კლასობრივი ბრძოლისას. ტროცკიზმისთვის დამახასიათებელია: უარყოფა გლეხობის რევოლუციური როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის დაყრდნობისა გლეხობა ძირითად მასაზე

უარყოფა სოციალიზმის ვან-
ხორციელების შესაძლებლობისა ერთ ქვეყანაში; გაუგებრობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებისა და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და სხვა, რამაც იგი აქცია თეორიულად და პრაქტიკულად კონტრრევოლუციურ მიმდინარეობად.—ტროცკისტ-ი, ტროცკიზმის მიმდევარი.

**ტრუბადურები** (მრავლ.), სამხრეთ საფრანგეთის (პროვანსის, ლანგედოკის და სხვ.) პოეტი-მომღერლები საშუალო საუკუნეებში.

**ტრუდოვიკები** (მრავლ.), რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია, რომელსაც მეთაურობდენ ნაროდნიკულად (ხალხოსნურად) განწყობილი ინტელიგენტები.

**ტრუვერები** (მრავლ.), ჩრდილო-საფრანგეთის პოეტები საშუალო საუკუნეებში.

**ტრუიზმ-ი**, საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება.

**ტუალეტ-ი** (-ტტ-ი), 1) ტანსაცმელი, მორთულობა, უმთავრესად—ქალისა; 2) სარკიანი და საკოსმეტიკო საგნებით მოწყობილი პატარა მაგიდა ქალისა (ნ. კოსმეტიკა).

**ტუბერკულინ-ი**, ტუბერკულოზის (ჭლექის) ბაცილებისაგან დამზადებული ნივთიერება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ჭლექის დამართებულობის დადგენა ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში (ე. ი. სჭირს თუ არა ჭლექი); ზოგიერთ შემთხვევაში ტუბერკულინით სწამლობენ ჭლექს.

**ტუბერკულოზ-ი**, ჭლექი: ადამიანის (და შინაური ცხოველების) ძვლების, ნაწლავების, კანის, ჯირკვლების და, განსაკუთრებით, ფილტვების ქრონიკული დაავადება.

**ტუბეროზა**, ერთგვარი სურნელოვანყვავილებიანი სადეკორაციო მცენარე (ნ. დეკორაცია).

**ტუზ-ი**, 1) ერთნიშნიანი უფროსი ქაღალდი ბანქოს თამაშობაში; 2) გავლენიანი პიროვნება.

**ტუნდრა**, ჩრდილო პოლუსის უტყეური მუდმივყინულოვან-ქვევნიადაგიანი ადგილები.

**ტუნელ-ი**, ნ. ტონელი.

**ტუჟურკა**, 1) ცალგვერდშესაკრავიანი საშინაო ფიჯაკი (ნ. ეს); 2) სამხედრო პირთა, სტუდენტთა (ძველად) და სხვ. ფორმის ტანსაცმელი.

**ტურბინ-ი**, ბრუნვითი მოძრაობიანი ძრავა, რომლისთვისაც გამოიყენება წყლის, ორთქლის ან აირის ძალა.

**ტურ-ი**, წრე, წრიული მოძრაობა, წრიულად შემოვლა.

**ტურიზმ-ი**, ორგანიზებული მოგზაურობა გართობისა, წვრთნისა და რითიმე საინტერესო ადგილების ნახვის მიზნით; საბჭოთა კავშირში ტურიზმს მიენიჭა დიდი მნიშვნელობა—ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გაცნობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩატარებისა, სამხარეთმცოდნეო მასალების შეგროვებისა, ამტანლობის განვითარებისა და სხვა მრავალი მხრით; მას ხელმძღვანელობს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოება („პტეს"). - **ტურისტ-ი**, გართობისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით მოგზაური; აგრეთვე — ტურიზმის მიზნების განხორციელების მონაწილე.

**ტურნე**, მუდმივი ადგილსამყოფელიდან სხვა ადგილების შემოვლა წინასწარ გათვალისწინებული თანამიმდევრობით, უმთავრესად — მსახიობთა დასისმიერ—წარმოდგენების დადგმის მიზნით.

**ტურნიკეტ-ი**, 1) სისხლდენის შემჩერებელი საქირურგიო იარაღი; 2) მასიურ დაწესებულებათა (თეატრის, რკინისგზის სადგურის და სხვ.) შესავალში დადგმული მოწყობილობა, რომელიც უშვებს შემსვლელებს თითოეულად.

**ტურნიკ-ი**, სატანვარჯიშო დადგმულობა, — წარმოადგენს ორ ბოძზე გარდიგამო დამაგრებულ ფოლადის ძელს.

**ტურნირ-ი**, 1) რაინდების საჯარო ასპარეზობა, შეჯიბრება საშუალო საუკუნეებში; 2) სასპორტო შეჯიბრება, მაგ. მოჭადრაკეთა (ნ. სპორტი).

**ტუფ-ი**, თირი: ერთგვარი ფოროვანი (სვრეტოვანი) მთის ქანი,— წარმოადგენს კარგ საშენებელ მასალას.

**ტუფლ-ი, ტუფლები**, 1) ფოსტლები, საშინაო მსუბუქი ფეხსაცმელი, 2) დაბალი (უყელო) ფეხსაცმელი — ვაჟის ან ქალის.

**ტუშე**, ფორტეპიანოს კლავიშებზე დარტყმის თავისებურობა, — ახასიათებს თითოეულ პიანისტს ბგერისათვის ამათუიმ ელფერის მიცემის მხრივ.

**ტუშ, ტუშ-ი**, სადღეგრძელოს წარმოთქმისას ან რაიმე მისალმებისას შესრულებული მოკლე მუსიკალური ნაწყვეტი.

**ტუშ-ი**, სახაზავ-სახატავი შავი აქვარელი (წყალფერადი).

# უ

**უვერტიურა, უვერტიურ-ი**, საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები, — წარმოადგენს უმთავრესად ოპერის შესავალ ნაწილს და ამჟღავნებს მის ძირითად მოტივებს.

**უზურპატორ-ი**, ხელისუფლების ან სხვა რაიმე უფლების უკანონოდ ძალით ან მოხერხებით ხელში ჩამგდები, მიმძლავრებელი.—**უზურპაცია**, სხვისი უფლების მითვისება, მიმძლავრება.—**უზურპირება**, **ვუზურპირობ**, უზურპაციას ჩავდივარ.

**უკრაინიზაცია**, უკრაინის სახელმწიფო დაწესებულებათა, სკოლის, სასამართლოსი და სხვ. გაეროვნულება, ე. ი. საქმის წარმოება, სკოლაში და სხვ. უკრაინული ენის ხმარების შემოღება.—**უკრაინიზირება**, **ვაუკრაინიზირებ**, უკრაინიზაციას ვატარებ.

**ულან-ი**, მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი (ძველ არმიაში).

**ულტიმატისტები** (მრავლ.), რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი მიმდინარეობა (1908 წლიდან),—უარყოფდა სახელმწიფო სათათბიროში სოც.-დემოკრ. ფრაქციის მუშაობის შესაძლებლობას; ბოლშევიკები ებრძოდენ ამ მიმდინარეობას, რომელიც სწყვეტდა პარტიას მასებისაგან.

**ულტიმატუმ-ი**, 1) უკანასკნელი გადამწყვეტი მოთხოვნილება, რომლის შეუსრულებლობა იწვევს შესაფერი ზომების მიღებას; 2) დიპლომატურ ურთიერთობაში: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ წაყენებული მოთხოვნილება — განხეთქილების (ან ომის) მუქარით.—**ულტიმატიური**, ულტიმატუმის ხასიათისა, საბოლოო, გადაწყვეტილი და სხვ.

**ულტრა-** [დაერთვის სიტყვას თავში და აღნიშნავს] „მეტისმეტი, უკიდურესი, ჭარბი“ და სხვა ასეთს.

**ულტრამარინ-ი**, კაშკაშა ცისფერი საღებავი,—იხმარება სამღებრო საქმეში, მხატვრობაში, ტექნიკაში.

**ულტრამიკროსკოპ-ი**, ჩვეულებრივი მიკროსკოპით უხილავ უმცირეს საგანთა გამომჩენი მიკროსკოპი.

**ულუს-ი**, 1) მონღოლური ან თურქული ტომების ადგილსამყოფელი; 2) ადმინისტრაციული ერთეული იაკუტიის ს. ს. რესპუბლიკაში.

უმბრა, რუხი ფერის საღებავი.

უნანიმიზმ-ი, ერთერთი მიმდინარეობა საფრანგეთის თანამედროვე ლიტერატურაში,—აღიარებს მსოფლიოს ჰარმონიულობას და მოითხოვს მასვე სოციალურ ურთიერთობაშიც: ამ თვალსაზრისით უნანიმისტები—უნანიმიზმის მიმდევრები—თავიანთ თხზულებებში ეხებიან საკითხებს კოლექტიურობისა და პიროვნულობის ურთიერთობისას; უნანიმიზმი წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიას კაპიტალისტურ საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გამწვავების პერიოდში.

უნია, ორი სახელმწიფოს ან ორი ეკლესიის (კათოლიკურისა და მართლმადიდებლურის) გაერთიანება ერთი ხელისუფლების (მონარქის, პაპის) სახით.— უნიატ-ი, გაერთიანებული ეკლესიის წევრი.

უნივერსალ-ი, უნივერსალები, 1) პოლონეთის მეფეების და უკრაინის ჰეტმანების საჯარო განკარგულებანი; 2) უკრაინის ცენტრალური რადის (ნ. რადა) დეკლარაციები (1917 წ.) უკრაინის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადებისა და ზოგიერთი „რადიკალური“ რეფორმის შემოღების შესახებ,—წარმოადგენდენ სინამდვილეში კონტრრევოლუციურ ღონისძიებებს.

უნივერსალიები (მრავლ.), გვართენობითი ცნებები სქოლასტიკურ ფილოსოფიაში, რომლებსაც მიეწერებოდა რეალობა საგანზე უწინარეს და თვით საგანში.

უნივერსალიზმ-ი, 1) ყოვლისმცოდნეობა; ასეთისადმი მისწრაფება; 2) საერთო საკაცობრიო ზნეობის აღიარება—ეროვნულისა და სარწმუნოებრივის დაპირისპირებით.

უნივერსალური, საყოველთაო, ზოგადი, ყოვლისშემცველი.—უნივერსალური მაღაზია, მრავალი სხვადასხვა საქონლის შემცველი დიდი მაღაზია.—უნივერსალური საშუალება, მრავალგვარი ავადმყოფობის წამლობაში გამოსადეგი წამალი.

უნივერსიტეტ-ი, უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტზე მიმდინარეობს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა მეცნიერების ყველა მთავარ დარგებში, ჩვეულებრივ—გარდა ტექნიკური დარგებისა. — უნივერსანტ-ი, უნივერსიტეტდამთავრებული პირი.

უნიკუმ-ი, ერთადერთი განუმეორებელი რამ ნივთი, მაგ. რომელიმე წიგნის ერთადერთი გადარჩენილი ცალი.—უნიკალური, ერთადერთი, იშვიათი, განუმეორებელი.

**უნიონიზმ-ი**, გაერთიანებულობა; ასეთისადმი მისწრაფება,—უპირისპირდება სეპარატიზმს.—**უნიონისტ-ი**, უნიონიზმის მომხრე.

**უნისონ-ი (უნისს-)**, თანაბგერობა, ხმაშეწყობილობა; ერთიდაიმავე სიმაღლის ხმების (ადამიანის ან საკრავის) თანაბგერობა.

**უნიტარიზმ-ი**, სახელმწიფო ორგანიზაციისა და ხელისუფლების ერთიანობაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი სისტემა,—უპირისპირდება ფედერალიზმს. —**უნიტარისტ-ი**, უნიტარიზმის მომხრე.

**უნიტარული**, მთლიანი, გაერთიანებული, ერთიანი.

**უნიფიკაცია**, გაერთიანება, განსხვავების მოშლა, გათანაბრება.—**უნიფიცირება**, ვაუნიფიცირებ, ვაერთიანებ, ვათანაბრებ.—**უნიფიცირებული**, გაერთიანებული, გათანაბრებული.

**უნტერ-ოფიცერ-ი**, სხვადასხვა თანამდებობის საჯარისკაცო წოდება (ბურჟუაზიულ არმიაში).

**უნც-ი, უნცია**, სააფთიაქო წონის ერთეული,—უდრის სააფთიაქო გირვანქის $^1/_{12}$ ნაწილს, დაახლოებ. 30 გრამს.

**ურბანიზაცია**, მცხოვრებთა და სამრეწველო საწარმოთა გამრავლებისა და თავმოყრის პროცესი დიდ ქალაქებში,—ახასიათებს კაპიტალიზმის ხანას და უპირისპირდება დეზურბანიზაციას (ნ. ეს).

**ურბანიზმ-ი**, 1) ქალაქურობა, ქალაქური ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები; 2) მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში,—ხასიათდება სამრეწველო და სავაჭრო დიდი ქალაქის ცხოვრების (ხმაური, აჩქარებული ტემპები, მოუსვენრობა) მხატვრულად გამოსახვით.

**ურემია**, ორგანიზმის მოწამვლა შარდის შეკვრის გამო.

**ურეტრა**, საშარდე მილი.—**ურეტრიტ-ი**, საშარდე მილის ანთება.

**ურნა**, 1) კრემატორიუმში დამწვარი გვამის, ფერფლის შესანახი ჭურჭელი; 2) საარჩევნო ბარათების ჩასაყრელი ყუთი—ე. წ. საიდუმლო ანუ დახურული კენჭისყრის დროს.

**უროლოგია**, მედიცინის დარგი,—იკვლევს საშარდე ორგანოების დაავადებებს.—**უროლოგ-ი**, უროლოგიის სპეციალისტი.

**უტილიზაცია**, გამოყენება.

**უტილიტარიზმ-ი**, 1) ზნეობრივ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმად ზნეობის ძირითადი მიზანია სარგებლიანობა როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი; 2) ყველაფერში სარგებლიანობის მაძიებლობა. —**უტილიტარისტ-ი**, 1) უტილი-

ტარიზმის მომხრე; 2) ყველაფერში სარგებლიანობის მაძიებელი.

**უტილიტარული,** სარგებლიანობითი; პრაქტიკულ-გამოყენებითი.

**უტოპია** („არსად არსებული"), 1) თ ო მ ა ს მ ო რ უ ს-ის რომანი, რომელშიც ავტორი იძლევა იდეალური საზოგადოებრივი წყობილების სურათს, როგორც მას ჰქონდა იგი წარმოდგენილი; 2) განუხორციელებელი ოცნება. — უტოპიური, ოცნებითი, საოცნებო, განუხორციელებელი.

**უტოპისტ-ი,** 1) მეოცნებე, განუხორციელებელი გეგმების შემქმნელი; 2) უტოპიური სოციალიზმის მომხრე.

**უტოპიური (ან უტოპისტური) სოციალიზმ-ი,** საერთო სახელწოდება ყველა იმ სოციალისტური სისტემებისა, რომლებიც წამოყენებულ იქნენ მარქსისტულ მეცნიერულ სოციალიზმამდე; უტოპისტური სოციალიზმის სისტემებიც სხვადასხვაა — იმის მიხედვით, თუ რომელი სოციალური ურთიერთობის ხაზში არიან ისინი წარმოშობილი.

**უტრირება,** გადამლაშება, გადაჭარბება რაიმეში, გაზვიადება. — ვაუტრირებ, ვამლაშებ, ვაზვიადებ.

# ფ

**ფაბლიო, ფაბლო,** საეროფაცეტიურები შინაარსის პატარა მოთხრობები საშუალო საუკუნეებში, — წარმოადგენენ მაშინდელი ბურჟ. ლიტერატურის ნიმუშს რეალისტური ხასიათისას.

**ფაბრიკა,** სამრეწველო დაწესებულება, რომელშიც წარმოების პროცესს ახასიათებს მანქანების გამოყენება და ამით განსაზღვრული დანაწილება შრომისა დაქირავებულ მუშათა შორის. — ფაბრიკანტ-ი, ფაბრიკის მესაკუთრე. — ფაბრიკატ-ი, ფაბრიკის დამთავრებული ნაწარმი.

**ფაბრიკაცია,** 1) ნაწარმის დამზადება ფაბრიკული წესით, დიდი რაოდენობით; 2) რაიმე ნაყალბის (საბუთების, ფულის ნიშნების და სხვ.) დამზადება.

**ფაბულა,** ლიტერატურული ნაწარმოების მოკლე შინაარსი.

**ფაგოტ-ი,** ხის შთასაბერი საშუსიკო საკრავი. — ფაგოტისტ-ი, ფაგოტზე დამკვრელი მუსიკოსი.

**ფაგოციტები** (ბერძ.), სისხლის თეთრი ბურთულები და აგრეთვე ზოგიერთი შემაერთებელ ქსოვილთა უჯრედი.—სპობენ სხეულში შემოჭრილ, ავადმყოფობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს (ნ. ეს).

**ფაგოციტოზ-ი**, ფაგოციტების უნარი—სხეულში შემოჭრილი მიკროორგანიზმების მოსპობისა.

**ფაეტონ-ი**, მსუბუქი, მოძრავსახურავიანი ეტლი.

**ფავორ-ი**, წარჩინებული გავლენიანი პირის კეთილგანწყობილება, — მფარველობა. — **ფავორიტ-ი**, გავლენიანი პირის კეთილგანწყობილებით მოსარგებლე ადამიანი (მამაკაცი).—**ფავორიტკა**, ფავორიტი ქალი (ზოგჯერ—საყვარელი. ხასა).—**ფავორიტიზმ-ი**, დაწინაურება ან რაიმე სხვა საქმის მოგვარება პირადი კეთილგანწყობილების საფუძველზე.

**ფაზა, ფაზის-ი**, ცალკეული მომენტი (საფეხური) რაიმე მოვლენის განვითარებაში—ფორმის ან მდგომარეობის ცვალებადობის მხრივ.

**ფაიფურ-ი, ფარფორ-ი**, 1) მაღალი ხარისხის თეთრი თიხა; 2) ასეთისაგან ნაკეთები ჭურჭლეულობა.

**ფაკირ-ი**, 1) დერვიში (ნ. ეს); 2) ინდოეთში: მათხოვრად მოარული განდეგილი. — ღახელოვნებულია სხვადასხვაგვარ ჯამბაზობაში.

**ფაკსიმილე**, ნ. ფაქსიმილე.

**ფაკტ-**, ნ. ფაქტ-.

**ფაკულტატიური**, არასავალდებულო, საკუთარ ნება-სურვილზე (არჩევანზე) დამოკიდებული (მაგ. არასავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებელში).

**ფაკულტეტ-ი**, უმაღლესი სასწავლებლის (უმეტესად—უნივერსიტეტის) თითოეული განყოფილება, რომელზედაც ისწავლება სამეცნიერო დარგების განსაზღვრული ციკლი (ნ. ეს).

**ფალოს-ი** (ფალლ-), მამაკაცის სასქესო ორგანო,—ასო.—**ფალოსის კულტ-ი**, სარწმუნოებრივი კულტი სასქესო ორგანოებისა (მამაკაცისა და დედაკაცის), როგორც ნაყოფიერების განსახიერებისა.—გავრცელებული იყო ძველ ხალხებში, კერძოდ—საქართველოშიც.

**ფალსიფიკაცია**, ყალბის გაკეთება, ნაყალბი.—**ფალსიფიკატ-ი**, ნაყალბი. — **ფალსიფიკატორ-ი**, ყალბის მკეთებელი.

**ფალცეტ-ი**, კრინი: მამაკაცის ხელოვნურად ამოღებული მაღალი (წვრილი) ხმა.

**ფამილარული**, შინაურული, მოურიდებელი, უბოდიშო, თავშეუზღუდველი (ურთიერთ დამოკიდებულებაში).

**ფანარ-ი**, შუშის კედლებიანი ბუდე, რომელშიც მოთავსებულია რაიმე სანათური (ლამპა ან სანთელი).

**ფანატიზმ-ი**, რაიმე იდეის ან რწმენის გატაცებითი მიმდევრობა, ბრმადმორწმუნეობა, რომელსაც თანსდევს სხვისი რწმენის აუტანლობა.—**ფანატიკ-ი**, **ფანატიკოს-ი**, ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანი.

**ფანერა**, **ფანერ-ი**, მაღალფასეული ხის (მუხის, კაკლის და სხვ.) თხელი ფიცარი,—იხმარება სადურგლო საქმეში დაბალფასეული ხისაგან ნაკეთობის სამოსად.

**ფანტაზია**, 1) წარმოსახვა, წარმოსახვის უნარი; 2) ოცნება, განუხორციელებელი რამ.—**ფანტაზიორ-ი**, მეოცნებე, ფანტაზიის ამყოლი ადამიანი.—**ფანტაზიური**, ფანტაზიის ხასიათისა, განუხორციელებელი.

**ფანტასმაგორია**, არეული ბოდვისებრი მოჩვენებითი სურათები.

**ფანტასტ-ი**, მოურჯულებელი ფანტაზიორი.—**ფანტასტური**, უცნაური, ფანტაზიით შექმნილი.

**ფანტ-ი**, ერთგვარი გასართობი თამაშობა, რომლის დროსაც შეცდომის დამშვებს დაედება რაიმე სახის ჯარიმა.

**ფანტომ-ი**, 1) მოჩვენება; 2) ადამიანის სხეულის ერთგვარი მოდელი (ნ.),—იხმარება მედიცინის სხვადასხვა დარგის (მეანობის, ქირურგიის და სხვ.) თვალსაჩინოდ შესწავლისათვის.

**ფარადა**, **ფარად-ი**, ელექტროტევადობის ერთეული.—**ფარადიზაცია**, წყვეტილი ელექტროდენით მკურნალობა,—გამოყენებულია როგორც ნერვული სისტემის გამღიზიანებელი საშუალება.

**ფარაონ-ი**, ძველ ეგვიპტელ მეფეთა წოდებულება.

**ფარვატერ-ი**, წყლის საკმაოდ ღრმა ადგილი, სადაც ნაოსნობა შესაძლებელია ყოველგვარ პირობებში,—აღინიშნება პირობითი სარყეებით.

**ფართინგ-ი**, ინგლისური წვრილი ფული, უდრის დაახლოებით 1 კაპ.

**ფართუკ-ი**, წინსაფარი.

**ფარინგიტ-ი**, ხახის ლორწოიანი გარსის მწვავე ქრონიკული ანთება.—**ფრანგოსკოპ-ი**, ხახის გამოსაკვლევი (ჩასახედი) იარაღი.

**ფარისეველი**, პირმოთნე, არაგულწრფელი ადამიანი.

**ფარმაკოგნოზია**, მეცნიერება სამკურნალო წამლების შესახებ,—იკვლევს მათ გარეგნობას, აგებულებას, ქიმიურ შედგენილობას, მათ წარმოშობას, თვისებებს და სხვ.

**ფარმაკოლოგია**, მეცნიერება სამკურნალო და შხამწამლველ ნივთიერებათა შესახებ – მათი მოქმედების მხრივ მცენარისა, ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმზე. — **ფარმაკოლოგ-ი**, ფარმაკოლოგიის სპეციალისტი.

**ფარმაკოპეია**, ოფიციალური სააფთიაქო და საფარმაცევტო წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილია და აღწერილი მედიცინაში ხმარებული სამკურნალო ნივთიერებები; თითქმის ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ფარმაკოპეია (საბჭოთა კავშირში ამჟამად მოქმედობს სახელმწიფო ფარმაკოპეიის მეშვიდე გამოცემა).

**ფარმაცევტ-ი**, სააფთიაქო საქმეში სპეციალური განათლების მქონე პირი.

**ფარმაცია**, გამოყენებითი მეცნიერება სამკურნალო წამლების შესახებ,—შეიცავს მრავალ დარგებს (ფარმაკოგნოზიას, წამლეულთა ფორმების ტექნოლოგიას, ფარმაცევტულ ქიმიას და სხვ.).

**ფარს-ი**, 1) მსუბუქი სათეატრო ნაწარმოები,—განვითარდა საშუალო საუკუნეებში საფრანგეთის ქალაქურ პირობებში; 2) სახუმარო და ხოგჯერ უწმაწური ხასიათის სათეატრო ნაწარმოები.

**ფარტინგ-ი**, ნ. ფართინგი.

**ფარტუკ-ი**, ნ. ფართუკი.

**ფარფორ-ი**, ნ. ფაიფური.

**ფარშ-ი**, სატენი, ნატენობა წვრილად დაკეპილი ხორცისა, მწვანილისა და სხვ.

**ფარშმაკ-ი**, ნ. ფორშმაკი.

**ფას!** ნ. პას-ი, პას!

**ფასად-ი**, შენობის წინაპირი, საშესავლო მხარე.

**ფასონ-ი**, 1) ნიმუში, ტანსაცმლის გამოყვანილობა, გამოჭრილობა; 2) საგნის გარეგნულობა.

**ფატა**, დედაკაცის თავპირის საბურავი, უმეტესად—გამჭვირვალე ქსოვილისაგან; პატარძლის თავმორთულობა.

**ფატალიზმ-ი**, რწმენა ბედისწერის წინასწარგანგებულებისა და ბედისწერის გადაულახაობისა,—წარმოადგენს საზოგადოების დაბეჩავებული ფენების გონებაგანწყობილების ანარეკლს სარწმუნოებრივ შეხედულებებში; ფატალისტურ რწმენას, ე. ი. ბედისწერის გარდაუვალობის რწმენას ეცლება ნიადაგი ბუნების ძალებზე ადამიანის დაუფლების გზით.—**ფატალისტ-ი**, ბედისწერის მორწმუნე ადამიანი.—**ფატალური**, საბედისწერო, გადაულახავი, გარდაუვალი.

**ფატუმ-ი**, ბედისწერა, იღბალი, წინასწარგანგებულება.

**ფაუნა**, ამათუიმ ადგილის (ქვეყნის, კუთხის, მხარის) ცხოველთა ერთობლიობა.

**ფაქსიმილე**, ხელნაწერისა ან ხელმოწერის ზუსტი პირი, ე. ი. გადაღებული ფოტოგრაფიულად ან სხვა რაიმე საშუალებით.

**ფაქტ-ი**, ნამდვილად მომხდარი ამბავი; დადგენილი მოვლენა; რასაც ნამდვილად ქონდა ადგილი.—**ფაქტიური**, ნამდვილი, ფაქტებზე დამყარებული, ფაქტებიდან გამომდინარე.

**ფაქტორ-ი**, 1) რაიმე მოვლენის ან პროცესის მამოძრავებელი ძალა; თითოეული ამ ძალთაგანი; 2) შუამავალი ვაჭრობაში; 3) ტექნიკური ნაწილის გამგე სტამბაში.

**ფაქტორია**, ევროპიელ ვაჭართა სავაჭრო ახალშენი კოლონიალურ ქვეყნებში. — წარმოადგენს ჩვეულებრივ ადგილობრივ მცხოვრთა ძარცვა-გლეჯის საშუალებას.

**ფაქტურა**, 1) სახვითს ხელოვნებაში: ხელოვნის მუშაობის ტექნიკური თავისებურობანი; 2) სია-ანგარიში, რომელიც ეგზავნება მყიდველს საქონელთან ერთად; მასში აღნიშნება გაგზავნილი საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, წონა და ღირებულება.

**ფაშა**, უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდებულება ოსმალეთში.

**ფაშიზმ-ი**, პოლიტიკური მოძრაობა კაპიტალისტურ მსოფლიოში,—წარმოადგენს კონტრრევოლუციის ერთერთ ფორმას — კაპიტალიზმის კრიზისისა და პროლეტარული რევოლუციის საშიშროების წინააღმდეგ გამწვავებული ბრძოლის პირობებში; პროლეტარული რევოლუციის წინდაწინვე ჩახშობისა და კაპიტალიზმის ხსნის მიზნით ფაშიზმი ადგენს ტერორისტულ რაზმებს პროლეტარიატის ავანგარდის (კომუნისტების) მოსასპობად. ფაშისტური დიქტატურის დროებითს სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენს წვრილბურჟუზიული და დეკლასირებული ფენები, აგრეთვე— სოციალ-დემოკრატიის ის პრივილეგიანი ნაწილი, რომლის მდგომარეობა დაკავშირებულია კაპიტალიზმის არსებობასთან. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში—ზოგში მეტად, ზოგში ნაკლებ—ადგილი აქვს ფაშიზაციას; განსაკუთრებით კი განვითარებულია იქ, სადაც მეტადაა შერყეული კაპიტალიზმის საფუძვლები (იტალიაში, გერმანიაში).—**ფაშისტ-ი**, ფაშიზმის მონაწილე და მისი მეთოდებით მოქმედი.—**ფაშიზაცია**, ფაშიზმის შემოტანა ამათუიმ ქვეყანაში, მუშათა კლასობრივი მოძრაობის ლეგალურობის აღკვეთა, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ტერორის

განოყენება და მრ. სხვ.—ფაშიზირება, ვაფაშიზირებ, ფაშიზაციას ვახდენ.

**ფედერალიზმ-ი,** 1) პოლიტიკური სისტემა, რომლის თანახმად საუკეთესო სახელმწიფოებრივ წყობილებად მიჩნეულია შინაგან მმართველობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულთა კავშირი; 2) წვრილბურჟუაზიული რადიკალური მიმდინარეობა, — აუცილებლად თვლიდა საზოგადოების გარდაქმნას ცალკეულ დამოუკიდებელ საწარმოო-სამომხმარებლო კომუნათა კავშირის საფუძველზე (ანარქისტების ფედერალიზმი); 3) კაპიტალისტური ქვეყნების სხვადასხვა სოციალური ფენების მოძრაობა ფედერაციული სახელმწიფოებრივი წყობილების შესაქმნელად; 4) საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხანაში: ჟირონდისტების (ნ.) პოლიტიკური მიმართულება (პარიზისა და პროვინციების ფედერაციის ლოზუნგი).

**ფედერალისტ-ი,** ფედერალიზმის მომხრე, ფედერალისტების პარტიის წევრი. — **ფედერალისტები,** საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პოლიტიკური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია,—მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას და რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ფედერაციულ საფუძველზე აგებას.

**ფედერატიული,** ნ. ფედერაცია, ფედერაციული.

**ფედერაცია,** საკავშირო სახელმწიფო: შინაგნად დამოუკიდებელ რამდენიმე სახელმწიფო გაერთიანება ერთი უზენაესი ცენტრალური ხელისუფლების სახით. ბურჟუაზიული ფედერაციის ნიმუშია ჩრდილოეთამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია და სხვ.; სოციალისტური ფედერაციისა— ერთადერთი საბჭოთა კავშირი.—**ფედერაციული,** ფედერაციის საფუძველზე აგებული.

**ფეიერვერკ-ი,** კაშკაშა თეთრი ან ფერადი სინათლის გამომცემი მასალა,—იხმარება სამხედრო საქმეში სანიშნებლად, საილუმინაციოდ და სხვ.

**ფელდიეგერ-ი,** სამხედრო შიკრიკი, მნიშვნელოვანი (და საიდუმლო) ქაღალდების დამტარებელი.

**ფელდმარშალ-ი,** უმაღლესი სამხედრო წოდებულება ზოგიერთ ბურჟუაზიულ არმიაში და რევოლუციამდე რუსეთში.

**ფელდფებელ-ი,** რევოლუციამდე რუსეთში: ჯარისკაცების (სალდათების) უშუალო უფროსი და ასეულის მეთაურის თანაშემწე.

**ფელდშერ-ი**, ნ. ფერშალი.

**ფელეტონ-ი**, სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, კრიტიკული ან სხვა ასეთი შინაარსის სტატია, მოთავსებული გაზეთის განსაზღვრულ ადგილას, ჩვეულებრივ—ქვედა ნახევარში. საბჭოთა პრესაში ფელეტონის შინაარსს წარმოადგენს მასური მკითხველისათვის დაწერილი საგაზეთო სტატია პოლიტიკური ან სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გასაშუქებლად.—**ფელეტონისტ-ი**, ფელეტონების მწერალი თანამშრომელი გაზეთისა.

**ფელუკა, ფელუგა**, იალქნიანი პატარა ხომალდი.

**ფემინიზმ-ი**, საზოგადოებრივი მოძრაობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში (მე-19-ე საუკ. დასასრულს) ქალის უფლებრივი გათანასწორებისათვის მამაკაცთან (ნ. სუფრაჟიზმი, რომელიც წარმოადგენს ფემინისტური მოძრაობის ერთერთ ფორმას).—**ფემინისტ-ი**, ფემინიზმის მომხრე.

**ფენაცეტინ-ი**, მედიცინაში: სიცხის დასაწევად და თავისტკივილის წინაალმდეგ ხმარებული წამალი ფხვნილის სახით.

**ფენიქს-ი**, მუდმივი განახლების განმასახიერებელი (ზღაპრული ფრინველი, რომელიც ძველი ეგვიპტური მითოლოგიით თავს დაიწვავდა ხოლმე, რათა კვლავ განახლებულიყო).

**ფენოლოგია**, მეცნიერება, რომელიც იკვლევს თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფება მცენარეულობისა და ცხოველების განვითარება მეტეოროლოგიურ პირობებთან.

**ფენომენალიზმ-ი**, ფილოსოფიური მიმართულება, — წარმოადგენს იდეალიზმის ერთერთ სახეობას, რომლის თანახმად ჩვენ შევიცნობთ მხოლოდ მოვლენებს (ფენომენებს) და არა ჭეშმარიტ რეალობას, რაც შემეცნებისათვის მიუწდომელია.

**ფენომენ-ი**, 1) ფილოსოფიაში: მოვლენა; შეგრძნებით მისაწვდომი მოვლენა; 2) უჩვეულო მოვლენა ან იშვიათი ადამიანი.—**ფენომენური** ან **ფენომენალური**, იშვიათი, უჩვეულო.

**ფენომენოლოგია**, 1) ფილოსოფიური მოძღვრება მოვლენათა შესახებ; 2) იდეალისტური ფილოსოფიური მიმართულება,—ისახავს მიზნად ცნობიერების უშუალო მონაცემთა (ფენომენების) ანალიზს და აღწერას.

**ფეოდალ-ი**, ფეოდის მფლობელი მსხვილი მემამულე, სენიორი (ნ. ფეოდი და სენიორი).—**ფეოდალური**, ფეოდალის დამახასიათებელი (ნ. ფეოდალიზმი).

**ფეოდალიზაცია,** ფეოდალიზმის განვითარების პროცესი.

**ფეოდალიზმ-ი,** სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება, რომელიც გაიარა თითქმის ყველა (ძველმა და ახალმა) ქვეყანამ, მაგრამ ყველაზე ტიპიურია დასავლეთ-ევროპის საშ. საუკუნეების ფეოდალიზმი,—ხასიათდება: 1) ეკონომიკაში—კარჩაკეტილი ნატურალური წვრილგლეხური მეურნეობით და წვრილხელოსნური წარმოებით: მსხვილი მემამულე, სენიორი, ითვისებს მწარმოებლის შრომას იძულებითაც; 2) სოციალურ-პოლიტიკურად —ცენტრალური ხელისუფლების დაუძლურებით და მსხვილ ფეოდალთა დამოუკიდებლობის გაძლიერებით და ვასალური ურთიერთობით (ნ. ვასალი).— **ფეოდალური,** ფეოდალიზმის ხასიათისა (ნ. ფეოდალი).

**ფეოდ-ი,** სენიორისმიერ ვასალისათვის გადაცემული მამული (მიწა) ან თანამდებობა განსაზღვრული პირობებით (ნ. სენიორი, ლენი).

**ფერმა,** 1) კაპიტალისტური ტიპის შედარებით პატარა სასოფლო მეურნეობა საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაზე; 2) სანიმუშო მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთან; 3) **ფერმები** (მრავლ.), სხვადასხვა ნაშენობათა (ხიდების, ნივნივების და სხვ.) ერთმანეთთან კვანძობრივ შეერთებული ნაწილები — ხისა ან ლითონის.— **ფერმერ-ი,** ფერმის მეპატრონე ან იჯარადარი.

**ფერმენტაცია,** ფუება-დუღილი (ნ. ფერმენტები).

**ფერმენტები** (მრავლ.), რთული ორგანიული ნივთიერებანი,— წარმოიქმნებიან ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმში და აჩქარებენ მასში ქიმიურ (ფერმენტულ) რეაქციას; აგრეთვე — იწვევენ ფუება - დუღილს, ხრწნას და ლპობას (ნ. ანტიფერმენტები).

**ფერმერ-ი,** ნ. ფერმა.

**ფერშალ-ი, ფელდშერ-ი,** უმცროსი სამედიცინო მუშაკი, ექიმის თანაშემწე, რომელმაც გაიარა საფერშლო სკოლა (რევოლუციამდე); საფერშლო სკოლები საბჭოთა კავშირში გადაკეთდა სამედიცინო ტექნიკუმებად და ფერშლებს მიეცათ შესაძლებლობა უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა.

**ფესკა, ფესურა,** წაკვეთილკონუსისებრი წითელი ქუდი,—იხმარება უმთავრესად ოსმალეთში.

**ფეტიშ-ი,** 1) რაიმე საგანი (ქვა, ხის ნაჭერი, რქა, იარაღი და სხვ.), რომელსაც მიეწერება ღვთაებრივი (სასწაულთმოქმედებრივი) ძალა და მიიჩნევენ

თაყვანისცემის საგნად (კერპად, ხატად და სხვ. ასეთად); 2) ბრმად თაყვანისცემის საგანი.— **ფეტიშიზმ-ი,** 1) ანიმიზმის (ნ. ეს) ერთერთი ფორმა,—წარმოადგენს რაიმე საგნისათვის ზებუნებრივი ძალის მიწერას და მის გაღმერთება-თაყვანისცემას; 2) ფსიქოპათოლოგიაში: სქესობრივი დაკმაყოფილება რაიმე საგანთან (თმასთან, ტანსაცმელთან და სხვ.) დაკავშირებით.

**ფეტრ-ი,** მატყლისაგან საგანგებოდ დამზადებული მაღალხარისხოვანი ქეჩა, – იხმარება საქუდე მასალად.

**ფიაკრ-ი,** დაქირავებული ეტლი.

**ფიასკო,** მარცხი.

**ფიბრა,** 1) ბოჭკო, ნერვი; 2) საგანგებოდ დამუშავებული და დაპრესული (ნ პრესი) ქაღალდის მასსა,—იხმარება როგორც საიზოლაციო მასალა (ნ. იზოლაცია).

**ფიბრინ-ი.** სისხლის ცილოვანი ნივთიერება.

**ფიბრომა,** კეთილთვისებიანი სიმსივნე შემაერთებელ ქსოვილში.

**ფიგლარ-ი,** მასხარა, უშნო ხუმარა, მანჭია.

**ფიგურა,** 1) გეომეტრიაში: შეკრული (მრუდი ან ტეხილი) ხაზით შემოფარგლული ნაწილი სიბრტყისა; 2) საგნის ან ადამიანის გარემოხაზულობა; 3) ბანქოს თამაშობაში: უფროსი კარტი; 4) მნიშვნელოვანი, შესამჩნევი პიროვნება; 5) მეტყველებაში: ხატოვანი თქმა; 6) ცეკვაში: რამდენიმე მოძრაობის მთლიანობა.—**ფიგურალური,** ხატოვანი.—**ფიგურანტ-ი,** 1) უსიტყვო როლის შემსრულებელი სცენაზე; მეორე ხარისხოვანი მოცეკვავე,—მონაწილეობს მხოლოდ ჯგუფურ ცეკვაში; 2) მხოლოდ საჩვენებლად წამოწეული, უმნიშვნელო პირი.

**ფიდეიზმ-ი,** მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად წმენა არის სინამდვილის შემეცნების საფუძველი.—**ფიდეისტ-ი,** ასეთი მსოფლმხედველობის მქონე „მეცნიერი".

**ფიზიატრია,** ნ. ფიზიოთერაპია.

**ფიზიკა,** საბუნებისმეტყველო მეცნიერება ბუნების მოვლენათა (სხეულთა) ზოგადი თვისებების შესახებ,—იკვლევს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული მატერიის მოძრაობის დაბალ ფორმებს.—**ფიზიკოს-ი,** ფიზიკის სპეციალისტი.—**ფიზიკური,** 1) ფიზიკის, როგორც მეცნიერების, დამახასიათებელი, მის შესახები და სხვ.; 2) მატერიალური, ნივთობრივი,—უპირისპირდება, მაგ. ფსიქიურს. — **ფიზიკური გეოგრაფია,** ხმელეთისა, წყლისა

და ჰაერის მოვლენათა მცოდნეობა,—წარმოადგენს ზოგადი მიწათმცოდნეობის ნაწილს.—**ფიზიკური კულტურა**, ნ. ფიზკულტურა.—**ფიზიკური ქიმია**, ქიმიის დარგი,—იკვლევს ურთიერთობას ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენათა შორის და დამოკიდებულებას ფიზიკურ სხეულთა თვისებებისა და მათი აგებულება-შედგენილობის შორის.

**ფიზიოგნომია, ფიზიოგნომიკა**, ადამიანის სახეთმცოდნეობა; მისი საგანია ადამიანის სახის გამომეტყველებითი მოძრაობების შესწავლა.

**ფიზიოთერაპია, ფიზიატრია**, მედიცინის ერთერთი დარგი,—იყენებს სამკურნალოდ ბუნების ძალებს (ჰავას, მზეს, ტალახს და სხვ.) უცვლელი სახით.

**ფიზიოკრატები** (მრავლ.), 18 საუკ. მეორე ნახევრის ფრანგი ეკონომისტები, რომელთა პოლიტიკურ ეკონომიური თეორიით მხოლოდ მიწათმოქმედება ჩაითვლება წარმოებრივ შრომად, ე. ი. რომ მხოლოდ იქ ქმნის ზედმეტ ღირებულებას, — მოითხოვდენ მიწათმოქმედების გაძლიერებას მრეწველობის ხარჯზე.

**ფიზიოლოგია**, მეცნიერება იმ მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ცოცხალ ორგანიზმში,—იყოფა მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიად, რომლისაგანაც გამოყოფილია როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება — ადამიანის ფიზიოლოგია.—**ფიზიოლოგ-ი**, ფიზიოლოგიის სპეციალისტი.— **ფიზიოლოგიური**, ფიზიოლოგიის ხასიათისა; რაც ფიზიოლოგიას შეეხება.

**ფიზიონომია**, 1) ადამიანის პირისახე, გამომეტყველება; 2) პიროვნების რწმენა ან შეხედულებანი ამათუიმ საკითხზე (მაგ. იტყვიან: პოლიტიკური ფიზიონომია, ზნეობრივი ფიზიონომია და სხვ.) —**ფიზიონომი(სტი)კა**, ნ. ფიზიოგნომია.—**ფიზიონომისტ-ი**, ფიზიოგნომიის მცოდნე.

**ფიზკულტურა**, ადამიანის სხეულის სხვადასხვა სახის ვარჯიში — მისი გაჯანსაღების, გაუმჯობესების, შრომითი და სათავდაცვო ჩვევების გასავითარებლად. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფიზკულტურა გამოყენებულია უმთავრესად სამხედრო მიზნებით და მასების ასარიდებლად პოლიტიკური ცხოვრებისაგან. ყოფილ რუსეთში ფიზკულტურა ვითარდებოდა სუსტად. საბჭოთა კავშირში მას მიეცა დიდი მნიშვნელობა მშრომელი მასების გაჯანსაღებისა, შრომისა და თავდაცვისათვის მომზადების საქმეში.

**ფითილ-ი**, პატრუქი (სანათურისა ან ასაფეთქებელი).

**ფიკს-**, ნ. ფიქს-.

**ფილანთროპია**, კაცთმოყვარეობა, ქველმოქმედება. — **ფილანთროპ-ი**, კაცთმოყვარე, ქველმოქმედი. — **ფილანთროპიული**, საკაცთმოყვარეო, საქველმოქმედო.

**ფილარმონია, ფილჰარმონია, ფილ(ჰ)არმონიული საზოგადოება**, მუსიკალური ხელოვნების გავრცელების მიზნით მომუშავე საზოგადოება.

**ფილატელია**, ყველა ქვეყნის საფოსტო მარკების კოლექციონირება (გროვება). — **ფილატელისტ-ი**, მარკების კოლექციონერი (მგროვებელი); ნ. კოლექცია.

**ფილდეკოს-ი**, აძახული ძაფი ეგვიპტური ბამბისაგან,—წააგავს აბრეშუმისას; მისაგან იქსოვება მაღალი ხარისხის ტრიკოტაჟი.

**ფილე, ფილეი**, საუკეთესო ხარისხის საქონლის ხორცი, ხერხემლის ანათალი.

**ფილიალ-ი**, დიდი დაწესებულების (საწარმოს) განყოფილება,—ექვემდებარება მთავარ დაწესებულებას.—**ფილიალური**, მთავარს დაქვემდებარებული.— **ფილიაცია**, დაქვემდებარებულობა.

**ფილიპიკა, ფილიპიკები** (ფილიპპ-), ცნობილი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული მრისხანე მამხილებელი სიტყვები (ასეთი იყო დემოსთენის სიტყვები ფილიპე მაკედონიელის წინააღმდეგ).

**ფილისტერ-ი**, გონებაშეზღუდული, დაწვრილმანებული ადამიანი.

**ფილმა, ფილმ-ი**, კინო-სურათი (ნ. კინო).—**ფილმოთეკა**, ფილმების შესანახი ადგილი, ფილმთსაცავი.

**ფილოგენია, ფილოგენეზის-ი**, მცენარეთა და ცხოველთა სახეობის განვითარების ისტორია,—ითვალისწინებს სხვადასხვა ბიოლოგიური ჯგუფების წარმოშობას ერთმანეთისაგან და ადგენს მათ ნათესაურ კავშირს (უპირისპირდება ონტოგენეზისს).

**ფილოკს-**, ნ. ფილოქს-.

**ფილოლოგია**, მეცნიერება კულტურულ ხალხთა ენისა და ლიტერატურის შესახებ.—**ფილოლოგ-ი**, ფილოლოგიის სპეციალისტი.

**ფილოსოფია**, მეცნიერება შემეცნებისა და მყოფობის საფუძვლების შესახებ,—იღებდა ისტორიულად სხვადასხვა სახეს და წარმოადგენდა ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის იდეოლოგიას. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია არის დიალექტიკა, დიალექტიკური მატერიალიზმი (ნ. ესენი).—**ფილოსოფოს-ი**, მოაზროვნე, ფილოსოფიის მცოდნე, ფილოსოფიურ-

რი სისტემის ავტორი —**ფილოსოფიური**, ფილოსოფიის ხასიათისა, მისგან გამომდინარე.

**ფილოქსერა** (ფილლ-), მცენარეულის მავნებელი ერთგვარი მწერი,—შემოვიდა ამერიკიდან ევროპაში, ხოლო შემდეგ ჩვენში (80-იან წლებში), სადაც დიდი ზიანი მოიტანა ვ ა ზ ი ს ფ ი ლ ო ქ ს ე რ ა მ.

**ფილტრ-ი**, 1) საწური; 2) სითხის გასაწური მასალა (ქვა, ქვიშა, ბამბა, ქაღალდი).—**ფილტრატ-ი**, ნაწური. — **ფილტრაცია**, გაწურვა.

**ფილჰარმონია**, ნ. ფილარმონია.

**ფიმოზ-ი**, ჩუჩის დავიწროება, რის გამოც თავზე გადაწევა მისი აღარ შეიძლება.

**ფინალ-ი**, 1) რაიმე ნაწარმოების (მუსიკალურის, სათეატროსი) ბოლო ნაწილი; 2) დაბოლოება. ბოლო, დასკვნა.

**ფინანსები** (მრავლ.), 1) ფულადი სახსრები; 2) რაიმე საქმის ან საწარმოს ფულადი მხარე (შემოსავალ-გასავალი, ვალი და სხვ.).—**ფინანსირება**, დაფინანსება, საბჭოთა კავშირში: ფულადი სახსრების მიზანშეწონილი განაწილება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის,—წარმოადგენს სახალხო მეურნეობის გეგმიანობის მთავარ ღერძს.—**ფინანსისტ-ი**, ფინანსების სპეციალისტი.

**ფინიშ-ი**, გასარბენი მანძილის უკანასკნელი ნაწილი, რომლის გარბენა სწყვეტს შეჯიბრებას.

**ფიორდ-ი**, ფიორდები, ზღვის ვიწრო და კლაკნილი უბეები, რომლებიც შეჭრილია ღრმად ხმელეთის კლდოვან ნაპირებში, მაგ. ნორვეგიისა.

**ფირმა**, რაიმე საწარმოს პირობითი სახელწოდება.

**ფისგარმონია, ფისჰარმონია, ფისარმონია**, პიანინოსებრი კლავიშებიანი საკრავი, რომელშიც ბგერები გამოიღება ჰაერის დაწოლით ლითონის ფირფიტებზე,—გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, ჩვენში უმთავრესად კათოლიკურ ეკლესიებში.

**ფისკალური**, სახაზინო, საგადასახადო.

**ფისტულა**, 1) მილისებრი ნახვრეტი კანიდან შინაგან ღრუმდე ორგანიზმში,—კეთდება რაიმე ავადმყოფობის შედეგად (ძვლის ტუბერკულოზისა, ოპერაციის შემდეგ და სხვ.) ან ხელოვნურად; 2) ფალცეტი (ნ. ეს).

**ფისჰარმონია**, ნ. ფისგარმონია.

**ფიტილ-ი**, ნ. ფითილი.

**ფიტოგეოგრაფია**, ბოტანიკის დარგი, — იკვლევს მცენარეთა განაწილების შესახებ დედამიწაზე.—**ფიტოპალეონტოლოგია** — იკვლევს გადაშენებულ მცენარეებს, შენახულ ნამარხის სახით.—**ფიტოპათოლოგია** — იკვლევს მცენარეთა დაავადებებს.

**ფიქსაჟ-ი**, 1) საფოტოგრაფიო საქმეში ხმარებული ხსნარი,—სწმენდს ფირფიტას და იცავს მას სინათლის ზემოქმედებისაგან; 2) ფანქრით ნახატის დასამაგრებელი გამჭვირვალე ხსნარი.

**ფიქსატუარ-ი**, თმაზე დასაყენებელი ერთგვარი პომადა.

**ფიქსაცია**, განსაზღვრულ მდგომარეობაში დაყენება, –დამაგრება; დადგენა.—**ფიქსირება**, **ვაფიქსირებ**, ვადგენ, მტკიცედ დავნიშნავ.—**ფიქსირებული**, დადგენილი, მტკიცედ დანიშნული (მაგ. ვადა).

**ფიქტიური**, ნ. ფიქცია, ფიქციური.

**ფიქცია**, 1) შეთხზული, მოგონილი რამ; 2) სინამდვილის შეუფერებელი დაშვება განზრახ—რაიმე განსაზღვრული მიზნით.—**ფიქციური**, ფიქციის ხასიათისა, მოსაჩვენარი, მოგონილი, სინამდვილის შეუფერებელი.

**ფიჯაკ-ი**, ნ. პიჯაკი.

**ფლაგ-ი** (**ფლაგგ-ი**), ბაირაღი; დროშა.—**ფლაგმან-ი**, სამხედრო გემების გაერთიანების უფროსი.—**ფლაგშტოკ-ი**, დროშის ასამართავი ძელი გემის ცხვირზე.

**ფლაკონ-ი**, შუშა, შუშის პატარა ჭურჭელი.

**ფლამინგო**, ყარყატისებრი, ვარდისფერ ღინღლიანი წყლის ფრინველი.

**ფლანგ-ი**, სამხედრო ჯარის წყობაში: ფრთა, გვერდითი ნაწილი.

**ფლანელ-ი** (**ფლანელლ-**), ოდნავ მოთელილი მატყლის ქსოვილი,—ხაოიანი ანუ უმისო.

**ფლეგმა**, 1) მოდუნებულობა, სიზანტე; 2) დუნე, ზანტი ადამიანი.—**ფლეგმატიკი**, **ფლეგმატიკური** ტემპერამენტის ადამიანი,—ხასიათდება სიზანტით, მოდუნებულობით; ამტანლობით, გულგრილობით და საერთოდ სუსტი რეაქციით (ნ. ეს).

**ფლეგმონა**, ჩირქიანი ანთება—კანქვეშა, კუნთებშორისი და სხვ.

**ფლეიტა**, სალამურისებრი ჩასაბერი საკრავი.—**ფლეიტისტ-ი**, ფლეიტის დამკვრელი.

**ფლერ-ი**, თხელი გამჭვირვალე ქსოვილი, ჩვეულებრივ—აბრეშუმისა.

**ფლექსია**, გრამატიკაში: 1) სიტყვათცვალება დაბოლოებების საშუალებით (კაც-ი, კაც-ის, კაც-მა და სხვ.) და გრამატიკული ბგერათცვალება ფუძისა (წყვეტს, წყვიტა; ჩეკს, ჩეკა და სხვ.); 2) ფლექსიას ეძახიან აგრეთვე თვით დაბოლოებებს (-ი, -ის, -მა; -ს, -ა).—**ფლექსიური ენები**, ისეთი ენები, რომლებიც გრამატიკულ ფორმებს

აწარმოებენ ფლექსიის საშუალებით (მაგ. რუსული, გერმანული, ნაწილობრივ ქართული და სხვ.).

**ფლექხორები** (მრავლ.), კიდურთა მომღუნველი კუნთები (მაგ. ორთავა კუნთი).

**ფლიგელ-ი**, 1) სახლის გვერდი მინაშენი; 2) პატარა შენობა დიდშენობიან ეზოში.

**ფლინტგლას-ი**, ოპტიკური იარაღების დამზადებაში ხმარებული მინა.

**ფლირტ-ი**, 1) მსუბუქი არშიყობა; 2) ერთგვარი თამაშობა.

**ფლიუგერ-ი**, ნ. ფლუგერი.

**ფლიუს-ი**, ნ. ფლუსი.

**ფლოგისტონ-ი**, „უწონარი სითხის" სახელი (ძველებური გაგებით); დღეს ამ ცნების აღსანიშნავად იხმარება „სითბოური ენერგია".

**ფლორა**, ამათუიმ ქვეყნის ან კუთხის მცენარეულობა.

**ფლორინ-ი**, 1) ძველი ფლორენციული ოქროსფული; 2) ფულის ერთეული ჰოლანდიაში, უდრის დაახლ. 78 კაპ.

**ფლოტი** (ფლოტტ-), ამათუიმ სახელმწიფოს საომარ ან სავაჭრო გემთა ერთობლიობა.— **ფლოტილია**, მომცრო გემების რაზმი.

**ფლუგერ-ი**, ლითონის ფირფიტა ანძის წვერზე,—უჩვენებს ქარის მიმართულებას.

**ფლუორესცენცია**, ზოგიერთ სხეულის თვითნათება—რაიმე განათების ზეგავლენით.

**ფლუს-ი**, ძვლისაზრდელას სიმსივნე დაავადებული, კბილის გამოისობით.

**ფობია**, ავადმყოფური აკვიატებული მშიშარობა.

**ფოიე**, სასეირნო ადგილი თეატრში ან საკონცერტო დარბაზთან.

**ფოკ-ი**, ქვედა იალქანი ხომალდის წინა ანძაზე.

**ფოკს-**, ნ. ფოქს-.

**ფოკუს-ი**, 1) ფიზიკაში: ანარეკლი ან გარდატეხილ სხივთა გარდაკვეთის წერტილი; 2) დახელოვნებული ადამიანის ისეთი რამ მოქმედება, რომელიც მაყურებელში იწვევს გაოცებას, ემყარება ხშირად ხელის სიმარდეზე და საგანგებო მოწყობილობის გამოყენებაზე, ხოლო ზოგჯერ მაყურებლის უვიცობაზე (მაგ. ზოგიერთ ფიზიკური ან ქიმიური მოვლენის უცოდინარობაზე).

**ფოლანტ-ი**, დიდი (ჩვეულებრივ—ნახევარფურცლისოდენა) ფორმატის წიგნი.

**ფოლკეთინგ-ი**, დანიის პარლამენტის ქვედა პალატა.

**ფოლკლორ-ი**, 1) ხალხურ თქმულებათა, ზღაპრების, ანდაზების, სიმღერების და მისთანათა

ერთობლიობა; 2) ანუ ფოლკლორისტიკა, ფოლკლორის შემსწავლელი მეცნიერება. — **ფოლკლორისტ-ი**, ფოლკლორის მკვლევარი მეცნიერი.

**ფონ.** [ნაწილაკი, რომელიც ემატება თავში აზნაურის გვარს გერმანიაში].

**ფონდ-ი,** 1) მიწის ფონდი — სახელმწიფოს ან ქალაქის განკარგულებაში მყოფი მიწა; 2) რისამე მარაგი, მაგ. პურისა, თესლეულისა; 3) თანხა, მაგ. სამრეწველო ფონდი, საბრუნავი ფონდი და სხვ.; 4) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები

**ფონ-ი,** 1) სურათის საერთო ფერი ანუ მისი ელფერი, — წარმოადგენს იმ ძირითად ფერს, რომელზედაც დახატულია სურათი: 2) გარემოცვა, გარემო პირობები.

**ფონეტიკა,** სამეტყველო ბგერების წარმოთქმისა, გაგონებისა და ცვალებადობის შემსწავლელი მეცნიერება. — **ფონეტიკოს-ი,** ფონეტიკის სპეციალისტი. — **ფონეტიკური,** ბგერითი, ფონეტიკის ხასიათისა.

**ფონოგრაფ-ი,** ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ყოველგვარი ბგერის (სიმღერის, მეტყველების...) ჩაწერა და ჩაწერილის წარმოხატვა.

**ფონოლოგია,** 1) იგივეა რაც ფონეტიკა ან 2) სამეტყველო ბგერების წარმოთქმისა და გაგონების შემსწავლელი მეცნიერება.

**ფორდიზმ-ი.** ამერიკელი ინჟინერ-მილიარდერის, ფ ო რ დ - ის, სისტემა წარმოების პროცესის კაპიტალისტური რაციონალიზაციისა, — მდგომარეობს წარმოების სტანდარტიზაციაში (ნ.), წარმოების პროცესის უწყვეტობაში, შრომის მაქსიმალურ დანაწილებაში, უაღრეს ავტომატიზაციაში და სხვ.

**ფორ-ი, ფორები,** სვრეტები, ნივთიერებაში არსებული პაწაწა ღრუები. — **ფოროვნობა,** სვრეტოვნობა.

**ფორმა,** 1) გარეგანი სახე, გარეგნობა, გარემოსახულობა; 2) გარეგნულობა, — უპირისპირდება შინაგნობას, შინაარსს; 3) დადგენილი წესი, ნიმუში; 4) რომელიმე უწყების თანამშრომელთა განსაზღვრული ტანსაცმელი; 5) ყალიბი — ჩამოსასხმელი ან სასტამბო; 6) გრამატიკაში: სიტყვებით გამოთქმულ ცნებათა ურთიერთობის ბგერითი გამოსახულება.

**ფორმალიზმ-ი,** 1) გარეგნულობის მიმდევრობა და შინაგნობის (შინაარსის, არსებითობის) უგულებელყოფა; დადგენილი წესების ფუჭად შესრულება;

2) იდეალისტური მიმართულება ლიტერატურათ- და ხელოვნებათმცოდნეობაში, — სწავლობს მხატვრულ ფორმას იდეურ შინაარსთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაუკავშირებლივ; 3) ენათმეცნიერებაში: გრამატიკული ფორმალიზმი, რომლის წარმომადგენლები იხილავენ სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმებს მნიშვნელობის გაუთვალისწინებლივ, მნიშვნელობასთან დაუკავშირებლივ. — ფორმალისტ-ი, ფორმალიზმის მიმდევარი, — დამცველი. — ფორმალობა, ფორმის დამცველობა; მხოლოდ ფორმისათვის შესასრულებელი მოქმედება, არსებითად ზედმეტი.—ფორმალური, გარეგნული, ფორმის ან ფორმალობის ხასიათისა,

ფორმალ-, ნ. ფორმა.

ფორმატ-ი, ზომა, სიდიდე, ჩვეულებრივ—წიგნისა.

ფორმაცია, ფორმაციები, 1) ამათუიმ ხანაში წარმოქმნილი გეოლოგიური ნაფენობანი; 2) საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაციები — საზოგადოების ფორმები (ანტიკური, ფეოდალური, კაპიტალისტური), რომელთაგან თითოეულს ახასიათებს თავისებური საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, თავისი კლასები და თავისებური ბრძოლა ამ კლასთა შორის, თავისებური წარმოება და თავისი იდეოლოგია.

ფორმულა, რაიმე ცნების, დებულების ან კანონის ზოგადი, მოკლე და ზუსტი გამოხატვა 1) სიტყვიერად ან 2) პირობითი ნიშნებით (მაგ. მათემატიკაში, ფიზიკაში და სხვ.).— ფორმულირება, ვაფორმულირებ, ვაძლევ ფორმულის სახეს. — ფორმულირებული, რასაც ფორმულის სახე მიეცა.

ფორმირება, ვაფორმირებ, ფორმას ვაძლევ, (შე)ვადგენ, ვკომპლექტავ (ნ. კომპლექტი).—ფორმირებული, ფორმამიღებული, შედგენილი, დაკომპლექტებული.

ფორმულარ-ი, სამსახურის სია, ე. ი. სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე პირის საბუთი, რომელშიც აღინიშნება ცნობები სამსახურის გავლის შესახებ (საბჭოთა კავშირში— შრომის სია).

ფორმულირება, ნ. ფორმულა.

ფორპოსტ-ი, 1) საბრძოლო უბნის გამაგრებული წინაპოზიცია; წინასაგუშაგო (ნ. ავანპოსტი); 2) სკოლის პიონერთა ორგანიზაცია.

ფორს-მაჟორ-ი, დაუძლეველი ძალა, ესე იგი მოვლენათა ისეთი დამთხვევა (უბედური შემთხვევა, სამხედრო მოქმედება და სხვ.)

რომლის გამო ესათვის პირი არღვევს კანონს ან ხელშეკრულებას.

**ფორტ-ი**, პატარა სიმაგრე—დამოუკიდებელი ან ციხეში.

**ფორტეპიანო**, კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, — გავრცელებულია ყველა საკრავზე მეტად როიალისა და პიანინოს სახით (ნ. კლავიში, როიალი, პიანინო).

**ფორტიფიკაცია**, სამხედრო მეცნიერების დარგი,—სწავლობს ადგილის გამაგრების საშუალებებს.

**ფორუმ-ი**, 1) ძველ რომაელთა საქალაქო მოედანი — სახალხო კრებებისა, სასამართლოს სხდომებისა და ბაზრობისათვის; 2) სამსჯავრო.

**ფორშმაკ-ი**, ქართოფილიანი და თევზიანი ხშულნახრაკი დაკეპილი ხორცი.

**ფოსფორესცენცია**, ზოგიერთ სხეულის თვითაათება.

**ფოსფორ-ი**, 1) ყვითელი ფოსფორი,—ინახება წყალში. ჰაერზე ენთება, შხამიანია, იხმარება ასაფეთქებელი ყუმბარების დამზადებაში; 2) წითელი ფოსფორი,—მიიღება ყვითელისაგან. უდნობარია, ჰაერზე არ ენთება, უშხამოა, იხმარება ასანთების წარმოებაში. არის ფოსფორის სხვა სახეებიც.

**ფოტოაპარატი**, საფოტოგრაფიო ხელსაწყო.

**ფოტოგრაფია**, 1) გამოსახულებათა გადაღების ხელოვნება შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე, — ემყარება სინათლის ქიმიურ მოქმედებაზე; 2) სურათების გადასაღები დაწესებულება.— **ფოტოგრაფ-ი**. სურათების გადამღები — **ფოტოგრაფიული**, ფოტოგრაფიის ხასიათისა, ნამდვილის მსგავსი; ფოტოგრაფით გადაღებული.

**ფოტოთერაპია**, ანუ შელიოთერაპია მზისა და ხელოვნური სინათლის გამოყენება პროფილაქტიკური მიზნებით (მედიცინაში).

**ფოტოლითოგრაფია**, ლითოგრაფიაში ფოტოგრაფიის გამოყენება.

**ფოტოპერიოდიზმ-ი**, მცენარეთა აყვავილებისა და განაყოფიერების დამოკიდებულება დღისა და ღამის ხანგრძლიობაზე (მაგ. ჭვავი, ცერცვი და ზოგიერთი სხვა ყვავილდებიან, ნაყოფიერდებიან უფრო ადრე გრძელი დღეების პირობებში, ხოლო სიმინდი, სოია, თამბაქო, ბამბა და ზოგიერთი სხვა— მოკლე დღის პირობებში).

**ფოტოსფერა**, მზის ხილული ბრწყინვალე ზედაპირი.

**ფოტოტექნიკა**, ფოტოგრაფიის გამოყენების სხვადასხვა საშუალება ბეჭდვის საქმეში—**ფოტოტექნიკური**, ფოტოტექნიკის ხასიათისა.

**ფოტოტიპია**, სურათების გამრავლების ერთგვარი ფოტოტექნიკური წესი მინის ფირფიტიდან.

**ფოტოტროპიზმ-ი**, ნ. ჰელიოტროპიზმი.

**ფოტოქიმია**, ფიზიკური ქიმიის ერთ-ერთი დარგი, — იკვლევს სინათლის მოქმედებით გამოწვეულ ქიმიურ პროცესებს.

**ფოქსტროტ-ი**, ერთგვარი ეროტიკული ხასიათის ცეკვა და შესაფერი მუსიკა.

**ფრაგმენტ-ი**, ნატეხი ან ნაწყვეტი, მაგ. ძველი ქანდაკებისა ან ლიტერატურული ნაწარმოებისა.

**ფრაზა**, 1) გრამატიკაში: ინტონაციურად (ე. ი. თხრობითი, კითხვითი ან ძახილითი ინტონაციით) დამთავრებული ნაკვეთი მეტყველებისა, — შესაძლოა წარმოადგენდეს წინადადებას, წინადადებათა შეერთებას და ცალკე სიტყვასაც; 2) მუსიკაში: რამოდენიმე მოტივისაგან შედგენილი დამთავრებული მუსიკალური აზრი. — **ფრაზეოლოგია**, 1) ამათუიმ სალიტერატურო ენის გამოთქმათა თავისებურობანი, — წარმოადგენს სტილისტიკის ნაწილს; 2) ფუჭი, უშინაარსო მჭერმეტყველება. — **ფრაზიორ-ი**, უშინაარსო მჭერმეტყველი.

**ფრაკ-ი**, წინიდან შეჭრილ- და უკან ვიწროკალთებიანი სერთუკი (ნ. ეს).

**ფრაკც**, ნ. ფრაქც.

**ფრანკ-ი**, ფრანგული და შვეიცარიული ფულის ერთეული, — უდრის 7½ კაპ. (ომამდე — 37½ კაპ.); ბელგიური ფრანკი უდრის დაახლ. 5 კაპ..

**ფრანკმასონობა**, ფარული რელიგიურ მისტიკური საზოგადოება მე-18-ე და მე-19 საუკუნეებში დასავლ. ევროპაში და რუსეთში; მასონები — ამ საზოგადოების წევრები — ქადაგობდენ ადამიანთა იდეალურ ძმობას და ზნეობრივ სრულყოფას, უარყოფდენ სარწმუნოებრივსა და ეროვნულ განსაკუთრებულობას, ებრძოდენ კლერიკალიზმს, — გადაიქცენ ბურჟუაზიის იარაღად ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

**ფრანკო**, უფასოდ, უსასყიდლოდ: იგულისხმება საქონლის საგადაგზავნო ხარჯების განსაზღვრული ნაწილის გადაუხდელობა მყიდველისმიერ, მაგალ.: ფ რ ა ნ კ ო-ტ ფ ი ლ ი ს ი ნიშნავს, რომ ტფილისამდე საგადაგზავნო ხარჯები გადახდილია გამყიდველისმიერ.

**ფრანტ-ი**, ცუკია, მორთულ-მოკაზმული ტანსაცმლის მოყვარული ადამიანი. — **ფრანტობა**, ვფრანტობ, ვცუკიაობ.

ფრაუ [ემატება წინიდან ქმრიანი ქალის სახელს და გვარს გერმანულ ქვეყნებში და ნიშნავს] ქალბატონი, ქალბატონო!

ფრაქტურა, ფრაქტურ-ი, 1) მედიცინაში: ძვლის გადატეხა; 2) გოთური შრიფტი (ნ.).

ფრაქცია, 1) ქიმიაში: ნაწილი (გამოხდისას); 2) პოლიტიკური პარტიის წევრთა ჯგუფი პარლამენტში; 3) პოლიტიკური პარტიის ნაწილი, რომელიც ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებში არ იზიარებს პარტიის საერთო ხაზს.—ფრაქციონერ-ი, ფრაქციის წევრი. — ფრაქციული, ფრაქციის დამახასიათებელი, ჯგუფური, პარტიის საერთო ხაზს ამცდარი.

ფრახტ-ი, 1) გემის ტვირთი; 2) საქონლის საგადასაზიდავო ფასი.

ფრეგატ-ი (-ტტ-ი), 1) სამანძიანი სამხედრო იალქნიანი ხომალდი; 2) ტროპიკული ზღვის დიდი ფრინველი.

ფრეზა, ფრეზ-ი, ლითონის ან ხის მასალის ზედაპირის მღარავი იარაღი.

ფრეზერ-ი, ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა.

ფრეიდ-, ნ. ფროიდ-.

ფრეილეინ, ნ. ფროილეინ.

ფრეილინა, არისტოკრატიული წარმოშობის მხლებელი ქალწული ხელმწიფის (მეფის ან მთავრის) ცოლთან ან მის ქალთან.

ფრენოლოგია, უკვე უარყოფილი თეორია ადამიანის ნიჭიერების შესახებ ადამიანის ქალის (თავისქალის) მოყვანილობასთან დაკავშირების შესახებ.

ფრესკა, კედლის ფერწერითი მხატვრობა.

ფრივოლური, მოურიდებელი, ქარაფშუტული, შეუფერებელი, თავაშვებული.

ფრიზ-ი, კოხძიდი — ანტაბლემენტის შუანაწილი (არქიტექტურაში).

ფრიტრედერობა, მე-18-ე და მე-19-ე საუკ. პირველ ნახევარში დასავლ. ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებით—ინგლისში) გავრცელებული შეხედულება, რომ სავაჭრო პოლიტიკის საუკეთესო სისტემა არის თავისუფალი ვაჭრობა, — წარმოადგენს ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის თეორიის ნაწილს; მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებამ დაუკარგა მას ყოველგვარი გავლენა (შეად. პროტექციონიზმი).

ფრიჰოლდერ-ი, წვრილი მიწათმფლობელი გლეხი ინგლისში.

ფროიდიზმ-ი, თანამედროვე ფსიქიატრ ფ რ ო ი დ - ის ფსიქოლოგიური და ფსიქოპათოლოგიური იდეალისტური თეორია, რომლის მიხედვით ადამიანის ცხოვრებაში უმთავრეს როლ

ასრულებს „არაცნობიერი“ და ადამიანის ქცევების მამოძრავებელია ბიოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილი მიზიდულებანი — თავდაცვისა და სქესობრივი ხასიათისა; ამ საფუძველზე ხსნის იგი საზოგადოებრივ მოვლენებსაც, მისი მეთოდია ფსიქოანალიზი (ნ. ეს). — **ფროიდისტ-ი**, ფროიდიზმის მიმდევარი.

**ფროილეინ** [ამ სიტყვით მიმართავენ ხოლმე გაუთხოვარ ქალს გერმანულ ქვეყნებში და ნიშნავს] ქალბატონო! ქალიშვილო!

**ფრონდა**, 1) აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა საფრანგეთში მე-17-ე საუკ. შუა წლებში; 2) ოპოზიციური უკმაყოფილება, დრტვინვა.

**ფრონტ-ი**, 1) საერთოდ, ომში ან ბრძოლის ველზე: საომარი წყობის პირი (წინა მხარე); 2) საბრძოლო უბანი; სამოქმედო ასპარეზი.

**ფრონტონი**, არქიტექტურაში: შუბლანი, ე. ი. სამკუთხა არე შენობის ორფერდა სახურავის ქვეშ.

**ფრუქტოზა, ფრუქტოზ-ი**, ტკბილ ხილეულსა და თაფლში შეცული შაქარი.

**ფსალმუნ-ი**, ძველ ებრაელთა რელიგიური ჰიმნი (საგალობელი); ფსალმუნთა კრებული ცნობილია დავით-ის სახელით, რომელიც მიეწერება ძველ ებრაელთა ზღაპრულ მეფე დავითს.

**ფსევდო-** [ემატება სიტყვას თავში და ნიშნავს] არა ნამდვილი, ცრუ.

**ფსევდო-კლასიციზმ-ი** (ნ. კლასიციზმი), ლიტერატურული მიმართულება 17—18 საუკუნეებში (განსაკუთრებით — საფრანგეთში), — გამოიხატებოდა ანტიკურ (ძველ ბერძნულ და რომაულ) მწერლობასთან კავშირში როგორც ფორმით, ისე შინაარსით და ასახავდა მონარქიული საზოგადოების მაღალ კლასთა გემოვნებას.

**ფსევდონიმ-ი**, გამოგონილი სახელი (ან გვარი) უმთავრესად — მწერლისა ან მსახიობისა (მაგ. ია — ილიას ნაცვლად, ნინოშვილი — ინგოროყვას ნაცვლად).

**ფსიქასთენია**, სულიერი დაავადება, ხასიათდება აკვიატებული გრძნობებით (მაგ. მშიშარობით) მერყეობით და სხვ.

**ფსიქიატრია**, მედიცინის დარგი, — სწავლობს სულიერ დაავადებებს და მათ მკურნალობას. **ფსიქიატრი**, ფსიქიატრიის სპეციალისტი ექიმი.

**ფსიქიკა**, ფსიქოლოგიაში: ადამიანის (და ცხოველის) შინაგან

განცდათა, სულიერ მდგომარეობათა (სიხარულისა, წყურვილისა, ნაღვლიანობისა, ტკივილისა და მრავალ სხვათა) ერთობლიობა. — ფსიქიური, ფსიქიკური, სულიერი, რაც განცდებს შეეხება.

**ფსიქოანალიზ-ი,** არაცნობიერის კვლევის ფსიქოლოგიური მეთოდი, აგრეთვე — ფსიქოთერაპიისა (ნ. ეს და ფროიდიზმი).

**ფსიქოზები** (მრავლ.), ფსიქიკური (სულიერი) აშლილობანი, — გამოიხატებიან ცნობიერების აშლილობაში, ბოდვაში, არეულ ლაპარაკში, თვითმკვლელობის განზრახვაში და სხვ.

**ფსიქოთერაპია,** მკურნალობა ფსიქიკური ზემოქმედებით (შთაგონებით, ჰიპნოტიზმით, ფსიქოანალიზით და სხვ.).

**ფსიქოლოგია,** მეცნიერება ადამიანის (და ცხოველის) ფსიქიკური (სულიერი) ცხოვრების შესახებ, — ემყარება ორგანიზმის ტვინისა და ნერვული მოქმედების შესწავლაზე. **ფსიქოლოგ-ი,** ფსიქოლოგიის სპეციალისტი.

**ფსიქოპათ-ი,** სულიერი აშლილობის ნიშნების მქონე ადამიანი, ნერვებ-აშლილი.

**ფსიქოპათოლოგია,** მედიცინის დარგი, — სწავლობს ტვინისა და ნერვული მოქმედების არანორმალურობას.

**ფსიქოტექნიკა,** გამოყენებითი ფსიქოლოგია, მეცნიერება ფსიქოლოგიური მეთოდების და ფსიქოლოგიის გამოყენების შესახებ პრაქტიკაში (მაგ. პროფესიული ვარგისობის გამორკვევაში).

**ფსიქოფიზიკა,** ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დარგი, — იკვლევს თანაფარდებას გაღიზიანების სიდიდესა და შეგრძნების სიძლიერეს შორის.

**ფსიქოფიზიოლოგია,** ფსიქოლოგიის დარგი, — იკვლევს კავშირს ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს შორის.

**ფუგა,** ორი (ან მეტი) ხმისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები, რომლის შესრულებისას თემა მეორდება სხვადასხვა ხმებით.

**ფუგას-ი,** მიწაში ჩაფლული ნაღმი, — აფეთქდება მტრის გავლისას ამ ადგილზე.

**ფუზილერები** (მრავლ.), საფრანგეთის ჯარში: ძველად — მეთოფე ჯარისკაცები; ახლა — ტყვიამფრქვევის მომსახურებელი ჯარი კაცები.

**ფუკს-,** ნ. ფუქს-.

**ფულარ-ი,** თხელი და რბილი აბრეშუმის ქსოვილი.

**ფუნდამენტალური,** ძირითადი, საფუძვლიანი.

**ფუნიკულიორ-ი,** ფუნიკულერ-ი, სამთო (საალმართ-დაღმართო)

რკინისგზა (საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო დიდია ტფილისის ფუნიკულერი).

**ფუნქცია**, 1) მათემატიკაში: ცვალებადი სიდიდე, რომელიც იცვლება სხვა ცვალებადი სიდიდის ცვალებისაგან დამოკიდებით; 2) ფიზიოლოგიაში: ორგანოების მოქმედება; 3) მოვალეობის, დანიშნულების ან თანამდებობის შესრულება; დანიშნულება. — **ფუნქციონირება**, **ვფუნქციონირობ**, ვმოქმედობ, ვასრულებ მოვალეობას და სხვ.

**ფუნქციონალური**, ფუნქციის ხასიათისა, ფუნქციის შეაბები.

**ფუნქციონერი**, რაიმე ფუნქციის შემსრულებელი დაწესებულებაში.

**ფუნქციონირობა**, ნ. ფუნქცია.

**ფურაჟ-ი**, ცხენების ხმელი საკვები; საერთოდ საქონლის საკვები. — **ფურაჟირ-ი**, მესაკვებე.

**ფურგონ-ი**, სატვირთო გადახურული ეტლი.

**ფურორ-ი**, დიდი წარმატება, ძლიერი შთაბეჭდილება.

**ფურუნკულ-ი**, კანის ჩირქიანი ანთება (ნ. კარბუნკული).

**ფუტბოლ-ი**, ფეხბურთი: ერთგვარი სასპორტო თამაში დიდი ბურთით, რომლის სროლა ნება დართულია მხოლოდ ფეხით. — **ფუტბოლისტ-ი**, მეფუტბოლე.

**ფუტ-ი**, სიგრძის საზომი ერთეული (უდრის დაახლოებით: რუსული და ინგლისური — $30^1/_2$ სანტიმეტრს, ავსტრიული $31^1/_2$ სანტიმეტრს და სხვ.).

**ფუტლარ-ი**, ბუდე: რაიმე ძვირფასი ან ადვილად გასატეხი ნივთის შესანახი კოლოფი.

**ფუტურიზმ-ი**, მხატვრული მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურაში, — წარმოიშვა მე-20-ე საუკ. დასაწყისში (იტალიაში) და ხასიათდება წვრილბურჟუაზიული ოპოზიციური დამოკიდებულებით ძველი ლიტერატურული ფორმებისა და ბურჟუაზიული კულტურის მიმართ. საბჭოთა კავშირში მას თანდათან ეკარგება გავლენა პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გამო. — **ფუტურისტ-ი**, ფუტურიზმის მიმდევარი ხელოვნებაში და მწერლობაში.

**ფუფაიკა**, ზედატანის მოკლე სათბური.

**ფუქს-ი**, 1) გერმანიაში: სტუდენტთა კორპორაციის არასრულუფლებიანი წევრი, პირველი კურსის სტუდენტი; 2) ბილიარდში: შემთხვევით აღებული ბირთვი; 3) შეპარვით (ფასგადაუხდელად, შეუმჩნევლად) შესვლა.

# ქ

**ქამელეონ-ი,** 1) ხვლიკისებური ქვეწარმავალი,—იცვლის ფერს გარემოს ფერის ზეგავლენით, გაღიზიანებისას და სხვ., 2) უპრინციპო ადამიანი, რომელიც იცვლის შეხედულებებს პირობებთან შეგუებით.

**ქამიტები** (მრავლ.), ქამიტურ (ძველ ეგვიპტურ, კოპტურ. ბერბერულ, კუშიტურ და აბაშურ) ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

**ქაოს-ი,** 1) ძველ ბერძნ. მითოლოგიით: სიცარიელე, რომლისაგანაც წარმოიქმნა სამყარო; 2) უწესრიგობა, არეულ-დარეულობა. — **ქაოტიური, ქაოსური,** უწესრიგო, არეულ-დარეული.

**ქარავან-ი,** 1) აზიისა და აფრიკის ველებსა და უდაბნოებში ერთობლივ მოგზაურ ვაჭართა საქონლით დატვირთული აქლემების ან ურმების წყება; 2) მდინარის ქარავანი — დატვირთული ზედიზედ მიმავალი ნავები.

**ქარავან-სარაი, ქარვასლა,** ქარავნების სადგომი საწყობებითურთ.

**ქარაკირი,** ნ. **ხარაკირი.**

**ქარიბდა,** ნ. **სცილა და ქარიბდა.**

**ქარტა,** ნ. **კარტა.**

**ქარტია,** ნ. **ხარტია.**

**ქეტები** (მრავლ.), მცირე აზიაში 3000-ზე მეტი წლის წინათ მოსახლე ხალხის სახელწოდება.—**ქეტური** ენა, ქეტების ენა.

**ქვადრიგა,** ოთხცხენშებმული ეტლი (ძველ რომში).

**ქვაზი-,** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „ვითომ", „ცრუ" და სხვ. ასეთს, მაგ.: ქვაზიმეცნიერი.

**ქვალიტეტ-ი,** საგნის ან მოვლენის თვისებრიობა,—რომელობა.—ამათუიმ თვისების მატარებლობა. — **ქვალიტატიური,** თვისებრიობითი; რომელობითი.

**ქვანტ-ი.** 1) ამათუიმ ფიზიკური სიდიდის უმცირესი რაოდენობა, რომელსაც შეუძლია იარსებოს ბუნებაში დამოუკიდებლივ; 2) სხივური ენერგიის უმცირესი რაოდენობა, რომელიც გამოიშვება ერთი ატომისმიერ ერთჟამიერად — ელექტრომაგნეტური ტალღის სახით.

**ქვანტიტეტ-ი,** რაოდენობა, რიცხვობრიობა. — **ქვანტიტატიური,** რაოდენობითი, რიცხვობრიობითი.

**ქვარტეტ-ი,** 1) ოთხი ხმისათვის (ან ოთხი საკრავისათვის) და-

წერილი მუსიკალური ნაწარმოები; 2) ოთხი საკრავის (მათგან—ორი ვიოლინოსი, ერთი ალტისა და ერთი ვიოლონჩელის) გუნდი.

**ქვარც-ი**, ერთგვარი მინერალი,—იხმარება შუშის წარმოებაში.

**ქვატერნ-ი**, ლოტოს თამაშში: ოთხი ზედიზედ გამოსული ნომერი ერთ ხაზზე.

**ქვესტორ-ი**, 1) ხაზინის გამგე პირი ძველ რომში; 2) სამნეო ნაწილის გამგე გერმანიის უნივერსიტეტებში და საფრანგეთის პარლამენტში.

**ქვიეტიზმ-ი**, 1) რელიგიური მიმართულება კათოლიკობაში (17 საუკ.),—მოითხოვა ღვთისადმი უსაზღვრო მორჩილებას; 2) უმოქმედობა, გულგრილობა ცხოვრების მოვლენებისადმი.

**ქვინტალ-ი**, ტონის მეათედი ნაწილი (ნ. ტონა).

**ქვინტეტ-ი**, 1) ხუთი ხმისათვის (ან ხუთი საკრავისათვის) დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები; 2) ხუთი შემსრულებლის მუსიკალური გუნდი.

**ქვინტ-ესენცია** (-ესსენცია), 1) „მეხუთე სტიქიონი" ძველი ბერძნული ფილოსოფიით; 2) რაიმე საგნის ან მოვლენის ძირითადი არსობითი ნაწილი.

**ქვირიტები** (მრავლ.), ძველი რომის მოქალაქენი.

**ქვორუმ-ი**, რაიმე კრების დამსწრეთა დადგენილი რაოდენობა, ურომლისოდ კრების გადაწყვეტილება კანონიერი არ არის.

**ქილიაზმ-ი**, მოძღვრება ქრისტეს მეორედმოსვლისა და მისი „ათასწლოვანი" მეუფების შესახებ ამქვეყნად,— გავრცელებული იყო უძველეს ქრისტიანობაში და შემდეგაც თავს იჩენდა 17 საუკუნემდე; წარმოადგენდა დაჩაგრული ხალხის იმედს საწაულებრივი ხსნისას სოციალური ჩაგვრისაგან.

**ქიმერა**, 1) ძვ. ბერძნული მითოლოგიით: ლომთავიანი, თხისტანიანი და გველისკუდიანი ურჩხული: 2) განუხორციელებელი ოცნება, 3) ერთგვარი თევზი.

**ქიმია**, მეცნიერება ერთგვაროვნულ ნივთიერებათა აგებულებისა, შედგენილობისა და გარდაქმნის შესახებ.—**ქიმიკოს-ი**, ქიმიის სპეციალისტი.—**ქიმიური**, ქიმიის ხასიათისა, მისგან გამომდინარე და სხვ.

**ქიმიზაცია** სახალხო მეურნეობისა, ქიმიის მიღწევების გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში; ნივთიერების მექანიკური გადამუშავების გადაყვანა ქიმიურ გადამუშავებაზე კერძოდ: ქიმიური საშუალებების გამოყენება მცენარეთა მავნებლების

წინააღმდეგ, მინერალური სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ქიმიური მეთოდების შეტანა წარმოებაში სხვადასხვა დარგში და სხვა ასეთი.

**ქიმიოთერაპია,** გადამდებ სნეულებათა მკურნალობა ქიმიური საშუალებებით.

**ქინაქინ-ი,** მალარიის (ციების) საწინააღმდეგო საშუალება.— წარმოადგენს ქინაქინის ხის ქერქის შემადგენელ ნაწილს.

**ქირომანტია,** მკითხაობა ხელისგულის ხაზების მიხედვით,— წარმოადგენს ცრურწმენის ერთერთ გამოვლინებას.

**ქირურგია,** დოსტაქრობა: მედიცინის დარგი,—იკვლევს და მიმართავს მკურნალობაში უმთავრესად ოპერაციულ საშუალებებს.—**ქირურგ-ი,** დოსტაქარი, ქირურგიის სპეციალისტი.

**ქიტონ-ი,** სხვადასხვა ფორმის პერანგი ძველ საბერძნეთში.

**ქლამიდა, ქლამიდ-ი,** ძველბერძნული მატყლის წამოსასხამი.

**ქლორალ-ი,** უფერული ზეთოვანი მწვავესუნიანი სითხე. — **ქლორალ-ჰიდრატ-ი,** გამჭვირვალე უფერული მწვავესუნიანი კრისტალები.—იხმარება მედიცინაში როგორც დასაძინებელი საშუალება.

**ქლორ-ი,** მომწვანო-ყვითელი მწვავესუნიანი აირი,—იხმარება მედიცინაში და ტექნიკაში მრავალგვარად: წამლებში, სადეზინფექციოდ, საღებავების დამზადებაში და სხვა.

**ქლოროზ-ი,** გვიმი: 1) ერთგვარი დაავადება, უმთავრესად—ახალგაზრდა ქალისა, გამოიხატება სისუსტეში, გულისცემაში და ნერვულ სიმპტომებში; 2) ერთგვარი დაავადება (გაყვითლება) მცენარისა.

**ქლოროფილ-ი (-ლლ-ი),** მცენარის მწვანე პიგმენტი (ნ. ეს).

**ქლოროფორმ-ი,** უფერული გამჭვირვალე მკვეთრსუნიანი სითხე, – იხმარება მედიცინაში როგორც დასაძინებელი საშუალება.

**ქოანები (მრავლ.),** ცხვირისღრუს ცხვირხახასთან შემაერთებელი ხვრელები.

**ქოლერა,** მწვავე გადამდები სნეულება,—გამოიხატება ტემპერატურის აწევაში, მუცლით და პირით საქმობაში და კრუნჩხვაში.

**ქოლერიკ-ი, ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანი,—**ხასიათდება სიფიცხით, ადვილაღძვრადობით, ენერგიულობით და სხვა ასეთით.

**ქორალ-ი,** საეკლესიო გუნდის გალობა კათოლიკურ და პროტესტანტურ ეკლესიებში.

**ქორდა,** რომელიმე მრუდის ორი წერტილის შემაერთებელი ნაკვეთი წრფისა (სწორი ხაზისა).

**ქორეი**, ლექსთწყობაში: ორმარცვლიანი მეტრი, რომლის პირველი მარცვალი გრძელია (ან მახვილიანი), ხოლო მეორე— მოკლე (ან უმახვილო).

**ქორეოგრაფია**, საბალეტო ხელოვნება, ცეკვათხელოვნება.

**ქრესტომატია**, ნ. ქრისტომათია.

**ქრიზანთემა, ქრიზანთემ-ი**, სხვადასხვა ფერის ყვავილებიანი სადეკორაციო მცენარე.

**ქრიზოლით-ი**, ერთგვარი მომწვანო ძვირფასი ქვა.

**ქრისტიან-ი**, ქრისტიანობის მიმდევარი.—**ქრისტიანობა**, ერთ-ერთი ძლიერ გავრცელებული რელიგია, რომლის დაარსება მიეწერება ზღაპრულ პიროვნებას, ქ რ ი ს ტ ე ს,—იყოფა რამდენიმე სარწმუნოებად (კათოლიკობა, მართლმადიდებლობა, პროტესტანტობა და სხვ.).

**ქრისტომათია**, ამათუიმ სასწავლო საგნის დამხმარე სახელმძღვანელო წიგნი, შეიცავს განსაზღვრული თანამიმდევრობით შეკრებილ მასალას საუკეთესო ნაწყვეტების (ზოგჯერ—მთლიანი) სახით.

**ქრომ-ი**, 1) რუხი მყიფე-მაგარი ლითონი,—იხმარება შენადნობებში; 2) ერთგვარი რბილი ტყავი, რომლისაგანაც იკერება ფეხსაცმელი.

**ქრომოსფერა**, მზის ატმოსფეროს გარეთენი,—ჩანს მზისდაბნელებისას წითელი არშიის სახით მზის კიდეზე.

**ქრონიკა**, 1) ამბების (ისტორიული ფაქტების) აღნუსხვა თარიღების აღნიშვნით,—წარმოადგენს ისტორიის განვითარების პირვანდელ საფეხურს; 2) პერიოდული გამოცემების (გაზეთის, ჟურნალის) განყოფილება, სადაც მოცემულია ახალი ამბები ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან.

**ქრონიკიორ-ი, ქრონიკერ-ი**, საგაზეთო (ან საჟურნალო) ქრონიკის (ნ.) მასალის მიმწოდებელი.

**ქრონიკული**, ხანგრძლივი, განუკურნებელი.

**ქრონოგრაფ-ი, ქრონოსკოპ-ი**, დროის მცირე ხანგრძლიობის (მაგ. წამის $^1/_{100}$, $^1/_{1000}$-ის და სხვ.) ჩამწერი ხელსაწყო.

**ქრონოლოგია**, 1) ისტორიული ამბებისა და პროცესების დადგენა,—წარმოადგენს ისტორიის დამხმარე საშუალებას; 2) ისტორიული ამბების ან ბუნებრივი მოვლენების აღნუსხვა თარიღის ჩვენებით.—**ქრონოლოგიური**, თანამიმდევრობითი დროის მიხედვით.

**ქრონომეტრაჟ-ი**, შრომის ცალკეული პროცესის გაზომვა ქრონომეტრით; მისი მიზანია შრომის პროცესების მიზანშეწონილობის დადგენა.

**ქრონომეტრ-ი,** ზუსტმექანიზმიანი საათი, რომლის სვლაზე უმნიშვნელოდ მცირე გავლენა აქვს გარემოს პირობებს (მაგ. ტემპერატურის ცვლილებას და სხვ.).

**ქრონოსკოპ-ი,** ნ. ქრონოგრაფი.

**ქსანტოფილ-ი** (-ლლ-ი), მცენარეთა ერთერთი ყვითელ პიგმენტთაგანი (ნ. პიგმენტი).

**ქსენონ-ი,** საავადმყოფო, უმთავრესად—სამხედრო.

**ქსენოფობია,** შიში ან სიძულვილი უცხოელებისადმი.

**ქსენძ-ი,** კათოლიკების მღვდლის სახელი პოლონეთში.

**ქსეროფიტები** (მრავლ.), ურწყულ ადგილს (უდაბნოს, ქვიშას, კლდეს...) შეგუებული მცენარეები.

**ქსეროფორმ-ი,** მოყვითანო, თითქმის უსუნო ფხვნილი, ბისმუთისა და ბრომის შენარევი,—იხმარება დაჩირქებული წყლულის მისაყრელად — იოდოფორმის ნაცვლად (ნ. იოდოფორმი).

**ქსილოგრაფია,** ხის მასალაზე გრავირების ხელოვნება (ნ. გრავიურა).

**ქსილოლით-ი,** ერთგვარი ხელოვნური საშენი მასალა,—წარმოადგენს დაპრესულ შენარევს ნახერხ-ნათალისას და შემკვრელ ნივთიერებისას.

**ქსილოფონ-ი,** ხის ფირფიტებისაგან შედგენილი საკრავი, რომელსაც უკრავენ ამ ფირფიტებზე ხის ჯოხების დარტყმით.

**ქულბაქ-ი,** ბაზარი.

# ღ

**ღერბ-ი,** ამათუიმ სახელმწიფოს (ქალაქის, გვარეულობის და სხვ.) ოფიციალური ნიშანი რაიმე გამოსახულების სახით,—იხატება (ან ამოიჭრება) დროშაზე, ფარზე, ფულზე, ბეჭედზე და სხვა ასეთზე, მაგ. საბჭოთა კავშირის ღერბია—დედამიწის ბირთვი თავთავების გვირგვინში, მასზე გამოსახულია ნამგალი, ჩაქუჩი, მზე, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"—ექვს ენაზე.

## ყ

**ყაზარმა**, ნ. კაზარმა.

**ყაზახ-ი**, **ყაზახები**, ნ. კაზაკები.

**ყალიმ-ი**, სასყიდელი, რომელსაც აძლევს საქმრო საცოლის მშობლებს; აგრეთვე — საცოლის ყიდვის ასეთი წესი,— გავრცელებულია თურქულ, ფინურ-უნგრულ ტომებში და კავკასიის მთიელთა შორის, და წარმოადგენს გვაროვნული ყოფა-ცხოვრების ნაშთს (საბჭოთა კანონმდებლობით ისჯება როგორც სასყიდელის გამღები, ისე მის მიმღები).

**ყანდეული**, ტკბილნამზადი და ტკბილნამცხვარი ფქვილისაგან. — **საყანდეულო**, საკონდიტრო, ყანდეულის დასამზადებელი და გასასყიდი დუქანი.

**ყურან-ი**, მაჰმადიანთა საღვთო წიგნი, რომელიც მიეწერება (ქადაგებათა სახით წარმოთქმული) მაჰმადს, — წარმოადგენს სარწმუნოებისა და იურიდიული ნორმების კრებულს და საფუძვლად უძევს შარიათს (ნ. ეს).

## შ

**შაბლონ ი**, 1) თარგი, მზა ნიმუში; ტრაფარეტი (ნ. 1); 2) უცვლელად განმეორებული რამ, მაგ. საგანი, აზრი, სიტყვა და სხვ. — **შაბლონური**, გაცვეთილი, უცვლელად განმეორებული (აზრი, სიტყვა...).

**შაგრენ-ი**, ცხენის ან ვირის დამუშავებული რბილ-ხორკლიანი ტყავი

**შაითან-ი**, წარმართების ბოროტი ღმერთი. ეშმაკი, ბოროტი სული

**შამათ-ი**, ჭადრაკის თამაში.

**შამან-ი**, მკითხავის და ჯადოქარის სახელწოდება ციმბირში.— **შამანიზმ-ი**, **შამანობა**, სარწმუნოების უძველესი საფეხურის ერთერთი სახე,— წარმოადგენს უმთავრესად წინაპრებისა და ტოტემების (ნ. ეს) სულების კულტს; მისი ნაშთები შერჩა ზოგიერთ თანამედროვე რელიგიასაც (ქრისტიანობას, მაჰმადიანობას); წარმოიშვა შამანიზმი გვაროვნული საზოგადოების დაშლისას და იკვებება უღარიბესი მოსახლეობის ცრუმორწმუნეობით; ციმბირის ხალხებში მას თანდათან ეცლება საფუძველი კულტურული მშენებლობის გამო.

**შამპანური ღვინო**, შუშხუნა ღვინო,— მზადდება საფრანგეთის პროვინცია შამპანში.

**შამპინიონ-ი**, ქამასოკო.

**შამპუნ-ი**, თავსაბანი სურნელოვანი სითხე.

**შანკრ-ი**, ერთგვარი ვენერიული ავადმყოფობა, უმეტესად — სასქესო ორგანოებისა.

**შანს-ი**, 1) წარმატების ან მარცხის (მოგება-წაგებისა, გამარჯვება-დამარცხებისა და სხვ.) მეტნაკლები შესაძლებლობა.

**შანსონეტ-ი** (-ტტ-ი), 1) მსუბუქი ხასიათის სიმღერა, — სრულდება დროსგასატარებელ დაწესებულებებში; 2) **შანსონეტკა**, **შანსონეტ-ი**, ასეთის შემსრულებელი მომღერალი ქალი.

**შანტაჟ-ი**, რაიმე ქონების (მაგ. ფულის) დატყუება მუქარით, დამტყუებელი (წამრთმევი) ჩვეულებრივ იმუქრება, რომ გამოამჟღავნებს სახელისგამტეხ რაიმე ცნობებს იმის შესახებ, ვისაც ართმევს.— **შანტაჟისტ-ი**. შანტაჟის ჩამდენი პირი.

**შარაბან-ი**, ერთგვარი ეტლი — საჯდომების რამდენიმერიგიანი.

**შარადა**, ერთგვარი გამოცანა — სიტყვის ან წინადადების გამოცნობაზე: ნაწილების აღწერიდან ამოიცნობა მთელი.

**შარიათ-ი**. მაჰმადიანთა სამართლის მთავარი ნაწილი, — წარმოადგენს კრებულს, რომელიც შეიცავს მაჰმადიანთა სარწმუნოებრივს, საყოფაცხოვრებოს და სხვ. იურიდიულ ნორმებს და ემყარება უმთავრესად ყურანს; საბჭოთა კავშირის მაჰმადიანთა შორის შარიათს თანდათან ეცლება ნიადაგი (ნ. ყურანი).

**შარლაჰ-ი**, კაშკაშა-წითელი საღებავი — იხმარება სამღებრო საქმეში.

**შარლატან-ი**, გაიძვერა, მატყუარა; ცრუპენტელა; ვისაც თავი მცოდნედ მოაქვს.

**შარნირ-ი**, ტექნიკაში: სახსარი, — წარმოადგენს მექანიზმის ორი ნაწილის მოძრავ შეერთებას ერთ ღერძზე.

**შარჟ-ი**, საგნის ან პიროვნების კარიკატურული გამოსახულება — ლიტერატურაში ან მხატვრობაში (ნ. კარიკატურა).

**შარფ-ი**, ყელზე ან წელზე მოსახვევი ქსოვილი.

**შატენ-ი**, წაბლისფერთმიანი ადამიანი.

**შაფერ-ი**, ძმადი (ჯვარისწერის მოწმედ დაპატიჟებული პირი).

**შახ-ი**, ნ. შაჰი.

**შახმატ-ი**, ნ. ჭადრაკი.

**შახტა**, მაღარო.

**შაჰ-ი**, სპარსეთის მეფისა და ინდოეთის ზოგიერთი მაჰმადიანი მფლობელის წოდებულება.

**შედევრ-ი**, მაღალი ხარისხის, სანიმუშო ნაწარმოები რომელიმე დარგში, უმთავრესად ხელოვნებაში.

**შეველურა**, 1) თავის თმა; 2) თავის სქელი და გრძელი თმა

ვაჟისა, ვარჯი; 3) ვარცხნილობა.

**შევიოტ-ი,** საკოსტიუმე მატყლის ქსოვილი.

**შევრო,** თხის ან ცხვრის მოთრიმლული და კრიალა ზედაპირიანი ტყავი, რომლისაგანაც იკერება საუკეთესო ხარისხის ფეხსაცმელი.

**შეიხ-ი,** ტომის უფროსი არაბეთში.

**შეიხ-ულ-ისლამ-ი,** სარწმუნოების საქმეთა მინისტრი ყოფილი ოსმალეთის იმპერიაში, — გაუქმდა ხალიფატის გაუქმებასთან ერთად 1924 წ. (ნ. ხალიფა).

**შელაკ-ი (შელლ-),** ერთგვარი ფისოვანი ნივთიერება,—მოიპოება ზოგიერთი ტროპიკული მცენარეებისაგან და გამოყენებულია სხვადასხვა წარმოებაში (მაგ. ლუქის, ლაქის, გრამაფონის ფირფიტების და სხვ. დამზადებაში).

**შერიფ-ი,** 1) არისტოკრატული გვაროვნების წარმომადგენელი პირი (არაბეთში). 2) **შერიფ-ი** (**შერიფფ-ი**), სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი საგრაფოში (ინგლისში და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში).

**შეფ-ი,** 1) დაწესებულების უფროსი; სამხედრო ნაწილის საპატიო უფროსი (მეფობისას რუსეთში); 2) საბჭოთა კავშირში: შეფობის გამწევი ორგანიზაცია. — **შეფობა,** საზოგადოებრივი კულტურულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა და დახმარება, რომელსაც რომელიმე ორგანიზაცია (პარტიული, პროფესიული, ქარხნები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვ.) უწევს მაგ. სოფელს, წითელ არმიას და სხვას.

**შვეიცარ-ი,** სასახლის დიდი შენობის ან რაიმე დაწესებულებების გარეკარების მეთვალყურე.

**შიბერ-ი,** 1) ერთგვარი ორთითი (სტამბაში); 2) სპეკულანტი ვაჭარი გერმანიაში (ნ. სპეკულანტი).

**შიზოფრენია,** ფსიქიური დაავადების ერთერთი ფორმა, ხასიათდება გრძნობების თანდათანი დაჩლუნგებით და მიზანშეწონილი მოქმედების უნარის თანდათანი დაკარგვით; ხშირია უმთავრესად სიჭაბუკის ხანაში.

**შიიტები** (მრავლ.), მაჰმადიანები, რომლებიც აღიარებენ მხოლოდ ყურანს (უარყოფენ სუნას, ნ. ეს); შიიტობა მიღებულია სახელმწიფო რელიგიად სპარსეთში (15 საუკუნიდან).

**შიკ, შიკ-ი,** ფრანტობა, სიკეკლუცე ჩაცმულობაში; გარეგნული კოხტაობა.

**შილინგ-ი (შილლ-),** ფულის ერთეული: ინგლისური უდრის

დაახლოებით 47 კაპ., ავსტრიული—27 კაპ.

**შიმოზა, შიმოზ-ი,** მფეთქარე ნივთიერება,—იხმარება საარტილერიო ყუმბარებისათვის; მზადდება იაპონიაში.

**შიმპანზე,** შავთმიანი ადამიანისებრი მაიმუნი, — უახლოვდება ადამიანს ყველა მაიმუნზე მეტად — გონიერებით, სიცოცხლის ხანგრძლიობით და სხვ.; ცხოვრობს დასავლეთ აფრიკის ტყეებში.

**შინა,** სალტე: ეტლისთვის ფერსოს გვირგვინი—ლითონისა ან რეზინის.

**შინიონ-ი, შინონ-ი,** ქალის ვარცხნილობა სხვისი (ხელოვნური) თმებისაგან.

**შინტოიზმ-ი,** ძველი იაპონური რელიგია, - წარმოადგენდა წინაპართა კულტს.

**შინფეინერები** (მრავლ.), წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური პარტია ირლანდიაში (1905 წლიდან).

**შირმა,** ოთახში სახმარი საფარი, წარმოადგენს ქსოვილგადაკრულ ჩარჩოს.

**შიფერ-ი,** სიპი.

**შიფონიერ-ი,** წვრილი ნივთეულობის ან თეთრეულის შესანახი პატარა შკაფი.

**შიფრ-ი,** 1) პირველი ასოები (გვარისა და სახელის); 2) ვენზელი (ნ. ეს); 3) პირობითი საიდუმლო ანბანი,—იხმარება უმეტესად დიპლომატიურ მიმოწერაში.—**შიფრვა,** ვშიფრავ, ვწერ შიფრით.

**შკალა,** სკალა, 1) გრადუსებად დაყოფილი ფირფიტა სხვადასხვა სახომ (ან საწყაო) ხელსაწყოზე (თერმომეტრზე, ბარომეტრზე და სხვ); 2) კიბურად (ამავალდამავალად) დალაგებული რამ ოდენობა.

**შკვალ-ი** (შკვალლ-), ანაზდეული მძაფრი ქარი ზღვაზე.

**შკივ-ი,** ტექნიკაში: ბორბალი, რომელიც მიიღებს ან გადასცემს მოძრაობას უსასრულო ღვედით.

**შკიპერ-ი.** სავაჭრო გემის უფროსი.

**შლაკბაუმ-ი,** სარაზი: გზის შესაკრავი ასაწევ-დასაწევი ძელი.

**შლაკ-ი,** წიდა: მინისებრი ნარჩომი მადნისაგან ლითონის გამოდნობისას, — იხმარება მრეწველობაში (მაგ. ცემენტის დამზადებაში).

**შლანგ-ი,** წელა: რეზინის ან წყალგაუვალი ქსოვილის მილი, რომლითაც რწყავენ.

**შლაფროკ-ი,** საშინაო ხალათი.

**შლეიფ-ი,** კაბის უკანათრეული ბოლო.

**შლიახტა,** პოლონეთის აზნაურობა.

**შლიფ ი,** ლითონებისა და მინერალების აგებულების საკვლევი მოწყობილობა.

**შლუზ-ი**, რაბი: 1) საგუბრის კარი. —საშუალებას იძლევა წყლის გაშვება შეკავებისას საჭიროე ბის მიხედვით; 2) ერთი დონის წყლიდან სხვა დონის წყალში გემის გადასაყვანი ნაგებობა.

**შმუც-ტიტული**, შავსათაური (სტამბაში).

**შნიცელ-ი**, ხბოსხორცის დაბეგვი ლი კატლეთი.

**შნურ-ი**, ზონარი.

**შოვინიზმ-ი**, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, სხვა ერისადმი სიძულვილი, წარმოადგენს გაბატონებული კლასების საექსპლოატაციო იარაღს მშრომელი მასების მიმართ; საბჭოთა კავშირში პარტია და ხელისუფლება ებრძვის უმთავრესად თვითმპყრობელურ შოვინიზმს, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს, და აგრეთვე ადგილობრივ ნაციონალიზმს. — **შოვინისტ-ი**, სხვა ერის მოძულე.

**შოკ-ი**, უკიდურესი სისუსტე, ნერვული უგრძნობლობა,—გამოწვეულია ძლიერი დაზიანებებით (ოპერაციით, ჭრილობით და სხვ.).

**შოკოლად-ი**, ერთგვარი ნოყიერი ტკბილეული, — მზადდება კაკაოსა და შაქრის შენარევისაგან, რომელსაც ემატება სხვადასხვა სანელებელი (ნუში, ვანილი და სხვ.).

**შოსე** (შოსსე), გზატკეცილი.

**შოფერ-ი** (შოფფ-), ავტომობილის მმართველი.

**შპაგა**, წვეტიანი ხმალი.

**შპაგატ-ი**, ხეზი: წვრილი თოკი, ბაწარი.

**შპალერ-ი**, 1) ღობურად დაწკრივებული გადაკრეჭილი ხეები; გზის ორივე მხრივ გასწვრივ ჩამწკრივებული ჯარისკაცები; 2) კედელზე გასაკრავი მოსახატული ქაღალდი.

**შპალ-ი**. შპალები, ხის, რკინის ან ბეტონის ძელები რკინისგზის რელსებისათვის.

**შპანგოუტ-ი**, გემის წიბო,—აძლევს გემს გარდიგამო სიმტკიცეს.

**შპატელ-ი**, ფიახი: სალებავების სასრესი პატარა ნიჩბისებრი იარაღი.

**შპატ-ი**, სხვადასხვაგვარი წვრილმარცვლოვანი მინერალი (ალის მინდვრის, რკინის და სხვა შპატი).

**შპაცია**, შპაციები, სტამბაში: ლითონის წვრილი ფირფიტები, — იხმარებიან ასოებს ან სიტყვებს შუა ხარვეზების გასაკეთებლად.

**შპიკ-ი**, ჯაშუში.

**შპილ-ი**, 1) შვეული წვეტი შენობაზე. 2) ღუზის ამოსაზიდი მოწყობილობა გემზე. — შპილკა, სარჭი.

**შპილმან-ი**, მოარული მომღერალი (საშ. საუკ. გერმანიაში).

**შპინატ-ი**, ისპანახი.

**შპინგალეტ-ი**, საკვალთი: კარის ან ფანჯრის ასწვრივი შიდასაკეტი.

**შპინდელ-ი**, ტრიალატარი: დაზგის მთავარი ლილვი.

**შპიონ-ი**, ჯაშუში.— **შპიონაჟ-ი**, 1) ჯაშუშობა; 2) სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გაგება სხვა სახელმწიფოს ჯაშუშის მიერ.

**შპიც-ი**, ძაღლის ერთი ჯიში: გონიერი, ყურებდაცქვეტილი, ბანჯგვლიან- და მოკაულკუდიანი, უმეტესად—თეთრი,—გამოყენებულია სამხედრო საქმეში.

**შპიცრუთენები** (მრავლ.), გრძელი და მოქნილი წკეპლების კონა, რომლითაც სცემდენ ძველად რუსეთში სხვადასხვა დანაშაულობისათვის.

**შპონები** (მრავლ.), სტამბაში: სტრიქონების ერთმანეთისაგან დასაშორებელი ლითონის ფირფიტები.

**შპრიც-ი**, კანქვეშ წამლის შესაშხაპუნებელი ხელსაწყო.

**შპროტ-ი**, ზეთში შენულდებული (დაკონსერვებული) ქარსალა (წვრილი თევზი).

**შრაპნელ-ი**, ტყვიებით გატენილი ყუმბარა.

**შრიფტ-ი**, 1) ამათუიმ ენის ანბანების მოხაზულობა; 2) სტამბაში: სხვადასხვა ზომის საბეჭდი ნიშნები.

**შტაბ-ი**, 1) სამხედრო ჯარების სამართველო; 2) რაიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი.

**შტამპ-ი**, ტვიფრი; ლითონის საბეჭდი ყალიბი; აგრეთვე მრეწველობაში: საგნისთვის ფორმის მისაცემი იარაღი. — **შტამპვა**, ტვიფრვა.

**შტანდარტ-ი**, კავალერიის ან ფლოტის ბაირაღი.

**შტატ-ი**, 1) ამათუიმ დაწესებულების თანამშრომელთა მუდმივი შედგენილობა; 2) ფედერაციული რესპუბლიკის თვითმართველობიანი ერთეული; 3) **შტატები** (მრავლ.). ა) დაწესებულების ნუსხა თანამდებობათა და ხელფასების აღნიშვნით; ბ) ზოგიერთი ფედერაციული სახელმწიფოების სახელწოდება, მაგ. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, გ) წოდებათა წარმომადგენლების კრება საფრანგეთში (14—18 საუკ.).

**შტატივ-ი**, სადგამი: ქვესადგამზე დამაგრებული ლითონის ღერო,—წარმოადგენს სხვადასხვა ხელსაწყოს მაგრად დასაყენებელ იარაღს.

**შტეიგერ-ი**, სამთამადნო საქმის ტექნიკოსი,—ასრულებს სამუშაოთა მეთვალყურისა და უფროსის თანამდებობას.

**შტემპელ-ი**, ღევი: ანაბეჭდის გამოსაყვანი—ხის, ლითონის ან ვულკანიზებული კაუჩუკის ხელსაწყო.

**შტეპსელ-ი**, გადასატან-გადმოსატანი ელექტროაპარატების

(ლამფის, ტელეფონის და სხვ.) ელექტროქსელში შესართავი მოწყობილობა.

**შტილ-ი,** უქარობა, სიყუჩე.

**შტიფტ-ი,** წკირა: მექანიზმის ლითონის პაწაწა ღერი.

**შტოპორ-ი,** ბოთლის საცობის ამოსაღები იარაღი.

**შტორმ-ი,** ძლიერი ქარიშხალი.

**შტოფ-ი,** სითხის საწყაო წინათ რუსეთში, უდრიდა დაახლოებით $1^1/_3$ ლიტრს.

**შტრეიკბრეხერები** (მრავლ.), მუშათა გაფიცვის მოღალატე მუშები, — მუშაობენ გაფიცულთა ადგილას; შტრეიკბრეხერობას —გაფიცვის ჩაშლას — ეწევიან კლასობრივი შეგნების დაბალ საფეხურზე მდგომი ელემენტები, რომელთაც ორგანიზაციულად ხელმძღვანელობენ კაპიტალიზმის აგენტები, ფაშისტები და სხვა კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციები.

**შტრიხ-ი,** ხაზი; დამახასიათებელი თვისება.

**შტუნდიზმ-ი,** რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ განვითარებული ქრისტიანული სექტა, — წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიულ პროტესტს თვითმპყრობელურ-ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ, რისთვისაც შტუნდისტები —შტუნდიზმის მიმდევარნი —იდევნებოდენ; დღეს აერთებს კულაკურ ელემენტებს.

**შტურმან-ი,** გემის მესაჭეთა მეთვალყურე.

**შულერ-ი,** 1) ბანქოს უპატიოსნო, ვერაგი მოთამაშე; 2) ვერაგი, მატყუარა ადამიანი.

**შუცბუნდ-ი,** ავსტრიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია,— წარმოადგენს ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის იარაღს.

**შხერები** (მრავლ.), კლდოვანი კუნძულები, უმთავრესად სკანდინავიის, ფინლიანდიის და ირლანდიის ნაპირებზე.

# ჩ

**ჩადრ-ი,** მაჰმადიან ქალთა წამოსასხამი, რომელიც ფარავს პირისახესაც; ჩადრის ტარება (პირისახის დაფარვით) დაკავშირებულია დედაკაცის ეკონომიურ მონობასა და მის უუფლებობასთან (საბჭოთა კავშირში მოისპო ჩადრით პირისახის დაფარვა).

**ჩალმა,** დოლბანდი, რიდე,—წარმოადგენს მაჰმადიანთა თავსახვევს.

**ჩარლსტონ-ი,** ამერიკული წარმოშობის ერთგვარი ცეკვა.

**ჩარტიზმ-ი,** ინგლისის მუშათა კლასის რევოლუციურ-პოლიტიკური მოძრაობა 1836—48 წლებში,—მიზნად ისახავდა უმთავ-

რესად პოლიტიკური უფლებების მოპოებას; დამარცხდა პროლეტარულ - რევოლუციური ხელმძღვანელობის უქონლობის გამო. — ჩარტისტ-ი, ჩარტიზმის მონაწილე.

**ჩეკ-ი**, ბანკში მიმდინარე ანგარიშის მქონე პირისმიერ საჩეკო წიგნაკის ფურცელზე ამ ბანკისადმი მიწერილი განკარგულება განსაზღვრული თანხის გაცემის შესახებ.

**ჩემოდან-ი**, გვალაკი: ტყავის ან სხვა რაიმე მსუბუქი მასალისაგან გაკეთებული სამგზავრო ყუთი.

**ჩემპიონატ-ი**, ამათუიმ სპორტში პირველობაზე შეჯიბრება. — **ჩემპიონ-ი**, ჩემპიონატში გამარჯვებული, პირველობის მიმღები.

**ჩესტერ-ი**, ერთგვარი ინგლისური ყველი.

**ჩესუჩა**, ჩინური მკვრივი აბრეშუმის ქსოვილი.

**ჩიჩერონე**, გამყოლი რაიმე ღირსშესანიშნავი საგნის (ადგილის, ძეგლის და სხვ.) დათვალიერებისას.

# ც

**ცარანისტები** (მრავლ.), რუმინეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია.

**ცარიზმ-ი**, თვითმპყრობელობა; მეფის განუსაზღვრელ უფლებაზე დამყარებული პოლიტიკური წყობილება, მაკ. რუსეთში რევოლუციამდე.

**ცეზარეპაპიზმ-ი**, სახელმწიფოსი და ეკლესიის ისეთი ურთიერთობა, როცა სახელმწიფოს მეთაური იმავე დროს არის ეკლესიის მეთაურიც (მაგ. რუსეთში მეფობის ხანაში).

**ცეზარიზმ-ი**, თვითმპყრობელობა, რომლის დროსაც გარეგნულად დაცულია დემოკრატიული წესწყობილება.

**ცეზურა**, შეჩერება ლექსში განსაზღვრულ ადგილას.

**ცეიხჰაუზ-ი**, სამხედრო მარაგის შესანახი საწყობი.

**ცელიბატ-ი**, დაუქორწინებლობა, უცოლობა, — დადგენილი იყო საშ. საუკუნეებში პაპის მიერ სამღვდელოებისათვის, რის შემდეგაც ეკლესიის ხელში გროვდებოდა ის უამრავი ქონება, რომელიც წინათ გადადიოდა მემკვიდრეობით სამღვდელო პირის ცოლ-შვილის საკუთრებად.

**ცელულოზა** (ცელლ-), ნახშირწყალი, რომლისაგანაც შედგებიან მცენარეთა უჯრედების ყველა

პირველადი და ქიმიურად შეუცვლელი გარსები; — წარმოადგენს უსუნო, უგემოო და წყალში გაუხსნელ ნივთიერებას, მისაგან მზადდება ქაღალდი, მფეთქარე ნივთიერებანი, უკვამლო დენთი (თოფისწამალი) და სხვ.

**ცელულოიდ-ი** (ცელლ-), გამჭვირვალე, მსუბუქი და ელასტიკური ნივთიერება,—გამოყენებულია ხელოვნური ტყავის, გრამოფონის ფირფიტების, ღილების, სავარცხლების და სხვა მრავალი საგნების დამზადებაში.

**ცელსი, ცელსიუს-ი**, ასგრადუსიანი თერმომეტრი,—მოაწყო ფიზიკოსმა ცელსიუსმა (ნ. რეომიური).

**ცემენტაცია**, დაფოლადება: რბილი ფოლადისაგან ნაკეთები რაიმე ნივთის ზედაპირის (ქერქის) გამოწრთობა ნახშირბადის საშუალებით.

**ცემენტ-ი**, წყალში გახსნილი სხვა და სხვა ნივთიერების (კირის, აყალოსი...) ნარევი,—წარმოადგენს საამშენებლო შემკვრელ მასალას და იხმარება სხვადასხვა ნაშენობაში ნაწილების (ქვების, აგურების) ერთმანეთთან მტკიცედ დასაკავშირებლად.

**ცენზ-ი**, ამათუიმ პირის პოლიტიკური ან სამსახურობლივი უფლებების განმსაზღვრელი პირობები—ქონებრივი, განათლების, ასაკის, ბინადრობის და სხვა; ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ცენზის საშუალებით იკვეცება მშრომელი მასის პოლიტიკური უფლებები; საბჭოთა კავშირში არსებობს მხოლოდ ასაკის ცენზი.

**ცენზორ-ი**, 1) ძველ რომში: ქონებრივი ცენზის დამდგენელი და გადასახადების გალების მეთვალყურე მოხელე; 2) ადმინისტრაციული მეთვალყურეობის გამხორციელებელი პირი ბეჭდვითი სიტყვის მიმართ.—**ცენზურა**, ცენზორის თანამდებობა (ძველ რომში); ბეჭდვითი სიტყვის ადმინისტრაციული მეთვალყურეობა,— წარმოადგენს ძლიერ იარაღს გაბატონებული კლასის ხელში.

**ცენტავრები**, ნ. კენტავრები.

**ცენტ-ი**, დოლარის ერთი მეასედი, უდრის დაახლოებით 2 კაპ.

**ცენტნერ-ი**, წონის ერთეული: გერმანიაში, შვეიცარიაში და დანიაში=50 კილოგრამს, ინგლისში და ამერიკაში=დაახლოებით 51 კილოგრამს.

**ცენტრალ-ი**, ცენტრალური საკატორღო სატუსაღო რევოლუციამდე რუსეთში.

**ცენტრალიზაცია**, 1) ერთ ადგილას ან ერთი ვინმეს ხელში თავისმოყრა,—დაგროვება; 2) პოლი-

ტიკური ცენტრალიზაცია, სახელმწიფოებრივი მმართველობის ისეთი სისტემა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა უფლებები შეზღუდულია ცენტრალური ორგანოების მიერ (საბჭოთა კავშირში გატარებულია დემოკრატიული ცენტრალიზაცია).

**ცენტრალიზმ-ი**, ადგილობრივ დაწესებულებათა დაქვემდებარებულობა ცენტრალური ორგანოებისადმი.

**ცენტრალურ-ი**, ცენტრში მდებარე, უმთავრესი, ძირითადი, ხელმძღვანელი; უმნიშვნელოვანესი. —**ცენტრალური ნერვული სისტემა**, თავისა და ზურგის ტვინი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ნერვულ ფსიქიური მოქმედება (წარმოდგენები, აზროვნება, მეხსიერება და სხვა).

**ცენტრ-ი**, 1) შუაადგილი, შუაწერტილი; 2) მათემატიკაში: წრის ცენტრი არის დიამეტრების გადაკვეთის წერტილი; 3) სახელმწიფოს სატახტო ქალაქი; უხეზაესი დაწესებულებანი სახელმწიფოში.—**ცენტრიდან-ი ძალა**, ცენტრიდან დაშორებელი ძალა. — **ცენტრისკენ-ი**, ცენტრისკენ მიმართული ძალა.

**ცენტრიზმ-ი**, ისეთი მიმდინარეობა სოციალისტურ პარტიებში მსოფლიო ომის დროს, რომელსაც ეჭირა საშუალო პოზიცია სოციალ-შოვინიზმსა (ნ. ეს) და რევოლუციურ უმცირესობას შორის: ცენტრიზმი ცდილობდა მიეჩქმალა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი და ლამობდა შეერიგებინა „სამშობლოს დაცვა“ ინტერნაციონალიზმთან, იგი ებრძოდა ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას (ცენტრიზმს მეთაურობდენ კაუცკი, მარტოვი, ტროცკი და სხვ.).— **ცენტრისტები** (მრავლ.), ცენტრიზმის დამცველნი.

**ცეპელინ-ი** (ცეპპ-), ერთგვარი ტიპის დირიჟაბლი (ნ. ეს),—გამოიგონა გერმანელმა კონსტრუქტორმა, გრაფმა ც ე პ ე ლ ი ნ მ ა.

**ცერებრალ-ი**, **ცერებრალური**, 1) რაც თავისტვინს შეეხება; 2) თანხმოვანი ბგერა, რომელიც იწარმოება შიგნითშებრუნებული ენისწვერით (ფონეტ.).

**ცერემონია**, 1) განსაზღვრული განწესრიგებით შესრულებული საზეიმო წესი; 2) გარეგნული ფორმალობის ანუ პირობითი წესების დაცვა, გადაპარბებული თავაზიანობა და სხვა ასეთი.

**ცერემონიალ-ი**, რაიმე ცერემონიის ოფიციალურად დადგენილი განწესრიგება.—**ცერემონიალურ-ი**, საზეიმო, მაგ. **ცერემონიალური მარში**, საზეიმო მარში (ნ. ეს).

**ცეხ-ი**, 1) ამქარი: ქალაქის ხელოსანთა წოდებრივი ორგანიზაცია დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის ხანაში; 2) ქარხნის ნაწილი,—ამუშავებს ერთ განსაზღვრულ პროდუქტს (მაგ. საორთქლმავლო, საჩამომსხმელო და სხვ.).

**ციგან-ი, ციგნები, აწინკანი, აწინკნები**: ინდური წარმოშობის ხალხი, რომელიც გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყნებში.

**ცივილიზატორ-ი**, ცივილიზაციის გამვრცელებელი.

**ცივილიზაცია**, საზოგადოებრივი განვითარებისა და განათლების მაღალი დონე.—**ცივილიზებული**, საზოგადოებრივი განვითარების მაღალ დონეზე მდგომი.

**ცივილისტ-ი**, სამოქალაქო სამართლის მცოდნე,—სპეციალისტი.

**ციკლ-ი**, 1) წრე; რაიმე მოვლენის განვითარების ყველა საფეხურები; 2) მეცნიერებათა განსაზღვრული ჯგუფი; ლექციების რიგი; 3) ლიტერატურაში: საერთო სიუჟეტით და საერთო მოქმედი პირებით გაერთიანებული რიგი ლიტერატურულ ნაწარმოებთა; 4) **კაპიტალისტური ციკლი**, კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების სამი ძირითადი თანამიმდევრობითი ფაზა: აწევა, კრიზისი (ნ. ეს) და დეპრესია (ნ. ეს, 2).—**ციკლური**, წრიული, განმეორებითი.

**ციკლისტი**, ველოსიპედისტი (ნ. ეს).

**ციკლოგრამა (-მმა)**, ნათელი მოძრავი წერტილის ფოტოგრაფიულად გადანაღები,—გამოყენებულია შრომის მოძრაობების ანალიზისა და რაციონალიზაციისთვის.

**ციკლომეტრ-ი**, ანთროპომეტრიაში სახმარი სამზომელო იარაღი, რომლითაც იზომება ქაშის (ქაშა=თავისქალა) სხვადასხვა სიმრუდე.

**ციკლონ-ი**, ატმოსფეროს გრიგლისებრი მოძრაობა დაბალი წნევის არეთი; ძლიერი ქარი.

**ციკლოპ-ი**, ძველი ბერძნული მითოლოგიით: დევები, რომელთაც ერთი თვალი ქონდათ შუაშუბლზე; ციკლოპებს მიეწერებოდა **ციკლოპური** კედლების —უზარმაზარი ლოდებისავან აშენებული კედლების—აშენება. — **ციკლოპია**, სიმახინჯის ერთერთი სახეობა, როცა ორივე თვალი გაერთიანებულია ერთად.

**ციკლოტიმია**, ერთგვარი ფსიქიური დაავადება, რომელსაც მსუბუქ ფორმაში ახასიათებს ხანგამოშვებითი აგზნებულობა და მიხდილობა, ხოლო მძიმე ფორმაში — ნაღვლიანობა, შრომის დასუსტება, თავისტკივილები და სხვ.

**ციკლური,** ნ. ციკლი.

**ციკორი,** არდი: მრავალწლოვანი მცენარე, რომლის ფესვებისაგან მზადდება ყავის სუროგატი (ნ. ეს).

**ცილინდრ-ი,** 1) გეომეტრიული სხეული, რომლის მიღება შეიძლება მართკუთხედის ტრიალით ერთერთი მისი გვერდის გარშემო; 2) ცილინდრის ფორმის მქონე საგანი; მაგ. მანქ ნის ნაწილი, მილი, ქუდი (მაღალი და მაგარარეებიანი) და სხვა. — **ცილინდრული,** ცილინდრისებრი.

**ციმბალი,** წინწილი: ერთგვარი უძველესი მუსიკალური საკრავი.

**ცინგა,** ნ. სკორბუტი.

**ცინიზმი,** 1) ცინიკების ანუ კინიკების (ნ. ეს) ფილოსოფიური მოძღვრება; 2) საყოველთაოდ მიღებული ზნეობისა და ზრდილობიანობის აბუჩად აგდება; უწმაწურობა, უსირცხვილობა და სხვა ასეთი.—**ცინიკ-ი,** 1) ცინიკების მოძღვრების მიმდევარი; 2) ურცხვი, მიღებული ზნეობის აბუჩად ამგდები და სხვ. — **ცინიკურ-ი,** უსირცხვილო, უწმაწური.

**ცინიკები** ანუ კინიკები (ნ. ეს), ფილოსოფიური სკოლა ძველ საბერძნეთში (მე-4-ე საუკუნი ჯან ქ. შ.), — თეორიაში იყვნენ მატერიალისტები, ხოლო პრაქტიკულ ცხოვრებაში არ ცნობდენ დამკვიდრებულ ზნეობას და საყოფაცხოვრებო წესებს, უარყოფდენ რელიგიას, საკუთრებას და სახელმწიფოს.

**ცინიკ-ი, ცინიკური,** ნ. ცინიზმი.

**ცინკ-ი,** თუთია.

**ცინკოგრაფია,** 1) დაწესებულება სადაც ამზადებენ კლიშეს (ნ. კლიშე) თუთიაზე; 2) თუთიაზე დამზადებული სასტამბო კლიშე.

**ცირკ-ი,** საგანგებოდ მოწყობილი სანახაობათა სახლი, სადაც მაყურებლებს აჩვენებენ სხვადასხვა სანახაობას — ტანვარჯიშობას, გაწვრთნილ ცხენებსა და სხვა ცხოველებს და მრავალგვარ სხვა საცირკო ხელოვნებას.

**ცირკულარ-ი,** ამათუიმ უწყების დაწესებულებათადმი მიმართული წერილობითი განკარგულება. — **ცირკულარული,** განკარგულებითი, ცირკულარის ხასიათის.

**ცირკულაცია,** წრიული მოძრაობა, მიმოქცევა.

**ცირკულ-ი,** ფარგალი; სახაზავი და საზომი იარაღი.

**ცისტა, ცისტ-ი,** უმარტივესი ორგანიზმების ან მათი ჩანასახების გარეთა გარსი, როცა ისინი გადადიან „განსვენებულ მდგომარეობაში“ (ე. ი. როცა თითქოს კვდებიან); ცისტებში ორგანიზმი ცოცხლობს რამდენიმე წლის განმავლობაში.

**ციხტერნ-ი**, 1) წყალგაუვალი სითხის საცავი აუზი; 2) სითხის (წყლის, ნავთის, ბენზინის და სხვ.) ან აირის გადასაზიდი ვაგონი-ქვაბი რკინისგზაზე.

**ციტატ-ი**, რაიმე ტექსტიდან მოყვანილი ნაწყვეტი—ამათუიმ აზრის დასასაბუთებლად, დასამოწმებლად.

**ციტოლოგია**, ჰისტოლოგიის ნაწილი,—წარმოადგენს მეცნიერებას მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების აგებულებისა და სიცოცხლის შესახებ.

**ციტრუსოვანი, ციტრუსოვნები**, მუდამ მწვანე და სურნელოვანყვავილებიანი ხეხილი (ფორთოხალი, ლიმონისხე და სხვ.); ზოგიერთი მათგანის ყვავილებისა და ნაყოფის გარსისაგან მოიპოვება ეთეროვანი ზეთები.

**ციფერბლატი** (ციფფერბლატტ-ი), საათის (ან სხვა საზომის) მრგვალი დაფა, რომელზეც აღნიშნულია საათები, წუთები და წამები (ან სხვა რაიმე დაყოფა).

**ციფრ-ი**, რიცხვნიშანი: რიცხვის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი (დღეს ხმარებაშია ათი ასეთი ნიშანი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0).

**ციცერო**, სასტამბო შრიფტი—საშუალო ზომისა.

**ცუკატი**, დაშაქრული ხილეული—ნაჭრებად ან მთლიანად (უმთავრესად ლიმონი და ფორთოხალი).

# ხ

**ხაკი**, მომწვანო მიხაკისფერი ქსოვილი, რომლისაგანაც იკერება უმთავრესად სამხედრო („დამცველი ფერის") ტანსაცმელი.

**ხალვა**, ერთგვარი აღმოსავლური ტკბილეული, მზადდება დასრესილი თესლისა ან ნიგვზისა და თაფლისაგან.

**ხალიფა, ხალიფ-ი**, მაჰმადიანთა სასულიერო მეთაური,—ითვლებოდა მაჰმადის მემკვიდრედ (მე-16-ე საუკუნის დასაწყისიდან 1924 წლამდე ქალიფის წოდებას ატარებდა ოსმალეთის სულტანი).

**ხალიფატი**, 1) სახალიფო: სახელმწიფო, რომლის სათავეში დგას ხალიფა; 2) ხალიფობა, ხალიფის წოდებულება.

**ხალტურა**, არაკეთილსინდისიერად და უცოდინრად შესრულებული სამუშაო.

**ხამელეონ-ი**, ნ. ქამელეონი.

**ხანდრა**, სპლინი (ნ. ეს).

**ხან-ი**, წინათ მეფის წოდებულება თურქულ-მონღოლურ ხალხებ-

ში; შემდეგ თავადებისა; სპარსეთში — ბოძებული წოდებულება წარჩინებულთა.

**ხაოსი**, ნ. ქაოსი.

**ხარაკირი, ჰარიკირი,** საპატიო თვითმკვლელობა იაპონიაში (უმთავრესად — ძველად): თავს იკლავს სიკვდილმისჯილი პირი ან თავისნებით — უდანაშაულობის დასამტკიცებლად — მუცლის გაფატრვით.

**ხარიბდა**, ნ. სცილა და ქარიბდა.

**ხარტია,** 1) ძველად — ეტრატი და ეტრატზე დაწერილი რამ; 2) საშუალო საუკუნეებში — პოლიტიკური შინაარსის საბუთი.

**ხასიდიზმი**, ებრაული რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობა (მე-18 ე საუკუნიდან), — წარმოიშვა უკრაინაში და გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაში; წარმოადგენს ცრუმორწმუნეობის და უვიცობის ნიადაგზე ღარიბი მოსახლეობის ექსპლოატაციის საშუალებას.

**ხედივ-ი**, ეგვიპტის ვიცეკოროლის მემკვიდრეობითი ტიტული.

**ხეთები**, ნ. ქეტები.

**ხილიაზმ-ი**, ნ. ქილიაზმი.

**ხიმერა**, ნ. ქიმერა.

**ხიმია**, ნ. ქიმია.

**ხირურგია**, ნ. ქირურგია.

**ხირომანტია**, ნ. ქირომანტია.

**ხლამ-**, ნ. ქლამ-.

**ხლორ-**, ნ. ქლორ-.

**ხოანები**, ნ. ქოანები.

**ხოლერა**, ნ. ქოლერა.

**ხორ-**, ნ. ქორ-.

**ხრესტომატია**, ნ. ქრისტომათია.

**ხრიზ-**, ნ. ქრიზ-.

**ხრომ-**, ნ. ქრომ-.

**ხრონ-**, ნ. ქრონ-.

**ხულიგან-ი**, უწესო თავაშვებული ადამიანი, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი წესიერების საქმისათვის. — **ხულიგნობა**, უწესურობა, თავაშვებულობა, უპატივცემულო დამოკიდებულება საზოგადოებრივი წესიერებისადმი, — ისჯება კანონით (საბჭოთა სინამდვილეში კულტურული დონის ამაღლების საფუძველზე იგი თანდათან ისპობა).

**ხუნხუზები** (მრავლ.), ჩინელი ყაჩაღები.

# ჯ

**ჯაზ ბანდ-ი, ჯაზ-ი**, თავისებურტემბრიანი საკრავების ორკესტრი, რომელიც უკრავს ჩრდილო-ამერიკული (ზენგრული) წარმოშობის თავისებურ მუსიკას; ჯაზ-ბანდი უკრავს ჩვეულებრივ საფოქსტროტო მუსიკას (ნ. ფოქსტროტი).

**ჯამბაზ-ი**, აკრობატი, მუშაითი, თოკზემავალი.

**ჯენტლმენ-ი**, 1) თავდაპირველად: ინგლისელი აზნაური; 2) განათლებული და ბურჟუაზიული ზრდილობის ადამიანი.

**ჯენტრი**, 1) წვრილი აზნაურობა ინგლისში; 2) ჩინეთის წარჩინებულთა წოდება.

**ჯიმკროუიზმ-ი**, ჩ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში: მოძრაობა, რომლის მიზანია ნეგრების იზოლაცია თეთრებისაგან სკოლებში, საჯარო ადგილებზე და სხვ.; აგრეთვე—ამისათვის ხმარებული ღონისძიებანი.

**ჯინგო**, უკიდურესი მებრძოლი პატრიოტის, შოვინისტის სახელწოდება ინგლისში.—**ჯინგოიზმ-ი**, მებრძოლი ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი (ინგლისში).

**ჯინ-ი**, 1) ერთგვარი არაყი ინგლისში; 2) ბამბის თესლისაგან ბოჭკოების გამცლელი მანქანა.

**ჯიუ-ჯიტსუ, ჯო-ჯიცუ**. იაპონური ფიზკულტურა (ნ. ეს),—გამოყენებულია ჭიდაობაში, ბრძოლაში და სხვ.; ემყარება ადამიანის მუსკულატურის დეტალურად შესწავლაზე (განსაკუთრებით დახელოვნებულნი არიან მასში იაპონელი პოლიციელები).

**ჯოულ-ი**, ენერგიის ერთეული (ინგლისელი ფიზიკოსის სახელით).

**ჯუნგლები** (მრავლ.), ჭაობიანი გაუვალი შამბნარი ინდოეთში,—მასში ცხოვრობენ შხამიანი გველები, ვეფხვები, სპილოები და სხვ.

## ჰ

**ჰაბიტუს-ი**, ბიოლოგიაში: მცენარის ან ცხოველის გარეგნულობა,—შესახედაობა.

**ჰაგიოგრაფია**, ლიტერატურის ერთ-ერთი დარგი,—შეიცავს ქრისტიანობის გამავრცელებელთა (ე. წ. წმიდათა) ცხოვრების აღწერილობას, რომელიც წარმოადგენდა დახ-სიათების დადგენილ შაბლონს; ამის მიუხედავად აღწერილობაში ზოგჯერ მაინც მჟღავნდებოდა ჰაგიოგრაფ ის-აღწერილობის ავტორის—სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და მსოფლმხედველობა (მაგ. გმირის არჩევაში, სტილში და სხვ.).—**ჰაგიოლოგია**, ასეთ ნაწარმოებთა მცოდნეობა.

**ჰაერო-**, ნ. აერო-.

**ჰავას-ი**, საფრანგეთის სატელეგრაფო სააგენტო,—წარმოადგენს საფრანგეთის პოლიტიკური ინფორმაციის დაწესებულებას და

ემსახურება პოლიტიკურ მიზნებს.

**ჰაიდამაკები** (მრავლ.), უკრაინელი მარჯვენანაპირელი (ე. ი. დნეპრგაღმელი) კაზაკები.

**ჰაიდ-პარკ-ი**, ლონდონის ერთი დიდი ბაღი,—მასში იმართება მიტინგები.

**ჰაიდუკები** (მრავლ.), 1) თურქების წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანები (ბალკანეთში და უნგრეთში), ხალხური ლექსების გმირები; 2) ლაქიები პოლონეთში და რევოლუციამდე რუსეთში.

**ჰაკატისტები** (მრავლ.), აღმოსავლეთ განაპირების გერმანელთა კავშირი, წარმოადგენს ნაციონალისტურ ორგანიზაციას.

**ჰალო**, უზარმაზარი წრეები, რომლებიც ჩანან ზოგჯერ მზისა და მთვარის გარშემო.

**ჰალო** (**ჰალლო**), აუ! — წარმოადგენს ძახილს, უმეტესად ტელეფონში.

**ჰალოიდები** (მრავლ.), მარილბადები: ოთხი ქიმიური ელემენტი: ბრომი, იოდი, ფლუორი და ქლორი.

**ჰალოფიტები** (მრავლ.), მლაშობისანი: მლაშობ (მარილოვან) ნიადაგს შეგუებული მცენარეები, მაგ. კალაქვა, თაფლინდი და სხვ.

**ჰალს-ი**, 1) სააფრე თოკი; 2) გემის მიმართულება ქარის მიმართ (მარჯვენა ჰალსი—ქარი ქრის მარჯვენა ქიმიდან; მარცხენა ჰალსი—მარცხენა ქიმიდან).

**ჰალსტუხ-ი**, პერანგის საყელოზე შემოსახვევი.

**ჰალუცინაცია**, ბოდვა; ისეთი გრძნობამცთარობა, რომელსაც საფუძვლად არ უძევს გარეგანი გაღიზიანება, — წარმოადგენს ავადმყოფურ მდგომარეობას (შეადარე ილუზია).

**ჰალშტატ-ის** (**ჰალლშტატ-ის**) კულტურა, ცენტრალური ევროპის (და მოსაზღვრე იტალიისა და ბალკანეთის ნაწილთა) კულტურა დაახლოებით 1000 წ. წინათ ქრისტემდე,—ხასიათდება თიხისა და ბრინჯაოს ჭურჭლეულობით და სამკაულებით, რკინისპირიანი ხმლით და სხვ. (პირველად აღმოაჩინეს ჰალშტატის მიდამოებში, ზემო ავსტრიაში).

**ჰამადრილ-ი**, ძაღლისებრი მაიმუნი,—ცხოვრობს აბაშეთში და ნუბიაში (აღმ. აფრიკაში).

**ჰამაკ-ი**, 1) ჩამოსაკიდი ტილოს საწოლი,—იხმარება გემზე; 2) წვრილი ბაწრისაგან დაწნული და ხეებზე (ან სვეტებზე) გასაბმელი საწოლი, იხმარება ჰაერზე დასასვენებლად.

**ჰანდიკაპ-ი**, სუსტისა და ძლიერი მონაწილის გათანასწორება რაიმე შეჯიბრებაში (დოლში, ჰადრაკში და სხვ.). — მაძილით,

დროთი, წინასწარი დათქმებით და სხვ. ასეთით.

**ჰანზა**, ვაჭართა ან ქალაქთა კავშირების სახელი გერმანიაში საშ. საუკუნეებში; ჰანზის ქალაქებად იწოდებიან დღესაც ბრემენი, ლუბეკი და ჰამბურგი.

**ჰარამხანა**, 1) მაჰმადიანთა ბინის სადედაკაცო ნაწილი, რომელშიც შესვლა შეუძლია მხოლოდ ქმარს და შვილებს; 2) რამოდენიმე ცოლის პატრონის მდიდარი მაჰმადიანის საქალებო სახლი, რომელშიც თითოეულ ცოლს აქვს ცალკე ბინა.

**ჰარაკირი**, ნ. ხარაკირი.

**ჰარმონია**, 1) ნაწილების შეთანხმებულობა, შეწყობილობა; 2) მუსიკის ერთერთი დარგი,—იკვლევს აკორდების აგებულებას და მათ კეთილხმოვანურ გაერთმთლიანებას.—**ჰარმონიული**, კეთილხმოვანური, თანაშეწყობილი.

**ჰარმონიკა**, კლავიშებიანი და კეცილსაბერველიანი ხალხური საკრავი.—იკვრება საბერველის გაჭიმვა-შეკუმშვით.

**ჰარმონიუმ-ი**, იგივეა რაც ფისჰარმონია (ნ. ეს).

**ჰარპუნი**, ზღვის ცხოველების საჭერი შუბისებრი იარაღი.

**ჰაუბიცი**, ერთგვარი დამოკლებული ზარბაზანი.

**ჰაუპტვახტ-ი**, სამხედრო საყარაულო სადგომი, რომელთანაც იმყოფება სამხედრო საპატიმრო.

**ჰაშიშ-ი**, ინდური კანაფიდან მოპოვებული სურნელოვანი ფისი, რომლისაგანაც მზადდება საბრუებელი სასმელი,—აბრუებს და იწვევს ჰალუცინაციებს (ნ. ეს).

**ჰაჯი**, მაჰმადიანი, რომელმაც ღვთისმოსაობის მიზნით მოიარა მექა (მექა—მაჰმადიანთა სალვთო ქალაქი არაბეთში).

**ჰეგელიანობა**, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის, ჰ ე გ ე ლ-ის (1770—1831 წ.) მოძღვრებასთან დაკავშირებული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის მემარცხენე რიგებიდან გამოვიდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი; ამათ უარყვეს ჰეგელიანობის ძირითადი დებულება „აბსოლუტური იდეა" (ყოველივე არსებულის საფუძველი) და შეითვისეს მისი დიალექტიკური მეთოდი, რომელიც მათ ხელში გადაიქმნა მატერიალისტურ დიალექტიკად.

**ჰეგემონია**, მეთაურობა, უზენაესი ხელმძღვანელობა; რომელიმე სოციალური ჯგუფის ან კლასის ხელმძღვანელი როლი;

პოლიტიკური ან ეკონომიური პირველობა.

**ჰეგზამეტრ-ი**, ნ. ჰექსამეტრი.

**ჰედონიზმ-ი**, ძველბერძნული ეთიკურ-ფსიქოლოგიური მოძღვრება,—ამტკიცებს, რომ ყოველი ინდივიდი მიისწრაფვის სიამოვნებისადმი და გაურბის ტანჯვას; ამიტომ ცხოვრების მიზანია პიროვნული სიამოვნების მიღწევა. ჰედონიზმი წარმოადგენდა შეძლებულ კლასთა მსოფლმხედველობას. მე-18 საუკუნის მატერიალისტები ცდილობდნენ პიროვნული ინტერესები დაეკავშირებიათ საზოგადოებრივთან, ხოლო ისტორიულმა მატერიალიზმმა დაუდო კვლევას საფუძვლად კლასობრივი ინტერესი.

**ჰეიზერ-ი**, ნ. გეიზერი.

**ჰეკატომბა, ჰეკატომბ-ი**, 1) საჯარო მსხვერპლის შეწირვა ასი ხარის დაკვლის სახით (ძველ საბერძნეთში); 2) მასობრივი ჟლეტა.

**ჰეკს-, ჰეკტ-**, ნ. ჰექს-, ჰექტ-.

**ჰელვეცია**, შვეიცარიის ძველი სახელწოდება.

**ჰელიოგრაფ-ი**, 1) მზის ფოტოგრაფიულად გადასაღები ასტრონომიული იარაღი; 2) მზის ნათების ხანგრძლიობის ჩამწერი მეტეოროლოგიური ხელსაწყო.

**ჰელიოთერაპია**, ნ. ფოტოთერაპია.

**ჰელიოსკოპ-ი**, მზის ზედაპირის დასაკვირვებელი ასტრონომიული იარაღი.

**ჰელიოტროპ-ი**, 1) მრავალგვარი სახის სურნელოვანი და სხვადასხვა ფერის ყვავილებიანი მცენარე; 2) წითელწინწკლებიანი მწვანე ფერის მინერალი; 3) გეოდეზიური ხელსაწყო,—იხმარება მზის სხივების არეკლვისა და მათი მიმართვისათვის განსაზღვრული მიმართულებით.

**ჰელიოტროპიზმ-ი** ანუ **ფოტოტროპიზმ-ი**, მრავალ მცენარეთა ან მის ორგანოთა მდგომარეობის შეცვლა სინათლის ზეგავლენით.

**ჰელიოცენტრიზმ-ი** ანუ **ჰელიოცენტრული სისტემა სამყაროსი**, დღევანდელი მეცნიერული შეხედულება მზის სისტემის აგებულების შესახებ, რომ პლანეტთა სისტემაში მზეს უჭირავს ცენტრალური ადგილი,—უპირისპირდება გეოცენტრიზმს (ნ. ეს).

**ჰელოტები**, იგივეა რაც ილოტები (ნ. ეს).

**ჰელმინტოლოგია**, მეცნიერება პარაზიტული ჭიებისა და მათ მიერ გამოწვეულ დაავადებათა შესახებ.

**ჰემატოგლობინ-ი**, ნ. ჰემოგლობინი.

**ჰემატოლოგია**, მეცნიერება სისხლის შესახებ.

**ჰემატომეტრ-ი**, სისხლის წითელი და თეთრი ბურთულების რაოდენობის დასათვლელი ხელსაწყო.

**ჰემატურია**, სისხლშერეული შარდის დენა

**ჰემი-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „ნახევარ“, მაგ:

**ჰემიანესთეზია**, ნახევარსხეულის მგრძნობელობის დაკარგვა.

**ჰემიკრანია**, შაკიკი („ნახევართავის ტკივილი“).

**ჰემიოპია**, ნახევარსიბეცე (მხედველობის აშლა).

**ჰემიპლეგია**, ნახევარსხეულის ნებისმიერ მოძრაობათა მოშლა.

**ჰემისფერო**, ნახევარსფერო, ნახევარბირთვი.

**ჰემოგლობინ-ი**, **ჰემატოგლობინ-ი**, სისხლის მღებვარე ნივთიერება, —წარმოადგენს სისხლის წითელი ბურთულების უმთავრეს შემადგენელ ნაწილს.

**ჰემოთერაპია**, ავადმყოფის მკურნალობა სისხლის შემეობით,— შეჰყავთ ორგანიზმში სხვისი ან ავადმყოფისავე სისხლი.

**ჰემოპარაზიტები** (მრავლ.), ადამიანისა და ცხოველთა სისხლის პარაზიტები.

**ჰემორაგია**, სისხლდენა.

**ჰემოროი**, ბუასილი; ბავასილი, სოკოს სენი (საბ.).

**ჰენრი**, ინდუქციურობის საზომი საერთაშორისო ერთეული (ელექტროტექნიკაში),—დაერქვა ეს სახელი ამერიკელი ფიზიკოსის, ჰენრის საპატივცემოდ.

**ჰეპატიტ-ი**, ღვიძლის ანთება.

**ჰერალდიკა**, ღერბთმცოდნეობა — ისტორიის დამხმარე მეცნიერება.

**ჰერბარიუმ-ი**, გახმობილ მცენარეთა კოლექცია (ნ. ეს).—**ჰერბარიზაცია**, მცენარეთა მოგროვება-გახმობა საკოლექციოდ.— —**ჰერბარისტ-ი**, ჰერბარიუმისა და ჰერბარიზაციის სპეციალისტი.

**ჰერკულეს-ი**, მეტისმეტად ღონიერი და ბრგე, ათლეტური (ნ. ათლეტი) აგებულების ადამიანი; ძველბერძნული მითოლოგიით: განთქმული გმირი.

**ჰერმაფროდიტ-ი**, ორსქესოვნობის ნიშნების მატარებელი ინდივიდუმი. — **ჰერმაფროდიტიზმ-ი**, ერთდაიმავე ინდივიდის ორსქესოვნობის (მდედრობისა და მამრობის) ნიშნების მატარებლობა,—წარმოადგენს ზოგიერთი ცხოველისათვის ნორმალურ მოვლენას (მაგ: მრავალ უხერხემლო ცხოველებისათვის), ხოლო ზოგიერთისათვის—იშვიათ გამონაკლისს (მაგ ხერხემლიანთა უმრავლესობისათვის და მათ შორის—ადამიანისათვის).

ჰერმენევტიკა, ახსნა-განმარტებათა მცოდნეობა, განსაკუთრებით—ბიბლიისა.

ჰერმეტიული, ჰერმეტიკული, ხშული, ჰაერშეუვალად დახურული.

ჰეროლდ-ი, მაცნე, მაუწყებელი; საჯაროდ რისამე გამომცხადებელი.

ჰერპეტოლოგია, ზოოლოგიის ერთ ერთი დარგი, — იკვლევს ქვეწარმავლებს და მიწაწყლიერებს.

ჰერცოგ-ი, ძველ გერმანელთა არჩეული სამხედრო ბელადი; ფეოდალიზმის ხანაში—მფლობელ თავადთა წოდებულება; 2) აზნაურის წოდებულება დასავ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

ჰეტერა, თავისუფალი ყოფაქცევის ქალი ძველ საბერძნეთში, —აღნიშნავდა ზოგჯერ მეძავ ქალს, ხოლო ზოგჯერ განათლებულ კულტურულ ქალს, რომელიც არ ემორჩილებოდა საყოველთაოდ მიღებულ ზოგიერთ საყოფაცხოვრებო წესებს.

ჰეტერიზმ-ი, 1) ქორწინების უწინარესი ფორმა — სქესობრივი ურთიერთობის შეუზღუდველი თავისუფლება; 2) რელიგიური ჰეტერიზმი — სარწმუნოებრივი მეძაობა.

ჰეტეროგენური, სხვაგვარი, სხვადასხვაგვარი, განსხვავებული წარმოშობისა.

ჰეტერომორფოზ-ი, ბიოლოგიაში: რეგენერაციის ისეთი სახეობა, როცა დაკარგული ნაწილის (ორგანოს) ნაცვლად წარმოიქმნება სხვა სახის ნაწილი (ორგანო).

ჰეტმანი, 1) უკრაინის კაზაკთა არჩეული უფროსი, რომელსაც ქონდა დიდი უფლებები როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო; გეტმანობა გაუქმდა მე-18-ე საუკ. მეორე ნახევარში; აღდგენილ იქნა 1918 წ. ავსტრო-გერმანელი საოკუპაციო ჯარების მიერ თეთრგვარდიელთა დახმარებით; მოისპო იმავ წელს.

ჰექსაედრ-ი, ხუთწახნაგა.

ჰექსამეტრ-ი, ძველბერძნულ და ძველრომაულ ლექსთწყობაში: ექვსმეხლიანი წყობა, რომელშიც 5 სრული დაქტილია, ხოლო ერთი შეკვეცილი დაქტილი.

ჰექტარ-ი, მიწის საზომი ერთეული მეტრული სისტემით, უდრის 10 ათ.ს კვადრატულ მეტრს, დაახლოებით—დესეტინას (ნ. ეს).

ჰექტო- [ემატება მეტრული სისტემით სიტყვას თავში და აღნიშნავს] „ასი“, მაგ. ჰექტოლიტრ-ი, ასი ლიტრი, ჰექტოგრამ-ი, ასი გრამი.

ჰექტოგრაფ-ი, ხელნაწერის პირის გასამრავლებელი ხელსაწყო.

ჰექტოლიტრ-ი, ნ. ჰექტო-.

**ჰიალინური ხრტილი**, მინისებრი ხრტილი.

**ჰიატუს-ი**, გრამატიკაში და ლექსთწყობაში: სიტყვის ბოლოხმოვნის და მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის შეხვედრა.

**ჰიაცინთ-ი**, 1) სუმბული: მრავალგვარი ფერის სურნელოვანყვავილიანი მცენარე; 2) იაკინთი: ძვირფასი ქვა.

**ჰიბრიდ-ი**, 1) სხვადასხვა ჯიშის ან სახეობის შენარევი, შეჯვარედინების ნაყოფი; 2) სხვადასხვა ნიშნეულობიან მშობელთაგან წარმოშობილი ინდივიდი.—**ჰიბრიდიზაცია**, შეჯვარედინება ცხოველთა ან მცენარეთა შორის, რის საშუალებითაც შესაძლებელია ახალი ჯიშის ცხოველთა და მცენარეთა მიღება.—**ჰიბრიდული**, შენარევი, შეჯვარედინების შედეგი.

**ჰიგიენა**, მეცნიერება ჯანმთელობის დაცვის პირობებისა და ღონისძიებათა შესახებ.—**ჰიგიენისტ-ი**, ჰიგიენის სპეციალისტი.—**ჰიგიენური**, რაც ჯანმთელობას შეეხება, მას ხელს უწყობს და სხვა ასეთი.

**ჰიგრომეტრ-ი**, **ჰიგროსკოპ-ი**, ჰაერის სინოტივის საზომი ხელსაწყო.—**ჰიგრომეტრია**, მეტეოროლოგიის ერთერთი დარგი.—იკვლევს ჰაერის სინოტივის საკითხებს.

**ჰიგროსკოპიული**, სინოტივის, სითხის შემწოვი, შემსრუტველი.—**ჰიგროსკოპიული** ანუ **სამედიცინო ბამბა**, მზადდება საუკეთესო ხარისხის ბამბის სტერილიზაციის და გაუცხიმურების გზით.

**ჰიგროსკოპიულობა**, სხვადასხვა ნივთიერების (ხის, ქაღალდის, მარილების, სახამებლის და სხვათა) თვისება—ჰაერის სინოტივის (ორთქლის) შთანთქმისა.

**ჰიდალგო**, ესპანელი აზნაური.

**ჰიდრავლიკა**, წყალთმეცნიერება, უმთავრესად — ექსპერიმენტალური და გამოყენებითი ხასიათისა,—მისი დარგებია: 1) დაწნეული სითხის მოძრაობა მილებში; 2) წყლის მოძრაობა თავისუფალ კალაპოტში და სხვ.—**ჰიდრავლიკ-ი**, წყალთმეცნიერების სპეციალისტი.—**ჰიდრავლიკური**, ჰიდრავლიკის ხასიათისა; წყლით სამოძრავებელი.—**ჰიდრავლიკური ძრავები**, მანქანები, რომლებიც მოძრავი წყლის ენერგიას გარდაქმნიან მექანიკურ ენერგიად.

**ჰიდროაეროპლან-ი**, **ჰიდროპლან-ი**, ნავისებრკორპუსიანი აეროპლანი, რომელიც აფრინდება ხოლმე წყლის ზედაპირიდან და ეშვება მასზედვე.

**ჰიდრობიოლოგია**, მეცნიერება წყალში სიცოცხლის შესახებ,

იკვლევს ურთიერთობას წყლის გარემოსა და წყალში მცხოვრებ ორგანიზმთა შორის.

**ჰიდროგეოლოგია**, გეოლოგიის დარგი, — იკვლევს მიწისქვეშ მდებარე წყლების წარმოქმნას და მოქმედებას.

**ჰიდროდინამიკა**, მექანიკის ერთ-ერთი დარგი, — იკვლევს სითხეთა მოძრაობის კანონებს.

**ჰიდროელექტრული სადგური**, წყლის ენერგიის ელექტრო-ენერგიად გარდამქმნელი დადგმულობა (ასეთია, მაგ. ზაჰესი, ზემოავჭალის ჰიდროელექტრული სადგური).

**ჰიდროთერაპია**, წყლითმკურნალობა: გამოყენება სამკურნალო მიზნებით მტკნარი წყლისა სხვადასხვა ტემპერატურით და სხვადასხვა მდგომარეობაში.

**ჰიდროლოგია**, გეოფიზიკის ერთ-ერთი ნაწილი, — იკვლევს წყლის ფიზიკურ თვისებებს და მის მიმოქცევას ბუნებაში.

**ჰიდრომექანიკა**, მეცნიერება სითხეთა მექანიკის შესახებ, — იკვლევს უძრავი სხეულების გავლენას მოძრავ სითხეზე, სითხეთა წონასწორობას და სხვ.

**ჰიდროპლან-ი**, ნ. ჰიდროაეროპლანი.

**ჰიდროსტატიკა**, ჰიდრომექანიკის ერთერთი დარგი, — იკვლევს სითხეთა წონასწორობის საკითხებს.

**ჰიდროტექნიკა**, ტექნიკის ერთერთი დარგი, რომლის საგანია წყლის ბუნებრივი მარაგის მიზანშეწონილი გამოყენება (მორწყვა-ამოშრობა, წყლის გზები, წყლის ენერგია, წყალსადენი და სხვ.).

**ჰიდროფობია**, წყლის მოშიშრობა, — წარმოადგენს ერთგვარ ფსიქიურ ავადმყოფობას.

**ჰიდროფონ-ი**, წყალქვეშა ბგერითი სიგნალიზაციის (სანიშნებელი) მოწყობილობა, — გამოყენებულია გემების ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად, აგრეთვე — გემებისა ნაპირთან, გემების შეჯახების თავიდან ასაცილებლად და სხვ.

**ჰიეროგლიფები**, ნ. იეროგლიფები.

**ჰილზ-ი**, 1) თამბაქოთი გასატენი საპაპიროსე ქაღალდის მილი; 2) ტყვიით გასატენი ლითონის მასრა.

**ჰილიაზმ-ი**, ნ. ქილიაზმი.

**ჰილოზოიზმ-ი**, ფილოსოფიური მოძღვრება მატერიის სულიერობის შესახებ, — წარმოადგენს გულუბრყვილო მატერიალიზმს.

**ჰიმნ-ი**, 1) ლიტერატურაში: ღვთაების და შემდეგ გმირის შესაქებარი ლექსი; 2) მუსიკაში: საზეიმო ხასიათის სადიდებელი მუსიკალური ნაწარმოები —

ღვთაების, გმირის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან სახელმწიფოს საპატივცემო (საბჭოთა კავშირის ჰიმნია ინტერნაციონალი, ნ. ეს).

**ჰიპერ-** [ემატება სიტყვას თავში და აღნიშნავს] „მეტისმეტი, გადაჭარბებული, ნორმას გადაცილებული" და სხვ.

**ჰიპერბოლა, ჰიპერბოლ-ი,** 1) მეტყველებაში: გაზვიადება, — წარმოადგენს მხატვრული მეტყველების ერთერთ ფიგურას (ნ. ეს); 2) მათემატიკაში: მეორე რიგის მრუდთაგან ერთერთი მრუდი.— **ჰიპერბოლური,** გაზვიადებული.

**ჰიპერემია,** ნ. ჰიპერჰემია.

**ჰიპერესთეზია,** აწეული (გაძლიერებული) მგრძნობელობა.

**ჰიპერტროფია,** რაიმე ორგანოსი (ან ქსოვილის) ზომაზე მეტად გადიდება, —მისი მიზეზია, მაგ. ამ ორგანოთი გაძლიერებული მუშაობა.

**ჰიპერფუნქცია,** გაძლიერებული მოქმედება რაიმე ორგანოსი.

**ჰიპერჰემია, ჰიპერემია,** სისხლის ზომაზე მეტი დაგროვება სხეულის რომელიმე ნაწილში.

**ჰიპიატრია (ჰიპპ-),** ვეტერინარიის ერთერთი დარგი, —მეცნიერება ცხენთმკურნალობის შესახებ.

**ჰიპნოზ-ი,** ხელოვნურად (შთაგონებით) გამოწვეული ძილისებრი მდგომარეობა. — **ჰიპნოზური,** ჰიპნოზის ხასიათის, მისი შესაფერი და სხვ.—**ჰიპნოზური მდგომარეობა,** ძილისებრი მდგომარეობა. — **ჰიპნოტიზიორ-ი,** ჰიპნოზის გამომწვევი პირი. —**ჰიპნოტიზირება, ვაჰიპნოტიზირებ,** ვიწვევ ხელოვნურ ძილს, —ჰიპნოზს.

**ჰიპნოტიზმ-ი,** ჰიპნოზით მკურნალობა.—წარმოადგენს ფსიქოთერაპიის ერთერთ მეთოდს (ნ. ფსიქოთერაპია).

**ჰიპოდრომ-ი (ჰიპპ-),** ცხენთსაჭენებელი, სამარულო მოედანი.

**ჰიპოთეზა, ჰიპოთეზ-ი,** 1) მეცნიერებაში: წინასწარდაშვება (გულვება), რომლის საფუძველზე პოულობს ახსნას მოვლენათა რიგი, — წარმოადგენს მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვან საშუალებას; 2) მეტ-ნაკლებად სათუო წინასწარდაშვება ან დებულება. **ჰიპოთეზური,** ჰიპოთეტური, ჰიპოთეზის ხასიათისა; მეტ-ნაკლებად სათუო.

**ჰიპოთეკა,** ვალის უზრუნველყოფა უძრავი ქონების დაგირავების სახით.

**ჰიპოთეტური,** ნ. ჰიპოთეზა, ჰიპოთეზური.

**ჰიპოპოტამ-ი (ჰიპპ-),** იგივეა რაც ბეჰემოთი (ნ. ეს).

**ჰიპოტენუზა,** გეომეტრიაში: მართკუთხა სამკუთხედის გვერ-

დი, რომელიც ძევს მართკუთხის (სწორი კუთხის) პირდაპირ.

**ჰიპოხონდრია**, ნაღვლიანი ფსიქიური მდგომარეობა: **ჰიპოხონდრიკ-ი**, **ჰიპოხონდრიით** შეპყრობილი — დაეჭვებულია უმთავრესად თავისს ჯანმთელობაში.

**ჰიპსომეტრ-ი**, სიმაღლის საზომი იარაღი. — **ჰიპსომეტრია**, გეოდეზიის ნაწილი, — განსაზღვრავს ადგილმდებარეობის სიმაღლეს და გამოსახავს მას რუკაზე.

**ჰისტოლოგია**, მეცნიერება ორგანიზმის ქსოვილთა შესახებ,—წარმოადგენს ბიოლოგიის ერთერთ დარგს და იკვლევს ცხოველთა და მცენარეთა უწვრილმანეს აგებულებას, უმთავრესად—მიკროსკოპის შემწეობით (ნ. მიკროსკოპი). — **ჰისტოლოგ-ი**, ჰისტოლოგიის სპეციალისტი. — **ჰისტოლოგიური**, ჰისტოლოგიის ხასიათისა.

**ჰიუმორ-**, ნ. ჰუმორ-.

**ჰიჯრა, ჰიჯრ-ი**, მაჰმადიანთა წელთაღრიცხვის დასაწყისი (622 წ. ქ. შ.).

**ჰოლ-ი**, კარები, ჭიშკარი (ფეხბურთის თამაშში).

**ჰომეოპათია**, წამლებით მკურნალობის ერთგვარი მეთოდი: ავადმყოფს ეძლევა უმცირესი დოზით (ნ. დოზა) ისეთი წამალი, რომელიც (უფრო დიდი დოზით) ჯანსაღ ორგანიზმში იწვევს ამ ავადმყოფობის მსგავს სიმპტომებს (ნ. ეს). საბჭოთა კავშირში ჰომეოპათია აკრძალული არ არის, მაგრამ ხელისშეწყობასაც მოკლებულია, რადგანაც მეცნიერულად დასაბუთებული ჯერჯერობით არ არის. — **ჰომეოპათ-ი**, ჰომეოპათიის მეთოდით მკურნალი ექიმი.

**ჰომილეტიკა**, მქადაგებლობა, ქადაგებათა შემდგენლობა.

**ჰომოგენური**, ერთგვაროვანი — შედგენილობით ან წარმოშობით.

**ჰომოლოგ-ი**, მსგავსი, თანაგვაროვანი. — **ჰომოლოგია**, ბიოლოგიაში: სხვადასხვა ცხოველთა ან მცენარეთა ორგანოების მსგავსება ან თანაგვაროვნება, — წარმომდგარია წარმოშობის ერთგვარობისაგან, მაგ.: ადამიანის ხელები და ფრინველის ფრთები არიან ჰომოლოგიური ორგანოები.

**ჰომონიმები** (მრავლ.), სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც ერთნაირად წარმოითქმიან, მაგ. „ბანი“ (ხმა) და „ბანი“ (სახლის ერდო), „წელი“ (წელიწადი) და „წელი“ (სარტყლის ადგილი), „ხელი“ (ადამიანის ორგანო) და „ხელი“ (კიჟი) და მრავალი სხვა.

**ჰომონიმია**, ცხოველის ორგანოთა ერთნაირობა, მაგ. ჰომონიმიური ადამიანის ნეკნები, მალები და სხვ.

**ჰომოსექსუალიზმ-ი**, არაბუნებრივი სქესობრივი მიზიდულობა ერთდაიმავე სქესის წარმომადგენელთა შორის (ქალისა ქალისადმი ან ვაჟისა ვაჟისადმი).

**ჰომოფონია**, 1) უნისონით (ნ.) სიმღერა (ძველ საბერძნეთში); 2) ერთგვარი მუსიკალური სტილი, როცა მთავარი როლი მინიჭებული აქვს ერთ ხმას, ხოლო დანარჩენები არიან ამყოლნი, — უპირისპირდება პოლიფონიას (ნ. ეს).

**ჰომრულ-ი**, „თვითმართველობა": ირლანდიის ეროვნულ-ბურჟუაზიული მოძრაობის ლოზუნგი 1870-იანი წლებიდან, — შემოღებულ იქნა ჩრდილო-ირლანდიაში 1920 წ., ხოლო სამხრეთ-ირლანდიაში 1922 წ.

**ჰონვედ-ი**, უნგრეთის არმია.

**ჰონორარ-ი**, 1) ძველ რომში: „საპატიო გასამრჯელო", ე. ი. ხელფასი, რომელსაც იღებდა მაგ. მწერალი, იურისტი და სხვები არა როგორც ჯამაგირს; 2) შემდეგ და ახლა: ხელფასი — არა მუდმივი ჯამაგირის სახით (მაგ. მწერალთა, ხელოვანთა, ექიმთა და სხვათა ხელფასი).

**ჰონორ-ი**, გულდიდობა, ამპარტავნება, გადაჭარბებული წარმოდგენა თავისთავზე.

**ჰოპაკ-ი**, უკრაინელთა ეროვნული ცეკვა.

**ჰოპლიტები** (მრავლ.), ძველი საბერძნეთის რესპუბლიკებში: მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მილიციის მთავარი ნაწილი.

**ჰორელიეფ-ი**, ბრტყელ ზედაპირზე ამობურცვით ნაქანდაკევი (ნ. ბარელიეფი, რომლისაგანაც ჰორელიეფი განსხვავდება მეტი ამობურცულობით).

**ჰორიზონტალ-ი**, ჰორიზონტის სიბრტყის პარალელური წრფე (სწორი ხაზი). — **ჰორიზონტალური**, თარაზული, ჰორიზონტის სიბრტყის პარალელური.

**ჰორიზონტ-ი**, ტატნობი: 1) მიწის ზედაპირისა და ცის შეერთების მოჩვენებითი ხაზი; 2) ცის სფეროს დიდი წრე, რომლის სიბრტყე პერპენდიკულარულია ვერტიკალური ხაზისადმი; ჰორიზონტზე იმყოფება ოთხი წერტილი — ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი; 3) გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ი, ადამიანის გონებრივი განვითარების დონე. — **ჰორიზონტული**, ჰორიზონტის ხასიათის. — **ჰორიზონტალური**, ნ. ჰორიზონტალი.

**ჰორმონები** (მრავლ.), ერთგვარი ნივთიერებანი, რომელნიც გამოიყოფიან სისხლში შინაგანი

სექრეციის ჯირკვლების მიერ და ააგზნებენ ან ანელებენ ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოქმედებას.

**ჰორნ-ი,** თითბრის შთასაბერი საკრავი.—**ჰორნისტ-ი,** ჰორნის დამკვრელი; ჰორნით სიგნალის მიმცემი ჯარისკაცი, მებუკე.

**ჰოროსკოპ-ი,** ცრურწმენის ერთ-ერთი სახე: მკითხაობა ადამიანის ბედის შესახებ ციურ მნათობთა მდებარეობის მიხედვით.

**ჰორტენზია,** ბაღის (ორანჟერიის, ოთახის) თეთრ- ან ვარდისფერყვავილებიანი მცენარე.

**ჰოსპიტალ-ი,** საავადმყოფო, უმთავრესად სამხედრო პირთათვის.

**ჰოტენტოტები (ჰოტტენტოტტ-),** სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ყვითელკანიანი ხალხი.

**ჰოფმარშალ-ი,** კარის მნე, ეზოს მოძღვარი (მეფის სასახლეში).

**ჰოფმეისტერ-ი,** დარბაზთბატონი (მეფის სასახლეში),—განაგებდა სამეფო კანცელარიას.

**ჰოჰენცოლლერნები** (მრავლ.), გერმანიის ყოფილი დინასტია, რომელიც დაემხო (ვილჰელმ მეორის სახით) გერმანიაში 1918 წ. 9/XI.

**ჰუგენოტები** (მრავლ.), საფრანგეთის პროტესტანტები (კალვინისტები, ნ. ეს) 16 საუკუნეში, —გამოხატავდენ ფეოდალებისა და ბურჟუაზიის ნაწილის უკმაყოფილებას მეფის წინააღმდეგ; მათი პროგრამა რეაქციული იყო, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა საფრანგეთის დაქუცმაცებას.

**ჰუმანიზმ-ი,** სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი კულტურა, მსოფლმხედველობა და შესაფერი მოძრაობა 14—16 საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში (თავდაპირველად—იტალიაში), —ხასიათდება 1) ინტერესის გაღვივებით ძველი კლასიკური კულტურისადმი, რომელშიც **ჰუმანისტები,**—ჰუმანიზმის მონაწილენი და მიმდევარნი—ეძებდენ თავიანთ მისწრაფებათა დასაბუთებას, 2) ადამიანის პიროვნების განთავისუფლებისათვის ბრძოლით, 3) ძველი მსოფლმხედველობისადმი კრიტიკული განწყობილებით, 4) ზუსტ მეცნიერებათა საფუძვლის ჩაყრით და სხვ.

**ჰუმანიტარული მეცნიერებანი,** საზოგადოების მეცნიერებანი, — შეიცავენ ისტორიას, ენათმეცნიერებას, ფილოსოფიას, მწერლობის და ხელოვნების ისტორიას, ფსიქოლოგიას და სხვ. ასეთს და უპირისპირდებიან ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებს.

**ჰუმანური,** ადამიანური, კაცთმოყვარე.—**ჰუმანურობა,** ადამიანურობა, კაცთმოყვარეობა.

**ჰუმორ-ი**, ლიტერატურაში და ხელოვნებაში: საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა და ადამიანის ნაკლთა გამოსახვა მსუბუქი და თანაგრძნობითი დაცინვით.—**ჰუმორისტ-ი**, ასეთ ნაწარმოებთა ავტორი; უბოროტოდ დამცინველი ადამიანი.

—**ჰუმორისტიკა**, ჰუმორისტული ლიტერატურა. — **ჰუმორისტული**, ჰუმორის შემცველი, ჰუმორით გაჟღენთილი.

**ჰურიები** (მრავლ.), ლამაზი ქალწულები საიქიოში (მაჰმადიანური რწმენით).

**ჰუსარები** (მრავლ.), ცხენოსანი ჯარისკაცები (თავდაპირველად —უნგრეთში, 15 საუკ.).

**ჰუსიტები** (მრავლ.), რეფორმატორის და ჩეხეთის ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, იან ჰუსის (1369—1415) მიმდევრები.

# შეცდომების გასწორება

| გვ. | სვ. | სტრიქონი | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 20 | I | 8—9 ქვევიდან | იგივეა |
| 21 | I | 6 ქვევიდან | ანტეცესორული (-სს-). |
| 30 | II | 13 „ | (აპპლ-). |
| 41 | I | 8 ზევიდან | ჭრილობის განკურნება დაუჩირქებლივ |
| 42 | I | 16 „ | სიძველეთა |
| 48 | II | 12 ქვევიდან | აქრომატიზმი |
| 52 | I | 1 ქვევიდან | და სხვ., |
| 56 | I | 11 ზევიდან | არ შეეფერება |
| 81 | II | 1—2 ქვევიდან | რამდენიმე გალვანური |
| 119 | I | 14 ზევიდან | (გამოშვებულია) დიამატ-ი, ნ. დიალექტიკა |
| 119 | I | 16 ქვევიდან | დიაპაზონ-ი |
| 143 | I | 11 ზევიდან | ეფემერიდები |
| 169 | II | 17 „ | დამოუკიდებლად |
| 175 | I | 4 ქვევიდან | ინსტრუქტ-, ინსტრუკც-, ნ. ინსტრუქტ-, ინსტრუქც- |
| 177 | II | 17 ზევიდან | სოციალიზმის |
| 178 | II | 1 ქვევიდან | ინტიმობა |
| 180 | I | 13 ზევიდან | ინფლუენცა |
| 192 | I | 7 ქვევიდან | (გამოტოვებულია) კაპიტალისტ-ი, 1) კაპიტალის (ნ. 1, 2) მესაკუთრე; პროლეტარიატის მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელი; 2) ჩვეულებრივ სიტყვა—ხმარებაში: ძალიან მდიდარი, ბევრი ფულის მქონე. |
| 198 | I | სათაურში | კატლეთი |
| 198 | I | 6 ზევიდან | კატლეთ-ი |
| 199 | I | 1 ქვევიდან | კეფალომეტრია |
| 21 | II | 10 „ | კონტო |
| 233 | I | 4 ზევიდან | ლეგისლატივა |
| 241 | I | 6 „ | (16 საუკ.) |
| 247 | II | 18 ქვევიდან | დიალექტიკური |
| 252 | II | 3 ზევიდან | დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი |